ა. ფარჯანაძე

ჩრდილოეთ კავკასია, საქართველო, რუსეთი
და მათი ურთიერთდამოკიდებულება.

წიგნი
I

თბილისი
2014

ნაშრომში განხილულია ურთიერთდამოკიდებულება საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიელებს შორის და მათი ურთიერთობა რუსეთთან. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია იმ მოპოვებული მასალების მიხედვით, რომლებიც გამოქვეყნდა საბჭოთა წყობილების რღვევის შემდეგ. ცხადია, რომ ჩრდილოეთ კავკასიელების და საქრთველოს ისტორია თავიდან უნდა დაიწეროს, რადგან რუსეთის იმპერიის და მის შემდეგაც, საბჭოთა კავშირის დროს დაწერილი ამ ქვეყნების ისტორია, თვით რუსეთის ისტორიაც კი, ძირითადათ წარმოადგენდა სიყალბეს. საბჭოთა წყობილების დროს ვერავინ გაბედავდა ეთქვა სიმართლე.

არ შეიძლება არ აღვნიშნო, მადლიერება არ გამოვხატო და გულითადი მადლობა არ მოვახსენო პროფ. კავკასიოლოგს ჟონი კვიციანს, რომელიც გაეცნო ამ მონოგრაფიას და მისი დახმარებისა და რჩევების გათვალისწინებით შეიქმნა ეს ნაშრომი.

ა.ფარჯანაძე, 2014
ISBN978-9941-0-6757-0

შ ე ს ა ვ ა ლ ი.

„ევროპის ხალხნო, თუ როგორ უნდა ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ისწავლეთ კავკასიელი მთიელების გმირული მაგალითებიდან“. (92, გვ.16).

ცნობილია, რომ ჩრდილოეთ კავკასია უძველესი დროიდან წარმოადგენს სხვადასხვა მონათესავე, თუ არამონათესავე ტომების, მრავალეროვან მკვიდრ საცხოვრისს, რომლებიც დროთა განმავლობაში გამუდმებით განიცდიდნენ სხვადასხვა მომთაბარე, მსხემი ტომების და იმპერიების შემოსევებს. ამის გამო ტომების სამფლობელოები განიცდიდნენ ცვლილებებს, თუმცა მოსახლეობის ნაწილი მაინც რჩებოდა ადრინდელ მიწა-წყალზე. ამ შემოსევების წყალობით, ჩრდილოეთ კავკასიაში გაჩნდა ირანულენოვანი და თურქულენოვანი, ხოლო შემდგომში რუსულენოვანი მოსახლეობა.

წყაროების მეტისმეტი სიმცირის გამო, გართულებულია საქართველოსა და ჩრდილო-კავკასიელთა ურთიერთობების (მით უმეტეს ძველ დროში) დადგენა. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ მართალია, შუა საუკუნეების II ნახევრიდან, როდესაც კავკასია მოექცა პოლიტიკურ მოვლენათა შუაგულში და ამის გამო იმატა ცნობები რუსულ და უცხოურ ენებზე, მაგრამ მათ ნაშრომებში, საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიელთა ურთიერთობების შესახებ ცნობები, მკვლევარების ყურადღების მიღმა რჩებოდა, ქართული ისტორიული წყაროების არასაკმარისი ცოდნისა და ქართული ენის უცოდინარობის გამო.

მიმდინარე და გასულ საუკუნის ეთნოგრაფიულმა გამოკვლევებმა, ნაწილობრივ შეავსო საქართველო-ჩრდილო-კავკასიის ხალხთა ურთიერთობის ამსახველი ცნობები, მაგრამ XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა შეაფერხა კავკასიის ხალხთა ურთიერთობები. თუმცა, შეძლებისდაგვარად მაინც ხდება და ვიმედოვნებთ, რომ თანდათან უფრო აღდგება და გაღრმავდება ურთიერთკავშირი და უფრო მეტად გამოვლინდება კავკასიის ხალხთა ხანგრძლივი განვითარების ამსახველი მასალები და როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები სათანადოთ აისახება.

აქ და შემდეგში პირველი ციფრით მითითებულია ლიტერატურის რიგითი მაჩვენებელი, შემდეგ – გამოცემის ცალკეული წიგნი ან ნაშრომის გვერდი.

თავი I. ჩ რ დ ი ლ ო ე თ - კ ა ვ კ ა ს ი ე ლ ე ბ ი.

როგორც ცნობილია, დღევანდელ დღეს ჩრდილოეთ კავკასიის მიწა-წყალის დიდი ნაწილი შედის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. ამ მხარეში ჩამოყალიბებულია 7 რესპუბლიკა და 2 მხარე: ადიღის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩაჩნეთის, ინგუშეთის, ჩრდილოეთ ოსეთისა და დაღესტნის რესპუბლიკები, და კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები.

ჩრდილოეთ კავკასიაში დღემდე მოღწეულ ძირძველ ტომებთან ერთად ცხოვრობენ დროთა განმა-ვლობაში ჩასახლებული ხალხები, რომლებიც განეკუთვნებიან ოთხ ენობრივ ოჯახებს: ინდოევროპულს, აფრო-აზიურს, ალთაურს და იბერიულ-კავკასიურს (პალეოკავკასიური).

I. ინდოევროპული ენების ოჯახიდან არიან შემდეგი ქვეჯგუფები:

1. ირანული ქვეჯგუფიდან: თათები, თალიშები, ქურთები, იეზიდები (ქურთების ნაწი-ლები), მთის ებრაელები და ოსები.

2. სლავურ ქვეჯგუფიდან: უკრაინელები, თერგისა და ყუბანის კაზაკები და რუსები.

3. სომხური ქვეჯგუფიდან: სომხები.

4. ბერძნული ქვეჯგუფიდან: პონტოელი ბერძნები.

II. აფრო-აზიური ენების ოჯახიდან:

სემიტური ქვეჯგუფიდან: ებრაელები, მთის ებრაელები (დჯუხურონები) და ასურელები (სირიელები და აისორები).

III. ალთაური ოჯახიდან:

1. თურქული ქვეჯგუფიდან: აზერბაიჯანელები, ყარაჩაელები, ყუმუხები, ბალყარელები, კორეელები და ე. წ. „თურქი მესხები“.

2. თურქულ ენათა ჯგუფის ყივჩაყურ-ნოღაური ქვეჯგუფიდან: ნოღაელები, თათრები.

3. მონღოლური ქვეჯგუფიდან: ყალმუხები.

IV. იბერიულ-კავკასიურ (პალეოკავკასიური) ოჯახიდან:

1. ქართველური ქვეჯგუფიდან: ქართველები.

2. აფხაზურ-ადიღეური ქვეჯგუფიდან: ყაბარდოელები, ადიღეელები, ჩერქეზები, აბაზები და უბიხები.

3. ნახური ქვეჯგუფიდან: ჩაჩნები, ინგუშები და ქისტები.

4. დაღესტნური ქვეჯგუფიდან: ხუნძები (ავარები), ანდიელები, არჩილებელები, ახვახე-ლები, აღულები, ბაგვალალები (ბაგვალები, კვანადელები), ბეჟიტელები, ბოთლიხელები, დარგუელები, დიდოელები, თაბასა-რანელები, კარატაელები, კაპუჭელები, ლაკები (ყაზიყუ-მუხები), ლეზგები, რუთულელები (მუხადები), ტინდიელები, ღოდობერილები, ჭამალალები, ხვარშიელები, ჰინუხები და ამათ გარდა მეტად მცირე ერები, რომლებიც თითო აულში ცხოვრობენ.

არქეოლოგების მიერ გამოვლენილი ძეგლების თანახმად, დადგინდა, რომ უძველეს დროს (150–80 ათასწლეულში) ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდნენ პირველყოფილი ადამიანები – ნეანდერტალელიები და მათ გაიარეს ყველა არქეოლოგიური დრო. ცნობილია ისიც, რომ მეზოლითის ხანაში (10–5 ათასწლეულში) ისინი მომთაბარეობდნენ. ხოლო ქვის ხანის

(ნეოლითის) დროს (VI–IV ათასწლეულიში) მომთაბარეებმა დაიწყეს ბინადრობაზე გადასვლა და ადგილებზე დამკვიდრება.

(ძვ. წ. VIII–VII) საუკუნეებში აზოვის და შავი ზღვისპირეთში დაიწყო ბერძნული ახალშენების წარმოქმნა. ჩრდილოეთ კავკასიაში ძვ. წ. VI საუკუნიდან თანდათან ხდება ადგილობრივი ტომებისა და მათი გაერთიანებების ჩამოყალიბება.

ანტიკური წყაროებიდან და ეპიგრაფიული ძეგლებიდან ირკვევა, რომ ძვ. წ. III საუკუნიდან იწყება ჩრდილოეთის ველებიდან სხვადასხვა ტომების: **კიმერიელების**, **სკვითების, სავრომატების**, **მეოტების** და **სინდების** (იხ. ქვევით) შემოსევები, რომლებმაც თავისი ზეგავლენა იქონიეს ადგილობრივ ტომებზე და ბერძნულ ახალშენებზე.

ბერძნული წყაროებიდან ცანს, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, დღ. დაღესტნის სამხრეთ მხარეში და ახლანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიწა-წყალზე, ძვ. წ. IV საუკუნეში ჩამოყალიბდა ერთ-ერთი უძველესი კლასობრივი სახელმწიფო **ალვანეთი** (კავკასიის ალბანეთი). ხოლო ძვ. წ. V საუკუნის 80-იან წლებში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, ქერჩისა და ტამანის ნახევარკუნძულებზე, არსებული ბერძნული კოლონია-პოლისების გაერთიანების შედეგად, წარმოიქმნა მონათმფლობილური **ბოსფორის** სახელმწიფო. (იხ. ქვევით). ძვ. წ. III საუკუნეში მდ. დონის (ძვ. ბერძ. – ტანაისი) შესართავთან ბერძნებმა დაარსეს ქალაქი **ტანაისი** (ტანაიდა), რომელიც თანდათან დიდი სავაჭრო ადგილი გახდა ბოსფორის სახელმწიფოსა, აზოვისპირა და მდ. დონის ველების მომთაბარეთათვის. ქალაქი არსებობდა ჩვ. წ. V საუკუნემდე. (იხ. ქვევით).

ძვ. წ, III საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიაში გამოჩნდნენ ირანულენოვანი მომთაბარე ტომები **სარმატები** (იხ. ქვევით), რომლებმაც შეძლეს ჩრდილოეთ კავკასიელთა ტომების დამორჩილება და მონაწილეობას ღებულობდნენ ბოსფორის სახელმწიფოს შინაომებში და თანდათან კიდევაც ჩასახლდნენ მის ქალაქებში. ძვ. წ. II საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიაში დაწინაურდა სარმატთა ერთ-ერთი ტომი **ალანები** (იხ ქვევით), რომლებიც ცნობილნი იყვნენ ალანთა ერთ-ერთი ტომის **როქსოლანების** სახელწოდებითაც (იხ. ქვემოთ). ძვ. წ. I საუკუ-ნეში ალანთა ტომები დასახლდნენ აზოვისპირეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში, მდ. დნეპრის ქვედა ნაწილსა და ურალს შორის ველებზე. ახ. წ. III საუკუნეში სარმატები შეავიწროვეს ჩრდილოეთიდან წამოსულმა, გერმანელთა ერთ-ერთმა ტომებმა **გუთებმა** (გოთები). ხოლო ახ. წ. IV საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიაში გამოჩნდნენ თათართა ერთ-ერთი ტომი **ჰუნები**, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა წარმოშობის ჩამოყალი-ბებაში. ჩრდილოეთ კავკასიელთა ტომებისა და ალანთა ტომების დიდმა ნაწილმა, ჰუნებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ევროპაში ე. წ. „ხალხთა დიდ გადასახლებაში“. ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩენილმა ალანთა ტომებმა VII საუკუნეში ადგილობრივ ტომებთან ერთად ჩამოაყალიბეს ძლიერი ტომთა კავშირი, რომელიც ცნობილია **ალანიის** (ალანეთი) სახელწოდებით.

წყაროებიდან ჩანს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ალანიის გარდა, VII–X საუკუნეებში დაღესტნის მიწა-წყალზე ჩამოყალიბდა რამდენიმე მცირე პოლიტიკური გაერთიანებები: **ზირიხგერანი**, **თაბასარანი**, **ლაირანი**, **ლაკზი**, **მასკუტი**, **ღუმიკი**, **ჯიდანი** და სხვ.

VI საუკუნიდან, ჩრდილოეთ კავკასიას შეესივნენ მსხვემი თურქულენოვანი ტომები – **ავარები**, ხოლო VII საუკუნის შუა წლებში ქვემო ვოლგისპირეთისა და ჩრდილოეთ კავკა-

სიის აღმოსავლეთ ნაწილის მიწა-წყალზე, ჩამოყალიბდა თურქულენოვანი ფეოდალური სახელმწიფო **ხაზართა სახაკანო** (იხ. ქვევით), რომლის დედაქალაქი VIII საუკუნის დასაწყისამდე იყო ქ. **სემენდერი** ახლანდელ დაღესტანში.

წყაროებიდან ცნობილია, რომ ხაზარები, არაბები და ბიზანტიელები დაპყრობით ომებს აწარმოებდნენ სამხრეთ კავკასიაში.

პირველად არაბები ჩრდილოეთ კავკასიაში გამოჩნდენ VIII საუკუნის დასაწყისში. 737 წელს არაბებმა შეძლეს **დერბენდის** (ქართ. წყაროებში – დარუბანდი) დაპყრობა და ხაზარების ჩრდილოეთით განდევნა. დარუბანდი გახდა მათი მთავარი დასაყრდენი ადგილი. მის მიდამოებში არაბებმა ხაზარებისაგან თავდაცვის გამო ააშენეს დამცავი სიმაგრეები. 739 წელს არაბებმა ისევ გაილაშქრეს ხაზარების წინააღმდეგ.

VIII საუკუნის ბოლო წლებში, აზოვის ზღვიდან კასპიის ზღვამდე ველები და ჩრდილოეთ დაღესტანი მოექცა ხაზართა გამგებლობაში, ხოლო დაღესტნის აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეებს განაგებდნენ არაბები. X საუკუნის ბოლოს არაბთა ხალიფატი დაიშალა მცირე სახელმწიფოებად. ხოლო ამავე ხანებში, ხაზართა სახაკანომ ხვარაზმელებთან დამარცხების შემდეგ არსებობა შეწყვიტა.

ჩრდილოეთ კავკასიაში არაბთა შემოსევების დროიდან დაიწყო გავრცელება **ისლამურმა სარწმუნოებამ**. X საუკუნეში ისლამი გავრცელდა ჯერ სამხრეთ დაღესტანში, დერბენდის მხარეში, ხოლო XIII–XIV საუკუნეებში – მთიან დაღესტანში, საიდანაც განდევნა აქ გავრცელებული ადრინდელი სარწმუნოებები: **ქრისტიანობა** და **იუდაიზმი**. XV–XVI საუკუნეებში ისლამი გავრცელდა ჩაჩნეთსა და ანდიელ-ცეზებში, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში, მუსულმანური სარწმუნოება საბოლოოდ გავრცელდა თითქმის მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში.

IX საუკუნის II ნახევრიდან და X საუკუნეებში ხაზარების და არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ, დაღესტნის მხარეში თანდათან დაიწყო ჩამოყალიბება რამდენიმე მსხვილმა ეთნოპოლიტიკურმა გაერთიანებებმა. X სუკუნეში, დაღესტნის სამხრეთში, კასპიის ზღვის სანაპიროზე, წარმოიქმნა ერთ-ერთი ასეთი ფეოდალური გაერთიანება **დერბენდის სამთავრო** (იხ. ქვევით). დაღესტნის შუა გულში ჩამოყალიბდა მსხვილი გაერთიანება **გუმიკი** (კუმუხი). (იხ. ქვევით). დაღესტნის დასავლეთ მხარეში შეიქმნა ძლიერი სამთავრო – **სერირი**. (იხ. ქვევით). ამავე ხანებში დაიწყო ჩამოყალიბება **ალანთა** (ოვსთა სამეფო) ფეოდალურმა სახელმწიფომ.

XI საუკუნის შუა წლებში დაღესტნის დიდი ნაწილი სელჩუკებმა დაიპყრეს.

1123 წელს საქართველოს მეფემ (1089–1125) დ ა ვ ი თ IV ა ღ მ ა შ ე ნ ებ ე ლ მ ა (1073-1125) შირვანი და დარუბანდი საქართველოს შემოუერთა.

XII საუკუნის ბოლოს დაღესტანში ჩამოყალიბდა ძლიერი პოლიტიკური გაერთიანებები: **ავარიის სახანო**, **ყაზიყუმუხის საშამხლო** და **ხაიდაყის საუწმიო**. (სიტყვა „უწმი“-ის წარმოშობა, ჯერჯერობით დადგენილი არ არის. ზოგიერთის ვარაუდით – არაბულიდან „ისმი“, ე. ი. „სახელგანთქმული“. ზოგიერთის – იუდაიზმიდან „ოცილო“ ე. ი. „ძლიერი“, „მძლავრი“).

XIII საუკუნის 20-ანი წლებიდან, ჩრდილოეთ კავკასია გადაიქცა მონღოლთა სათარეშო მოედნად. 1220 წელს მონღოლებმა შუა აზიის, ირანის ჩრდილოეთი მხარის, ლიხსაქეთ

საქართველოს და შირვანის დალაშქვრის შემდეგ გადავიდნენ ჩრდილოეთ კავკასსიაში და მიადგნენ დერბენდს, მაგრამ მისი აღება ვერ შეძლის. ამის შემდეგ, მონღოლებმა გაილაშქრეს დაღესტნის მთიან მხარეში, დაამარცხეს **ლაკები** და შეესივნენ დანარჩენ ტომებს. ბრძოლა მოუხდათ გაერთიანებულ ყივჩაყურ ტომებთან და ალანებთან. მათი დამარცხების შემდეგ, აიღეს ყირიმიც. 1223 წელს დაამარცხეს გაერთიანებული რუსეთ-ყივჩაყთა ლაშქარი და დაბრუნდნენ აზიაში. დამარცხებული ყივჩაყთა ტომის ნაწილი გაიხიზნა მთებში, ხოლო მეორე ნაწილი შეესია დერბენდს, აიღო და დაარბია. გადმოვიდა სამხრეთ კავკასიაში და შირვანის გავლით შეეცადა საქართველოში შემოსვლა, მაგრამ, ქართველებმა დაამარცხეს.

XIII საუკუნის 30-იან წლებში მონღოლები ხელახლა გამოჩნდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და შეძლეს მთელი ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობა.

ცნობილია, რომ 1236 წელს, მონღოლთა ყაენმა (ხანი) ბ ა თ ო - ყ ა ე ნ მ ა (ბათუ, საინ-ხანი) (1208– 1255) დაამარცხა ყივჩაყები და რუსები, შემდეგ გაილაშქრა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში: პოლონეთში, ჩეხეთში, რუმინეთში და დალმაციაში. აქედან გამობრუნდა უკან. 1243 წელს ბათო-ყაენმა მდ. ვოლგის ქვემო წელზე დაარსა ფეოდალური სახელმწიფო **ოქროს ურდო**. „სახელწოდება „ოქროს ურდო“ პირველად აღინიშნა ისტორიულ-პუბლიცის-ტურ თხზულებაში „ყაზანის ისტორია“-ში. ამ დროს თვით ეს სახელმწიფო აღარ არსე-ბობდა. მანამდე ყველა რუსულ წყაროებში მოხსენებული იყო მხოლოდ „ორდა“-ს სახელ-წოდებით. XIX საუკუნიდან დამკვიდრდა ისტორიოგრაფიაში მთლიანად ჯუჩი ულუსის (თურქულად ულუ ულუს, ევრაზიაში შუასაუკუნეების სახელმწიფო), ან მხოლოდ მისი დასავლეთ ნაწილის აღნიშვნისას, რომლის დედაქალაქი იყო სარაი“. (156). 1237 წლის შემოდგომაზე ბათო ყაენის მიერ გაგზავნილმა ლაშქარმა, ჩრდილოეთ კავკასიაში დაამარცხა ყველა სამთავროები და ტომთა გაერთიანებები. 1240 წელს დამარცხდნენ ყუმუხები. ამრიგად, მთელი ჩრდილოეთ კავკასია ოქროს ურდოს გამგებლობის ქვეშ აღმოჩნდა.

1388 და 1396 წლებში ოქროს ურდოს წინააღმდეგ გაილაშქრა შუაზიელმა მხედართ-მთავარმა თ ე მ უ რ ლ ე ნ გ მ ა (1336–1405) და ორივეჯერ დაამარცხა. ამის შემდეგ, თემურ-ლენგმა კავკასიას თავი დაანება და დაბრუნდა უკან. ამ დამარცხების შედეგად, ოქროს ურდო დასუსტდა და ის საბოლოოდ დაიშალა, ჩრდილოეთ კავკასიაც განთავისუფლდა ოქროს ურდოს ბატონობისაგან.

XV საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბდა **ყირიმის სახანო** (იხ. ქვემოთ) და **ყაზანის სახანო** (იხ. ქვევით). ამავე საუკუნის დასასრულს, დაღესტნის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხა-რეში, ზღვისპირეთში, ჩამო-ყალიბდა, სავაჭრო გზაზე მდებარე, **ტარკის საშამხლო**, რომლის დედაქალაქი გახდა **ტარკი** (თარღუ). ტარკის ციხე-ქალაქი მოხსენებულია VIII საუკუნეში, ხაზართა ურდოს მთავარ ქალაქად. XVII საუკუნის დასაწყისიდან, ის გადაიქცა დაღესტანში დერბენდის შემდეგ, მეორე სამხედრო, სავაჭრო და პოლიტიკურ ქალაქად. თავისი არსებობის მანძილზე, ტარკი არაერთხელ იქნა დარბეული რუსების მიერ. „1821 ტარკის ადგილზე აშენდა რუსული სიმაგრე ბურნაია. 1884 ტარკის მახლობლად საფუძველი ჩაეყარა ციხესიმაგრე პეტროვსკოეს (ახლანდ. მაჰაჩყალა)“. (8, ტ.9, გვ.661). 1813 წლის ირანსა და რუსეთს შორის დადებული გულისტანის საზავო ხელშეკრულების თანახმად, ტარკის საშამხლო შეუერთდა რუსეთს.

ოქროს ურდოს დაშლის შემდეგ, თანდათან ჩამოყალიბდა ჩრდილოეთ კავკასიელთა

ეთნოსები: ჩრდილოეთ კავკასიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ მხარეში, მდ. ყუბანის, შავი ზღვისპირეთის როგორც მთიან მხარეში, ასევე დაბლობში და ჩრდილოეთ კავკასიის შუა ნაწილში – **ადიღეელთა** ტომები; ჩრდილო-კავკასიის შუა ნაწილის მთებში აღმოჩნდნენ **ყარაჩაელები** და **ბალყარელები**; ამავე მხარის მთიან ხევებში – **ოსები**; ჩრდილო-კავკასიის აღმოსავლეთ მთიან მხარეში და მდინარეების სუნჯისა და თერგის მიდამოებში – **ვაინახელები**; ხოლო მათ მეზობლად, ჩრდილო-აღმოსავლეთით კავკასიის მთიანეთში და კასპისპირეთში – **დაღესტნელი** ტომები, როგორც დაღესტნური ენის ჯგუფის მრავალრიცხოვანი მონათესავე ტომების წარმომადგენლები, ასევე თურქულენოვანი ტომები: **ავარელები**, **ლაკები, დარგუელები, თაბასარანელები, რუთულები, ნოღაელები** და სხვ. ამავე დროს, რუსეთის სამხრეთ მხარეში, მდ-ის დონსა და თერგს შორის ველებზე, ჩამოყალიბდა სლავური და თურქული ტომების შერწყმის შედეგად, **კაზაკური** საზოგადოებები (იხ. ქვევით).

XV საუკუნის 60-იან წლებში ოსმალეთის მიერ ტრაპეზუნტის დაპყრობის შემდეგ, დაიწყო კავკასიის შავი ზღვისპირეთის (ლიხსიქეთ საქართველო) ათვისება. 1476 წელს ოსმალეთმა დაიპყრო ყირიმის სახანო, რომელიც გახდა მისი მთავარი დასაყრდენი ადგილი და აქედან შეეცადა მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობას. სულთნის ბრძანებით, ყირიმის ხანებმა დაიწყეს თავდასხმები მეზობლად მყოფ ტომებზე, დასავლეთ ჩერქეზებზე, ყაბარდოელებზე და ადიღეელებზე. ყირიმის ხანებმა, ადიღეელებს მოსთხოვეს მათთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ ბრძოლებში და ამასთან ერთად გადაეხადათ ხარკი. ვინაიდან თავისუფლების მოყვარე ადიღეელებმა უარი განუცხადეს, ამიტომ, ყირიმის ხანებმა დაიწყეს გამუდმებული თავდასხმები (1515, 1518, 1535, 1539, 1545, 1547, 1551, 1552, 1553, 1554, 1567, 1570 წ-ში) კავკასიელთა ტომებზე, მაგრამ მათი საბოლოოდ დამორჩილება მაინც ვერ შეძლეს.

წყაროებიდან ცნობილია, რომ ჩრდილოეთ კავკასიელების ტომებსა (განსაკუთრებით დაღესტნელ ტომებს შორის) და ირანს შორის, ურთიერთ დამოკიდებულება IX საუკუნიდან დაიწყო. (იხ. ქვემოთ, დაღესტანი). XI–XII საუკუნეებში დაღესტანში ისლამი ვრცელდებოდა თურქი – სელჩუკების შემწეობით. XIII–XV საუკუნეებში ირანსა და შირვანში, ფართოდ იწყებს გავრცელებას ერთ-ერთი ისლამური თეო-ლოგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა **სუფიზმი**. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები ცდილობდნენ თავიანთი სარწმუნოება გაევრცელებინად დაღესტანშიც. (1305–1306) წლებში, დაღესტანში, **კუბაჩელებმა** მოკლეს შეიხი, სუფიზმის გამავრცელებელი, დერვიშური სუხვარდის საზოგადოების წარმომადგენელი ხასან ას-სადი აშ-შირვანი. XIII საუკუნის დასასრულს, ირანის ჩრდილო-დასავლეთში, აღმოსავ-ლეთ აზერბაიჯანში, ქ. **არდებილში** (ქართ. წყაროებში – არდაველი) ჩამოყალიბდა სუფიურ-დერვიშური ორდენი **სუფევიე**, რომლის დამაარსებელი იყო შეიხი სეფი ალ-დინ ის-ჰაკი (1252–1334). XV საუ-კუნიდან, სეფიანი შეიხების მთავარი დასაყრდენი სამხედრო ძალა გახდა, შიიტური ორდენის წარმო-მადგენლები ყიზილბაშები (თურქ. „წითელთავიანები“ მათი წითელ თავსაბურავების გამო). დაღესტანში XI–XVI საუკუნეებში გავრცელებული ისლამური სარწმუნეობა – **სუფიზმი**, დღესაც კი, თავისებურ ზეგავლენას ახდენს მათ ცხოვრებაში.

1461 წელს, მუსულმანური შიიტური სარწმუნოების გავრცელების საბაბით, **არდებილის** შეიხმა, შეიხ სეფი ალ-დინის ბადიშიშვილმა, ჯუნეიდმა (1447–1460) გაილაშქრა

შირვანსა და დაღესტანში, მაგრამ დამარცხდა, მისი ლაშქარი მთლიანად განადგურდა და ბრძოლის დროს თვითონაც დაიღუპა. არდებილის შეიხმა (1460–1488), მისმა შვილმა აბუ-ლ-ვილაიატ შეიხ სალტან ხაიდარმა, (გ. 1488). 1483 წელს შურისძიების მიზნით, გაილაშქრა დაღესტანში, იქაურობა გაძარცვა და უკან დაბრუნდა. 1487 წელს ხელახლა გაილაშქრა დაღესტანში, დარუბანდი და მისი მიდამოები დაარბია და ტყვეებით დაბრუნდა არდაველში. 1488 წელს, ხაიდარი ხელახლა თავს დაესხა დაღესტანს. **თაბასა-რანელების, ლეზგების და კუბაჩელების** შეერთებულმა ლაშქარმა დაამარცხეს სეფიანთა ლაშქარი, თვით ხაიდარიც ბრძოლის დროს დაიღუპა.

XVI საუკუნის დასაწყისში დარუბანდი მოექცა ირანის ზედამხედველობის ქვეშ. ირანის შაჰინშაჰის (1502–1524) აბუ-ლ-მოზიფფარ შაჰ ისმაილ I-ის (1487–1524) და ირანის შაჰის (1524–1576) თამაზ I-ის (1513–1576) დროს, ჩრდილოეთის საზღვრების დაცვისა და ისლამის გავრცელების მიზნით, დარუბანდში გადმოასახლეს აზერბაიჯანიდან სხვადასხვა ისლამის მიმდევარი ტომები. ამით უკმაყოფილო დარუბანდელები, (1578–1590) ირან-თურქეთის ომის დროს, 1579 წელს აჯანყდნენ. ამის შემდგომ, დარუბანდი და მისი მიდამოები გადაიქცა ოსმალეთისა და ირანის ბრძოლების მოედნად. მხოლოდ 1606 წელს ირანის შაჰმა (1587–1629) აბას I-მა (1571–1629) შეძლო დარუბანდის დაპყრობა. მისივე ბრძანებით ჩამოყალიბდა დარუბანდის სამეფისნაცვლო, რომელიც გადაიქცა ირანის მთავარ დასაყრდენ ძალად, საიდანაც შაჰი ფიქრობდა როგორც დაღესტნის, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობას. ამავე ხანებში, შიიტური სარწმუნეობის გავრცელების მიხნით, აბას I-მა დაიწყო დარუბანდში სუნიტი მუსულმანების გასახლება და დაღესტნის საზღვრისპირა ადგილებში თურქულენოვანი **პადარის** ტომების ჩასახლება. (1607–1608) მოხდა ირანელებსა და მთიელ თაბასარანალებს შორის შეჯახება, ირანელებმა გაიმარჯვეს. (1611–1612) წლებში, აბას I შეეცადა დაემორჩილებინა დასავლეთ ჩრდილო-კავკასიელები, მაგრამ სამხრეთ დაღეს-ტნის გავლის შემდეგ, წააწყდა თავისუფალ მთიელ თემთა კავშირის **აკუშა-დარგოს** გაერ-თიანების ძლიერ წინააღმდეგობას. მას იერიშით უხდებოდა ყოველი აულის აღება. საბო-ლოოდ, იგი იძულებული გახდა უკან დაეხია. (1614– 1615) წელსაც ირანელებმა სცადეს დაღესტნის მთებში შეჭრა, **კაიტაღების** და თაბასარანალების დამორ-ჩილება, მაგრამ, მიზანს ვერ მიაღწიეს.

როგორც ცნობილია, XVI საუკუნეში, თურქეთი და ირანი ერთმანეთს ეცილებოდნენ კავკასიის ხელში ჩაგდებისათვის. XVII საუკუნეში კავკასიაში თურქეთის გავლენა შემცირდა და თურქეთსა და ირანს შორის ზავის დადების თანახმად, კავკასია ამ ორმა სახელმწიფომ გაიყვეს: ოსმალეთს დაექვემდებარა ლიხსიქეთ საქართველო, შავი ზღვისპირეთი და ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილი, ხოლო აღმოსავლეთ კავკსია – სპარსეთს.

შაჰ აბას I-ის შემდეგაც, არ შეწყვეტილა ადიღეელებისა და ჩრდილოეთ-კავკასიელთა დაპყრობის მცდელობა.

XV საუკუნის II ნახევარში, ჩრდილოეთ კავკასიაში გამოჩნდა რუსეთის იმპერია და სპარსეთსა და თურქეთს დაუპირისპირდა. ამის შემდეგ, სამივე სახელმწიფოები ცდილობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობას.

რუსულ ისტორიოგრაფიაში რუსეთის შემოსვლა კავკასიაში ძირითადათ წარმოდგენილია, ისე, რომ თითქოს ისინი შემოვიდნენ თვით კავკასიელების გადასარჩენად ოსმალეთისა და

სპარსეთის დამპყრობელებისაგან და რუსეთის შემოსვლის შემდეგ, კავკასიაში დამყარდა მშვიდობა და თავისუფლება. მათი შემოსვლის შემდეგ, შეწყდა სისხლიანი ურთიერთ-დაპირისპირება და შინაომები, შეწყდა მონათვაჭრობა, დამყარდა წესრიგი და კანონი. კავკასიის ხალხმა შვებით ამოისუნთქა. კავკასიაში დაიწყო ეკონომიკური და კულტურული განვითარება და თუ რუსეთი კავკასიაში ომს აწარმოებდა, ეს გამოწვეული იყო მალული მტრული ძალების გამო, ისინი, თავისი მალული დიპლომატიით და აგრესიული მოქმედებით აიძულებდნენ რუსეთს, რომ ომები ეწარმოებინა. საერთოდ-კი, რუსები არიან „მშვიდობის მოყვარული ხალხნი“ და მათ „არასოდეს არ უნდათ ომი“.

მათი თქმით, ჯერ კიდევ ადრე, IX–XII საუკუნეებში, ძველი რუსეთის სახელმწიფოს – **კიევის რუსე-თის** – დროს, ჩრდილოეთ კავკსაიელთა ტომები, დღევანდელი ყაბარდოელების, ადიღეელების, ჩერქეზებისა და ოსების წინაპრები, შედიოდნენ კიევის რუსეთის მფლობელობაში და მათ შორის მხოლოდ მეგობრული დამოკიდებულება ყოფილა. X საუკუნეში რუსებს გაუნთავისუფლებიათ ჩრდილოეთ კავკასიელები ხაზარე-ბისაგან, ხოლო შემდეგ – მონღოლთა ბატონობისაგან და სხვ. საბჭოთა იმპერიის მესვეურები გამუდმებით ქადაგებდნენ, რომ რუსეთში მომხდარი სამოქალაქო ომის შემდეგ, საბჭოთა სახელმწიფოში გაერთიანებულ სხვადასხვა ხალხებს, რუსებმა მოუტანა „მშვიდობა“, „სიამტკბილობა“ და ყველა „ძმები“ ვიყავით. თუ რა „მშვიდობა“ და „სიამტკბილობა“ მოუტანა რუსებმა დაპყრობილ ქვეყნებს, ეს კარგად გამოჩნდა სსრკ-ს დაშლის შემდეგ, გამოქვეყნებულ მასალებში.

ცნობილია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში, პირველად რუსეთი გამოჩნდა, რუსეთის მეფის 1547 წლიდან ივანე IV-ის (მრისხანე) (1530–1584) დროს. 1552 წელს ყაზანის, ხოლო 1556 წელს ასტრახანის სახა-ნოების დაპყრობის შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიელები პირისპირ აღმოჩნდნენ რუსეთთან და ყირიმის სახა-ნოსთან, რომელიც იმ დროს ოსმალეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და თავის მხრივ ცდილობდა ჩრდილოეთ კავაკსიელების დამორჩილებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩრდილოეთ კავკასიელთა ტომები, ყოველთვის თავს იცავდნენ დამპყრო-ბელებისაგან. საერთოდ, დიდი ეროვნებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ისინი არასოდეს ანგარიშს არ უწევენ მცირე ერის მოთხოვნილებებს (იშვიათად, ზოგიერთი ერის გარდა). როდესაც პირველად ჩრდილოეთ კავკასიაში რუსები გამოჩნდნენ, ზოგიერთმა ჩრდილოეთ კავკასიელთა ტომების ხელმძღვანელებმა თავისი თავის გადრჩენის მიზნით, იძულებულნი გახდნენ მიმხრობოდნენ, თურქეთისა და ირანის დაპირისპირებულ ძალას – რუსეთს, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვეულ დრომდე, თავს აჩვენებდა მათ დამცველად და ამავე დროს ცდილობდა მათი წარმომადგენლები მოესყიდა, ან სხვადასხვა მიდგომითა და ხერხებით თავის მხარეზე გადაებირებინა. მეფის ხელისუფლება უნიშნავდა მათ ჯამაგირს, აძლევდა წოდე-ბებს და სხვ. მაგრამ, როდესაც აშკარად გამომჟღავნდა რუსე-თის იმპერიის დამპყრობლურ-კოლონიური ხასიათი, ჩრდილოეთ კავკასიელები განუდგა რუსეთს და დაიწყო აჯანყებები. ამავე დროს ჩრდილოეთ კავკასიაში იწყებს სწრაფად გავრცელებას – ისლამი.

პირველად, ჩრდილოეთ კავაკსიელ ტომებთან, კავშირი დაამყარა, რუსეთის მეფემ ივანე IV-ემ. ყაბარდოელთა ერთ-ერთმა ძლიერმა თავადმა თემრიუკ აიდაროვმა (იდაროვი) (?–XVI ს. 70-ნი წწ.). თავდაცვის მიზნით, თხოვნით მიმართა ივანე IV-ეს, რომ მიეღო მის მფარველობაში და 1557 წელს რუსე-თის ქვეშერდომი გახდა. იგი იბრძოდა, მოსკოვის

დახმარებით ქვეყნის გაერთიანებისაკენ და თურქეთისა და ყირიმის სახანოს წინააღმდეგ. ვინაიდან ტარკის საშამხლო ემტერებოდა ყაბარდოელებს, ივანე IV-ის ბრძანებით, 1560 წელს რუსებმა ასტრახანიდან გაილაშქრეს, ტარკის საშამხლოს წინააღმდეგ. ტარკთან, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ შეძლეს ქალაქის დაპყრობა, მაგრამ, შემდეგ, შამხალის მთავარ ძალებთან შებმა ვეღარ გაბედეს, თვითონვე გადაწვეს ტარკი და დაბრუნდნენ ასტრახანში.

1561 წელს პოლიტიკური მოსაზრების გამო, ივანე IV-ემ ცოლად მოიყვანა თემრიუკის ასული. 1567 წელს, თემრიუკის თხოვნის თანახმად, რომ დაცული ყოფილიყო ოსმალეთისა და ყირიმის სახანოს თავდა-სხმებისაგან, ივანე IV-ს ბრძანებით, მდ. თერგის მარცხენა მხარეს, მდ. სუნჯის სათავეში, რუსებმა ააშენეს **თერგის ციხე-სიმაგრე** და ჩააყენეს „სტრელცები“ („მსროლელები“, რუსეთის მეფის ჯარის განსაკუ-თრებული შენაერთები) და კაზაკები. მაგრამ მალე, ყირიმის სახანოსა და ოსმალეთის მტკიცე მოთხოვნის გამო, მოუხ-დათ მისი დატოვება. მისივე ბრძანებით 1571 წელს ციხე-სიმაგრე ძირფესვიანად მოთხარეს. ასე, რომ ამჯერად, ჩრდილოეთ კავკასიის „მშვიდობიანად“ შეერთება რუსეთთან ვერ მოხერხდა. 1573 წელს რუსებმა ხელახლა შეძლეს **თერგის ციხე-ქალაქის** აშენება და შიგ **ვოლგის კაზაკების** (იხ. ქვევით) ჩასახლება. შემდეგში მათ ეწოდათ **თერგის კაზაკები** (იხ. ქვევით).

ცნობნილია, რომ (1584–1698) წლებში, რიურიკების საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენლის რუსეთის მეფის თ ე ვ დ ო რ ე I-ის (1557–1598) დროს [ვინაიდან იგი იყო ავადმყოფი და ჭკუასუსტი, სახელმწიფოს მართავდა მისი ცოლის ძმა ბ ო რ ი ს გ ო დ უ-ნ ო ვ ი (1552–1605), რომელიც თევდორეს გარდაცვალების შემდეგ (1698 წ.) გახდა რუსეთის მეფე], რომ გამაგრებულიყვნენ რუსები დაღესტანში, (1588–1589) წლებში ხელ-მეორედ ააშენეს თერგის ციხე-ქალაქი, რომელიც XVII საუკუნეში გადაიქცა ამ მხარეში, მთავარ სამხედრო, სავაჭრო და პოლიტიკურ ადგილად.

1591 წელს ვოევოდა (მხედართმთავარი) გ. ზ ა ს ე კ ი ნ ი ს (დაახლ. 1550–1596) მეთაუ-რობით რუსებმა დალაშქრეს საშამხლო. მიუხედავად იმისა, რომ მათ შეძლეს აღება და შემდეგ გადაწვეს ძველი გამა-გრებული ადგილი **ენდერი** (რუსები ეძახდნენ ანდრეევის სოფელს), გაძარცვეს ტარკი, გადაწვეს აულები, მაგრამ, შამხალთა თავდაუზოგავი წინა-აღმდეგობის გამო, მაინც თავისი დასახული მიზნის განხორციელება ვერ შეძლეს: ვერც ტარკში გამაგრდნენ (რუსები მდ. თერგისკენ გაიქცნენ) და ვერც დერბენდსა და ბაქოს მიაღწიეს. თუმცა, მოსკოვის ხელმძღვანელები და დიპლომატები ცდილობდნენ დაეფარათ წაგება და წარმოადგენდნენ როგორც მოგებას, ევროპელებს ამისი არ ჯეროდათ. (114).

1593 წელს რუსებმა სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, შეძლეს შამხალის დამარ-ცხება და აიღეს ქ. ტარკი. მაგრამ, მალე, შამხალმა და ხუნძებმა ალყაში მოაქციეს რუსები და მხოლოდ ღამის სიბნელეში შეძლეს ალყის გარღვევა. გზაში ავადმყოფები და დაჭრილები მიატოვეს და საშამხლოს გაეცალნენ.

1604 წელს ბ. გოდუნოვმა შეეცადა დაღესტანში გამაგრება. მისი ბრძანებით, შემოდგო-მაზე, ვოევოდა ი ვ ა ნ ე ბ უ ტ ტ ურ ლ ი ნ მ ა (?–1605) გაილაშქრა ყაზიყუმუხის საშამხლოს წინააღმდეგ. „სტრელცებმა“, თერგის კაზაკებმა და ნოღაედელებმა შეძლეს შამხალის დამარცხება და ტარკი აიღეს. რუსები შეუდგნენ ციხე-სიმაგრეების შენებას: ტარკში, მდინა-

რეებზე სულაკზე და აკტაშეზე. ეს კი ნიშნავდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ზამთრის საძოვრებისაკენ გზის გადაკეტვას. ამავე დროს, რუსი ჯარისკაცების მიერ მოსახლეობის დარბევამ გამოიწვია, რუსების წინააღმდეგ დაღესტნელების ამხედრება. ყუმიყები აწარმოებდნენ პარტიზანულ ომს. სურსათ-სანოვაგის უკმარისობის გამო, ბუტურლინმა საზამთროთ ჯარის ნაწილი ასტრახანში გააგზავნა. შამხალმა დახმარება სთხოვა თურქეთის სულთანს.

1605 წლის ადრე გაზაფხულზე, შამხალმა, დაღესტნელებმა, ყირიმის ხანმა და თურქებმა ალყაში მოაქციეს მდ. სულაკის ციხე-სიმაგრეში მყოფი რუსები. ციხის დამცველებმა გადაწვეს ციხე და ზღვით გაემართნენ თერგში. ასევე მოექცნენ აკტაშეზე მყოფ რუსებს. ი. ბუტურლინი აღმოჩნდა გარემოცული დაღესტნელების მიერ. მას მოსთხოვეს დაეტოვებინა ტარკის ციხე-სიმაგრე. ბოლოს, მოლაპარაკების შემდეგ, რუსებს, ნება დართეს დაბრუნე-ბულიყვნენ სამშობლოში, ავადმყოფები და დაჭრილები დარჩნენ შამხალთან. „სტრელცები“ გაემართნენ სულაკის მხარეს. მაგრამ, მეორე დღეს, თავს დაეხსნენ ყუმიკები და მთლიანად გაანადგურეს. ამ ბრძოლის დროს დაიღუპა თვითონ ი. ბუტურლინიც, მისი შვილიც და ყველა ვოევოდები. რუსებმა დატოვეს ყველა ციხე-სიმაგრეები საშამხლოში და გადავიდნენ თერგში. ტარკთან დამარცხების შემდეგ, რუსებს რამდენიმე ხნის განმავლობაში აღარ უცდიათ დაღესტნის დაპყრობა. მხოლოდ მცირე შეტაკებები ხდებოდა კაზაკებსა და ჩრდი-ლოეთ კავკასიელებს შორის. გოდუნოვის შემდეგ, თვით რუსეთში დაიწყო არეულობა და სამეფო ტახტისათვის ბრძოლა და რა თქმა უნდა რუსეთს კავკასიელებისათვის აღარ ეცალათ.

XVII საუკუნის დასაწყისიდან, ირანის შაჰისა და თურქეთის სულთნის აგრესიის საწინააღმდეგოდ, ხდება ყაბარდოელებისა და დაღესტნელების დაახლოვება რუსეთთან. ცნობილია, რომ ამ დროს, ყაბარ-დოელთა ცხენოსნები, რუსების ჯარში, მონაწილეობას ღებულობდნენ უკრაინაში, ყირიმის სახანოსა და თურქების წინააღმდეგ ლაშქრობებში. 1610 წელს ყუმიკების ფეოდალებმა ტარკის შამხალის მეთაურობით, თერგში, დაიფიცეს რუსეთის ერთგულებაზე. მიიღეს რუსეთის ქვეშევრდომობა. სამაგიეროდ, რუსეთის მეფემ (1606–1610) ვ ა ს ი ლ ი შ უ ი ს კ ი მ (1552–1612) ფეოდალები დაასაჩუქრა ძვირფასი საჩუქრებით და დაუნიშნა ჯამაგირები.

საშინაო მდგომარების გამოსწორების შემდეგ, რუსეთი შეუდგა ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობას. ამისთვის პირველ რიგში საჭირო იყო ყაბარდოში და დაღესტანში მდგომარეობის გაძლიერება და გამაგრება. მთავარი დასაყრდენი ადგილი, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო თვალსაზრისით, იყო ქალაქი თერგი, სადაც იმყოფებოდნენ გრებენისა და თერგის კაზაკები, ვაჭრები და ხელოსნები. XVII საუკუნეში დაიწყო ჩაჩნეთის მთიანი მხარეებიდან ჩაჩნების ჩამოსახლება მდინარეების სუნჯისა და თერგის დაბლობებში.

რუსეთის პირველი მეფის რომანოვების საგვარეულოდან (1613–1645) მ ი ხ ე ი ლ ი ს (1596–1645) დროს, 1615 წელს თერგის ვოევოდამ პ. გ ო ლ ო ვ ი ნ მ ა (?–1627) სტრელცები და კაზაკები გააგზავნა დაღესტანში. მათ დაანგრიეს ენდრის ციხე-სიმაგრე და იქ მყოფი მურზა (თავადი) ს ა ლ ტ ა ნ - მ ა გ მ უ ტ ი (სულტაი-მუჰამადი) (გ. დაახლ. 1645) განდევნეს. თუმცა, ეტყობა, რომ იგი ხელახლა გამაგრებულა ენდერში. რადგან, 1634 წლის მაისში, რუსები თავს დაეხსნენ ენდერს და სალტან-მაგმუტი გაიქცა მთებში.

ისტორიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ა ბ დ ურ ა ხ მ ა ნ ა ვ ტ ო რ ხ ა ნ ო ვ ი

(ალექსანდრე ურალოვი) (1908–1987) წერდა, რომ „რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ შეეღწია ჩრდილოეთ კავკასიაში, ბორის გოდუნოვმა (1606) დატოვა ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის გეგმა, და უკვე მთელი საუკუნე რუსეთი არ იძლევა რაიმე ცნობას თავის შესახებ. მხოლოდ პეტრე I აწყობს დიდ ექსპედიციას, რომ შეუერთოს რუსეთს მთელი კავკასია, მაგრამ, მთიელებთან და აზერბაიჯანელებთან სერიოზული მარ-ცხის გამო, იგი იძულებული გახდა, რომ წასულიყო (1722)“. (92, გვ.11).

XVII საუკუნის მიწურულს და XVIII საუკუნის დასაწყისში, ჩრდილოეთ კავკასიელების გაერთიანებას, შეეცადა ყაბარდოელმა მოაზროვნემ და ფილოსოფოსმა ჟ ე ბ ა გ ი კ ა ზ ა ნ უ კ ო მ (?–გ. 1722) და მისმა აღზრდილმა, შემდეგში ცნობილმა სახელმწიფო ხელმძღვანელმა კ ა ი ტ ო კ უ ა ს ლ ა ნ ბ ე გ მ ა (?–1727), რომელსაც უნდოდა ჩრდილოეთ კავკა- სიაში, შავ ზღვასა და კასპიის ტბას შორის, ერთი მთლიანი სახელ-მწიფოს ჩამოყალიბება. ასლანბეგი მოუწოდებდა დაღესტნელებს ერთიანობისაკენ, დაემყარებინად კავშირი ჩრდი-ლოეთ კავკასიელებთან, ხოლო ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ კავშირს რუსებთან. მისი სიკვდილის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიელთა ერთიანობამ დაიწყო დაშლა. რუსეთის მეფემ 1682 წლიდან პ ე ტ რ ე I-მა (1672–1725) ასლანბეგთან 1707 წელს, დადო ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ. რამდენიმე ხნის შესვენების შემდეგ, პეტრე I-ის დროიდან, რუსეთის შემოტევები კავკასიაში განახლდა, რომელიც დღემდე გრძელდება.

1696 წლის 19 ივლისს პეტრე I-მა შეძლო მდ. დონის შესართავთან აგებული, თურქების მიერ გამაგრებული, აზოვის ციხე-სიმაგრის აღება. 1699 წელს კარკოვიცის კონგრესის გადაწყვეტილებით, რუსები მთლიანად დაეუფლნენ აზოვის ზღვას. ამის შემდეგ, რუსები შეეცადნენ ყუბანის ხელში ჩაგდებას, მაგრამ, ყირიმის სახანომ და ჩრდილოეთ კავკასიელებმა ერთობლივი ძალით ისინი განდევნეს. რუსებმა აზოვის ციხე-სიმაგრის განთავისუფლება ვერ შეძლეს.

რუსეთ-თურქეთის (1711–1713) ომის დროს, 1711 წლის 12 ივლის პრუტის ხელშეკ-რულების თანახმად, თურქებმა დააბრუნეს აზოვის ციხე-სიმაგრე. რომელიც საბოლოოდ 1713 წლის 13 (20) ივნისის ადრე-ანოპოლის საზავო ხელშეკრულებით დამტკიცდა.

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებისთანავე, პეტრე I-მა დაიწყო მზადება კასპიისპი-რეთის დასაპყრობად. როგორც წყაროებიდან ჩანს, მისი მიზანი იყო გაენთავისუფლებინა სავაჭრო გზა ინდოეთამდე. ცნობილია, რომ მან 1717 წელს ხივის სახანოს დასაპყრობად, რადგან მასზე გადიოდა სავაჭრო გზა შუა აზიასთან, გააგზავნა გრებენის კაზაკთა რაზმი. მაგრამ ხიველებმა დაამარცხეს (800 კაზაკებიდან გადარჩნენ მხოლოდ ორნი).

სანამ დაიწყებდა კასპიისპირეთში ლაშქრობას, პეტრე I-მა წინასწარ შეეცადა ჩრდილოეთ კავკასიელთა მთავრების, სხვადასხვა საშუალებებით, რუსეთის მხარეზე გადმობირებას. მან გამოაქვეყნა სპარსულ, თურქულ და თათრულ ენებზე მანიფესტი, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას მოუწოდებდა, რომ რუსულ ჯარისკაცებისათვის არ გაეწიად წინააღმდეგობა და „ყოფილიყვნენ მშვიდად“.

1721 წელს ჩაჩნები და ენდერის მმართველები თავს დაეხსნენ თერგის ციხე-სიმაგრეს, სადაც გამაგრებულნი იყვნენ რუსები. 1722 წელს თერგის მიდამოებში პეტრემ ჩაასახლა დონის კაზაკები. ამავე წლის ივლისში პეტრე I თავისი მრავალრიცხოვანი ფლოტით (ზოგი-ერთის ცნობით 400 გალერითა და 47 იალქნიანი გემებით) გაემართა თერგისაკენ. ამავე

დროს რუსეთის მრავალათასიანი მხედართა ლაშქარი გაეშურა დაუმორჩილებელი (ჩაჩნეთისა და ყუმიკების) ენდერის სამთავროს დასამორჩილებლად.

რუსების ლაშქარი შეიჭრა ენდერის სამთავროში, აიღო და გადაწვა ქალაქი, მაგრამ, ჩაჩნებისა და ენდერთა წინააღმდეგობის გამო, სასწრაფოდ დატოვეს დაპყრობილი ადგილები და გზაში ჯარისკაცთა დიდი დანაკლისით დაბრუნდნენ ასტრახანში. რომ როგორღაც გაექარწყლად ენდერთან პირველივე ლაშქრობის დამარცხება, რუსი ისტორიკოსები და რაზმის ხელმძღვანელები გადმოსცემდნენ ენდერთან გამართულ ბრძო-ლას, როგორც რუსების გამარჯვებას და ჩაჩნების დამარცხებას. მხოლოდ XIX საუკუნის რუსმა ისტორიკოსებმა აღიარეს ენდერში რუსების დამარცხება. ამავე ხანებში, პეტრემ დაიკავა აგრახანის ყურე (დღევან-დელი მაჰაჩკალის, აგრახანის ნახევარკუნძულის მიდამოები) და ელოდებოდა ენდერთა ბრძოლის შედეგს. მიღებული უსიამოვნო ცნობების შემდეგ, პეტრე I თავისი ფლოტით, გაემართა მდ. სულაკისაკენ. მასთან გამოცხადნენ, ენდერისა და ჩაჩნების მთავ-რების გარდა, ტარკის შამხალი, **აქსის** (მისი საზღვრები მოიცავდა მდინერეების თერგის, აქსის და ემან-სუს მიდამოებს) და **კოსტუკის** (კოსტოუკოვი, მდ. კოისუს მიდამოებში) მთავრები, ძღვენითა და საჩუქრებით. ცნობილია, რომ როდესაც პეტრე I დაბრუნდა რუსეთში, მან სამა-გიეროს გადახდის მიძნით, შეძლო პირველი ყალმუხი ხანის (1690–1724) აიუკას (1642–1724), დიდი ძალისხმევით და ფულით, მისი დათანხმება, რომ ჩაჩნების წინააღმდეგ დიდი ძალებით გამოსულიყო. მაგრამ პეტრეს იმედი არ გაუმართლა, მართალია, აიუკამ მოულოდნელი თავდასხმით აღმოსავლეთ ჩაჩნეთი დაიყრო, მაგრამ, ჩაჩნებმა შეძლეს ყალმუხების დამარცხება და თვითონაც ტყვედ აიყვანეს. მან სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით, ფიცი დადო, რომ აღარასოდეს ჩაჩნების წინააღმდეგ არ გამოვიდოდა. (114).

1722 წლის ივლისის ბოლოს რუსებმა შეძლეს დერბენდის დაკავებაც. ხოლო, დეკემ-ბერში რუსებმა, კასპიის ზღვაზე, ირანის მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო ქ. **რეშტის** დაკავებაც. 1722 წლის ნოემ-ბერში პეტრე I-მა დატოვა დარუბანდი. 1723 წლის ივლისში ასტრახანიდან გავიდა კასპიის ფლოტი და 4 დღის განმავლობაში გამუდმებული დაბობვის შედეგად შეძლეს **ბაქოს** აღება. ამავე წლის 12 სექტემბერს ირანსა და რუსეთს შორის დადებული პეტერბურგის ხელშეკრულების თანახმად რუსეთს სამუდამო მფლობელობაში გადაეცა დარუბანდი, ბაქო და სამხრეთ-კასპიისპირეთის მიწები: **ასტრაბადი** (1937 წლიდან გულისტანი), **მაზანდარანი** (ისტორიული ოლქი, გილანსა და ხორასანს შორის) და **გილანი** (ისტ. ოლქი). რუსეთი ირანს უნდა დახმარებოდა შეიარაღებული ძალებით. ასე, რომ დასავლეთ კასპიისპირეთი რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცა. 1724 წლის 12 ივნისს კონსტანტინოპოლის საზავო ხელშეკრულებით, რუსეთს შეუნარჩუნდა დასავლეთ კასპიისპი-რეთში დაკავებული მიწები, ხოლო, თურქეთს გადაეცათ შირვანი, საქართველო, თავრიზი (თაბრიზი, ქ. ჩრდილო-დასავლეთ ირანში) და ურმია (ქ. 1926–30 რეზაიე, დას. ირანში).

ზევით აღვნიშნეთ, რომ პეტრე I სანამ დაიწყებდა კასპიისპირეთში ლაშქრობას, წინასწარ დაიწყო მზადება. ამ მიზნით მან, როგორც დიპლომატიური, ასევე სხვადასხვა გზით, დაიწყო კავკასიელებისა და ირანის შინაური და საგარეო მდგომარეობის შესწავლა. ამავე დროს ცდილობდა კავშირი დაემყარებინა თვითეულ კავკასიელ ტომებთან და თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. მან კავშირი დაამყარა საქართველოს მეფე (1716–1724) ვახტანგ VI-თან (1675–1724).

ცნობილია, რომ ამ დროს საქართველო, მეტად რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ის აღმოჩნდა მისდა უნებურად ჩართული ოსმალეთსა, ირანსა და რუსეთს შორის ერთმანეთთან გამართულ ჭიდილში. ამიტომ, ვახტანგ VI მიენდო ერთმორწმუნე სახელმწიფო მეფე პეტრე I-ს, რომელმაც ამ დროს დაიწყო ბრძოლა კასპიისპირეთის დასაპყრობად.

1722 წლის ივლისში, როდესაც რუსეთის ჯარმა თვით პეტრე I-ის სარდლობით კასპიისპირეთის დაპყრობა დაიწყო, ვახტანგ VI-ემ, პეტრესთან შეთანხმებით, ამავე წლის აგვისტოში, ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად, ქართველთა და სომეხთა გაერთიანებული ჯარით განჯაში ჩავიდა რუსებთან შესა-ერთებლად. მაგრამ, პოლიტიკური და სხვადასხვა ვითარების ცვლილებების გამო, პეტრემ ლაშქრობა შეწყვიტა და ასტრახანში დაბრუნდა ვახტანგის შეუტყობინებლად. ასე, რომ ვახტანგი ამაოდ ელოდა რუსეთის ჯარს. ვახტანგის ამ ქმედების გამო საქართველოს მდგომარეობა უარესად გართულდა. 1723 წელს ლიხსაქეთ საქართველო თურქების ხელში აღმოჩნდა. ასეთ აწეწილ-დაწეწილ მდგომარეობაში მყოფი საქართველო, როგორც საშინაო, ასევე საგარეოს მხრივ გართულებულ მდგომარეობაში მყოფობის დროს, 1724 წელს, ერთმორწმუნე რუსეთის მოიმედე ვახტანგ VI-ემ, თავისი ამალით (1200 კაცით) მიატოვა ქვეყანა და რუსეთს გაემგზავრა. რუსეთში ჩასულნი ვახტანგი და მისი თანამზრახველები ბევრს ეცადნენ, რომ რუსეთს შეესრულებინა მისი დანაპირები (უცხოელი დამპყრობელებისაგან საქართველო გაეთავისუ-ფლებინად), მაგრამ, ვერაფერს გახდნენ, დაპირება-დაპირებად დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დარჩენილი მამულიშვილები ვახტანგს ევედრებოდნენ, ჩამოსულიყო და მიეხედა გაჭირვე-ბული ქვეყნისათვის, იგი ჯიუტად, რუსეთის ხელისუფლებას შეჰყურებდა და რუსეთის იმედად რჩებოდა. ბოლოს, გულგატეხილი, იმედ დაკარგული, დაუძლურებული, ვახტანგ VI, საქართველოში დაბრუნებისას, ასტრახანში გარდაიცვალა და იქვე, მიძინების ტაძარში დაასაფლავეს.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი, ლიტერატორი და ისტორიის მკვლევარი ზ ა ქ ა რ ი ა ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე (1854–1931) ვახტანგ VI-ის და მისი დროს შესახებ 1918 წელს წერდა:

,,საქართველოს სამეფოს და ერის დაღუპვის ისტორიაში ამ ეპოქას მეტად დიდი ადგილი უნდა დაე-თმოს. მასთან ვალდებულნი ვართ, რომ ასეთ გარემოების შესახებ, როგორიც არის საქართველოს დაღუპვის დასაწყისი, სისწორით ვიცოდეთ.

ზოგიერთნი რუსნი ხშირად გვყვედრიან და გვამუნათებენ, რომ საქართველო რუსეთის იმპერიამ დაი-ხსნაო. ქართველები დღე და ღამ რუსეთის იმპერატორების წინ იდგნენ და შეერთებას ევედრებოდნენო. ბევრი ხვეწნის შემდეგ, საქართველო რუსეთმა შეიბრალა და შეიერთაო.

თამამად ბრძანებენ კიდევ შემდეგს: ქართველებს რუსებმა ჩაუდგეს პირში სულიო. ქარ-თველნი მუსულმანთა მონობისაგან დაიხსნეს და გაანთავისუფლესო. თუ არა რუსნი, უამისოდ დღეს ქართველთა ხსენებაც აღარ იქნებოდა დედამიწის პირზედაო. ამიტომაც ქართველები რუსების მონარქების წინაშე ხმაჩაწყვეტილები უნდა იყვნენ და კრინტსაც არ სძრავდნენ საქართველოს თავისუფლების შესახებო....

საქართველოს სამეფოს დაღუპვის ცდის დასაწყისი რუსთაგან მეჩვიდმეტე საუკუნიდან იწყება. ხოლო ჩვენ კი ამ გარემოების აღნუსხვას პეტრე დიდიდან ვიწყებთ, რადგანაც ამის

წინად ყოფილ რუსთა ნატვრა მხოლოდ წადილი, ოცნება იყო და პეტრე დიდმა კი ეს წადილი საქმედაც აქცია. საქართველოს დამორ-ჩილების თუ დაჭერის ოსტატობა პირველად პეტრემ წამოსწია წინ.

საქართველოს რუსეთის ხელში ჩავარდნის სწორედ რომ ბოროტი ისტორია აქვს. პეტრე დიდმა თავის მეფობის და მოქმედების ხანაში უპირველეს სამღთო ვალად დაისახა საქართველოს დაჭერა....

პეტრე დიდს ქართველების დაპყრობა იმიტომ უფრო უნდოდა, რადგანაც ქართველნი მათი მერჯულენი იყვნენ და ამ გზით მოაწყობდნენ იმასაც, რომ ბოლოს საქართველო რუსეთად იქცეოდა. ქართველსაც გაარუსებდნენ ისევე, როგორც ეს ხდებოდა რუსთაგან სლავიანთა ტომებზე....

ვახტანგ მეფე გახდა პეტრე დიდის საყვარელი პირი, მათში გაიმართა მიწერ-მოწერა, მოციქულების გზავნა... პეტრე დიდი ისე ოსტატურად მოიქცა, რომ ვახტანგ მეფის გარდა, მან თავის თავი მთელს ქართველობასაც შეაყვარა...

გაიბა მეგობრობის ქსელი დაახლოვებით, კაცების გაგზავნ-გამოგზავნა... რასაც ყოველთვის თან სდევდა ქრისტიანობის სჯულის ერთობა, პატივისცემა და ვითომდა რუსთაგან სიყვარული". (18, გვ.7–11).

ზ. ჭიჭინაძის აზრით, საქართველოს იმ გაჭირვების დროს, როდესაც ქართველი ერი გარემოცული იყო მტრებით, ვახტანგ მეფის წასვლა რუსეთში მისი ამალით, ეს იყო ქვეყნის ღალატი.

,,ვახტანგ მეფის ასეთმა საქციელმა დაღუპა საქართველო. ესეთი დაღუპვა გამოიწვია ვახტანგის მეამიტობამ და პეტრე დიდის ეშმაკურმა მოქმედებამ. ვახტანგ მეფემ ამ საქციელით სულ გააუქმა თავისი ამაგი და შრომანი, სულ უბრალოდ იქცა მისი ამაგი და მეცადინეობა. ამას გარდა ვახტანგმა ქმნა ისიც, რომ თავისი აღმზრდელი სპარსეთი გადაჰკიდა საქართველოს და თვით კი ამ დროს რუსეთში წავიდა პეტრე დიდის კარზე და მით მთელი ქართველი ერი ოხრად დასტოვა მტრის ანაბარად... ყოველივე ეს მოხდა პეტრე დიდის ეშმაკობით....

საქართველოს დაღუპვის დასაწყისი უმთავრესად პეტრე დიდის მეფობიდან იწყება და მის მერე იგი გრძელდება კარგა ხანს. ბოლოს ხდება ის, რომ საქართველო ხდება პეტრე დიდის შთამომავალთა საკუთრებად". (18, გვ.22–24).

1725 წელს პეტრე I-ის სიკვდილის შემდეგ, რუსეთის მხრიდან კავკასიაში სამხედრო მოქმედებები შენელდა. რუსეთის იმპერატორის (1725–1727) ეკატერინე I-ის (1684–1727) დროს შამხალმა, ყაზიყუ-მუხის ხანმა და ხაიდაყის საუწმიომ დაიწყეს თავდასხმები სულაკის მხარეში გამაგრებულ რუსებზე. სამა-გიეროს გადახდის მიზნით, გენერალმა მიხეილ მატიუშკინმა (1676–1737) ორჯერ გაგზავნა მათ წინააღმდეგ სადამჯელო რაზმები, რომლებმაც გაანადგურეს ტარკი და გადაწვეს აულები, შამხალის დაჭე-რისათვის ფულადი ჯილდოც გამოაცხადეს. შამხალი ჯერ გაიხიზნა მთებში, ხოლო შემდეგ იძულებული გახდა შერიგებოდა რუსებს და თავად ჩაბარდა დამპყრობლებს. იგი დაიჭირეს და ჩასვეს ციხეში, სადაც გარდაიცვალა.

ჩრდილოეთ კავკასიაში რუსების წინააღმდეგ გამოსვლები არ შეწყვეტილა. ცნობილია, რომ შირვანის მმართველის თხოვნით, ყირიმის ხანმა დაიწყო ბრძოლა, კავკასიის ჩრდი-

ლოეთი მხარის განთავისუფ-ლებისათვის, ჩასახლებული კაზაკებისა და რუსებისაგან. დაღესტნელებმა ჩრდილოეთ კავკასიის მხარე დაიკავეს, კასპიისპირეთში მყოფი რუსები ალყაში მოაქციეს და გადაუჭრეს რუსეთთან კავშირი. ამავე დროს, ოსმალეთისა და ირანის გამოსვლამ და პეტრე I-ის მემკვიდრეთა უსუსური მოქმედებების გამო, კასპიისპირეთში რუსებს მდგომარეობა გაურთულდათ. რუსეთის იმპერატორის (1730–1740) ანას (1693–1740) დროს, 1733 წლის აპრილში კავკასიის ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა პრინცი გენერალ-ფელდმარშალი ლუდვიგ იოჰან ვილჰელმ გრუნო ჰესსენ-ჰომბურგელი (1705–1745). ჩრდი-ლოეთ კავასიაში გადასვლის დროს მას თავს დაესხნენ ჩაჩნები და ყაბარდოელები. იგი დამარცხდა. ხოლო თვითონ სიკვდილს სწრაფმა ცხენმა გადაარჩინა. იგი იმყოფებოდა ჯერ წმ. ჯვრის (დღ. ბუდიონოვკა) ციხე-სიმაგრეში. მისი უმოქმედობის გამო, ჩრდილოეთ კავკასიის გავლით, ყირიმში გააღწია 50 000-მა თათრების ჯარმა. რამდენიმე ხნის შემდეგ, მხედართმთავარი გადავიდა დარუბანდში. მალე უფლიწული გაანთავისუფლეს უფროსის მოვალეობიდან და „წარმატებული სამხედრო მოქმედებების“ გამო 1734 წელს დააჯილდოვეს ორდენებით. ამასობაში ირანის მხედართმთავარმა, შემდეგში, 1736 წლიდან ირანის შაჰმა ნადირ-შაჰ ავშარმა (1688–1747), ირანის მდგომარეობა გააუმჯობესა. მან რუსეთის ხელისუფლებას მოსთხოვა გაენთავისუფლებინათ კასპიისპირეთი. იმპერატორი ანა იძულებული იყო დაეთმო ჯერ სამხრეთ კასპიისპირეთში დაპყრობილი ადგილები (გილანი, მაზანდარანი და ასტრაბადი), ხოლო შემდეგ, 1735 წლის განჯის ტრაქტატის თანახმად, რუსებმა კასპიისპრეთის დაპყრობილი მიწები (ბაქო, შირვანი და დარუბანდი) დატოვეს და რუსეთის საზღვარი გახდა მდ. თერგი. თურქეთთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, ნადირ-შაჰმა დაიბრუნა ადრინდელი ირანის მიწები, დაიპყრო საქართველო, შირვანი და ბრძოლები გამართა დაღესტანში, რომელიც გაგრძელდა 1734 წლიდან 1742 წლამდე და საბოლოოდ დამთავრდა ირანის დამარცხებით. (იხ. ქვევით „დაღესტანი“). „ამის შემდეგ სპარსეთში გავრცელდა ანაზური თქმა: «დაღესტანში ომობენ ქვებიც» და კიდევ: «როდესაც შაჰი ჭკუიდან იშლება, ის მიდის ომით დაღესტანზე»“. ნადირ-შაჰის სახელმწიფოს ძლიერება შეარყია დაპყრობილი ხალხის აჯანყებებმა. იგი მოკლეს ხორასანში შეთქმულებმა. მისი სიკვდილის შემდეგ, დაღესტანმა ხელახლა მოიპოვა თავისუფლება. (93, გვ.96).

1736 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. რუსები და მისი მომხრე ყალმიყელების ხანი დაესხნენ ყუბანის ოლქს, იმ საბაბით, რომ ჩაჩნები მხარს უჭერდნენ თურქეთს. ეს ომი რუსების წაგებით დამთავრდა. 1739 წლის ბელგრადის ხელშეკრულების თანახმად, მართა-ლია რუსეთმა დაიბრუნა აზოვი, მაგრამ მას უნდა დაენგრია სიმაგრეები. მდ. ყუბანის შესართავთან თურქეთმა მოიპოვა სიმაგრის აგების უფლება. ხოლო დიდი და მცირე ყაბარდო ნეიტრალურ ქვეყნებად გამოცხადდა. ამის შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიაში, შედარებით მშვი-დობა დამყარდა. რომელიც გაგრძელდა თითქმის 30 წელი.

რუსეთის იმპერატორის (1762–1796) ეკატერინე II-ის (1729–1796) დროს რუსე-თის საგარეო პოლიტიკა ძირითადათ მიმართული იყო დასავლეთისაკენ (რეჩიპოსპოლიტა) და სამხრეთისაკენ (თურქეთი, ყირიმის სახანო, ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთი და ჩრდი-ლოეთ კავკასია). ეკატერინე II-ის დროს ჩრდი-ლოეთ კავკასიში იწყება ე. წ. „კავკასიის ომი“. მის დროს, „რუსეთი მტკიცედ დამკვიდრდა შავ ზღვასა (1783 შეიერთა ყირიმი) და

კავკასიაში (1783 ქართლ-კახეთთან დაიდო მფარველობითი ტრაქტატი), რაც შეპირობებული იყო აქტიური კოლონიური პოლიტიკით. ეკატერინე II-მ ფაქტობრივად მოამზადა რუსეთთან საქართველოს შეერთება". (8, ტ.4, გვ.62).

ეკატერინე II-მ, სამხრეთის საზღვრების დაცვის გამაგრების მიზნით, ჩრდილოეთ კავ-ასიაში დნეპრის-პირეთიდან გადმოასახლა კაზაკები და დაიწყო ციხე-სიმაგრეების მშენებ-ლობა. 1763 წელს, ერთ-ერთი ყაბარდოელის (რომელიც ქრისტიანი გახდა და მისი პოლი-ტიკური სიბეცის გამო), მოთხოვნით, მაშინდელ ყაბარდოსა და ჩაჩნეთის საზღვარზე, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, რუსებმა ააშენეს მოზდოკი (ყაბარ. „უღრანი ტყე". დღევ. ჩრდილოეთ ოსეთში). რომელიც რუსებისათვის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი ციხე- სიმაგრე გახდა. მისი დაცვა დაავალეს ყაბარდოელ თავადს. აქვე იყო აშენებული მართლმა-დიდებელი ეკლესია. აქედან ხდებოდა ჩრდილოეთ ოსეთში მქადაგებლების გაგზავნა ქრისტი-ანობის გასავრცელებლად. რუსებისათვის, მოზდოკი გახდა, ჩრდიულოეთ კავკასიის აღმო-სავლეთ და დასავლეთ მხარეების გამყოფ ადგილად. ამავე ხანებში სხვადასხვა ადგილებიდან კაზაკები ჩამოასახლეს მდ. სულაკის შემოგარენში და მდ. თერგის მიდამოებში დააბრუნეს თერგის კაზაკებიც. (1768–1774) რუსეთ-ოსმალეთის ომის მსვლე-ლობაში 1769 წელს ყირიმის ხანი (1666–1671) ადილ გირეი (1617–1672) შეიჭრა უკრაინაში, მაგრამ რუსებმა დაამარცხეს და აზოვის ზღვის სანაპიროც დაიკავეს. ყირიმის ხანის (1765–1767, 1770–1771) სელიმ III-ის (1713–1786) დროს რუსები შეიჭრნენ ყირიმში, სელიმ III დაამარცხეს და ერთი თვის განმავლობაში დაიპყრეს მთლიანად ყირიმი, ბახჩისარაი ნანგრევებად აქციეს, ყირიმი მთლიანად ააოხრეს, სოფლები გადაწვეს და მშვიდობიანი მოსახლეობაც გაჟლიტეს. სელიმ III გაიქცა სტამბულში. 1772 წლის 1 (12) ნოემბერს, ყირიმის ახალი ხანის (1771–1775) საჰიბ-გირეის მიერ, რუსეთთან დადებული ხელშე-კრულების თანახმად, ყირიმი ოსმალეთისაგან დამოუკიდებელ და რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფ სახანოდ გამოცხადდა. 1774 წელს თურქებმა, შავი ზღვისპირეთის კავაკსიის სანაპიროს ჩრდილოეთ ნაწილ-ში, ცემესის უბეში, გადმოსხეს ჯარი, მაგრამ დამარცხდნენ. რუსებმა დაიკავეს ცემესის უბეც და ტამანის ნახევარკუნძულიც. ამის შემდეგ, ჩრდილოეთ კავასიელებმა შეუტიეს რუსებს: ადიღელებმა ყუბანიდან – ტამანის ნახევარკუნძულს, ჩაჩნებმა და ყაბარდოელებმა – ყიზლარსა და მოზდოკს. რუსები იძულებულნი გახდნენ დაეხიათ მდ. დონის მხარეში. თუმცა, 1774 წლის 10 (21) ივლისის ქუჩუკ-კაინარჯის ხელშე-კრულებით, რუსეთს გადაეცა დასავლეთ კავაკსიის ნაწილი, აზოვის ზღვის სანაპი-როები და კინბურნის, ქერჩისა და ენიკალეს ციხე-სიმაგრეები. რუსეთის ფლოტმა მოიპოვა შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლება. ხელშეკრულება ეხებოდა საქართველოსაც. ხელშეკრულების 23-ე მუხლში, აღნიშნული იყო, რომ ლიხსიქეთ საქართველო რჩებოდა თურქეთის დაქვემდებარებაში, იმ პირობით, რომ იმერეთის სამეფოს არ უნდა ეძლია ხარკი. ხელშეკრულების მიხედვით, თურქეთმა ყაბარდოელთა სამთავაროების თავისი უფლებები, რომელიც სინამდვილეში მას არც ეკუთვნოდა, დაუთმო რუსეთს. ყაბარდოელები ამ ხელშეკ-რულებას არ ცნობდნენ და განაგრძობდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეთანხმების დროს, მიუხედავად იმისა, რომ იხილებოდა კავკასიის საკითხები, თვით კავკასიელები არც მოუწვევიათ და არც რაიმეს ეკითხებოდნენ მათ.

რუსეთ-ოსმალეთის ომის (1768–1774) დამთავრებისთანავე, ეკატერინე II-ის დროს

დაიწყო კავკასიის და ყირიმის რუსეთის იმპერიასთან შეერთება. 1774 წელს რუსების წინააღმდეგ აჯანყდნენ მთიელები. რუსებმა შეძლეს აჯანყების ჩახშობა. ჩრდილოეთ კავაკსიელ მთიელთა შორის, პირველად, 1774 წელს რუსეთის იმპერიას ნებაყოფლობით შეუერთდა ჩრდილოეთ ოსეთი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ კავკასიელებს შორის, **ოსები** (როგორც ჩრდილოეთ ოსეთი, ასევე ე. წ. სამხრეთ ოსეთი) აღმოჩნდნენ ერთადერთი ირანულენოვანი ერი, რომელიც დღემდე, რუსეთის იმპერიის ერთგულნი დარჩნენ. ოსეთი გახდა რუსებისათვის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი ძალა კავკასიის დაპყრობის დროსაც.

ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობაში რუსეთის იმპერიას დიდი დახმარება გაუწიეს ოსების გარდა ყალმუხელებმა და აგრეთვე ქართველებმაც.

ყალმუხელები (იხ. ქვევით) – დასავლეთ მონღოლთა (ოირათები) ერთ-ერთი ტომი, XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში გადმოსახლდნენ მდ. ვოლგის ქვემო დინების ნაპირებზე და დონის კაზაკებთან ერთად ყოველთვის ჯერ მოსკოვის სამთავროს, ხოლო შემდეგ რუსეთის იმპერიას, ერთგულად ემსახურებოდნენ. ეკატერინე II-ის დროს, ყალმუხები ჩაასახლეს ჩრდილოეთ-დასავლეთ კასპიისპირეთში, დაღესტნის მეზობლად. აქ მოხდა ყალმუხეთის ხალხად ჩამოყალიბება. 1806 წლიდან ყალმუხები ნებაყოფლობით მონაწილეობდნენ რუსეთის მიერ წარმოებულ თითქმის ყველა ლაშქრობებში: არა თუ კავკასიის დაპყრობაში, არამედ რუსეთ-ირანის, რუსეთ-ოსმალეთისა და ამავე დროს, რუსეთის წინააღმდეგ მომხდარ აჯანყებათა ჩახშობაში.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ XVII ს. ჩამოყალიბდა ყალმუხეთის სახანო და მას შემდეგ, XVII– XVIII საუკუნეებში, ყალმუხეთის სახანოს რუსეთის სახელმწიფო იყენებდა სამხედრო მიზნებისათვის. რუსეთის ხელისუფლებამ, ყალმუხეთის სახანოს სახით, მიიღო ერთგული მომხრე და მეგობარი, რომელმაც წლების განმავლობაში მრავალჯერ დაუმტკიცა რუსეთს მტრებთან ბრძოლების დროს. მიუხედავად ამისა, 1943 წლის 28–31 დეკემბერს ყალმუხელები გადაასახლეს ციმბირში, შუა აზიაში, ყაზახეთში და ალთაიში. როგორც ვხედავთ, რუსეთი მაინც არ აღმოჩნდა მათ მიმართ მაინდამაინც კეთილმწყალობელი.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის იმპერიას, კავკასიის დაპყრობაში ხელი შეუწყო რუსეთის ჯარში მყოფმა ქართველებმაც. მეფის რუსეთის დროსაც და შემდეგშიც, რუსეთის ჯარში, იმყოფებოდნენ იმ დროს გამოჩენილი ქართველი მხედართმთავრები, რომლებმაც გარკვეული კვალი დატოვეს რუსულ სამხედრო ისტორიაში.

მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთის მეფემ (1762–1798) (ზოგიერთ რუსულ გამოცემებში, რატომღაც მას „კნიაზ“-ს უწოდებენ), ერეკლე II-ემ (1720–1798) რუსეთთან 1783 წელს გააფორმა „რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება“ (გეორგიევსკის ტრაქტატი), რომლის მიხედვითაც რუსეთის იმპერატორი ვალდებულებას იღებდა, რომ ერთმორწმუნე საქართველო დაეცვა მტრებისაგან და პირობას იძლეოდა მასზე, რომ საქართველოს საშინაო საქმეებში იგი არ ჩაერეოდა, რუსეთმა დაიწყო შეფარული „მეგობრული დახმარებით, შეიარაღებული ძალების გამოყენებით“ საქართველოს დაპყრობა და დამონება. ერეკლე II კი ფიქრობდა და იმედი ჰქონდა, რომ ერთმორწმუნე რუსეთის შემწეობით, იგი შეძლებდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაძლიერებას და ხელს შეუწყობდა ქვეყნის წინსვლას. მაგრამ, მალე, რუსეთთან დადებული ხელშეკრულების შემდეგ, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, როგორც საგარეო, ასევე საშინაოც გამწვავდა და გართულდა. ერეკლეს II-ის შემდეგ, საქართველო

რუსეთს შეუერთდა და მისი მონა-მორჩილი გახდა.
რუსეთის იმპერიას, კავკასიის დაპყრობაში, დიდად დაეხმარა, რუსეთის სამხედრო მოღვაწე, 1802-დან საქართველოს მთავარმართებელი და ასტრახანის გენერალ-გუბერ-ნატორი, 1804-დან ინფანტერიის გენერალი პავლე ციციანოვი (ციციშვილი) (1754–1806). მან 1802 წელს სამეგობრო ხელშეკრეულება დადო დაღესტნის ხელმძღვა-ნელებთან. მისი შემწეობით, ჯერ 1803 წელს ოდიშის სამთავრო, ხოლო 1804 წელს იმერეთის სამეფო რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა. 1804 წელს დაიმორჩილა განჯის სახანო, ამავე წელსვე, რუსეთის ჯარმა, პ. ციციანოვის ხელმძღვანელეობით საბოლოოდ ჩაახშო მთიულეთის აჯანყება. 1805 წელს რუსეთის იმპერიას დაუმორჩილა შურაგელის სასულთნო, შაქის, ყარაბაღის და შირვანის სახანოები. იგი ვერაგულად მოკლეს ბაქოს ციხესთან ხანთან მოლაპარაკების დროს.

პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, ამავე დროს, რუსეთის არმიის ერთ-ერთი ცნობილი სარდალი, ინფან-ტერიის გენერალ-ლეიტენანტი გრიგოლ ორბელიანი (1804–1883) მონაწილეობას ღებულობდა (1822–1830) წლებში რუსეთის არმი-ის მიერ, ჭარელი ლეკების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. 1826 წელს ეომებოდა სპარსელებს განჯასა და შამქორში. 1829 წელს მონაწილეობას ღებულობს ზაქათალის აღებაში და რუსეთ-ოსმალეთის ომებშიც. 1839 წელს – ჩრდილოეთ და სამხრეთ დაღესტანში, რუსულ კავკასიის ჯარების მიერ, მთიელთა წინააღმდეგ ჩატარებულ ლაშქრობებში. აგრეთვე, გურიის აჯანყების ჩაქრობაშიც. 1843 წლიდან ავარიის მმართველი და დაღესტნის ჯარების უფროსი გახდა. იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მეთაურის (1834–1859) შამილის (1797–1871) წინააღმდეგ. „გრ. ორბელიანი დიპლომატიური უნარით აღჭურ-ვილი და იმავე დროს ულმობელი ოფიცერი იყო მთიულებთან ბრძოლაში. შუა აზიის საშუალო საუკუნეთა მუსლიმანური სექტის, ნაქშბენდიეს ორდენის მისტიკური მოძღვრების მიმდევარ მურიდების წინააღმდეგ გრ. ორბელიანი მოქმედებდა როგორც მეფის რუსეთის კოლონიალისტური არმიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი. მთიელთა ნაციონალურ-რელიგიური მოძრაობა, ცნობილი (1826–1859) მიურიდიზმის სახელით, ქართველი სარდლის სახით უდიდეს მტერს წააწყდა.

თხუთმეტი წელიწადი იმსახურა გრ. ორბელიანმა დაღესტანში, ჯერ როგორც სხვა-დასხვა ოლქების მმართველმა და პოლკის უფროსმა, შემდეგ – როგორც მთელი დაღესტნის ჯარების სარდალმა. იშვიათად ჰყოლია ჰაზავათს მასავით დაუძინებელი მტერი. გრ. ორბე-ლიანი მონაწილე ან უშუალო ხელმძღვანელი იყო მთელი რიგი აულების აღებისა შამილის დაღესტანში. იბრძოდა ქუთიშასთან (1846) და სალთთან (1847), გერგებილთან (1848) და ჭუხთან (1849), ტაბარასანსა და ყაითაღში (1854–1855) და სალათაუს სოფლებში... გრ. ორბელიანს ხმალდახმალ უბრძოლნია მთიელებთან და მისი დარტყმის ძალა უგემნიათ შამილის განთქმულ ნაიბებს. თვითონ შამილი ბრაზმორეული ამბობდა ხოლმე: „ევდოკიმოვი და ორბელიანი ჩემი ყველაზე დიდი მტრები არიან დაღესტანში... ხელში თუ ჩამივარდა ორბელიანი, მე მას გავგლეჯ. ალბათ ისიც ასე მომექცევა“. (17, გვ.010).

1857 წელს გრ. ორბელიანმა იერიშით აიღო უაღრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები: სალათაუში – ძველი და ახალი ბურთუნაი... დაღესტნელი ისტორიკოსი კატეგო-

რიულად მოგვითხრობს: „ხალხი ამბობდა, რომ ეს წელიწადი ეკუთვნის თავად ორბელიანს და უნაყოფოა მასთან ბრძოლაო... მოკ-ლული იქნა სამი გულადი ნაიბი... არც ერთი ლაშქ-რობის დროს არ დაღუპულა ამდენი ნაიბი. ბურთუნაიში ციხე-სიმაგრის აღების შემდეგ შამილი მიაგავდა ცხვარს, რომელსაც მგელი კისერში სწვდა და რომელსაც ხსნის იმედი დაჰკარგვია...

სალათაუს დაპყრობა უკანასკნელი ფურცელი იყო გრ. ორბელიანის ოფიცრული კარიერის მრავალ-წლიან მატიანეში“. (17, გვ.09).

1858 წელს გრ. ორბელიანი მრავალი ორდენით დაჯილდოვებული გადმოიყვანეს თბილისში მთავარ-მართებელთან.

საინტერესოა გ. ორბელიანის ჩანაწერი შამილის შესახებ, როდესაც იგი იმყოფებოდა პეტერბურგში და „პირადად შეხვდა ყოფილ იმამს შამილს. იმპერიის სატახტო ქალაქში ძველი მტრების ასეთი გამო-ცნაურება თითქოს ფინალია როგორც მათი ურთიერთობისა ისე მთლიანად კავკასიის ომის ხანგრძლივი ისტორიისა. და ეს ფინალი ძალზე ლირიკულად ჟღერს: „შამილა გავიცან პეტერბურგში; კარგი დარბაისელი კაცი ყოფილა. მაგრამ გაო-ცებული იყო ყოვლითა მათ, რასაც ხედავდა... დიდის სიმწარით მიამბო, რომ მიღალატეს ყოველთა მათ, ვინც იყვნენ დაახლოებულნი ჩემთან და ვინც ჩემს მფარველობის ქვეშე და ჩემის მოწყალებით ჰსცხოვრებდნენო! იმათვე ამიკლეს სრულებით, ასე რომ, ეს თეთრი ჩოხა ბარიატინსკიმ მიწყალობაო, და ამგვარი მრავალი მელაპარაკა“. (17, გვ.011).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, თანდათან წარმოიშვა რამდენიმე სახის ქართველობა: **ერთნი** – რომლებიც შეერწყვნენ რუსეთის ხელისუფლებას, აღმოჩნდნენ სინდის-გარე-ცხილები, პირადი ანგარებისა და უფლებების მისაღწევად დაივიწყეს სამშობლოც და ხალხიც. რომლებსაც მიაჩნდათ, რომ საქართველო რუსების გარეშე ვერ იარსებებს. ესენი გახდნენ ე. წ. **რუსოფილები**. (<u>ჩვენდა საუბედუროდ, დღევანდელ დღესაც იგივე მდგომარეობაა</u>). **მეორენი** (მიამიტები) – რომლებიც მეფის რუსეთის დროს, ფიქრობდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ ერთმორწმუნე რუსები, ხელშეკ-რულების თანახმად, დანაპირებს შეასრულებდა და რუსების მეშვეობით საქართველო გამთლიანდებოდა და ძველ სიძლიერეს დაიბრუნებდა. ამიტომაც ისინი, თავგამოდებით, მოღვაწეობდნენ რუსეთის ჯარში, მით უმეტეს კავკასიაში.

ა. ურალოვი წერს:

„ეკატერინე II-ის დროს, ძლიერდება რუსეთის ექსპანსია კავკასიაში. მისი საუკეთესო გენერალი – ცნობილი გენერალსიმუსი სუვოროვი – ახალ ლაშქრობებს ხელმძღვანელეობს. ექსპანსიის ახალი ტალღა, იწვევს ჩრდილოეთ კავკასიელთა გაერთიანებულ წინააღმდეგობას. ძირითადი ადგილი ამ წინააღმდეგობისა ხდება ჩეჩნეთი და დაღესტანი“. (92, გვ.11).

რუსეთის ეროვნული გმირი, დიდი რუსი მხედართმთავარი, 1789 წლიდან რიმნიკის (რუმინეთი) გრაფი, 1799 წლიდან იტალიის თავადი, ამავე წლიდან გენერალსიმუსი. ალექსანდრე სუვოროვი (1729– 1800), 1762 წელს დაინიშნა ასტრახანის, ხოლო 1763 წელს სუზდალის ქვეითი პოლკის მეთაურად. 1774 წელს გაიგზავნა გლეხთა ომის, ხოლო 1794 წელს პოლონეთის, აჯანყებების ჩასახშობად. 1778 წელს ა. სუვოროვი გახდა ყირიმის ჯარების უფროსი. ამავე წელსვე, თურქებმა გემებით დააპირეს გადმოესხად ყირიმში საჯარისო ნაწილები, მაგრამ, სუვოროვმა ერთ ღამეში სანაპიროზე თავდაცვითი სიმაგრეები

ააშენა და თურქებმა უკან დაიხიეს. თურქებმა, ამის შემდეგ დაამტკიცეს ყირიმის ხანად შახინ გირეი (შახინ გირაი, შაგინ გერაი, შაინ გერეი, სახიმ გერეი) (1745–1787), რომელიც, ერთი წლით ადრე, რუსეთის და ნოღაელების დახმარებით გახდა ყირიმის ხანი. შახინ გირეი მაინცდამაინც არ ენდობოდა ა. სუვოროვს და მის მიმართ სიფრთხილეს იჩენდა, რადგან ა. სუვოროვმა 1778 წელს გადაასახლა ყველა ყირიმელი ქრის-ტიანები (დაახლ. 30 000 კაცი) დონისა და აზოვის მიდამოებში: სომხები – წმიდა დიმიტრი დონელის ციხესთან, წარმოიქმნა ქალაქი ნორ-ნახიჩევანი (დღევან. დონის როსტოვი) და ბერძნები – მარიუპოლში (უკრა. დონეცკის ოლქი). 1779 წელს რუსეთის ჯარის ნაწილი ყირიმიდან გამოიყვანეს და ა. სუვოროვიც გადაიყვანეს პოლტავაში. მან განსაკუთრებით „თავი გამოიჩინა“ (1777–1778, 1782-1783) წლებში უკანა-სკნელი დამოუკიდებელი ნოღაიდელების სახელმწიფოს განადგურებაში. (იხ. ქვევით).

ცნობილია, რომ რუსების სამხედროების დახმარებით ყირიმის ხანად გამოცხადებულ შაგინ-გირეი ყირი-მში არ სარგებლობდა პატივისცემით. ამავე დროს მის მიერ განხორციელებულმა გადასახადების მომატებამ მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას. იგი უგულველყოფდა ძველ ადათ-წესებს, ცდილობდა ყირიმში გაეტარებინა რეფორმები და რუსეთის მსგავსად შემოეღო სახელმწიფო მმართველობა. ყველაფერმა ამან ყირიმში გამოიწვია აჯანყება, რომელმაც ფართო ხასიათი მიიღო. (1777–1778) წლებში აჯანყება სასტიკად ჩაახშო ა. სუვოროვმა. გადმოცემით აჯანყებულებმა მოკლულთა სახით დაკარგეს 12 000. აჯანყების ჩახ-შობის შემდეგ, დაახლოებით 34 000 ნოღაელები იძულებულნი გახდნენ გადასახლებულიყვნენ საზღვარ-გარეთ. 1781 წლის ივლისში ყველა ნოღაიდელი ტომები აჯანყდნენ. ბოლოს რუსეთის რამდენიმე გენე-რლებმა შეძლეს მისი ჩახშობა. 1782 წელს ა. სუვოროვი გადაიყვანეს ყირიმში და ყუბანში, შახინ გირეის წინააღმდეგ, აჯანყებული ნოღაელების დასაწყნარებლად. 1783 წლის 8 აპრილს გამოცხადდა ეკატერინე II-ის მანიფესტი, რომლის მიხედვით ყირიმის სახანო და ყუბანზე მდებარე უკანასკნელი ნოღაელთა სახელმწიფო უქმნდებოდა და უერთდებოდა რუსეთს. ამან გამოიწვია დაძაბულობა და იმ დროს, ყირიმისა და ყუბანის ჯარების მეთაურმა ა. სუვოროვმა შეძლო, სხვადასხვა ხერხებით ერთმანეთს დაპირისპირებული ნოღაელების დათანხმება ნებაყოფლობით რუსეთთან შეერთებაზე. წყაროებიდან ცნობილია, რომ ამავე წლის 28 ივლისს ნოღაელებმა, მხედართმთავრის წინაშე, საჯარისო ნაწილების: 3 პოლკისა და ყუბანის არტი-ლერიის კორპუსის თანხლებით, დაიფიცეს რუსეთის ერთგულებაზე. რუსეთის ხელისუფლებამ იფიქრა, რომ ნოღაელთა საკითხი გადაწყვეტილი იყო და ა. სუვოროვი დააჯილდოვეს კიდევაც. მაგრამ, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა გადაესახლებინად ნოღაელები ურალში, (გეგმის მიხედვით უნდა გაესა-ხლებინად თითქმის ყველა კავკასიელები), ისინი სექტემბრის დასაწყისში აჯანყდნენ. აჯანყების ჩახშობა ისევ სუვოროვს დაავალეს. აჯანყებულები იყვნენ გამაგრებულნი მდინარეების ყუბანსა და ლაბას შორის. სუვოროვმა ხმა გაავრცელა, რომ იგი მიდიოდა რუსეთში შემოჭრილი გერმანელების წინააღმდეგ საბრძოლ-ველად. თვითონ კი, თავისი საჯარისო ნაწილებით, რომ არ გაეგოთ აჯანყებულებს მისი მოახლოება, მოძრაობდა ღამღამეობით და ჯარისკაცებს ცეცხლის დანთებაც აუკრძალა. ა. სუვოროვის ისტორიკოსის გადმოცემით, აჯანყებულებთან შეუმჩნევლად მისულ ჯარისკაცებს, შეტევის წინ წაუკითხეს ა. სუვოროვის ბრძანება: „ჯარები არ ისვენებენ გადამწყვეტ დამარცხებამდე, მტრის დატყვევებამდე ან

მოსპობამდე. თუ ის ახლოს არ იმყოფება, მაშინ ის უნდა მოიძებნოს ყველგან, ტყვიები დაზოგეთ, იმუშავეთ ცივი იარაღით... დრაგუნები და კაზაკები არამც და არამც არ უნდა ჩამოვიდნენ ცხენებიდან ალაფისათვის. ალაფისათვის მოდის 4 საჯარისო ნაწილი; დანარჩენნი ყველა მზადყოფნაშია". 1 სექტემბრის ალიონზე, რუსულმა ჯარმა აჯანყებულები ალყაში მოაქციეს და როდესაც ნოღაელები ასრულებდნენ ნამაზს (მუსლიმანთა ლოცვა), ა. სუვოროვმა გასცა შეტევის დაწყების ბრძანება. სამხედრო ისტორიკოსი, გენერალ-ლეი-ტენანტი ვ ა ს ი ლ პ ო ტ ტ ო (1836–1911) ასე აღწერს ნოღაელებზე თავდასხმას: „უარესად შეიარაღებულნი, უარესი მეთაურე-ბით, უდისციპლინოები, რომლებსაც არ ჰქონდათ წარმოდ-გენა სამწყობროზე, ნოღაელები იჭრებოდნენ ღვარძლიანად და იღუპებოდნენ მასსიურად. უსუსური მძვინვარებით ისინი თვითონ ანადგურებდნენ თავიანთ ძვირფასეულობას: კლავდნენ თავიანთ შვილებს, ხოცავდნენ ქალებს, რომ ისინი არ ჩავარდნილიყვნენ ტყვედ". (101). ბრძოლა გრძელდებოდა ცვალებადი წარმატებით მთელი დღის განმავლობაში და მხოლოდ საღამოს 10 სთ-თვის ნოღაელებმა დაიწყეს უკან დახევა. მდ. ლაბას შესართავთან გმირულად დაიღუპნენ ყველა აჯანყებულთა მეთაურები, თითქმის ყველა, ერთ დროს ძლიერი ტომების მურზები (აულების დიდგვა-როვანი უფროსები) ყველა თავისი მოზრდილი მოსახლეებით. რამდენიმე კვირის განმავლობაში, მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში ხდებოდა ნოღაელების ძებნა და განადგურება. სხვადასხვა მონაცემებით, მეფის რუსეთმა 500 ათასზე მეტი ნოღაელები გაანადგურა. ხოლო თურქეთში გაიხიზნენ მილიონზე მეტი. როდე-საც ეკატერინე II-ეს მოახსენეს აჯანყების ჩახშობა, მას წამოუძახია, რომ ნოღაელების საკითხი სამუდამოდ გადაწყვეტილია. უზარმაზარი გაშლილი ველების სივრცეები გაუკაცრიელდა დიდი ხნის წლების განმავლობაში, მაგრამ, ნოღაელთა უბედურება ამით არ დამთავრდა.

(1859–1895) წლებში პიატიგორიეს და კლაუსის 100 ათასს ნოღაელებს კვლავ მოუწიათ თურქეთში გადასახლება. 1783 წლიდან ნოღაელები სექტემბრის დასაყისში აღნიშნავენ დაღუპულთა სულთა ხსენებას. (101).

1775 წელს მდ. თერგიდან დაწყებული მდ. დონამდე დაიწყო ე. წ. მოზდოკ-აზოვის ხაზის, ციხე-სიმაგრეების მშენებლობა. 1777 წელს აშენდა 10 ციხე-სიმაგრე, მათ შორის სტავროპოლსკაია (სტავროპოლი).

1785 წელს ჩამოყალიბდა კავკასიის გუბერნია, რომელშიც გაერთიანებული იყო 6 მაზრა: ალექსანდროვსკის, ეკატერინოგრადის, გეორგიევსკის, ყიზლარის, მოზდოკის და სტავრო-პოლის. 1790 წელს კავკა-სიის გუბერნია გაუქმდა და გახდა ასტრახანის გუბერნია.

ყუბანის სახანოს გაუქმებისა და ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის ალყაში მოექცა. ამის შემდეგ შეუდგა რუსეთი, თავისი ძველი ჩანაფიქრის განხორ-ციელებას, ჩრდილოეთ კავკასიის შეერთებას რუსეთთან და დაიწყო იარაღის ძალით ამის განხორციელება.

დარიალისა და არაგვის ხეობაზე, ჯვრის უღელტეხილზე, ვიწრო და ძნელად გამავალი უძველესი გზის გავლით ხდებოდა დაკავშირება, ჩრდილოეთ კავაკსიელთა, ადიღეელებსა და ქართლ-კახეთს შორის. განსა-კუთრებით გახშირდა მიმოსვლა, XVIII საუკუნის II ნახევ-რიდან, როდესაც რუსეთმა დაიწყო კავშირის დამყარება ქართლ-კახეთთან. ამიტომაც, ამ გზით დაინტერესდა რუსეთის იმპერიის სამხედრო უწყება და დაიწყო ამ გზის მოწესრიგება, რომელსაც შემდეგში მას ეწოდა „საქართველოს სამხედრო გზა". 1784 წელს, სოფ. ძაუჯი-

ყაუსთან ახლოს, ამ გზის დასაცავად აშენდა ციხესიმაგრე ვლადიკავკაზი, რომელიც 1860 წელს გარდაიქმნა ქალაქად და თერგის ოლქის მთავარი ქალაქი გახდა.

დარიალის ხეობაში გზის გაყვანისა და მშენებლობის წინააღმდეგნი იყვნენ ჩაჩნები და დაღესტნელები. მათი მთავრების მოსყიდვა და გათიშვა რუსებმა ვერ შეძლეს და მათ წინააღმდეგ დაიწყო ძალის გამოყენება. ამავე დროს თერგის მხარეში ხდებოდა ციხესიმაგრეების მშენებლობა და რუსებისა და კაზაკების ჩასა-ხლება. ეს კი მოსახლეობაში იწვევდა უკმაყოფილებას.

1784 წელს, ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთში იწყება რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლები, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩეჩნეთის სახალხო გმირი, სამხედრო, რელიგიური – ტარიკართის (სუფიური ორდენის) და პოლიტიკური მოღვაწე, ახალგაზრდა შეიხი მანსური (უშურმა) (1765–1794). (იხ. ქვევით). მან შეძლო ღაზავათის (წმიდათაწმიდა ბრძოლა სამშობლოს გათავისუფლებისათვის) მოწოდების ქვეშ, ჩრდილოეთ კავკასიელთა გაერთიანება რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1791 წლის ივნისში რუსებმა დაიწყეს შეტევა, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე, თურქეთის სიმაგრე ანაპაზე, სადაც იმყოფებოდა მან-სურიც. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, 15 დღის შემდეგ, ღამეს, ინგლისელი მოგზა-ურის, კავკასიოლოგის, ისტორიკოსის და ჟურნალისტის ჯონ ბადდელის (John Baddeley) (1854–1940) გადმოცემით: „თურქთა უყურადღებობისა და დაუდევრობის გამო“ რუსებმა შეძლეს ავჯანყებულთა დამარცხება. მანსურის დატყვევების შემდეგაც, რუსების წინაალმდეგ გამოსვლები არ შეწყვეტილა. (115) ავჯანყება მართალია დამარცხდა, მაგრამ იმ დროს, მან მაინც მთიელებს წარმატება მოუტანა, ვინაიდან, ბრძოლით დაიბრუნეს ჩაჩნეთი, დაღესტნის და ჩერქეზეთის ნაწილი.

მანსურის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში ავჯანყებას ჩაუდგნენ სათავეში ყაზი-მუჰამადი (იხ. ქვე-ვით), ჰამზათ-ბეგი (იხ. ქვევით) და შამილი (იხ. ქვევით), რომელმაც ჩამოაყალიბა თავისუფალი სახელმწიფო – ე. წ. „შამილის იმამატი“. მხოლოდ, თითქმის 30 წლის მერე შეძლო რუსეთის იმპერიამ მისი დაპყრობა.

რუსეთ-ოსმალეთის (1789–1791) ომის დამთავრების შემდეგ, 1792 წლის 9 იანვარს ქ. იასიში (იაში, აღმოსავლეთ რუმინეთი) დადებული ხელშეკრულების თანახმად, რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადგინდა ახალი საზღვრები: სამხრეთ-დასავლეთით – მდ. დნესტრზე და კავკასიაში – მდ. ყუბანზე. რუსეთის საზღვრებში მოექცა შავი ზღვის ჩრდილოეთის სანა-პიროები მდ. ბუგსა და მდ. დნესტრს შორის. რუსეთი დამკვიდრდა შავ ზღვაზე, მას ვაჭრობაც თავისუფლად შეეძლო და სამხრეთ საზღვრებსაც იცავდა. ეტყობა, რომ იასიში საზღვრების განხილვისას, სხვათა შორის საქართველოს საკითხიც განიხილეს. მაგრამ, ჩანს, რომ რუსეთი სიფრთხილით ეკიდებოდა საქართველოს საკითხს, ვინაიდან ოსმალეთი არ გაეღიზიანებინა. რუსეთმა ამ მოლაპარაკებების დროს, ისედაც დიდ წარმატებებს მიაღწია. რადგან, „იასის საზავო ხელშეკრულების მე-5 მუხლი ეხებოდა რუსეთის მფარველობაში მყოფ ქართლ-კახეთის სამეფოს: ოსმალეთის მთავრობა პირობას დებდა, რომ საგანგებო ფირმანით მკაცრად აუკრძალავდა ახალციხის ფაშას და მენაპირე მმართველებს ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმას, რომ „არც აშკარად და არც ფარულად არ შეევიწროებინათ ქართლის მეფის ქვეყანა და მცხოვრებნი“. (8, ტ.5, გვ.63). მაგრამ ლიხსიქეთ საქართველოს შესახებ არაფერი იყო ნათქვამი. მათი მდგომარეობა ძველებურად რჩებოდა. ეს მხარე ისევ ოსმალეთის ზეგავლენის ქვეშ დარჩა.

1792 წელს ეკატერინე II-ის ბრძანებით შავი ზღვის ჯარს გადაეცა ტამანიდან დაწყებული მდ. ლაბის შესართავამდე მიწები. 1793 წელს მდ. ყუბანის მარჯვენა ნაპირზე დაარსდა ქ. ეკატერინოდარი. პირველად, ამ ადგილას შავიზღვისპირეთის (ყოფ. ზაპოროჟიეს) კაზაკებმა შექმნეს ბანაკი, შემდეგ ააშენეს ციხე-სიმაგრე. 1860 წელს გახდა ყუბანის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი. ხოლო 1867 წლიდან გარდაიქმნა ქალაქად. 1920 წლიდან ეწოდა კრასნოდარი. აქვე იქმნებოდა კაზაკთა სტანიცები (სოფლები). აქ და სხვა ადგილებში, კაზაკების გარდა, გამოქცეული გლეხებისა და სამსახურის დასრულებული ჯარისკაცების დასახლება გრძელდებოდა წლების განმავლობაში, ამავე დროს იწყება, ე. წ. კავკასიის ხაზის, ლაბიდან დაწყებული სტავროპოლამდე, კაზაკების ჩასახლება.

რუსეთის ხელისუფლებას ჩრდილოეთ კავკასიაში, რომ თავისი კოლონიური უფლებები გაემყარებინა, 1793 წელს ყაბარდოში შემოიღო საგვარეულოთა სასამართლო დაწესებულებები: თავადებისათვის („როდო-ვოე სუდი“) და აზნაურებისათვის („როდოვოე რასპრავი“). ორივე დაწესებულებებს წარმართავდა ხელი-სუფლების მოხელეები. ამან გამოიწვია ყაბარდოში ყველა მოსახლეობის წოდებათა უკმაყოფილება და 1794 წლიდან დაიწყო გამოსვლები, რომელიც თანდათან გადაიზარდა შეიარაღებულ დაპირისპირებაში.

1796 წელიდან ყალმუხები და კაზაკები იწყებენ თავდასხმებს ყუბანსა და თერგის ჩრდილოეთ კავკა-სიელებზე. გადაწვეს და გააჩანაგეს აულები. კავკასიელები გაიხიზნენ მთებში და იქედან განაგრძობდნენ ბრძოლებს. ბოლოს, შეფერთხილმა თავდასხმელებმა ვეღარ გაუძლეს წინააღმდეგობას და 1797 წელს დატოვეს დაკავებული მიწები. ამით ისარგებლეს რუსებმა და დატოვებულ ადგილებში, გაამაგრეს თავიანთი ციხე-სიმაგრეები.

XVIII საუკუნის 90-იან წლებში, რუსეთის ხელისუფლებამ, თავისი ადრინდელი განზრახვის, ირანსა და ინდოეთთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარების გეგმის, შესრულებას შუდგა. ხოლო ამისათვის საჭირო იყო კავკასიიდან ირანის განდევნა.

66 წლის ეკატერინე II-ის, 28 წლის საყვარელს, უგანათლებულეს თავადს, სახელმწიფო მოღვაწეს, (გენერალ-ფელდეხმეისტერი, ფორტიფიკაციის გენერალური დირექტორი, შავი და აზოვის ზღვების უმაღლესი მთავარსარდალი. ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი, სამხატვრო აკადემიის მოყვარულთა წევრი და სხვ.), პ ლ ა ტ ო ნ ზ უ ბ ო ვ ს (1767–1822) დაევალა გეგმის შესრულება, რომლის მიხედვით, რუსეთს უნდა დასავლეთ კასპიისპირეთი დაეკავებინა და ამავე დროს ამიერკავკასიიდან ირანი უნდა საერთოდ გაედევნა.

„90-იანი წლების მიწურულში ამიერკავკასიის ასპარეზზე და ირანში შედარებით უფრო ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა იმისათვის, რომ რუსეთის იმპერიას აქ თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ინტე-რესებისათვის უშუალო ბრძოლა განეახლებინა....

აღნიშნულ ვითარებაში რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ირანში ძლიერი ლაშქრობა მოეწყო და ამიერკავკასიაშიც თავისი პოზიციები საბოლოოდ განემტკიცებინა... ცარიზმის გეგმები ამ დროს საეჭვოდ გამოიყურებოდა. ფიქრობდნენ, რომ ერეკლეს საბატონო მხარე – განჯა მომავალ დაპყრობათა პლაცდარმად გადაექციათ და იქ სამხედრო-რუსული კოლონია მოეწყოთ. განჯაში 2 000 ახალგაზრდა რუსი ჯარისკაცი უნდა დაესახლებინათ, რომლებიც იქვე ოჯახებს შექმნიდნენ და იმპერიის მიზნების შემდგომ რეალიზაციას ხელს შეუწყობდნენ...

სომეხი ისტორიკოსი ლეო დასძენდა, რომ აქ ჩამოსახლებულ ახალგაზრდა ჯარისკაცებს

ქალები „ხარკის“ სახით ქართველთა და სომეხთაგან უნდა მიეღოთ და ეს „ბარბაროსული“ საქციელი გრაფმა ზუბოვმა „სპარსთა ველურ ხასიათიდან შეითვისა“. ეკატერინე მეორეს თანხმობა გამოუცხადებია განჯაში კოლონიის შექმნაზე და განკარგულებაც კი გაუცია, რომ ამ საქმისათვის 385 326 მანეთი გამოეყოთ“. (6, ტ.IV, გვ.766–767).

ამავე ხანებში, საქართველოს მდგომარეობა როგორც საშინაო, ასევე საგარეოც მეტად გართულებული იყო. ერეკლე II-ის რუსეთთან დაახლოებას ეწინააღმდეგებოდნენ როგორც ზოგიერთი თავადები და ერის-თავები, ასევე, ქართლ-კახეთის დედოფალი, ერეკლე II-ის მესამე მეუღლე (1750-დან), დ ა რ ე ჯ ა ნ ი (დაახლ. 1726–1807), რომელიც იმ დროს, ითვლებოდა ანტირუსული მოძრაობის ერთ-ერთ ხელმძღვანელად და ამავე დროს ცდილობდა მისი ერთ-ერთი შვილის გამეფებას, (ცნობილია, რომ ერეკლე II-ეს დარეჯანისაგან 17 შვილი ჰყავდა. დაუზუსტებელი მონაცემებით სულ ერეკლე II-ეს 24 შვილი ჰყოლია).

ერეკლე II-ის დროს, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის რთული დამოკიდებულება იყო. მართალია, XVIII საუკუნის II ნახევარში, ქართველი მოწინავე ძალები ცდილობდნენ გააერთიანებინათ ლიხსაქეთ და ლიხსიქეთ საქართველო, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს და ამჯერად, საქართველოს გაერთი-ანების მცდელობა ჩაიშალა.

ამავე დროს, წყაროებიდან ცნობილია, რომ ერეკლე II-ის წინააღმდეგ, შეთქმულებას აწყობდნენ და მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, სომეხი ვაჭრები, მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე II სომხებს ქართლ-კახეთში ასახლებდა და ყოველმხრივ ხელს უწყობდა, რომ მისი აზრით, მათი დახმარებით, როგორმე ქართლ-კახეთში ვაჭრობა განევითარებია. ერთ-ერთი შეთქმულებისას, დიდვაჭრებს მოუნდომებიათ ერეკლეს გადაყენება და მის მაგივრად მისი შვილი გიორგის ტახტზე აყვანა. (5, ტ.III, გვ.463). შემდეგშიაც სომხებს არაერთხელ უღალატიათ ქართველებისათვის და ყოველთვის რუსეთს, ან საქართველოში შემოსულ მტრებს ემხრობოდნენ. საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის (1918–1921) დროს, საქართველოს წინააღმდეგ სომხეთის მთავრობამ მოულოდნელად ომი წამოიწყო და მათ საქართველოში მყოფი სომხებიც ეხმარებოდნენ. ცნობილია, რომ თბილისელი სომხები იარაღითაც კი ამარაგებდნენ სომხურ ჯარს.

ერეკლე II-ის დროს, საქართველო აღმოჩნდა თურქეთის, ირანის და რუსეთის იმპერიებს შორის მოქცე-ული, რომლებიც თვითეული მიისწრაფებოდა მის დაპყრობას და დამორ-ჩილებას, ხოლო არანაკლებ საში-შროებას უქმნიდნენ დაღესტნელთა ტომები, რომლებიც გამუდმებით თავს ესხმოდნენ ქართლ-კახეთს და თანდათან იტაცებდნენ მის მიწებს.

1794 წლიდან ირანის მმართველი, ხოლო 1796-დან ირანის შაჰი ა ღ ა - მ ა ჰ მ ა დ - ხ ა ნ ი (აღა-მოჰამედ-ხანი) (1742–1797) აზერბაიჯანისა და საქართველოს დაპყრობისათვის ემზადებოდა. ერეკლე II-ემ იცოდა ხანის გეგმები და ამიტომ, რუსეთის ხელისუფლებას 1783 წლის ხელშეკრულების თანახმად, ჯარის გამოგზავნას არა ერთხელ ევედრებოდა. რუსეთი კი არ ჩქარობდა. წყაროებიდან ჩანს, რომ რუსეთის ხელი-სუფლება ცდილობდა, საქართველო ისე დასუსტებულიყო, რომ შემდეგში ის ადვილად, ძალის გამოყენების გარეშე მთლიანად დაემორჩილებინა. ამასობაში კი 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანმა აზერბაიჯანიც დაიმორჩილა და ამავე წლის 11 სექტემბერს თბილისიც აიღო, გადაწვა, ააოხრა და ხალხიც გაჟლიტა. „ცნობილია, რომ მოქალაქეთა ერთი ნაწილის დელეგაცია ირანის შაჰს საჩუქ-რებით შეეგება და ერთგულება დაუდასტურა; მტრის ლაშქარში არაერთი სომეხი ჯარისკაცი

და ოფიცერი იბრძოდა, მსტოვრებზე და პროვოკატორებზე რომ არაფერი ვთქვათ, მომხდურებს გზის მაჩვენებლად სომხები მოუძღოდნენ, მათ შორის ყარაბაღელი მელიქები და სხვ. ასე რომ, ამგვარი საშიშროება გამორიცხული არ ყოფილა.

თუმცა ვერაგმა საჭურისმა სომხებს ღალატი არაფრად დაუფასა და სპარსი მეომრები მათ ისევე გააფთრებით და მონდომებით არბევდნენ და ანადგურებდნენ როგორც ქართველებს". (5, ტ.III, გვ.471). ცნობილია, ისიც, რომ როდესაც აღა-მაჰმად-ხანი „მათავარი ძალებით თბილისისაკენ (განჯის გავლით) დაიძრა... აღა-მაჰმად-ხანის მხარეზე გადავიდნენ ერეკლეთი უკმაყოფილო, ყარაბაღელი სომეხი მელიქები – **მეჯლუმი** და **ჰაბოვი**. მალე ერევნის ხანმაც ქედი მოუხარა დამპყრობელს, ხოლო სომეხთა კათალიკოსმა დიდძალი თანხის გაღებით (100 ათასი მან.) „იყიდა" მშვიდობა". (6, ტ.IV, გვ.760). 21 სექტემბერს სპარ-სელთა ლაშქარმა „უამრავი ნაძარცვითა და 15 000-მდე ტყვით საქართველო დატოვა". (5, ტ.III, გვ.477).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დამარცხება, ძირითადათ გამოწვეული იყო იმით, რომ ერეკლე II-ის დროს არა თუ ქართლ-კახეთი, არამედ მთელი საქართველო შინაგანად დაუძლურებული იყო და ამავე დროს, ერეკლე II რუსეთის დაპირებებს მიენდო. ხოლო, მთავარი დამარცხების მიზეზთაგანი, მაინც „რუსე-თის წინასწარ გამიზნული პოლიტიკის წარმატებული განხორციელება იყო. იმის მიზეზი, რომ საქარ-თველოს წინააღმდეგ განეწყო და დაერაზმა თითქმის ყველა მეზობელი. რუსეთმა წარმატებით შეასრულა ის, რასაც გეგმავდა. იგი თავის პოლიტიკის გამარჯვებას ზეიმობდა, რადგან, ხელის გაუსვრელად ქართლ-კახეთის სამეფო დაცემის პირას მიიყვანა და მცირეოდენი ძალისხმევა სჭირდებოდა, რათა იგი საბოლოოდ განადგურებულიყო და უსისხლოდ რუსეთის ავტორიტეტის არა მარტო შენარჩუნების, არამედ განმტკიცების პირობებში, მწიფე ნაყოფივით ჩავარდნოდა ხელში. რუსეთი სწორედ ამას ელოდა". (6, ტ.III, გვ.477).

აღა-მაჰმად-ხანის საქართველოდან წასვლის შემდეგ, რუსეთი იწყებს თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას და ირანის წინააღმდეგ წამოიწყო ომი. ვითომცდა ერეკლე II-ის დასახმარებლად, როგორც იქნა, 1795 წლის დეკემბერში, რუსეთის ორი ბატალიონი ჩამოვიდა, ხოლო ორი ბატალიონიც დაღესტანში გააგზავნეს. 1796 წლის აპრილში რუსებმა ამიერკავკასიაში დაიწყეს ომი, რომელსაც ხელმძღვანელობდა პლატონის უმცროსი ძმა ვალერი ზუბოვი (1771–1804). რუსებმა ზოგიერთი დაღესტნელებისა და ქართველების დახმარებით დაიკავეს დარუბანდი და ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ქალაქები. ამავე დროს ერეკლე II-ეს (როგორც ადრე) „ჰპირდებოდნენ, რომ მის სამფლობელოს მდინარე არაქსიდან ოსმალეთის საზღვრებამდე გააფართოებდნენ. დაპირებით კი ჰპირდებოდნენ, მაგრამ კარგად იცოდნენ, რომ საკუთარი საზღვრების გაფართოებაზე ფიქრობდნენ, რადგან დასუსტებულ საქართველოს ბებერ ლომს – „პატარა კახს", დიდი დღე არ ეწერა, ხოლო მის შემდეგ საქართველოში რა პოლიტიკას გაატარებდნენ, რუსებმა წინასწარ იცოდნენ". (5, ტ.III, გვ.479). მაგრამ, ირანის წინააღმდეგ წამოწყებული ომი, უცებ შეჩერდა, ვინაიდან ეკატერინე II-ის გარდაცვალების შემდეგ 1796 წლიდან რუსეთის იმპერატორი გახდა, მისი შვილი პავლე I (1754–1801), რომლის დროსაც კავკასიის ომი ჩათვალეს ძვირად ღირებულებად და კავკასიიდან ჯარი გაიყვანეს. საქართველო დატოვა რუსეთის ჯარმა და როგორც წინათ, ეხლაც მტერს პირისპირ შეატოვეს.

რუსეთი, ჯარის გაყვანით, თითქოს მშვიდობას ამყარებდა კავკასიაში, მაგრამ, მალე გამოჩნდა, რომ ის იძულებული გახდა, პოლიტიკური ვითარების გამო კავკასიაში ომი შეეწყვიტა და სინამდვილეში, სრულე-ბითაც არ ფიქრობდა კავკასიაზე ხელის აღებას. პავლე I-ის აზრით, კავკასიაში უნდა შექმნილიყო რუსეთზე დამოკიდებული ფედერალური რესპუბლიკები. მან 1797 წლის 5 იანვარს, კავკასიის ჯარების სარდალს, პ. ზუბოვს გაუგზავნა განკარგულება, სადაც „მოითხოვდა, რომ „სათანადო ურთიერთობა" არ გაეწყვიტათ ქართლ-კახეთის მეფესთან და იმ ქვეყნების მმართველებთან, რომლებიც რუსეთის მფარველობას ამჯობი-ნებდნენ, რათა საჭირო შემთხვევაში „ყველა მათგანი ერთად გამოსულიყო რუსეთის მტრების წინააღმდეგ", რომ რუსეთს რაც შიძლება ნაკლებად დასჭირვებოდა იარაღით გამოსვლა მათ მხარეზე. ამიტომ, პავლეს აზრით, რუსეთის მომხრე მფლობელთაგან უნდა „შექმნილიყო რუსეთზე დამოკიდებული ფედერაციული სახელმწიფო", რომელიც საშინაო საქმეებში დამოუკიდებელი იქნებოდა.

ამრიგად, მეფის რუსეთი ამ ეტაპზე არახელსაყრელი ვითარების პირობებში ამიერკავკასიაში ქართველი და სხვა ხალხების პოლიტიკური დაქვემდებარებებისა და მათი დამოუკიდებლობის შენარჩუნების გზით ფიქრობდა თავისი ბატონობის განხორციელებას და ამაზე შორს წასვლას ჯერჯერობით არ აპირებდა". (6, ტ.IV, გვ.769).

წყაროპებიდან ჩანს, რომ 1798 წელს ყაბარდოში ხდებოდა გამოსვლები და მის დასაშოშმინებლად კავკასიის ხელისუფლებამ კაზაკთა პოლკი გააგზავნა. მათმა მოქმედებამ გამოიწვია მთელს ყაბარდოში აჯანყებები. 1800 წლის 28 მაის პავლე I-მა მიმართა ჩრდილოეთ კავკასიის მმართველობას, რომ არ ჩარე-ულიყვნენ ჩრდილოეთ კავკასიელების შიდა საქმეებში, „სანამ ისინი არ დაესხმიან რუსულ საზღვრებს, რადგან მთიელი ხალხი არიან რუსეთთან ვასალურ დამოკიდებულებაში და არა ქვეშერდომნი". (107).

პავლე I-ის ჩანაფიქრი, კავაკსიაში რუსეთზე დამოკიდებულ ფედერალურ სახელმწიფოების ჩამოყა-ლიბების შესახებ, სინამდვილეში, ამის შესრულება შეუძლებელი იყო. რადგან ამ დროს თვით რუსეთში როგორც საშინაო, ასევე საგარეო მდგომარეობა ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა. რა თქმა უნდა, თვითონ კავკსიელები ნებაყოფლობით, ამაზე არ დათანხმდებოდნენ. ამავე დროს, თვით რუსეთის მაშინდელი ისტო-რიკოსების გადმოცემით, კავკასიაში მყოფი რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, „ყოველი უმცირესი მოხერხებული შემთხვევით სარგებლობდნენ" და კავკასიელებზე ახდენდნენ თავდასხმებს. ზოგი აკეთებდა ამას „მოწყენილობის გამო", იტაცებდა „სროლის გუგუნი და ჩეჩნების ყიჟინა". ხოლო „უმრავლესობა ამას აკეთებდა, თავისი სარდლების ნდობის მოპოვებისათვის და რომ ეჩვენებინად თავისი უნარიანობა". ეს კი იწვევდა კავკასიელების მხრიდან საპირისპირო მოქმედებას და ყველა კავკასიელები ამ ძალადობას გააფთრებული მძვინვარებით პასუხობდნენ. (107).

XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. მის წინააღმდეგ მოქმედებდნენ ოსმალეთი, სპარსეთი და დაღე-სტნელთა ნაწილი. ამავე ხანებში, საქართველოში რუსების შემოსვლის წინააღმდეგ მოქმედებდნენ ქართველ ბატონიშვილების ნაწილიც.

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე (1798-დან) გ ი ო რ გ ი XII-ეს (1746–1800) საქარ-

თველოში არც პატივისცემა და არც გავლენა ჰქონდა. მან 1798 წლის 16 დეკემბერს რუსეთს თხოვნით მიმართა, რომ 1783 წლის ხელშეკრულება განეახლებინად და თვით იგი დაემტკიცებინად მეფედ, ხოლო მისი შვილი დავითი (1767–1819) მემკვიდრედ გამოეცხადებინად და ჯარითაც დახმარებოდნენ. მისი თხოვნა რუსებმა 1799 წლის 18 აპრილს დააკმაყოფილეს და საქართველოში 3 000 ჯარისკაცი გამოაგზავნეს. ამავე წლის 5 დეკემბერს გიორგი XII-მ რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა. პავლე I-ის გარდაცვალებისთანავე „სენატის 1801 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით, საქართველო გუბერნიად გამოაცხადა და ამ სახით შევიდა რუსეთის შემადგენლობაში“. (5, ტ.III, გვ.514). უნდა აღინიშნოს, რომ „ერთადერთი ვინც გულწრფელად მიესალმებოდა რუსეთთან მჭიდრო კავშირს, ქართული სუვერენიტეტის სრულ მოსპობას, ქვეყნის ძლიერი სომხური (ვაჭრული) დიასპორა იყო. მას ამგვარი მისწრაფების ობიექტური მიზეზი ჰქონდა, თუნდაც ის, რომ რუსი და საქართველოს ვაჭრები (ისევე როგორც სხვა წოდებებიც) უფლებრივად თანასწორდებოდნენ. ამ მუხლის მოქმედება ვაჭართა ფენას მნიშვნელოვან შეღავათებს უქმნიდა“. (5, ტ.III, გვ.506).

რუსეთის იმპერიის ახალმა იმპერატორმა (1801-დან) ალექსანდრე I-მა (1787–1825), 1801 წლის 12 სექტემბერს მანიფესტი გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, საქართველო რუსეთის იმპერიის გუბერნია გახდა.

„შვიდი თვის შემდეგ, 1802 წლის 12 აპრილს, ეს მანიფესტი თბილისში, სიონის რუსულ ჯარებით გარშემორტყმულ ტაძარშიც იქნა წაკითხული. ხალხით გაჭედილ დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამო-ვარდა, ბევრმა ხმალზეც კი შეივლო ხელი, მაგრამ წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა. საბოლოოდ ამას ტაძარში მყოფი ბატონიშვილების, კათალიკოსის და დიდებულების დაფიცება მოჰყვა.

მეორე დღეს, მანიფესტი სომხურ ტაძარში ადგილობრივი დიასპორის წარმომადგენლებს წაუკითხეს. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი აღფრთოვანებულ შეძახილებში და ტაშის გრიალში ჩატარდა...

ასე დასრულდა საქართველოს ინკორპორაცია რუსეთის მიერ, რომელმაც მისი ანექსია გაცილებით ადრე განახორციელა.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო“. (5, ტ.III, გვ517).

1801 წელს საქართველოსა და 1813 და 1828 წლებში ჩრდილოეთ აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ მთელი ძალებით შეუდგა ჩრდილოეთ კავკასიელების დამორჩილებას.

1802 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში, კასპიის ზღვიდან დაწყებული მდ. ლაბამდე და მდ. მანიჩიდან ჩრდილოეთ კასვკასიის მთისწინეთამდე ხელახლა შეიქმნა **კავკასიის გუბერნია**, რომელიც გამოეყო ასტრა-ხანის გუბერნიას და მასში გაერთიანდა 5 მაზრა: **ყიზლარის**, **მოზდოკის**, **გიორგიევსკის**, **ალექსანდროვსკის** და **სტავროპოლის.**

1804 წელს ირანმა რუსეთს მოსთხოვა ულტიმატუმით კავკასიიდან ჯარების გაყვანა. ამავე წლის ივნისში დაიწყო რუსეთ-ირანის ომი. ამით ისარგებლეს ჩრდილოეთ კავკასიელებმა და დაიწყეს რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლები. განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა **ჩაჩნეთში**. მიუხედავად იმისა, რომ (1805– 1806) წლებში რუსეთის ხელისუფლების მიერ გაგზავნილმა სადამსჯელო რაზმებმა მეამბოხეებს საგრძნობი ზიანი მიაყენეს, ჩაჩნეთში გამანთავისუფლებელი მოძრაობა უფრო გაიზარდა და აჯანყება დაღესტანშიც გავრცელდა.

მეამბოხეები თავს ესხმოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში განლაგებულ რუსების ციხე-სიმაგრეებს. 1807 წლის თებერვალმარტში მოზდოკსა და ყიზლართან გამართულ ბრძოლებში რუსეთის ჯარები დამა-რცხდნენ. შემდეგშიც, ყველა მცდელობა რუსეთის მიერ ავჯანყების ჩახშობისა მარცხით მთავრდებოდა. ამის შემდგომ, 1813 წლამდე, რუსეთ-ირანის ომის დამთავრებამდე, ჩრდილოეთ კავკასიაში სიმშვიდე დამყარდა. რადგან, რუსეთს ჩრდილოეთ კავკასიაში დიდი ძალების გამოყვანა არ შეეძლო, ვინაიდან რუსეთი ერთ-დროულად ეომებოდა სახელმწიფოებს: ირანს (1804–1813), თურქეთს (1806–1812), შვეციას (1808–1809) და საფრანგეთს (1812). ხოლო ევროპაში მიმდინარეობდა ომები საფრანგეთის წინააღმდეგ, სადაც რუსეთიც მონაწილეობას ღებულობდა.

სამხრეთ ამიერკავკასიაში, ირანთან ომის დროს, საქართველოში მყოფმა რუსეთის ჯარმა, ქართველების შემწეობით წარმატებას მიაღწია. 1806 წელს პ. ციციანოვის მეთაურობით რუსებმა დაიკავეს ჩრდილოეთ აზერბაიჯანის დიდი ნაწილი: განჯის სამთავრო, შურაველის სასულთნო, შაქის, ყარაბაღის, შირვანის სახანოები და ბაქო. ორჯერ შეეცადნენ ერევნის აღებას, მაგრამ ვერ შეძლეს. 1812 წლის ოქტომბერში, მდინერეების არქსისა და დარაიურტის ასლანდუზის ფონთან, რუსეთის ჯარმა შეძლო ირანის მთავარი ძალების დამარცხება. ხოლო 1813 წლის 1 იანვარს ლენქორანიც დაიკავეს. ამავე წლის 24 ოქტომბერს, სოფ. **გულისტანში** (ყარაბაღი) რუსეთსა და ირანს შორის დაიდო ხელშეკრულება. რომლის ძალითაც, რუსებს დარჩათ, მის მიერ დაკავებული მიწები: აღმოსავლეთ საქართველო, დაღესტანი და ჩრდილოეთ აზერბაიჯანი. ამის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ შეძლო ჩრდილოეთ კავკასიაში სამხედრო ძალების გადაყვანა. ამიერიდან, რუსეთის მხედართმთავრები ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ ავჯან-ყებულებს, წვავდნენ და ანადგურებდნენ აულებს, ხოცავდნენ, არბევდნენ მოსახლეობას, არ ინდობდნენ ქალებს, მოხუცებს და ბავშვებსაც. არაერთი კავკასიელთა ტომი შეეწირა ამ ომს. კავკასიელთა გადარჩენილი ნაწილი იძულებული გახდა საზღვარგარეთ გაქცეულიყო. თვითონ რუსეთის ხელისუფლებაც ასახლებდა შორეულ გუბერნიებში და ეს ხდებოდა, რუსეთის მეფის დასტურით.

რუსეთის იმერატორი ალექსანდრე I იძლეოდა მითითებას:

„მთიელი ხალხი დაიმორჩილეთ თანდათან, მაგრამ დაჟინებით, დაიკავეთ მხოლოდ ის, რის შენარჩუნებასაც შეძლებთ, ნუ გავრცელდებით, სხვაგვარად მყარად ფეხზე ვერ დადგებით და ვერ უზრუნველყოფთ დაკავებულ ადგილებს არაკეთილგანწყობილ თავდასხმელებისაგან“. ხოლო, რუსეთის იმპერატორი (1825– 1855) ნიკოლოზ I (1796–1855) კავკასიის მეფისნაცვალს (1828–1829) ივანე პასკევიჩს (1782– 1856) წერდა:

„მას შემდეგ, რაც შესრულდა ეს დავალება, დავალება სომხეთის ზეგანის დაპყრობისა, თქვენ გევალებათ სხვა ამოცანა, ჩემი შეხედულებით უფრო მნიშვნელოვანი, რომელიც პირდაპირი სარგებლის თვალსაზრისით გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია – ეს არის მთიელი ხალხის სამუდამო დამორჩილება ან ქედუხრელების განადგურება“. (107).

(1856–1862) წლებში კავკასიის მთავარსარდალი და კავკასიის მეფისნაცვალი, თავადი ალექსანდრე ბარიატინსკი (1815–1879) 1861 წელს წერდა, რომ:

„უნდა გავანთავისუფლოთ კავკასაიის ზეგანი მოსახლეობისაგან... და ამ მშვენიერ და ნაყოფიერ ადგილებში უნდა შევქმნათ კაზაკთა დასახლებები“. (21, გვ.66). ხოლო რუსეთის იმპერატორს (1855–1881) ალექსანდრე II-ეს (1818–1881) კი, „კავკასიის ომის დამთავ-

რების მილოცვის წერილში იმასაც ატყობინებდნენ, რომ „დროის“ დაუკარგავად და „რამდენადაც შესაძლებელია“ უნდა გადავასახლოთ მთიელები თურქეთში და „რაკი ქვეყანა გაიწმინდება დავამყარებთ იქ ჩვენს ბატონობას სამუდამოდო“. რუსეთის ხელისუფლების მიზანი იყო მთლიანად გაესახლებინათ ჩერქეზები, ყაბარდოელები, უბიხები, აფხაზები, ოსები და სხვა მთიელი ტომები“. 1860-იან წლებში ძირითადად გადაასახლეს საძები, აბაზინები, უბიხები. უბიხები თითქმის მთლიანად გადასახლდნენ თურქეთში. კავკასიაში დარჩა მხოლოდ 13 ოჯახი (80 სული) ყუბანის ოლქის სხვადასხვა ჩერქეზულ აულში და 40 ოჯახი შავიზღვისპირეთის სანაპიროზე სოფელ გოლოვინსკის მახლობლად, სადაც მათ მალე დაივიწყეს კიდეც მშობლიური უბიხური ენა.

ამავე პერიოდში დაგეგმილი იყო აფხაზების თურქეთში გადასახლება. 1864 წელს, ე. ი. კავკასიის ომის დამთავრებამდე, მეფისნაცვალი ალექსანდრე მეორეს პირად წერილში წერდა: „ვიმოქმედებთ წინდა-ხედულად, მაგრამ გაბედულად, რათა საბოლოოდ მთლიანად გავწმინდოთ შავი ზღვის სანაპირო“. (21, გვ.66).

მაგრამ, რუსეთის ხელისუფლებამ ამ დროს, ამ ჩანაფიქრის განხორციელება, აფხაზების გადასახლება, ვერ შეძლო. მაგრამ, აფახაზეთში 1866 წელს, მთავრობის მოხელეთა უხეშმა მოქცევამ, გამოიწვია ლიხნის აჯანყება, რომელიც გადაიზარდა საერთო-სახალხო აჯანყებად. აჯანყებულებმა შეუტიეს სოხუმის ციხესაც. სოხუმში ხელისუფლებამ სხვადასხვა ადგილებიდან დიდძალ ჯარს მოუყარა თავი და ძლიერი ბრძოლის შემდეგ, აჯანყებულებმა უკან დაიხიეს. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა (1863–1867) დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკიმ (1825–1899) მოახერხა სოფლის მამასახლისების მეშვეობით აჯანყებულების დამშვიდება და მათ იარაღი ჩააბარეს. მიუხედავად ამისა, მთავრობამ აჯანყებულების ხელმძღვანელები საჯაროდ ჩამოახრჩეს და ზოგი კი ციმბირსა და სხვადასხვა შორეულ ადგილებში გადაასახლეს. „ხელი-სუფლება გამარჯვებას ზეიმობდა «მახარებს საუკეთესო ცნობები აფხაზეთიდან», წერდა იმპერატორი ალექსანდრე II თავის ძმას მეფისნაცვალს კავკასიაში მიხეილ ნიკოლოზის ძეს“. (6, ტ.V, გვ.252).

ამის შემდეგ რუსეთის მთავრობამ შეძლო აფხაზების გადასახლება თურქეთში.

1864 წლის 27 ივლისის კავაკსიის ომის დამთავრების გამო ალექსანდრე II კავკასიის ჯარების სამადლობელო წერილში წერდა:

„თქვენს იმპერატორულ უმაღლესობას შესაშური წილი ერგო – დააგვირგვინოს საუკუნენახევრის წინ დაწყებული საქმე დასავლეთ კავკასიის დაპყრობისა და პირველმა აუწყოს რუს ხალხს, რომ კავკასიაში ამიერიდან არცერთი ურჩი ტომი აღარ დარჩა“. (45).

რუსეთ-კავკასიის (1817–1864) ომის დროს, იმპერატორების მიერ მიცემულ დავალებებს, კავკასიის მხედართმთავრები ზედმიწევნით ასრულებდნენ. ხოლო მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, ინფანტერიისა (1818) და არტილერიის (1837) გენერალი, 1816 წლი-დან ჯერ ცალკე ქართული კორპუსის მეთაური, შემდეგში კავკასიის ჯარების მთავარსარდალი, რომელიც ხელმძღვანელობდა ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობას, ალექსი ერმოლოვი (1777–1861) (იხ. ქვევით). მისი აზრით, ჩრდილოეთ კავკასიაში წესრიგის დამყარება და ხალხის დამორჩილება შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ძალის გამოყენებით და მხოლოდ მთიელთა განადგურებით. ამისათვის საჭირო იყო ციხე-სიმაგრეების აშენება, თერგიდან სუნჟამდე უნდა გადამწვარი ცარიელი ველები

დარჩენილიყო და მთიელები ჩაეკეტა მთის ხევებში, რომ შიმშილით სული ამოხდომოდათ. მთელი კავკასია უნდა გამხდარიყო რუსეთის იმპერიის ნაწილი და შეუძლებელი იყო ამ რუსეთის მხარეში დამოუკიდებელი სახელმწიფოების ყოფნა. ყველა კავკასიელი, სულ ერთი იყო რომელ სარწმუნეობას ეკუთვნოდნენ, რუსების გარდა, უნდა განადგუ-რებულიყვნენ. ა. ერმოლოვი მთიელებს ყოველთვის იხსენიებდა უდიერად, როგორც „ყაჩაღებს“, „ველურებს“ და სხვ. იგი პირდაპირ მოუწოდებდა კაზაკთა ნაწილებს, რომ ისინი ყოფილიყვნენ ფრთხილად, და ამავე დროს მოულოდნელი თავდასხმებით ჩაჩნებისათვის რაც შეიძლებოდა მეტი ზიანი მიეყენებინად, გადაეწვათ მათი აულები და სხვ.

ცნობილია, რომ ა. ერმოლოვმა დაიბარა ჩაჩანთა მამასახლისები და გამოუცხადა:

„თუ „მშვიდობიან აულებზე“ გაივლის თუ გინდ ერთი ყაჩაღთა რაზმი, მაშინ ყველა მისი მცხოვრებნი იქნებიან მთებში შერეკილნი, სადაც დაიხოცებიან ჭირით, ხოლო მათი ამანათები (არაბ. მძევალი) იქნებიან ჩამოხრჩობილნი... აირჩიეთ! ან მორჩილება, თუ არა და საშინელი ამოწყვეტა“. მისივე თქმით: თვითონ იგი იყო „ჩინგის ხანის შთამომავალი“.

ცნობილია, პ. ერმოლოვის წერილი, რომელიც მან გაუგზავნა (1844–1854) კავკასიის მეფისნაცვალსა და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალს მიხეილ ვორონცოვს (1782–1856) კავკა-სიელი ხალხის შესახებ: „ეს ხალხი ღირსი არ არის ალექსანდრე I-ის სათნო მმართველობისა. მას რკინის კვერთხი ესაჭირეობა. უდიდესი გმირობაა საჭირო, იღწვოდე ისეთი ხალხის სასარგებლოდ, რომლის დამახასიათებელი თვისებაა უმადურობა და რომელსაც რუსეთისადმი მიკუთვნება ბედნიერებად არ ეჩვენება, რომელსაც მრავალჯერ უღალატია მისთვის და კიდევ მზად არის უღალატოს“. (107).

საერთოდ, „ძალის გამოყენებით მთიელების დამარცხება“ და „მთიელების განადგურება“, მეფის რუსეთის დროს, მაშინდელი საზოგადოებისათვის, არ ითვლებოდა დანაშაულად, ეს იყო ჩვეულებრივი მოვ-ლენა და ზოგიერთნი დღესაც აცხადებენ, რომ რუსეთის ხელისუფ-ლების მოქმედება კავკასიელების მიმართ სწორი იყო და დღევანდელ დღესაც კი, რაც ხდება კავკასიაში, ცდილობენ რომ გაამართლონ. თუმცა, მაშინაც კი იყვნენ ისეთებიც, მცირე, მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები და გენერლებიც, რომლებიც ასეთი მოქმედების წინააღმდეგნი იყვნენ. ა. ერმოლოვსაც კი აკრიტიკებდნენ.

ცნობილი მწერალი ივანე ტურგენევი (1818–1883), 1822 წელს, პოეტს, კრიტიკოსს და ლიტერატორს პეტრე ვიაზემსკის (1792–1878) წერდა:

„ეს რა გმირია... ერმოლოვი? ასეთი დიდებით სისხლი იყინება ძარღვებში და თმები ყალყზე დგება“.

კავკასიოლოგი, მეცნიერი და ისტორიკოსი ჯონ ბადდელი (1854–1940) აღნიშნავდა:

„ქრისტიანული და მორალური თვალსაზრისით შეუძლებელია გამართლება იმ ულმობელი პოლიტიკისა, რომელსაც ატარებდა ერმოლოვი“.

1831 წელს, ბარონი, სამხედრო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი და 1830 წლიდან მთავარ-მართებელი კავკასიაში გრიგოლ როზენი (1782–1841) აღნიშნავდა:

„ძნელია დააშოშმინო თავისუფალი და მებრძოლი ტომები მხოლოდ ძალის გამოყენებით. ჩვენ შეგვიძლია მალე დავიმორჩილოთ მთიელები მშვიდობიანი გზით და ვაჭრობით“, შეერ-თებული „მნიშვნელოვან ადგი-ლებში თავმოყრილი მუდმივი ძალებით, მაგალითისათვის, ყველაზე უფრო ჩვენდამი მტრულად განწყობილთა ტომთა დასჯა, როდესაც ჩვენი მარაგი

და მდგომარეობა შეგვიწყობს ხელს“. მაგრამ, ნიკოლოზ I-მა ეს მოწოდება უარყო და გ. როზენს უბრძანა მთელი ძალებით შეეტია მთიელებისათვის.

სამხედრო მოღვაწის, დიპლომატის, კავალერიის გენერლის ალექსი ორლოვის (1786–1861) ძმა, დეკაბრისტი, გენერალ-მაიორი მიხეილ ორლოვი (1788–1842) (ა. ორლოვი მანაწილეობას ღებულობდა დეკაბრისტების აჯანყების ჩახშობაში) წერდა:

„ჩეჩნებისა და სხვა ხალხების დამორჩილება ისევე ძნელია, როგორც კავკასიის მთების გასწორება. ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება ამის მიღწევა ჯოხებით; ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ დროთა განმავლობაში განათლების გზით“ და სხვები.

რუსეთის იმპერიის მიერ (1817–1865) განხორციელებული ჩრდილოეთ კავკასიაში ომი, ძირითადათ მიზანს ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის განადგურებას და გადასახლებას, რომ განთავისუფლებულ მიწებზე, შემდეგში ჩაესახლებინად კაზაკები და რუსები.

XIX საუკუნეში დასავლეთი მხარის ადიღეელები, ძალით გადაასახლეს ყუბანის მხარესა და თურქეთში. ცნობილია, რომ სააღრიცხვო მონაცემებით XIX საუკუნის I ნახევარში დასავლეთ მხარეში, ადიღეელთა მცხოვრებთა რაოდენობა იყო დაახლოებით მილიონი კაცი, ხოლო 1865 წლისათვის დარჩა 106 798 კაცი.

„ჩამორჩენილი, ნახევრად ფეოდალური რუსეთი, ჩრდილოეთ კავკასიას XIX საუკუნის შუა ხანებამდე პირველ რიგში მიიჩნევდა როგორც მხარეს, რომელსაც მის გეგმებში განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ტერიტორიული გაფართოებისა და წარმოქმნილი ფართო კოლონიური იმპერიის შექმნისათვის. ამ მხარის ეკონომიკური ათვისების კითხვები მეორე ხარისხოვნად ითვლებოდა. რუსეთის მიერ რეალურად დამყარება ბატონობისა მთელს ჩრდილოეთ კავკასიაზე და ჩეჩნეთში, პირველ რიგში, შესაძლებელი გახდა უპირატესად მისი თავისი სამხედრო პოტენციალის შედეგიანად გამოყენებითა და ანტიკოლონიური გამოსვლების სისხლიანი ჩახშობით“. (107).

უნდა აღინიშნოს, რომ მთიელთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას და იმ სისასტიკესა და საშინელებს რასაც რუსი დამპყრობლები სჩადიოდნენ, არა თუ საზღვარგარეთის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები აღნიშნავდნენ, არამედ თვით რუსეთის ცნობილი მწერლებიც, ისეთები როგორც იყვნენ ლევ ტოლსტოი (1828–1910), მიხეილ ლერმონტოვი (1814–1841), ალექსანდრე პუშკინი (1799–1837) და სხვ.

XIX საუკუნის 20-იან წლებში, ჩაჩნეთსა და დაღესტანში ჩამოყალიბდა რელიგიური სახელმწიფო – იმამატი, რომელიც რელიგიური მიმდინარეობის მიურიდიზმის მოთხოვნით, ყველა მუსლიმი ვალდებული იყო ებრძოლა „ურჯულოთა“ წინააღმდეგ და ყველა ერთხმად დამორჩილებოდა ბელადს – იმამს. პირველი იმამი გახდა ყაზი-მუჰამადი (ყაზი-მაგომედი, კაზი-მაგომა, ყაზი-მოლა) ბენ მუხხად ბენ ისმაილ ალ-გიმრავი (გიმრიელი) ად-დაღესტანი (1795–1832). იგი იყო ღვთის მოსავი მუსულმანი მეცნიერი, რომელმაც ჩრდილოეთ კავკასიაში დააარსა და გააავრცელა მიურიდიზმი. მან სცადა ყველა ჩრდილოეთ კავკასიელთა ტომთა გაერთიანება. მაგრამ ავარიის ხანი და ტარკის შამხალი მას არ დაემორჩილა. (1820– 1830) წლებში იგი წარმატებით ებრძოდა რუსებს. 1830 წლის თებერვალში გაილაშქრა ავარიის წინა-აღმდეგ, მაგრამ დედაქალაქ, ხუნძახთან დამარცხდა. 1831 წელს მის ხელში აღმოჩნდა ტარკი, ალყა შემოარტყა რუსეთის ციხეებს, გაილაშქრა გროზნაიას და ვლადიკავკაზის წინააღმდეგ. საბოლოოდ რუსებმა მოახერეხეს

მისი დამარცხება. ის ჩრდილოეთ-დასავლეთ კავკასიაში გადავიდა და აულ გიმრში გამაგრდა. 1832 წელს რუსებმა ალყა შემოარტყეს და ბრძოლის დროს დაიღუპა. თანამორწმუნეებმა მისი ცხედარი გაახმეს და რამდენიმე ხნის შემდეგ ჩუმად დამარხეს. ავჯანყება განაგრძო მეორე იმამმა (1832–1834) წლე-ბში მიურიდიზმის მიმდევარმა, ჰამზათ-ბეგმა (1789–1834). ვინაიდან ავარიის ხანები მას არ ემორჩი-ლებოდნენ და რუსეთს ემხრობოდნენ, გაილაშქრა ავარიის სახანოს წინააღმდეგ. ავარიის დედაქალაქ აულ ხუნძახთან ხანის ცოლთან გამართა მოლაპარაკება, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. ამიტომ მან აიღო დედა-ქალაქი და ხანის ოჯახი ამოწყვიტა. ამის შემდეგ თითქმის წელიწად ნახევრის განმავლობაში ჰამზათ-ბეგი ებრძოდა რუსეთის მთავრობას. 1834 წელს მის წინააღმდეგ შეთქმულებმა: ავარიის ხანების მომხრეებმა, მოკლული ხანის ოჯახის წევრებმა და ავარიის ერთ-ერთმა მმართველმა ჰაჯი მურატმა (18 ს-ის 90-ნი წწ.–1852), როდესაც იგი ლოცულობდა მოკლეს. ჰამზათ-ბეგის სიკვდილის შემდეგ მესამე იმამი გახდა, ღაზი-მაჰომედის და ჰამზათ-ბეგის თანამებრძოლი, შამილი. რომელიც, თითქმის 30 წლის განმავლობაში იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხის დამოუკიდებლობისათვის.

შამილი დაიბადა 1797 წელს დაღესტნის აულ გიმრში, ხუნძი გლეხის ოჯახში. წყაროებიდან ჩანს, რომ იგი იყო განსაკუთრებული სამხედრო ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება და რაც მთავარია მას გააჩნდა საოცარი ორგანიზატორული უნარიანობა. იყო მომთმენი და შესანიშნავად ირჩევდა დროს მტრის წინააღმდეგ დასალაშქრავად. იყო მჭერ-მეტყველი, უშიშარი, მამაცი და მოუხელთებელი პიროვნება, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში დასდევდა რუსეთის საჯარისო ნაწილები. ხალხი მასზე ქმნიდა ლეგენდებს. ბავშვობა სასულიერო მუსლიმანურ საზოგადოებაში გაატარა. შემდეგ, მოგზაურობდა დაღეს-ტანში და კარგად გაეცნო მთიელთა ცხოვრებას. XVIII საუკუნის 20-იან წლებში, ჩაება ჩრდილოეთ კავკა-სიის განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რომელიც გააჩაღა რუსეთის იმპერიამ. შამილი იყო ღაზი-მოჰამედის თანამებრძოლი. მისი მმართველობა სახალხო-საგან-მანათლებლო ხასიათს ატარებდა. იგი მკაცრად ებრძოდა ჩრდილოეთ კავკასიაში მიღებულ ადათ-წესებს, რომელიც მიუღებელი იყო ისლამის სარწმუნეობისათვის. მან ჩამოაყალიბა მკაცრი რელიგიური მმართველობა. მის ხელთ არსებული სახელმწიფო, რომელიც ჩამოაყა-ლიბა 1841 წელს – იმამატი, დაყო სანაიბოებად, რომლებსაც მმართავდნენ ნაიბები. იმამის ძალაუფლება შეუზღუდველი იყო. იმამატის მთავარი ადგილი გახდა აული **ახულგო**.

1832 წელს როდესაც რუსეთის ჯარმა ალყაში მოაქცია ყაზი-მოჰამედი და იგი ამ ბრძოლის დროს დაიღუპა, შამილმა, ძლიერ დასახიჩრებულმა, მოახერხა თავის დაღწევა. გამოჯამრთელების შემდეგ, რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ დაღესტნისა და ჩაჩნეთის იმამს (1832–1834) ჰამზათ-ბეგს შეუერთდა. ჰამზათ-ბეგის დაღუპვის შემდეგ, 1834 წელს, აირჩიეს იმამად. შამილმა თავის ძალაუფლებას დაუქვემდებარა როგორც სასულიერო, ასევე სამო-ქალაქო გამგებლობა. მან სახელმწიფო ენად გამოაცხადა არაბული. იგი ცდილობდა გაერ-თიანებინა ყველა ჩრდილოეთ კავკასიის ტომები, ჩრდილოეთიდან შემოჭრილ რუს დამ-პყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად. მან შეძლო მთელი ჩრდილოეთ კავკასიის სხვა-დასხვა ტომისა და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხის ერთად შეკვრა და გაერთიანება. იგი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა რუსეთის საჯარისო ნაწილებს. (1842–1843) წლებში მან ჩამოაყალიბა საარტილერიო იარაღების ჩამოსხმა და შექმნა მთის პირობებში არტილე-

რია. 25 წელიწადი (1834–1859) იყო იმამი და ამ ხნის განმავლობაში, ებრძოდა რუსეთის მთავრობას. 1839 წელს რუსეთის ჯარებმა შეძლეს მისი დამარცხება და დიდი მსხვერპლის დაკარგვით აიღეს აული ახულგო. შამილმა მოახერხა თავის დაღწევა და გადავიდა ჩაჩნეთში, იქ გამაგრდა და ახალი ძალებით შეუტია რუსეთის საჯარისო ნაწილებს. 1840 წელს მას მიემხრო ავარიის ყოფილი მმართველი ჰაჯი-მურატი. ავარია და დაღესტნის სხვა მართვე–ლებიც მას მიემხრნენ. ჩაჩნეთში მისი მთავარი ადგილი გახდა აული **დარგო**. 1843 წელს შამილმა დააპირა რუსების მიერ აგებულ ციხე-სიმაგრის, თემურ-ხან-შურის („თემურ ლანგის ტბა“), აღებას, სადაც იმყოფებოდა 4 000-მდე ჯარის-კაცი, რომელიც წარმოადგენდა ჩრდილოეთ დაღესტანის მთავარი სარდლის ადგილსამყოფელს, ალყაც შემოარტყა, მაგრამ, მისი აღება ვერ შეძლო. 1845 წელს რუსეთის ჯარებმა შეეცადნენ დარგოს აღება, მაგრამ დამარცხდნენ. 1846 წელს შამილმა გაილაშქრა ყაბარდოსა და ოსეთში ციხე სიმაგრეებში განლა-გებულ რუსულ ჯარის ნაწილებზე, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ამავე დროს, როგორც ყოველთვის ხდება, აჯანყებულებს შორის თანდათან დაიწყო უთანხმოება. ზოგი აჯანყებული რუსების მხარეზე გადავიდა. მალე აჯანყებულებს გამოეყო ჩაჩნეთი. ხდებოდა ღალატიც. ამის გამო შამილი 1847 წლის შემდეგ რამდენჯერმე დამარცხდა. შამილის რაზმში ადიღე-ელებიც ღებულობდნენ მონაწილეობას. ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ შავიზღვისპირეთში განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა, როდესაც 1848 წელს შამილმა თავისი „ამინი“ (ერთ-გული) მუჰამედ ემინი (მოჰამედ ამინი) (1818–1863) გააგზავნა, რომელიც ადიღე-ელების აჯანყებას სათავეში ჩაუდგა. ყირიმის ომის დროს, შამილმა შეეცადა კავშირი დაემყარებინა ინგლისთან და თურქეთთან, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

ყირიმის ომის დროს, საქართველოს გამუდმებით საფრთხე ელოდა ჩრდილოეთის მხრი-დან, რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი მიურიდების შემოჭრისა. ამიტომ, მუდმივ მზად-ყოფნაში უნდა ყოფილიყვნენ როგორც ქართველების, ასევე საქართველოში მყოფი რუსეთის საჯარისო ნაწილები.

„რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში შამილიც დიდ როლს ასრულებდა ოსმალოთა სასარგებლოდ და ისიც სულთნისაგან ჯილდოებსა და ხარისხებს ღებულობდა: „შამილმა, ოფიციალურად მიიღო ჩერქეზეთის და საქართველოს ჯარების გენერალისიმუსის წოდება“. (26, გვ.139).

როდესაც თურქეთის ჯარის მთავარსარდალმა ომარ-ფაშამ (წარმოშობით ხორვა-ტიელი მიხაილ ლატტასი) (1806–1875) ჯარი გადმოსხა ბათუმში, მას უნდოდა გურია-სამეგრელოდან აფხაზეთის გავლით „დაკავშირებოდა შამილს და მისგან დახმარებას მოელოდა, მაგრამ ქართველმა ხალხმა ჩაშალა შამილის გეგმა. აი, რას სწერს შამილი ომარ-ფაშას: „მე დიდი ჯარით გამოვედი თქვენთან შესაერთებლად, მაგრამ ჩვენი შეერთება შეუძლებელი გახდა, იმ ბრძოლის გამო, რაც ჩვენ და ქართველ თავადებს შორის მოხდა. ჩვენ მათ წავართვით ჯოგები, ქონება, ცოლ-შვილი, დავიმორჩილეთ მათი ციხეები და დიდი ალაფით და ზეიმით დავბრუნდით შინ. გიხაროდეთ თქვენც“. შამილს ანალოგიური წერილი გაუგზავნია ყარსში მყოფ ინგლისის გენერალ ვილიამსისათვის, ამ წერილებით იგი დიპლომატობდა თავისი პოზიციების გასა-მაგრებლად.

ომარ-ფაშამ შამილი ჩერქეზთა ტომების უფროსად აღიარა. ომარ-ფაშასთვის მას უნდა შეეგროვებინა 20 000 კაცი. სულთანი შამილს ჰპირდებოდა, რომ თბილისის აღების შემდეგ

მიიღებდა მეფობას“. (26, გვ.142).

„გურიაში ოსმალების შემოსევის ერთდროულად ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოში შამილის მეთაურობით მიურიდების შემოსევასაც. შამილი საინგილოში შეიჭრა და ზაქათალისა და ბელაქნის ციხეების აღებას ლამობდა, მაგრამ ქართველთა და რუსთა რაზმებმა გენერალ გრიგოლ ორბელიანის მეთაურობით ალაზანზე მომდგარი მტერი უკუაგდეს, შამილის ამ დივერსიას არავითარი გავლენა არ მოუხდენია ომის საერთო მსვლელობაზე“. (6, ტ.V, გვ.197).

წყაროებიდან ცნობილია, რომ შამილმა საინგილოში თავდასხმა მოაწყო თავისი შვილის გამოსახსნე-ლად, რასაც მიაღწია კიდევაც.

1853 წელს ადიღეელებმა შეეცადნენ რუსეთის მიერ აგებული ციხე-სიმაგრეების დაკავება მაგრამ ვერ შეძლეს. შამილის ჯარებმა 1854 წელს აიღეს და გაძარცვეს წინანდალი, მაგრამ ქართველთა და რუსეთის ჯარის მოახლოებისას უკან დაიხიეს და ისევ დაღესტანში დაბრუნდნენ.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ, 1856 წელს პარიზში, რუსეთსა და ევროპის ქვეყნებს შორის დადებულმა საზავო ხელშეკრულებამ, რუსეთს საშუალება მისცა კავკასიის საჯა რისო ნაწილები გაეძლიერებინა და მთელი ძალით შამილისთვის შეეტია. 1856 წელს კავკასიის მეფისნაცვლად და კავკასიის მთავარსარდლად იპერატორმა დანიშნა ალექსანდრე ბარიატინსკი. იგი „ხელმძღვანელეობდა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლის ჩახშობას. შეიმუშავა სტრატე-გიული გეგმა, რომლის მიხედვით მთიელთა დასახლებების დროდადრო დალაშქვრის ნაცვლად თანდათანობით უნდა დამკვიდრებულიყვნენ ამ ტერიტორიაზე. სტრატეგიული რკალის საბოლოო შეკვრით გაეტეხა შამილის წინააღმდეგობა“. (8, ტ.2, გვ.209). რუსეთმა კავკასიაში თითქმის 200 000 ჯარისკაცს მოუყარა თავი და აჯანყებულებს სამი მხრიდან: ჩაჩნეთიდან, კასპიისპირეთიდან და სამხრეთიდან – ლეკთა მხრიდან დაიწყო შეტევა. ამ დროს შამილი **ვედენოში** იყო გამაგრებული. მხოლოდ 1859 წელს რუსებმა შეძლო მისი აღება. შამილი, 400 მიურიდებთან ერთად, გადავიდა დაღესტანის მაღალმთიან აულ **ღუნიბში** და იქ გამაგრდა. 16 000-მდე აღწევდა კავკასიის საჯარისო ნაწილი, რომელიც ყოველი მხრიდან ღუნიბს უტევდა და მხოლოდ, როდესაც მოღალატემ გასცა საიდუმლო ბილიკი, რომლის შემწეობითაც აულში შევიდნენ კავკასიის საჯარისო ნაწილები, 1859 წლის 25 აგვისტოს (ახ. 7 სექტემბერს) შამილი ჩაბარდა რუსების არმიას მისთვის საპატიო პირობითი წინადადებებით. კავკასიის მთავარსარდალმა ბარიატინსკიმ „გამოსცა თავისი «სახელგანთქმული» ბრძანება: «ღუნიბი აღებულია, შამილი დატყვევებულია. ულოცავ კავკასიის ჯარს». შამილი, მარქსის თქმით, იყო «დიდი დემოკრატი» შეპყრობილი ერთი მუჭა მისი ხალხით, 200 000 მეფის მთავრობის ჯარის მიერ დატყვევებული და წაყვანილი პეტერბურგში“. (113, ტ.61, გვ.806). რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-ემ, პეტერბურგში შამილის მიღების შემდეგ, მას და მის ოჯახის წევრებს, უფლება მისცეს ეცხოვრათ რუსეთის ქალაქ კალუგაში. 1866 წელს მან ფიცი დადო და 3 წლის შემდეგ რუსეთის თავადაზნაურის წოდება მიენიჭა. 1868 წელს ჯამრთელობის გაუარესების გამო, საცხოვრებლად გადავიდა კიევში. ხოლო 1870 წელს ალექსანდრე II-ემ უფლება მისცა გამგზავრებულიყო მექაში, სადაც 1871 წელს გარდაიცვალა. დაასაფლავეს მედინაში ალ-ბაკიას სასაფლაოზე (დღ.

საუდის არაბეთი).

შამილის დატყვევების შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიაში, დაიშალა იმამატის სახელმწიფო.

შამილის და მისი მოძრაობის შესახებ, პირველ, დიდ საბჭოთა კავშირის ენციკლოპედიაში წერია, რომ:

„შამილი გახდა სასულიერო იმამი და 1834 წლის საერო ბელადი. ავჯანყების ხელმ-ძღვანელობისას, შამილმა გამოამჟღავნა მხედართმთავრის თვისებები. სარგებლობდა რა ავჯანყებულთა შორის ფართო სახე-ლით, შამილი წარმოადგენდა ჰაზავათის საქმის პირველი გამავრცელებელი და ამავე დროს როგორც გამოჩენილი მსხვილი სამეურნეო იმამატის ხელმძღვანელი. გამოჩენილი საკუთარი გმირობა, საზრიანი გამბედაობა და თანამემამულეების მოჩვენებით შამილის დაუჯერებელი «მოუხელთებულობა», რომელსაც მეფის მრავალრიც-ხოვანი ჯარის რაზმები ათწლეულობით დასდევდნენ, შამილის სახელს, დიდების შარავან-დედით გარშემოევლნენ სახალხო ლეგენდებით... «ყველა კავკასიელთა ოლქები, რომ გაერ-თიანებულიყვნენ ერთი მბრძანებლის სამხედრო მეთაურის ქვეშ, – წერდა მარქსი, შამილის ავჯანყების განხილვისას, – მათ შეეძლოთ მნიშვნელოვანი დაბრკოლება შეექმნათ მეზობელ კაზაკთა ოლქებისათვისაც კი»“. (113, ტ. 61, გვ.806).

ფრანგი მწერალი და კრიტიკოსი ედმონდ ტექსე (1816–1887) ასე ახასიათებდა შამილს:

„შამილი... იყო არა მხოლოდ სამხედრო მოღვაწე, არამედ კარგი კანონმდებელი... მან შეძლო გაერთი-ანებინა მტრული ტომები და შეუქმნა მათ საერთო მისწრაფება; მან შეჰქმნა რეგულარული ჯარი თავი-სუფალ მეომარ ხალხში, გააერთიანა რიგი ტომები ერთი საღმრთო ომის დროშის ქვეშ; მან მისცა მათ საერთო სამოქალაქო კანონი“. (102).

ბარონი ავგუსტ ჰაკხტჰაუზენი (1792–1866), რომელმაც იმოგზაურა იმ დროს რუსეთში, წერდა:

„მან ადრეულ ასაკიდან გამოავლინა რკინისებური ძალის ნებისყოფა და ამაყობა ყველა მის საქციელში სიმშვიდე, რომელსაც არაფერს არ შეეძლო მისი შერყევა... ბუნებამ დააჯილდოვა იგი მომხიბლველობით და მგზნებარე მჭერმეტყველებით. შეუპოვრობაში, შორსმჭვრეტელობაში და სხვა ამდაგვარ მის ღირსებებში მთიელთაგან არავის ეჭვს არ იწვევდა... საერთოდ იგი ეწეოდა პარტიზანულ ომს, მაგრამ ისეთი ძალით და მოხერხებით, რომლის მაგალითები იშვიათად გვხვდება ისტორიაში... შამილის სამხედრო ხერხები და გაბედულება უფრო მეტად ხორციელდებოდა იმის გამო, რომ მან შეძლო თავის ხალხში დაემყარებინა საზოგადოებრივი გაერთიანება და წესრიგი, ამდენი წლის განმავლობაში სასტიკ და არაბუნებრივ ომში“. (104).

შამილის პირადი მდივანი ჰაჯი-ალი, თავის მოგონებებში ასე ახასიათებდა მას:

„შამილი იყო მეცნიერი ადამიანი, ღვთის მოსავი, შორსმჭვრეტელი, მამაცი და ამავე დროს კარგი მხედარი, მსროლელი, მოცურავე, მორბენალი, ერთი სიტყვით, ვერავინ ვერა-ფერში ვერ შეეჯიბრებოდა მას. მან კარგად შეისწავლა ხალხი და დაღესტნის მიწა იმ დროს, როდესაც იმყოფებოდა ჰამზათ-ბეგთან. იგი იყო შემძლე რასაც კი ჩაიფიქრებდა“. (104).

ისტორიკოსი სერგეი ბუშუევი (1906–1958) წერს, რომ:

„უკლებლივ თითქმის ყველა შამილის თანამედროვეები აღნიშნავენ მის განსაკუთრებულ

უნარიანობას სამხედრო და ადმინისტრაციულ საქმეებში. გარდა ამისა, იგი იყო ორატორი, მას შეეძლო მის ხელქვეით მყოფი მოსახლეობის სიტყვის ძალით თავის მხარეზე გადმოეყვანა. «მისი სიტყვა ახდენდა იმ მოქმედებას, რაც მას უნდოდა, რომ მიეღწია». მაგომედ-თაგირი ერთ-ერთი უახლოესი შამილის მიურიდებიდან, თავის მოგონებებში შამილს გვიხატავს როგორც განსაკუთრებულ გმირს, მას უწოდებს «ისლამის ლომს»...

არა ნაკლებ მაღალი შეხედულებისა იყო შამილზე აბდურახმანი, რომელიც თავის მოგონებებში, ასევე ჯეროვნად აფასებდა ამ გამოჩენილ მოღვაწესა და მიურიდების მოძრაობის ხელმძღვანელზე". (104).

ისტორიკოსს ვალერიან ელანიძეს მოჰყავს მწერლისა და ფოლკლორისტის ივანე ბუქურა-ულის (1869–1943), 1897 წელს №8 ჟურნალ „მოამბეში" გამოქვეყნებული წერილიდან სიტყვები:

„ხალხური გადმოცემების, საარქივო საბუთებისა და ზოგიერთი ლიტერატურულ-ისტორიული ხასიათის ცნობის მიხედვით კარგად ჩანს, თუ როგორ ზრუნავდა შამილი, რომ ქართველი მთიელები თავის მხარეზე გადაეყვანა. „შამილს, რასაკვირველია, სურდა გამოეგლიჯა ეს მამაცი, გაუტეხარი და თავდადებული თავის სამშობლოს ხალხი რუსების ხელიდან. ამისათვის შამილი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ განეხორციელებინა თავისი მიზანი. ჯერ ტკბილ სიტყვებითა და უხვი პირობებით მიმართა შამილმა და შემდეგ, როდესაც თუშებმა უარჰყვეს, ხმალი და ცეცხლი შეიტანა ამ მხარეში. როგორც იმ დროის მომსწრენი ამბობენ, შამილს თურმე ეთქვა, რომ ოღონდ თუშები შემიერთდნენ და სუყველას ნაიბობას მივცემო. დიდი პოლიტი-კოსი იყო შამილი. ერთი თუში, გამოჩენილი თავის სიტყვით და გავლენიანი თუშებში, ტყვედ იქნა წაყვანი-ლი ლეკებისაგან. ლეკებმა ეს თუში მიჰგვარს შამილს. შამილმა თავისთან დაიჭირა თუში. ერთ დილას, სეირნობის დროს თურმე მოიხმო თუში და მიმართა შემდეგი სიტყვებით: „თუშებო, რა გინდათ ჩემგან, ან თქვენ და ან ქართველებს. რათ მეწინააღმდეგებებით. მე ხომ თქვენი მტერი არა ვარ. ვებრძვი ჩვენს საერთო მტერს – რუსებს და თქვენ კი არ მასვენებთ. მე მსურს გავრეკო კავკასიიდან საზიზღარი გიაურები და აღვადგინო ჩემი მამა-პაპის სამეფო სახლი. არავისათვის არ მითქვამს და არც არავინ არ იცის მე ვინა ვარ და გარემოება მაიძულებს, რომ გაგიმჟღავნო ჩემი ვინაობა. მე ვარ თქვენივე მეფე ერეკლეს შვილის ალექსანდრეს შვილი. ბატონიშვილი ალექსანდრე, როდესაც სპარსეთში იმყოფებოდა, სცხოვრობდა ერთ ხანის ასულთან, ხანის ასული ბატონიშვილისაგან ორსულად შეიქმნა, რომ მამის რისხვა აეცილებინა თავიდან, იგი ვიღაცას გამოჰყვა დაღესტანში და აქ მშობა მე – შამილი. დიაღ, მე მეფე ერეკლეს ჩამომავლობიდან ვარ და მსურს აღვადგინო სახელოვანი პაპის ტახტი და საქართველოს თავისუფლება". როგორც ივ. ბუქურაული შენიშნავს: „ყველა შამილის მეცადინეობამ ამაოდ ჩაიარა. თუშებმა თავისი არ დაიშალეს და არ ზოგავდნენ არაფერს, რომ დაეცვათ რჯული და მიწა-წყალი". (27, გვ.262).

მომდევნო წლეებში, ჯერ რუსეთის ხელისუფლებამ და შემდეგში საბჭოთა წყობილებამ, შავი დღე აყარა ქართველ მთიელებს.

შამილის დატყვევების 3 თვის შემდეგ, 1659 წლის ნოემბერში, რუსებს დანებდა ადიღეელთა და დასა-ვლეთ კავკასიის მთიელთა ხელმძღვანელი მუჰამედ ემინიც. იგი ერთხანს იმყოფებოდა რუსეთში, შემდეგ თურქეთში გადავიდა და იქვე გარდაიცვალა.

დაღესტნისა და ჩაჩნეთის მთიელთა გამათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილე ჰაჯი-მურატი (ჰაჯი-მურად ხუნძახელი) (XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასასრული – 1852) იყო ავარიის სახანოს ერთ-ერთი მმართველი. როგორც ზევით აღვნიშნეთ იგი მონაწილეობას ღებულობდა მის ძმასთან ერთად, 1834 წელს მეორე იმამის ჰამზათ-ბეგის მკვლელობაში. ერთ ხანს რუსეთის ჯარსა და ავარის მოსახლეობას შორის შუამავლის როლს ასრულებდა. მაგრამ, 1836 წელს შამილთან კავშირის ბრალდებით დააკავეს და გენერალ ფრანც კლიუკვი-ფონ-კლიგენაუს (1791–1851) ბრძანებით გააგზავნეს **თემურ-ხან-შურის** ციხე-სიმაგრეში (დღ. ბუინაკსკი). გზაში მოახერხა გაგცევა და შეუერთდა შამილს. მალე, თავისი გამბე-დაობით და შეუპოვრობით მოიპოვა აჯანყებულებს შორის სიყვარული და იგი 15 წლის განმავლობაში შამილის მარჯვენა ხელი იყო. შამილმა იგი დანიშნა მთელი ავარიის ნაიბად. მაგრამ შამილსა და ჰაჯი-მურატს შორის ეტყობა, რომ უთანხმოება ჩამოვარდა და 1851 წელს შამილს გაექცა და არღუნის ხევში რუსეთის ჯარს ჩაბარდა. მეფის მთავრობა ცდილობდა მთიელებს შორის მისი ფართოდ გავრცელებული სახელის გამოყენებას მთიელთა ტომების გადმოსაბირებლად. რუსების მისდამი ასეთი საეჭვო დამოკიდებულების გამო, როდესაც იმყოფებოდა აზერბაიჯანში, ჰაჯი-მურატიმ შეეცადა გაგცეულიყო მთებში. მაგრამ კაზაკებთან ბრძოლისას **ნუხასთან** ახლოს იგი მოკლეს. მისი საფლავი მთიელთათვის გახდა სათაყვანებელ ადგილად.

გამოჩენილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა (1803–1870) ჰაჯი-მურატის მკვლელობას შემდეგნაირად აღწერს: „ჰაჯი-მურატი კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული სახელია. იგი ლეგენდის გმირია. რაც უფრო გავა დრო, მით უფრო გაიზრდება მისი აჩრდილი....

ბელაჯიკსა და კახს შორის დაეწივნენ. ჰაჯი-მურატს თავისი ნუკერით ტყეში დაებანაკებინა. ტყეს ალყა შემოარტყეს და სროლა დაუწყეს. ნუკერი პირველსავე გასროლაზე მოკლეს. ჰაჯი-მურატმა კი ოთხი კაცი გაისტუმრა საიქიოს, ხოლო შვიდი დასჭრა, შემდეგ ხმალი ხეს მიამსხვრია და თვითონაც ექვსი ჭრი-ლობით დაეცა. იქვე მოჰკვეთეს თავი, ზაქათალაში ბალზამი გაუკეთეს და თბილისში წაიღეს. მე მაქვს ამ მოჭრილი თავის ნატურიდან გადაღებული ნახატი“. (39, გვ.131–132).

მწერალი და ლიტერატურათმცოდნე აკაკი გაწერელია (1910–1996) წერს, რომ: „დიუმას ცნობა იმის შესახებ, რომ ჰაჯი-მურატის მოკვეთილი თავი ჩაუდვიათ სპირტში და გაუგზავნიათ თბილისში – მართალია....

ჰაჯი-მურატის მოჭრილი თავი მოითხოვა თვითონ მთავარმართებელმა ვორონცოვმა....

ვორონცოვისავე დღიურში აღნიშნულია, რომ 1852 წ. 30 აპრილს თავი ჩამოუტანიათ თბილისში და მეფის ნაცვლის ბრძანებით ჰოსპიტალში მოუთავსბიათ. ჰაჯი-მურატის თავის სურათი გადაუღია მხატვარ კო-რადინს, რომელიც თბილისში მსახურობდა. ამის შემდეგ შამილის ნაიბის თავი გადაგზავნილ იქნა პეტერბურგში“. (39, გვ.482).

1860 წელს რუსებმა, XVII–XIX საუკუნეში ადიღეელთა ერთ-ერთი ეთნიკურ ერთობაში შემავალი **ნათხვაჯების** ტომიც დაიმორჩილეს. (1862–1864) წლებში რუსებმა შეძლეს ჩრდილოეთ კავკასიის ტომთა მედგარი წინააღმდეგობის დაძლევა. მათ შორის, რუსებმა დაიმორჩილეს ადიღეელთა **აბაძეხების**, **შაფსუ-ლების** და აფხაზურ-ადიღურ **აბაზინების** ტომები. 1863 წელს რუსებმა დაიპყრეს ყუბანის მხარე. 1864 წლის მარტში რუსებმა

დაიმორჩილეს აფხაზურ-ადიღური ტომი **უბიხები**, ხოლო, იმავე წლის 21 მაისს რუსეთის ჯარმა დაიპყრო, მდ. მზიმთის სათავეში მთიელთა ბრძოლის უკანასკნელი სიმაგრე აულ **გუბაადვში** (რუსულად კბაადა, დღევ. კრასნაია პოლიანა) რითაც დასრულდა ჩრდილო კავკასიის ტომთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა და „ახჩიპსხუს ცენტრში, სოფელ კბაადაში მეფის რუსეთის ჯარებმა ზეიმით აღნიშნეს კავკასიის დამორჩილებისათვის წარმოებული თითქმის საუკუნოვანი ომის დასასრული“. (6, ტ.V, გვ.225). მაგრამ კავკასიის ომი, სინამდვილეში, ამით არ დამთავრებულა. მთიელთა ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ სხვადასხვა ადგილას მაინც გრძელდებოდა.

რუსეთ-კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი წესწყობილება და თავისი ულმობელი სამხედრო ადმინისტრაციული მმართველობა დაამყარა. კავკასია გახდა რუსეთის იმპერიის კოლონია. რუსეთის იმპერიის მესვეურების მთავარი მიზანი იყო როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადგილობრივი მცხოვრებლების გადაგვარება, გარუსება, ან დაუმორჩილებელი ტომების აყრა, გადასახლება და მათ ადგილებში კაზაკების ჩასახლება. რასაც ანხორციელებდა კიდევაც. შავიზღვისპირეთში ასახლებდნენ მხოლოდ რუსებს და მცირე რაოდენობით სხვა ერის წარმომადგენლებს (სომხებს, გერმა-ნელებს, ბერძნებს, ესტონელებს და მოლდაველებსაც), გარდა კავკასიელებისა.

ყველაზე უფრო საუკეთესო მიწები დაურიგა გადმოსახლებულ კაზაკებსა და რუსებს. ამის გამო და კავკასიის ომისა და გადასხლებას (მუჰაჯირობას) გადარჩენილი ჩრდილოეთ კავკასიელები იძულებული იყვნენ თავი შეეფარებინად მთებს, ან ყუბანისა და თერგის მიდამოებში დამპყრობლებთან ერთად უნდა ეცხოვრათ რთულ ვითარებაში.

რუსეთის ხელისუფლებამ კავკასია დაანაწილა ოლქებად, რომელსაც მმართავდნენ რუსი მოხელეები და პოლიციელები. როგორც ცნობილია რუსეთის ხელისუფალნი ყოველთვის ცდილობდნენ გაერუსებინად დაპყრობილი მოსახლეობა. დაწესებულებებსა და სკოლებში შემოღებული იყო სავალდებულო რუსული ენა და სხვ.

მიუხედავად მთიელთა „დაწყნარებისა“, რუსეთის ხელმძღვანელობა მაინც არ ენდობოდა მთიელებს. ხელახლა დაწყებული რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1877–1878), ჩრდილოეთ კავკასიელები ავჯანყდნენ ჩაჩნელი ალიბეკ-ჰაჯის ალდამოვის (1855–1878) ხელმძღვანელობით. ალიბეკ-ჰაჯი იყო ჩაჩნელი გლეხი აულ ზანდეკიდან. იგი ჩაჩნეთში აირჩიეს იმამად და 1877 წლის აპრილში, იმამატის აღდგენის მოწოდებით მოაწყო ავჯანყება, ეს ავჯანყება ერთი წლის შემდეგ ჩაახშვეს მრავალრიცხოვანი სადამსჯელო ჯარის მეშვეობით. სხვადასხვა მონაცემებით, 1 ჩაჩანზე მოდიოდა 15 ჯარისკაცი. ავჯანყებაში მონაწილე ყველა ცნობილი კავკასიელი ჩამოახრჩვეს და ათასობით მთიელები ციმბირში გადაასახლეს. ალიბეკ-ჰაჯიც დაიჭირეს და საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით 1878 წლის 9 აპრილს გროზნოში ჩამოახრჩვეს. ამის გარდა, კიდევ ერთი დიდი ავჯანყება მოხდა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთ-იაპონიის ომის (1904–1905) დროს. 1905 წლის რუსეთის რევოლუციის დროს, თავიანთი კუთვნილი მიწების დაბრუნების მიზნით, ჩაჩნები ავჯანყდნენ. რუსეთის ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო ავჯანყება. ამბოხებულთა ნაწილი ჩამოახრჩო, ხოლო დანარჩენნი ციმბირში გადაასახლა.

1908 წლის 4 სექტემბერს სტამბოლში ჩატარდა ჩერქეზთა კრება. ჩამოყალიბდა ურთიერთდახმარებისა და გაერთიანების საზოგადოება – „ჩერქეზთა საზოგადოება“.

შემდეგში ამ საზოგადოების საფუძველზე წარმოიქმნა „ჩრდილოეთ კავკასიის საზოგადოება“. ორივე საზოგადოება იბრძოდა კავკასიის დამოუკი-დებლობისათვის და ცდილობდა ყოველმხრივ დახმარებოდა თანამემამულეებს.

1914 წლის მსოფლიო ომის დროს ცხადი გახდა რუსეთის იმპერიის დამარცხება.

კავკასიელებს იმედი გაუჩნდათ, რომ შეძლებდნენ თავისუფლების მოპოვებას და ამავე ხანებში ჟენევაში ჩამოყალიბებულმა „დამოუკიდებლობის კომიტეტმა“, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ ბერლინში გადავიდა, კავკასიელებს მოუწოდებდა დამოუკიდებლობისათვის ებდრძოლად და რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებები დაეწყო. ამავე ხანებში კავკასიაში ჩამოყალიბებულმა „კავკასიის კომიტეტმა“ ბერლინსა და ვენაში, გააგზავნა თავისი წარმო-მადგენლები. 1916 წელს კომიტეტის წევრებმა: ჩრდილოეთ კავკასიის, საქართველოს და აზერ-ბაიჯანის წარმომადგენლებმა, ევროპის ხელმძღვანელებს გადასცეს მემორანდუმი და აუხსნეს კავკასიაში განვითარებული მოვლენები. ამავე დროს სთხოვდნენ, კავკასიის კომი-ტეტში შემავალ დამოუკიდებელი სახელმწიფოების კავშირისათვის შეძლებისდაგვარად ყოველმხრივ დახმარებას.

რამდენიმე ხნის შემდეგ, თურქეთში მომქმედ „კავკასიის კომიტეტს“ შეეცვალა სახელ-წოდება და დაერქვა „ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური ემიგრანტების კომიტეტი“. კომი-ტეტი ცდილობდა დახმა-რებოდა რუსეთში მყოფ კავკასიელებს.

1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის დროს, მაისში ჩატარდა ჩრდილოეთ კავკასიის I ყრილობა, რომლის დროსაც ჩამოყალიბდა „გაერთიანებული მთიელ კავკასიის კავშირის დროებითი მმარ-თველობა“. ამავე წლის სექტემბერში ჩატარებულ კავკასიის II ყრილობაზე მიიღეს „ჩრდილოეთ კავკასიის სახლმწიფოთა დროებითი კონსტიტუცია“ და გამოცხადდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა და დაღესტნის პოლიტიკური გაერთიანება.

როდესაც ბოლშევიკებმა რუსეთში ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, ჩრდილოეთ კავკასიის წარმო-მადგენლებმა დაიწყეს მოლაპარაკებები თბილისში, ბაქოში და ტრაპიზონში (ტრაბ-ზონი, ტრაპეზუნტი), შემდეგ, თურქეთში მომქმედი „ჩერქეზეთის ურთიერთდახმარების საზოგადოების“ შემწეობით, ჩრდილოეთ კავაკსაიის წარმომადგენლებმა, თურქეთის მთავრო-ბასთან ხელი მოაწერეს ურთიაერთდახმარების ხელშე-კრულებას და 1918 წლის 11 მაისს სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან გამოაცხადეს ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებ-ლობა და რუსეთის ფედერაციიდან გამოსვლა.

თურქეთთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, თურქეთის მთავრობა დიდ დახმა-რებას უწევდა ჩრდილოეთ კავკასიელებს სახელმწიფოს ჩამოყალიბებაშიც და ჯარითაც. მაგრამ I მსოფლიო ომში დამარ-ცხების გამო, თურქეთი იძულებული შეიქმნა ანტანტასთან 1918 წლის 30 ოქტომბერს ხელი მოეწერა მუდროსის (ეგეოსის ზღვაში კუნძული ლემნოსი) დროებით ზავს. რომლის მე-11-ე მუხლის თანახმად თურქეთს უნდა გამოეყვანა ჯარი კავკა-სიიდან. 1918 წლის 28 დეკემბერს თურქეთმა დატოვა ჩრდილოეთ კავკასია. (115). ამრიგად ახლად ჩამოყალიბებული ჩრდილოეთ კავკასიის სახელმწიფო აღმოჩნდა უკიდურეს მძიმე მდგომარეობაში, ვინაიდან ის მოექცა ამ ხანებში ორ ერთმანეთთან, მტრულად განწყობილ, თეთრ გვარდიელებსა და წითელ ჯარს შორის.

როგორც ცნობილია, 1919 წლის 8 იანვარს, ე. წ. თეთრ გვარდიელებმა (ვოზროჟდიონიე სილი იუგა როსსიი, „ვსირ“), ნებაყოფლობითი არმიამ და ვსეველიკოე ვოისკა დონის არმიამ

ერთობლივად დაიწყეს ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიის კაზაკთა მხარეში. პირველად, კავკასიის მთიელები, ვინაიდან თეთრ გვარდიელები ებრძოდნენ ბოლშევიკებს, მიემხრნენ თეთრ გვარდიელებს, მაგრამ, როდესაც თეთრ გვარდიელების მხედართმთავარმა ანტონ დენიკინმა (1872–1947) მოინდომა „ერთიანი, განუყოფელი რუსეთის“ აღდგენის მიზნით, კავკასიის დაპყრობა და რუსეთთან შეერთება, ჩრდილოეთ კავკასიელებმა დაიწყეს მის წინააღმდეგ ბრძოლა. ვინაიდან ჩრდილოეთ კავკასიელებს უნდოდათ დამო-უკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბება, ა. დენიკინმა ისინი „ნაციონალ ბოლშევიკებად“ მონათლა და შეუდგა აულებისა და დაუმორჩილებელი მთიელების განადგურებას. დაიწყო სისხლის მღვრელი და უმო-წყალო ბრძოლები. ამის გამო, ჩრდილოთ კავაკსიელთა ნაწილი ბოლშევიკებს მიემხრო. ყაბარდოელთა და ჩრდილოეთ ოსეთთან ჩატარებული ბრძოლების შემდეგ, ა. დენიკინი შეიჭრა ჩაჩნეთ-ინგუშეთში. მაგრამ აქ გაუწიეს მას ისეთი წინააღმდეგობა, რომ შემდეგში, როგორც თვითონ წერდა, აქ დახვდა „ბობოქარი ვულკანი“ და მას მოუწია მთელი მისი საუკეთესო ჯარის ნაწილების თავმოყრა. მართალია მან „ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ დაამარცხა, მაგრამ, მთიელთა დამორჩილება მაინც ვერ შეძლო.

„1919 წლის სექტემბერში, დაღესტნის ივლისის და აგვისტოს ჩაჩნეთ-ინგუშეთის შეიარაღებული აჯანყებებისას, შეიხმა უზუნ-ჰაჯიმ, გაანთავისუფლა დაღესტანი, ჩაჩნეთი, ოსეთი და ყაბარდო დენიკინისაგან და გამოაცხადა ხელახლა ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობა „ჩრდილოეთ-კავკასიის ემირატის“ სახელწოდებით“. და დენიკინი იძულებული გახდა დაეტოვებინა კავკასია. (92).

უზუნ-ჰაჯი სალტიელი (უზუნ-ხაირ ჰაჯ-ხანი) (1848–1920) იყო დაღესტნის რელიგიისა და პოლიტიკური ხელმძღვანელი, „ჩრდილო-კავკასიის ემირატის“ ემირი (მმართველი).

უზუნ-ჰაჯი მონაწილეობას ღებულობდა 1877 წლის ადიღეელების აჯანყებაში. მისი ჩახშობის შემდეგ, უზუნ-ჰაჯი გადაასახლეს სამარის ოლქში 7 წლით. მაგრამ მან 4 წლის შემდეგ მოახერხა გაქცევა და დაბრუნდა დაღესტანში.

1910 წელს ხელახლა დაიჭირეს თავის სოფ. სალტაში უნებართვო მედრესის (სასულიერო სასწავლებელი) მშენებლობისათვის და გადაასახლეს ასტრახანში. მალე აქედანაც შეძლო გაქცევა და მოახერხა მექაში სალოცავად წასვლა. 1 წლის ლოცვა-სიარულის შემდეგ ჩავიდა გროზნოში. 2 წელი იმყოფებოდა ჩაჩნეთში და ქადაგებდა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. 1916 წელს დაბრუნდა თავის სოფელში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს, მისი მონაწილეობით ჩამოყალიბდა დაღესტნის კომიტეტი და მისივე ზეგავლენით კომიტეტმა მოითხოვა, დაღესტანში ჩატარებულიყო შარიათის (მუსულმანურ სახელმწიფოში სამართლის რელიგიური და იურიდიული ნორმათა ერთობლიობა) რეფერენდუმი. ყველა დაღესტანელმა მხარი დაუჭირა შარიათის მიღებას.

1917 წლის 10 აგვისტოს დაღესტანში ჩატარებულმა ყრილობამ, უზუნ-ჰაჯის თაოსნობით, მიწის საკითხის განხილვისას, მიიღო დადგენილება, რომ ყველა დაღესტნის მიწები, რომელიც ადრე, მეფის ხელისუფლების განკარგულებაში იყო და ასევე კასპიის ზღვის წყლები, რომელიც დაღესტნის საზღვრებში იყო მოქცეული უნდა დაბრუნებოდა დაღესტნის

ხალხს. ამის გარდა, ის მიწებიც რომელსაც ფლობდნენ ბეგები (თავად-აზნაურები) და ის მიწებიც რომლებიც ბეგების მიერ იყო გაცემული სხვადასხვა პირები-სათვის, უნდა გადაცემოდა უსასყიდლოდ დაღესტნის ხალხს და სხვ.

1919 წლის აპრილში დენიკინის ჯარებმა დაიკავეს ჩაჩნეთი და დაღესტანი. მთიელთა რესპუბლიკამ შეწყვიტა არსებობა. უზუნ-ჰაჯი თავისი მომხრეებით გამაგრდა მთებში და აქედან აგრძელებდა პარტიზანულ ბრძოლას. ამავე წლის მაისში, მთიელთა ყრილობამ უზუნ-ჰაჯი აირჩია დაღესტნისა და ჩაჩნეთის იმამად. აგვისტოში ჩრდილოეთ კავკასიის ნაციონალური მეჯლისი (საკანონმდებლო ორგანო) დაიშალა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩრდილოეთ-კავკასიელებს ერთსა და იმავე დროს, როგორც თეთრ გვარდიელების, ასევე ბოლშევიკების წინააღმდეგ უხდებოდათ ბრძოლები. როგორც თვითმხილველები აღნიშნავდნენ, ერთი მუჭა მთიელები, ბოლშევიკებს უფრო მეტ ზიანს აყენებდნენ, ვიდრე დენიკინის ჯარები. ამიტომ, რომ როგორღაც მიემხროთ ჩრდილოეთ კავკასიელები, ბოლშევიკები თანახმა იყვნენ დაემყარებინათ მათთან ურთიერთკავშირი და აღიარებდნენ ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობას, თუ ისინი შეწყვეტდნენ მათ წინააღმდეგ გამოსვლებს.

11 სექტემბერს გამართული ბრძოლების შემდეგ, თეთრ გვარდიელებმა დაიხიეს და გამაგრდნენ გროზნოში. 13 სექტემბერს კაზაკებთან ბრძოლისას, მთიელებმა გაიმარჯვეს. მაგრამ მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების გამო (ა. დენიკინს ინგლისელები ეხმარებოდნენ) ჩრდილოეთ კავკასიელებმა ვეღარ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა, ბრძოლებით უკან დაიხიეს და ისევ გამაგრდნენ მთებში.

1919 წლის 19 სექტემბერს ჩაჩნეთსა და დაღესტანში ჩატარდა სასულიერო შეკრება და გამოცხადდა ჩრდილოეთ-კავკასიის ემირატის შექმნა, უზუნ-ჰაჯის მეთაურობით. კავკასიის ემირატი დაექვემდებარა მუსულმანურ ემირატის ხალიფას.

უზუნ-ჰაჯი დახმარებას სთხოვდა თურქეთს, აზერბაიჯანის და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკებს. ცნობილია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კავკასიელებს ფულადი დახმარებაც გაუწია და შეეცადა სექტემბერში ჯარითაც დახმარებოდა ემირატს, მაგრამ, დაღესტანში დენიკინის ჯარე-ბთან შეტაკების გამო, იძულებულნი გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. (124).

უზუნ-ჰაჯის წინადადებით, დაღესტნის ჯარების ხელმძღვანელად მოიწვიეს თურქეთის წარმომა-დგენელი. შეერთებული ძალებით რამდენიმეჯერ დაამარცხეს მოწინააღმდეგეები. (115). ამასობაში რუსეთში დამთავრდა სამოქალაქო ომი და გამარჯვებულმა ბოლშევიკებმა შეუტიეს ჩრდილოეთ კავკასიელებს.

1920 წლის მარტში ბოლშევიკებსა და მძიმე ავადმყოფ უზუნ-ჰაჯის წარმომადგენლებს შორის გაი-მართა მოლაპარაკებები. ბოლშევიკებმა უზუნ-ჰაჯის გაუგზავნეს წერილი, სადაც წერდნენ, რომ თუ იგი აღიარებდა საბჭოთა ხელისუფლებას და ამას საჯაროდ გამოუ-ცხადებდა ჩაჩნებსა და დაღესტნის მოსა-ხლეობას, და ამავე დროს იგი დატოვებდა ყველა თანამდებობას და თავის ორგანიზაციასაც დაშლიდა, მაშინ საბჭოთა ხელისუფლება მიიღებდა მას, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის სასულიერო ხელმძღვანელს და საბჭოთა ხელისუფლება არ შეეხებოდა მათ რელიგიას. უზუნ-ჰაჯიმ უარყო ეს შემოთავაზება. იგი, წერილის მიღების შემდეგ რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ, ჩრდილოეთ-კავაკსიის ემირატმა შეწყვიტა არსებობა. (124). ამის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩრდილოეთ-

კავკასიელებს მთელი ძალებით შეუტიეს და 1921 წელს დაამარცხეს მოწინააღმდეგენი და ჩრდილოეთ კავკასია მთლიანად დაიპყრეს. ამ ბრძოლებიდან გადარჩენილი ჩრდილოეთ კავაკსიელთა მოსახლეობის ნაწილი იძულებული გახდა საზღვარგარეთ გადახვეწილიყო და სიცოცხლის ბოლომდე უცხოეთში დარჩენილიყო. (115).

ა. ავტორხანოვი აღნიშნავს, რომ მანამდე, 1920 წლის აგვისტოში, საბჭოთა ხელისუფლების წინა-აღმდეგ, ჩაჩნეთ-ინგუშეთსა და დაღესტანში დაიწყო აჯანყება, რომელსაც ხელმძღვანელეობდა საიდ-ბეკი. აჯანყება გაგრძელდა 1921 წლის სექტემბრამდე. მის ჩასახშობად საბჭოთა ხელისუფლებას დასჭირდა დამატებით წითელი ჯარის უმსხვილესი რეგულარული დანაყოფების გადმოყვანა.

მუჰამად საიდი (საიდ-ბეკი, საიდ-ბეი) (1901–1981), იყო შამილის შვილიშვილი, დაღესტნისა და ჩაჩნეთის იმამის მუჰამად კამილის (1863–1951) უმცროსი შვილი. საბჭოთა ლიტერატურაში მას საერთოდ არ ახსენებდნენ, ან ახსნებდნენ როგორც შამილის „ცრუ შვილისშვილს“, „იმამი შამილის ყალბ შვილიშვილს“, „საფრანგეთის ჯარის ოფიცერს“, „ავანტიურისტს“ და სხვ.

მუჰამად საიდი დაიბადა სტამბოლში. დაამთავრა გალატასარაის ლიცეუმი. იცოდა ავარიული დედაენის გარდა თურქული, არაბული, ფრანგული, ინგლისური და რუსული ენები. 1920 წლის 11 მაის დაღესტანში, სოფ. კაპში ჩატარდა მთიელთა ყრილობა, სადაც მუჰამად კამილი ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ ხელმძღვანელად აირჩიეს და სთხოვეს, რომ მიეღო ეს წინადადება. ვინაიდან ამ დროს კამილი ავად-მყოფობდა, მის მაგივრად გააგზავნა 19 წლის საიდი. იგი საქართველოს გავლით გადავიდა დაღესტანში და აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. აჯანყებულები მოქმედებდნენ რამდენიმე მიმართულებით, რომელსაც თითეულს მართავდა თავისი უფროსი. საიდის ხელმძღვანელობით აჯანყებულებმა რამდენიმე დიდი ბრძოლები მოიგეს. მაგრამ, შემდეგში, უფროსთა შეუთანხმებელი მოქმედებების გამო და ბოლშევიკების დიდი ძალების, მე-11 არმიის დახმარებით, ბოლოს და ბოლოს აჯანყება დამარცხდა. დაჭრილი საიდი ერთხანს იმალებოდა მთებში, შემდეგში გამყოლებმა შეძლეს მისი თურქეთში გადაყვანა, სადაც სამხედრო საავადმყოფოში გაატარა თითქმის 2 თვე. გამოჯამრთელების შემდეგ იგი ცდილობდა გაეგო თუ რა ხდებოდა ჩრდლოეთ კავკასიაში და შეძლებისდაგვარად დახმარებოდა თანამემამულეებს. შემდეგში იგი გადავიდა ვარშავაში და გახდა „კავკასის ნაციონალური კომიტეტის“ ხელმძღვანელი. მეორე მსოფლიო ომის დროს, საიდი და სხვა პოლიტემიგრანტები ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა კავშირი ამ ომში დამარცხდებოდა და კავაკასია მოიპოვებდა თავისუფლებას. გერმანელებს უნდოდათ, რომ საიდი თავის მხარეზე გადაებირებინად მაგრამ, საიდი და გერმანელები ვერ შეთანმდნენ. საიდმა განაცხადა, რომ „დაღესტანი არ უნდა მოხვდეს ერთი ტყვეობიდან მეორეში“.

1978 წელს საიდმა და საზღვარგარეთ მყოფმა კავკასიელებმა ჩამოაყალიბეს „შამილის სახელობის განათლებისა და კულტურის ფონდი“ რომელიც დღემდე მოქმედებს.

1981 წელს წმინდა ადგილების მოსალოცად მექაში ჩასულ საიდს, ჰაჯის მიღებისას, სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულების თანახმად გაბანვის დროს, წონასწორობა დაეკარგა და დაშავდა. იგი გადაიყვანეს თურქეთის საავადმყოფოში, სადაც მალე გარდაიცვალა. დაასაფლავეს სტამბოლის „კარადჯაახმედის“ სასაფლაოში, სადაც შამილის შთამომავლები არიან დაკრძალულები. მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილია შემდეგი სიტყვები: „კავკასიის მოჯაჰი-

დების სასაფლაო შამილის ოჯახიდან“. საიდი წერდა:

„საბჭოთა კავშირი ერთ დროს უსათუოდ დაიშლება. მისი კრახი არ მოხდება გარეშე ძალების შეიარაღებული ჩარევის გამო... დაჩაგრული ხალხები თვითონ დაანგრევენ თავის ციხის კედლებს“. (123). როგორც ვხედავთ საიდმა წინასწარ განჭვრიტა სსრკ-ს მომავალი.

საიდ-ბეკის აჯანყების ჩახშობამდე, 1921 წლის 20 იანვარს, ვლადიკავკაზში ჩატარდა მთიელთა დამფუძნებელი ყრილობა. ამ ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა, მოსკოვიდან გამოგზავნილი სახალხო კომისარი ნაციონალურ საკითხებში სტალინი (ჯუღაშვილი) (1873–1953), რომელმაც განაცხადა, რომ საიდ-ბეკის აჯანყებაში ყველა მონაწილეს შეეხებოდა ამნისტია, თუ ისინი შეწყვეტდნენ აჯანყებას და აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. სამაგიეროდ, საბჭოთა ხელისუფლება აღიარებდა მთიელთა სახელ-მწიფოს და მის შინაგან დამოუკიდებლობას, რისთვისაც ისინი იბრძოდნენ საუკუნეების განმავლობაში. სტალინმა ხელისუფლების სახელით მიმართა ყრილობას, რომ შექმნილიყო მთიელთა ერთიანი საბჭოთა რესპუბლიკა ავტონომიური რესპუბლიკის ყველა უფლებებით, იმისთვის, რომ აღსრულებულიყო საუკუ-ნოვანი ოცნება საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შესახებ. მაგრამ, დამფუძნებელმა ყრილობამ განაცხადა, რომ მთიელნი აღიარებდნენ საბჭოთა მთავრობას, თუ ხელისუფლება შემდეგი პირობების შესრულებას დათანხმდებოდა:

1). თუ ძირითად კანონად მთიელთა რესპუბლიკა მიიღებდა შარიათს და ადათ-წესებს, ცენტრალური ხელისუფლება არ უნდა ჩარეულიყო მთიელთა საქმეებში;

2). ადრე, მეფის მიერ წართმეული მთიელთა მიწები, უნდა დაბრუნებულიყო ხალხს.

სტალინი ორივე პირობას დაეთანხმა და ყრილობამ, მოჩვენებით აღიარა საბჭოთა ხელისუფლება. ამ ხელშეკრულების თანახმად, გამოცხადდა მთიელთა საბჭოთა რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაში შევიდა: **ჩაჩნეთის**, **ინგუშეთის**, **ყაბარდოს**, **ბალყარეთის**, **ყარაჩაის** და **ოსეთის** ოლქები. ხოლო, **დაღესტანი** ცალკე რესპუბლიკად გამოცხადდა. ასე, რომ შეიქმნა ყოვლად შეუსაბამო მთიელთა საბჭოთა რესპუბლიკა, დროშაზე საბჭოთა ნიშნის გამოსახულებით და ცხოვრებაში შარიათის კონსტიტუციით.

მთიელთა საბჭოთა რესპუბლიკა მოკლე დროში დაიშალა, ვინაიდან, ბოლშევიკებს, რომ უფრო ადვი-ლად ემართად მთიელები, ერჩივნად ცალ-ცალკე ტომების მართვა და ერთიანი მთიელთა რესპუბლიკა, ავტონომიურ ოლქებად დაშალეს და გამოაცხადეს:

1). ყარაჩაი-ჩერქეზეთის (1922 წ-ის 12 იანვარს);

2). ყაბარდო-ბალყარეთის (1922 წ-ის 16 იანვარს);

3). ადიღეს (1922 წ-ის 27 იანვარს);

4). ჩაჩნეთის (1922 წ-ის 20 ნოემბერს);

5). ინგუშეთის (1924 წ-ის 7 ივნისს);

6). ჩრდილოეთ ოსეთის (1924 წ-ის 7 ივლისს).

ყველა ამ ოლქების ხელისუფლების სათავეებში იდგნენ, ისინი, ვინც რუსეთის რევოლუციის დროს ემხრობოდნენ ბოლშევიკებს. თუმცა, მათ შორისაც, პოლიტიკური შეხედულების მიხედვით იყო განსხვავება. მცირე ნაწილი მოითხოვდა მთიელების შესვლას რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

(1921–1928) წლებში, „ნეპი“-ს (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა) დროს, ჩრდილოეთ კავკასიაში შედარებით სიმშვიდე სუფევდა. იშვიათად ხდებოდა ნაციუნალურ-პოლიტიკური

გამოხდომები. საბჭოთა ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, „გპუ“ („ს.პ.მ.“, სახელმწიფოს პოლიტიკური მმართველობა) სჯიდა მხოლოდ მისთვის მიუღებელ პირებს და ჯერჯერობით არ ანხორციელებდა ისეთ მრავალრიცხოვან დაჭერებს, რომელიც შემდეგ წლებში ხდებოდა.

ავტონომიების შექმნისთანავე, საბჭოთა ხელისუფლებამ, პირველ რიგში, დაიწყო ხალხის განიარაღება. თვითეული ოჯახი ვალდებული იყო ჩაებარებინათ იარაღი. მოსახლეობა იძულებული იყო ეყიდათ იარაღი ჯარისკაცებისაგან, ან თვითონ „ჩეკისტებისაგან“ (სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია, „ს. რ. ს. კ.“). ეს კი ხალხში იწვევდა უკმაყოფილებას. ვინაიდან, ჩრდილოეთ კავკასიაში წლების განმავლობაში დამკვიდრებული ადათ-წესების თანახმად, მთიელები ატარებდნენ იარაღს და ამავე დროს, ეს მოთხოვნა, ეწინააღმდეგებოდა შარიათის კონსტიტუციას. ამიტომ, რომ გაექარწყლებინათ ასეთი შეხედულებები, სახელმწიფოს მმართველები დადიოდნენ აულებში და ხალხს აძლევდნენ „ახსნა-განმარტებებს“.

ჩრდილოეთ კავკასიაში მდგომარეობა შეიცვალა, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ შემოიღო ე. წ. კოლექტივიზაცია და დაიწყო მისი განხორციელება.

როგორც ცნობილია, ამ დროს აულებში გამოჩნდნენ საოლქო კომიტეტის წარმომადგენლები და დაიწყეს მოსახლეობის გაჩანაგება. წაართვეს ყველაფერი რისი წაღებაც შეიძლებოდა, საბაბით, რომ უნდა ჩაება-რებინად კოლმეურნეობებში. ამავე დროს, როგორც ე. წ. „კულაკები“ („სოფლის ბურჯუაზია“), დაიწყეს მათი ოჯახებიანად გადასახლება. მაშინ ჩაჩნეთი და მთელი ჩრდილოეთ კავკასია აჯანყდა და დაიწყო, ენით აუწერელი საშინელებები.

ჩრდილოეთ კავკასიელთა აჯანყებულების მიერ შექმნილმა დროებითმა მთავრობამ მიმართა მოსკოვს, საბჭოთა ხელისუფლებას:

1). შემწყდარიყო კოლექტივიზაციის სახით, გლეხების ქონების წართმევა;

2). შეწყდეს გლეხების, (ქალების, მოხუცების და ბავშვების) თვითნებური დაპატიმრებები;

3). ჩაჩნეთის ყველა რაიონებიდან გაიწვიონ „გპუ“-ს ხელმძღვანელები. მათ ადგილებზე დაინიშნონ ხალხის რიგებიდან არჩეულები და მათ ჰქონდეთ მხოლოდ სისხლის სამართლებრივი დევნის უფლება;

4). გაუქმდეს „სახალხო მოსამართლეების“ ზევიდან დანიშვნა და აღსდგეს შარიათის სასამართლოს ინსტიტუტი, როგორც ამას ითვალისწინებდა 1921 წელს გამართულ ვლადიკავკაზის მთიელთა ყრილობა.

5). შეწყდეს სამხარეო და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩარევა ჩაჩნეთის ავტო-ნომიურ ოლქში. ხოლო ჩაჩნეთში ყოველი მეურნეობრივ-პოლიტიკური საკითხები გადაწყდეს მხოლოდ ჩაჩნეთის ყრილობის მიერ არჩეულ წარმომადგენლების მიერ, როგორც ეს იყო გათვალისწინებული ავტონომიის წესდებაში.

მხოლოდ ამ მოთხოვნების შესრულების შემდეგ აჯანყებულები აპირებდნენ იარაღის დაყრას და აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას.

აჯანყების „მშვიდობიანი გზით“ ჩასაქრობად მოსკოვიდან სამთავრობო წარმომადგენლები ჩამოვიდნენ ქ. გროზნოში და შეუდგნენ „მშვიდობიან მოლაპარაკებებს“. სამთავრობო წარმომადგენლებმა თავისი მხრივ შექმნეს „მშვიდობიანი კომისია“ ავტორიტეტული სასულიერო პირებისაგან და ადგილობრივი ხელისუ-ფლების წარმომადგენლებისაგან. ეს „მშვიდობიანი კომისია“ სამთავრობო კომისიის მიერ იყო უფლებებით აღჭურვილი ეწარმოებინად

ავჯანყებულებთან მოლაპარაკებები და ჩავიდნენ ავჯანყებულთა მთავარ ადგილას სოფ. **შალიში**. კომისიამ ავჯანყებულებს განუცხადა, რომ მომხდარ მოვლენებში მთავარი დამნაშავეები არიან ადგილობრივი პარტიული მუშაკები, რომლებიც მოქმედებდნენ პარტიისა და ხელისუფლების დადგე-ნილებების წინააღმდეგ და ესენი მკაცრად დაისჯებოდნენ, როგორც კი ავჯანყებულები დაყრიდნენ იარაღს. რაც შეეხება ავჯანყებულთა მოთხოვნებს ავტონომიის სამართლეობის შესახებ, სამთავრობო კომისიამ გამო-აცხადა მიმართვა, სადაც ნათქვამი იყო, რომ „ჩეჩენი ხალხის საშინაო საქმეებს, თავად ჩეჩენი ხალხი გადაწყვეტდა". აქვე გამოცხადდა სამთავრობო კომისიის დეპეშა, რომ შალში ჩავიდოდა „გპუ"-ს რაზმი ყველა დამნაშავის დასასჯელად. ავჯანყებულებმა დაიჯერეს ეს დაპირებები და დაბრუნდნენ სახლებში. მართლაც როდესაც განხორციელდა ადგილობრივი პარტიული საბჭოთა თანამშრომელთა დაჭერები, მოსახლეობა დაწყნარდა. 3 დღის განმავლობაში ყველა „დამნაშავეები" დაიჭირეს. მეოთხე დღის ღამის 1 სთ-ზე, „გპუ"-ს სადამსჯელო რაზმმა ალყა შემოარტყა, 1929 წლიდან ავჯანყების ხელმძღვანელის ყოფილი გენერალ-მაიორის, შიტა ისტამი-ლოვის სახლს, ამ დროს მასთან იმყოფებოდა მისი ძმა ჰასანიც. მოსთხოვეს უბრძოლ-ველად დანებებოდნენ. პირობის შეუსრულებლობის გამო გაიმართა ბრძოლა. სადამსჯელო რაზმმა სახლს ცეცხლი წაუკიდა. ბრძოლისას ჰასანი მძიმედ დაიჭრა. დილას, ავჯანყებულთა მეთაურის დასახმარებლად მოსულმა ჩაჩანთა ცხენოსანმა რაზმმა, სადამსჯელო რაზმი ალყაში მოაქცია და გაანადგურა. განთავისუფლებულმა შიტა ისტამილოვმა, ჩაჩნებს „წმინდა ომისაკენ" მოუწოდა და „შამილის იმამატის" აღდგენა და „ურჯულოთა" კავკასიიდან განდევნა შეჰპირდა. მის მოწოდებას გამოეხმაურნენ და ავჯანყდნენ შალი და სხვა სოფლებიც. ავჯანყდნენ აგრეთვე სხვა ჩრდილოეთ კავკასიელებიც. ავჯანყების ჩასახშობად, საბჭოთა ხელი-სუფლებამ, 1929 წლის დეკემბერში დიდი რაოდენობით გადმოიყვანა „გპუ"-სა და წითელი არმიის ნაწილები, არტილერიითა და სასაზღვრო დაცვის მთის მსროლელთა ორი პოლკი. შემდეგში დაემატა კიდევ ახალი ძალები. 1930 წლის იანვარ-თებერვალში, მძიმე ბრძო-ლებისა და დიდი დანაკარგის შემდეგ, საბჭოთა ჯარებმა შეძლეს, ავჯანყებულთა ნაწილობრივ დამარცხება. შიტა ისტამილოვმა ბრძოლით უკან დაიხია და ძნელად მიუვალ მთებში გამაგრდა.

ამავე ხანებში, კომუნისტური პარტიის პოლიტიკაში მკვეთრი გარდატეხა მოხდა — სტალინმა და ცენტრალურმა კომიტეტმა გადახედეს „საკოლმნეურნეო მოძრაობაში განხორ-ციელებული შეცდომები" და სპეციალური გადაწყვეტილებით, „მემარცხენე გადამხრელები" დაგმეს და გაკიცხეს. კოლმეურნეობები გამოცხადდა როგორც ნებაყოფლობითი საზოგადო-ებები და ნაციონალურ რაიონებში, როგორც ჩაჩნეთსა და ინგუშეთში, საერთოდ გაუქმდა. რაიონებში შეიძლებოდა მხოლოდ როგორც ამხანაგობების ჩამოყალიბება ერთობლივად მიწის დასამუშავებლად. როგორც „მემარცხენე გადამხრელები" ჩაჩნეთის პარტიული მუშაკები თანამდებობებიდან გადააყენეს და ჩაჩნეთიდან სამხედრო ნაწილებიც გაიყვანეს. ყველა ავჯანყებულები და მათი მეთაურები შეიწყალეს. ავჯანყებულები დაბრუდნენ თავიანთ აულებში. შიტა ისტამილოვიც დაბრუნდა თავის სოფელ შალიში. ზემოდან მითითებით იგი დანიშნეს შალის „სასოფლო სამომხმარებლო საზო-გადოების" თავჯდომარეთაც. მაგრამ, 1931 წლის შემოდგომაზე, ისტამილოვი დაიბარა „გპუ"-ს რაიონის განყოფილების უფროსმა, მისთვის მოსკოვიდან მიღებული შეწყალების საბუთების გადასაცემად. გადაცემის დროს უფროსმა

იგი დაჭრა, მძიმედ დაჭრილმა ისტამილოვმა მაინც მოასწრო სატევრით მისი მოკვლა. თვითონ კი გარეთდამცველებმა მოკლეს. შემდეგ კი ორივე მოკლულნი გაახვიეს ნაბადებში და გროზნოში წაიღეს. მისმა ძმამ, ჰასანმა, ჩამოაყალიბა ახალი რაზმი, ე. წ. „ბანდა“ და შიტას მკვლელობისათვის 1935 წლამდე, უმოწყალოდ უსწორდებოდა „ჩეკისტებს“.

შიტა ისტამილოვის მკვლელობასთან დაკავშირებით, „კულაკები და კონტრრევოლუციონერი ელემენტები და მოლანაციონალური იდეოლოგები“-ს საბაბით „გპუ“-ს მიერ ჩატარდა ახალი სადამსჯელო მოქმედებები. თვით, სსრკ-ის მთავრობის მტკიცებით დაიჭირეს 35 000 კაცი. რამდენი დაიხვრიტა ცნობილი არ არის. ხელისუფლების მიერ ჩატარებულ სადამსჯელო მოქმედებებს ახალი აჯანყებები და ახალი სხვა-დასხვა სადამსჯელო მოქმედებები მოჰყვა. ხელისუფლება უსწორდებოდა ყველას. მათი მტკიცებით ყველა ჩაჩანი ბანდიტი იყო და ისინი იყვნენ: მუშებს, გლეხებს, მეცნიერებს, მოხელეებს და პარტიულ მუშაკებსაც შორის. ამიტომ საჭირო იყო მათი გამოვლენა. ასეთივე ვითარება იყო, ინგუშეთსა და სხვა ჩრდილო-კავაკსიაში. ყოველ ასეთ სადამსჯელო მოქედებებს მოჰყვებოდა ახალ-ახალი აჯანყებები. ცნობილია, რომ ჩაჩნები და ინგუშები 1940 წელსაც აჯანყდნენ. აჯანყებას ხელმძღვანელობდნე იურისტი მირბეკ შერიპოვი (1910–1944) და მწერალი ჰასან ისრა-ელოვი. ესენი იყვნენ ახალგაზრდები, რომლებიც იბრძოდნენ დაჩაგრული თავისი ხალხის დამოუკიდებლობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მათ კარგად იცოდნენ, რომ დამარცხდებოდნენ. საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყებულების ხელმძღვანელების შესახებ გამოაცხადა, რომ ისინი იყვნენ დაკავშირებულნი გერმანელებთან. სინამდვილეში კი, როგორც შემდეგში დამტკიცდა, ეს იყო საბჭოთა ხელმძღვანელების მიერ აშკარა გამოგონილი ტყუილი, რადგან არავითარი კავშირი არ არსებობდა ჩაჩნეთ-ინგუშეთსა და სხვა ჩრდილოეთ-კავკასიელებსა და გერმანელებს შორის.

ცნობილია აგრეთვე, რომ საბჭოთა ხელისუფლება უფრო მეტ სისასტიკეს იჩენდა ჩაჩნებისა და ინგუშების წინააღმდეგ, ვიდრე ფაშისტებთან ომის დროს. (1941–1942) წლებში, იმ დროს როდესაც სსრკ-ს სამხედრო ავიაცია უმოქმედოდ იყო გაჩერებული ბრძოლის წინა ხაზზე, ის მოქმედებდა ჩრდილოეთ კავკა-სიაში და ბომბავდა ჩაჩნეთ-ინგუშეთს. დაიღუპა უამრავი მოსახლეობა – ძირითადათ ქალები, მოხუცები და ბავშვები. რა თქმა უნდა, ასეთი მოქმედებების გამო, ჩრდილოეთ-კავკასიელები, მით უმეტეს ჩაჩნები და ინგუშები, საბჭოთა ხელისუფლებაში ხედავდნენ, როგორც მათთვის დაუძინებელ მტრებს.

1944 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩატარებულმა განუკითხაობამ, კავკასიელების გადასახლებამ, ყოველგვარ სისასტიკეს გადააჭარბა. გადასახლებასთან დაკავშირებული მონაცემებით: „600 000 გადასახლებულთა ჩაჩნებისა და ინგუშებიდან დაიღუპა 200 000 კაცი; ყარაჩა-ელებიდან – 40 000 (თითქმის ერთი მესამედი); ბალყარელები – 20 000-სზე მეტი (თითქმის ნახევარი); თუ ამას დაუმატებთ 200 000 დაღუპულ ყირიმელ თათრებს და 120 000 დაღუპულ ყალმუხებს, მაშინ სახელგანთქმული „ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკა“ ამ პატარა ხალხს დაუჯდა 600 000 დაღუპული რაოდენობით, ძირითადათ ქალები, მოხუცები და ბავშვები. (92, გვ.79). (იხ ქვევით „მუჰაჯირობა“). მიუხედავად იმისა, რომ ამ გადასახლებულებს, სტალინის სიკვდილის შემდეგ შელახული ღირსება აღუდგინეს და პატიოსანი სახელი დაუბრუნეს, დღევანდელ დღესაც გამოჩდნენ ისეთი „მეცნიერები“ და „ისტორიკოსები“, რომლებიც

უტიფრად აცხადებენ, რომ საბჭოთა წყობილება „სწორად მოიქცა“, კავკასიელები, რომ „გადაასახლა, არ იყო საჭირო მათი დაბრუნება მშობლიურ მხარეებში“ და რომ საერთოდ „კავკასიელები უმადურნი ხალხია“. ისინი ხომ „რუსებმა გადაარჩინეს დაღუპვისაგან და მათ მზრუნველობას მათზე არ აფასებენ“. ა. ავტორხანოვი წერდა:

„ვიმედოვნებ, რომ ბოლოდროინდელ საკანონდებლო აქტები სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს რეაბი-ლიტაციისა დეპორტირებული ხალხის შესახებ სამუდამოდ ბოლოს მოუღებს ამდაგვარ ლაპარაკსა და ბოროტ ცილისწამებას მათზე“. (92, გვ.79).

თუმცა, ამდენი ხნის განმავლობაში არაფერი შეცვლილა და რუსეთის იმპერია დღევან-დელ დღესაც განაგრძობს მეფის რუსეთის სურვილის განხორციელებას, რომლის თანახმად კავკასია და კავკასიის მთიელები უნდა განადგურებულიყვნენ და კავკასია მთლიანად რუსეთის მფლობელობაში უნდა ყოფილიყო მოქცეული.

თავი II. ჩრდილოეთ კავაკსაიაში ურდოები და სახანოები.

1. ყივჩაყები.

ყივჩაყები თურქულენოვანი მომთაბარე ძლიერი მეომარი ტომი იყო შუა საუკუნეში, რომელიც თავდაპირველად სახლობდა მდ. ვოლგის აღმოსავლეთ ველებში. რუსულ წყაროებში მოხსენებულნი არიან როგორც „პოლოვცი“, ხოლო ევროპაში – „კუმანები“. ცხოვრობდნენ კარვებში (იურტაში) ოჯახებად და მისდევდნენ მესაქონლეობას. ლაშქრობებში მონაწილეობას ღებულობდნენ ქალებიც. პირველყოფილი თემური წყობილების საზოგადოების დაშლის შემდეგ, ოჯახებმა დაიწყეს გაერთიანება გვარებად, შემდეგ ურდოებად და ტომებად, რომელსაც სათავეში ედგა ხანი. XI საუკუნის დასაწყისიდან დაიწყეს ჩასახლება შავიზღვისპირეთში. ხოლო ამავე საუკუნის შუა წლებში, ყივჩაყებმა გაილაშქრეს დასავლეთისაკენ, მიაღწიეს მდ. დუნაიმდე და სამხრეთისაკენ – ბიზანტიისაკენ. მათ ხელში აღმოჩნდა დიდი მოცულობის მიწა-წყალი, რომელიც გადაჭიმული იყო უნგრეთიდან უზბეკეთამდე. მაგრამ მათ მაინც ვერ შექმნეს სახელმწიფო. (1103–1116) წლებში ებრძოდნენ კიევის სამთავროს და რუსეთის მთავრებს. 1113 წელს კიევის მთავარმა ვლადიმერ მონომახმა (1053–1125), რომელიც სათავეში ედგა რუსების გაერთიანებულ ლაშქარს, ყივჩაყები დაამარცხა. ხოლო, მისმა შვილმა მტისლავმა (1125–1132) კიდევ ერთხელ დაამარცხა ყივჩაყები და დარჩა მხოლოდ მათი მცირე ურდო მდ. დონის ნაპირებზე. XII საუკუნის 80-იან წლებში დაიწყეს მომძლავრება, მაგრამ 1223 წელს მონღოლებთან ბრძოლის დროს დამარცხდნენ და ამის შემდეგ, მათი ნაწილი უნგრეთში გადასახლდა, ხოლო დანარჩენნი კი ოქროს ურდოს შემადგენლობაში მოექცნენ და შეერივნენ.

ქართულ წყაროებში ყივჩაყები არაერთხელ არიან მოხსენებულნი. ქართულ წერილობით წყაროებიდან ჩანს, რომ საქართველოს მეფემ დავით IV აღმაშენებელმა იმისათვის, რომ ქართული ჯარი გაეძლიერებინა და ურჩი ფეოდალები აელაგმა, ი. ჯავახიშვილის თქმით: „საგანგებო ღონისძიება იყო საჭირო და დავით აღმაშენებელმა «განიზრახა სივრცითა გონებისათა» რომ ამნაირ საშუალებად მუდმივ სამეფო ლაშქრის შემოღება უნდა ყოფილიყო. მეფემ გადაწყვიტა ამგვარი ლაშქარი ყივჩაყთაგან შეედგინა ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი

მეუღლე გურანდუხტ დედოფალი იყო ასული «ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარაღანის ძისა» და ამის გამო ისინი მისი ერთგული იქმნებოდნენ; მეორე იმიტომ, რომ მან «უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე და სიმკნე წყობათა შინა, სისუბუქე მიმოსვლისა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დამჭირველობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თჳსისა»" (1, ტ.II, გვ.199). მან (1118–1120) წლებში მდ. დონის ნაპირებზე დარჩენილი ყივჩაყთა ურდოდან, 40 000 ოჯახი, ხანის ძმის ათრაქა შარაღანის ძის (აფრაკ შარაგანისძე, შარუკანისძე) მეთაურობით გადმოასახლა. ისინი დაანაწევრა, ჯგუფებად დაჰყო, შეიარაღა – მისცა ცხენები და იარაღი, სპასალარები (სარდლები) დაუნიშნა და საქართველოს სხვადასხვა ადგილებში, ძირითადათ: ჰერეთში, ქვემო ქართლში და ჩრდილოეთ სომხეთში ჩაასახლა. თვითეულ ოჯახს მისცა მიწის ნაკვეთი. პირობის თანახმად, თითო ოჯახს თითო მეომარი უნდა გამოეყვანა. ორი წლის წვრთნის შემდეგ, დავითს ჰყავდა 40 000 მუდმივ მომქმედი ლაშქარი და 5 000 პირადი მცველი. რომლის მეშვეობითაც იზრდებოდა სახელმწიფოს სამხედრო სიძლიერე, ამ ჯარით შესაძლებელი ხდებოდა საგარეო მტრის მოგერიებაც და მოღალატე, ურჩი ფეოდალების მოთოკვაც. შემდგომში ნაწილი ყივჩაყებისა გაქრისტიანდა კიდევაც და ზოგიერთები მაღალ თანამდებობებზეც აღმოჩნდნენ. ეტყობა, პოლიტიკური მოსაზრებით, დავით IV-ემ ა თ რ ა ქ ა შ ა რ ა ღ ა ნ ი ს ძის ასული, გ უ რ ა ნ დ უ ხ ტ ი, მოიყვანა ცოლად. პირველი მეუღლე, რ უ ს უ დ ა ნ ი, იყო სომეხი მეფის ასული, რომელიც მონაზვნად აღკვეცეს. ქართული წყაროების გადმო-ცემით, გურანდუხტი შესახედავად ლამაზი ქალი ყოფილა. შემდგომ დროს, „ქართლის ცხოვრება"-შიც არაერთხელ არის ნახსენები ყივჩაყები. „ჟამთააღმწერელი" მოგვითხრობს, რომ „თათარნი" მონღოლები გადასულან დარუბანდის გზით ყივჩაყეთში და იქ შებმიან ყივჩაყებს. „თათარნი მოიწივნეს ვიდრე სამშჯლდემდე და მიერ უკუნიქცეს, რომელთა ქმნეს საკჯველნი ესე საქმე: წარვიდნეს გზასა დარუბანდისასა, ვერცა შარვანშა წინაღუდგა და ვერცა დარუბანდელნი. განვლეს კარი დარუბანდისა და შევიდეს ყივჩაყეთს, რომელთა ბრძოლა აჰკიდეს. და მრავალგან შემოებნეს ყივჩაყნი და ყოველგან თათარნი მძლე ექნეს. და წარვიდეს ომითა, უსაჭურ-[ვ]ლონი, ვითარცა მითქუამს, უჭედელითა ცხენითა ესოდენ გზათა მავალნი. განვლეს ყივჩაყეთი და შემოუარეს ამა დარუბანდისა ზღუასა გარე და მიიწივნეს ჴელმწიფესა მათსა ჩინგიზ ყაენს წინაშე ყარაყურუმს". (3, გვ.533).

ყივჩაყები მოხსენებულნი არიან საქართველოს მეფის (1184–1213) თ ა მ ა რ მეფის (დაახლ. 1160–1213) დროსაც და მის შემდეგაც. ხელისუფლება მათ იყენებდა მტრის შემოსევებისა და აჯანყებული ფეოდალების წინააღმდეგ. როდესაც 1119 წელს თამარ მეფის ყოფილი ქმარი „გიორგი რუსი" ზოგიერთი დიდებულების შემწეობით აუჯანყდა. „განდგომილთა" დამარცხების შემდეგ, თამარ მეფის მახარობელთა შორის იყვნენ: „ჰერნი და კახნი, დიდებულნი და აზნაურნი, თანადართვითა ყივჩაყთათა". (3, გვ.425). „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"-ში მითხრობილია, რომ თამარ მეფემ „წარავლინა შიკრიკნი და მალემსრბოლნი წუევად ლაშქრისა იმერით და ამერით. რამეთუ მას ჟამსა ძმა ყივჩაყთა სევინჯისა სავალათი აქა იყო სამსახურად". (3, გვ.435). და როდესაც გამოსულა თბილისიდან თამარ მეფე, მას „მიეგებნეს წინა ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი და შემდგომად ამისა – ჰერნი და კახნი". (3, გვ.436).

წყაროებიდან ცნობილია, რომ საქართველოს მეფის (1223–1245) რ უ ს უ დ ა ნ ი ს

(დაახლ. 1194–1245) მეფობის დროს, 1223 წელს, მონღოლებთან დამარცხებული ყივჩაყების ნაწილი დარუბანდიდან საქართვე-ლოში შემოიჭრნენ საძარცვავად. მას გაეგება ათაბაგი ივანე I მხარგრძელი (გ. 1227), მაგრამ დამარცხდა. მეორედ შემოჭრისას ყივჩაღებს დაუხვდა სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, სარდალი, შალვა ახალციხელი (გ. 1226), რომელმაც ყივჩაყები სასტიკად დაამარცხა. მრავალი ყივჩაყი გაწყდა და ბევრიც ტყვედ ჩავარდა. თვითონ მათი მეთაური ძლივს გადაურჩა სიკვდილს. გაიქცა შირვანში და დაიწყო მუსულმანური მოსახლეობის ძარცვა. მის წინააღმდეგ ამხედრდა მოსახლეობა. მათ მიეშველა ქართველთა მხედრობა და ერთად დაამარცხეს. აუარება ყივჩაყი ტყვედ ჩავარდა და გაწყდა. დამარცხებულნი ისევ უკან გაბრუნდნენ.

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ საქართველოში მყოფი ყივჩაყთა ნაწილი XIII საუკუნის 30-იან წლებში, ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფი ყივჩაყთა ხანის მოწვევით უკან დაბრუნებულა, ხოლო დარჩენილნი ყივჩაყები საქართველოში მყოფი მონღოლთა ლაშქარს შეერივნენ.

2. დიდი ურდო.

ცნობილია, რომ ჩინგის-ყაენმა (თემუ-ჩინი) (დაახლ. 1135–1227) მის მიერ შექ-მნილი უზარმაზარი მონღოლეთის სახელმწიფო 1224 წელს გაუნაწილა თავის ოთხ შვილს. უფროსი შვილის ჯუჩის (დაახლ. 1185–1227) საუფლისწულო, **ჯუჩის ულუსი**, მოიცავდა დასავლეთ ციმბირს, ყივჩაღურ ველებს და ხვარაზმს. მისი სიკვდილის შემდეგ, ულუსის ხანი გახდა ჯუჩის მეორე შვილი ბათო-ყაენი. რომელმაც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჯუჩის ულუსი გააფართოვა და დააარსა სახელმწიფო ოქროს ურდო. რამდენიმე ხნის შემდეგ, ბათო-ყაენმა თავისი სამფლობელო გაუნაწილა თავის ძმას და ნათესავებს. თავისთვის დაიტოვა დასავლეთი მხარე, რომელიც წყაროებში მოხსენებულია როგორც **თეთრი ურდო**. ხოლო მის ძმას გადაეცა დასავლეთ ციმბირი და ყაზახეთი, რომელსაც ეწოდა **ლურჯი ურდო**.

1380 წელს მოსკოვის სამთავროს და (1388–1396) წლებში თემურლენგის დამანგრეველი ლაშქრობების შედეგად და თვით ოქროს ურდოში, ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, საგვარეულობებს შორის წარმოებული დაუნდობელი ბრძოლების შედეგად, ოქროს ურდო დასუსტდა და დანაწევრდა. მას გამოეყო 1420 წელს **ციმბირის სახ**ანო, 1428 წელს **უზბეკეთის სახანო**, 1438 წელს **ყაზანის სახანო**, 1440 წელს **ნოღაეთის ურდო**, 1441 წელს **ყირიმის სახანო** და 1465 წელს **ყაზახეთის სახანო**. დარჩენილი ნაწილი, შავი ზღვისპირეთში, მდ-ის დონსა და დნეპრს შორის მიწები, შუა საუკუნეებში და შემდეგაც, ისტორიულ წყაროებში, მოხსენებულია, როგორც **დიდი ურდო** (ვოლგის ურდო, თათრეთის სახანო). ისევე, როგორც ოქროს ურდო, დიდი ურდოც, პოლიტიკურ ზეგავლენას ახდენდა აღმოსავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ კავკასიაზეც. შეიძლება ითქვას, რომ დიდმა ურდომ სიძლიერეს მიაღწია, ახმატ (ახმედ) ხანის დროს (1460–1481). 1472 წელს პოლო-ნეთსა და დიდ ურდოს შორის დაიდო ურთიერთ დახმარების ხელშე-კრულება. ახმატ ხანმა 1476 წელს დაამყარა კავშირი ოსმალეთთან. (1474–1478) წლებში გაილაშქრა ასტრახანის სახანოს წინააღმდეგ. (1474–1478) წლებში მოაწყო ლაშქრობები ყირიმის სახანოს წინა-

აღმდეგ. (1460, 1468 და 1472) წლებში მოაწყო ლაშქრობები რუსეთზე. 1480 წელს რუსეთში უშედეგო ლაშქრობის შემდეგ, დაბრუნდა ურდოში და დაითხოვა ჯარი. ახმატ ხანი თავისივე კარავში მოკლეს მისსავე მოკავშირეებმა, ციმბირის სახანოსა და ნოღაის მმართველებმა. მის შემდეგ, დიდი ურდოს სიძლიერე დაეცა და 1502 წელს, ყირიმის სახანომ გაანადგურა დიდი ურდო. ვოლგისპირა ველები გადავიდა ნოღაის ურდოს მფლობელობაში, ხოლო მდ-ის ვოლგისა და დონს შორის მიდამოები შეიერთა ყირიმის სახანომ. (156).

3. თურქთა სახაკანო.

VI საუკუნის შუა ხანებში ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოიქმნა **თურქთა სახაკანო**. ცნობილია, რომ ალტაის თურქულენოვან ერთ-ერთ ტომს, მისი მეთაურის სახელის მიხედვით, აშინას, ეწოდა „თურქი“, რაც ნიშნავდა „მაგარი“, „ძლიერი“ და ეს სახელწოდება დაერქვა VI საუკუნის II ნახევარში, ყველა იმ ტომებს, რომლებიც აშინას მეთაურობით გაერთიანდნენ და შექმნეს თურქთა სახაკანო. ცნობილია, რომ მონღოლეთში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის მხარეში მდებარე მანჯურიის (დღევანდელი დუნბეი) სახელმწიფოში და თურქმენეთში, ადრეულ შუა საუკუნეში, შედიოდნენ, ველებში მომთაბარე **ჟუჟანების** (ჟოუჟა-ნები, ჟუანჯუანები, ჟუჟუ, ჟუიჟუ) ტომები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ტომთა გაერთიანებები. ჟუჟანებში შედიოდა ალტაის მომთაბარე **აშინას** ტომებიც, რომლებიც ჟუჯანებს ამარაგებდნენ რკინით. 545 წელს აშინას ტომები აჯანყდნენ და 553 წელს საბოლოოდ გაანადგურეს ჟუჟანები. ამის შემდეგ, VI საუკუნის II ნახევარში ჟუჟანების კავშირი დაიშალა და პოლიტიკურ სარბიელზე გამოდის თურქთა სახაკანო. დასავლეთ მანჯურიაში მცირე ხნის განმავლობაში, თურქთა სახაკანომ, დაიპყრო და დაიმორჩილა აზიისა და ჩრდილოეთის მსხემი ტომები და მისი სამფლობელო გადაიჭიმა მდინარეების ვოლგიდან ამურამდე: ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთი, მონღოლეთი, შუა აზიის აღმოსავლეთ-დასავლეთ თურქმენეთი, ყაზახეთი და ჩრდილოეთ კავკასია. თურქთა სახაკანო ბიზანტიასთან ერთად იწყებს ბრძოლას ირანის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ 589 წ. უფლისწულ აშინას საგვარეულოს წარმომადგენელი საბა (სავე), შუა აზიიდან აღმოსავლეთ ირანში შეიჭრა, მაგრამ დამარცხდა. ამ ბრძოლის დროს საბა დაიღუპა და თურქმანებმა სასწრაფოდ დატოვეს ირანი. ტომთა შორის გამუდმებულმა დაპირისპირებამ, მეზობელ სახელმწიფოებთან ომებმა და განსაკუთრებით ჩინეთის სახელმწიფოს შემოტევამ, თურქთა სახაკანო დაასუსტა და 603 წელს საბოლოოდ დაიშალა – დასავლეთ და აღმოსავლეთ თურქთა სახაკანოდ. (158).

დასავლეთ თურქთა სახაკანოს გამგებლობაში მოექცა ყაზახეთი, ურალი, ვოლგისპირეთი, ყირიმი, ჩრდილოეთ კავკასია და შუა აზია. დედაქალაქი გახდა **სუაბი** (ყირგიზეთში). (159).

განსაკუთრებით გაძლიერდა სახაკანო ჯეგუი-ხაკანისა (610–618) და მისი უმცროსი ძმის ტონ-ჯაბგუ-ხაკანის (618–630) დროს (ქართულ წყაროებში მოხსენებულია როგორც ხაზართა ხაკანი – ჯიბღუ ხაკანი). მათ მიერ წარმოებული ომების შედეგად, სახაკანოს საზღვარმა მიაღწია ჩრდილო-დასავალეთ ინდოეთამდე. ჯიბღუ ხაკანს თავისი ლითონის ფულიც-კი („მონეტა“) გამოუცია. 630 წელს, ბიძამისის სიბირ-ხანის შეთქმულების შედეგად ჯიბღუ ხაკანი მოკლეს. მალე, ტახტის გამო ამტყდარი ბრძოლის დროს სიბირ-ხანიც დაიღუპა. ხოლო VIII საუკუნის დასაწყისში ტომებს შორის დაპირის-

პირებამ და ფეოდალების ძალაუფლებისათვის ბრძოლამ თურქთა სახაკანო დაასუსტა და ის საბოლოოდ დაიშალა. ამის შემდეგ თურქთა სახაკანოს ხსენება შეწყდა.

თურქთა სახაკანო წარმოადგენდა მსხემი ტომების გაერთიანებას. მათ მიერ გამართული ბრძოლები ძირითადათ მიმდინარეობდა ტყვეთა მოსაპოვებლად. რადგან თურქთა ტომები მისდევდნენ ტყვეთა ვაჭრობას. დაპყრობილი სახელმწიფოები ინარჩუნებდნენ თავის წეს-წყობილებას, ხოლო კაგანის მიერ დანიშნული მოხელეები აგროვებდნენ გადასახადებს, ხარკს და აგზავნიდნენ მთავარ ბანაკში. მეცნიერთა აზრით თურქთა სახაკანოს დროს, ჩამოყალიბდა დღევანდელი თურქულენოვანი ხალხები. (158).

4. ხ ა ზ ა რ თ ა ს ა ხ ა კ ა ნ ო .

თურქულენოვანი მომთაბარე ტომები, **ხაზარები**, 560 წელს თურქთა სახაკანოში შედიოდნენ, რომლებიც იმყოფებოდნენ დღევანდელ დაღესტანში, დერბენდის ჩრდილოეთ მხარეში. ხაზარები თანდათან გაფართოვ-დნენ და 650 წელს ქვემო ვოლგისპირეთში, ყირიმში და ჩრდილოეთ კავაკასიის აღმოსავლეთში შექმნეს სახელმწიფო – **ხაზართა სახაკანო**. რომლის დედაქალაქი დაღესტანში გახდა **სემენდერი**. მოგვიანებით, დედაქალაქად გამო-ცხადდა, ქვემო ვოლგაზე ქალაქი **ითილი**. ხშირად წყაროებში შავს, აზოვისა და კასპიის ზღვებს უწოდებდნენ ხაზარის ზღვას, ხოლო, ბიზანტიურ და იტალიურ წყაროებში, თითქმის XVI საუკუნემდე ყირიმს უწოდებდნენ „ხაზარეთს“, „ხაზარიას“.

XI საუკუნის ისტორიკოსი ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი გადმოგვცემს, რომ „გაძლიერდეს ხაზარნი და იწყეს ბრძოლად ნათესავთა ლეკანისთა და კავკასისთა. და ესე ნათესავნი თარგამოსისნი ყოველნი მას ჟამსა იყვნეს სიყუარულსა ერთმანეთისასა მშჯდობით, ხოლო შვილთა ზედა კავკასისთა იყო უფალ დურძუკ, ძე ტირეთისი. ეზრახნეს ესენი ექსუსთავე ნათესავთა თარგამოსიანთა და ითხოვეს შუელა ხაზართა ზედა.

ხოლო შეკრბეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანნი და გარდავლეს მთაჲ კავკასისაჲ და მოტყუენნეს ყოველნი საზღვარნი ხაზარეთისანი და აღაშენნეს ქალაქნი პირსა ხაზარეთისასა და წარმოვიდეს“. (3, გვ.31).

ამის შემდეგ, როდესაც მომძლავრდნენ VII საუკუნის დასაწყისიდან, ბიზანტია-ირანის ომის დროს, ხაზარები იწყებენ დარიალისა და დერბენდის გადასასვლელებით ამიერკავკასიაზე თავდასხმებს.

„ამის შემდგომად ხაზართა იჩინეს მეფე და დაემორჩილნეს ყოველნი ხაზარნი მეფესა მას, ჩინებულსა მათსა, და წარმოიძღუანეს იგი და გამოვლეს ზღჳსკარი და დარიალან, რომელსა აწ ჰქჳან დარუბანდი; და ვერ წინა-აღუდგეს თარგამოსიანნი, რამეთუ იყო სიმრავლე ურიცხჳ ხაზართაჲ, და წარტყუენნეს ქუეყანანი თარგამოსიანთანი და შემუსრნეს ყოველნი ქალაქნი არარატისა და მასისისა და ჩრდილოჲსანი, და დაურჩეს ციხე-ქალაქნი: თუხარისი, სამშჳლდე და მტუერისციხე, რომელ არს ხუნანი, შიდაქართლი და ეგრისი.

და ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღჳსკარი, დარუბანდი, და არაგჳსკარი, რომელ არს დარიალან. და განამრავლეს ხაზართა გამოსვლაჲ და ტყუენვაჲ მათი, და ვერღარა წინააღუდგეს. ნიერითგან იქმნეს ესე ყოველნი თარგამოსიანნი მოხარკე ხაზართა.“. (3, გვ.32).

ხაზარები ხშირად ჯერ ირანის, ხოლო შემდეგში არაბების საწინააღმდეგოდ, ბიზანტიელებს უკავშირდებოდნენ.

ცნობილია, რომ ბიზანტიის იმპერატორმა (610–641) ჰერაკლემ (575–641) ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად ხაზარები მოიწვია. ხაზარებმა ჯერ გაილაშქრეს ალანიის წინააღმდეგ, აიღეს დერბენდი და მიწასთან გაასწორეს. ამის შემდეგ, 627 წელს, ხაზართა მმართველი ჯიბღუ ხაკანი საქართველოსაკენ გამოემართა (ეს იყო ხაზართა პირველი ლაშქრობა საქართველოში), მას შეუერთდა მრავალრიცხოვანი ჯარით ჰერაკლე და შეეცადნენ, იმ დროს, ირანის გამგებლობაში მყოფი თბილისის აღებას, მაგრამ, ორთვიანი უშედეგო ალყის შემდეგ გაეცალნენ. თუმცა, ხაზარებმა 628 წელს მაინც მოახერხეს თბილისის აღება. „ქალაქში შეჭრილმა ხაზარებმა ველური სისასტიკით გაჟლიტეს ყველა, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. „როდესაც შეწყდა ხმა ტირილისა და ვაებისა და აღარავინ გადარჩა ცოცხალი, მაშინ მათაც გაიგეს, რომ დაძღნენ მათი მახვილნიც“. ამის შემდეგ დამპყრობლებმა ძარცვა-რბევას მიჰყვეს ხელი“. (6, ტ.II, გვ.282). VIII საუკუნის მწერალი და ჰიმნოგრაფი იოანე საბანის ძე ხაზარების შესახებ წერს: „არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მჴეცის ბუნება, სისხლის მჭამელ“. (6, ტ.II, გვ.293). საქართველოში ხაზარებს არაერთხელ ულაშქრიათ, ხოლო, როდესაც ამავე ხანებში ამირკავკასიაში არაბები გამოჩნდნენ, მათ მოუწიათ არაბთა სახალიფოსთან დაპირისპირება და ვინაიდან დარიალის ხეობა და დერბენდის გასასვლელი იყო დამაკავშირებელი გზა ამიერკავკასიასა და ხაზარებს შორის, საქართველო და დღევანდელი აზერბაიჯანის მიწა-წყალი იქცა საომარ ასპარეზად. 735 წელს არაბები შეიჭრნენ ხაზა-რების სახაკანოში და ხაზარები გაანადგურეს. ცნობილია, რომ IX საუკუნის შუა წლებში ხაზარები, მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად, არაბებს უხდიდნენ ხარკს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველები და ხაზარები, მტრებთან საბრძოლველად (ბიზანტია, არაბები და ირანი), ხშირად ერთმანეთს ეხმარებოდნენ. VIII საუკუნის ბოლოს, როდესაც აფხაზთა სამთავრო გაძლი-ერდა, „აფხაზთა ერისთავებმა მჭიდრო პოლიტიკური კავშირი დაამყარეს ხაზარებთან. ეს პოლიტიკური კავშირი დინასტიური დანათესავებითაც შეამაგრეს, ისარგებლეს ხაზარ-ბიზანტიელთა ინტერესების დაპი-რისპირებით და ხაზართა ძალა ბიზანტიის წინააღმდეგ გამოიყენეს. როგორც ცნობილია, ამ დროს ხაზარები აქტიურად ერეოდნენ ამიერკავკასიის, კერძოდ, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში. უაღრესად ნიშანდობლივია ამ მხრივ VIII ს. 80-იან წლებში არაბთაგან დევნილი ქართლის ერისმთავრის, ნერსეს კავშირი ხაზართა ხაკანთან და ხაკანის დახმარება აფხაზთა მთავრისადმი ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც ხაზართა ეკონომიური ინტერესებითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული.“ (6, ტ.II, გვ.417).

IX საუკუნის ბოლოს, ხაზართა სახაკანოს ჩრდილოეთის მხრიდან, შემოესივნენ თურქულენოვანი მომთაბარე ევროპეიდული და მონღოლური ტომები **პაჭანიკები**, რომლებმაც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი დაიპყრეს. ამავე დროს ხაზარებს კიევის სამთავრომაც შემოუტია. 966 წელს კიევის მთავარმა სვია-ტოსლავმა (გ. 973/974) გაანადგურა ხაზარები და დაანგრია მათი დედაქალაქი ითილი. ხაზარებმა ერთხანს შეეცადნენ აღედგინათ სახანო ხვარაზმის დახმარებით, მაგრამ ვერ შეძლეს და საბოლოოდ X საუკუნის დასასრულს თურქ მომთაბარე ხალხებს შეერივნენ.

735 წელს როდესაც ხაზართა სახაკანოში არაბები შეიჭრნენ და ხაკანი დაამარცხეს, არაბებმა დაიწყეს ისლამის გავრცელება. ისლამი, მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილმა აღიარა. პირველად ისლამი აღიარა ხაკანმა და მისმა ამალამ. ჩრდილოეთ დაღესტანში მცხოვრებმა ხაზარებმა კი, დერბენდის ებრაელთა ზეგა-ვლენით აღიარეს იუდაიზმი. VIII საუკუნეში ბიზანტიასთან ურთიერთ კავშირის დროს, ხაზართა სახაკანოში დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება. საბოლოოდ, სახელმწიფო რელიგიად იუდაიზმი განცხადდა.

მეცნიერთა აზრით: „იუდაიზმი, როგორც ეტყობა, შეერწყმა ცენტრალურ ევროპის საზოგადოებებს. დღევანდელი ლიტველი და ყირიმელი კარაიმები და სხვები, თავიანთ თავს თვლიან ხაზართა შთამო-მავლებად. ხაზართა ფესვები, აქვთა ზოგიერთ თურქულ ენაზე მოლაპარაკე ჩრდილოეთ კავკასიელთა ხალხს“. (154).

ისტორიკოსი როლანდ თოფჩიშვილი ხაზარების შესახებ წერს, რომ:

„ერთ-ერთი თურქულენოვანი ხალხი ხაზარების სახელწოდებას ატარებდა, რომლებსაც ჩრდილოეთ კავკასიის ბარში, მდ. თერგის ჩრდილოეთით და ვოლგისპირეთში VI–X საუკუნეებში სახელმწიფო – ხაზრთა კაღანატი ჰქონდათ შექმნილი. X საუკუნის ბოლოს ისინი ისტორიის არენიდან გაქრნენ. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ოქროს ურდოს ეთნიკურ კონგლომერატში გაითქვიფა. მუსლიმურმა სარწმუნეობამ ხაზარები მექანიკურად თათრებად აქცია. ნაწილი XIII ს-ში მიმოიფანტა. ებრაული ზედაფენა უკვალოდ გაქრა. ფიქრობენ, რომ იუდაური სარწმუნეობის მიმდევარი ხაზარების გარკვეული ნაწილი კავკასიაში გაი-ქცა და ერთმორწმუნე მთიელ ებრაელებს შეერია. რადგან შუა საუკუნეებში რწმენა ადამიანთა ბედს განსაზღვრავდა, თერგის ქრისტიანი ხაზარები ერთმორწმუნეებს ეძებდნენ. ასეთები კი მდინარე დონის აუზში მცხოვრები ბროდნიკები იყვნენ (ბროდნიკები ნარევი წარმოშობის რუსულ ენაზე მოლაპარაკე მართლმადიდებლებს წარმოადგენდნენ). დღეს ეთნონიმით „ხაზარები“ ცნობილია სრულიად სხვა ხალხი, რომლებიც ავღანეთის სტეპებში ცხოვრობენ. მათ არაფერი აქვთ საერთო ჩრდილოეთ კავკასიასა და ვოლგისპირეთში ოდესღაც განსახლებულ ხაზარებთან. ავღანელი ხაზარები ირანელი მონღოლების შთამო-მავლები არიან, რომლებმაც 1295 წელს ისლამი მიიღეს და გააფთრებული ომის გამო სამშობლოში დაბრუნება ვეღარ მოახერხეს. ასე რომ, ერთი ეთნონიმის მატარებელ ისტორიის სხვადასხვა პერიოდში მცხოვრებ ხალხებს ეთნიკური თვალსაზრისით ერთმანეთთან არაფერი აქვთა საერთო“. (13, გვ.65).

5. ყაზანის სახანო

ცნობილია, რომ ჩინგის-ყაენის შთამომავალმა, ულუ მუჰამედმა (1405–1445), [ოქროს ურდოს ხანი 1419, (1421–1423), 1425, (1427–1429), (1431–1437), ყირიმის ხანი 1437, ყაზანის ხანი (1438– 1445)], 1432 წელს მოსკოვის სამთავროს მმართველად დაამტკიცა მოსკოვის დიდი მთავარი 1425-იდან ვასილი II უსინათლო (1415–1462). ამის შემდეგ, დიდ ურდოში, ულუ მუჰამედის წინააღმდეგ, მოხდა დაჯგუფება და იგი იძულებული გახდა 1437 წელს დაეტოვებინა ურდო. მცირე ამალით გადავიდა რუსეთის საზღვართან მდებარე ქ. ბელევეში. იმ იმედით, რომ შეეგროვებინა თავისი მომხრეები და ვასილი II-ის დახმარებით დაიბრუნებდა დაკარგულ ძალაუფლებას. მაგრამ, მოსკოვის მთავარმა მოსთხოვა საზღვრის დატოვება და მის წინააღმდეგ ჯარიც გაგზავნა. ამავე წლის

5 დეკემბერს ულუ მუჰამედმა, მიუხედავად იმისა, რომ მას მხოლოდ 3 000 მხედარი ჰყავდა, მოულოდნელი, უეცარი თავდასხმით, შეძლო 40 000-ანი რუსების დამარცხება. გაეცალა რუსეთს და დაიკავა ადრე, რუსების მიერ განადგურებული და დაცარიელებული ქ. **ყაზანი**. აქვე, წარმოიქმნა, დიდი ურდოსაგან დამოუკიდებელი, როგორც ვარაუდობენ, დიდი ურდოს ახალ ხანთან შეთანხმებით, რუსეთის საზღვართან მდებარე, **ყაზანის სახანო**.

ულუ მუჰამედმა 1439 წელს გაილაშქრა მოსკოვის წინააღმდეგ, დაარბია მიმდებარე მიდამოები და უკან დაბრუნებისას გადაწვა ქ. კოლომნა. 1444 წლის სექტემბერში, ხელახლა გაილაშქრა რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ, ამინდის გაუარესების გამო, 1445 წლის იანვარში იძულებული გახდა უკან დაბრუ-ნებულიყო. ამავე წლის აპრილში ყაზანელებმა გაანადგურეს რუსები, რამდენიმე ქალაქებიც აიღეს. ამ ლაშქრობისას ვასილი II-ეც ტყვედ აიყვანეს. ულუ მუჰამედსა და ვასილი II შორის დაიდო, მოსკოვის სამთავროსათვის იმდენად დამამცირებელი ხელშეკრულება, რომ ის საერთოდ არ გამოცხადებულა. 1461 წელს ვასაილი II-ემ გაი-ლაშქრა ყაზანის სახანოს წინააღმდეგ, მაგრამ, შემდეგ, ურთიერთ შეთანხმებით, მშვიდობიანად დაშორდნენ.

მოსკოვის სამთავროსა და ყაზანის სახანოს შორის, ურთიერთობა მუდამ მტრულ ვითარე-ბაში მიმდინარეობდა. მოსკოვის სამთავრო ცდილობდა ხელში ჩაეგდო ვოლგის სავაჭრო გზა, რომლის შემწეობითაც ის დაუკავშირდებოდა აღმოსავლეთის ბაზარს.

ულუ მუჰამედის შემდეგ ყაზანის სახანოს ხანები ხშირად აწყობდნენ თავდასხმებს რუსეთის ქალაქებზე, არბევდნენ და მიჰყავდათ ტყვეები.

მოსკოვის სამთავროს ახალი მმართველი ივანე III (1440–1505) შეეცადა (1467 და 1469) წლებში ყაზანის სახანო დაეპყრო, მაგრამ ვერ შეძლო. ყაზანის ხანის (1467–1479) იბრაჰიმის (გ. 1479) დროს, 1469 წლის აგვისტოში რუსეთსა და ყაზანის სახანოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო. თუმცა, 8 წლის შემდეგ მდგომარეობა ისევ გართულდა. მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა რუსებმა ვერ შეძლეს ყაზანის დაპყრობა. 1479 წელს ყაზანის ხანი გახდა ილხამი (ალი) (დაახლ. 1450–1490). 1484 წელს ყაზანის სახანოს წინააღმდეგ გაილაშქრა მოსკოვის სამთავრომ და მისი შემწეობით ყაზანის ხანი გახდა, რუსეთის მომხრე, 16 წლის ე. წ. „მოსკოველი თათარი“ მუჰამედ-ამინი (1469–1518), მაგრამ, ტახტი ვერ შეინარჩუნა და 1485 წელს დატოვა სახანო. ტახტი დაიბრუნა ისევ ალიმ. მაგრამ, 1487 წლის მაისში რუსებმა ხელახლა გაილაშქრეს ყაზანის სახანოს წინააღმდეგ. ყაზანი ალყაში მოაქციეს. ბოლოს, ამავე წლის ივლისში, რუსეთის მომხრეებმა გაიმარჯვეს და ხანი, ოჯახის წევრებთან ერთად, რუსებს გადასცეს. ისინი ვოლოგდაში გადაასახლეს, სადაც ალი გარდაიცვალა. რუსებმა ყაზანი აიკლეს და აოხრეს. ყაზანის ხანი ხელახლა გახდა მუჰამედ ამინი. ყველა მოწინააღმდეგე შეხედულების ცნობილი პირები სიკვდილით დასაჯეს. ამის შემდეგ ყაზანის სახანო რუსეთზე დამოკიდებულ ქვეყნად იქცა. ამავე ხანებში ივანე III-ემ მიიღო ბულგარეთის მთავარის წოდება (შემდეგში რუსეთის მეფეების წოდება იყო – ბულგარეთის ხელმწიფე). 1502 წლიდან მუჰამედ ამინმა დაიწყო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. 1505 წლის 27 ოქტომბერს ყაზანში დაარბიეს რუსეთის ქვეშერდომნი და მომხრეები და მონებად აქციეს. მოსკოვის ახალმა მთავარმა (1505–1533) ვასილი III-ემ (1479–1533), 1506 წელს ყაზანის წინააღმდეგ გააგზავნა ლაშქარი, მაგრამ, რუსების ლაშქარი დამარცხდა და განადგურდა. მეორეთაც ყაზანელებმა შეძლეს

რუსების დამარცხება. 1518 წელს ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა მუჰამედ ამინი და მოსკოვთან შეთანხმებით, ყაზანის ხანი (1519–1521) გახდა შახ-ალი. ამასობაში, ყაზანში გაიმარჯვეს ყირიმისა და თურქეთის მომხრეებმა. 1521 წელს ყირიმის სახანოს ლაშქარი დაუბრკოლებრივ შევიდა ყაზანში და იქ მყოფი რუსები და რუსეთის ლაშქარი დაარბია. ყაზანის ხანი (1521–1524) გახდა მუჰამედ ამინის ძმა საჰიბ გირეი (1501–1551). შახ-ალი გაიქცა მოსკოვში. მან დაამყარა კავშირი ასტრახანისა და ყირიმის სახანოებთან და იმავე წელსვე თავს დაესხნენ რუსეთის ქალაქებს, მოსკოვი ალყაში მოაქციეს და მოსკოვის მთავარი ვასილი III იძულებული გახდა მისთვის დამამცირებელ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა. 1524 წლიდან ყაზანის სახანო ოსმალეთს დაემორჩილა. ყაზანისა და ყირიმის სახანოებმა არაერთხელ გაილაშქრეს მოსკოვის სამთავროს წინააღმდეგ. 1524 წელს რუსებმა ალყაში მოაქციეს ყაზანი, მაგრამ მისი აღება ვერ შეძლეს. ყაზანის სახანოს წინააღმდეგ დაიწყო თავდასხმები ნოღაის სახანომ. ამიტომ, ამავე წელსვე, ყაზანის სახანოსა და მოსკოვის სამთავროს შორის გაფორმდა ხელშეკრულება. მაგრამ, მალე ყაზანის სახანოში მდგომარეობა ისევ შეიცვალა და ხანი გახდა ყირიმის სახანოს ხანის შვილი საფა-გირეი (საფა გერაი) (1510–1549), რომელიც ყაზანის სახანოს მართავდა (1524–1531, 1536–1546, 1546–1549) წლებში. იგი ოსმალეთის ხელქვეითი გახდა. მან (1536–1537, 1541–1542, 1548) წ-ში გაილაშქრა მოსკოვის წინააღმდეგ.

1547 წელს რუსეთის პირველი მეფე გახდა ივანე IV (მრისხანე). მან (1547. 1549 და 1551 წლებში) მოაწყო ყაზანის წინააღმდეგ ლაშქრობები, მაგრამ ეს ლაშქრობები უშედეგოდ დასრულდა. სათანადო მომზა-დების შემდეგ, 1552 წლის 12 ოქტომბერს რუსებმა შეძლეს ყაზანის ალყაში მოქცევა და მიუხედავად ყაზანელთა თავგანწირული დაცვისა, რუსებმა ქალაქი აიღეს. მხოლოდ ყაზანელთა მცირე ნაწილმა შეძლო თავის დაღწევა და ალყის გარღვევა. ყაზანის სახანომ შეწყვიტა არსებობა და მიუხედავად კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში წინააღმდეგობებისა, ის სამუდამოდ შეუერთდა რუსეთის სახელმწიფოს.

1708 წლამდე ეწოდებოდა ყაზანის სამეფო. პეტრე I-ის დროს გადაკეთდა ყაზანის გუბერნიად, 1920 წლის 27 მაისიდან – თათრეთის ავტონომიურ სსრ-დ, 1992 წლიდან შევიდა ვოლგისპირეთის ფედერალურ ოკრუგში, 1990 წელს ეწოდა – თათრეთის რესპუბლიკა (1992 წლის თათრეთის კონსტიტუციის თანახმად, სახელწოდება „თათრეთის რესპუბლიკა“ და თათარისტანი“ ერთისა და იმავეს ნიშნავს). 1988 წელს თათრეთში ჩამოყალიბდა „სრულიად თათრეთის საზოგადოებრივი ცენტრი“. შექმნილია ეროვნული დამოუკი-დებლობის პარტია „იტტიფაკი“ („თანხმობა“), ისლამისტური მიმდინარეობა „ხიზბ-უტ-ტახრირი“ და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ადრე, რუსეთის იმპერიაში და შემდეგ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნები იყვნენ კოლონიურ მდგომარეობაში, ასევე იმყოფებოდნენ და დღესაც ხდება თათრების დევნა-შევიწროება.

„2001 წელს კრემლმა გადაწყვიტა რესპუბლიკის ბიუჯეტი ცენტრალური ბიუჯეტისათვის დაექვემდე-ბარებინა, რასაც თათრეთში დიდი ვნებათა ღელვა მოჰყვა. თათრეთში ჩამოაგდეს ივანე IV მრისხანის ძეგლი. თუმცა... თათრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა... მ. შამიევმა სიტუაციის დარეგულირება შეძლო... მ. შამიევმა კრემლს მიაღებინა კანონი, რომლის მიხედვითაც 2011 წლიდან თათრული დამწერლობა, კირილიცას ნაცვლად, ლათინურ

ალფავიტზე უნდა გადავიდეს....

თათარ ნაციონალისტებს დიდი ხანია გაცნობიერებული აქვთ, რომ რუსეთის მხრიდან მიზანმიმა-რთულებით ხორციელდება მკვიდრი მოსახლეობის ასიმილაცია რუს ხალხთან (თათრეთის ეთნოლოგიური მონიტორინგის ცენტრის მონაცემებით არათათარი მოსახლეობა 44%-ს, ხოლო შერეული ოჯახების რაო-დენობა რესპუბლიკის მოსახლეობის 24%-ს წარ-მოადგენს). სოციალური მდგომარეობის ფონზე დღითიდღე იზრდება მოსახლეობის გადინება სხვა ქვეყნებში (ძირითადად ყაზახეთში), კვლავ მაღალია სიკვდილიანობა და შობადობის კლების ტენდეცია, მოსახლეობა თანდათან კარგავს თვითმყოფადობას, ენას, სარწმუნეობას და კიდევ სხვა მრავალ უარყოფით ფაქტორთან ერთობლიობაში, მოსალოდნელია თათარი მოსახლეობა უახლოეს მომავალში თავისივე ქვეყანაში უმცირესობაში აღმოჩნდეს". (79).

მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვ ა ხ ი ტ ი მ ა მ ო ვ ი აღნიშნავს:

,,სამწუხაროა, რომ თათარმა ხალხმა თავისი ისტორიის ნახევარიც კი არ იცის. იმიტომ, რომ სკოლებში ათი წლის განმავლობაში ჩვენ ვსწავლობდით მხოლოდ რუსულ ისტორიას. სასკოლო და უმაღლეს სასწა-ვლებლის სახელმძღვანელოში, თუ იყო მოხსენებული თათარი, ეს იყო მხოლოდ შეურაცხმყოფელ კონტე-ქსტში: რომ თვითონ ჩამორჩენილმა და ულმობელმა ხალხმა დაამყარა უღელი და საუკუნეების განმა-ვლობაში ამუხრუჭებდა რუსულ სახელმ-წიფოს პროგრესიულ" ,,განვითარებას". ამიტომ არა მარტო ყაზანის სახანოს განადგურებას ივანე მრისხანის ჯალათების მიერ, არამედ რუსების მიერ ბალტიისპირეთის და კავკასიის, შუა აზიის, ციმბირისა და შორეულ აღმოსავლეთის დაპყრობასაც კი გვაწვდიდნენ, როგორც ,,პროგრესიულ" მოვლენას... მოსპობილი სახელმწიფოებისა და ქალაქების, გამქრალი ერე-ბისა და ენების შესახებ ყველა გაჩუმებული იყო. თვითეული ,,ისტორიული" წიგნი ყოველ-თვის ,,წარმატებით" გვერდს უვლიდა ასეთ ,,პროგრესიულ" მოვლენებს. პირიქით, მოსკოვის ,,გენიალური ისტორიკოსები", ცდილობდნენ წარმოეჩინად რუსი ხალხი როგორც ანგელო-ზები და ხმის ამყოლი ,,მეცნიერები" – მანკრუტები, რბილის სკამებისა და მსუყე მოწყალებისათვის, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ჩირქი მოეცხოთ ნამდვილი ისტორი-ისათვის. კაცობრიობის ისტორიაში რუსი ხალხი, თურმე გამოირჩეოდა თავისი ჰუმანურო-ბით, პროგრესიულობით. მიისწრაფებოდნენ იმისათვის, რომ დახმარებოდნენ სხვებს. თითქოს იძულებულნი იყვნენ ,,გაენთავისუფლებინად" კავკასიელი და ბალტიისპირეთის ხალხი ,,უცხოელი უღლისაგან". ერთმანეთთან ,,არიგებდა" შუააზიელ მუსულმანებს (ავღანეთამდე). ,,გადაარჩინა" ყველა ციმბირის ხალხნი შიმშილისა და სიკვდილისაგან. ხომ ხედავთ, თურმე რუსი ხალხი ძალაუნებურად დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილის მფლობელი გახდა, ისიც როგორც მომრიგებელ-მოსამართლე ანუ გულშემატკივარი უფროსი ძმა. ჭეშმა-რიტად, სადაც რუსმა ჯარისკაცმა დააფურთხა – იქ ,,იმთავითმე" რუსული მიწაა.

აი ასეთი ისტორიით და ყალბი პოლიტიკით სწამლავდნენ ჩვენს ცნობიერებას". (94).

მოსკოვის სამთავროს მიერ ყაზანის სახანოს დაპყრობის შემდეგ, რუსეთის ხელისუფ-ლების წინაშე, დღის წესრიგში დადგა ასტრახანის სახანოს დამორჩილებაც. ვინაიდან ის მდებარეობდა რუსეთისა და აზიის (ბუხარისა და ხორეზმის) სავაჭრო გზების გადაკვეთაზე. მოსკოვის სამთავროს უნდოდა ამ გზის ხელში ჩაგდება.

6. ასტრახანის სახანო.

ასტრახანის სახანო ჩამოყალიბდა XV-ის II ნახევარში, ოქროს ურდოს დაშლის შემდეგ. ზევით აღვნიშნეთ, რომ ოქროს ურდოს გამოეყო: ყაზანის (1438), ყირიმის (1441) სახანოები და ნოღაის ურდო (1440). 1459 წელს, დიდი ურდოს ხანმა მაჰმუდმა (გ. 1470/71), ავჯანყებულ ძმასთან დამარცხების შემდეგ, გაიქცა ქ. ხადჯი-ტარხანში (შემდეგში ეწოდა „ასტრახანი", ძველ ქართულ წყაროებში „აშტრახანი") და ჩამოაყალიბა საკუთარი სახანო. ასტრახანის ხანის (1460–1470) მაჰმუდის შემდეგ, მისი შვილის კასიმის დროს (1476–1495) ასტრახანის სახანომ, 1481 წლიდან სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა. მის სამფლობე-ლოში მოექცა ქვემო ვოლგისპირეთი და ჩრდილოეთ კავკასიის ველები. მოსახ-ლეობა შედგებოდა მომთაბარე თურქულენოვანი ტომებისაგან. სახანოს მართავდნენ მონღო-ლთა ჯუჩითების საგვარეულოს წარმომა-დგენლები. ასტრახანის სახანო, სხვა სახანოებთან შედარებით წარმოადგენდა მცირე სახანოს და ის მუდამ დამოკიდებული იყო მის მეზობლად მდებარე ყირიმის სახანოსა და ნოღაის ურდოზე, რომლებიც ცდილობდნენ ხანად დაესვათ თავიანთი წარმომადგენლები. ამიტომ, თავდაცვის მიზნით, 1533 წელს ასტრახანის სახანო დაუკავშირდა მოსკოვის სამთავროს და მათ შორის დაიდო სავაჭრო და ურთიერთ დახმა-რების ხელშეკრულება. მაგრამ, როდესაც რუსეთმა 1552 წელს ყაზანის სახანო დაიპყრო და მოსკოვის სამთავრო უშუალოდ დაუმეზობლდა ასტრახანის სახანოს, მაშინვე, რუსეთის „მეგობრული" დამოკიდე-ბულება ასტრახანის მიმართ შეიცვალა და მტრული გახდა. 1553 წელს ივანე IV დაუკავშირდა ნოღაელებს ასტრახანის ხანის (1546–1547), (1549), (1552–1554) იამგურჩის შეცვლის შესახებ. ხოლო, 1554 წლის 2 ივლის რუსები თავს დაეხსნენ ასტრახანის სახანოს. იამგურჩი დამარცხდა და გაიქცა აზოვში, სადაც იმ დროს იმყოფებოდნენ თურქები. რუსებმა ასტრახანის მმართველად დასვეს დერვიშ-ალი (გ. 1558), რომელიც ხანად იმყოფებოდა (1537–1540), (1550–1552), და (1554–1556). დერვიშ-ალისა და რუსებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ასტრახანის სახანო დაექვემდებარა მოსკოვის სამთავროს, ყოველ წელს უნდა გადაეხადა 40 000 ალტინი (დაახლ. 1 200 ვერცხლის რუბლი) და მოსახლეობის გამოსვლების საწინააღმდეგოდ ასტრახანში ჩადგა რუსეთის ჯარის ნაწილი და დონის კაზაკები. 1554 წელს დაიწყო მოსახლების გამოსვლები, ხოლო დერვიშ-ალი მიემხრო ყირიმის სახანოს, რომლისგანაც მიიღო დამხმარე ჯარის ნაწილები. 1556 წელს ასტრახანის დასასჯელად ივანე IV-ემ გააგზავნა ჯარი, დერვიშ-ალი დამარცხდა და გაიქცა აზოვში, თურქებთან. ასტრახანის სახანომ შეწყვიტა არსებობა და ის შეუერთდა მოსკოვის სამთავროს. (112).

7. ნოღაის ურდო.

ჩრდილოეთ კავკასიაზე ზეგავლენას ახდენდა მომთაბარე ტომთა გაერთიანება **ნოღაის ურდო**. რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდ ურდოს გამოეყო 1440 წელს.

ურდოს და თვით ხალხის სახელწოდება „ნოღაი", დაკავშირებულია ოქროს ურდოს სარდლის, ჯუჩი ყაენის შვილიშვილის, ნოღაის (1235/40–1300) სახელთან. რომლის დროსაც ჰულაგულების საგვარე-ულოს წარმომადგენლებთან ბრძოლების დროს, მის გამგებ-

ლობაში აღმოჩნდა, მდინარეების დუნაიდან დონამდე მიწები. ცნობილია, რომ მისი ხელშეწ-ყობით, 1380 წელს ოქროს ურდოს ყაენი გახდა, ჩინგის-ყაენის შთამომავალი, თოხთა-მიში (გ. 1406). თუმცა, მალე მათშორის განხეთქილება მოხდა და 1300 წელს ნოღაი დამარცხდა. იგი ტყვედ ჩავარდა და მოკლეს.

ნოღაის ურდოს საფუძველი ჩაუყარა, თეთრი ურდოს სარდალმა ედიგეიმ (1352–1419), რომელიც (1396–1411) წლებში ოქროს ურდოს მართავდა. იგი, ითვლება ნოღაე-ლების თქმულების თანახმად წმინდა ბაბა თუგლესას ბადიშვილად. მისი მმართველობის დროს, ნოღაის ურდო ჩამოყალიბდა როგორც ფეოდა-ლური სახელმწიფო. პირველად მას სამსახური დაუწყია თემურლენგის ჯარში. შემდეგ, მას ვხედავთ, ურალს იქეთ მყოფ **მანგიტების** ტომების ხელმძღვანელად. თემურლენგის მიერ თოხთამიშის დამარცხების შემდეგ, განსკუთრებით, როდესაც მან 1406 წ. მოკლა თოხთამიში, მისი სახელი ოქროს ურდოში გაიზარდა. ურდოში არეულობის დროს, ხანების დამხობა და აღზევება მასზე იყო დამოკიდებული. 1399 წ. მან მდ. ვორსკლაზე (მდ. დნეპრის მარცხენა შენაკადი) დაამარცხა ლიტვის დიდი სამთავრო. ხოლო, 1408 წელს დაარბია მოსკოვის სამთავროს ქალაქები, უკან დაბრუნებისას ააოხრა ქ. რიაზანი. 1419 წელს თოხთამიშის ერთ-ერთმა შვილმა იგი ქ. სარაიჩიკთან ახლოს მოკლა. (145).

მისი შვილის, ნურ ად-დინ ბატირ-ბიის (1412–1419) მმართველობისას, ნოღაის ურდო საბო-ლოოდ გამოეყო ოქროს ურდოს, ჩამოყალიბდა და დამოუკიდებელი სახელმწიფო ნოღაის ურდო გახდა. მის საზღვრებში მოექცა ახლანდელი ჩრდილოეთ კასპისპირეთისა და არალისპირეთის მიდამოები და ველები. (157).

წყაროებიდან ჩანს, რომ ნოღაის ურდოს ჩამოყალიბებაში, სხვადასხვა თათარ ტომებს შორის, დიდი წვლილი მიუძღვის, ხორეზმში მყოფ, მანგიტების ტომს, რომლებიც ყველაზე უფრო მსხვილ და ძლიერ ტომს წარმოადგენდა. წყაროების თანახმად, ისინი აღმოსავლეთ ევროპიდან, შავი ზღვისპირეთიდან და ყირიმიდან ხორეზმში ჩამოუსახლებია ედიგეის. რამდენიმე ხნის შემდეგ, მათ დაუწყიათ ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ყაზახეთის და უზბეკეთის სახანოს წინააღმდეგ.

XV საუკუნის II ნახევარში, რუსულ წყაროებში, მანგიტები მოხსენებულნი არიან ნოღაიელების სახელწოდებით.

ნოღაის ურდოში ჩამოყალიბდა თავისებური სახელმწიფოს საზოგადოებრივი წყობილების ფორმა. ურდოს მმართავდა **ბიი**. მის შემდეგ, მეორე პირი იყო **ნურადინი**, რომელიც იცავდა სახელმწიფოს საზ-ღვრებს მარჯვენა ვოლგის მხრიდან თავდასხმებისაგან და მესამე პირად ითვლებოდა **კეკოვატი**, რომელიც იცავდა სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვრებს.

ბიის შვილებს ეწოდებოდათ **მურზები**. ბიის სიკვდილის შემდეგ, სახელმწიფოს მმართველი ხდებოდა უფროსი შვილი.

ურდო დანაწევრებული იყო ბიის მიერ ულუსებად, რომლებსაც მმართავდნენ მურზები. ულუსები მთელი წლის განმავლობაში მომთაბარეობდნენ. ურდოს მთავარი ქალაქი იყო **სარაჩაიკი**, სადაც იმყოფებოდა ბიი.

ნოღაის ურდოს წარმოქმნისთანავე წარმოიშვა წინააღმდეგობები და ურთიერთ შეხლა-შემოხლა მეზო-ბელ სახელმწიფოებთან. მოსკოვის სამთავრომ შეძლო, სხვადასხვა ხერხებით, ნოღაის ურდოს, ყირიმის და ასტრახანის სახანოების გადმობირება და 1502 წელს დიდი

ურდო საბოლოოდ გაანადგურეს. მისი მიწების ნაწილი ნოღაის ურდომ შეიერთა. თუმცა ეს იყო დროებით, რადგან მოსკოვს, გეგმის მიხედვით, მას ყველა მეზობელი სახელმწიფოები უნდა დაეპყრო და დაემორჩილებინა.

1530-იანი წლების ბოლოს ნოღაის ურდო აღმოჩნდა 3 ნაწილად დაშლილი, რომლებსაც მმართავდნენ ძმები: აღმოსავლეთ ნაწილს – შეიხ-მამაი, მანგიტების ტომების კეკოვატი (1537–1541), ნოღაის ურდოს ბიი (1541–1549); ცენტრალურ, ძირითად ნაწილს – საიდ-ახმად ბიი (1524–1541) და დასავლეთ ნაწილს – ჰაჯი-მუხამმად-მირზა ნურადინი (1537–1541).

მოსკოვის სამთავროს, რომ თავისი გეგმა განეხორციელებინა, ცდილობდა სხვადასხვა ხერხის გამო-ყენებით, სახანოები ერთმანეთს გადაეკიდებინა. XVI საუკუნის II ნახევარში მოსკოვის აგრესიული მოქმე-დების გამო, მას დაუპირისპირდნენ ყაზანის, ასტრახანის და ციმბირის სახანოები და სამხედრო პოლიტიკას აწარმოებდნენ. აღმოჩნდა, რომ მოსკოვთან მხოლოდ ნოღაის ურდო იყო მეგობრულ კავშირში, რომელიც ეხმარებოდა მას, როგორც ეკონომიურად, ასევე პოლიტიკურადაც. მისი ზეგავლენით, ნოღაის ურდო მოქმედებდა მეზო-ბლების საწინააღმდეგოდ. ამავე დროს, ივანე IV მრისხანე ვერაგულად მოქმედებდა თვით ნოღაის ურდოს მიმართ: მოსყიდვითა და სხვადასხვა ხრიკებით, მან მოახერხა ნოღაის ურდოს თავადების, ძმების, უსუფისა და ისმაილის წაკიდება. ნოღაის ურდოს ბიი (1549–1554) უსუფი მოსკოვს არ ენდობოდა და ყოველთვის მოქმედებდა მის საწინააღმდეგოდ. მან 1553 წელს მოსკოვის წინააღმდეგაც გაილაშქრა, მაგრამ ივანე მრისხანემ შეძლო მისი უმცროსი ძმის, ისმაილის გადაბირება და იგი მისი მონა-მორჩილი შეიქმნა. მან ძმას გამოუცხადა, რომ მოსკოვის მომხრე იყო და არ მიიღებდა მონაწილეობას მოსკოვის წინააღმდეგ ლაშქრობაში. თან დაემუქრა ომითაც. 1554 წელს ძმათა შორის გამართულ ომში უსუფი დამარცხდა და დაიღუპა. ისმაილმა, ნოღაის ურდოს ბიიმ (1555–1563) უსუფის ყველა მომხრეები გაანადგურა. გადარჩენილები გაიქცნენ ყირიმის სახანოში. მათ შორის იყვნენ უსუფის შვილებიც, რომლებიც განაგრძობდნენ ისმაილის წინააღმდეგ ბრძო-ლას, მაგრამ დამარცხდნენ და იძულებულნი შეიქმნენ ყირიმში თავი შეეფარებინად. შემდეგში, ისინი გადავიდნენ რუსეთში, გახდნენ რუსეთის მოქალაქენი და გახდნენ თავადები. უსუფ-ბიის სახელიდან მომდინარეობს თავადთა სახელწოდება – უსუფოვები. ივანე IV-ემ უსუფის შვილებს გადასცა ქ. რომანოვი. აქედან მომდინარეობს თათართა რომანოვების საგვარეულოს სახელწოდებაც. 1557 წელს ისმაილმა ხელშეკრულება დადო ივანე IV-სთან. ისმაილს განუდგნენ მისი მომხრეებიც და ულუსების უმრავლესობა ყირიმის სახანოს ქვეშევრდომები გახდნენ. ამას დაემატა ნოღაის ურდოში მომხდარი ბუნებრივი მოვლენები. 1556 წელს საშინელი სიცხის გამო დაიღუპა უამრავი საქონელი და დაიწყო შიმშილობა. 1558 წელს კი გავრცელდა ეპიდემია – შავი ჭირი. რომელმაც, გადმოცემით, მოსახლეობის თითქმის 80% შეიწირა და მოსახლეობამ დაიწყო გადასვლა ჩრდილოეთ კავკასიაში. XVII საუკუნის დასაწყისში, მდინარეების იაიკის ორივე ნაპირებიდან (1775 წ-დან ურალი) ვოლგამდე ჩაასახლეს ყალმუხები. მოსკოვის მთავრობამ კი თავის ხელქვეითებს უბრძანა, რომ არ დახმარებოდნენ თათრებს, არ გაეყიდათ მათთვის სურსათ-სანოვაგე, აუკრძალა პურის გაყიდვაც კი, აეკრძალად თათრებს მდ. ვოლგასთან მისვლაც და თევზაობაც. თვითმხილ-ველების აღწერით, ვოლგის ნაპირებზე ათასობით ეყარნენ შიმშილისგან დაღუპული თათ-

რები. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ისმაილი მაინც დარჩა მოსკოვის მომხრე. იგი ივანე IV-ეს მეგობრობას უმტკიცებდა და თანახმა იყო მონაწილეობა მიეღო ყირიმის სახანოს წინაარმდეგ ლაშქრობაში. (1559 და 1560) წლებში, კაზაკებთან ერთად, ივანე IV-ის ბრძანებით, ლაშქრობდა ყირიმის სახანოს წინააღმდეგ. ნოღაის ურდოში დაპირისპირებებისა და ბუნებრივი მოვლენების გამო, ნოღაის ურდო იმდენად დასუსტდა, რომ 1556 წელს ის დაიშალა სამ ერთეულად:

1. **დიდი ნოღაი** – ისმაილის სამფლობელო, ადრინდელი ნოღაის ნაწილი. ის დარჩა მოსკოვის გავლენის ქვეშ;

2. **მცირე ნოღაი** (მცირე ნოღაის ურდო, კაზიევის ურდო, კაზიევის ულო) – ნოღაელმა მურზამ (ქართ. აზნაური) კ ა ზ ი მ მ ა (გაზი ბენ ურაკი) (?–1576) XVI საუკუნის 50-ან წლებში, ნოღაის ურდოს მართველთან უთანხმოების გამო, თავისი მომთაბარე ნოღაელების ნაწილი გადაიყვანა აზოვსა და ყაბარდოს შორის ველებზე. ემხრობოდა ყირიმის სახანოს და თურქეთს და მოქმედებდა მოსკოვის სამეფოსა და დიდი ნოღაის ურდოს წინააღმდეგ. მონაწილეობას ღებულობდა 1569 წელს ასტრახანის წინააღმდეგ და (1571– 1572) წლებში მოსკოვის წინააღმდეგ ლაშქრობებში. 1576 წელს მოკლეს ყაბარდოელი თემრიუკოვების წინააღმდეგ ლაშქრობის დროს;

3. **ალთუილის ნოღაი** – ყოფილი ურდოს სამხრეთი ნაწილი, რომელიც ესაზღვრებოდა შუა აზიას კასპისპირეთში. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ამ ნოღაელებმა, გარკვეული ზეგავლენა იქონია **ყარაყალფახების** ერის ჩამოყალიბებაში.

XVI საუკუნის ბოლოს მოსკოვის სამთავრომ, დიდ ურდოში დაიწყო ციხე-სიმაგრეებისა და ქალაქების მშენებლობები. ამავე ხანებში ხდებოდა ურდოში კაზაკების თარეში და თათრების აწიოკება. 1586 წელს კაზაკებმა დიდი ურდოს დედაქალაქი **სარაიჩიკი** დაარბიეს და ააოხრეს. XVII საუკუნეში, ნოღაის ურდოსა და ყირიმის სახანოს წინააღმდეგ, მოსკოვის წაქეზებით და დახმარებით (სამხედრო იარაღით და ყოველ-მხრივი შეღავათებით) იწყებს ყალმუხების ურდო მოქმედებას. ამავე საუკუნის შუა ხანებში, სხვადასხვა ვითარების გამო, ნოღაელთა ნაწილი იძულებული გახდა დაბრუნებულიყო ასტრახანში, ხოლო ნაწილი შეუერთდა ყირიმის სახანოს. 1644 წელს ნოღაელებმა შეძლეს ყალმუხების დამარცხება.

XVII საუკუნის II ნახევარიდან დიდი ურდოს და კასპისპირეთში მყოფი ნოღაელების მდგომარეობა უფრო მეტად გაუარესდა და იძულებული შეიქმნენ გადასახლებულიყვნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და მეზობელ სახელმწიფოებში. ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფი ნოღაელები მოექცნენ, რუსეთის, ყირიმის და ყაბარდოელების (ნოღაელების უმრავლესობა) გავლენის ქვეშ. ასე, რომ სინამდვილეში, ამ ორმა ნოღა-იდურმა ურდომ შეწყვიტა არსებობა.

1774 წელს თურქეთსა და რუსეთს შორის დადებული ქუჩუკ-კაინჯარის სამშვიდობო ზავის, III მუხლის თანახმად, მცირე ნოღაის ურდო, რომელსაც მასში მყოფი ყველა ტომები ემორჩილებოდნენ მათ მიერ არჩეულ ხანს, შეინარჩუნა თავისუფლება. არცერთ სახელმწიფოს (რუსეთს, თურქეთს და სხვ.) არ ქონდათ უფლება ჩარეულიყვნენ მათ შინაგან და საგარეო საქმეებში. მაგრამ, სინამდვილეში, როგორც გამოირკვა, ამ დადგენილებას არავინ ყურადღებას არ აქცევდა.

XVIII საუკუნის II ნახევრიდან, ზედიზედ ხდებოდა რუსეთის იმპერიაში მყოფი ნოღაელების აჯანყებები. 1781 წლის ივნისში დიდი აჯანყების სასტიკად ჩახშობის შემდეგ,

რუსეთის ხელისუფლებამ, 1783 წლის ბრძანების თანახმად, საერთოდ გააუქმა უკანასკნელი ნოღაის ურდო, ამის გამო, ნოღაიელები ხელახლა აჯანყდნენ. ამ აჯანყებამ იმდენად მწვავე და ფართო ხასიათი მიიღო (აჯანყება მოედო მთელ ჩრდილოეთ კავკასიას), (იხ. ზევით) რომ ა. სუვოროვმა დიდი ძალების დაძაბვით მოახერხა ჩახშობა. რომლის დროსაც ნოღაელების გარდა, უამრავი ჩრდილოეთ კავკასიელი დაიღუპა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, თვით მხილველთა გადმოცემით, აულები და სხვადასხვა ტომები განადგურდნენ. არ ინდობდნენ არავის: ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს. სხვადასხვა გადმოცემით და შეფასებით, თითქმის 500 000-სზე მეტი ნოღაიდელი დაიღუპა. ხოლო მილიონზე მეტი თურქეთში გაიხიზნა. ჩრდილოეთ კავკასიის მიდამოები და ველები თით-ქმის დაცარიელდა. ამის შემდეგ, დაიწყო ნოღაიდელთა გადასახლება. მოსახლეობის აღრიცხვის თანახმად, 1859 წლიდან 1895 წლამდე, 100 ათასზე მეტი ნოღაიდელი გადასახლდა თურქეთში. როგორც აღნიშნავენ და გადმოგვცემენ, უწინ, ოქტომბრის დასაწყისში, ნოღაელები, მეჩეთებსა და სასაფლაოებზე ყოველთვის აღნიშნავდნენ დაღუპულთა სულთა ხსენებას. თანდათან დღესაც ხდება ამ წეს-ჩვეულების აღორძინება. (101).

რუსეთის სახელმწიფოში მოხვედრილი ნოღაიელების ველები, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაყოფების მიხედვით არაერთხელ იცვლებოდა. 1957 წელს ის დაიყო და გადაეცა დაღესტანს, ჩაჩნეთსა და სტავროპოლის მხარეს.

დღევანდელ დღეს, შემორჩენილი ნოღაიელები ძირითადათ ცხოვრობენ ჩრდილოეთ კავკასიაში და სამხრეთ რუსეთში – ჩაჩნეთში, დაღესტანში, სტავროპოლში და ასტრახანის ოლქში.

ბოლო წლებში ნოღაელთა საზოგადოებები (დიასპორები) ჩამოყალიბდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში.

2005 წელს მიიღეს დადგენილება, რომ ჩამოყალიბებულიყო ყარაჩაი-ჩერქეზეთში ნაციონალური ნოღაის რაიონი, რომელიც 2006 წლის 8 ოქტომბერს დამტკიცდა რეფერენდუმით. ნაციონალური ნოღაი ჩამოყალიბდა 2007 წლის 17 ოქტომბერს. (157).

8. ყირიმის სახანო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1441 წელს ოქროს ურდოს გამოეყო და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა **ყირიმის სახანო**.

წყაროებიდან ცნობილია, რომ ჩრდილო-კავკასიის ისტორიაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა ყირიმის ნახევარ კუნძულზე და ქერჩის სრუტეში მცხოვრები ტომებისაგან ჩამოყალიბებული სახელმწიფოები: **ქერსონესი** (ტავრიკესი, ქერსონი, კორსუნი), **ბოსფორის სახელმწიფო**, **ტმუტარაკანის სამთავრო**, **ოქროს ურდოს ყირიმის ულუსი**, **ყირიმის სახანო** და ყირიმის მიწა-წყალზე ჩამოსახლებული ჩრდილოეთიდან გადმოხვეწილი მომთაბარე ტომები და თათარ-მონღოლები. 1223 წლიდან ყირიმს თანდათან დაეუფლნენ მონღოლები, რომლებმაც 1239 წელს მთლიანად დაიპყრეს ყირიმი და აქ სახელმწიფო ჩამოაყალიბეს.

არქეოლოგების მიერ აღმოჩენილმა მასალებმა ცხადყო, რომ ყირიმსა და მის ველებში, უძველეს დროს ადამიანს უცხოვრია. ძვ. წ. IV–III ყირიმის მიწებზე ხდებოდა ინდოევროპული ენების მქონე ხალხთა გადასახლება დასავლეთისაკენ. ანტიკური წყაროების თანა-

ხმად, ყირიმში პირველი მოსახლეები ყოფილან (ძვ. წ. XII ს.) **კიმერიელები**. რომლებიც სახლობდნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში თრაკიამდე, ძვ. წ. VII საუკუნის შუა ხანებში, ისინი გამოუძევებიათ ძველირანულ ტომებს **სკვითებს** და დაუკავებიათ მათი საცხოვრებელი ადგილები. გამოდევნილმა კიმერიელებმა დაიპყრეს მცირე აზიის სახელმწიფოები (ფრიგია, ლიდია და კაბადოკია), რომლის მოსახლეობასაც შეერივნენ. კიმერიელების ყოფნა ყირიმში, დასტურდება შემორჩენილი დასახელებებიდან: „კიმერიის ოლქი", „კიმერიის ბოსფორი", ბერძნული „ქალაქი კიმერიკონი", „მთა კიმერიკი", „კიმერიული დანაოჭება". „არქეოლოგიაში კიმერიელების სახელს უკავშირდება ბრინჯა-ოდან რკინის ხანაში გარდამავალი ეპოქის კულტურა". (8, ტ.5, გვ.517). ძვ. წ. IX საუკუნიდან – ახ. წ. IV საუკუნემდე ყირიმის მთისწინეთსა და მთიან მხარეებში და სამხრეთ ზღვისპირეთში უცხოვრიათ უძველეს ერს **ტავრებს**. რომლებიც მეცნიერთა ვარაუდით ეკუთვნოდნენ კავკასიელებს, ვინაიდან, არქეოლოგიური ძეგლების თანახმად დადასტურდა მათი თანხვედრა ჩრდილოეთ კავკასიის შუა ნაწილის ყობანურ კულტურასთან. წყაროები გადმოგვცემენ, რომ ტავრები ეომებოდნენ ქალაქ სახელმწიფოს ქერსონესს, ბოსფორის სახელმწიფოს და რომაელებს. ბერძენი ისტორიკოსი ჰ ე რ ო დ ო ტ ე (ძვ. წ. 490/480–დაახლ. ძვ. წ. 425) გადმოგვცემს, რომ: ყირიმში „ცხოვრობენ ტავრები ძარცვით და ომებით". ძვ. წ. VIII–VII საუკუნეებში, ყირიმის ზღვისპირეთში გამოჩნდნენ ბერძენი კოლონისტები. ჰეროდოტეს გადმოცემით ძვ. წ. II–V საუკუნეებში ყირიმის ველის აღმოსავლეთი ნაწილი ეკავათ „პართიელ" სკვითებს. ძვ. წ. IV–I საუკუნეებში ყირიმის მიწა-წყალი დაიკავეს მომთაბარე ტომებმა **სარმატებმა.** ძვ. წ. VI საუკუნიდან ყირიმის ზღვისპირეთში თანდათან ჩნდება ბერძენთა ქალაქ-კოლონიები. ბერძნებს დიდ წინააღმდეგობას უწევდა მთის მოსახლეობა, რომლებსაც უწოდებდნენ „ტავრებსა" და „ტავრო სკვითებს". ძვ. წ. VI საუკუნის I ნახევარში აღმოსავლეთ ყირიმში, **მილეტიდან** (იონიური ბერძნული ქალაქი მცირე აზიაში) გადმოსახლებულებმა დაარსა ქ. **პანტიკაპეონი** (ეხლან. ქერჩი), რომელიც სწრაფად დაწინაურდა. მან თავისი ფულის (მონეტის) მოჭრაც კი დაიწყო. ძვ. წ. V საუკუნის 80-იან წლებში აღმოსავლეთ ყირიმში ქერჩისა და ტამანის ნახევარ კუნძულზე ჩამოყალიბდა **ბოსფორის სახელმწიფო**, რომელიც მძლავრ და დიდ სახელმწიფოდ იქცა. მისი დედაქალაქი გახდა **პანტიკაპეონ**ი. ბოსფორის სამეფოს სამფლობელოში მოექცა ბერძნული ქალაქები, ქერჩის ნახევარკუნძული, აზოვის-ზღისპირეთის მცხოვრები ტომები, ქვემო და შუა ყუბანისპირეთში და მდ. დონის ქვემო დინებაში მცხოვრები ტომები. ძვ. წ. II საუკუნეში ბოსფორის სამეფოს შემოესიენ სკვითები და სარმატები. პონტოს მეფის (ძვ. წ. 111–ძვ. წ. 63) მ ი თ რ ი დ ა ტ ე VI ე ვ პ ა ტ ო რ ი ს (ძვ. წ. 132–ძვ. წ. 63) დროს ბოსფორის სამეფო მის გამგებლობაში მოექცა. მითრიდატეს სიკვდილის შემდეგ (ძვ. წ. 63) წელს ბოსფორის სამეფო დაიპყრეს რომაელებმა. ახ. წ. I საუკუნიდან ბოსფორის სამეფო იწყებს აღორძინებას, მაგრამ, ახ. წ. III საუკუნეში მას გამუდმებით თავს ესხმიან ბარბაროსთა სხვადასხვა ტომები: 257 წელს ყირიმში იჭრებიან ჩრდილოეთიდან წამოსული მომთაბარე ტომები **გოთები**, რომლებმაც გაანადგურეს სკვითების სახელმწიფო; 375 წელს **ჰუნები** და ამავე საუკუნეში – **ალანები**. შემდეგში ისინი შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას. IV–V საუკუნეებში ყირიმი ექცევა ბიზანტიის გავლენის ქვეშ. მათ სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ გოთებისაგან გადარჩენილი მთიელი ყირიმელები. ბოლოს და ბოლოს ბიზანტიელებმა შეძლეს მათი დამორჩილება. VII საუკუნეში ყირიმს

იპყრობენ მომთაბარე თურქულენოვანი ტომები **ხაზარები**, გარდა ხერსონისა რომელიც რჩება ბიზანტიელთა გავლენის ქვეშ. ქალაქი **ხერსონესი** უძველესი ქალაქი იყო რომელიც ძვ. წ, V საუკუნიდან დაწყებული ჩვ. წელთაღრიცხვამდე წარმოადგენდა ქალაქ სახელმწიფოს (პოლისს). ხოლო ახ. წ. I საუკუნეში – რესპუბლიკას, რომელიც რომაელების ძალაუფლებას ცნობდა. IV საუკუნიდან ემორჩილებოდა ბიზანტიას. შუა საუკუნეებში XV საუკუნემდე წყაროებში მოხსენებულია როგორც ხერსონ, კორსუნ-ი. 1978 წლიდან ხერსონი და მისი მიმდებარე მიწა-წყალი გამოცხადდა არქეოლოგიურ ნაკრძალად.

IX საუკუნეში ყირიმის ზღვისპირეთს თავს ესხმოდნენ სკანდინავიელი **ნორმანი** მეომრები, რომლებსაც რუსები უწოდებდნენ „ვარიაგებს". X საუკუნეში ყირიმის აღმოსავლეთი ნაწილი **ტმუტარაკანის სამთავრომ** დაიპყრო. XII საუკუნეში ყირიმის სამხრეთ-დასავლეთში წარმოიქმნა ფეოდალური სახელმწიფო **თეოდორე** (გოტია). რომლის დედაქალაქი გახდა **მანგუპი** (სევასტოპოლთან ახლოს). XIII საუკუნის დასაწყისიდან, ყირიმის ველებს იკავებენ მონღოლ-თათრები და ხდება ბათო-ყაენის სამფლობელო. როდესაც ჯვაროსნებმა (1204) კონსტანტინოპოლი დაიპყრეს ვენეციელთა დახმარებით, შავი ზღვისა და ყირიმის სანაპიროების ბატონ-პატრონები აღმოჩნდნენ ვენეციელები. მათი მთავარი სავაჭრო ქალაქი გახდა ქ. **სუგდეი.** მაგრამ, 1261 წელს ბერძნებმა გენუელთა დახმარებით შეძლეს კონსტანტინოპოლის დაბრუნება და სამაგიეროდ ბერძნებისაგან მოიპოვეს შავ ზღვაზე ვაჭრობის უფლებები, ხოლო როდესაც თათართა ხანისაგან მათ გადაეცათ მიყრუებული, გაპარტახებული, ქალაქი **კაფა** (ახლანდელი ფეოდოსია) და ის მალე გადაიქცა უმსხვილეს სავაჭრო ნავსადგურად, გენუელებმა დაიწყეს ვენეციელების თანდათან შევიწროება და გამოდევნება სავაჭრო ადგილებიდან. 1380 წელს, ვენეციასა და გენუას შორის შავ ზღვაზე ბატონობისათვის გამართულ ბრძოლაში ვენეცია დამარცხდა და ამიერიდან შავი ზღვის და კავკასიის სანაპიროების ქალაქები გადაიქცა გენუის სავაჭრო ადგილებად, ხოლო სუგდეის აღების შემდეგ, ყირიმის მთიანი მხარე და სანაპიროები თანდათან იქცა გენუის კოლონიად, რომელსაც უწოდებდნენ **ჰაზარიას**.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, 1223 წლიდან ყირიმს დაეუფლნენ მონღოლ-თათართა ტომები და ის ოქროს ურდოს შემადგენლობაში მოექცა. ოქროს ურდოს დაშლის შემდეგ, 1441 წლიდან ხდება ყირიმსა და მის ველებზე დარჩენილი თათარ-მონღოლების გათურქება. XII–XV საუკუნეებში, გოთებისა და სხვა-დასხვა ტომთა შთამომავლებმა, ყირიმში ჩამოაყალიბეს ველის ყირიმის სახანო, მთიანი მხარის ქრისტი-ანული **თეოდორეს სამთავრო**, რომლის დედაქალაქი გახდა ყირიმის ერთ-ერთი ძლიერი ციხე-სიმაგრე **მანგუპი.** ამავე ხანებში ყირიმში წარმოიქმნა გენუის კოლონიები სამხრეთ ზღვისპირეთში. ყირიმის სამხრეთ ზღვისპირეთის დასაკავებლად, ერთმანეთს ეცილებოდნენ თეოდორეს სახელმწიფო და გენუელები. ყირიმი გადაიქცა ბრძოლის ველად. 1387 წელს გენუელებმა დაიპყრეს **ჩემბალო** (ანტიკურ ხანაში მოხსენებულია სიმბოლინის სახელწოდებით, დღევ. ბალაკლავა), რომელიც გახდა მათი მთავარი დასაყრდენი ადგილი. ამის შემდეგ ყირიმსა და კავკასიის სანაპიროებზე გენუელებმა შექმნეს ახალი სავაჭრო ახალშენები: **მატრეგა** (ბერძნ. ჰერმონასა, რუს. ტმუტარაკანი), **ტანაიდა** (ბერძ. ტანაისი), **ბოსფორი** (ეხლ. ქერჩი), **ლუსტა** (ეხლ. ალუშტა) და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ყირიმში ვენეციელებისა და გენუელების სავაჭრო განვითარებას ხელს უწყობდნენ, შუა საუკუნეში სომხეთის სახელმწიფოს განადგურების

შედეგად, ყირიმში გადმოსა-ხლებული სომხები. ისტორიკოსი იოჰან ერიხ ტუნმანი (1746–1778) რომელიც XVIII საუკუნეში იმყოფებოდა ყირიმში აღნიშნავდა, რომ: „ყირიმში თათრების შემდეგ ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანნი არიან სომხები. ისინი თითქმის ყველანი ეწევიან ვაჭრობას, მაგრამ აქ ისინი ბევრად უფრო ღარიბები არიან ვიდრე აღმოსავლეთელები. აღწერით ისინი ზარმაცები, უპატიოსნოები, ჭუჭყიანნი და უმეცარნი არიან“. (106).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყირიმის ნახევარკუნძულზე ძვ. წ. VI საუკუნეში დაარსდა ქ. **ფეოდოს**ია. ხოლო XIII საუკუნის II ნახევარში გენუელებმა ფეოდოსიაში შექმნეს სავაჭრო დასახლება **კაფა**, რომელიც XV საუკუნიდან მონათვაჭრობის მსხვილ ადგილად იქცა.

„ადიღეელთა შავიზღვისპირეთში არსებული საზღვაო პუნქტი (კაფა-ფეოდოსია, ტანა-აზოვი, კოპა და სხვ.) წარმოადგენდნენ მონათვაჭრობის მსხვილ ცენტრებს, საითკენაც უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა ტყვეები“. (31, გვ.36). 1453 წლის 29 მაისს თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, ყირიმი აღმოჩნდა გენუისაგან მოწყვეტილი და თურ-ქებმა თანდათან დაიწყეს შავი ზღვისა და ყირიმის სანაპიროების ხელში ჩაგდება. 1475 წლის ივლისში თურქებმა გაანადგურეს თეოდორეს სამთავრო. აიღეს მანგუპი, მოსახლობა გაჟლიტეს და ქალაქი გადაწვეს. დიდი ხნის ალყის შემდეგ აიღეს კაფაც. ამის შემდეგ, მთელი ყირიმი თურქეთის ხელში აღმოჩნდა და გენუის კოლონიებმა შეწყვიტეს არსებობა. თურქები დაუკავშირდნენ თათრებს და ყირიმის სახანოს. აქედან დაიწყო ყირიმში მუსულმანური სარწმუნეობის გავრცელება.

როდესაც ყირიმის ველის ნაწილი თათრებ-მონღოლებმა დაიკავეს და იქ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა დაიმონეს, იქ შექმნეს **ოქროს ურდოს ულუს**ი. (1230–1300) წლებში ნოღაი ხანის დროს ყირიმი დროებით გამოეთიშა ოქროს ურდოს, თუმცა, ნოღაის დაღუპვის შემდეგ, ყირიმი ისევ შეუერთდა ოქროს ურდოს, რომელსაც მართავდა ხანის ნაცვალი. ამ დროს, ყირიმის მთავარი ქალაქი გახდა **სოლხატი** (ძველი ყირიმი). XV საუკუნეში ყირიმის მმართველმა გირეიების (გერაები) საგვარეულოს დამაარსებელმა ჰაჯი-გირეიმ (ჰაჯი I გერაი) (დაახლ. 1397–1466), 1428 წელს, ლიტვის დიდი სამთავროს დახმარებით, დაიპყრო ყირიმის ულუსი, მაგრამ დიდი ურდოს ხანმა ულუ-მუჰამედმა განდენა ყირიმიდან და იგი ისევ ლიტვის სამთავროში გაიქცა. შემდეგ, მან რამდენჯერმე სცადა ხელში ჩაეგდო ყირიმის ულუსი, მაგრამ ვერ შეძლო. 1441 წელს ყირიმელი დიდებულების და ლიტვიის დიდი მთავრის (1440–1492) კაზიმეჟ IV იაგელონჩიკის (1432–1492) მეშვეობით ჰაჯი-გირეიმ განდევნა ოქროს ურდოს ხანის ნაცვალი და გახდა ყირიმის მმართველი. ამავე წელსვე მან მოჭრა საკუთარი ფული. 1442 წელს მან დაამარცხა გენუელები, რომლებმაც აღიარეს მისი ძალაუფლება. ამავე დროს დაიწყო დასავლეთ ოქროს ურდოს ხანს (1442–1455) სეიდ-ახმედსა (1432–1455) და ჰაჯი-გირეის შორის უთანხმოება და მას მოუწია ყირიმის დატოვება. 1445 წელს ჰაჯი-გირეიმ შეძლო სეიდ-ახმედის დამარცხება და ამის შემდგომ, ყირიმი ოქროს ურდოს გამოეთიშა და მან ყირიმის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. იგი გახდა ყირიმის სახანოს პირველი დამოუკიდებელი მმართველი. ყირიმის სახანოში შევიდა ქვემო დნეპრისპირეთიც. 1452 წელს ჰაჯი-გერაიმ ხელმეორედ დაამარცხა მდ. დნეპრზე სეიდ-ახმედი, რომელმაც შეძლო მცირე ამალით ალყის გარღვევა და გაიქცა ლიტვაში, სადაც იგი დაატყვევეს და 1455 წელს ტყვეობაში გარდაიცვალა. 1465 წელს

ჰაჯი I-მა მდ. დონზე დაამარცხა დიდი ურდოს ხანი (1459–1465) მაჰმუდი (1410–1465). ამ წაგებამ კი, დააჩქარა ოქროს ურდოს საბოლოოდ დაშლა.

ჰაჯი I გირეი დიდი სიყვარულით სარგებლობდა ხალხში, ამიტომაც შეარქვეს მეტსახელად – ანგელოზი. ჰაჯი-გირეის სიკვდილის შემდეგ, (1466–1478) ყირიმის ტახტის დასაუფლებლად გაიმართა მის შვილებს შორის ბრძოლები. უფროსს, ნურ-დევლეთს (გ, 1503), მხარს უჭერდა ოქროს ურდო, ხოლო უმცროსს, მენგლის, მხარში ედგნენ ყირიმელი ფეოდალები. ყირიმის ტახტი წლების განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა. საბოლოოდ, 1478 წელს ყირიმის ხანი გახდა მენგლი I გირეი (1445–1515).

მენგლი I გირეის მთავარი მიზანი იყო ოქროს ურდოსაგან საბოლოოდ განთავისუფლება. ამიტომ 1462 წელს იგი დაუკავშირდა მოსკოვის სამთავროს მთავარს ივანე III-ეს, ხოლო 1472 წელს მათ გააფორმეს სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულება, ოქროს ურდოს წინააღმდეგ. 1474 წელს ივანე III-სა და მენგლი გირეის შორის გაფორმდა სამოკავშირეო ხელშეკრულება. მაგრამ, 1475 წელს ოსმალეთის სულთანმა (1444, 1451–1481) მეჰმედ II ფათიჰიმ (დამპყრობელი) (1432–1481) ყირიმის დასაუფლებლად, გენუელების წინააღმდეგ დაიწყო ომი. მენგლი გირეიმ შეეცადა გაეწია წინააღმდეგობა, მაგრამ, იგი ტყვედ ჩავარდა და კონსტანტინოპოლში 3 წელი გაატარა ტყვეობაში. 1478 წელს მეჰმედ II-ემ გაანთავისუფლა ტყვეობიდან პირობით, რომ იგი, ამიერიდან დაექვემდებარებოდა ოსმალეთს. მენგლი-გირეიმ ოსმალეთის მხარდაჭერით ისევ გახდა ყირიმის ხანი. 1480 წელს ვასილი III-სა და მენგლი I-ს შორის ხელახლა დაიდო ურთიერთ კავშირის ხელშეკრულება, რომელიც არ დარღვეულა ივანე III-ის სიცოცხლის ბოლომდე. ხელშეკრულებაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ მოკავშირეები იბრძოლებდნენ დიდი ურდოსა და ლიტვის დიდი მთავრის წინააღმდეგ. ხელშეკრულების თანახმად, მენგლი-გირეიმ გაილაშქრა პოდოლში (უკრაინის დასავლეთ ნაწილი), ამის გამო კაზიმეჟ IV-ემ და დიდი ურდოს ხანმა ახმატმა ვეღარ განახორციელა მოს-კოვის სამთავროზე თავდასხმა. ხოლო ივანე III მდ, უგრაზე (სმოლენსკის ოლქი) დახვდა ოქროს ურდოს ჯარს, დაამარცხა და გააბრუნა უკან.

ცნობილია, რომ 1482 წელს, ივანე III-ეს თხოვნით, ყირიმის ხანმა გაილაშქრა ლიტვის სამთავროში შემავალი უკრაინის, წინააღმდეგ, სხვა ქალაქებს შორის, იერიშით აიღო კიევი, დაარბია და დაანგრია. სამხრეთ უკრაინა მთლიანად გააპარტახა. მენგლი I-მა ივანე III-ეს გაუგზავნა კიევის სოფიის ტაძრიდან ოქროს ბარძიმი და ფეშხუმი. 1485, 1491, 1482 და 1500 წლებში ივანე III და მენგლი გირეი ერთად იბრძოდნენ დიდი ურდოსა და ლიტვის სამთავროს წინააღმდეგ.

1502 წელს მენგლი I-მა გირეიმ საბოლოოდ გაანადგურა ოქროს ურდოს ხანი შეიხ-ახმადი (გ. 1528), დაარბია ოქროს ურდო და ბოლოს გადაწვა დედაქალაქი სარაი და ამით დასრულდა კიდეც ოქროს ურდოს არსებობა.

წყაროებიდან ცნობილია, რომ მენგლი I-მა ახლო ურთიერთობა დაამყარა ჩერქეზებთან. მისი მეუღლე იყო ჩერქეზი თავადის ასული. ხოლო, 1498 წელს ჩერქეზების ერთ-ერთი თავადის თხოვნით, დახმარებისათვის გააგზავნა ჩერქეზეთში საჯარისო რაზმი. სამაგიეროდ, ჩერქეზების თავადების ნაწილმა მენგლის წინაშე ფიცი დადეს ერთგულებაზე და მათ ყირიმის სახანოს გაუქმებამდე არ უღალატიათ. ცნობილია ისიც, რომ მენგლი I-ის დროს, კაფაში უკვე ცხოვრობდნენ საკმარისი რაოდენობით ჩერქეზები.

ივანე III-ის სიკვდილის შემდეგ, მოსკოვის სამთავროსა და ყირიმის ხანს შორის დაიძაბა მდგომარეობა და დაიწყო ლაშქრობები მოსკოვის სამთავროს წინააღმდეგ.

მენგლი I გირეის სიკვდილის შემდეგ, ყირიმის ხანი გახდა, მისი უფროსი შვილი მეჰმედ I გირეი (1465–1523). მას აუჯანყდა მისი უმცროსი ძმა ახმედი. 1519 წელს ბრძოლისას იგი მოკლეს. მეჰმედ I-ის დროს ყირიმელები თავს ესხმოდნენ მეზობელ ქვეყნებს, მათ შორის მოსკოვის სამთავროს, უკრაინას და პოლონეთსაც. მეჰმედის მიზანი იყო მთლიანად დაეპყრო დაქუცმაცებული ოქროს ურდო.

1518 წლის დეკემბერში გარდაიცვალა მოსკოვის სამთავროს მიერ დანიშნული ყაზანის სახანოს ხანი მუჰამედ-ამინი. როგორც ზევით აღვნიშნეთ, მოსკოვის სამთავროს მთავარმა ვასილი III-ემ ყაზანის სახანოს ხანად დასვა შახ-ალი. მას აუჯანყდნენ ყაზანელები და 1519 წელს, ყაზანელების თხოვნით და მათი დახმარებით, მეჰმედ გირეიმ თავისი ძმა სახიბ-გირეი გააგზავნა ყაზანში და იგი გახდა ხანი.

1519 წელს ყაზახებმა გაილაშქრეს ნოღაის ურდოს წინააღმდეგ და დაამარცხეს. ნოღაელებმა თავშესაფარი სთხოვეს ყირიმის ხანს. თანხმობის მიღებისა და ერთგულებაზე ფიცის დადების შემდეგ, ისინი დასახლდნენ ყირიმის სახანოში. 1521 წელს, ნოღაელებმა შეძლეს ყაზახების განდევნა და დაბრუდნენ თავიანთ ქვეყანაში, თუმცა, ყირიმის მიმართ ერთგულების ფიცი შეინარჩუნეს.

1521 წელს მეჰმედ გირეიმ და სახიბ გირეიმ, შეთანხმებით გაილაშქრეს მოსკოვის სამთავროს წინააღმდეგ. მათ ეხმარებოდნენ ნოღაელები და ლიტვის სამთავროს საჯარისო ნაწილებიც. მეჰმედ გირეი შეესია სამხრეთ რუსეთის მიწებს და გაანადგურა რუსეთის ვოევოდები. ხოლო სახიბ გირეი – აღმოსავლეთ რუსეთს. ქალაქებისა და სოფლების აკლების შემდეგ, ისინი, ივლისის ბოლოს შეერთდნენ და გაილაშქრეს მოსკოვის წინააღმდეგ. ვასილი III იძულებული გახდა შეთანხმება დაედო ყირიმის ხანთან და გადაეხადა ხარკი იმდენი რაოდენობის რასაც უხდიდა დიდ ურდოს. ამის შემდეგ, ხანები დაბრუნდნენ სახანოებში და თან წამოიყვანეს უამრავი ტყვეები.

1522 წლის ბოლოს მეჰმედ გირეიმ და ნოღაელებმა გაილაშქრეს ასტრახანის სახანოს წინააღმდეგ. ასტრახანის ხანმა (1523–1526) ხუსეინმა მიატოვა დედაქალაქი და გაიქცა. მეჰმედმა 1523 წლის დასაწყისში უბრძოლველად დაიკავა ასტრახანის სახანო. მან ხანად გამოაცხადა უფროსი შვილი ბახადურ გირეი (გ. 1523). მეჰმედ გირეიმ დაითხოვა ჯარი და დარჩა მცირე ამალით ასტრახანში. მალე, მეჰმედ I გერაის წინააღმდეგ, მისი გაძლიერების შიშით, ნოღაელმა მურზებმა მოაწყვეს შეთქმულება. მათ, მოტყუებით გამოიყვანეს ქალაქიდან ორივე ხანები და მათ ამალასთან ერთად ამოხოცეს. შემდეგ შეესიენ ყირიმს. ქალაქების აღება ვერ შეძლეს, მაგრამ დაარბიეს და გააოხრეს ყირიმის ნახევარკუნძული.

მეჰმედ I გირეის სიკვდილის შემდეგ, ყირიმში დაიწყო არეულობა. ყირიმის ტახტის დასაკავებლად ერთმანეთს ეცილებოდნენ მისი შვილები და საგვარეულოს წარმომადგენლები.

1551 წელს ოსმალეთის სულთანმა ყირიმის ხანად დაამტკიცა, მენგლი I გირეის შვილი-შვილი დევლეთ I გირეი (1512–1577). მან შეძლო ყირიმელი მეამბოხეების დათრგუნვა და ფეოდალების დამშვიდება. ამის შემდეგ, იგი შეუდგა საგარეო საკითხების მოგვარებას. მისი მიზანი იყო, ივანე IV-ის მიერ 1552 და 1556 წლებში დაპყრობილი ასტრახანის და

ყაზანის სახანობის განთავისუფლება. მის დროს 1552 წლიდან დაწყებული, თითქმის ყოველ წელს ხდებოდა თავდასხმები მოსკოვის სამთავროზე. 1571 წელს დევლეთ I გირეიმ, ოსმალეთის იმპერიისა და რეჩი პოსპოლიტის მხარდაჭერით, გაილაშქრა რუსეთის წინააღმდეგ და მოსკოვი გადაწვა. ივანე IV გაიქცა როსტოვში. შემდეგ წელსაც გაილაშქრა მოსკოვის წინააღმდეგ. ამის შემდეგ, რუსეთის წინააღმდეგ ლაშქრობდნენ მისი შვილები. 1577 წლის 29 ივნისს დევლეთ I გირეი გარდაიცვალა შავი ჭირით. დაასაფლავეს ბახჩისარაისში.

დევლეთ I-ის სიკვდილის შემდეგ, ყირიმის ხანი (1577–1584) გახდა მისი შვილი მეჰმედ II გირეი (მსუქანი) (1532–1584). მის დროს, ოსმალეთსა და ირანს შორის მიმდინარეობდა ომი. სულთანის (1574–1595) მურად III-ის (1546–1595) ბრძანებით მეჰმედ II-ემ რამდენიმეჯერ გააგზავნა ჯარი ჩრდი-ლოეთ კავკასიის გავლით სპარსეთის წინააღმდეგ საომრად და თურქებთან ერთად იბრძოდა ამიერკავკასიაში. არაერთხელ დაიპ-ყრეს შირვანი და ბაქოც. 1582 წელს როდესაც სულთანმა ხელახლა მოითხოვა, რომ ყირიმელებს მიეღოთ მონაწილეობა სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში, მეჰმედ II-ემ შეკრიბა ბეიები და მურზები, რომლებმაც უარი განაცხადეს მონაწილეობა მიეღოთ ლაშქრო-ბაში. 1584 წელს მურად III-ემ გადააყენა მეჰმედ II გირეი და ხანად დანიშნა მისი უმცროსი ძმა ისლამ II გირეი (გ. 1588). გადაყენებული ხანი მეჰმედ II ყირიმიდან გაიქცა ნოღაის ურდოსაკენ. გზაში მას დაეწივნენ მისივე უმცროსი ძმები და მოკლეს. მისი სიკვდილის შემდეგ ისევ ატყდა ყირიმში გაუთავებელი ერთმანეთის დაპირისპირება ხანის შვილებსა და აგრეთვე ფეოდალებს შორის. ოსმალეთის სულთანი თავისი შეხედულებით ცვლიდა ხანებს. ყირიმის ხანებსა და მეზობელ სახელმწიფოებს შორის ხდებოდა გაუთავებელი ომები. ამავე დროს ყირიმის ხანები ცდილობდნენ ჩრდილოეთ კავაკსიელი მთიელი ტომების თავის გავლენის ქვეშ მოქცევას.

ყირიმის ხანი (1707–1708, 1713–1715, 1730–1736) კაპლან I გირეი (1678–1738) ცდილობდა დაეპყრო მეზობელი მთიელთა ტომები და თავისი საზღვრები გაეფართოვებინა. საერთოდ, „ყირიმის სახანო ყუბანის აუზს თავისი ძალაუფლების გავრცობის ბუნებრივ ტერიტორიად, ხოლო ადიღეელებს კი შემო-სავლის უშრეტ წყაროდ მიიჩნევდა, ამიტომაც ადიღეელებით დასახლებული მიწების ნაწილი ყირიმის სახა-ნოს უშუალო გავლენის ქვეშ აღმოჩნდა“. (31, გვ.36). ჯერ კიდევ ადრე, პირველი მმართველობის დროს (1707–1708) მან მოინდომა ჩერქეზების და ყაბარდოელების დამორჩილება. კაპლანმა თავისი საჯარისო ნაწილი გააგზავნა ყაბარდოში და მოითხოვა ტყვეების და ბესლანელების (დღევანდელი მდ. თერგის მარ-ჯვენა ნაპირზე მცხოვრები ხალხი) მისთვის გადაეცათ. ყაბარდოელებმა ყირიმე-ლები მიიღეს როგორც სტუმრები და ისინი დააბინავეს კიდევაც. მაგრამ, შემდეგში, როდესაც ყირიმელებმა დაიწყეს თავხედობა და ძარცვა-რბევა, ყაბარდოში შეკრებილი თავადთა ხასას (საბჭო) გადაწყვეტილებით, ერთი ღამის განმა-ვლობაში ყირიმელები ამოწყვიტეს. მხოლოდ მცირე ნაწილმა მოასწრო ყირიმში დაბრუნება. ამით გამწა-რებულმა კაპლანმა, ოსმალეთის სულთნის (1673–1736) ახმედ III-ის (1703–1730) თანხმობით, ხელმეორედ მოაწყო დიდი ლაშქრობა ყაბარდოში, მიუხედავად ყირიმელი მურზების წინააღმდეგობისა. კაპლან I ფიქ-რობდა ამ ომის ადვილად მოგებას და დიდ ნადავლის აღებას. მაგრამ, 1708 წლის ივლის-სექტემბრის ომში, სასტიკად დამარცხდა. გადმოცემით, „ასეთი დამარცხება ყირიმის სახანოს არ ახსოვს. დაიღუპნენ საუკეთესო და ცნობილი ყირიმელები.... ჩერქეზებმა ერთ ღამეს

სხვადასხვა მხრიდან უცბათ თავს დაეხსნენ ყირიმელებს და ხმლებით იმდენი თათრები ამოწყვიტეს, რომ არასდროს არ გაგონილა მათი ასეთი მოსრვა და გაქრნენ. უმრავლესი ცნობილი და სახელოვანი ვაჟკაცები დაიღუპნენ. ამაყმა ხანმა ძლივს მოასწრო გადარჩენა რამდენიმე ამალის თანხმლებით და მოხვდა ნოღაელებთან: მას რცხვენოდა ყირიმში დაბრუ-ნება. ყირიმელებმა ეს ამბავი მოახსენეს პორტას და მოითხოვეს ახალი ხანი". სულთანმა კაპლან I გირეი გადააყენა. ამის შემდეგ ყველა ყირიმელი ხანების ლაშქრობები ყაბარ-დოელთა წინააღმდეგ (1720, 1729, 1731, 1735, 1737, 1739 წ.წ.) მთავრდებოდა მათი მარცხით. (116).

1713 წელს კაპლან გერაის მეორედ ხანად დანიშვნის შემდეგ, მას აუჯანყდნენ ყუბანელი ნოღაელები. აჯანყებები მან ჩაახშო. მას მოუწია სულთან ახმედ III-ის მოთხოვნით, მის დასახმარებლად, ავსტრიაში წასვლა. მიუხედავად იმისა, რომ ყირიმელმა ბეიებმა უარი განაცხადეს ჯარის მიცემაზე, მან მაინც მოახერხა მცირე ჯარის შეგროვება და უნგრეთის საზღვრებს მიადგა, მაგრამ ეს მოხდა დაგვიანებით, თურქები უკვე დამარცხებულნი იყვნენ. ამიტომ, სულთანმა 1715 წელს იგი ხანობიდან გადააყენა.

1730 წელს სულთანმა იგი მესამედ დანიშნა ხანად. კაპლან I გირეის, სულთნის ბრძანებით, უნდა გაელაშქრა დაღესტნის გავლით სპარსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. მან 1735 წლის მაისში, 60 ათასისა და 20 ათასიანი ყუბანის იქეთა მხარის თავადების ჯარით, გაემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში. მან გავლისას, ჩაჩნებს მოსთხოვა, რომ ყოველ წელს გადაეხადათ ხარკი და ასევე მის ჰარამხანაში გამო-ეგზავნათ ხუთი საუკეთესო ქალიშვილები. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მათ სასტიკი დასჯით ემუქრებოდა. ჩაჩნების პასუხი იყო: „ხანი ყველაფერს მიიღებს – ხარკსაც, ქალიშვილებსაც, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენგან აღარავინ დარჩება ცოცხალი". კაპლან გირეის მიერ ორჯერ გაგზავნილი სადამსჯელო რაზმები, ჩაჩნებმა სასტიკად დაამარცხეს. ამის შემდეგ, ხანს აღარასოდეს უცდია ჩაჩნების დამორჩილება. (103).

ამასობაში, 1736 წელს რუსები დაეხსნენ ყირიმს, გააპარტახეს, გააოხრეს და გაჟლიტეს მოსახლეობა, გადაწვეს ბახჩისარაი ხანის სასახლესთან ერთად სახანოს ერთადერთი ნავსადგური – კეზლევი. სულთანმა კაპლანი სასწრაფოდ დააბრუნა ყირიმში, მაგრამ, ჯარის ხელმძღვა- ნელთა ერთმანეთთან დაპირისპირებისა და შეუთანხმებლობის გამო, ვერ შეძლო ჯეროვნად წინააღმდეგობის გაწევა. ამის გამო, სულთანმა მმართველობა ჩამოართვა და იგი გაიწვია თურქეთში. ყირიმში გავრცელებული ეპიდემიის გამო, რუსებმა დატოვეს ყირიმი.

1687 და 1689 წლებში ყირიმის სახანოს წინააღმდეგ გაილაშქრა მოსკოვის სახელმწიფომ თავადისა და ბოიარის ვ ა ს ი ლ გ ო ლ ი ც ი ნ ი ს (1643–1714) მეთაურობით, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. რუსეთ-ოსმალეთის (1735–1739) ომის დროს რუსები ორჯერ შეიჭრნენ ყირიმის სახანოში, პირველად 1736 წელს გრაფ ბ ურ ხ ა რ დ მ ი ნ ი ხ ი ს (1683– 1767) და (1737 და 1738) წლებში გენერალ-ფელდმარშალ პ ე ტ რ ე ლ ა ს ი ს (1678–1751) მეთაურობით, მაგრამ რუსებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს. რუსეთ-ოსმალეთის (1768–1774) ომის დროს 1774 წელს ქუჩუქ-კაინარჯის ზავით ყირიმის სახანო დამოუკი-დებელი გახდა. ყირიმის ხანის (1765–1767, 1770–1771) ს ე ლ ი მ III გ ი რ ე ი ს (1713–1786) დროს, რუსეთ-თურქეთის ომისას (1768–1774) რუსთის ჯარის მთავარსარდალი, 1771 წლის ივნისში, გენერალ-ანშეფი, თავადი, ვ ა ს ი ლ დ ო ლ გ ო რ უ კ ო ვ - ყ ი რ ი მ ე ლ ი ს

(1722–1782) მეთაურობით, რუსები შეიჭრნენ ყირიმში, გაანადგურეს 70 000-ანი ყირიმელთა ჯარი და დაიპყრეს პერეკოპი. შემდეგ გაანადგურეს კაფასთან თურქეთ-თათართა ჯარი და ხანის არასწორი ხელმძღვანელეობის და თვით ხანის ნათესავებისა და ბიების რუსეთის მხარეზე გადასვლის გამო, რუსებმა მოკლე ხანში შეძლეს მთელი ყირიმის დაკავება. ბეიების საბჭომ გადაწყვიტა ხელი მოეწერა რუსეთთან კავშირს და ამიერიდან თვითონ აერჩიათ ხანები. ეს კი ნიშნავდა ოსმალეთის უზენაესობიდან გამოსვლას და ყირიმის დამოუკიდებლობის მოპოვებას. თურქეთმა სცადა ყირი-მის სახანოს დაბრუნება, მაგრამ ვერაფერს გახდა. სელიმ III ერთხანს დაემორჩილა საბჭოს გადაწყვეტილებას, რადგან ეგონა, რომ ყირიმში მდგომარეობა გამოსწორდებოდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ მდგო-მარეობას იგი ვერ შეცვლიდა და გადადგა, დასახლდა თურქეთის ქ. ვიზეში (კირკლარელის ადმინი-სტრაციული ერთეული. მარმარილოს სანაპიროზე). აქვე გარდაიცვალა 1786 წ.

ყირიმის ხანის (1771–1775) საჰიბ II გირეის (1726–1807) დროს თურქეთმა ცნო ყირიმის დამო-უკიდებლობა და განაცხადა, რომ რუსეთთან ერთად უზრუნველყოფდა ყირიმის სახანოს თავისუფლებას. ყირიმის სახანოს გადაეცა ადრინდელი თურქეთის გამგებლობაში მყოფი, ყირიმის ნახევარკუნძულზე მდებარე სამხრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთის მხარეები. ხოლო რუსეთს გადაეცა – ქერჩი. მაგრამ მიუხედავად ამისა ყირიმის სახანოში სუფევდა გაურკვევლობა. არ იყო განსაზღვრული ხანის უფლებები, არც დამო-კიდებულება რუსეთთან და თურქეთთან, ამიტომ ხალხიც გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1775 წელს როდესაც მოადგა ყირიმს დევლეთ IV თურქეთის ჯარით, რომ ისევ აღედგინა თურქეთთან კავშირი, საჰიბი გადადგა და წავიდა თურქეთში.

ყირიმის ხანი (1775–1777) დევლეთ IV გირეი (1730–1780) მოითხოვდა, რომ თურქეთს გაეუქმებინა ყირიმის სახანოს შესახებ რუსეთთან დადებული ხელშეკრულება და ისევ ყირიმი შესულიყო ოსმალეთის მფარველობის ქვეშ. მაგრამ, ამჯერად თურქეთს არ უნდოდა რუსეთთან, ყირიმის გამო მდგომარეობის გაფუჭება და ამ მოთხოვნას არ მიაქცია ყურადღება. დევლეთ IV ხანი მიხვდა, რომ მდგომარეობას ვერ შეცვლიდა და 1777 წელს გადადგა. დასახლდა ქ. ვიზეში და აქვე გარდაიცვალა 1780 წ.

საჰიბ II გირეიმ 1771 წელს, საგანგებო დავალებით, პეტერბურგში გააგზავნა კალგა (ყირიმში ხანის შემდეგ უმაღლესი პირის წოდება) (1771–1775) შახინ-გირეი. იგი ჩაირიცხა რუსეთის ჯარში და გახდა რუსეთის მომხრე, რუსოფილი და რუსეთის მარიონეტი, ყირიმში რუსეთის ნება-სურვილის გამტარებელი. 1777 წელს რუსეთის და ყუბანელი ნოღაელების დახმარებით, სახიბ გირეი, დევლეთ IV-ის გადადგომის შემდეგ, შეიჭრა ყირიმში და გახდა ხანი.

ყირიმის უკანასკნელმა ხანმა (1777–1782, 1782–1783) შახინ გირეიმ (1745–1787) დაიწყო მმართველობის გარდაქმნა რუსეთის სახელმწიფო წყობილების მიხედვით. ამან-კი უკმაყოფილება გამოიწვია ადგილობრივი მუსულმანურ მორწმუნეებისა და დიდგვაროვნებს შორის. მის მოქმედებას არ ეთანხმებოდნენ მისივე ძმებიც: ბახადირი და არსლანიც.

1781 წელს ყირიმელმა მურზებმა გააგზავნეს პეტერბურგში თავიანთი წარმომადგენლები, რომლებიც აღწერდნენ შახინ გირეის უსამართლო მოქმედებებს, მის სისასტიკეს და ხალხის ჩაგვრას. მაგრამ, ხელი-სუფლებამ ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია.

1781 აჯანყება დაიწყო ჯერ ყუბანში, ხოლო 1782 წლის მაისში გავრცელდა ყირიმში,

რომელიც ივლისში მოედო მთელ ყირიმის სახანოს. ამბოხებულებმა ხანად მოიწვიეს შახინ გირეის უფროსი ძმა ბახადირი. ხანის მიერ აჯანყების ჩასახშობად გაგზავნილი ჯარი გადავიდა აჯანყებულების მხარეს. შახინ გირეი ჯერ გაიქცა კაფაში, შემდეგ გადავიდა ქერჩში სადაც იმყოფებოდნენ რუსები.

ახალი ხანის (1782) ბ ა ხ ა დ ი რ გ ი რ ე ი ს (1722–1791) ხელისუფლებამ, თხოვნით მიმართა თურქეთის და რუსეთის იმპერიის მთავრობებს, რომ ეცნოთ ყირიმის ახალი ხანი. მაგრამ, ოსმალეთმა უარი განაცხადა, ხოლო რუსეთმა ყირიმში აჯანყების ჩასახშობად გააგზავნა ჯარი, ხოლო ყუბანში კი, როგორც ზევით აღვნიშნეთ – ა. სუვოროვი. 1782 წლის ნოემბერში აჯანყება იქნა ჩახშობილი და რუსეთმა მთლიანად დაი-პყრო ყირიმი. აჯანყებულთა უმრავლესობამ მოახერხა ჩრდილოეთ კავკასიიდან თურქეთში გადასვლა, ხოლო ბახადირი ჩავარდა ტყვედ, იგი მოათავსეს ხერსონესის ციხეში. მან 1783 წელს მოახერხა ციხიდან გაქცევა ჩრდილოეთ კავკასიაში. 1789 წელს იგი გადავიდა თურქეთში და აქვე გარდაიცვალა 1791 წელს.

რუსეთის ხელისუფლებამ ყირიმის ხანად ხელმეორედ დასვა შახინ გირეი, რომელმაც ისევ დაიწყო სადამსჯელო მოქმედებები, ამან გამოიწვია მოსახლეობაში უკმაყოფილება. მისი ბრძანებით მოკლეს უფლისწული მ ა ჰ მ უ დ გ ი რ ე ი.

1783 წლის თებერვალში ყირიმის უკანასკნელი ხანი შახინ-გირეი ტახტიდან გადადგა და ჯერ იმყოფებოდა რუსეთში. 1787 გადასახლდა ოსმალეთში. იქ, სულთანმა (1774–1788) ა ბ დ უ ლ ჰ ა მ ი დ I-მა (აბდ ალ-ჰამიდ I) (1725–1789) გადაასახლა კ. როდოსზე, ხოლო შემდეგ მისივე ბრძანებით მოკლეს.

1783 წლის 8 (19) აპრილის ეკატერინე II-ის მიერ გამოცხადებული მანიფესტით, ყირიმის სახანო გაუქმდა და ის ამის შემდეგ, გახდა რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი ნაწილი.

1784 წელს ყირიმის სახანო შეუერთდა ტავრიდის ოლქს, ხოლო 1787 წელს გარდაიქმნა ტავრიდის გუბერნიად. 1791 წელს რუსეთისა და თურქეთის საზავო ხელშეკრულებით, თურქეთმა ცნო ყირიმის შეერთება რუსეთის შემადგენლობაში და ყირიმი გადაიქცა რუსეთის კოლონიად. რუსეთთან შეერთებისთანავე იმპერატორმა ეკატერინე II-ემ დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის (განსაკუთრებით თათრების) სასტიკი ყვლეფა, მათი გადასახლება და მათ მიწებზე თავისი თავადაზნაურების, მოხელეების და უცხოელთა ჩასახლება. ყირიმი გადაეცა სამმართველოდ მის ფავორიტსა და გენერალ-ფელდმარშალს გ რ ი გ ო ლ პ ო ტ ი ო მ კ ი ნ ს (1739–1791), რომლის დროსაც კოლონიური მმართველობისა და კირთების გამო უამრავი ყირიმელი თათარი (ძირითადათ მთის თათრები) გადასახლდა. მათ ადგილებში, მარტო (1784–1787) წლებში 160, ხოლო XIX საუკუნის I მეოთხედში 30 ათასი კოლონისტები ჩასახლდნენ. (1853–1856) წლებში ყირიმის ომის დროს, რუსეთის ხელისუფლებას, რომ ხელში ჩაეგდო სამხრეთ ყირიმის მდიდარი სანაპიროები, ვითომდა ყირიმელი თათრების ღალატის გამო, ხელახლა დაიწყო მათი გასახლება. 1854 წელს რუსეთის სამხედრო მინისტრმა (1853–1856) ვ ა ს ი ლ დ ო ლ გ ო რ უ კ ო ვ მ ა (1804–1868) გამოსცა ბრძანება, რომ: „«იმპერატორმა.... ბრძანა, გადავასახლოთ ყველა მაჰმადიანი სარწმუნეობის წარმომადგენლები ზღვის სანაპიროზე მცხოვრებნი გუბერნიის შიგნით». ეს ღონისძიება, მოისაზრებოდა როგორც სამხედრო მოვლენა ჩატარებული ყირიმის ომთან დაკავშირებით, მეფის მთავრობას სჭირდებოდა, რომ მიეტაცა სამხრეთ ყირიმის მდიდარი მიწები. სამხედრო ხელმძღვანელების

მიერ თათრების აბუჩად აგდება, ვითომდა ჯაშუშობის მოქმედების გამო, გადასახლება გადაიქცა საყოველთაო გაქცევად. ემიგრაციაში მიდიოდნენ მთლიანად ოჯახებით, ურდოებიც კი. ცარიელდებოდნენ ასობით აულები და სოფლები. ქონება იყიდებოდა ჩალის ფასად ან აძლევდნენ მუქთად. 1860-დან – 1862-მდე, თვით მეფის მთავრობის მოწმობით, საზღვარგარეთ ემიგრაციაში წავიდნენ 141 667 თათრები. ამის გარდა, პერეკოპიდან წავიდნენ იქ მყოფი მსხემი ნოღაელები. მათთან ერთად 2 წლის განმავლობაში ემიგრირებულთა საერთო რაოდენობა უდრიდა 231,177 სულს. სინამდვილეში კი წავიდნენ გაცილებით მეტნი, რადგან ბევრი თათრები მიდიოდნენ აღრიცხვის გარეშე". (113, ტ.35, გვ.308). ხოლო როდესაც რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე II-ეს მოახსენეს ყირიმელი თათრების ძალდატანებით გადასახლების შესახებ, მას უთქვამს: „როგორც გენ. ტოტლებენი ადასტურებს – იძლევა განმარტებას, რომ არა თუ უნდა შევზღუდოთ თათრების გადასახლება, არამედ განვიხილოთ წარმოშობილი შემთხვევა ფრიად ხელსაყრელად ამ მხარის გასათავისუფლებლად". (113, ტ.35, გვ.309). ცნობილია, რომ სანამ თურქეთში ჩავიდოდნენ, გადასახლებულთა 60 ათასი თათარი დაიღუპა გზაში. XIX საუკუნეში საზღვარგარეთიდან ყირიმში ჩასახლდნენ 30 000-ზე მეტი კოლონიზატორები (გერმანელები, ბულგარელები და მენონიტები – პროტესტანტული სექტის წარმომადგენლები). თავისუფალ მიწებს იკავებდნენ რუსი მემამულეები და სახელმწიფო მოხელეები. 1897 წელს ყირიმში მდებარე თავრიდის ოლქში 1 447 790 მცხოვრებიდან 70,8% იყვნენ რუსები, დანარჩენნი 13,0% იყვნენ თათრები. (113, ტ.35, გვ.309). ამავე დროს, რუსეთის მეფის მთავრობა მთელს კავკასიაში ატარებდა გარუსების პოლიტიკას. ყირიმელი თათრები ძალმომრეობისა და მონობის კირთების გამო იძულებული ხდებოდა გაქცეულიყო საზღვარგარეთ. დარჩენილი ყირიმის მოსახლეობა, ამ ძალმომრეობას აჯანყებებით პასუხობდა, მაგრამ, ხელისუფლება ახშობდა და აჯანყებულებს სასტიკად უსწორდებოდა.

რუსეთში სამოქალაქო ომის დროს, (1917–1920) წლებში, ყირიმში მიმდინარეობდა ბრძოლები „წითლებსა" და „თეთრგვარდიელებს" შორის.

1917 წელს ყირიმში ბოლშევიკებმა მოაწყვეს აჯანყება და 16 დეკემბერს ძალაუფლება გადავიდა რევოლუციური კომეტიტის (რევკომი)-ს ხელში. 1918 წლის 21 მარტში ყირიმი, როგორც თავრიდის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, გამოცხადდა რსფსრ ნაწილად. ამავე წლის აპრილიდან 1920 წლამდე ყირიმი დაიკავეს ჯერ გერმანელებმა, ხოლო შემდეგ გენერალმა ა. დენიკინმა და გენერალმა პ ე ტ რ ე ვ რ ა ნ გ ე ლ მ ა (1878–1928). წითელი ჯარის მიერ ყირიმის განთავისუფლების შემდეგ, 1921 წლის 18 ოქტომბერს ყირიმი გამოცხადდა ასსრ-ედ, რსფსრ შემადგენლობაში.

საერთოდ, ყველა სახელმწიფოში, ხალხთა გამოსვლები და რევოლუცია, იწვევს არევდარევას, წყობის აშლილობას და ხალხთა მსხვერპლს. მაგრამ, საარქივო მასალებიდან და თვითმხილველთა გადმოცემებიდან, ცნობილი გახდა, რომ რუსეთში მომხდარი სამოქალაქო ომის დროს (1917–1920) წლებში, ყირიმში განხორციელებული ასეთი ფართო მოცულობითი მკვლელობანი ე. წ. „წითელი ტერორი", იყო პირველი შემთხვევა მთელს რუსეთის ისტორიოგრაფიაში, რომელიც ბოლშევიკების მიერ იყო მიჩუმათებული.

საბჭოთა იტორიკოსები, ყირიმში მომხდარ მკვლელობებს ხსნიდნენ იმით, რომ „წითელ ტერორს" წინ უსწრებდა ე. წ. „თეთრი ტერორი" – ყოფილი მეფის რუსეთის სამხედროების

მიერ ჩატარებული ტერორი. მაგრამ, სინამდვილეში, მათი შედარება შეუძლებელია, ვინაიდან „თეთრი ტერორი“ არ იყო ასე ფართო ხასიათის. ამ დროს, სხვადასხვა მონაცემებით დაჭერილები იყვნენ 1 428 კაცი. აქედან დაიხვრიტა – 281. ხოლო, წითელი ტერორის დროს, ჩატარებული ფართო და დიდი მოცულობით ტერორის შედეგად, ყირიმის ნახევარ კუნძულის მოსასხლეობა 1917 წელთან შედარებით, 1921 წლის მონაცემებით 106 000-ით შემცირდა. არ დარჩენილა ყირიმში ქალაქი და სოფელი, სადაც არ მომხდარიყო ხალხის ხოცვა-ჯლეტა.

ოქტომრის რევოლუციის დროს და რევოლუციის ბოლო ხანებში, ყირიმში იმყოფებოდნენ ე. წ. „თეთრგვარდიელები“ – ყოფილი მეფის მთავრობის დროინდელი ჯარისკაცები, მთავრობის წევრები, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები და მთავარი მამოძრავებელი ძალა შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურები, რომლებისთვისაც ყირიმი წარმოადგენდა უცხო მიწას. როგორც ცნობილია, მარტო სევასტოპოლში გემებსა და ციხე-სიმაგრეებში იმყოფებოდნენ 40 000 მეზღვაურები. რომლებსაც ამ დროს ჰყავდათ საკუთარი რევოლუციონერი ხელმძღვანელები და რომლებიც მოქმედებდნენ საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით. ცნობილია, რომ ყირიმში მოქმედებდნენ სხვადასხვა პარტიები და ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ბოლშევიკების მიერ ყირიმის დაუფლებას. ამავე დროს ყველა ეს პარტიები (გარდა სახალხო სოციალისტურისა და მენშევიკებისა) ცდილობდნენ იარაღის მეშვეობით ყირიმის დაპყრობას.

თვითმხილველთა და მოხსენებითი ბარათებიდან ირკვევა, რომ წითელი ტერორის დროს, „კლასობრივი მტრების“, „კონტრრევოლუციონერების“, „ბურჟუაზიის“ და „კულაკების“ საბაბით, ყირიმში დაიხვრიტა, ცნობილი მოქალაქეები, გლეხები და უბრალო – ქუჩაში გამსვლელი მოქალაქეები. ამათ გარდა, 25 000-მდე შავი ზღვის ფლოტისა და სახმელეთო ჯარის ოფიცრები, მეზღვაურები, ჯარისკაცები, ახალგაწვეულებიც და ათასობით ტყვეებიც.

ტერორის გავრცელებას ხელი შეუწყო, 1918 წლის 21 თებერვლის საბჭოთა სახალხო კომისარიატის დადგენილებამ: „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია“. სადაც 8 პუნქტში მითითებული იყო: „მტრის აგენტები, გერმანელი ჯაშუშები, კონტრრევოლუციური აგიტატორები, გერმანელი ჯაშუშები, ჩადენის დანაშაულის ადგილებზე იხვრიტებიან“. ამ დადგენილებას, მოჰყვა შავი ზღვის ცენტრალურ ფლოტში, სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ზღვის საქმეებთან დაკავშირებით გამოგზავნილი დეპეშა: „მოიძებნოს შეთქმულნი საზღვაო ოფიცრებს შორის და საწრაფოდ გაისრისოს ეს ჰიდრა“. ამავე დროს, ადგილობრივ ხელმძღვანელ წითელარმიელებს, ნება ეძლეოდათ ყოველივე გასამართლების გარეშე „დამნაშავეები“ ადგილებზე დაეხვრიტად.

1920 წლის 17 ნოემბერს ყირიმის ყველა ქალაქი ბოლშევიკებს ეპყრად. დიდი საბჭოთა ენციკლო-პედიისა და სამხედრო ისტორიკოსების თანახმად, პ. ვრანგელის საჯარისო ნაწილებიდან 52 100-დან 54 696-მდე ტყვედ იყვნენ აყვანილნი. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ სამხრეთ რუსეთში 1920 წლის 17 ნოემბერს სამოქალაქო ომი დამთავრებული იყო, ყირიმში წითელი ტერორი მაინც მოქმედებდა.

1920 წლის 9 დეკემბერს ყირიმში ჩამოყალიბდა „ყირიმის საგანგებო კომისია“, რომელიც წარმო-ადგენდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ტერიტორიულ ქვედანაყოფს. კომისიამ სიმფეროპოლში და ქერჩში ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი საქალაქო საგანგებო

კომისიები (ყსსკ), რომლებსაც უფლება ეძლეოდათ დამოუკიდებლად სასიკვდილო განაჩენის გამოტანა. ამ კომისიებს თავისი სამხედრო ნაწილები და განსაკუთრებული დანიშნულების რაზმებიც ყავდათ. ყსსკ-ამ გამოაქვეყნა მიმართვა: „ყველა პატიოსან მოქალაქეებს მოუწოდებს შეასრულოს თავისი მოქალაქოებრივი მოვალეობა“ და შეატყობინოს ყსსკ-ს „ყველა ცნობები დამალული თეთრგვარდიელების, კონტრრევოლუციონერების და საბჭოთა ხელისუფლებას მიტმასნილების შესახებ“. ამავე დროს ყირიმის რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა ბრძანება, რომ ყველა საზღვარგარეთის ქვეშერდომნი, რომლებიც მოვიდნენ 1919 წლის ივნისიდან, როდესაც საბჭოთა ხელი-სუფლებამ დატოვა ყირიმი და იმყოფებოდნენ ყირიმში, უნდა გამოცხადებულიყვნენ აღრიცხვისათვის. ვინც არ გამოცხადდებოდა, ჩაითვლებოდა ჯაშუშად და გადაეცემოდა სამხედრო რევოლუციური ტრიბუნალის სასამართლოს და დაისჯებოდა ომიანობის დროის თანახმად მიღებული მკაცრი წესების ყველა სიმკაცრით.

ყველა სამხედრო მოხელის, ჯარისკაცის, ოფიცერის, სამხედრო მოხალისეების და წარმოების მუშა-კების აღრიცხვის შემდეგ, მოვიდა ახალი ბრძანება მათი მოსპობის შესახებ.

წყაროებიდან ჩანს, რომ წითელი ტერორის დროს საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელები, არათუ მხარს უჭერდნენ „კლასობრივი მტრების“ განადგურებას, არამედ თვითონვე იყვნენ ამ ხოცვა-ჯლეტის ორგანიზატორები.

საბჭოთა ხელისუფლებამ არ დაინდო არც კაპიტულაციას მინდობილი სამხედრო ჯარისკაცები და არც სამოქალაქო მოსახლეობის ცნობილი წარმომადგენლები (ისინი გამოაცხადეს როგორც „კლასობრივი მტრები“).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებელმა, პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელმა და ბელადმა ვ ლ ა დ ი მ ერ ლ ე ნ ი ნ მ ა (ულიანოვი) (1870–1924), გაიგო თუ არა, სამხრეთის სამხედრო რევოლუციური საბჭოს მიერ პ. ვრანგელი-სათვის გაგზავნილი დანებების პირობების შესახებ, სასწრაფოდ გაუგზავნა რევსაბჭოს დეპეშა:

„ეხლახან გავიგე თქვენი შეთავაზება ვრანგელისათვის. მეტისმეტად გაკვირვებული ვარ დამთმობლობის პირობებით. თუ მოწინააღმდეგე არ მიიღებს მას, მაშინ უნდა რეალურად უზრუნველყოთ ფლოტის აღება და არ გაუშვათ არცერთი ხომალდი, თუ მოწინააღმდეგე არ მიიღებს ამ პირობებს, მაშინ, ჩემის აზრით, საჭიროა გაუსწორდეთ შეუბრალებლად“. ხოლო, 1920 წლის 6 დეკემბერს მოსკოვის ბოლშევიკებთან შეხვედრისას კრებაზე განაცხადა: „ეხლა ყირიმში 300 000 ბურჟუაა. ეს წყაროა მომავლის სპეკულაციის, ჯაშუშობის, ყოველგვარი დახმარება კაპიტალისტებისათვის. მაგრამ ჩვენ მათი არ გვეშინია. ჩვენ ვამბობთ, რომ ავიყვანთ მათ, დავანაწილებთ, დავიმორჩილებთ, გადავხარშავთ“. „ომი გაგრძელდება, სანამ წითელ ყირიმში დარჩება ერთი თეთრი ოფიცერი“.

საბჭოთა კავშირმა, აღიარა 1919 წლის 30 მაისის ჟენევის კონვენციის მიერ მიღებული დადგენილება წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წესდება, მაგრამ ყირიმის დაპყრობის დროს, ამ დადგენილებას არავითარი ყურადღება არ მიექცა. სავადმყოფოებში, ექიმები, სანიტრები, მედიცინის წარმომადგენლები, იქ მყოფი დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცები, ოფიცრები და თვით წითელი ჯვრის საზოგადოების წევრებიც-კი დახვრიტეს. წითელი ტერორის დროს ხდებოდა მღვდელმსახურთა დახვრეტა და ტაძრების წაბილწვაც.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ ყირიმში განხორციელებულმა მკვლელობებმა, მრავალ-

რიცხოვანმა ბოროტმოქმედებებმა და ხელისუფალთა თვითნებობამ, ყირიმში გაამწვავა მდგომარეობა, თესავდა შიშს, უნდობლობას მთავრობის მიმართ. ბოლშევიკების ხელისუფლება გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ყირიმში ფართოდ გავრცელებული ანტისაბჭოური მეამბოხეთა მოძრაობისა. გადარჩენილი სამხედროები, შეძლე-ბისდაგვარად, სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები, რომელთა მიმართ მიმართული იყო ტერორი, მიუ-ხედავად მოახლოებული სიცივისა და ყინვისა გარბოდნენ მთებში და უერთდებოდნენ მეამბოხეთა რაზმებს. გადმოცემით, მათი რაოდენობა 1920 წლის ზამთარში უდრიდა დაახლოებით 8 000–10 000 კაცს.

XXI საუკუნის დასაწყისამდე ყირიმის მიწა-წყალზე არ იყო არცერთი წითელი ტერორის დროს დაღუპულთა ხსოვნის ძეგლი ან სამახსოვრო ნიშანი. მხოლოდ 2 000 წლიდან დაიწყო მდგომარეობის გამოცვლა.

სევასტოპოლში, სახლმწიფო მიწა-წყალზე, „მაქსიმოვის ნაკვეთის“ ნაკრძალზე, სადაც 1920–1921 წლებში ხდებოდა დახვრეტები, იმ ადგილას სადაც უნდა აღიმართოს სამოქა-ლაქო ომში დაღუპულთა ხსოვნის ძეგლი, დაიდგა ჩასატანებელი ქვა. აქვე დაიდგა „შერიგების ჯვარი“.

ფეოდოსიაში, 2005 წლის 2 მაისს, შავი ზღვის ნაპირას „ივერიის ღვთისმშობლის“ ეკლესიასთან ახლოს, დაიდგა „წითელი ტერორის“ დროს დაღუპულთა ხსოვნის ჯვარი.

სიმფეროპოლში, 2007 წელს ქალაქის მთავარ ბაღში, სადაც გეგმის თანახმად, უნდა აიგოს „წითელი ტერორის“ დროს დაღუპულთა ხსოვნის ძეგლი, დაიდგა ჩასატანებელი ქვა.

ევპატორიაში, 2009 წელს, წმიდა ილიას ტაძრის მიწაზე დაიდგა მართლმადიდებელი ხსოვნის ჯვარი, „წითელი ტერორის“ დროს, 1918 წლის მარტში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად.

ფ რ ი დ რ ი ხ ე ნ გ ე ლ ს ი (1820–1895) აღნიშნავდა:

„ტერორი – ეს უმეტესად ნაწილია ჩადენილი უსარგებლო უმოწყალო დანაშაულისა, უმეტესად იმ ხალხის საკუთარი თავის დასამშვიდებლად, რომლებიც თვითონ განიცდიან შიშს“. (127).

XX საუკუნის 30-იან წლებში ბოლშევიკებმა თათრების მთავარი მეჩეთი ააფეთქეს. მეორე მსოფლიო ომის დროს, 1941 წელს, ყირიმში გერმანელები შევიდნენ და შესვლისთანავე აღადგინეს მეჩეთი, ამით ყირიმელი თათრები მოიმადლიერეს. 1944 წელს, როდესაც საბჭოთა ჯარები ყირიმში შევიდნენ, როგორც გერმანელთა მომხრეები, 18 მაისს, ყველა ყირიმელი თათრები და **კარაიმელები** სამი დღის განმავლობაში და 26 ივნისს სომხები, ბულგარელები და ბერძნები, გადაასახლეს ციმბირში და უზბეკეთში. 1945 წელს ყირიმის ასსრ გარდაიქმნა ყირიმის ოლქად. დაიწყო ყირიმში მასიურად რუსების ჩასახლება. 1948 წელს ქ. სევასტოპოლი როგორც ადმინისტრაციულ-სამეურნეო ცენტრი (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი) გამოყვეს ცალკე.

1967 წელს გადასახლებულთა შეწყალების გამოცხადების შემდეგ, თათრებმა დაიწყეს დაბრუნება სამშობლოში.

1954 წელს, უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავ-შირებით სსრკ ცკ-ის პირველმა მდივანმა და (1958–1964) სსსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ ი კ ი ტ ა ხ რ უ შ ჩ ო ვ მ ა (1894–1971) ყირიმი უკრაინას გადასცა და

წარმოადგენდა უკრაინის ერთ-ერთ ოლქს. 1991 წლის 20 იანვარს ყირიმში ჩატარებული რეფერენდუმის თანახმად, ყირიმი გახდა უკრაინის ავტონომიური რესპუ-ბლიკა. ხოლო, ამავე წლის 4 სექტემბერს უმაღლესმა ავტონომიურმა ყრილობამ გამოაცხადა ყირიმის რესპუბლიკა. 1994 წლის 4 თებერვალს აირჩიეს პრეზიდენტი. 1995 წელს უკრაინის რადამ და უკრაინის პრეზიდენტმა (1994–2005) ლეონიდ კუჩმამ გააუქმა ყირიმის რესპუბლიკის კონსტიტუცია და რესპუბლიკის პრეზიდენტობა. 1998 წელს მიიღეს ყირიმის რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია.

ყირიმის მოსახლეობა აღრიცხვიანობის მიხედვით:

XVIII საუკუნის I მეთხედში – 467 000 კაცი; აქედან: ყირიმელი თათრები – 95,1%, ბერძნები – 2,6%, სომხები –2,1%, კრიმჩაკები – 0,2%, კარაიმები – 0,2%;

1858 წ. – 331 300 კაცი; ყირიმელი თათრები – 73%, რუსები – 12,6%, უკრაინელები – 4,0%, ბერძნები – 2,4%, ებრაელები – 1,8%, სომხები –1,3%, გერმანელები – 1,5%, ბულგარელები – 0,6%, ციგნები –2,0%, კარაიმები – 0,8%;

„1936 წ. – 875 100 კაცი; ყირიმელი თათრები – 23,1%, რუსები – 43, 5%, უკრაინელები – 10%, გერმანელები – 5,7%, ებრაელები – 7,4%, დანარჩენნი – 10,3%“. (113, ტ.35, გვ.294)....

1959 წ. – 1 201 500 კაცი; რუსები – 71,4%, უკრაინელები – 22,3%, ებრაელები – 2,2%, პოლონელები – 0,1%;

2001 წ. – 2 024 056 კაცი; ყირიმელი თათრები – 12,1%, რუსები – 58,3%, უკრაინელები – 24,3%, ბელორუსები – 0,5%, თათრები 0,5%, სომხები – 0,4%, ებრაელები, მოლდაველები, აერბაიჯანელები და პოლონელები – 0,2%, ბერძნები, ქართველები, გერმანელები, კარაიმელები, კრიმჩაკები და სხვ. – 0,1%; უკრაინის მიერ ჩატარებულ ამ აღწერაში არ მოხვდნენ ქ. სიმფეროპოლის მოსახლეობა, ვინაიდან ის წარმოადგენს ყირიმის ოლქის ცენტრს.

2005 წ. – 1 994 300 კაცი; ყირიმელი თათრები – 18%, რუსები – 70,0%, უკრაინელები – 15,0%. დანარჩენნი ერის წარმომადგენლები მეტად მცირენი არიან. ყირიმში 80-ზე მეტი ერის წარმომადგენელი ცხოვრობს. (128).

აღწერის მონაცემებიდან ჩანს, რომ ყირიმში XVIII საუკუნიდან დაწყებული, რუსეთის ხელისუფლების და შემდეგ, სსრკ-ს მთავრობის მიერ მიღებული სადამსჯელო ღონისძიებების შედეგად, რუსული მოსა-ხლეობა მატულობდა და დღევანდელ დღეს, როგორც გადმოგვცემენ 75%-ზე მეტნი არიან. ვინაიდან ყირიმში რუსები მოსახლეობის რაოდენობის მხრივ სჭარბობენ უკრაინელებსა და სხვა ეროვნებებს, ამიტომ ყირიმში ჩასახლებული რუსები (რფ-ს ხელი-სუფლების ხელშეწყობით) მოითხოვენ ყირიმის ისევ რუსეთთან შეერთებას. ასე, რომ დღევანდელ დღესაც იქ დაძაბულობა გრძელდება.

რუსეთის იმპერიის მიერ, ყირიმში ჩატარებული მოსახლეობის აღრიცხვაში, ნახსენები არიან კრიმჩაკები და კარაიმელები.

კრიმჩაკები მცირე ერია, რომლებიც თავის თავს თვლიან „სრელ ბალარალიად“ (ისრაელის შვილები) და თავის თავს უწოდებდნენ „ჩაგატაის“. წყაროებში, 1917 წლამდე მათ უწოდებდნენ როგორც ებრაელ კრიმჩაკებს. ზოგიერთი მეცნიერთა აზრით, როდესაც რომის იმპერატორმა (117–138) პუბლიუს ადრიანემ (76–138), (132–135) წლებში

პალესტინაში მომხდარი აჯანყება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბარ-კოხბა ჩაახშო, ის ებრაელები რომლებიც გადაურჩნენ სიკვდილით დასჯას განდევნილ იყვნენ ყირიმში. სხვა მეცნიერთა მტკიცებით, ძვ. წ. I საუკუნეში კავკასიისა და ქერჩის სრუტის გავლით ყირიმში მოსულან ებრაელი მისიონერები იუდაიზმის გასავრცელებლად. შემდეგში, დროთა განმავ-ლობაში შეერივნენ ხაზარებს და ამდაგვარად გახდნენ პროზელიტები (რჯულშეცვლილნი). მათ შეინარჩუნეს თავისი ენა და თავისი ხალხის თვისებები. მეცნიერთა ნაწილის თქმით კი, ებრაელთა მცირე ოჯახი, ევროპელ ებრაელებთან ერთად, შემოსულა კიევის გავლით და ჩასახლებულან ყირიმში. მეცნიერთა ნაწილის მტკიცებით, ქალაქი **კიევი** შექმნეს ხაზარებმა. VII საუკუნის II ნახევრიდან თურქმანთა მოდგმის ხაზართა ნაწილს მიუღია იუდაიზმი და ჩასახლებულან ყირიმში.

1897 წელს ყირიმში კრიმჩაკები ყოფილან 3 345 კაცი. ხოლო შემდეგში ისინი გამრავლებულან და ასულან 6 ათასამდე. მეორე მსოფლიო ომის დროს, 1941 წელს როდესაც გერმანელები შესულან ყირიმში, ყველა კრიმჩაკები, როგორც ებრაელები, სხვა ებრაელებთან ერთად, შემოდგომაზე, დახვრიტეს. გადარჩნენ მხოლოდ ისინი ვინც ჯარში იყო წასული, ან მოასწრო გახიზვნა. როგორც აღწერიდან ჩანს, დღევანდელ დღეს ყირიმში კრიმჩაკების ძალიან მცირე ნაწილია დარჩენილი.

კარაიმელები და **ებრაელები** წარმოადგენენ ყირიმის ძველ მოსახლეობას. მეცნიერთა ნაწილის მტკი-ცებით, კარაიმელებიც წარმოადგენენ ებრაელებს, რომლებმაც ყირიმის სახანოს დროს თურქმენული ადათ-წესები მიიღეს და მათი ენაც მიაკუთვნეს თურქმენულ ენათა ოჯახის ყივჩაღურ ჯგუფს. მეცნიერთა მეორე ნაწილი თვლის, რომ კარაიმელები არიან თურქმენები, რომლებმაც მიიღეს იუდაიზმი და შექმნეს ახალი რელიგიური მიმდინარეობა.

გერმანიაში ფაშისტური წყობილების დროს, ზოგიერთმა მეცნიერებმა, რომ გადაერჩინათ კარაიმელები განადგურებას, გერმანელებს დაუმტკიცეს, რომ ისინი ებრაელებს არ ეკუთვნოდნენ. ამიტომაც როდესაც გერმანელებმა დაიპყრეს ყირიმი, მათ ხელი არ ახლეს. სამაგიეროდ, ყირიმში საბჭოთა ჯარის შესვლის-თანავე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა ყირიმელი თათარი და მათ შორის კარაიმელებიც, სამ დღეში გადაასახლეს შუა აზიაში და ციმბირში.

* * * * * *

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები ადასტურებენ, რომ ლიხსიქეთის მოსა-ხლეობას საკმარისად კარგი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ანტიკურ სამყაროსთან, მათ შორის ყირიმთანაც. ეტყობა, რომ კოლხეთის სამეფოსა და ბოსფორის სამეფოს გარდა, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ბერძნულ ქალაქებს შორის, კულტურულ-ეკონომიკური კავშირი ყოფილა დამყარებული და ამ ურთიერთობას ორმხრივი ხასიათი ჰქონია, როგორც კოლხეთში ხდებოდა საქონლის შემოტანა, ასევე აქედანაც გადიოდა ნაწარმი.

ყირიმის ტაძრებსა და ქალაქებში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ძვ. წ. VI–IV საუკუნეების კოლხური ქვევრებისა და დერგების, კოლხური პითოსების (დიდი ზომის ჭურჭელი) ნამტვრევები, კოლხური მონეტები. „ნაპოვნია VI ს. ღია ტიპის იონური ჭრაქის ფრაგმენტი, რომელზედაც ამოკაწრულია წარწერა „კოლხოს“. (6, ტ.I, გვ.408) და სხვ. საქართველოშიც აღმოჩენილია ზღვისპირა ბერძნულ ქალაქებში მოჭრილი მონე-ტები და სხვა ნაკეთობანი.

ყირიმსა და საქართველოს შორის ურთიერთობა გრძელდებოდა შემდეგ საუკუნეებშიც. ცნობილია, რომ მაგალითად მარილი, რომელიც საქართველოს არ მოეპოვებოდა, შემოდიოდა ყირიმიდან. ოსმალეთის მოძალების დროსაც კი, XVI–XVII საუკუნეებში და შემდეგაც, როდესაც საქართვე-ლოში მიმდინარეობდა გამუდმებული ომები, საქართველოში ვაჭრობა მაინც არ წყდებოდა და ყირიმთანაც მიმდინარეობდა ვაჭრობა.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (1776–1795) მ ა ქ ს ი მ ე II (აბაშიძე) ქ უ თ ა თ ე ლ ი (1725–1795) 1769 წელს წერდა: „აბრაშუმი, ბამბა და დიახ წმინდა სელი არის ამდენი, რომ ვაჭრებს სხვა ქვეყნებშიაც მიაქვთ, დიახ იაფათაც ყიდულობენ.... ქუთაისის ქალაქიდან ვაჭრები დადიან ნავითა და სამს ციხეში – ბათომს, ფოთს და სოხუმს, გასასყიდლად დააქვსსთ წმინდა სანთელი, აბრეშუმი, ბამბა, ბეწვი მელისა, კვერნისა და ვეფხვისა და საჭმელის ხორაგი“, „იქიდამაც წყლით მოაქვთ ოსმალოს სავაჭრო: სხვადასხვა ფერის ფარჩა, მაუდი, შაქარი, ყავა და სხვაცა (სტამბოლიდამ რვას დღეზე და ყირიმიდან ხუთს დღეზედ ხომალდები ამ ციხეებში მიდიან“. ბაზარზე იყო სამხედრო საჭურველიც. აფხაზეთსა და თურქთა ხელში მყოფ ზღვისპირა პუნქტებში გასაყიდად გამოჰყავდათ ტყვეებიც“. (6, ტ.IV, გვ.583). მაქსიმე II ქუთათელი ყოველთვის ცდილობდა, რომ დაებრუნებინა საქართველოდან გაყიდული ან გატაცებული ტყვეები. ცნობილია, რომ მისი პეტერბურგში ელჩობის დროს, 1799 წელს, მან ყირიმში წასვლის ნებართვა ითხოვა, „წმინდა ადგილების მოსანახულებლად“, რომ იქ მყოფ ქართველ ტყვეებს დახმარებოდა საქართველოში დაბრუ-ნება, მაგრამ ასტრახანის გუბერნატორმა ამის ნებართვა არ მისცა. ერეკლე II-ეც 1771 წელს პეტერბურგში გაგზავნილი ელჩების საშუალებით, „ეკატერინე მეორეს სთხოვდა, სამშობლოში დაებრუნებინა ის ქართველები, რომლებიც რუსთა ჯარმა გაათავისუფლა ყირიმის აღებისას“. (6, ტ.IV, გვ.660).

მიუხედავად კავკასიაში განხორციელებული რუსეთის კოლონიური პირობებისა, საქარ-თველოში მაინც ფეხს იდგამდა და ვითარდებოდა მრეწველობა. სხვადასხვა წარმოებებს შორის დაწინაურდა და მნი-შვნელოვან წარმატებასაც მიაღწია სპირტისა და სპირტიანი სასმელების წარმოებამ. ცნობილია, რომ XIX–XX საუკუნეებში საქართველოში ამ დარგის სამი სამრეწველო საწარმო ამოქმედდა. მათ შორის ყველაზე უფრო გამოირჩეოდა და გაითქვა სახელი ევროპაშიც კი, დავით სარაჯიშვილის ფირმამ.

ქართული კონიაკის ფუძემდებელმა, საზოგადო მოღვაწემ, ქიმიკოსმა და ფილოსოფოსმა, მეცნიერებათა დოქტორმა დ ა ვ ი თ ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ მ ა (1848–1911) 1888 წელს საქარ-თველოში ჩამოაყალიბა პირველი კონიაკის ქარხანა რომელმაც თანდათან გაითქვა სახელი რუსეთსა და ევროპაშიც. მისი ქარხანა ამზადებდა კონიაკს, ლიქიორს, არაყს, სხვადასხვა ნაყენს, შემაგრებულ ღვინოებს, რომს და სპირტს. მისი წარმოება დამყარებული იყო ძირითადათ ადგილობრივ ნედლეულზე, ნაწილი კი შემოჰქონდა ყირიმიდან და თურქესტანიდან.

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომში, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, პროცენტული რაოდენობის მხრივ, ყველაზე მეტი, საქართველოს მოსახლეობამ მიიღო მონაწილეობა. ამ ომში, საქართველოს მოსახლეობამ დიდი დანაკლისი განიცადა. მეორე მსოფლიო ომის დროს, საქართველოდან, 700 000-მდე მებრძოლი ღებულობდა მონაწილეობას და თითქმის ნახევარი დაიღუპა და აღარ დაბრუნდა სამშო-ბლოში. ჯერ მარტო 1942 წლის

15 აპრილამდე საქართველოდან ყირიმის ბრძოლის ველზე 65 897 სამხედრო ვალდებული გაიგზავნა. ყირიმში მომქმედი 224-ე მსროლელი დივიზია მთლიანად ქართველი მეომრებისაგან შედგებოდა და სწორედ მან დაიწყო, ეროვნულ სამხედრო ნაწილებს შორის, ქერჩის ნახევარკუნძულძე ბრძოლები. ყირიმის პარტიზანებს შორისაც მონაწილეობას ღებულობდნენ ასობით ქართველი მეომრები. საქართველოში დარჩენილი მოსახლეობა, მიუხედავად გაჭირვებისა, მაინც ცდილობდა დახმარება გაეწია მებრძოლი სამხედრო ნაწილებისათვის. მაგალი-თად, 1942 წლის თებერვალში ყირიმის საჯარისო ნაწილებისათვის საქართველოდან გააგზავნეს ათას ტონაზე მეტი ბოსტნეული და სხვ. მეორე მსოფლიო ომმა დიდი ზიანი მიაყენა როგორც ქართულ ეკონომიკას, ასევე, განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს მოსახლეობას. ჯერ რუსეთის იმპერიამ, ხოლო შემდეგ კომუნისტურმა წყობილებამ, საქართველო განადგურების პირამდე მიიყვანა.

თავი III. კ ა ზ ა კ ე ბ ი.

სამხედრო ისტორიკოსი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე კ ო ზ ლ ო ვ ი წერს:

„ისტორია მხოლოდ მაშინ ასწავლის, როდესაც მისგან უნდათ რომ ისწავლონ, როდესაც მასში ხედავენ არა მარტო სასიამოვნოს, არამედ უარყოფითსაც“. (95, გვ.19).

კავკასიაში, მით უმეტეს ჩრდილოკავაკსიის ხალხთა ურთიერთობაში, დიდ მონაწილეობას ღებულობდნენ **კაზაკები.**

დღევანდელი კაზაკების წარმოშობა ჯერჯერობით დაუდგენელია. არსებობს სხვადასხვა თეორიები. წყაროებში პირველად სიტყვა „კაზაკ“ მოხსენებულია „მცველი“-ს („სტრაჟ“) მნიშვნელობით 1303 წელს. ხოლო „კაზაკები“ როგორც ხალხის აღმნიშვნელი, მოხსენებულნი არიან XV საუკუნის I ნახევრის ბოლოს. სიტყვა „კაზაკი“ იხმარებოდა სხვადასხვა მნიშვნელობითაც: „კაზაკი ხალხის წარმომადგენელი“, „თავი-სუფალი კაცი“, თავისუფალი ჯარისკაცი“, „დაქირავებული მუშა“, „ბანდიტი“ და სხვა.

სიტყვა „კაზაკი“ თურქული წარმოშობისაა და აღნიშნავს თავისუფალ, თავზეხელაღებულ კაცს. „ადამიანი, რომელმაც კავშირი გაწყვიტა თავის სოციალურ გარემოსთან (XIV–XVII სს.). XV ს. ბოლოდან კაზაკები ეწოდებოდა რუსეთის სახელმწიფოს განაპირა მხარეების თავისუფალ მოსახლეობას“. (8, ტ.5, გვ.315).

ცნობილია, რომ კაზაკები ძირითადათ შედგებოდნენ რუსეთის იმპერიიდან და მეზობელი ქვეყნებიდან გამოქცეული გლეხების და სხავადასხვა წოდების და სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც სახლდებოდნენ აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთსა და უკრაინის დაუსახლებელ ველებზე. თანდათან განსახლდნენ ქვემო და შუა ვოლგისპირეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში ურალისწინეთში, ყაზახეთში და შორეულ აღმოსავლეთში.

„XVIII ს.–XX ს. დამდეგის რევოლუციამდელი რუსეთის სამხედრო ფენა. XIV–XVII სს. რუსეთის განაპირა ტერიტორიებზე მცხოვრები თავისუფალი მოსახლეობა. ფეოდალურ ექსპლუატაციისა და ბატონყმობის გაძლიერებამ რუსეთში და პოლონეთ-ლიტვის სახელმ-წიფოებში XV–XVI სს-ში გამოიწვია გლეხთა მასობრივი გაქცევა ამ სახელმწიფოების საზღვრებს გარეთ, უპირატესად სამხრეთის აუთვისებელ მიწებზე – დონის, ვოლგის, იაიკის აუზებში. მეზობელი ფეოდალური სახელმწიფოებისა და მომთაბარეების წინააღმდეგ ბრძოლის

აუცილებლობამ განაპირობა ამ თავისუფალი ხალხის გაერთიანება სამხედრო ორგანიზაციებში – აღმოცენდა დონის, ვოლგის, დნეპრის (ჩერკასის), გრებენის და იაიკის კაზაკთა გასამხედროებული თემები“. (8, ტ.5, გვ.315).

„XVI საუკუნის შუა ხამნებში კაზაკებს ჩვენ ვხედავთ რუსეთის სხვადასხვა მხარეში, ლიტვის დიდი სამთავროს ტერიტორიაზე... XVI საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა ციმბირისა და თერგის თემები“. (21, გვ.16).

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ კაზაკები წარმოიქმნენ სლავებისა და თურქულენოვან ტომებისაგან. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ჩერქეზებმა მონაწილეობა მიიღეს კაზაკების ჩამოყალიბებაში. მეცნიერი და მოაზროვნე, რუსეთის ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ვასილი ტატიშჩევი (1686–1750) წერდა, რომ:

„პირველი კაზაკები, მთიელ ჩერქეზთა ბრბო, მე-14-ე საუკუნეში კურსკის სამთავროში გამოცხადდნენ, სადაც ჩერქეზთა დაბა ააშენეს და თათართა გუბერნატორების დაცვით ქურდობასა და ყაჩაღობას ეწეოდნენ, შემდეგ გადავიდნენ დნეპრზე და დნეპრზე ქალაქი ჩარქეზი ააშენეს“. (129).

მიუხედავად იმისა, რომ კაზაკები წარმოადგენდნენ სხვადასხვა ეროვნებებს, მათ თანდათან გამო-უმუშავდათ თავისებური საერთო წესები და კანონები. კაზაკებს, რომ თავი ერჩინათ, იძულებულნი იყვნენ, ძირითადათ მეზობლად მდებარე მხარეებში და სახელმწიფოებში: უკრაინაში, პოლონეთში, რუსეთში, ყირიმში, შავიზღვისპირეთსა და კასპიის-პირეთში, სარჩო-საბადებელი და სურსათ-სანოვაგე, ყაჩაღობით ეშოვნად. თანდათან კაზაკები ჩამოყალიბდნენ, როგორც მეომრები და „მოგვიანებით ლიტვის ხელისუფლებამ მათგან შექმნა სოციალური ფენა, განსაკუთრებული ხელმძღვანელეობით. ამავე დროს თვითნებურად დააარსეს დნეპრის ნაპირებზე თავისუფალ მეომართა საძმო. ზაპოროჟიეს სეჩის სახელწოდებით. ასეთივე მოვლენებს ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ რუსეთში“. (21, გვ.16). შემდგომში კაზაკები გახდნენ რუსეთის სამხედრო მოსამსახურეები და მათგან ჩამოყალიბდა კავალერიისა და ცხენოსანთა არტილერია. კაზაკების შემოსავლის წყარო გახდა რუსეთის ხელისუფლების მიერ მიღებული ხელფასი და სამხედრო ალაფი.

„კაზაკების სამეურნეო ცხოვრების ძირითადი დარგები იყო ნადირობა, თევზჭერა, ველური მეფუ-ტკრეობა, მოგვიანებით – მესაქონლეობა, ხოლო XVII ს. II ნახევარში თანდათან დამკვიდრდა მიწათმოქმედებაც“. (8, ტ.5, გვ.315).

1. სეჩი ზაპოროჟიესი.

XVI საუკუნის შუა ხანებში (დაახლ. 1553/56), პირველად ჩამოყალიბდა უკრაინელ კაზაკთა თავისუფალი სამხედრო ჯარი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება **სეჩი ზაპოროჟიესი.** რომელიც „შეუპოვრად იბრძოდა როგორც ოსმალეთის, ისე ყირიმის სახანოს, აგრეთვე პოლონელ ფეოდალთა წინააღმდეგ. კაზაკები აგებდნენ ხის სიმაგრეებს – „სეჩებს“, სადაც თავს აფარებდნენ მტრის თავდასხმას. აქედან მომდინარეობს ამ თავისებური რესპუბლიკის სახელწოდებაც.“ (8, ტ.9, გვ.307).

1572 წლიდან სეჩი ზაპოროჟიეს ცხენოსანთა ჯარის ნაწილები, მონაწილეობას ღებულობდნენ რეჩ პოსპოლიტას (XV–XVIII საუკუნეებში პოლონეთის სახელწოდება) სამხედრო

ნაწილებთან ერთად საზღვრის დაცვაში. ხოლო თურქეთთან და შვეციასთან ომის დროს, მონაწილეობას ღებულობდნენ რეჩ პოსპოლიტის ჯარში. მალე სეჩი ზაპოროჟიეს კაზაკები მთლიანად გახდნენ დამოკიდებულნი პოლონეთზე, რომელმაც მოინდომა მათი გაუქმება. სეჩი ზაპოროჟიემ დაიწყო ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ზაპოროჟიეს ხელმძღვანელებს შორის მოხდა ურთიერთ დაპირისპირება და კლასობრივ ფენებად დაყოფა. 1654 წელს უკრაინის რუსეთთან შეერთებისას, სეჩი ზაპოროჟიე რუსეთის სამეფოს ავტონომია გახდა, შეინარჩუნა საკუთარი მართვა-გამგეობა და ჯარი.

XVII საუკუნის I ნახევარში სეჩი ზაპოროჟიეს და მდ. დონის კაზაკები თანდათან დაეუფლნენ და დამკვიდრდნენ ჩრდილოეთ შავი ზღვის და მდ. ყუბანის სანაპიროებზე და აქედან თავს ესხმოდნენ ჩრდილოეთ კავკასიელებსა და ოსმალეთის სანაპიროებს.

„მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის კაზაკები ყუბანის ნაპირებზე მიწათმოქმედებას მისდევდნენ, ისინი შეუპოვარ მეომრებად ითვლებოდნენ და მთიელებს შიშის ზარს სცემდნენ. მათ ჩერქეზებისაგან გადაიღეს ტანსაცმელი, იარაღი, ჩვეულებანი და ბრძოლის წესები. თარეშის ჟინი, რომელიც მათში არ ქრებოდა, კაზაკებს უბიძგებდა გადაელახათ ყუბანი და ეძარცვათ ჩერქეზული სოფლები. ბუნებრივია, ასეთი ქმედებები რეპრესიებს ემსგავსებოდა. რუსეთის ხელისუფლებამ აკრძალა მათი ყოველგვარი თავდასხმა ჩერქეზებზე, მაგრამ კაზაკებს კანონიერი თავდაცვის უფლება დაუტოვეს. ამ აკრძალვის შედეგად და, ამასთანავე, შავი ჭირის საშიშროების თავიდან ასაცილებლად, კაზაკებს, ყოველ შემთხვევაში ფორმალურად მაინც, არ ჰქონდათ ყუბანის გადალახვის უფლება“. (21, გვ.20).

XVII საუკუნის ბოლოს, სეჩი ზაპოროჟიემ სამხედრო და პოლიტიკური უფლებები თანდათან დაკარგა. „1709 კი შვედებთან კავშირის გამო რუსის ჯარმა დაანგრია. კაზაკთა ნაწილი ყირიმის სახანოს ტერიტორიაზე გადავიდა. 1734 რუსის მთავრობის ნებართვით კაზაკები დაბრუნდნენ და ე. წ. ახალი სეჩი შექმნეს. პუგაჩოვის აჯანყების დამარცხების შემდეგ, რაკი კაზაკებში მღელვარება იყო, 1775 ივნისში მეფის ჯარმა დაანგრია სიმაგრეები და ზაპოროჟიეს ჯარი დაშლილად გამოაცხადა. სეჩი ზაპოროჟიემ არსებობა შეწყვიტა“. (8, ტ.9, გვ.307). ზაპოროჟიეს კაზაკთა ნაწილი გადავიდა მდ. დუნაიზე, თურქეთის მხარეს და იქ ჩამოაყალიბა დუნაის სეჩი. ზაპოროჟიეს კაზაკების დარჩენილი ნაწილი, რუსეთის ხელი-სუფლებამ გადაასახლა ყუბანის მხარეში. იქ კი ჩამოყალიბდა ყუბანის კაზაკთა ლაშქარი. შემდეგში, კაზაკები მთლიანად დაემქვემდებარნენ რუსეთის ხელისუფლებას. ოქტომბრის რევოლუციამდე, იცავდნენ მეფის ხელისუფლებას, რუსეთის სახელმწიფოს და ის რუსეთის ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი ძალა გახდა.

„XVIII საუკუნის დასაწყისში კაზაკთა თემები გარდაიქმნენ რეგულარულ კაზაკთა ჯარებად. 1721 წელს სამხედრო უწყებას დამორჩილდნენ. კაზაკობაში თანდათან გაუქმდა ჯარის უფროსობის არჩევითობა, მათ რუსეთის მთავრობა ნიშნავდა. XVIII–XIX საუკუნეებში შეიქმნა კაზაკთა ჯარის ახალი სახეობა, რომელიც მთლიანად დაემქვემდებარა სამხედრო უწყებას“. (8, ტ.5, გვ.315).

XX საუკუნეში კაზაკებიდან ჩამოყალიბდა მისი საიმპერატორო უმაღლესობის პირადი მცველთა რაზმი („კონვოი“) და რუსეთის გვარდიაში შევიდა 3 კაზაკთა დამოუკიდებელი საჯარისო ერთეული:

1. კაზაკთა ლაიბ-გვარდია, რომელიც ჩამოყალიბდა 1798 წელს. მონაწილეობას ღებუ-

ლობდა 1805 წლის აუსტერლიცისა და 1812 წელს ბოროდინოს ბრძოლებში, (1813–1814) წლებში პარიზის და 1828 წელს დუნაიზე ლაშქრობებში;

2. ატამანის ლაიბ-გვარდია. შეიქმნა 1775 წელს დონის ჯარის შემადგენლობაში. 1859 წელს გადაკეთდა გვარდიათ. ითვლებოდა კაზაკთა საჯარისო ნაწილებს შორის ყველაზე უფრო სამაგალითო ნაწილად;

3. გადამყვანი-კაზაკთა ლაიბ-გვარდია. ჩამოყალიბდა 1906 წელს. მასში შევიდნენ კაზაკთა სხვადასხვა სამხედრო ნაწილებიდან თითო-თითო ასეული.

„XX საუკუნის დამდეგისათვის კაზაკთა 11 ჯარი იყო (დონის, ყუბანის, თერგის, ასტრახანის, ურალის, ორენბურგის, შვიდმდინარეთის, ციმბირის, ბაიკალისპირეთის, ამურის, უსურის). 1917 წელს შეიქმნა ენისეის კაზაკთა ჯარი და იაკუტის კაზაკთა პოლკი“. (8, ტ.5, გვ.315).

2. დონის კაზაკები.

დონის კაზაკობის ჩამოყალიბების თარიღად, ითვლება 1570 წლის 3 იანვარი. დონის კაზაკების ჯარის არსებობის 300 წლისთავი აღინიშნა 1870 წლის 3 იანვარს. თუმცა, დონის კაზაკებს, მოსკოვის სამთავრო უფრო ადრეც იცნობდა. ცნობილია, რომ 1552 წელს დონის კაზაკები მონაწილეობას ღებულობდნენ ყაზანის სახანოს წინააღმდეგ ლაშქრობაში. მადლიერმა ივანე მრისხანემ, კაზაკებს სიგელით, სამუდამო ფლობელობაში დაუმტკიცა მდ. დონის და მისი შენაკადების მიდამოები. 1562 წელს დონის კაზაკები მონაწილეობდნენ ასტრახანის სახანოს დაპყრობაშიც. 1581 წლიდან იწყება დონის კაზაკების შემწეობით ციმბირის დაპყრობა. 1584 წელს დონის კაზაკობამ ერთგულების ფიცი დადო, რუსეთის მეფის წინაშე.

1603 წლიდან დონის კაზაკები მონაწილეობას ღებულობდნენ რუსეთის სამეფოს წინააღმდეგ ავჯან-ყებებში. ავჯანყებების ჩახშობის შემდეგ, დონის კაზაკები არბევდნენ ყირიმის სახანოსა და თურქეთის შავი ზღვისპირეთის ქალაქებს.

რუსეთის მეფის პეტრე I-ის დროს, დონის კაზაკები მონაწილეობდნენ (1695–1696) წლებში აზოვის ლაშქრობაში და 1701 წელს შვედეთთან ომში. ვინაიდან პეტრე I-მა დაიწყო კაზაკების უფლებების შეზღუდვა, 1707 წელს დონის კაზაკები ავჯანყდნენ, ატამანის, კონდრატი ბულავინის (დაახლ. 1660–1708) მეთაურობით. 1709 წელს ავჯანყება სასტიკად ჩაახშეს. ამის გამო პეტრე I-მა 1708 წელს გააუქმა ივანე IV-ის მიერ გაცემული სიგელი, ასე, რომ დონის კაზაკობამ თავისუფლება დაკარგა. ამის შემდეგ, დონის კაზაკები მონაწილეობას ღებულობდნენ რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებულ ომებში, როგორც რუსეთის ჯარის ქვედანაყოფები.

ცნობილია, რომ რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის დროს, კაზაკთა ნაწილი გამოდიოდა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ და ემხრობოდნენ ე. წ. თეთრ გვარდიელებს. კაზაკთა მცირე ნაწილი მონაწილეობას ღებულობდა წითელ ჯარში. მაგრამ, რევოლუციონერებს მიაჩნდათ, რომ (1905–1907) წლებში, რუსეთში მომხდარი რევოლუციის დროს, ხალხის დარბევაში მთავარი დამნაშავეები იყვნენ კაზაკები. ამიტომ, ხელი-სუფლებაში მოსვლისთანავე, ბოლშევიკებმა შეეცადნენ კაზაკების პოლიტიკური უფლებების შეკვეცა და რევოლუციის

შემდეგ კაზაკთა სამხედრო შენაერთები დაშალეს. კომისრების და სახელმწიფო ხელმძღვანელების კაზაკების მიმართ უარყოფითად დამოკიდებულების გამო (დაიწყო კაზაკთა მეურნეობის განადგურება, გადასახლებები და განთავისუფლებულ ადგილებში, სხვა მხარეებიდან მცირე მიწიანი მოსახლეობის ჩამოსახლება. ხდებოდა კაზაკთა ბრძოლის უნარიანობის განადგურება) კაზაკთა მოსახლეობა დაუპირისპირდა ბოლშევიკურ იდებს და დაიწყო თავისუფლებისათვის ბრძოლა, თავისი „სტანიცების" და „ხუტორების" დაცვა. (136). მათ (1917–1920) წლებში, საბჭოთა ხელისუფალთა წაქეზებით, კაზაკთა უმრავლესობა, განიცდიდა დევნა-შევიწროებას და რეპრესიას.

1919 წლის ცენტრალური კომიტეტის მითითებით, რომელსაც ხელს აწერდა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწე, სრულიად რუსეთის ცკ-ის და „ორგ-ბიუროს" თავმჯდომარე ი ა კ ო ბ ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი (პარტ. ფსევდ. ანდრეი, მაქსი და სხვ.) (1885–1919), კაზაკები რომლებიც „ღებულობდნენ რაიმე მონაწილეობას პირდაპირ, ან არაპირდაპირ ბრძოლებში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, უკლებლივ ყველა გაიჟლიტოს". (135). და დაიწყო მათი დევნა-შევიწროება. გადარჩენილი კაზაკები გადაასახლეს.

„კაზაკები იძულებულნი გახდნენ ემიგრაციაში წასულიყვნენ და თავშესაფარი უცხო ქვეყნებში (აშშ, კანადა) ეძებნათ. კაზაკობა, როგორც სოციალური მოვლენა, 1920 წელს „გააუქმეს". კაზაკების დევნა შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა, მაგრამ კაზაკობა გადარჩა, ის არსებობდა და იარსებებს". (21, გვ.30).

„აღწერის მონაცემებიდან, ცნობილია, რომ 1926 წელს, რევოლუციამდე დონის მოსახლეობიდან, მხოლოდ 45% დარჩა, ურალის სამხედრო ნაწილში – 10%, სხვა სამხედრო ნაწილებში – 25%-მდე. პრაქტიკულად განადგურებულნი იყვნენ 50 წლის ზევით ყველა კაზაკები – ამაყ მეომარ-ხალხს ჩამოერთვათ ყოველგვარი ხსოვნა და ტრადიციები.

ტერორი გრძელდებოდა შემდეგშიც, თუმცა გამოიხატებოდა არც ისე აგრესიულ ფორმებში, მაგრამ შეინარჩუნა ამასთანავე ერთად მთავარი მიმართულება – თანმიმდევრულად „გაწმენდა" კაზაკების მიწებიდან კაზაკური საზოგადოების წყობის ცხოვრების და საერთოდ ყველაფრის, რაც მას აგონებდა, ხდებოდა საყოველთაო სიცოცხლის „გასაბჭოება" სტანიცებში.

გენოციდის ახალი ტალღა დაიწყო კოლექტივიზაციის დროიდან, 1930-დან 1936-მდე წლებში განკულაკების სახით ნადგურდებოდა ჯერ კიდევ შემორჩენილი ძველი დროიდან ერთეული კაზაკური მეურნეობა, მეპატრონეებს ხვრეტდნენ, ქონებას ართმევდნენ, ძალდატანებით ასახლებდნენ ჩრდილოეთის დაუსახლებელ მხარეებში, ციმბირში, შუა აზიაში. კაზაკები ათასობით იღუპებოდნენ ხელოვნურად შექმნილი შიმშილისა და ახალ ადგილებში გაუსაძლისი საარსებო პირობების გამო". (117).

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, კაზაკები ცდილობენ, რომ აღდგეს დონის კაზაკობა.

1980 წლის 17 ნოემბერს დონის როსტოვში გაიხსნა დონის კაზაკების ყრილობა. სადაც დონის კაზა-კების დედაქალაქად გამოცხადდა ნოვოჩერკასკი. აქვე დაისვა საკითხი, რომ დონს ვოლგოგრადის ოლქში მისცემოდა განსაკუთრებული ავტონომიური უფლებები და მასში უნდა შეერთებულიყო რუსეთის ვოლგო-გრადის ოლქების ნაწილი, უკრაინის დონისა და ლუგანსკის ოლქები. ამავე დროს დონის კაზაკები უნდა ეღიარებინად როგორც ცალკე ერი.

ცნობილია, რომ დონის კაზაკები ღებულობდნენ მონაწილეობას დნეპრისპირეთის კონფლიქტში, როგორც ე. წ. რუსულენოვან მოქალაქეების დაცვაში და 2005 წელს ჩაჩნეთში. 2010 წლის 1 სექტემბერი მოსკოვის პატრიარქმა კირილმა გამოაცხადა დღესასწაულად ყველა მართლმადიდებელ კაზაკებისათვის და დონის ღვთის მშობლის ხატი.

იქმნება საზოგადოებები და სხვადასხვა ორგანიზაციები როგორც რუსეთში, ასევე საზღვარგარეთ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლესობა ამ ორგანიზაციის წევრებისა, არ წარმოადგენენ კაზაკებს.

3. გრებენის და თერგის კაზაკები.

ცნობილია, რომ XVI საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიაში, დონის კაზაკებს 3 ასეული გამოეყო და მდინარეების თერგისა და სუნჯის მთის თხემებზე („გრებნიახ“) დასახლდნენ. ამიტომ მათ ადრე უწოდებდნენ **გრებენის კაზაკებს,** ხოლო შემდეგ ეწოდათ **თერგის კაზაკები.** დროთა განმავლობაში მას შეუერთდნენ ვოლგის კაზაკები და გამოქცეული გლეხები. 1577 წელს ჩამოყალიბდა თერგის კაზაკთა ჯარი. 1588 წელს რუსეთის ხელისუფლებამ მდ. თერგის შესართავში დაიწყო ციხე-სიმაგრის აგება. რუსეთის მეფის ხელისუფლება პირველად, თერგის კაზაკებს იყენებდა როგორც დამცავ და სადაზვერვო ღონისძიებებისათვის. კაზაკები თავის თავს დამოუკიდებელ ხალხად თვლიდნენ. მაგრამ, თანდათან, ისინი ხდებოდნენ რუსეთის ხელისუფლებაზე დამოკიდებულნი და რუსეთში სამხედრო სამსახურს ეწეოდნენ. ჩამოყალიბდა გრებენის ჯარი, რომელიც 1721 წელს დაექვემდებარა სამხედრო კოლეგიას და შევიდა რუსეთის შეიარაღებულ ძალებში.

ამავე ხანებში, რუსეთმა დაიწყო მდ. თერგის ნაპირებზე ციხე-სიმაგრეების აგება და თერგის შემოგარენში დონის კაზაკების ჩამოსახლება.

1735 წელს ირანთან დადებული ხელშეკრულების თანახმად (რუსეთმა ირანს დაუბრუნა ადრე დაპყრობილი ბაქო და დერბენდი), რუსეთმა სასაზღვრო ხაზი გადმოსწია მდ. თერგამდე. ამის გამო, სტანიცებში მყოფი კაზაკები გადაასახლეს მდ. თერგის მარცხენა მხარეს და შექმნეს თერგ-სემიონოვსკის ჯარი.

1763 წელს თერგის მიდამოებში დაიწყეს ციხე-სიმაგრის აგება, რომელიც 1765 წელს გარდაიქმნა ქ. მოზდოკად. ქალაქის მოსახლეობისაგან, ძირითადათ, ყაბარდოელებისა და ოსებისაგან ჩამოყალიბდა მთიელ მოზდოკთა კაზაკთა რაზმი.

მდ. თერგის საზაზღვრო ხაზის გამაგრების მიზნით, გადმოასახლეს ვოლგის კაზაკები და ჩამოაყალიბეს მოზდოკის კაზაკთა საჯარისო ერთეული. ცნობილია, რომ XIX საუკუნის I ნახევარში მდ. თერგის მარცხენა მხარეში გადმოსახლდნენ რუსეთის სხვადასხვა ადგილებიდან გლეხები, რომლებმაც აგრეთვე მიიღეს კაზაკების წოდება.

1832 წელს, მდ. თერგის მარცხენა მხარეში მყოფი აზოვ-მოზდოკის სახაზო სამხედრო ნაწილები გადაკეთდა კავკასიის სახაზო კაზაკთა ჯარად და შავი ზღვის სამხედრო ნაწილებთან ერთად იცავდა მდ. თერგის შესართავიდან მდ. ყუბანის შესართავამდე მიდამოებს. შემდეგში მონაწილეობას ღებულობდა კავკასიის ომში.

1860 წელს კავკასიის სახაზო კაზაკთა ჯარი, გარდაიქმნა თერგის კაზაკთა ჯარად. ამავე წელსვე, კავკასიის სახაზო ჯარი, გადაკეთდა ყუბანის და თერგის ოლქად.

1890 წელს გამოცხადდა თერგის კაზაკთა ჯარის აღლუმის დღე 25 აგვისტო (7). ჯარის წმინდა დამცველის, ვარფოლომის მოციქულის დღე.

1917 წლის ნოემბერში, თერგის მთიან მხარეში და დაღესტანში, ჩამოყალიბდა მთიელთა რესპუბლიკა. ამავე წლის 1 (14) დეკემბერს „კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირის" მთავარმა კომიტეტმა, თერ-გისა და დაღესტნის ოლქების ქალაქთა კავშირის შეთანხმებით, ჩამოყალიბდა „თერგ-დაღესტნის მთავრობა". რუსეთში გაჩაღებული სამოქალაქო ომის დროს, ჩრდილოეთ კავკასიაშიც დაიწყო არეულობა: განხორციელდა მთიელთა თავდასხმები ქ. გროზნოსა და კაზაკთა სტანიცებზე. ამავე დროს გამოცხადდა რუსეთის მთავრობის დადგენილება „წოდებრიობისა და სამოქალაქო ჩინების გაუქმების" შესახებ, რომელიც გახდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებული, კაზაკთა წინააღმდეგ ბრძოლის იურიუდიული საფუძველი. 1918 წლის მარტში თერგის კაზაკებისა და მთიელთა II საოლქო ყრილობამ გამოაცხადა „თერგის საბჭოთა რესპუბლიკა" („თ. ს. რ."). ამავე წლის ივნისში აჯანყდნენ ზოგიერთი სტანიცების კაზაკები. მოზდოკში ჩატარებული კაზაკთა ყრილობის დადგენი-ლებით, კაზაკებმა ბოლშევიკებთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს. ივლისში „თ. ს. რ." შევიდა „ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკის" („ჩ.კ.ს.რ.") შემადგენლობაში. ამავე წლის აგვისტოში თერგის ამბოხებულმა კაზაკებმა აიღეს ვლადიკავკაზი. ინგუშებმა დაარბიეს ქალაქი გროზნო. 21 ოქტომბერს აჯანყებულებმა „ჩ.კ.ს.რ"-ის ხელმძღვანელები დახვრიტეს. თერგში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, წითელმა ჯარმა აჯანყებულები გაანადგურა. კაზაკები (დაახლ. 10 000 კაცი გადაასახლეს. ისინი გზაში იხოცებოდნენ და იყინებოდნენ. ამავე დროს მათზე ხდე-ბოდა მთიელთა თავდასხმები. ამავე წლის დეკემბერში სრულიად რუსეთის ცკ-ის პრეზიდიუმის დადგე-ნილებით, „ჩ. კ. ს. რ" გაუქმდა.

1919 წლის იანვარში ჩრდილოეთ კავკასიაში „მოხალისეთა არმია" შევიდა. 1920 წლის მარტში ხელახლა დაიპყრო თერგის ოლქი და აღადგინა საბჭოთა ხელისუფლება. სრულიად რუსეთის ცკ-ის დადგენილებით, თერგის ოლქი დაშლილად გამოცხადდა.

1921 წლის 20 იანვარს ჩამოყალიბდა მთიელთა ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა. თერგის საბჭოთა რესპუბლიკის ნაწილი შევიდა დაღესტნის ასსრ-ში (ხასაიურტის ოლქში) და ყიზლარის განყოფილებაში, ხოლო დარჩენილი ნაწილი – თერგის ოლქში, ჩრდილო-კავკასიის მხარეში და დაექვემდებარა მოზდოკის განყოფილებას.

1921 წლის 27 მარტს 70 000 თერგის კაზაკები, ერთი დღის განმავლობაში, თავისი საცხოვრებელი ადგილებიდან იყვნენ გადასახლებულნი. აქედან 35 000 გზაში, რკინიგზის სადგურთან მოსპეს. კაზაკთა სტანიცების გამონთავისუფლებულ სახლებში სახლდებოდნენ „წითელ არმიელები".

დღევანდელ დღეს, 27 მარტი ითვლება თერგის კაზაკთა მოსახსენიებელ დღედ.

1921 წლის ოქტომბერში, თერგის მხარეში მოქმედი ე. წ. „ბანდების" მოსასპობად, ხელისუფლების მიერ მიღებული სასტიკი ზომების შემდეგ და ამ მხარეში დაწყებული შიმშილობის შედეგად, „ბანდების" ნაწილი განადგურდა, ნაწილი ჩაბარდა ტყვედ.

1922 წლის 16 ნოემბერს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით თერგის კაზაკთა ჯარის ყიზლარის განყოფილება გადაეცა დაღესტანს.

1927 წელს იმის გამო, რომ ჩრდილოეთკავკასიამ ვერ შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა, ამიტომ მთავრობამ ჩამოაყალიბა რაზმები, რომლებიც

ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობას და თერგის სტანიცების კაზაკებსაც ძალით ართმევდნენ უკანასკნელ მარცვლეულს. კაზაკთა ნაწილი გაასა-მართლეს როგორც „პურის სპეკულანტები“. ამის გამო ჩრდილოეთ კავკასიაში დაიწყო შიმშილობა. მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით, მთელი ჩრდილოეთ კავკასია გამოცხადდა კოლექტივიზაციის მხარედ. ვინც წინააღმდეგობას გამოთქვამდა კოლმეურნეობებში შესვლაზე, ცხადდებოდნენ კულაკებად და საბჭოთა წყობილების მტრებად.

1941–1945 წლებში თერგის კაზაკების ნაწილი მონაწილეობას ღებულობდა საბჭოთა ჯარში, ხოლო ნაწილი გერმანელების მხარეს. ომის დამთავრების შემდეგ, ინგლისელებმა საბჭოთა კავშირს გადასცეს სხვა კაზაკებთან ერთად თერგის კაზაკებიც, ოჯახებთან ერთად, რომლებიც იქნენ გადასახლებულნი შუა აზიაში.

როგორც ცნობილია, 1957 წელს გადასახლებულთა ნაწილი დააბრუნეს ძველ ადგილებში, თუმცა ეს არ შეხებია კაზაკებს.

1958–1981 წლებში ქ. გროზნოში და ჩრდილოეთ კავაკსიის სხვა ქალაქებში დაიწყო შეხლა-შემოხლა ადგილობრივ მოსახლეობასა და თერგის კაზაკებს შორის.

1990 წლის 23 მარტს ჩატარდა თერგის კაზაკთა ყრილობა, სდაც გამოცხადდა თერგის კაზაკთა აღდგენა.

2000 წლიდან თერგის კაზაკები მონაწილეობას ღებულობენ რფრ-ის მიერ თითქმის ყველა განხორციელებულ სადამსჯელო ოპერაციებში. (137).

4. ყუბანის კაზაკები.

ჩრდილოეთის კავკასიის ხალხებზე ზეგავლენას ახდენდნენ, ჩრდილოეთ-კავკასიის რუსეთის კაზაკების ნაწილები, ე. წ. **ყუბანის კაზაკები**, რომლებიც ცხოვრობდნენ დღევანდელი კრასნოდარის მხარეში, სტავრო-პოლის მხარის დასავლეთ ნაწილში, როსტოვის ოლქის სამხრეთში, ადიღეს რესპუბლიკასა და კარაჩაევო-ჩერქეზეთში. მათი ჯარის შტაბი განთავსებული იყო ქ. ეკატერინოდარში (ახლ. კრასნოდარი).

ყუბანის კაზაკთა ჯარი, ჩამოყალიბდა 1860 წელს, **შავიზღვის კაზაკთა ჯარის** ნაწილისა და კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ, გაუქმებული **კავკასიის სახაზო კაზაკთა ჯარისაგან**. აგრეთვე ე. წ. „**მიწერილი კაზაკებისაგან**“. ჯარის ატამანებს (ხელმძღვანელებს) ნიშნავდა რუსეთის იმპერატორი. 1890 წლიდან, რუსეთის მეფის ბრძანებით, ჯარის აღლუმი იმართებოდა 28-30 აგვისტოში. შემდეგში, კრასნოდარის მხა-რის აღმასრულებელი ხელისუფლების დადგენილებით, ჯარის აღლუმის დღედ გამოცხადდა 12 სექტემბერი – წმიდა ალექსანდრე ნეველის დღე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1774 წლის კუჩუკ-კაინარჯის ზავის თანახმად, რუსეთმა შეძლო გასულიყო შავ ზღვაზე და ყირიმში. ასე, რომ რუსეთისათვის სამხრეთ საზღვრების დაცვა აღარ სჭირდებდა. რეჩ პოსპოლიტის (პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფო) ე. წ. „შლიახტის დემოკრატია“ (პოლონეთში აზნაურები) რუსეთის დასავლეთ ნაწილში, მყოფი კაზაკები, დაშლის პირას იყო მისული. კაზაკები ხშირად აწყობდნენ აჯანყებებს და არ ემორჩილებოდნენ ხელისუფლებას, ამიტომ რუსეთის იმპერატორის ეკატერინე II-ს ბრძა-ნებით, 1775 წელს სეჩი ზაპოროჟიე გააუქმეს. კაზაკების ნაწილი გადავიდა თურქეთის მხარეს,

დარჩენილი კაზაკებისაგან ჩამოყალიბდა „**ერთგული ზაპოროჟიეს ჯარი**“. რუსეთ-ოსმალეთის ომის (1787–1791) წლებში დამთავრების შემდეგ ქ. იასში 1792 წ. 9 იანვრის ხელშეკრულების თანახმად, რუსეთს გადაეცა ყირიმი და შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპიროები მდინარეების ბუგსა და დნესტრს შორის. ამ ომში თავდადე-ბულობისათვის „ერთგული ზაპოროჟიეს ჯარის“ კაზაკებმა, ეკატერინე II-ისაგან მიიღეს, ახლად შემოერ-თებული მიწები და ჯერ კიდევ დაუსახლებელი მდ. ყუბანის მარჯვენა სანაპიროების მიწები, „სამუდამო და შთამომავლობით მფლობელობაში“. ხოლო ჯარის სახელწოდება შეიცვალა და დაერქვა „**შავიზღვის კაზაკთა ჯარი**“.

1793 წელს შავი ზღვიდან, რამდენიმე ლაშქრობების შემდეგ, დაახლ. 25 000 კაზაკები ჩასახლდნენ ყუბანის მიწებზე. თანდათან კაზაკები მომრავლდნენ და 1860 წელს კაზაკთა ჯარი შეადგენდა 200 000 კაცს. ამ დროიდან, რუსეთში მოქმედებდა რამდენიმე კაზაკთა სამხედრო ნაწილები:

სახაზო კაზაკები წარმოადგენდნენ, კავკასიის სახაზო ჯარის ნაწილს, რომლიც შეუ-ერთეს ახლად ჩამოყალიბებულ ყუბანის ჯარს. ის შედგებოდა 2 დამოუკიდებელ საჯარისო ერთეულისაგან (პოლკისაგან): **ყუბანის** და **ხოპიორისაგან.**

ყუბანის პოლკი – წარმოიქმნა, 1780-ან წლებში ყუბანში ჩასახლებული, დონის და ვოლგის კაზაკების შთამომავლებისაგან. პირველად უნდოდათ ყუბანში ჩაესახლებინად დონის კაზაკების ჯარის ნაწილი, ამან კი კაზაკებში უკმაყოფილება გამოიწვია. ამის შემდეგ 1790 წელს ყუბანში ჩასახლდნენ შავიზღვისპირეთში დასახლებული კაზაკები.

ხოპიორის პოლკი – ძირითადათ წარმოადგენდა 1828 წელს ყუბანის ზემო მხარეში ჩასახლებული კაზაკებისაგან.

ადრე ისინი 1444 წელს დასახლდნენ მდ-ის ხოპიორსა და მედვედიცას შორის. კაზაკთა აჯანყებაში მონაწილეობის გამო, პეტრე I-მა, ეს მხარე გააჩანაგა. გადარჩენილი კაზაკთა ნაწილი შემდეგში გადასახლდა თურქეთში. 1716 წელს კაზაკები დაბრუდნენ. ისინი მონაწილეობას ღებულობდნენ რუსეთის „ჩრდილოეთ ომებში“. შემდეგში კაზაკები შეიწყალეს და ნება დართეს აეშენებინათ ახალი ხოპიორის ციხე-სიმაგრე. 1777 წელს ხოპიორის კაზაკები გადაასახლეს შუა ჩრდილო-კავკასიაში, სადაც ისინი ომობდნენ ყაბარდოე-ლების წინააღმდეგ და ააშენეს სიმაგრე სტავროპოლი. 1828 წელს ყარაჩაელების დამორჩილების შემდგომ, ჩასახლდნენ ყუბანის ზემო მხარეში.

რევოლუციის დაწყებისას, სახაზო კაზაკები სახლობდნენ ყუბანის ოლქის: კავკასიის, ლაბინის, მაიკოპის და ბატალპაშის მხარეებში.

მიწერილი კაზაკები იყვნენ XIX საუკუნეში ყუბანში ჩასახლებული სახელმწიფოს გლეხები, აგრეთვე (1805–1865) წლებში დასახლებული კანტონები (ჯარისკაცის შვილი, რომელიც პატარაობიდანვე უნდა გამხდარიყო ჯარისკაცი) და გადამდგარი სამხედრო კაზაკები. ესენი სახლდებოდნენ სტანიცებში ან ქმნიდნენ ახალ სტანიცებს.

ყუბანის კაზაკები ძირითადათ წარმოადგენდნენ თავისუფალ გასამხედროებულ სოფლის მეურნეობის მოსახლეობას, რომლის კაზაკთა ჯარის სათავეში იდგა ხალხის მიერ ამორჩეული ატამანი, იგი ამავე დროს მმართავდა ყუბანის ოლქს. ატამანი ითვლებოდა მშვიდობიანობისას როგორც ოლქის გუბერნატორი, ხოლო ომიანობისას – ჯარების ხელმძღვანელი. მას ემორჩილებოდნენ ყველა მხარის საბჭოების მიერ ამორჩეული მეთაურები.

ყუბანის კაზაკები შედგებოდნენ რამდენიმე საჯარისო განყოფილებისაგან: ეისეის, კავკასიის, ტამანის, ეკატერინოდარის, მაიკოპის, ლაბინის, ბატალპაშინის, შავი ზღვის და აფხაზეთის სპეციალური კაზაკთა განყოფილებისაგან.

1933 წლის სამოქალაქო ომისა და 1993 წელს საქართველოში მომხდარი ამბების (დაპირისპირება აფხაზებსა და ქართველებს შორის) დროს, აფხაზეთში დამკვიდრდნენ ყუბანიდან გამოქცეულნი, ხოლო შემდეგ, მოხალისე კაზაკები. დღევანდელ დღეს სპეციალურ კაზაკთა საჯარისო განყოფილებაში შედის გაგრის რაიონის კაზაკთა განყოფილება. ყუბანის საზღვრების გარეთ, მოქმედებს კაზაკთა სხვადასხვა საზოგადოებები. (138).

* * * * * *

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამათ გარდა, რუსეთის იმპერიაში იყო სხვადასხვა კაზაკთა ჯარები. ცნობილია, რომ რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ და სამოქალაქო ომების შემდგომ, ჩამოყალიბდა კაზაკთა რამდენიმე ე. წ. „სახელმწიფოები“ და „რესპუბლიკები“:

ყუბანის სახალხო რესპუბლიკა;
ვსეველიკოე დონის ჯარი;
თერგის კაზაკთა რესპუბლიკა;
ურალის კაზაკთა რესპუბლიკა;
ორენბურგის კაზაჩიი კრუგ;
სიმბირსკო-სემირეჩენსკაია კაზაკთა რესპუბლიკა;
ზაბაიკალსკაია კაზაკთა რესპუბლიკა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა ეს კაზაკები, ასევე როგორც რუსეთის იპერიაში მყოფი სხვა ხალხები, რუსეთში მომხდარი რევოლუციის დროს და საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბების დღიდან, განიცდიდნენ დევნა-შევიწროებას.

კაზაკებისათვის სახელი, რომ გაეტეხათ და კაზაკები დაემცირებინათ, ბოლშევიკები ყოველ ხერხს ხმარობდნენ. ჟურნალ-გაზეთებში იწერებოდა ყოვლად უსაფუძვლო წერილები და მოწოდებები: „მოკალი კაზაკები – ადამიანები არ არიან!“ და სხვ...

მხოლოდ 1936 წელს გაუქმდა წითელ არმიაში კაზაკების სამსახურის შეზღუდვები. ჩამოყალიბდა ახალი ცხენოსანთა დივიზიები“. (21, გვ.31). კაზაკების სამხედრო ნაწილები მონაწილეობას ღებულობდნენ საბჭოთა ჯართან ერთად სხვადასხვა ადგილებში.

ცნობილია, რომ 1936 წელსვე დამტკიცდა კაზაკებისათვის სააღლუმო ფორმა, რომ-ლითაც კაზაკები უნდა გამოსულიყვნენ ამავე წლის 1 მაისს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო კაზაკების ამ ფორმით გამოსვლა გაუქმდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, კაზაკების მუდმივი სამხედრო ნაწილები და მოხალისეებიც, იბრძოდნენ გერმანელ-ფაშისტების წინააღმდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ომის დროს, 1942 წლის ოქტომბერში, გერმანიის შეიარაღებულ ძალებში („ვერმახტი“) ჩამოყალიბდა საზღვარგარეთ მყოფი კაზაკებისაგან, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მებრძოლი კაზაკთა სამხედრო ნაწილები. შემდეგში, მათ შეუერთდნენ სამხედრო ტყვეები და გერმანელების მიერ დაკავებული მიწებიდან მცხოვრები და საბჭოთა კავშირიდან გაქცეული კაზაკები. 1943 წლის 10 ნოემბერს ჩამოყალიბდა კაზაკთა სამხედრო ორგანიზაცია ე. წ. „კაზაჩი სტან“, რომელიც „ვერმახტ“-ში აერთიანებდა კაზაკებს. გერმა-

ნელები კაზაკებს ენდობოდნენ, რადგან ისინი გულადი და ერთგული მეომრები იყვნენ. კაზაკებს იმედი ჰქონდათ, რომ გერმანელების დახმარებით, რუსეთში, ჩამოაყალიბებდნენ თავისუფალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

1945 წლის აპრილში ჩამოყალიბდა სამხედრო ქვედანაყოფი – კაზაკთა ცალკე კორპუსი, რომელიც შევიდა „რუსებისაგან ხალხთა განთავისუფლების კომიტეტის" შეიარაღებულ ძალების შემადგენლობაში. ის შედგებოდა სამხედროებისაგან და ლტოლვილებისაგან.

ომის დამთავრების შემდეგ, საბჭოთა კავშირს გადასცეს, ფაშისტურ გერმანიაში მონაწილე სამხედრო კაზაკები და ის კაზაკებიც რომლებიც არასდროს არ ყოფილან საბჭოთა მოქალაქენი. საბჭოთა სასამართლოს გადაწყვეტილებით, კაზაკთა გენერლები სიკვდილით დასაჯეს, დანარჩენნი, ოჯახებიანად გადა-ასახლეს აღმოსავლეთში სხვადასხვა ვადით.

1955 წლის 17 სექტემბრის უმაღლესი საბჭოთა პრეზიდიუმის დადგენილებით, გადასახლებულთა კაზაკთა ნაწილს სასჯელი მოუხსნეს. ამის შემდეგ თანდათან დაიწყო ე. წ. „კაზაკების აღორძინება" და წარმოიქმნა ე. წ. ახალი კაზაკები (ნეოკაზაკები).

1989 წლის 14 ნოემბერს სსრკ-ის დადგენილებით, „ხალხთა წინააღმდეგ რეპრესიულ აქტების არაკანონიურად და დანაშაულად აღიარება, რომლითაც განხორციელდა ძალდატანებით გადასახლება და მათი უფლებების დაცვა", განმტკიცდა რუსეთის კაზაკთა რეაბილიტაცია. ხოლო, 1992 წლის 16 ივლისს, რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა საბჭომ გამოსცა დადგენილება, რომლითაც გააუქმა ყველა ადრინდელი აქტები კაზაკთა რეპრესიების შესახებ.

1989-1991 წლებში ნაციონალური მოძრაობის წევრებმა თხოვნით მიმართეს რსფსრ-ის ხელმძღვანელობას, რომ შეექმნათ ჩერქეზეთის, ყარაჩაის, აბაზების და ზემოყუბანის კაზაკების ავტონომიური ოლქები, მაგრამ მათი თხოვნა არ დააკმაყოფილეს.

1990 წლის 28–30 ივნისს, მოსკოვში შეკრებილ დიდი წრის კაზაკთა დამფუძნებელ შეკრებაზე, ჩამოყალიბდა „რუსეთის კაზაკთა კავშირი". მიიღეს ატამანთა საბჭოს წესდება და ატამანთა მმართველობა. ამავე წლის 1 დეკემბერს მიიღეს „რუსეთის კაზაკთა დეკლა-რაცია", დროშა და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ კაზაკთა დიდმა წრემ გამოთქვა სურვილი, რომ რუსეთს შეერთებოდა ჩრდილოეთ ყაზახეთი, სამხრეთ ოსეთი, ოდინდელი რუსეთის მიწები და დაეთანხმა რუსეთის შემადგენლობაში კაზაკთა რესპუბლიკების ჩამოყალიბებას.

1991 წლის 17 ნოემბერს დიდ კაზაკების ატამანების დონის კაზაკთა ჯარებისა და სხვა სამხრეთ რუსეთის კაზაკთა საზოგადოებების საბჭოზე გამოცხადდა „სამხრეთ რუსეთის კაზაკთა საბჭოს" ჩამოყალიბება. მიიღეს წესდება და დაწესდა საბჭოს აღნაგობა. ამავე წლის ნოემბერშივე ჩამოყალიბდა სამხრეთ რუსეთის კაზაკთა საბჭო ნოვოჩერკასკში.

1993 წ. მოსკოვში შეიქმნა – რუსეთისა და საზღვარგარეთის „კაზაკათა ჯარის კავშირი". ამავე წელსვე ჩამოყალიბდა საქართველოს კაზაკთა კავშირი. რომელსაც წარმომადგენლები ჰყავს ნიუჯერსში, მოსკოვში, უკრაინაში და სხვ.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1947 წელს როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია „კაზაკების მსოფლიო ასოციაცია" რეგისტრაცია გაიარა აშშ-ი, ნიუ-ჯერსის შტატში. მისი მთავარი მიზანი არის კაზაკთა აღორძინების დაჩქარება რუსეთში, რუსეთში მყოფი კაზაკებისათვის ყოველმხრივი დახმარება და საზღვარ-გარეთ კაზაკების სახელის ამაღლება.

1991 წელს სსრკ-ს დაშლის დროს წარმოიქმნა თვითგამოცხადებული რამდენიმე კაზაკთა „სახელმწიფოები": დონის კაზაკთა რესპუბლიკა და თერგის კაზაკთა რესპუბლიკა; არმა-

ვირის კაზაკთა რესპუბლიკა და ზემო-ყუბანის კაზაკთა რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაში განიხილებოდა კიდევ 2 რესპუბლიკა: ზელენჩუკ-ურუპიის კაზაკათა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და ბატალპაშის კაზაკთა რესპუბლიკა. (ბატალპაში – 1939 წლიდან ჩერკასკი).

1991 წლის 20 ნოემბერს ყველა ზემოთ დასახელებული რესპუბლიკები გაერთიანდნენ ერთ რესპუბ-ლიკად: სამხრეთ რუსეთის კაზაკთა რესპუბლიკად (სრკრ). დედაქალაქად გამოცხადდა ნოვოჩერკასკი. ასეთი წოდებით უნდა შესულიყვნენ ახალ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოთა კავშირში, (დსთ-ში, რუს. სნგ). მათ ჩამოაყალიბეს ხელისუფლების დაწესებულებები, მოსკოვში ელჩიც ჰყავდათ დანიშნული. მაგრამ, საბჭოთა წყობილების დაშლის შემდეგ სრკრ-მ შეწყვიტა არსებობა, ხოლო რუსეთის ფედერაციაში კაზაკთა რესპუბ-ლიკების ჩამოყალიბების საკითხი, საერთოდ არ განხილულა.

1994 წლის 22 აპრილის გამოცხადებული დადგენილებით, კაზაკებს ნება დართეს ემუშავად რუსეთის სახელმწიფო დაწესებულებებში.

1995 წლის იანვარში რფ-ში შეიქმნა კაზაკური ჯარების მთავარი სამმართველო.

რფ-ში მოქმედებს 11 კაზაკების ჯარების საზოგადოებები: „ვსეველიკოე ვოისკო დონსკოე", ცენტრალნოე, ვოლგის, ენისეის, ირკუტსკის, ყუბანის, ორენბურგის, ციმბირის, თერგის, უსურის და ზაბაიკალის.

„2000 წელს მოსკოვში, რუსეთის კაზაკთა დიდი წრის შეხვედრაზე, გამოცხადდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება „რუსეთის კაზაკები" („კაზაკი როსიი"). მასში გაერთიენებულია ახლო მდებარე კაზაკთა საჯარისო ნაწილები და ოლქები: ციმბირის კაზაკთა კავშირი, აღმოსავლეთ ციმბირის კაზაკთა კავშირი და შორეულ აღმოსავლეთის კაზაკთა კავშირი". (139).

2003 წელს 25 თებერვალს შემოღებულ იქნა, კაზაკების საკითხებში რფ-ის პრეზიდენტის მრჩევლის თანამდებობა და სხვ. როგორც ვხედავთ, XX საუკუნის ბოლოს დაიწყო რუსეთის ხელისუფლების მიერ, კაზაკების განახლების და აღორძინების ხელის შეწყობა, რომელიც დღესაც გრძელდება.

ცნობილია, რომ შესატყვისები „აღორძინებული კაზაკები", ასევე „თანამედროვე კაზაკები", გამოიყენებოდა მომავალი საზოგადოების აღნიშნისათვის სამოქალაქო ომის შემდეგ. პირველად შესატყვისი „აღორძინებული კაზაკები" გაჩნდა საზღვარგარეთ მყოფი კაზაკების მიერ. ასე უწოდებდნენ თავის თავს მეორე მსოფლიო ომის დროს, ფაშისტურ-გერმანიის ჯარებში მყოფი კაზაკები. ასევე უწოდებდნენ ისინი მომავალ კაზაკთა საზოგადოებას საბჭოთა კავშირის დამარცხების შემდეგ. (139).

XX საუკუნის II ნახევარში კაზაკების მოძრაობის შესახებ, ა. კოზლოვი აღნიშნავს:

„ფართოვდება კაზაკების გაერთიანების მიმდინარეობა. ერთიანდებიან, დიდი ხნის წინ განლაგებულ მძლავრი მდინარეების აუზებში – ვოლგის, დონის, ყუბანის ურალის ობის, ენისეის, ამურის, კაზაკების რუსეთის საზოგადოებები". (95, გვ.11).

„წარმოიქმნა კაზაკთა მოძრაობა და გამალებით გაფართოვდა სიგანეში და სიგრძეში. 80-იანი წლების ბოლოს გადაიქცა მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალად და როგორც კი ცოტ-ცოტა შემცირდა შიში, ატყდა მხურვალე ქარიშხალი. ეს მოძრაობა მომდინარეობს პერეს-ტროიკიდან". (95, გვ.17).

უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ დღეს კაზაკების ჯარის აღორძინება და ერთიანი კაზაკების ჩამოყალიბება შეუძლებელია, ვინაიდან კაზაკები როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზების გამო, გაბნეულები არიან არათუ მთელს რუსეთში, არამედ საზღვარგარეთაც. საერთოდ ნეოკაზაკები წარსულის მითებით საზრდოობს, რომელიც ერთ დროს, მათ წინაპრებს რუსეთის იმპერიაში, უძლიერესი ლაშქარი ყავდათ. ნეოკაზაკებს ერთის მხრივ, სამოქალაქო ომის დროიდან დაწყებული ბოლშევიკები სძულთ, რომლებმაც კაზაკებს დიდი ზიანი მიაყენეს, ხოლო, მეორეს მხრივ, მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებას ადიდებენ, რადგან ამ ომში, საბჭოეთის მხარეს კაზაკებიც მონაწილეობდნენ, აგრეთვე იხსენებენ იმ დროს, როდესაც მოქმედებდა „კაზაჩი სტანი“.

რუსეთის ხელისუფლება, როგორც უწინ, ეხლაც იყენებს კაზაკთა საჯარისო ნაწილებს, საგანგებო მდგომარეობის დროს, განსაკუთრებით მაშინ როდესაც თვით რუსეთს არ უნდა, რომ გამოჩნდეს და ოფიციალურად არ მონაწილეობს. ცნობილია, რომ კაზაკთა შეიარაღებული ძალები მონაწილეობდნენ დნესტრისპირეთში, იუგოსლავიაში, ინგუშეთის ხოცვა-ჟლეტაში, ჩაჩნეთში, საქართველოში და სხვა ადგილებში. ა. კოზლოვი წერს:

„დღევანდელ დღეს ახალი ბოლშევიკები, ნეოდემოკრატები, ათამაშებენ კაზაკურ კარტებს გამწვავებულ ბრძოლებში ხელისუფლების განშტოებებს შორის. სხდომათა დარბაზებში, ყოფილ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს, საპრეზიდენტო მთავრობის ორგანიზაციებში, სხვადასხვა გვარ ოპოზიციებს შორის, იშვიათად, მაგრამ მაინც გაიელვებს გამოცლილი გამოსახულება ატამანის აღნაგობა, უსათუოდ თავსაბურით („კაზაკი ქუდს არ ტეხს“). ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი იმედს აძლევდა კაზაკებს ოქროს მთებს. მან შეძლო აეღორძინებინა მუნიციპალიტეტის საკუთრება მიწაზე, მაგრამ, აზრადაც არ მოსდიოდა თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ასეთ აქციებს, დნესტრისპირეთში, კარაბახში, აფხაზეთში, ჩრდილოეთ ოსეთში, ინგუშეთში და ტაჯიკეთში. ასეთი მობრუნება გამოჩნდება უბრალო სხივად გავარვარებულ პოლიტიკურ ატმოსფეროში. ალი შეიძლება მოედოს სხვა დსთ-ეს რეგიონებს, ვინაიდან კაზაკობა რეპრესირებული ბოლშევიკების მიერ, მიმოფანტულია მთელ ყოფილ კავშირში, ცენტრის ჩათვლით, სადაც აქამდე კაზაკების გაერთიანებები არ არსებობდა. სამოქალაქო ომმა შეიძლება გამოიწვიოს დიდძალი მაშტაბები“. (95, გვ.22).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, კაზაკებს დროთა განმავლობაში თავისებური წეს-წყობილება გამოუმუშავდათ. მიუხედავად იმისა, რომ კაზაკები სხვადასხვა ეროვნებებისა და სარწმუნეობებისაგან შედგებოდნენ, მათ ყოფა-ცხოვრების წესი ერთნაირი ჩამოუყალიბდათ. სარწმუნეობის მხრივ ქრისტიანები გახდნენ. თუმცა, „საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ, კომუნისტებისაგან დევნის გამო, მრავალი კაზაკი, თავის გადარჩენის მიზნით, რელიგიური სექტის წევრი გახდა“. (21, გვ.91). თანდათან მებრძოლი, თავზე ხელ-აღებული კაზაკი, მხვნელ-მთესველობას, ვაჭრობას, მეურნეობასაც მიჰყო ხელი. სწავლა-განათლებას და ხელოვნებასაც დაეწაფა. კაზაკები ჩაცმა-დახურვითაც გამოირჩეოდნენ, თავისებური ფაფახით, ჩექმებით, ხმლით და მათრახით. კაზაკების შესახებ ა. კოზლოვი აღნიშნავს:

„ეხლა, ისე როგორც არასდროს უწინ, ყოველშემთხვევაში საბჭოთა ეპოქაში, მათზე წარმოუდგენლად ბევრს ლაპარაკობენ, წერენ, გადაცემენ, აჩვენებენ მათ სხვადასხვა ყაიდაზე და თავისებურად. კაზაკები წარმოგვიდგება ხან როგორც მამაცები, კეთილშობილნი რაინდები, რომლებმაც არ იციან თუ რა არის შიში. როგორც რუსეთის მშენებლები და სლავების

მხსნელნი. ხან როგორც ძველისძველი ხელშემწყობი და რეაქციის დამცველი. ყოველივე წინსვლის გამანადგურებელი და პროგრესის მტერი; ხან უბრალოდ როგორც მათრახის მქონე, ლოთი, აყალმაყალის ამტეხი და თავგადასავლის მოყვარული". (95, გვ.3).

„კაზაკების გარეგნობა ასოცირდება ყაჩაღებთან აყალმაყალის ამტეხთან, ჩხუბისთავთან, ავარასთან და ავანტურისთან. კაზაკებზე – მშენებლებზე, მხვნელ-მთესველზე, შემომქმედზე, არ მოგვითხრობენ, ან საერთოდ არაფერს გვიყვებიან. რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებაც კი კაზაკების შესახებ, კერძოდ „სამხედრო სტრუქტურის რეფორმირების სასაზღვრო და შინაგანი შეიარაღებული ძალების, რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთის კავკასიის რეგიონის და სახელმწიფოს დაცვა კაზაკებისა". 1991წ. 15 მარტი. იწვევს გაოცებას და გაუგებლობას". (95. გვ.15).

* * * * * *

კაზაკების შესახებ, საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, კაზა-კები, რომლებიც ადრე წარმოადგენდნენ თავისუფლების მოყვარე ხალხს და დროთა განმავლობაში იძულე-ბულნი გახდნენ სხვადასხვა მიზეზების გამო მიმხრობოდნენ მოსკოვის სამთავროს, რომლისაგან მიიღეს საკუთარ მფლობელობაში, რუსეთის სამხრეთი დაუსახლებელი მიწები და სამაგიეროდ იცავდნენ რუსეთის განაპირა საზღვრებს, მათ თანდათან შექმნეს შეიარაღებული ძალები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ რუსეთის იმპერიის შეიარაღებულ ნაწილებში და იცავდნენ რუსეთის იმპერიას როგორც საგარეო მტრებისაგან, ასევე შინ მომხდარი არეულობისას. რუსეთში მიმდინარე სამამულო ომის შემდეგ, სინა-მდვილეში მოხდა კაზაკების გარუსება. ომის შედეგად განადგურებული, გადარჩენილი კაზაკები და თავისუფალი „სტანიცები" გადააქციეს კოლმეურნეობებად, სადაც წარმოებდა მონური შრომა, ვიდრე მეფის რუსეთის დროს იყო. საბჭოთა კავშირის დროს, ისევე როგორც მასში მყოფი სხვა ერის წარმომადგენლები, კაზაკებმაც განიცადეს ძალადობა და გენოციდი. ცნობილია, რომ მარტო თერგის 3 სტანიციდან, 1920 წლის 27 მარტს 72 000 გადაასახლეს, აქედან 35 000 გზაში დახვრიტეს. თერგის კაზაკები, დაღუპული თანამე-მამულეების ხსოვნის დღეს, 27 მარტს, ყოველ წელს აღნიშნავენ.

1980-იანი წლებიდან დაიწყო კაზაკების „აღორძინება". მთავრობა კაზაკების აღორძინებას ყოველ მხრივ ხელს უწყობს. მაგრამ, როგორც თვითონ კაზაკები აღნიშნავენ, ერთ-ერთი მთავარი გადაუჭრელი საკითხია, კაზაკების დაყოფა რეესტრებად და არარეესტრებად. რადგან რეესტრირებულთ მთავრობა ეხმარება, ძირი-თადათ მაინც სამხედრო ნაწილებში მყოფ კაზაკებს. რეესტრირებულ კაზაკებს შეუძლიათ გახდნენ ჯარის მაღალი წოდების წარმომადგენლები. რადგან ისინი ყოველთვის ძველთაგანვე გამოირჩეოდნენ მებრძოლი სულით და ამიტომაც დღევანდელი სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ეხმარებიან მათ, რომ შექმნან კადეტთა მსხვილი საჯარისო ნაწილები და სპორტული სამხედრო დანიშნულების სკოლები. „2010 წლისათვის, გადმოცემით, რუსეთში მოქმედებს 24 კაზაკთა კადეტთა კორპუსები, ათასზე მეტი კაზაკთა კლასები საერთო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც სწავლობენ 40 ათასზე მეტი მოსწავლეები". (139). ხოლო მეორე, არარეგისტრირებულ კაზაკებს, არავითარი ყურადღება არ ექცევათ და მიშვებულნი არიან თავის ნებაზე.

დონელი კაზაკები მოითხოვენ, რომ ვოლგოგრადში, ლენინის მოედანს დაერქვას, წითელი

არმიის წინააღმდეგ მებრძოლი, ბალტიისპირელი ბარონის, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტის პეტრე ვრანგელის მოედანი. 1994 წელს მოსკოვში, ყველა წმინდანის ტაძართან, დაიდგა დაღუპილთა ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალი „საერთო საჯარისო კავშირის მეომრებს, რუსული კორპუსის, კაზაკთა სტანის, მე-15-ე კავალერიის კორპუსის, დაღუპულთა სარწმუნეობისა და სამშობლოსათვის“ და რუსეთის იმპერატორის არმიის გენერლის, დონის ჯარების ატამანის, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის, მწერლისა და პუბლიცისტის, მეორე მსოფლიო ომის დროს მესამე რეიხთან მონაწილე პეტრე კრასნოვისა (1869–1947) და სხვათა ძეგლები. 2006 წლის 4 აგვისტოს, როსტოვის ოლქში გაიხსნა, ბოლშევიკების და გერმანელების წინააღმდეგ დაღუპულ კაზაკთა მემორიალური კომპლექსი, რომლის შუა ნაწილში დგას, პ. კრასნოვის ძეგლი.

დონის და ყუბანის კაზაკები მოითხოვენ ადრინდელი მიწების დაბრუნებას, ძველი ისტორიული დასახლებების სახელების აღდგენას და ამ მიწებზე ავტონომიის შექმნას. აგრეთვე კაზაკთა ცალკე ეთნოსის შექმნას. 2010 წლის 14 ოქტომბერს, რუსეთში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის დროს, კაზაკები მოი-თხოვდნენ, რომ ცალკე ყოფილიყო აღნიშნული და გამოყოფილი, სააღრიცხვო ფურცელში ეროვნება – „კაზაკი“.

თანდათან გამოირკვა, რომ კაზაკების აღორძინებამ, მავნე შეხედულება მიიღო, ის გახდა მიმსგავსება ძველი კაზაკების. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღევანდელ დღეს რუსეთში მოქმედებს 700-მდე საზოგა-დოებები, რომელთაგან 33-ს საერთო სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო წესდება აქვთ მიღებული. ამ დანაწევრებულ საზოგადოებებს თავისი ატამანები ჰყავთ, რომლებსაც აძლევენ სამხედრო წოდებებს და ჩინ-მედლებს. ატამანები გამოწყობილნი ძველ კაზაკურ ყაიდაზე, თავისი შარვლებით, უკრაინული ქოჩორით, ფაფახით, ჩექმებით, ხმლით, მათრახით და რომელსაც გულ-მკერდი დამშვენებული აქვს სხვადასხვა საბრძოლო ჯილდოებით, ხალხში უარყოფით ზეგავლენას ახდენს და მათ თვით კაზაკებიც უწოდებენ ზედმეტ სახელად „ряжёные“ – მორთულებს.

ისტორიკოსი, პუბლიცისტი და კინოკრიტიკოსი, დეკანოზი გიორგი მიტროფანოვი, ახალი კაზა-კების (ნეოკაზაკების) შესახებ წერს, რომ: „ამ მორთულებ კაზაკებს, მე საერთოდ არ თვლი მათ კაზაკებად. კაზაკი – მეომარი – მიწათ-მოქმედია. ეს ხალხი მარგინალებია, და რევოლუციამდე არ მიეკუთვნებოდნენ კაზაკთა წოდებას, მათი ცხოვრების წესით და საქმიანობით. აქ ისევ მიმბაძველობაა, ამჯერად მიმბაძველობა ისტორიული ტრადიციების გაზიარებაა. კაზაკები – ეს წოდება, თითქმის მთლიანად იყო მოსპობილი და დღეს მისი აღდგენა შეუძლებელია და მისი წაბაძვა უბრალოდ არსებობის წაბილწვაა, შებღალვაა“. (139).

5. ქართველები და კაზაკები.

ქართველებსა და კაზაკებს შორის ურთიერთობა აღნიშნულია XVI საუკუნიდან ძირითადათ უცხოურ წყაროებში.

როგორც ცნობილია XV საუკუნის ბოლოდან საქართველოში ძნელბედობის ხანა დაიწყო. ამ დროიდან კავკასია გადაიქცა ირან-ოსმალეთის სათარეშო მოედნად, ხოლო როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის გამოჩენამ, უფრო მეტად დაძაბა მდგომარეობა.

მუსლიმანური სამყაროს მიერ გარემოცული საქართველო, თავდაცვის მიზნით, კავშირს ამყარებს ერთმორწმუნე რუსეთთან. ხოლო, ვინაიდან ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის კახეთის სამეფო გეოგრაფიულად უფრო ახლოს მდებარეობდა ვოლგისა და კასპიის ზღვის სავაჭრო გზასთან, ამიტომ, რუსეთთან ურთიერთობა პირველად კავშირის დამყარება დაიწყო კახეთის სამეფომ. აქედან გახდა შესა-ძლებელი ქართველებსა და კაზაკებს შორის დაახლოება.

ცნობილია, რომ 1563 წელს კახეთის მეფემ (1518/20–1574) ლევანმა მოსკოვში გააგზავნა ელჩები, რომლებიც მტრების წინააღმდეგ დახმარებას ითხოვდნენ. ვინაიდან მოსკოვის მეფე ივანე IV მრისხანე ცდილობდა ჩრდილოეთ-კასპისპირეთის დაპყრობას და იქ გამაგრებას, მან ამავე წელს მდინარეების სუნჯისა და თერგის შესართავის მახლობლად ააგო ციხე-სიმაგრე და შიგ ჯარი ჩააყენა. ხოლო, თერგიდან, კახეთში სტრელცებისა და კაზაკთა მცირე რაზმი (დაახლ. 500 კაცი) გამოგზავნა, რომლებიც ლევანმა, შამხალის მხრიდან თავის დასაცავად, კახეთის საზღვრისპირა ციხეებში ჩააყენა. ერთხანს, ეს რაზმი, ქართლის მეფეს (სიმონ ხანი) (1619–1630/31) სიმონ II-ეს (გ. 1630/31) ჰყოლია. (46). შემდეგ წელს, რუსეთის ხელისუფლებამ, ეს რაზმიც უკან გაიწვია. წყაროებიდან ჩანს, რომ კაზაკებთან კავშირი შემდეგ დროსაც გრძელდებოდა.

„წყაროებიდან ირკვევა, რომ ქართველებს საკმაოდ გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონიათ ჩრდილო კავკასიაში თერგის კაზაკებსა და, აგრეთვე, რუსთა მფლობელობაში მყოფ მთელ რიგ ქალაქებთან“. (21, გვ.32).

XVI საუკუნის II ნახევრიდან, აღმოჩნდა, რომ ქართველებსა და რუსებს ერთი საერთო მტრები ჰყავდათ, ამიტომ ქართველ მეფეებსა და მოსკოვის მეფეთა თანხმობით, თერგის ციხე-სიმგრეების ვოე-ვოდებსა და იქ მყოფი კაზაკთა მეთაურებს შორის კარგი ურთიერთობა დამყარდა. ისინი ქართველ მეფეებს ელჩების საშუალებით ატყობინებდნენ თავიანთი მოქმედებების შესახებ. ქართველი მეფეებისათვის მთავარი იყო, რომ საქართველოში, მტრების დასანახად, თუნდაც მცირე რუსეთის ჯარი ყოფილიყო. ცნობილია, კახეთის მეფის (1574–1605) ალექსანდრე II-ის (1527–1605) განცხადება რუსი ელჩების მიმართ:

„კახეთში, მთებზე, საშამხლოს საზღვრების ერთ-ერთ უბანზე (დიდოეთში) საგუშაგო სამსახურს ასრულებდა ყირიმის და თურქეთის ტყვეობიდან საქართველოში დაბრუნებული რუსი კაზაკები. როცა რუსმა ელჩებმა აღრიცხეს ისინი იმ განზრახვით, რომ თან წაეყვანათ, მეფე ალექსანდრემ გულისწყრომა გამოთქვა:

„მე იმ რუსი კაზაკებით ჩემს საზღვრებს ვერ დავიცავ – განუცხადა ელჩებს ალექსანდრემ, – მათი რიცხვი ოც კაცს არ აღემატება. მხოლოდ ხმა მინდა დაირხეს, რომ ჩემი ქვეყნის საზღვარზე რუსები დგანან“. (21, გვ.25).

XVII საუკუნის I ნახევარში საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარების გაუარესების გამო, კახეთის მეფე (1606–1648) თეიმურაზ I (1589–1663) და იმერეთის მეფე (1639–1660) ალექსანდრე III (გ. 1660), იძულებულნი გახდნენ დაკავშირებოდნენ რუსეთს. ვინაიდან იმერეთის მეფე და ოდიშის სამთავროს მთავარი (1611–1657) ლევან II დადიანი ერთმანეთს მტრობდნენ, ამის გამო „იმერეთის მეფე რუსეთის მფარველობაში მიღებას და დადიანის წინააღმდეგ დონელი კაზაკების გამოგზავნას სთხოვდა. ასეთ შემ-თხვევაში, თუ დადიანი დაკავებული იქნებოდა კაზაკებთან ბრძოლით, იმერეთი მოისვენებდა

დადიანის გაუთავებელი გამაჩანაგებელი ლაშქრობებისაგან და ალექსანდრეს საშუალება ექნებოდა თეიმურაზს მიშველებოდა“. (5, ტ.III, გვ.237).

წყაროებიდან ცნობილია, რომ ლიხსიქეთ საქართველოში მცხოვრებ ქართველებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული სეჩი ზაპოროჟიესა და დონის კაზაკებთან.

XVII საუკუნეში სეჩი ზაპოროჟიეს, დონის და თერგის კაზაკებს გამუდმებული ბრძოლები ჰქონდათ ოსმალთა გავლენის ქვეშ მყოფი ყირიმის სახანოსა და ჩრდილო-კავკასიელებთან, რომლებიც თავისუფალ კაზაკთა თემებს ხშირად თავს ესხმოდნენ. „ამდენად, კაზაკები ბუნებრივი სოლიდარობის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი შავი ზღვის პირას მცხოვრები ქრისტიანი ხალხებისადმი, რომლებსაც ისინი საკუთარ მოკა-ვშირეებად მოიაზრებდნენ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მოთარეშე რაზმებს განსაკუთრებით იზიდავდა საქართველოს შავიზღვისპირეთის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და გაუვალი ტყის მასივები, სადაც მათ იოლად შეეძლოთ თავი დაეღწიათ თურქთა სანაპირო დაცვის ხომალდების დევნისაგან“. (46). XVII საუკუნის 40-იან წლებში, კაზაკებსა და სამეგრელოს სამთავროს შორის მეგობრული ურთიერთობა ყოფილა დამყარებული. ცნობილია, რომ ლევან II-ეს თურქეთის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლის დროს, კაზაკები დახმარებისათვის, დაუჯილდოებია. ხოლო, 1647 წელს, როდესაც კაზაკები ალყაშემორტყმული აღმოჩნდნენ, მათ მეგრელები დაეხმარებიან.

„ლევან დადიანს სასიამოვნოდ მიაჩნდა თუ კი კაზაკები, თურქეთის სანაპირო ადგილების დარბევის შემდეგ, უკან დაბრუნებისას, ანდა მათ წინააღმდეგ თურქთა კატარღების დადევნებისას, სადადიანოს ფარგლებში შემოვიდოდნენ. ასეთ შემთხვევაში დადიანი კაზაკებს თურქი მდევრებისაგან დაცვას და მფარველობას პირდებოდა. ეს გარემოება თავისთავად ხელს უწყობდა მათ შორის კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველები დონის კაზაკებთან ურთიერთობას სასურველად და ხელსა-ყრელად მიიჩნევდნენ, ასევე, კაზაკებსაც თავისთვის უაღრესად სასარგებლოდ მიაჩნდათ ქართველებთან ურთიერთობის შენარჩუნება“. (21, გვ.43).

წყაროებიდან ჩანს, რომ კაზაკებს შორის, ქართველებიც, ქართველი კაზაკებიც, იმყოფე-ბოდნენ. ისინი ძირითადათ ლეკთა და თურქთა ტყვეობიდან გამოქცეულები იყვნენ. ეტყობა, რომ ქართველი კაზაკები საკმარისად მრავლად ყოფილან. თეიმურაზ I-ის დროს, ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის ერთ-ერთი გამომცემელი ნ ი კ ო ლ ო ზ ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი (ნიკიფორე ირბახი) (დაახლ. 1585–1658), ცდილობდა ქართველი კაზაკები სამშობლოში დაებრუნებინა. მას ამის გამო თხოვნით მიუმართავს ხელისუფლებისათვის. ქართველი კაზაკები ხშირად კაზაკებთან ერთად მონაწილეობდნენ თავდასხმებშიც. „ისინი, როგორც ჩანს, მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო ყირიმის ულუსებსა და თურქეთის შავიზღვისპირა სამფლობელოებზე თავდასხმაში, არამედ რუსეთის მეფესთან, იმ ხანებში მეგობრულ დამოკიდებულებაში მყოფ შაჰის კასპიისპირა ქალაქებსა და სოფლებზე თავდასხმაშიც, რის გამო მეფის განკარგულებით ხშირად სასტიკად ისჯებოდნენ.

XVII საუკუნის შუა ხანებში ერთი ასეთი ქართველი კაზაკი თავის ამხანაგებთან, დონის 32 კაზაკთან ერთად, ირანის კასპიისპირა ქალაქებზე თავდასხმის გამო, საპყრობელშიც კი ყოფილა მოთავსებული მოს-კოვში. ეს კაზაკი უბრალო, რიგითი არ უნდა ყოფილიყო, რადგან

„კრუგზე“ არჩეულ კაზაკთა „სტანიცის“ შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო ასეთებად ყოველთვის იმ კაზაკებს ირჩევდნენ, რომლებიც სახელი და ავტორიტეტი ჰქონდათ მოპოვებული კაზაკთა ლაშქრის ფართო მასებს შორის“. (21, გვ.47).

XVIII საუკუნეში ქართლა-კახეთის მეფის ერეკლე II-ის კარზე (1778–1781) წლებში მოღვაწეობდა იაკუბ-ხანის სახელით, როგორც ექიმი, რუსეთის რეზიდენტი ი ა კ ო ბ რ ა ი ნ ე გ ს ი (კრისტიან-რუდოლ-ფელიხი), რომლის გადმოცემით ბამბაკის ქედზე და მის ნაყოფიერ ველებზე, დასახლებული ყოფილა „ხალხით, რომელიც თავს დონელი კაზაკებიდან წარმოშობილად თვლის და ამიტომ მთელ მხარეს, რომელშიც ისინი სახლობენ, ყაზახს უწოდებენ. ეს ხალხი ბორჩალოსაგან მდინარე ხრამით გამოიყოფა“. (21, გვ.62).

ცნობილია, რომ რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის შეერთების შემდეგ, საქართველოში ჩამოიყვანეს დონის, ყუბანისა და თერგის კაზაკთა საჯარისო ნაწილები, რომლებიც შემდეგში კაზაკთა ნაწილი დარჩა. რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოში ჩატარებული სამხედრო მოქმედების დროს, მონაწილეობას ღებუ-ლობდნენ კაზაკთა ნაწილებიც. ამავე დროს საქართველოში ხდებოდა სამხედროების ჩასახლებაც.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთის ხელისუფლება მიზანმიმართულად ახორციელებდა კოლონიზაციისათვის კაზაკების ოჯახებით ჩამოსახლებას. ამ დროს „ამიერკავკასიის რუსულ პროვინციებში, ყველა თანამდებობა კაზაკებს ეკავათ. ისინი აქ სამი წლის განმავლობაში რჩებოდნენ. ეს პერიოდი მათ სამხედრო სამსახურად ეთვლებოდათ. მათი ნაწილი მუდმივად რჩებოდა საქართველოში. ოჯახის შექმნის შემდეგ კაზაკები თანდათან ქართველდებოდნენ“. (22, გვ.74). მოსახლეობის აღწერიდან ცნობილია, რომ „მხოლოდ გურიაში 500 კაზაკის ოჯახი ცხოვრობდა.... მეუღლეები ყველას ქართველები ჰყავდათ. მათმა შვილებმა ერთი „ღერი“ რუსული არ იცოდნენ. მხოლოდ გვარი შერჩენოდათ რუსული“. (21, გვ.89). გაქართველებული კაზაკები მონაწილეობას ღებულობდნენ ქართულ კულტურულ, სამეურნეო და საამშენებლო ცხოვრებაში.

ცნობილია, რომ რუსეთში სამოქალაქო ომის დროს, 1918 წელს, ცნობილმა გენერალმა, იმ დროს აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორმა გ ი ო რ გ ი მ ა ზ ნ ი ა შ ვ ი ლ მ ა (1870–1937) (იგი ბოლშევიკებმა დახვრიტეს), 500-მდე რუსეთიდან გამოქცეული კაზაკი (შემდეგში უფრო გაიზარდა) შეიფარა და თავის საჯარისო ნაწილებში მიიღო. ისინი ქართველებთან ერთად იბრძოდნენ წითლების წინააღმდეგ.

1919 წლის ივნისში, გენერალმა დენიკინმა თავის წარმომადგენლად ამიერკავკასიაში დანიშნა ცნობილი ქართველი კაზაკი, მისი თანამებრძოლი, კავალერიის გენერალი, ნ ი კ ო - ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი. „ნ. ბარათაშვილის ძირითადი მიზანი იყო ამიერკავკასიაში დარჩნილი მეფის ყოფილი ოფიცრების მობილიზება და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების არმიაში მათი გაგზავნა. მას ევალებოდა აგრეთვე შეეცვალა ის ანტიდენიკური განწყობილება, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლებაში სუფევდა“. (21, გვ.54). ნ. ბარათაშვილისა და საქართველოს წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს „ძირითადად განიხილეს საქართველოს ჩრდილოეთის საზღვართან დაკავშირებული საკითხები....

ამიერკავკასიაში ქართველი კაზაკი გენერლის ვიზიტმა ძალიან შეაშფოთა ბოლშევიკები. მათ, ცხადია, არანაირად არ აწყობდათ საქართველოსა და აზერბაიჯანის შეთანხმება დენი-კინთან, სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა გენერლის

მოკვლა“. (21, გვ.56). და მათ კიდევაც შეძლეს ამის განხორციელება. 1919 წლის 13 სექტემბერს, თბილისში, ვერის დაღმართზე მიმავალ საქარ-თველოს სამხედრო უწყების მანქანას, სადაც ისხდნენ ნ. ბარათაშვილი და სხვა გენერლები, ბოლშევიკ-ტერორისტმა არკადი ელბაქიძემ ხელყუმბარა ესროლა, რომლის შედეგად დაიღუპნენ მანქანაში მჯდომი გენერლები, ნ. ბარათაშვილი მძიმედ დაიჭრა. თავდამსხმელი მილიციელებმა მოკლეს. „საბჭოთა მთავრობამ არკადი ელბაქიძე სიკვდილის შემდეგ, 1928 წელს, წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა, ხოლო ვერის დაღმართს, სადაც ტერაქტი განხორციელდა ელბაქიძის დაღმართი დაარქვა“. (21, გვ57).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც მრავალი კაზაკი დარჩა საქართველოში და დღესაც ეწევა ქართვლებთან ერთად მოღვაწეობას. თუმცა ცნობილია ისიც, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩრდილოეთ კავკასიელი კაზაკები, სსრკ-ს დაშლის შემდეგ მონაწილეობას ღებულობდნენ აფხაზეთში და „სამხრეთ ოსეთში“ ქართველების წინააღმდეგ.

თავი IV. მუჰაჯირობა.

კავკასიის დაპყრობის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო ადგილობრივი ხალხის გადასახლება, რომელიც ცნობილია „მუჰაჯირობის“ სახელით.

ხალხთა გადასახლება ერთი ადგილიდან მეორეზე საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა. ისტორიკოსები „მუჰაჯირობას“ უწოდებენ რუსეთ-კავკასიის (1817–1864) ომის დროს, მკვიდრი მოსახლეობის, იძულებით კავკასიელ ხალხთა გადასახლებას ოსმალეთის იმპერიაში. ისინი აღნიშნავენ, რომ ამ დროს „მუჰაჯირობა“ ხდებოდა რამდენიმე ნაკადად:

1. 1850 წლის II ნახევარში;
2. 1860 წლის I ნახევარში;
3. 1860 წლის II ნახევრიდან – 1870 წლის დასაწყისამდე;
4. 1870 წლის ბოლომდე. ამის შემდეგ, მუჰაჯირობა“ შეწყდა. მაგრამ, შემდგომ წლებში ისევ განახლდა:
5. 1880-იან წლებში და 1890-იანი წლის დასაწყისში;
6. 1890-ანი II ნახევრიდან – 1920 წლებში.

გადასახლებულთა პირველ ნაკადში ძირითადათ იყვნენ ადიღეელები და ჩაჩნების მცირე ნაწილი, (ყარა–ყალფახელები მთლიანად გადასახლდნენ). თურქეთის მთავრობამ, მუჰაჯირები, ბედუინებისაგან და ქურთებისაგან თავდაცვის მიზნით, საზღვრების გასწვრივ ჩაასახლა.

შემდგომში გადასახლდნენ ჩაჩნები, ინგუშები, ყაბარდოელები, დაღესტნელები, აფხაზები და აჭარლებიც.

კავკასიელთა გადასახლება გაგრძელდა მეფის რუსეთის იმპერიის რღვევის დროსაც, როდესაც ხალხი გაურბოდა „წითელ ტერორს“, ძირითადათ პროგრესულად მოაზროვნე და განათლებული საზოგადოება. მათი წასვლა კავკასიიდან აღთქმულია დარჩენილი ხალხის ცხოვრებაში როგორც „თეთრი ლაქა“.

როგორც ცნობილია, შემდეგი დიდი გადასახლება მოხდა საბჭოთა კავშირის დროს, როდესაც კომუნისტურმა მთავრობამ, რამდენიმე დღეში გადაასახლეს როგორც ჩრდილოეთ კავკასიელები, ასევე საქართველოდან – ე. წ. „თურქი მესხები“.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის ხელშეწყობით აფხაზეთიდან და „სამხრეთ ოსეთიდან“ მოხდა ხალხთა გადასახლება – „გენოციდი“. ხოლო, 1994 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ ჩაჩნეთზე თავდასხმის გამო, ჩაჩნეთ-ინგუშეთში და დაღესტანში სამხედრო მოქმედებების დროს, დაიღუპა ათასობით უდანაშაულო ხალხი და ათასობით გადასახლდა საზღვარგარეთ.

საზღვარგარეთ მყოფმა კავკასიელებმა, ჩამოაყალიბეს საზოგადოებები – დიასპორები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი ენის და კულტურის შენარჩუნებას და თავიანთი ისტორიის არ დავიწყებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თანდათან იწერება, მასსში, შემავალი, თვითეული ქვეყნის ნამდვილი ისტორია.

ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა მკვიდრი მოსახლეობის იძულებით გადასახლება ხდებოდა ძირითადათ ოსმალეთის იმპერიაში, რომელიც გაგრძელდა I მსოფლიო ომამდე (1914–1918). განსაკუთრებით გაძლიერდა მუჰაჯირობა მეფის რუსეთის დროს (1863–1864) წლებში. გადასახლდნენ ძირითადათ ჩრდილოეთ-დასავლეთ კავკასიიდან, ადიღეურ-ჩერქეზული ტომები: ყაბარდოელები, ოსები და ბალყარელები, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ ომში არ მონაწილეობდნენ, მათი უმრავლესობა ადგილებზე დარჩა. (80). ცნობილია, რომ რუსეთი კავკასიელთა გადასახლებისათვის წინასწარ ემზადებოდა.

მთავარსარდალი და მეფისნაცვალი კავკასიაში 1860 წელს ა. ბარიატინსკი რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე II-ეს წერდა:

„უსათუოდ საჭირო გახდება მოვიპოვოთ თურქეთის მთავრობის თანხმობა, რომ ჩვენთვის საზღვარზე გაიხსნას სამი ადგილი, რომ გავგზავნოთ გასახლებულთა ჯგუფები“. (102).

რუსეთის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ როგორმე ჩრდილოეთ კავკასია გაეთავისუფლებინა ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ცდილობდა სხვადასხვა დაპირებებით გადმოებირებინა ან მოესყიდა ცნობილი პიროვნებები და საღვთო პირებიც – ნაიბები. ცნობილია, რომ რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა შამილის გამოყენებასაც, რადგან იცოდნენ, რომ მას გადასახლებაში გაჰყვებოდნენ მრავალი ჩრდილოეთ კავკასიელნი.

ა. ბარიატინსკი 1861 წლის 24 ოქტომბერს სამხედრო მინისტრს, გრაფ გენერალ-ფელდმარშალს დიმიტრი მილუტინს (1816–1912) მოახსენებდა შამილის შესახებ:

„შეიძლებოდა ასე თუ ისე მისგან სარგებლობა მიგვეღო კავკასიელთა გადასახლების წახალისებით... იგი უსათუოდ შეძლებს გადაიბიროს მრავალ გადასასახლებულებს. ამ აზრის შესრულებას ექნებოდა სამი ან ოთხი მიზანი: ჯერ ერთი განთავისუფლდება კავკასიის ზეგანი ყოველთვის მტრულად განწყობილი მოსახლეობისაგან და ამით ჩვენთვის განთავისუფლდება შესანიშნავი ადგილები ჩვენი კაზაკების დასასახლებლად“. (102).

თურქეთთან რუსეთის მთავრობის დავალებით, გადასახლების შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა გენერალ-მაიორი მუსა კუნდუხოვი (1818–1889). ამავე დროს იგი, რუსეთის მთავრობის დავალებით, მოუწოდებდა ჩაჩნებსა და ინგუშებს, რომ მასთან ერთად გადასახლებულიყვნენ. სამაგიეროდ, რუსეთის მთავრობა თანახმა იყო დაეკმაყოფილებინა მისი ყველა მოთხოვნები:

„მთავრობას, იმ შემთხვევაში თუ იგი გადავიდოდა, უნდა ეყიდა მისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი – 2 800 დესეტინი და აეშენებინა სახლი ოსეთის ოლქში 45 ათას მანეთად ვერცხლით. ამის გარდა დამატებით, სახარჯავად, უნდა მიეცათ მისთვის კიდევ 10 ათასი

მანეთი. ეს პირობები მიღებულ იქნა“. (102).

საბოლოოდ თურქეთის მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ, რუსეთის მთავრობამ დაიწყო თავისი ჩანაფიქრის განხორციელება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, კავკასიაში რუსეთის ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა მოსახლეობის შევიწროებას, რომ ისინი აეძულებინა გასცლოდნენ კავკასიას. ისტორიკოსები ზ. ნ უ ხ ა ჟ ი ე ვ ი და ხ. უ მ ხ ა ე ვ ი აღნიშნავენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიელებს, ერთი აულიდან მეორე აულში გადასვლასაც-კი უშლიდნენ, რაც, განსაკუთრებით თავისუფლების მოყვარე ჩაჩნებსა და ინგუშებისათვის იყო მომაკვდინებელი. „რა არის ეს, თუ არა რეზერვაცია, როდესაც ჩაჩნეთის ოლქის უფროსის პოლკოვნიკ ბელინის ბრძანებაში პირდაპირ არის ნათქვამი: «არავის ჩაჩნებიდან არ შეუძლია გადასვლა ერთი აულიდან მეორეში, მამასახლისის ნებართვის გარეშე... ვაცხადებ ჩაჩნებისათვის, რომ ჩემგან გაგზავნილია ქაღალდები: ყაბარ-დოში, ნაზრანში, ყუმუხეთის დაბლობში მასზე, რომ თუ ჩაჩნები იქ უბილეთოთ აღმოჩნდებიან, ისინი უნდა შეიპყრნან და ბორკილდადებულნი გუშაგის თანმხლებით გამოგზავნონ ჩემთან. უბილეთოთ იმ ადგილებში გამოვლენილნი, იქნებიან გასახლებულნი ციმბირში». რუსი კაცისათვის, მიჩვეული ბატონყმურ მონამორჩილებას, ასეთი მდგომარეობა იყო, ალბათ, ბუნებრივი, მაგრამ არა თავისუფლების მოყვარე ჩაჩნებისათვის. მათთვის ასეთი ცხოვრება წარმოადგენდა სიკვდილზე უარესს“. (96, გვ.35).

მეფის რუსეთის მიერ ყოველმხრივ შევიწროებულმა ჩაჩნების მცირე ნაწილმა (1858–59) წლებში დატოვა თავიანთი საცხოვრებელი ადგილები და გადასახლდა თურქეთის საზღვართან ახლოს, სირიაში, რას-ალ-აინის რაიონში. ეს იყო მუჰაჯირობის დროს ჩაჩნების პირველი ნაკადი.

ცნობილი ისტორიკოსისა და პუბლიცისტის ლ ე ჩ ი ს ა ლ ი გ ო ვ ი ს გადმოცემით „«კავკასიის ომი» გაგრძელებულმა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში 1859 წლამდე, წაიღო 200 ათასი ჩაჩნების სიცოცხლე. XIX საუკუნის 20-იან წლებში დაწყებული ომი, ჩაჩნებმა, თითქმის 200 ათასი მოსახლეობით, 25 წლის შემდეგ 130 ათასი ხალხთა რაოდენობით დაამთავრეს». მოსპობილი იყო ჩაჩნეთის მოსახლეობის თითქმის ყველა მოზრდილი მამა-კაცი. და ეს მხოლოდ 25 წლის აქტიური ფაზის კავკასიური ომის დროს“. (96, გვ.35).

XIX საუკუნის II ნახევარში, ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებულ ომში, ყველაზე მეტად დაიჩაგრა მთიელ უბიხთა და ერთ დროს ძლიერი ბარის ჯიქების (აბაძეხთა) ტომი.

ცნობილია, რომ „1855 წლის სამხედრო კამპანიაში: ომარ-ფაშას მაშველ ჯარში განსაკუთრებით აქტიურობდნენ რუსული მმართველობის მოძულე უბიხი მხედრები, რომელ-თაგან საკმაოდ ცნობილი უბიხი თავადი ჩუი სხვა მხედრებთან ერთად აბაშასთან ბრძოლაში დაიღუპა კიდეც“. (31, გვ.53). აფხაზი მწერალი და პოეტი ბ ა გ რ ა ტ შ ი ნ კ უ ბ ა (1917–2004) რომანში „უკანასკნელი უბიხი“, აღწერს თურქეთში გადასა-ხლებულთა, „მდიდარი და გმირული წარსულის მქონე“, უბიხების ტრაგიკულ ისტორიას. ცნობილია, რომ უკანასკნელი უბიხი ტ ე ვ ფ ი კ ე ს ე ნ ჩ ი გარდაიცვალა თურქეთში XX საუკუნის 80-იან წლებში და მასთან ერთად მოისპო უბიხური ენაც.

ჩრდილოეთ კავკასიიდან თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირთა საერთო რაოდენობა 1780–750 ათასს აღწევდა.მათი ნაწილი თურქეთის მთავრობამ, ბულგარეთში დაასახლა.

ხოლო, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ნაწილი საზღვრის დასაცავად, სირიაში და სხვა არაბულ ქვეყნებში ჩაასახლა. რუსეთის ხელისუფალნი ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ მუჰაჯირობის განხორციელებას. „მუჰაჯირობამ მოიცვა აბაზები, აბაძეხები, ბჟედუღები, ყუბანის-პირელი ნოღაელები, ჩერქეზები, უბიხები, ჩაჩნები, ყარაჩაელები, ყაბარდოელები, ოსები, აფხაზები და სამხრეთ საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანი ქართველები. ოსმალეთი ცდილობდა მუჰაჯირების დასახლებას იმპერიის დაუსახლებელ ადგილებში. აგრეთვე რუსეთ-ოსმალეთის საზღვარზე. რუსეთს სურდა მთიელთა ოსმალეთში გადასახლებით მიეღწია პოლიტიკური სიმშვიდისათვის ამ მხარეში. განთავისუფლებული მიწები გამოეყენებინა ფართო კოლონიზაციისათვის, ესარგებლა მხარის ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობით... მუჰაჯირობას ხელი შეუწყო აგრეთვე ომის შედეგად შექმნილმა მძიმე ეკონომიურმა პირობებმა და ცარიზმის ანტიხალხურმა პოლიტიკამ. რუსეთი მატერიალურ და მორალურ დახმარებას აღუთქვამდა თურქეთს გადასახლებულთა მიღება-დაბინავების სანაცვლოდ....

საქართველოში მუჰაჯირობამ ფართო მასშტაბები მიიღო 1877–78 ომის შემდეგ. 1878 ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით საქართველოს შეუერთდა ისტორიული ქართული პროვინციები. ამ ტერიტორიის მოსახლეობას უფლება ეძლეოდა 3 წლის განმავლობაში გაეყიდა თავისი ქონება და თურქეთში გადასახლებულიყო. მუჰაჯირობის შედეგად თითქმის მთლიანად დაიცალა მურღულის ხეობა, ბევრი გადასახლდა ქვემო გურიიდან, გონიოს უბნიდან, ქვემო აჭარიდან. სულ წავიდა 150 ათას სულზე მეტი ქართველი... ქართველი მუჰაჯირები დასახლდნენ შავი ზღვის სანაპიროზე (ჭანეთის ტერიტორიაზე), დასავლეთ თურქეთში, მარმარილოს ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ნაწილი კი – სტამბოლში და სხვა ქალაქებში. მათმა ნაწილმა დღემდე შემოინახა მშობლიური ენა და ზოგიერთი ზნე-ჩვეულება... ბევრი უმიწოდ და უბინაოდ დარჩა. მუჰაჯირები მალე მიხვდნენ თავიანთ შეცდომას და უკან დაბრუნება მოინდომეს, მაგრამ რუსეთის მთავრობამ მათი რუსეთში შემოშვება აკრძალა“. (8, ტ.7, გვ.234).

მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ „რუსეთის ხელისუფლება თავისი მიზნებისათვის იყენებდა ისეთ ტრაგიკულ მოვლენებს აფხაზი ხალხის ისტორიაში, როგორც იყო მუჰაჯირობა, ფაქტობრივად ახდენდა რა მაჰმადიანი აფხაზების თურქეთში გადასახლების პროვოცირებას, შემდეგ დაბრკოლებებს უქმნიდა მუჰაჯირთა იმ ნაწილს, რომელიც სამშობლოში დაბრუნების სურვილს გამოთქვამდა. იგივე ხელისუფლება არ აძლევდა აფხაზეთში დასახლების უფლებას ქართველებს და ხელს უწყობდა მუჰაჯირთა მიწებზე სომხების, რუსების და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების დასახლებას. როგორც შესანიშნავად ჩანს იმდროინდელი პრესიდან, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, ილია ჭავჭავაძით სათავეში, ყოველნაირად ცდილობდა აფხაზთა თურქეთში გასახლების პროცესის შეჩერებას და მხარში ედგა აფხაზ ხალხს ამ მძიმე დროს. ეს მოვლენები სათანადოდაა ასახული ცნობილი აფხაზი ისტორიკოსის გიორგი ძიძარიას ნაშრომში, რომელიც მუჰაჯირობის ისტორიას ეძღვნება. ალბათ, ისიც სათქმელია, და ნიშანდობლივია, რომ დემოკრატიული საქართველოს მთავრობას 1920 წელს მუჰაჯირთა საკითხი განსახილველად შეაქვს ანტანტის საბჭოს სხდომაზე.

აფხაზეთის რუსებით და სომხებით დასახლების პროცესი აქტიურად გრძელდებოდა საბჭოთა ეპოქაშიც, რაზეც ნათლად მიუთითებს 30–50-იანი წლების აღწერების მონაცემები. საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა აშკარად იყო მიმართული მკვიდრი მოსახლეობის,

ქართველების და აფხაზების წინააღმდეგ“. (33, გვ.31).

ცნობილია, რომ 1878 წელს, რუსეთის ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის გამო, სოხუმის ოლქის სამხედრო მმართველმა პ. არაკინმა, აფხაზური მოსახლეობა „დამნაშავე ხალხად“ გამოაცხადა. მათ აკრძალული ჰქონდათ იარაღის ტარება და არ იწვევდნენ სამხედრო სამსახურში. სამაგიეროდ შეაწერეს ფულადი დამატებითი გადასახადები. აფხაზებს ეს წოდება მოეხსნათ მხოლოდ 1907 წელს.

რუსეთის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა როგორც „საქართველოს“, ასევე „აფხაზეთის“ სახელწოდების ამოძირკვასაც. 1864 წელს აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და ეწოდა სოხუმის სამხედრო განყოფილება. ხოლო შემდეგ, 1883 წლიდან კი – სოხუმის ოლქად გამოცხადდა. ემორჩილებოდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს.

„1918 წელს, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაარსდა, აფხაზეთი მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. მაშინ აღსდგა სახელწოდება „აფხაზეთი“, რომელიც ავტონომიის უფლებით შევიდა მასში და ეს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამაც ცნო 1920 წ-ის 7 მაისის ხელშეკრულებით“. (33, გვ.32).

აჭარის, აფხაზეთისა და მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხის ისტორიაში, ყველაზე უფრო მძიმე კვალი დატოვა მუჰაჯირობამ. XIX საუკუნის I ნახევარში, როდესაც კავკასიაში მყარად ფეხი მოიკიდა თურქეთმა, აფაზეთში დაიწყო მუჰაჯირობა და გაგრძელდა I მსოფლიო ომამდე. როგორც აღვნიშნეთ, მუჰაჯირობას ხელს უწყობდა რუსეთის იმპერიაც. ის დაინტერესებული იყო, რომ დაუმორჩილებელი ადგილობრივი მოსახლეობისაგან გაეწმინდა დაპყრობილი მიწა-წყალი და ეს ადგილები გამოეყენებინა კოლონიზაციისათვის.

აფხაზეთში მუჰაჯირობა დაიწყო ჯერ კიდევ ადრე, ყირიმის ომის დროს (1853–1856) წლებში, როდესაც ოსმალეთი გაბატონდა აფხაზეთში, დაამარცხა აჯანყებული ფეოდალები და სახალხო აჯანყებები, რასაც მოჰყვა გადასახლებები თურქეთში. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო მუჰაჯირობამ აფხაზეთში, რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და სახალხო აჯანყებების ჩახშობის შემდეგ. ერთ-ერთი საბაბი იყო, რომ აფხაზებს ძირითადათ, თურქების ზეგავლენით, მაჰმადიანური სარწმუნეობა ჰქონდათ მიღებული. ისტორიკოსი ბეჟან ხორავა აღნიშნავს, რომ: „ცარიზმის მიზანს დაპყრობილი ქვეყნის კოლონიზაცია და მოსახლეობის ასიმილაცია წარმოადგენდა ყოველთვის“. ცნობილი რუსი ისტორიკოსი ვასილი კლიუჩევსკი (1841–1911) „კოლონიზაციას „რუსეთის ისტორიის ძირითად ფაქტორად“ მიიჩნევდა“. (34, გვ.1).

„1866 წლის აფხაზთა ანტირუსული აჯანყების ჩახშობის შემდეგ მეფის ხელისუფლებამ 1867 წლის აპრილ-ივნისში აფხაზეთიდან ოსმალეთში იძულებით 3 358 ოჯახი (19 342 კაცი) გაასახლა. შემორჩენილია მათი სახელობითი სია.

1867 წლის სტატისტიკური მონაცემებით აფხაზეთის მოსახლეობა 64 933 კაცს შეადგენდა. (აქედან 22 ათასი სამურზაყანოს 9 სამურზაყანოს ოკრუგის) ქართული მოსახლეობა იყო. ქართველები ცხოვრობდნენ აფხაზეთის სხვა მხარეებშიც.

1877 წლის მუჰაჯირობისას აფხაზეთიდან დაახლოებით 32 ათასი კაცი გადასახლდა ოსმალეთში. თუკი ადრე მთის თემები დაიცალა, ახლა თითქმის მთლიანად დაცარიელდა აფხაზეთის სანაპირო ზოლი.

XIX ს. 60-იანი წლებიდან აფხაზეთში დამკვიდრდნენ ოსმალეთიდან გადმოსახლებული

სომხები და ბერძნები; აგრეთვე რუსები, უკრაინელები, მოლდაველები, ესტონელები, გერმანელები, ბულგარელები და სხვ. ამ დროიდან აფხაზეთში მრავლად გაჩნდა ახალი გეოგრაფიული სახელები. შეიცვალა ძველი ადგილობრივი სახელწოდებებიც. იმავდროულად, აფხაზეთში სახლდებოდა მიწის სიმცირითა და სიმწრით სულშეხუთული დასავლეთ საქართველოს ქართული მოსახლეობა, რასაც ხელისუფლება განსაკუთრებით ეწინააღმ-დეგებოდა“. (34, გვ.45).

„რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს უკვე მზად ჰქონდათ წინადადებები აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ მისი მიწა-წყლის მკვიდრი მოსახლეობისაგან გათავისუფლების შესახებ. დ. სვიატოპოლკ-მირსკი კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსს, გენერალ ა. კარცევს 1864 წლის 27 ივნისს წერდა: «თუ აფხაზების ნაწილი სამთავროს გაუქმების შემდეგ თურქეთში გადასახლებას მოისურვებენ, ვფიქრობ, ჩვენ ამას ხელი არ უნდა შეუშალოთ».

ხელისუფლებას სურდა, რაც შეიძლება ჩქარა შედგომოდა აფხაზეთის კოლონიზაციას.

«თუ შევიძენდით მთავრის მამულებს, რომლებიც მეტად ვრცელია და მნიშვნელოვანი, ჩვენ ახლავე შეგვეძლო შევდგომოდით აფხაზეთის კოლონიზაციას კაზაკ-რუსების მეშვეობით», აღნიშნავდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი. მისი წინადადებით ყუბანის ოლქსა და ქუთაისის გუბერნიას შორის საზღვრად უნდა დადგენილიყო გაგრის ქედი და ესეც მხოლოდ ერთი მიზნით: «თუ ჩვენ ხელთ იქნება ცარიელი ადგილები ბზიფის ორსავე მხარეს, – წერდა დ. სვიატოპოლკ-მირსკი 1864 წლის 6 ივნისის წერილში გენერალ ა. კარცევს, – შევძლებთ საფუძველი ჩავუყაროთ რუსულ მოსახლეობას აფხაზეთში»“. (34, გვ.65). როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილ და სხვა წყაროებიდანაც ჩანს, რომ რუსეთის ხელისუფლებას დიდიხანია დაგეგმილი ჰქონდა აფხაზეთსა და საერთოდ კავკასიაში ადგილობრივი მოსახლეობის აყრა და განთავისუფლებულ ადგილებში რუსული მოსახლეობის ჩასახლება.

„1867 წლის 13 თებერვალს მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი ალექსანდრე II-ს წერდა, რომ კავკასიის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ძალით არ განდევნოს აფხაზები თურქეთში. მაგრამ ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მათ გადასახლებას. ამასთან, ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდა პირველ რიგში გაესახლებინა წებელდა-დალის მუსლიმანი მოსახლეობა ამ მხარის სტრატეგიული მნიშვნელობის გამო. ხელისუფლება ითვალისწინებდა, რომ ამ თემების მოსახლეობა ცხოვრობდა მთის ძნელად მისადგომ ადგილებში და კავკასიონის ქედის უღელტეხილებით კავშირი ჰქონდა ყარაჩაელებთან და ყაბარდოელებთან. ამასთან, ხელი-სუფლება მათ რეფორმის წინააღმდეგ გამოსვლაშიც სდებდა ბრალს და მისი სურვილი იყო პირველ რიგში იმ ხალხის გადასახლება, რომელიც მეტნაკლებად დაკავშირებული იყო აჯანყებასთან“. (34, გვ.69).

მაგრამ, ეტყობა, რომ მთავრობამ შეცვალა ადრე მიღებული გადაწყვეტილება და ამავე წლის ბოლოს „აფხაზთა გადასახლება ძირითადად ძალდატანებით ხასიათს ატარებდა. რაც აშკარად ჩანს იმდროინდელი დოკუმენტებიდან“. (34, გვ.70).

„ყველაზე უფრო დიდი გადასახლება მოხდა რუსეთ-თურქეთის 1877–78 ომის დროს (დაახლოებით 50 ათ.). მუჰაჯირობის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი გავერანდა და გაუკაცრი-ელდა. გადასახლებულთა ძირითადი მასა დღესაც ცხოვრობს

თურქეთში, ნაწილი – სირიაში, იორდიანასა და სხვა.; მცირე ნაწილი – ჩრდილოეთ საბერძნეთში. მუჰაჯირ აფხაზთა რაოდენობა თურქეთში 100 ათ. აღწევს, არაბეთის ქვეყნებში – დაახლოებით 15 ათასს. ისინი ცხოვრობენ უმთავრესად სოფლად, შენარჩუნებული აქვთ საკუთარი ენა და ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები". (8, ტ.7, გვ.234).

ასეთივე დღე დაადგათ, რუსეთის ხელისუფლების მიერ, ლიხსიქეთ საქართველოს სხვა კუთხეებსაც. ზევით აღვნიშნეთ, რომ მუჰაჯირობის დროს გადასახლდნენ გურიიდან, აჭარიდან, გონიოდან. ხოლო მთლი-ანად დაიცალა მურღულის ხეობა. უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთში მოხვედრილი ქართველები, ცდილობდნენ საქართველოსთან კავშირი არ დაეკარგად, ენა და ადათ-წესები შეენარჩუნებინად.

თავი V. ჩრდილოეთ-კავკასიელთა ტომები.

1. აფსუები.

„კვლავ დღის წესრიგში დადგა „ბედი ქართლისა". ქართველი ხალხის მტრები ვერ იტანენ საქართველოს დამოუკიდებლობას, ცდილობენ ამისთვის სასტიკად დასაჯონ საქართველო, – წაართვან აფხაზეთი და შიდა ქართლის დიდი ნაწილი, ცხინვალჯავის რეგიონი. ამიტომ ყოველი ქართველი ვალდებულია გაიცნობიეროს აღნიშნული კუთხეების საქართველოსაგან განუყოფლობა, როგორც მისი ძირძველი მიწა-წყლისა. სხვაგვარად იგი ვერ მოიხდის პატრიოტულ ვალს სამშობლოს წინაშე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში.

საბჭოთა იდეოლოგიური სამსახურები მეცნიერებს აიძულებდნენ ეწერათ სიცრუე, პარტიის პოლიტიკისათვის მისაღები სიცრუე. ცენტრიდან მოდიოდა დირექტივა, რომ სსრკს ტერიტორიაზე ყველა ხალხი ადგილობრივი, ავტოქტონური წარმოშობისაა. ეს სჭირდებოდათ იმისთვის, რომ 100-ზე მეტი ერისა და ეროვნების კონსოლიდაციის (გარუსების) პროცესი უმტკივნეულოდ, ყოველგვარი ეთნოკონფლიკტების გარეშე წარმართულიყო. ამით ისარგებლეს არამკვიდრმა ხალხებმა (აფსუებმა, ოსებმა) და თავის ძველ აბორიგენულ მოსახლეობად გამოაცხადეს, ტერიტორიები მიისაკუთრეს და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაც განიზრახეს, ცხადია დიდი რუსეთის უშუალო დახმარებით. ქართველმა მეცნიერებმა სხვა რომ ვერაფერი მოახერხეს, აფსუათა მონოაბორიგენობის ცრუ თეორიას ორაბორიგენობის ცრუ თეორია დაუპირისპირეს, აქაოდა, აფხაზეთში აფსუებთან ერთად ქართველებიც ცხოვრობდნენო. ცრუ თეორიების „ჯირითმა" საბოლოოდ ყველაზე მეტად მაინც ქართული მხარე დააზარალა.; იგივე იქნებოდა გვეთქვა: ქართულ-კახური, ქართულ-იმერული, ქართულ-მეგრული მიწა და ა.შ.

ეს მითი სათავეს იღებს იდეაფიქსიდან „აფხაზეთი – საქართველო არ არის". ამიტომ დღევანდელი ვითარება აიძულებს ქართველ მკვლევარებს ყერადღება მიაქციონ „ქართულ-აფხაზური" ურთიერთობის ჭეშმარიტ ისტორიას. დოკუმენტური წყაროების ანალიზის საფუძველზე გაეცეს პასუხი აფხაზი სეპარატისტებისა და მათი დემაგოგი აპოლიგეტების აბსოლუტურად უსამართლო „თეორიებს". (20, გვ.3).

საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ წყაროებს თუ

გადავხედავთ, ჩვენ შევამჩნევთ, რომ ამ მხარეში მყოფი ქვეყნების და ტომების ისტორიული წარსული, სინამდვილესთან ერთად, მოთხრობილია ათასგვარი ზღაპრები და ლეგენდები. ანტიკურ და შუა საუკუნეების წყაროებში, ქართველი ტომების შესახებაც გვხვდება უამრავი არა სწორი შეხედულებები.

XX საუკუნის დასაწყისიდან გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ქართველური და ჩაჩნურ-დაღე-სტნური ტომები, რომლებიც ადრე სამხრეთ კავკასიაში და მცირე აზიაში იმყოფებოდნენ, დაახლობით ძვ. წ. XIII–VII საუკუნეებში სხვადასხვა ვითარების გამო, იძულებულნი გამხდარან ჩრდილოეთ მხარეში გადასახლებულიყვნენ.

აფხაზურ-ადიღეური ტომები, რომლებიც ადრე სამხრეთ მხარეში იმყოფებოდნენ, ძვ. წ. XIII–XII საუკუნეებში, ჩრდილოეთისაკენ გადმოუნაცვლებიათ და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების გავლით, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის დასავლეთ მხარეში დამკვიდრებულან. ამ ტომთა ნაწილი დარჩენილა თანამედროვე აფხაზეთის მხარეში. ხოლო, ადიღეელები კავკასიის ქედის დასავლეთით და ჩერქეზები კავკასიის ჩრდილოეთ კალთებზე დასახლებულან. დროთა განმავლობაში, აფხაზეთში მყოფი აფხაზურ-ადიღეელ ტომთა ნაწილმა აფხაზეთიდან გადაინაცვლა ჩრდილოეთში. აფხაზეთის მიწა-წყალზე დარჩენილან აფხაზური (ქართველური ტომები), მათ შორის მცირე ნაწილი აფსუების ტომებიც. თანამედროვე აფხაზეთის მხარეში მოსახლე ხალხთა ნაწილის თვითსახელი არის „აფსუა“.

მეცნიერები თვლიან, რომ მათი წინაპრები წარმოადგენენ ჩრდილო-დასავლეთში მცხოვ-რები მომთაბარე აბაზების ერთ-ერთი ტომი აშხარელები, რომლებსაც შკარაულებსაც უწო-დებენ. აფხაზეთში მყოფი აფსუები და მდ. ყუბანის სათავეში მცხოვრები აბაზები ერთმანეთის ნათესავები არიან. მათ ერთნაირი ადათ-წესები აქვთ და ერთმანეთის ენაც ესმით. აფხაზეთის მიწა-წყალზე დარჩენილი აფსუები, რომლებიც ეთნიკურად არა ქართველი ტომები იყვნენ, თანდათან, სახელმწიფოებრივად ქართველებად (აფხაზებად) გარდაიქმნენ. მათ შეითვისეს ქართველური ადათ-წესები, ქართული კულტურა და რაც მთავარია მათთვის ქართული ენა სახელმწიფოებრივი ენა გახდა. როგორც ცნობილია აფხაზეთი და აქ მოსახლე ძველი ქართველური ტომი აფხაზები, ისეთივე საქართველოს ნაწილი გახდა, როგორც ქართლი, კახეთი და სხვა კუთხეები. ისტორიულ წყაროებში (ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, XI საუკუნის მოღვაწე და სხვ.) სადაც-კი ძველთაგანვე ქართველთა ტომები: ქართლელები, აფხაზები, ჰერები, კახელები, სვანები, მეგრელები, ჭანები და სხვ., ყოველთვის ერთ ეთნოკულტურულ ცნებით მოიხსენებიან და საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ფეოდალურ სახელმწიფოში, აფხაზეთი ერთ ქართულ ფეოდალურ ქვეყნად აღითქმებოდა. მაგრამ, XIII საუკუნიდან დაწყებული უკუღმართი ჟამთა სიავის, ქართული სახელმწიფოს დაქვეითებისა და დაცემის გამო, ქართველთაგან ნახევრად დაცლილ აფხაზეთში დაიწყო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან აფსუების და ჩერქეზთა მცირე ტომების ჩამოსახლება. ისტორიკოსების [ვასილი ტატიშჩევის, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე დ ი ა ჩ კ ო ვ - ტ ა რ ა ს ო ვ ი ს (1867–1929 წ-ის შემდეგ) და სხვ.] მტკიცებით, აფხაზეთში XVI–XVII საუკუნეებში ყუბანისპირეთიდან ტომთა ნაწილი ჩამოსახლებულა.

წყაროებიდან მტკიცდება, რომ აფსუები ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ცხოვრობდნენ ყუბანისპირეთში, შემდეგ ისინი გადმოსახლებულან ყუბანის სათავეებში, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ჩამოსახლებულან აფხაზეთში. ასევე ცნობილია, რომ სოხუმი (ცხუმი), რომელიც

წარმოადგენდა სოხუმის საერისთავოს მთავარ ქალაქს, XVIII საუკუნის ბოლოს გახდა შარვაშიძეთა ძირითადი ადგილ-სამყოფელი. როგორც ისტორიკოსი გ ე რ ო ნ ტ ი გ ა ს ვ ი ა ნ ი წერს, თავდაპირველად „აფსუები მთებში და გორაკებზე დასახლდნენ ნათესაურ გვარებად. ფარღალალა ფაცხები ააშენეს. ჯგუფურ დასახლებას ღრმა ორმო და ღობე შემოავლეს და პრიმიტიულ ცხოვრებას მიჰყვეს ხელი. ისტორიკოსთა და მისიონერთა გადმოცემით, ისინი ქალაქებსა და ციხეებში არ დასახლდნენ, ეკლესია მონასტრებს არ გაეკარნენ, არ ლოცულობდნენ, მიცვალებულს დასაფლავების ნაცვლად ხის გობში დებდნენ და ხეზე ჰკიდებდნენ, მაჰმადიანობას და წარმართობას აღიარებდნენ“. (40). ძირითადათ მეომარი და მეკობრე ტომები ყოფილან, რომლებიც ეწეოდნენ მარბიელობას და მძარცველობას. ცნობილია, რომ ჩამოსახლებულმა ტომებმა რამდენიმე „ეკლესია-მონასტრები და საეკლესიო სოფლები დაარბიეს (მარტო ერთ საეკლესიო სოფელ ნაჟანეულში 60-მდე კომლი დახოცეს და დაატყვევეს და გაყიდეს). დროთა ვითარებაში აფსუებმა თანდათან აგრესია გააქტიურეს ადგილობრივ ქართველების წინააღმდეგ. თუმცა არც ისე მრავალრიცხოვანი იყვნენ (მათი რაოდენობა არასდროს 30 ათასამდე სულს არ აღემატებოდა)“. (40).

განსაკუთრებით, აფსუების მიერ საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ გამოსვლები დაიწყო XV საუკუნიდან, როდესაც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და აფხაზეთს ჯერ ოსმალეთი დაეუფლა, ხოლო შემდეგ XVIII საუკუნეში რუსეთის იმპერია გაბატონდა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, XVI საუკუნეში აფხაზეთი დაიპყრო თურქეთმა და იქ დაიწყო მაჰმადი-ანური სარწმუნეობის გავრცელება და ქრისტიანული სარწმუნეობის შევიწროება. პირველ რიგში მაჰმადი-ანობა აღიარეს აფხაზეთის აფსუებმა, აფხაზეთის ხელისუფლებამ და ზოგიერთმა ფეოდალებმა. ამავე დროს აფხაზეთის ფეოდალებმა ტყვეთა სყიდვასაც მიჰყვეს ხელი. თანდათან აფხაზეთში აფსუები მთებიდან ბარში ჩამოვიდნენ და თურქების ხელის შეწყობით იმდენად მომძლავრდნენ, რომ აფხაზეთში მყოფი ქართველები იძულებულნი იყვნენ ან აფხაზეთს გასცლოდნენ, ან და აფსუების წეს-ჩვეულებანი და მაჰმადიანობა მიეღოთ.

„აფსუების ექსპანსიის შედეგად აფხაზი წარმართად ან მაჰმადიანად იქცა, აფხაზეთი – ადრეფე-ოდალური ურთიერთობის ქვეყნად. ასე წარმოიშვა „ახალი აფხაზეთი“, რომლის მკვიდრი მოსახლე ქარ-თველობა (ძირითადად მეგრელობა) გააქციეს ან გააასფსუეს, რომელთაც ზურგს უმაგრებდნენ, რაოდე-ნობრივად ავსებდნენ და სულიერად ასაზრდოებდნენ ჩრდილოელი ჩერქეზები: უბიხები, ჯიქები, ბჟედუხები, შაფსუღები, აბაძეხებები, ყაბარდოელები, ყირიმელი თათრები, თურქოსმალები და სხვა რჯულისა და სულის ხალხი. ასე წარმოიშვა ქრისტიანი საქართველოს მოძულე და დაუძინებელი მტერი – მაჰმადიანური აფხაზეთი, რომელიც თურქეთის შემდეგ რუსეთის ქვეშერდომ და სტრატეგიულ პუნქტად იქცა. მათმა მთავრებმა დაიკავეს ტერიტორია კოდორიდან ენგურამდე. ამ ტერიტორიაზე მოსპეს ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი. ვინც შიმშილს, მახვილსა და ავადმყოფობას გადაურჩა, ოსმალეთში გაყიდეს, ხოლო მათ ადგილას აფსუები დაასახლეს“. (20, გვ.59).

თუმცა, აფხაზეთში დარჩენილმა ქართველობამ და აფხაზთა ფეოდალთა ნაწილმა, მაინც შეძლო თავის გადარჩენა და ახლად ჩამოსახლებულმა აფსუებმა თანდათან ქართული კულტურა შეითვისეს და ქრის-ტიანობაც მიიღეს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხანებში ხდება აფსუების გვარ-სახელების შეცვლა და ქარ-თულად გადაკეთება. მეცნიერთა ნაწილის აზრით, აფსუების გვარ-სახელების შეცვლა ხდებოდა მღვდლების მიერ ნათლობის დროს.

„აფხაზთა 450 გვარიდან 300-ზე მეტი ქართულია და 100-ზე ნაკლები ჩრდილო კავკასიური, დანა-რჩენები ზოგი თურქია, ზოგი სპარსი, ზოგი რუსი“. (20, გვ.60).

აფსუების ჩამოსახლება, რომ გვიან მომხდარა, სხვათა შორის იმითაც მტკიცდება, რომ ადრინდელ შუასაუკუნეებისა და ანტიკურ ხანაშიც აფხაზეთის მიწა-წყალზე მოხსენებული ტოპონიმები ყველა ქართუ-ლია. დღევანდელი აფხაზეთის ტოპონიმებიც, არცერთი არ განეკუთვნება აფსუაადიღეურს. ეს კი იმას ცხადყოფს, რომ აფსუებს ადრე რომ ეცხოვრათ აფხაზეთში, „მაშინ ისინი ერთ თავის ტოპონიმს მაინც დატოვებდნენ აფხაზეთში ანტიკურ და ადრე შუა საუკუნეების ხანაში. ამა თუ იმ ტერიტორიის უძველესი ტოპონიმიკა კი, ეს არის არქაულ ეპოქაში აქ მცხოვრები ეთნოსის ენობრივი ანაბეჭდები. ეს კიდევ ერთხელ იმას მოწმობს, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი მკვიდრი – აბორიგენი მოსახლეობა მხოლოდ ქართულკოლხური ტომები იყვნენ“. (20, გვ.116). აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ მეცნიერთა მტკიცებით, აფსუების სალაპარაკო ენა ძირითადათ ქართული სიტყვებისაგან შედგება და მასში მრავალი ქართული სიტყვები დამკვიდრდა. ამავე დროს აფსუები ენობრივად ენათესავებიან ჩრდილოკავკასიელებს – ჩერქეზებს.

მეცნიერი და მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1745–1781) გადმოგვცემს, რომ: „აბაზური“ (აფსუური) და ჩერქეზული ერთი დედაენისაგან არის წარმომდგარი, მაგრამ ისეთ განსხვავებულ დიალექტებად იქცნენ, რომ მათ შორის ნათე-საობას ადამიანი ყველაფერში ვეღარ იპოვისო. ამავე დროს მას მიაჩნდა, რომ ჩერქეზებს აფხაზებს გარდა არც ერთ სხვა ერთან არავითარი ნათესაობა არ ჰქონდათ. თუმცა აფხაზები და ჩერქეზები ძირითადად ერთსადაიმავე ენას ლაპარაკობენ განსხვავებული დიალექტით“. (20, გვ.121).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, როდესაც რუსეთის იმპერიამ 1864 წელს აფხაზეთი დაიპყრო, დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის გარუსება. რუსეთ-კავკასიის ომის დროს (1817–1864) აფხაზეთში მყოფი აფხაზ-აფსუები ცდილობდნენ შეძლებისდაგვარად დახმარებოდნენ ჩრდილოეთში მყოფ მოძმე მებრძოლებს. ცნობილია, რომ 1866 წელს აფსუებმა რუსეთის სამხედრო ჯარის ნაწილებიც კი გაანადგურეს. ზევით აღვნიშნეთ, რომ რუსეთმა აფხაზეთის მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო, აფხაზეთის მოსახლეობა „დამნაშავე ხალხად“ გამოაცხადა. ხოლო, მუჰაჯირობის დროს კი, 1867 წელს, რუსეთის ხელისუფლებამ დაახლობით 20 ათასამდე გამაჰმადიანებული აფხაზ-აფსუები აიძულეს, რომ თურქეთში გადასახლე-ბულიყვნენ. ხოლო ძალა-გამოლეული აფსუები და აფხაზები რუსეთისათვის აღარავითარ საშიშროებას აღარ წარმო-ადგენდა. აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობიდან, ერთადერთნი ქართველები აღმოჩნდნენ, რომლებიც რუსებს წინააღმდეგობას უწევდნენ. ამიტომ, რუსეთის იმპერიამ აფხაზებს დამნაშავის წოდება მოუხსნა და ისინი ქართველებს დაუპირისპირა. ეს იყო რუსული პოლიტიკა –„გათიშე და იბატონე“.

გ. გასვიანი წერს, რომ:

„უნდა ითქვას, რომ რუსმა სამხედრო მოხელეებმა და საგანგებოდ მოწვეულმა სტატის-ტიკოსებმა ორჯერ აღწერეს აფხაზეთის მოსახლეობა (1886 და 1897) წლებში და ორივეჯერ უწყალოდ დაამახინჯეს აფხაზეთის ეთნიკურ-ეროვნული სურათი – ხელოვნურად შეამცირეს აფხაზეთის ქართველთა რაოდენობა. ქართველთაგან ძველი გვარტომობრივი ნიშნის მიხედვით ცალკე ეროვნებად გამოჰყვეს მეგრელები, მეგრელებისაგან ლაზები და

„სამურზაყანოელები“, ასევე იმერლები და ა. შ.“. (40). მიუხედავად ამისა, რუსეთის იმპერიამ მაინც ვერ შეძლო აფხაზების გარუსება და რაც ვერ გააკეთა მეფის რუსეთმა, ის შეძლო ბოლშე-ვიკებმა, მით უმეტეს საბჭოთა ხელისუფლებამ. აფხაზეთში მომქმედი ქართული კულტურა და ქართული ენა, შეიცვალა რუსულით და საბოლოოდ აფხაზეთს შემორჩა მხოლოდ სახელწოდება – „აფახაზეთი“.

XX საუკუნეში დაიწყო აფხაზეთის „გააფხაზება“ და საბჭოთა ხელისუფლების დროს, მით უმეტეს სტალინის ხანაში, აფხაზებმა თავისი წარსული, თავისი „მე“ დაივიწყეს და რუსული აღიარეს, ქართული კულტურა რუსულით შეიცვალა. დაიწყო აფხაზეთის სათავეში, საბჭოთა მთავრობის ხელშეწყობით მოქცეული აფხაზებისა და აფსუების მიერ ქართველების დევნა-შევიწროება. „განსაკუთრებით 1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, როცა ამიერკავკასია და კერძოდ საქართველო რუსეთის იმპერიას გამოეყო. საბჭოთა რუსეთმა, პირველ რიგში, აფხაზეთის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა, რადგან ის ერთ-ერთი ფორპოსტი იყო შავ ზღვაზე და საერთოდ სამხრეთში. ამ მიზნით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არა მარტო ბოლშევიკები ებრძოდნენ, არამედ თეთრ-გვარდიელი გენერლები – დენიკინი, კოლჩაკი, ვრანგელი და სხვები. აფხაზეთის კოზირით საბჭოთა რუსეთი ათასგვარ პროვოკაციას იყენებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ: აფხაზეთს ხან შავიზღვისპირეთის ოლქს უერთებდა, ხან ყუბანის რესპუბლიკას, ხან უშუალოდ რსფსრ-ში შეყვანა მოი-წადინა. გარდა ამისა, რუსეთმა აფსუა-აფხაზების დროშით აფხაზეთში შექმნა აფსუური სახალხო საბჭო და კომისარიატი, რითაც აფხაზეთის ცალკე გამოყოფას ანუ სეპარატიზმს ჩაუყარა საფუძველი. ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა მთელი საქარ-თველოს ანექსია და ოკუპაცია მოახდინა. ამასთან, აფხაზეთს 1931 წლამდე ცალკე ხელშეკ-რულებით რესპუბლიკის სტატუსიც მიანიჭა (რაც ფაქტობრივად ქაღალდზე დარჩა – არ განხორციელდა)“. (40). ამ დროს ქართველები იძულებულნი იყვნენ ან დამორჩილებულიყვნენ აფხაზ-აფსუებს, ან დაეტოვებინად აფხაზეთი და გადასახლებულიყვნენ. არა საიმედო პირებს ართმევდნენ კარ-მიდამოს, პარტიული ხაზით სამსახურიდან ითხოვდნენ, უკრძალავ-დნენ ქართულად საუბარს, ქართულ ენაზე სწავლას, იხურებოდა ქართული სკოლები და ქართული დაწესებულებები. საუკუნეების განმავლობაში ვაი-ვაგლახ გამოვლილი აფხაზეთის ქართული კულტურა იცვლებოდა რუსულით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზების გარუსებას ხელს უწყობდა, ნებით თუ უნებლიედ, საქართველოს მთავრობაც, საქართველოს პარტიული მუშაკებიც. XX საუკუნის II ნახევარში აფხაზეთში გაიხსნა დამოუკიდებელი ტელევიზია, დამოუკიდებელი უნივერსიტეტი და სხვა. როდესაც აფხაზეთში მცხოვრები ქართველები რაიმე საყვედურს გამოთქვამდნენ, საქართველოს მთავრობა არავითარ ყურად-ღებას არ აქცევდა და სინამდვილეში ხელს უწყობდა აფხაზ სეპარატისტებს. აფხაზეთის რუსიფიკაცია განსაკუთრებით გაძლიერდა 1990-იან წლებიდან, რაც 1993 წელს აფხაზეთში ქართველთა გენოციდით დამთავრდა და დღევანდელ დღესაც რუსეთის იმპერია ყოველივე ღონეს ხმარობს საბოლოოდ მის დასაპყრობად.

ბიოლოგი და ისტორიკოსი ბ ი ძ ი ნ ა თ ა ვ ა ძ ე აფსუა-აფხაზთა აბორიგენობის შესახებ აღნიშნავს, რომ:

„საქართველოში სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ადიღეური მოდგმის ერთ-ერთი

ტომისათვის – აფსუებისათვის – ისტორიული ქართული სატომო სახელის „აფხაზის“ შერქმევამ, ხოლო აფსუური ენი-სადმი „აფხაზურის“ წოდებამ, ქართულ სახელმწიფოებრიობას და ქართველოლოგიას, უამრავი უსიამოვნება და გაუგებრობა მოუტანა, რაც ისტორიული ქართული კუთხის აფხაზეთის – დაკარგვად დაგვიჯდა.

დღეს აშკარაზე აშკარაა, რომ ისტორიული და თანამედროვე აფხაზობა ორი განსხვავებული ეთნიკური ჯგუფია. კერძოდ: ისტორიული აფხაზები ქართველური ტომები იყვნენ და ისტორიული საბუთები მოწმობენ, რომ ისინი მეგრულად ლაპარაკობდნენ, ანუ ის აფხაზები, რომელთაც კონტაქტი დაამყარეს ჯერ ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო შემდეგ საქართველოში – აფხაზეთში – შემოსულ აფსუებთან, იყვნენ მეგრულ ენოვანი ქართველები.

თანამედროვე აფხაზები კი ადიღეული მოდგმის აფსუებისა და ქართველი აფხაზების ნარევია, აფსუური ენით და ასევე არაქართული აფსუური ცნობიერებით.

მართალია, თანამედროვე აფხაზების ძირითადი ბირთვი (80%-ზე მეტი) გააფსუებული (და არა გააფხაზებული, როგორც შეცდომით ხმარობენ სამეცნიერო ლიტერატურაში) ქართველია, მაგრამ ისინი ენითა და ცნობიერებით უკვე არაქართულ სამყაროს წარმოადგენენ და მათ არავითარი პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ საქართველოს ისტორიულ წარსულზე. მარტო ის რად ღირს, რომ აფსუებსაც და გააფსუებულ ქართველებსაც თავიანთ მოძმეებად მიაჩნიათ ჩრდილო კავკასიელი ტომები ადღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები და ა. შ. ვუწოდეთ რა არაქართულ ელემენტს ქართული ტომის სახელწოდება – აფხაზი, ტერმინოგიულმა აღრევამ ის გამოიწვია, რომ მე-16-17 საუკუნეებიდან საქართველოში – აფხაზეთში – ინფილტრაციით შემოსულ 2 უცხო მოდგმის ტომს, ქართველთა ნაწილის ასიმილაციის გამო, გაუჩნდა აბორი-გენობის პრეტენზია და სხვის ისტორიას, ტერიტორიას და ისტორიულ მონაპოვრებს ითვისებს, იმპერიული ძალების ყოველმხრივი და მძლავრი მხარდაჭერით.

აფსუები რომ საქართველოსა და მისი ისტორიული კუთხის აფხაზეთის აბორიგენები არ არიან, ამას უამრავი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფაქტი ადასტურებს, ამიტომ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, უმჯობესი იქნებოდა დღევანელი აფხაზებისათვის გვეწოდებინა „აფსუა-აფხაზი“, ან „აფსუა“, ნამდვილი აფხაზის ანუ ქართველი აფხაზისაგან გასამიჯნად.

ზღვა ისტორიული მასალა მოწმობს, რომ აფხაზეთი აფსნი არაა, ხოლო აფსუა აფხაზი არაა.

მიუხედავად წყაროთა და ფაქტთა ღაღადისა, იმპერიული ძალებით წაქეზებული აფსუა და რუსი ვაი-მეცნიერები, და მათ გვერდით ზოგიერთი ქართველი ვაი-ისტორიკოსიც, ამტკიცებენ, თითქოს აფსუები აფხაზეთში ცხოვრობენ ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან მაინც.

ეს ვაი-მეცნიერები ქადაგებენ ორაბორიგენობის აბსურდულ თეორიას, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიო ისტორიაში“. (41).

2. ა ბ ა ზ ე ბ ი.

აბაზები (საკუთარი სახელწოდება აბაზა, აფხაზურად აშვი) ეკუთვნიან აფხაზ-ადიღეელების მონათესავე ერს, რომლის ერთ-ერთი ტომი აშხარელები (შკარაულელები), არიან (დღევანდელ აფხაზეთში ჩასახლე-ბული აფსუების წინაპრები). აბაზების მეორე ჯგუფს ეკუთვნიან ტაპანთელები.

აბაზური ენა განეკუთვნება კავკასიურ ენათა აფხაზურ-ადიღეურ (ჩრდილო-დასავლურ) ჯგუფს. ისტორიკოსი და ეთნოლოგი რ ო ლ ა ნ დ თ ო ფ ჩ ი შ ვ ი ლ ი აბაზური ენის შესახებ წერს:

„აბაზურ ენას აქვს ორი დიალექტი: ტაპანთური და აშხარული, შესაბამისად იყოფიან ორ ეთნო-გრაფიულ ჯგუფად – ტაპანთელებად და აშხარელებად. ლიტერატურულ ენას საფუძვლად უდევს ტაპანთური დიალექტი. აბაზური დაწერლობა შეიქმნა 1932 წელს. მის საფუძვლად გამოყენებული იქნა ლათინური გრაფიკი. 1939 წელს ის რუსული გრაფებით შეიცვალა. 1938 წელს გამოვიდა აბაზური გაზე-თის პირველი ნომერი. აბაზები ფლობენ აგრეთვე ყაბარდოულ-ჩერქეზულ ენას. აფხაზურ ენასთან ახლოს დგას აბაზური ენის აშხარული დიალექტი. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აბაზური ენის ტაპანთურ დიალექტზე მეტყველ მოსახლეობას აფხაზური ენა არ ესმის“. (14, გვ.13).

აბაზები ეთნიკურად ახლოს იყვნენ, უფრო აფხაზებთან, მაგრამ დროთა განმავლობაში სხვადასხვა პოლიტიკური ვითარების გამო, განიცადეს ადიღეელების ზეგავლენა და ამის გამო, მათში მცირეა შემორჩენილი ქართული თვისებები.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, აფხაზურ-ადიღური ტომები დაახლოებით ძვ. წ. XIII–XII საუკუნეებში, მცირე აზიიდან თანდათან გადმოინაცვლეს შავი ზღვის სანაპიროებით ჩრდილოეთისაკენ. საბოლოოდ დამკვიდრდნენ კავკასიის ქედის დასავლეთში: აბაზების ნაწილი დარჩნენ აფხაზეთში, ხოლო ადიღეელები და ჩერქეზები კი დასახლდნენ კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეში. აფხაზეთში დარჩენილ აბაზებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ქართულ ენოვან ტომებთან. თანდათან ისინი ქართველებად, ანუ აფხაზებად გარდაიქმნენ. ისევე როგორც ქართული ეთნოსის (მეგრელები, სვანები) წარმომადგენლებმა, საერთო გახდა ქართული კულტურა და სახელმწიფოებრივი ძირითადი ენა ქართული გახდა.

კავკასიის ჩრდილოეთ მხარეში დასახლებული დღევანდელი აბაზების წინაპრები, სახ-ლობდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროებზე, „მდინარეების ლაბას, ურუპის, დიდი და მცირე ზელენჩუკისა და ყუბანის სათავეებში.

მკვლევართა, ვარაუდით, აბაზინები აქტიურად მონაწილეობდნენ იმ ეთნიკურ პროცესებში, რომელიც მიმდინარეობდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე... XIV–XVI საუკუნეებში აბაზინები კომპაქტურად ჩამოსახლებულან ტუაფსესა და ბზიფს შორის მდებარე ტერიტორიაზე (მათ ეწოდებოდათ ხაკუჩები და ეკავათ შავ ზღვაში ჩამავალი მდინარეების: აშეს, ფსეზუაფსეს და შახეს სათავეები). პარალელურად აბაზი-ნები გარკვეულ როლს თამაშობდნენ ადიღეელთა ეთნიკურ ფორმირებაში, რადგანაც ისინი ლაბას, ურუპისა, ზელენჩუკისა და სხვა მდინარეთა ხეობების დაყოლებითაც ჩადიოდნენ ბარში და ერეოდნენ სხვადასხვა ადიღელ ტომებს.

აბაზინთა სულიერ და მატერიალურ კულტურაზე განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინეს ყაბარ-დოელებმა, ბესლენეელებმა და აბაძეხებმა“. (31, გვ.13).

ლიხსიქეთ საქართველოს ბედუკულმართობის გამო, აფხაზეთის ბარში მოსახლეობისაგან დაცლილ ადგილებში, ხდებოდა მთიელი აბაზინების ჩამოსახლება და იქ დამკვიდრება.

აფახაზეთში მყოფმა აბაზებმა, I ათასწლეულში თანდათან დაიწყეს ადგილობრივ მცხოვრებ აფხაზთა ტომთან შერწყმა, მაგრამ, ვინაიდან ამ ტომებს ერთმანეთთან სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო სუსტი კავშირი ჰქონდათ, ამ ტომების მთლიანად შერწყმა არ მოხდა.

XIV საუკუნიდან აბაზებმა დაიწყეს ჩასახლება, დღევანდელ ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ადიღეს, ყაბარდო-ბალყარეთის და კისლოვოდსკის მიდამოებში.

„მთიან ხეობებში დასახლებამდე აბაზები შავიზღვისპირეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე – ტუაფსედან აფხაზეთამდე – ცხოვრობდნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ XIX ს-ის 40–50-იან წლებშიც კი აბაზებს ეთნიკური ტერიტორია, განსახლების არეალი არ ჰქონდათ გამოკვეთილი. ჩრდილოეთ კავკასიაში რუსების შემოსვლის შენდეგ როგორც ტაპანთელმა, ისე აშხარელმა (შკარაუა) აბაზებმა განსახლების არეალი შეიცვალეს“. (14, გვ.14).

კავკასიის ომის დროს (1817–1864) აბაზინების უმეტესნი ნაწილნი იძულებულნი გახდნენ თურქეთში გადასახლებულიყვნენ. ხოლო დარჩენილი ნაწილი, რომლებიც სახლობდნენ მდინარეების: თერგსა და ლაბას შორის, და ნაწილი, რომლებიც ცხოვრობდნენ მთებში, 1860-იან წლებში, იძულებულნი იყვნენ ჩამოსახლებულიყვნენ ზელენჩუკის ბარში და ისინი შეერივნენ ადიღეელებსა და ნოღაელებს. 1883 წლის მონაცემებით, ჩრდილოეთ კავკასიაში, აბაზინები, დაახლოებით 10 000 იყვნენ დარჩენილი.

(1862–1864) წლებში მუჰაჯირობის დროს გადასახლებული აბაზები, აფხაზებსა და ადიღეელებს შეერივნენ. აბაზების შთამომავლები ცხოვრობენ თურქეთში, სირიაში, იორდანიასა და ლიბანში. 2002 წლის მონაცემებით საზღვარგარეთ აბაზები დაახლოებით ცხოვრობენ: თურქეთში – 11 000; სირიაში – 2 000; იორდანიაში – 1 500; არაბულ სამყაროში – 29 500.

„დღევანდელ ტერიტორიაზე აბაზები XIV ს-დან ცხოვრობენ. ფიქრობენ, რომ მათი წინაპრების შავიზღვისპირეთიდან გადასახლება XIV–XVI სს-ის განმავლობაში მოხდა. თუმცა აქ აბაზების ნაწილი, უბიხების, საძების სახით კვლავ აგრძელებდა მკვიდრობას. საბოლოოდ ეს მოსახლეობა შავიზღვისპირეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილიდან მუჰაჯირობის დროს გაქრა“. (14, გვ.14).

2002 წლის მონაცემებით ჩრდილოეთ კავკასიაში აბაზები ცხოვრობენ: ყარაჩაი-ჩერქეზეთში – 32 346; სტავროპოლის მხარეში – 3 300; ყაბარდო-ბალყარეთში – 514; ხოლო აფხაზეთში – 2 138.

XVII საუკუნიდან თანდათან დაიწყო აბაზინებში ისლამის (სუნიტობის) გავრცელება.

რ. თოფჩიშვილი წერს, რომ: „აბაზებმა ისლამი შავიზღვისპირეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში დამკვიდრების შემდეგ მიიღეს. იქამდე ისინი წარმართები იყვნენ. აბაზებმა მაჰმადიანობა ნოღაიდელებისაგან მიიღეს, რომლებთანაც ურთიერთშეხება ჰქონდათ. თავდა-პირველად ეს სარწმუნეობა ზედაფენამ, შემდეგ – დანარჩენმა მოსახლეობამ მიიღო. აბაზებში

ისლამმა ძირითადად XVII–XVIII სს-ში შეაღწია. ამასთანავე, აბაზებში შემორჩენილია პირველყოფილი რწმენა-წარმოდგენებიც. XIX ს-ის შუა ხანებში მთაში, განსაკუთრებით აშხარელთა ეთნოგრაფიულ ჯგუფში, წარმართულ რწმენა-წარმოდგენებთან ერთად, ქრისტიანული ელემენტებიც გვხვდება“. (14, გვ.17).

3. კ ი მ ე რ ი ე ლ ე ბ ი .

კიმერიელთა წარმოშობის საკითხი დღემდე გაურკვეველია და მთლიანად შესწავლილი არ არის. წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, რომ კიმერიელთა ტომები, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში იმყოფებოდნენ. კიმერიელებმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინეს კავკასიელებზე და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებზე. მეცნიერები ფიქრობენ, რომ კიმერიელებმა დაამარცხეს ცენტრალურ აზიაში მცხოვრები სკვითური ტომები და შემდგომ, ძვ. წ. VIII საუკუნის II ნახევარში, ჩრდილოეთ კავკასიიდან, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების გავლით, შეესივნენ მცირე აზიას, რომლებმაც წალეკეს და გადათელეს სამხრეთ კავკასიის და მცირე აზიის არაერთი სახელმწიფო და რა თქმა უნდა, მათ პირველ რიგში უნდა დაეძლიათ შავიზღვისპირეთში მყოფი ძლიერი კოლხეთის სამეფოს წინააღმდეგობა.

ჩრდილოეთ კავკასიაში და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებით, მეცნიერები ადასტურებენ, რომ კიმერიელები ადრეულ ხანაში ეწეოდნენ სოფლის მეურნეობას და მესაქონლეობას. შემდეგში, რკინის ხანის დასაწყისში, ბუნების ცვალებადობის გამო, როდესაც ამინდი გახდა ცხელი და მშრალი, მათ დაუწყიათ მომთაბარეობა. ბრინჯაოდან რკინის გარდამავალ ხანის ეპოქის კულტურას, არქეოლოგები უწოდებენ „კიმერიელების ეპოქას“.

ანტიკური დროის ბერძენი ისტორიკოსების მიხედვით, კიმერიელები ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ზემოთ თრაკიაში, კავკასიიდან აკიამდე. საიდანაც გამოუდევნიათ სკვითებს. ძვ. წ. VI საუკუნეში, ბერძნებმა ქერჩის სრუტეს უწოდეს კიმერიის ბოსფორი.

ძველი ბერძენი პოეტი ჰ ო მ ე რ ო ს ი (დაახლ. ძვ. წ. VIII ს-ში) „ოდისეია“-ში აღნიშნავს, რომ კიმერიელები ცხოვრობდნენ სკვითებზე ადრე ჩრდილოეთ კავკასიის ველებში და ისინი წარმოადგენდნენ ლეგენდარულ ხალხს, რომელიც ცხოვრობს ოკეანის დასავლეთ მხარეში, სადაც არასდროს მზის სხივი არ აღწევს.

მეცნიერთა ვარაუდით, სკვითებისა და კიმერიელების შემოსევები ხდებოდა დროგამოშვებით, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროების გავლით. დასახლებულან მცირე აზიის აღმოსავლეთ და ამიერკავკასიის სამხრეთ მხარეებში.

ჰომეროსის გარდა კიმერიელებს ახსენებენ:

„ფილოლოგები არისტარქე და კრატეტი ჰომეროსის მიერ დაწერილ კიმერიელებს ასწორებდნენ „კორბერიიზე“. „კიმერიის ქალაქზე“ მოგვითხრობს ჰეკატეოსი, ეფორე ათავსებს მათ იტალიაში ავერის ტბასთან“. (148).

ნაწილი მეცნიერებისა თვლის, რომ ძველ წყაროებში მოხსენებულ კიმერიელებს ეძახდნენ ყველა იმ ტომებს, რომლებიც იმყოფებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში ძვ. წ. I ათასწლეულში

ჯერ კიდევ სკვითებამდე. ხოლო, თვით კიმერიელების წინაპრები იყვნენ ერთ-ერთი თრაკიული ტომი – **დაკები**, რომლებიც ცხოვრობდნენ დღევანდელ რუმინეთის, ყირიმისა და ყუბანისპირეთის მიდამოებში. ჩრდილოეთ კავკასიაში კიმერიელების ყოფნას არქეოლოგიური ძეგლებიც ადასტურებენ.

უძველესი ცნობები კიმერიელების შესახებ მოცემულია ასურეთის მეფის სარგონ II-ის (ძვ. წ. 722–ძვ. წ. 705) ისტორიულ ძეგლებში, ეგრეთ წოდებულ „ალანებში". სადაც მოთხრობილია, რომ ძვ. წ. 714 წელს, **ურარტუს** (ასურელები უწოდებდნენ „ურარტუს", ხოლო თვითონ ურარტელები თავის ქვეყანას „ბიაინილს" ეძახდნენ) მეფეს რუსა I-ეს (ძვ. წ. 735/730–ძვ. წ. 714) გაულაშქრია კიმერიელების წინა-აღმდეგ, მაგრამ სასტიკად დამარცხებულა და ყველა ცნობილი პიროვნებები ტყვედ ჩავარდნილან. ამავე ხანებში კემერიელებს გაულაშქრიათ ურმისპირა რაიონში მდებარე, ხეთურ-სუბარულ სამეფოს (ძვ. წ. 680 –ძვ. წ. 669) **მანას** წინააღმდეგ. კიმერიელები შეიჭრნენ სირია-პალესტინაში დაიპყრეს ურარტუ, ფრიგია, ლიდია, კაპადოკია და ეგვიპტესაც მიაღწიეს. ამის შემდეგ კიმერიელები დასახლებულან მცირე აზიის აღმოსავლეთისა და სამხრეთ ამიერკავკასიის ზოგიერთ ადგილებში, ასურეთის აღმოსავლეთ მხარეში.

ისტორიკოსი გიორგი მელიქიშვილი (1915–2002) წერდა, რომ კიმერიელებს გავლენა მოუხ-დენიათ ადგილობრივ მოსახლეობაზე. „ამის შესახებ მეტყველებს ის, რომ ძველ სომხურ წყაროებში კაპა-დოკია კიმერიელთა სახელს („გამირქ") ატარებს. საქართველოს ერთ-ერთი ოლქის თრიალეთის (სომხ. თრელ-ქ) სახელიც ერთ-ერთი კიმერიული ტომის – ტრერების (თრერების) სახელიდან უნდა იყოს წარმომდგარი". (6, ტ.I, გვ.393).

წყაროებიდან ირკვევა, რომ დროთა განმავლობაში კიმერიელების სიძლიერე შესუსტებულა და ისინი უკვე სხვადასხვა ადგილობრივ ტომებთან ერთად, როგორც დაქირავებულნი, ხან როგორც მოკავშირეები, ებრძოდნენ მანას, ასურელებს და ურარტელებს.

ასურეთის წარწერებიდან ირკვევა, რომ ძვ. წ. 679 წელს ასურეთის მეფემ (ძვ. წ. 680–669) ასარხადონმა (ასურ. აშურ-ახე-იდდინ-ნა) დაამარცხა კიმერიელთა მეფე ტეუშპა (ბრძოლის დროს დაიღუპა). მაგრამ, ამ დამარცხებას მათზე რაიმე ზეგავლენა არ მოუხდენია. ძვ. წ. 676 წელს კიმერიელებმა და ურარტელებმა გაილაშქრეს ცენტრალურ და აღმოსავლეთ მცირე აზიაში ძლიერი სახელმწიფოს ფრიგიის წინააღმდეგ, გაანადგურეს და როგორც ბერძნული წყაროები გადმოგვცემენ, ფრიგიის სამეფოს ნახე-ვრად ლეგენდარულ დამაარსებელს, ფრიგიის მეფეს (ძვ. წ. VIII ს. ბოლო – VII ს. დასაწყ.) მიდასს, „კიმერიელებთან და ურარტუელებთან დამარცხების შემდეგ მიდასს ხარის სისხლი დაულევია და თავი მოუკლავს" (8, ტ.6, გვ.678).

ცნობნილია, რომ II საუკუნის ათასწლეულში, მცირე აზიის ნახევარკუნძულზე, ევროპიდან გადმო-სახლებულმა ფრიგიელებმა შექმნეს **ფრიგიის სამეფო**, რომელმაც შეძლო ერთ დროს ძლიერი ხეთების სამეფოს განადგურება. ფრიგიის სამეფოს ასურელები და ურარტელები **მუშქების** სახელით მოიხსენებიან.

ისტორიულ წყაროებში, სამხრეთ კავკასიაში და მცირე აზიაში მყოფი კიმერიელები მოხსენებულნი არიან როგორც აღმოსავლეთ და დასავლეთ კიმერიელებად.

წყაროების თანახმად, აღმოსავლეთ კიმერიელებს მონაწილეობა მიუღიათ ძვ. წ. 673 წ. ერთ-ერთი მიდიელი ბელადის კაშტარიტის, ასურეთის წინააღმდეგ აჯანყებაში. მას

უკავშირდება დამოუკიდებელი **მიდიის** სამოფოს ჩამოყალიბება. ეტყობა, რომ ამის შემდეგ, აღმოსავლეთ კიმერიელებმა თანდათან სიძლიერე დაკარგეს და შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

დასავლეთ კიმერიელები, ძვ. წ. 660 წელს, თავს ესხმიან დასავლეთ მცირე აზიის ერთ-ერთ ძლიერ და მძლავრ სახელმწიფოს **ლიდიას**. ლიდიის მეფე გიგეს (ძვ. წ. 692–654) (ასურ. გუგუს), დახმარება უთხოვია ასურეთისათვის. ამ ბრძოლის დროს კიმერიელები დამარცხებულან. მაგრამ, ეს ყოფილა დროებითი. როგორც წყაროებიდან ჩანს, მალე კიმერიელებს დაუპყრიათ ასურეთის დასავლეთი მხარე. ასურეთის მეფეს (ძვ. წ. 668 – ძვ. წ. 626) ასურბანიფალს უხდებოდა კიმერიელთა გამუდმებული თავდასხმების მოგე-რიება. ძვ წ. 654 წელს კიმერიელები კვლავ თავს ესხმიან ლიდიას. ამარცხებენ და იღებენ მის დედაქალაქ **სარდისაც**. ამ ბრძოლის დროს იღუპება ლიდიის მეფე გიგესი. ამავე ხანებში, დასავლეთ კიმერიელები თავს ესხმიან მცირე აზიის, შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროებზე მდებარე იონიის ბერძნულ ქალაქებს. დაიპყრეს და დაანგრიეს დიდი სავაჭრო-ხელოსნური ქალაქი **ეფესო** და **მეანდროსის მაგნესია**. არ გასულა დიდი დრო და კიმერიელებმა ისევ ასურელებს შეუტიეს, მაგრამ ერთ-ერთი ბრძოლის დროს ძვ. წ. 640 წ. კიმერიელთა მეფე დუგდანი (ტუგდამმე, ლიგდამი) ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა და კიმერიელემბა ბრძოლა შეწყვიტეს. მისი მემკვიდრე სანდაკური (სანდაკურრუ, შანდაკურრუ) ასურბანი-ფალის წარწერაში მოხსენებულია როგორც „ასურეთის მტერი“. ამის შემდეგ, წყაროებში კიმერიელები აღარ ჩანან. როგორც ეტყობა, ჩრდილოეთ კავკასიიდან გადახვეწილმა სკვითურმა ტომებმა და ლიდიელებმა, ისინი გაანადგურეს და თანდათან მცირე აზიის ადგილობრივ მცხოვრებლებს შეერივნენ. (148).

4. სკვითები.

მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ **სკვითები** წარმოადგენდნენ უძველეს ირანულენოვან ტომებს, რომლებიც მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. სკვითების წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სკვითები დახეტიალობდნენ დღევანდელი უკრაინის, მოლდავეთის, სამხრეთ რუსეთის, ყაზახეთის და დასავლეთ ციმბირის ველებზე. ნაწილი მეცნიერებისა ამ დებულებას არ ეთანხმება.

„ელინიზმის ეპოქაში ეთნონიმს „სკვითი“ შავიზღვისპირეთიდან თითქმის შუა აზიამდე განსახ-ლებულ მომთაბარე ტომებსაც მიუსადაგებდნენ“. (13, გვ.62).

ძველი ბერძნები, ზემოთ დასახელებულ მიწა-წყალზე ყველა მოსახლეს, უწოდებდნენ სკვითებს. მოგვიანებით, ბერძნები და ბიზანტიელებიც, ყველა ტომებს, რომლებიც ცხოვრობ-დნენ ევროპულ ველებზე და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, მიუხედავად მათი წარმოშობისა, მოიხსენიებდნენ როგორც სკვითებს. ჩვ. წ. III–IV საუკუნეებში, გერმანულენოვან ტომებს, ბერძნები და მოგვიანებით, ბიზანტიელებიც, აღმოსავლეთ სლავებს (რუსებს), თურქულენოვან ხაზარებსა და ალანებსაც უწოდებდნენ სკვითებს.

ჰეროდოტეს გადმოცემით ძვ. წ. VII საუკუნეში სკვითებმა კიმერიელები თავიანთი მიწა-წყლიდან გააძევეს და მათი მიწა-წყალი დაიკავეს. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ჰეროდო-ტეს მიერ მოხსენებული სკვითები, მოვიდნენ სირდარიის დაბლობებიდან, ტუვიდან, ან

რომელიმე ცენტრალური აზიიდან. ნაწილი მეცნიერებისა ამტკიცებს, რომ სკვითები, ჯერ კიდევ ადრე, რამდენიმე საუკუნის წინ, როდესაც ხდებოდა გარეული ცხენის მოშინაურება, უკვე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში იმყოფებოდნენ. ხოლო, მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ათასი წლის წინ, ძირითადი სკვითების ტომები წამოვიდნენ შუა აზიიდან და შემდეგ შეერივნენ ადგილობრივ, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ტომებს.

ჰეროდოტე წერს, რომ სკვითები სახლობდნენ მდ. დნეპრისა და მდ. დონის ველებში და სკვითებმა, ძვ. წ. IV საუკუნეში ჩამოაყალიბეს სკვითების სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იყო „ნეაპოლი სკვითების“. სკვითები იყოფოდნენ რამდენიმე მსხვილ ტომებად: ძირითადათ ითვლებოდა „სამეფო სკვითები“ – აღმოავლეთის სკვითები, რომლებიც ცხოვრობდნენ ყირიმის ველებზე და ესაზღვრებოდნენ მდ. დონის სავრომატებს; დასავლეთით იმყოფებოდნენ, ეგრეთ წოდებული, მოხეტიალე-სკვითები; ჩრდილოეთით – დიაზონების ტომები და უფრო ჩრდილოეთით კი – მიწათმომქმედი სკვითები.

ცნობილია, რომ ძვ. წ. VIII საუკუნეში სამხრეთ კავკასიას და მცირე აზიას შემოესივნენ სკვითები. გადაიარეს კოლხეთი და როგორც მეცნიერები ფიქრობენ, მათ მონაწილეობა მიუღიათ ურარტუს დამხობაშიც. ძვ. წ. VII საუკუნის 70-იან წლებში შეიჭრნენ მიდიაში, სირიაში და პალესტინაში. ერთ ხანს მცირე აზიაში ჩამოაყალიბეს სახელმწიფო – **იშკუზა**. ძვ. წ. VI საუკუნეში მცირე აზიიდან სკვითები განდევნეს, ხოლო დარჩენილი ნაწილი შეერია ადგილობრივ მოსახლეობას.

(ძვ. წ. V საუკუნის ბოლო – IV საუკუნის I ნახევარი) ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მყოფმა სკვითებმა თანდათან ჩამოაყალიბეს სახელმწიფო. IV საუკუნის 40-იან წლებში, სკვითების ერთ-ერთი ტომის მეფემ ათეიმ (ძვ. წ. 429–ძვ.წ. 339), დაიმორჩილა ყველა სხვა სკვითური ტომები და მისი სამფლობელო გახდა აზოვის ზღვიდან (ყირიმიდან) მდ. დუნაიმდე. ძვ. წ. 339 წელს, ათეი დაიღუპა, მაკედონიის მეფე ფილიპე II-თან (დაახლ. 352–336) ბრძოლის დროს. ცნობილია, რომ ძვ. წ. 331 წელს სკვითების დასავლეთ მხარეს შემოესივნენ თრაკიელები, მაგრამ დამარცხდნენ. ძვ. წ. III საუკუნის ბოლოს, მდ. დუნაის მხრიდან გადმოსულმა მათივე მონათესავე ტომებმა **სარმატებმა**, სკვითები შეავიწროვეს და იძულებულნი გახდნენ დედაქალაქი გადმოეტანათ სამხრეთ მხარეში, ყირიმში და მდ. სალგირზე ააშენეს ქალაქი **ნეაპოლი** (სკვითების). ყირიმში, სკვითების სამეფოს აყვავების ხანა იყო ძვ. წ. II საუკუნე. ამ დროს მათ ემორჩილებოდათ ხერსონესი და ანტიკური ქალაქი მდ. დნეპრობუგის ლიმანის სანაპიროზე აგებული ქალაქი **ოლვია** (ბორისფენი). ჩვ. წ. I საუკუნის II ნახევარში ებრძოდნენ ბოსფორის სამეფოს.

ჩვ. წ. III საუკუნის II ნახევარში, სკანდინავიელმა გერმანულმა ტომებმა, გოთებმა, გაანადგურეს სკვითები და ხოლო გადარჩენილნი სკვითები, ხალხთა დიდი გადასახლების დროს შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას. დღევანდელ დღეს შემორჩენილია არქეოლოგიური ძეგლები (ყორღანები, ნაქალაქევები). (153).

5. სარმატები.

სარმატები – საერთო სახელწოდებაა ჩრდილოეთ მომთაბარე ირანულენოვანი ტომებისა, რომლებიც (ძვ. წ. IV – ახ. წ. IV) საუკუნეებში ცხოვრობდნენ მდ. დუნაისა და მდ. ტობოლს

შორის ველებში. მეცნიერები თვლიან, რომ სარმატებში, შედიოდნენ ანტიკური ავტორების მიერ მოხსენებული სხვადასხვა დროს ტომთა მძლავრი კავშირები (აორსები, სირაკები, როქსალენები, იაზიგები და ალანები), რომლებსაც აერთი-ანებდნენ ევროპიელ სკვითებთან და აზიელ საკებთან ერთად. ძირითადათ სარმატების ჩამოყალიბება ხდებოდა მდ. ვოლგისა და ურალის ველებზე. სტრაბონის გადმოცემით ჩრდილოეთ აზიაში, ოკეანის მხარეზე სახ-ლობდნენ „რომელიღაც სკვითებით, ნომადებით, რომლებიც კიბიტებში ცხოვრობენ; შემდეგ ქვეყნის სიღრმეში – სარმატები (ასევე სკვითები), აორსები და სირაკები, რომლებიც ვრცელდებიან სამხრეთით კავკასიის მთებამდე; მათი ნაწილი მომთაბარეა, ნაწილი კი – მიწათმოქმედთა კარვებში ცხოვრობს“. (15, გვ.27).

ჰეროდოტე გადმოსცემს ლეგენდას, რომ სარმატები, ლეგენდარული მებრძოლი ქალების **ამაზონების** და სკვითების ახალგაზრდების ქორწინებას უკავშირებენ თავიანთ წარმოშობას. ამიტომაც არის, რომ სარ-მატი ქალები მგზავრობენ ცხენით, ფლობენ საბრძოლო იარაღს, ნადირობენ, მამაკაცივით იცვავენ, ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობენ და არ თხოვდებიან მანამ, სანამ მტერს ბრძოლის დროს არ მოკლავენ. ქალებს შეეძლოდ გამხდარიყვნენ ტომის ბელადები, შეესრულებინათ ქურუმის მოვალეობაც. მეცნიერები თვლიან, რომ სარმატები ადრე განეკუთვნებოდნენ მატრიარქატულ დროს. ხოლო შემდეგ, როდესაც წარმოიშვა სარმატის საზოგადოებები, გახდა პატიარქატული. ჰეროდოტეს გადმოცემით, ამაზონებს მაინც ვერ შეუსწავლიათ სრულყოფილად სკვითური ენა. ამიტომ, სარმატები ლაპარაკობენ დამახინჯებულ სკვითურ ენაზე. (151).

მეცნიერები ფიქრობენ, რომ სარმატები ძველ დროს გამოეყვნენ სკვითებს. სპარსელები მათ უწოდებდნენ „საირიმას“ და მოხსენებულნი არიან როგორც მსხემი ტომები. ძვ. წ, VII–V საუკუნეებში ისინი განიცდიდნენ გვაროვნული წყობილების (თემის) დაშლას, თვითეული საგვარეულოს ბელადი ეყრდნობოდა სამხედრო რაზმს.

ძვ. წ. V–IV საუკუნეებში სარმატები ცხოვრობდნენ სკვითების მეზობლად და მონაწილეობას ღებუ-ლობდნენ სკვითებთან ერთად ომებში და ემსახურებოდნენ სკივთების მეფეს. წყაროებიდან ჩანს, რომ ძვ. წ. III საუკუნეში სარმატები მომძლავრდნენ და სკვითებსა და სარმატებს შორის ჩამოვარდნილა უთანხმოება. სარმატებმა დაიწყეს თავდასხმები სკვითებზე. ძვ წ. IV საუკუნის ბოლოს, სკვითებს შეუტიეს თრაკიელებმა და კელტებმა (რომაელები მათ **გალებს** უწოდებდნენ, მოგვიანებით მათ **გალატები** დაერქვათ), თრაკიის მეფემ ლ ი ს ი მ ა ქ ე მ (ძვ. წ. 306–281) სკვითები დაამარცხა. ამ ომების შედეგად სკვითები დასუსტდნენ და სარმატებმა თანდათან დაიკავეს სკვითების მიწები. სარმატები გადასახლდნენ ევროპულ სკვითედში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. ამიერიდან აღმოსავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ კავკასიას ისტორიკოსები უწოდებდნენ სარამატიას. ამის შემდეგ სარმატებმა დაიწყეს მშვიდობიანი თანამშრომლობა მეზობელ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ მიწათმომქმედ ხალხთან და ბერძნულ ქალაქებთან. ამ დროიდან, ისტორიულ წყარობში აღნიშნულია დასავლეთ და აღმოსავლეთ სარმატები.

დასავლეთ სარმატებში შედიოდნენ: **როქსოლანები, იაზიგები** და სხვ. ხოლო, აღმოსავლეთ სარმატებს ეკუთვნოდნენ: **აორსები, სირაკები და ალანები**.

დასავლეთ სარმატებმა, ახ. წ. I საუკუნეში გადალახეს მდ. დუნაი და დასახლდნენ რომის იმპერიის საზღვრებთან. მათ გამუდმებით ომები ჰქონდათ რომის იმპერიასთან, რომელიც

ხშირად იცვლებოდა მშვიდობიანი შეთანხმებით. შემდეგში, სარმატები თანდათან დასახლდნენ და დაიკავეს თითქმის დასავლეთი ევროპა, რომაელების მიერ დაპყრობილ მხარეებში: დღევანდელ უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, ყოფილ იუგოსლავიაში, საფრანგეთში, იტალიაში და დიდ ბრიტანეთში.

აღმოსავლეთ სარმატები სახლობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და აზოვის ზღვიდან კასპიის ზღვის ველებში.

ახ. წ. I საუკუნეში სარმატები შეესივნენ ამიერკავკასიას. ისინი ებრძოდნენ ამიერკავ-კასიის სახელმწიფოებს და რომაელებს. მათ, გარკვეული კვალი დატოვეს საქართველოს ისტორიაშიც.

ახ. წ. II–IV საუკუნეებში ჩრდილოეთიდან ჩამოწოლილმა გოთებმა და აზიის ტრამალებიდან წამოსულმა თათართა ტომებმა, **ჰუნებმა**, შეიერთეს სარმატები და IV საუ-კუნეში შეესივნენ დასავლეთ ევროპას, დაიწყო ეგრეთ წოდებული „ხალხთა დიდი გადა-სახლება“. დარჩენილი ნაწილი სარმატებისა შეერივნენ ჩრდილოეთ კავკაკსიის ადგილობრივ, ძირითადათ თურქულენოვან ტომებს.

ზოგიერთი მეცნიერთა აზრით, სარამატების ნაწილი შეერია აღმოსავლეთ სლავებს, კაზაკებს, უკრაინელებს და რუსებს.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ დასავლეთ სლავური მოდგმის ხალხების, სერბებისა და ლუჟიციელების (სერბოლუჟიციელები) საკუთარი სახელწოდება „შერბჯა“ და „შერბყ“, წარმომდგარი არის სარმატთა სახელწოდებისაგან, რომლებიც მოხსენებულია მწერლის და ისტორიკოსის პ უ ბ ლ ი უ ს კ ო რ ნ ე ლ ი უ ს ტ ა ც ი ტ უ ს ი ს (დაახლ. 55–116) და მწერალის, სწავლულის და სახელმწიფო მოღვაწის გ ა ი უ ს პ ლ ი ნ ი უ ს ი ს (უფროსი) (23/24–79) შრომებში, რომლებშიც აღნიშნულია, რომ შავიზღვისპირეთში და კავკასიაში იმყოფებოდნენ სარამატი ტომები. ასევე ფიქრობენ, რომ პოლონეთისა და ლიტვის გაბატონებული ფეოდალები შლიახტები წარმოიშვნენ სარმატებისაგან. დადასტურებულია, რომ დღევანდელი ოსების და იასების წინაპრები იყვნენ, სარმატების ერთ-ერთი ტომი **ალანები**. ოსურმა ენამ შეინარჩუნა სარმატული ენის თვითმყოფადობა.

„XVI საუკუნის შუა წლებში პოლონელი ჰუმანისტები იწყებენ აზრის გამოთქმას მასზე, რომ პოლონელი შლიახტები (აზნაურები) წარმოიქმნენ სარმატებისაგან, უძველესი ველის ხალხებისაგან, რომლებიც ცნობილნი იყვნენ ბერძნულ და რომაელ ეთნოგრაფებისათვის. XVII საუკუნეში ეს დებულება გახდა ძირითადი იდეოლოგია პოლონელთა დიდებულებისათვის – სარმატიზმი (თავისებური სოციალური რასიზმი: დიდგვაროვნები ითვლებოდნენ სარმატების შთამომავლებად, ხოლო მდაბიონნი – სლავები და ლიტველები). ხელოვნებათმცოდნეობაში არის განსაკუთრებული ტერმინი «სარმატიის პორტრეტი»: XVII და XVIII საუკუნეების განმავლობაში, პოლონელ დიდებულეებს სურდათ, რომ მხატვრებს ისინი გამოესახათ «სარმატებად»“. (151).

დასავლეთ სარმატულმა ტომებმა, როქსოლანებმა და იაზიგებმა, აღმოსავლეთ სარმატელ ტომებთან შეხლა-შემოხლის დროს, ძვ. წ. 125 წელს შეჰქმნეს მძლავრი, მაგრამ არა მყარი გაერთიანება. რომელიც ძვ. წ. I საუკუნეში დაიშალა და წარმოიქმნა ცალ-ცალკე, დამოუკიდებელი ერთეულები.

6. ر ო ქ ს ო ლ ა ნ ე ბ ი .

როქსოლანები იყვნენ ერთ-ერთი სარმატული მესაქონლე ტომი. რომლებიც, როგორც წყაროებიდან ჩანს, ძვ. წ. IV–II სს-ში მომთაბარეობდნენ მდ-ის: დნეპრსა და ქვემო ვოლგის შორის ველებზე. ძვ. წ. II საუკუნეში სარმატთა ერთ-ერთი მომთაბარე ტომების, აორსების, ჩამოწოლის შედეგად, როქსოლანები იძულებულნი გახდნენ მიეტოვებინათ თავიანთი ადგილები და გადასახლებულიყვნენ შავი ზღვის ჩრდილო-ეთის ველებზე, სადაც იმყოფებოდნენ იაზიგები. აქ იმყოფებოდნენ ჰუნების შემოსევამდე (IV ს.). როქსო-ლანებს სამხრეთით ესაზღვრებოდა მეოტიის ტბა (აზოვის ზღვა), ხოლო ჩრდილოეთით – უკაცრიელი ველები.

ეთნონიმის „როქსოლანი"-ს შესახებ, მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ის წარმომდგარია ირანული ენიდან „როქს-ალან" და ითარგმნება როგორც „თეთრი ალანი". ხოლო ნაწილი თვლის, რომ ეთნონიმი უფრო გვაგონებს ძველინდურ გამოთქმას – „რუქსა"-ს („რუხსა"), რომელიც ბიზანტიელები და გოთების მწერლები აღნიშნავდნენ (VI–VII) საუკუნეებში მცხოვრებ ყველა სლავურ ტომებს. მეცნიერ-ბუნებისმეტყველი, მწერალი და ისტორიკოსი მ ი ხ ე ი ლ ლ ო მ ო ნ ო ს ო ვ ი (1711–1765) „აიგივეებდა „როქსოლან"-ს „რუსა"-სთან – რუსებთან. იგი ამტკიცებდა, რომ ვარიაგებს – როსსებს ძველად ერქვათ როქსოლანები ანუ როსსოლანები (რადგან როსსები იყვნენ შეერთებულნი ალანებთან), იგი თვლიდა, რომ სახელწოდება როსსოლანები უფრო სწორი იყო, რადგან როქსოლანები წარმოადგენდა ბერძნების მიერ დამახინჯებას. ამის გარდა, იგი როსომონოვს ეძახდა როქსომალებს". ამავე აზრის იყო ისტორიკოსი და პუბლიცისტი დ ი მ ი ტ რ ი ი ლ ო ვ ა ი ს კ ი (1832–1920). იგი ამტკიცებდა, რომ: „როს ანუ რუს და როქსოლანები არის ერთი და იგივე სახელწოდება, ერთი და იგივე ხალხია". (150).

მეცნიერები თვლიან, რომ როქსოლანების მეფე ჰ ა ტ ა პ ი (ძვ. წ. II ს. I ნახ.) ამავე დროს იყო „სარმატთა მეფეც". წყაროებიდან ჩანს, რომ ქერსონელებს (ბერძნების მიერ დაარსებული ძვ. ქალაქი ყირიმში. შემდეგში „ხერსონ") ყირიმელი სკვითებისაგან თავი რომ დაეცვათ, ჰატაპისათვის დახმარება უთხოვიათ. ძვ. წ. 179 წელს ჰატაპის შემწეობით მომხდარა, პონტოს მეფე ფარნაკსა და ქერსონელებს შორის დაზავება. ძვ. წ. (110–109) წლებში როქსოლანების მეფე თ ა ს ი მ (ტასი) ყირიმელ სკვითებთან ერთად შეეცადა ქერსონესის დაპყრობას, მაგრამ პონტოს მეფის მითრიდატე VI-ის ევპატორის სარდალმა დ ი ო ფ ა ნ ტ ე მ ორჯერ დაამარცხა როქსოლანები (სკვითები) და ყირიმიდან განდევნა. ამის შემდგომ, წყაროებიდან ჩანს, რომ როქსოლანებსა და პონტოს სამეფოს შორის მომხდარა შეთანხმება და როქსოლანების მხედრები მონაწილეობას ღებულობდნენ ძვ. წ. 107 წელს მითრიდატე VI-ის მიერ ბოსფორის სამეფოს დაპყრობაში და პონტოს სამეფოს მიერ, რომაელების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში.

ჩვ. წ. I საუკუნის I ნახევარში, როქსოლანებმა გადაიწიენ უფრო ჩრდილოეთით და დაიკავეს მდ. დუნაისა და ტისას მიდამოები. ნაწილი დასახლდა დღევანდელი რუმინეთის მიწა-წყალზე. დაუახლოვდნენ რომის იმპერიის საზღვრებს. I–II საუკუნეებში ებრძოდნენ რომის იმპერიას.

ბერძენ, რომაელ და აღმოსავლეთ ისტორიკოსებს შორის, პირველად, სტრაბონმა მოგვაწოდა ცნობები, სარმატი ტომების: როქსოლანების, აორსების, იაზიგების, სირაკებისა და

ალანების შესახებ. აღწერა მათი განსახლების ადგილმდებარეობა და ცხოვრების წესები. იგი, მოგვითხრობს მათ ბრძოლებს რომის იმპერიის წინააღმდეგ. რ. თოფჩიშვილი წერს, რომ ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი ს ტ რ ა ბ ო ნ ი (დაახლ. ძვ. წ. 64/63–ახ. წ. 23/24) „როქსოლანებს, აორსებსა და იაზიგებს კიბიტებში მცხოვრებლებად მოიხსენიებს. როქსოლანების შესახებ აღნიშნავს, რომ ისინი ყველაზე ჩრდილოელები [სკვითები] არიან და მოსახლეობენ ტანაისსა და ბორისფენს შორის მდებარე ველებში. ისინი მომთაბარეობენ საძოვრების ძიებაში, იზამთრებენ მეოტიდის ირგვლივ დაბლობში, ზაფხულში კი – ველებში (ალემანი 2003: 155). ყველა მეცნიერი, რომელიც სტრაბონის ცნობას როქსოლანების შესახებ კომენტარს უკეთებს, აღნიშნავს, რომ ბერძენ ავტორს როქსოლანები ლოკალიზე-ბული ჰყავს ჩორის ჩრდილოეთით, დნეპრსა და დონს შორის. მათი მონაწილეობა ტაისის მეთაურობით ომებში, რომლებსაც პონტოს მეფე მითრიდატ VI ევპატორი აწარმოებდა სკვითების წინააღმდეგ, დამადასტურებელია სკვითების სამხრეთისაკენ მოძრაობისა, როდესაც ის მათ აზოვის ზღვის სანაპიროზე ათავსებს“. (15, გვ.25).

ტაციტუსი გადმოგვცემს, ახ. წ. (67–68) წლებში, ზამთარში, როქსოლანების გამანადგურებელ თავდასხმებს, რომის იმპერიის მიერ დაპყრობილ მდ. დუნაის მიწა-წყალზე. მათ გაუნადგურებიათ რომაელთა ლეგიონერების 2 კოჰორტა (ქვედანაყოფი). ხოლო, იმერატორის მ ა რ კ უ ს ს ა ლ ვ ი უ ს ო ტ ო ნ ი ს (გარ. 69) დროს, 69 წელს, რომაელებს გაუნადგურებიათ მეოზიაში (მეზია. მდ. დუნაისა და ბალკანეთის მთებს შორის მდებარე ძველი სახელმწიფო. მოსახლეობდნენ თრაკიელი ტომები) შემოჭრილი როქსოლანები, მათი გადარჩენილი ნაწილი დაღუპულა ჭაობში, სიცივისა და ჭრილობებისაგან. ცნობილია, რომ რომის იმპერატორის (98–117) მ ა რ კ უ ს ულ პ ი უ ს ტ რ ა ი ა ნ ე ს (53–117) დროს, როქსოლანები მონაწილეობას ღებულობდნენ რომის იმპერიის მიერ (101–102) წარმოებულ დაკიის (რუმინეთის მიწა-წყალზე, რომის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული) პირველ ომებში. წყაროების თანახმად, რომის იმპერატორის (117–138) პ უ ბ ლ ი უ ს ე ლ ი უ ს ა დ რ ი ა ნ ე ს (ჰადრიანე) (76–138) დროს, მეოზიაში სარმატებსა, როქსოლანებსა და რომაელებს შორის დაპირისპირებისას, იმპერატორი იძულებული გამხდარა მათთან ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმად რომს წლიური ხარკი უნდა ეხადა მათთვის.

IV საუკუნეში ჰუნებმა დაიპყრეს სხვა ტომებთან ერთად როქსოლანებიც. IV ს-ის გოთების ისტორიკოსი ი ო რ დ ა ნ ი ს ი აღნიშნავს, რომ როქსოლანები იმყოფებოდნენ დაკიის აღმოსავლეთით. ამის შემდეგ, მათ შესახებ ცნობები აღარ გვხვდება, ეტყობა ისინი გაითქვიფნენ ევროპის სხვა ტომებში. დღევანდელ დღეს, უკრაინაში შემორჩენილია ერთ-ერთი სოფლის დასახელება „როქსოლანი“. (150)

7. ი ა ზ ი გ ე ბ ი.

იაზიგები ეკუთვნოდნენ ერთ-ერთ ირანულენოვან სარმატთა ტომს, რომლებიც ძვ. წ. IV–II საუკუნეებში მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ აზოვის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდ-ს: დნეპრსა და დონს შორის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძვ. წ. II საუკუნეში აორსების, ჩამოწოლის შედეგად, როქსოლანები გადასახლდნენ შავი ზღვის ჩრდილოეთის ველებზე, სადაც იმყოფებოდნენ იაზიგები. იაზიგების ნაწილმა გადაინაცვლა დასავლეთ მხარეში, ქვედა

მდ. დნეპრის ველებზე, ხოლო ნაწილი, დასახლდა მდ. დუნაის შესა-რთავის მიდამოებში. ცნობილია, რომ ძვ. წ. I საუკუნეში რომის იმპერიის საზღვრებში მოექცა მდ. დუნაის დინების ქვედა მხარეები. იაზიგები ცდილობდნენ მდ. დუნაის გადალახვას და ამის გამო რომაელებთან უხდებოდათ დაპირისპირება. ძვ. წ. 69 წლის ზამთარში, იაზიგები, როქსო-ლანებთან ერთად შეიჭრნენ მეოზიაში, როგორც ზევით აღვნიშნეთ დამარცხდნენ. შემდეგ წელსაც დაეხსნენ რომაელებს, ისევ დამარცხდნენ. იაზიგები მითრიდატე VI ევპატორთან ერთად ებრძოდნენ რომაელებს. ძვ. წ. 78–76 წლებში რომაელებმა შეძლეს იაზიგების დამარცხება და ისინი განდევნეს ჩრდილოეთში. ახ. წ. 20-იან წლებში იაზიგები გადავიდნენ კარპატებზე და დასახლდნენ უნგრეთისა და სამხრეთ სლოვაკიის დაბლობებში. „ხალხთა დიდი გადასახლების“ დროს, იაზიგები გოთებთან ერთად დარჩნენ თავიანთ ადგილებზე და არ ღებულობდნენ მონაწილეობას ალანების ლაშქრობებში დასავლეთ ევროპაში. როქსოლანებთან ერთად იაზი-გები ხან რომის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ხან მოკავშირედ და ხშირად ღებულობდნენ მონაწილეობას რომის იმპერიის შინაომებშიც. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ახ. წ. I საუკუნიდან იაზიგები, ხოლო, II საუ-კუნის დასაწყისიდან როქსოლანები, ხელშეკრუ-ლების თანახმად, იმპერიის საზღვრების დაცვისათვის რომი, ყოველწლიურად მათ უხდიდა გადასახადს. როდესაც რომმა არ შეასრულა ხელშეკრულება, იაზიგები და როქსოლანები 117 წელს შეიჭრნენ დუნაის ოლქებში და ორ წლიანი ომის შემდეგ, რომის იმპერია იძულე-ბული გახდა განეახლებინა ხელშეკრულება. შემდეგში, იაზიგების მხედრების ნაწილი მიიღეს რომის ჯარში. ხოლო ნაწილი, მსახურობდა ბრიტანეთის რომის საჯარისო ნაწილებში. მეც-ნიერთა ნაწილი თვლის, რომ ბრიტანეთში გავრცელებული კელტი მითიის, მეფე ა რ ტ უ რ ი ს ა და მრგვალი მაგიდის შესახებ, თავდაპირველ წყაროს წარმოადგენდა სწორედ ეს სარმატი ტომები. II საუკუნეში იაზიგები დასახლდნენ რომის იმპერიის მიერ დაპყრობილ ოლქში, პანონიაში (ახლანდ. უნგრეთის დასავლეთის ნაწილი, ავსტრიის ჩრდილოეთის ნაწილი, სლოვენიისა და სერბეთის მიწა-წყლის ნაწილები). თანდათან, იაზიგების ხსენება ისტორიულ ლიტერატურაში შეწყდა. როგორც ეტყობა ისინი შეერივნენ შუა ევროპის ადგილობრივ ტომებს. (155).

8. ს ი რ ა კ ე ბ ი.

სირაკები, მეცნიერთა აზრით იყვნენ სარმატთა მომთაბარე ტომები, რომლებიც ძვ. წ. II საუკუნეში ამიერკავკასიიდან გადმოსახლდნენ მდ. ყუბანის ჩრდილოეთით აზოვის ზღვის ველებზე და ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობებში. მათ მოსვლამდე, ძვ. წ. IV-დან და მათ დროსაც, ამ ადგილებში ცხოვრობდნენ მიწათმომქმედთა მეოტთა ტომები. მათ შექმნეს თავიანთი სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იყო **უსპა**. რომელიც მდებარეობდა მაღლობ ადგილას, აზოვის ზღვასთან, ბოსფორის სახელმწიფოსთან ახლოს. ქალაქი ყოფილა გამაგ-რებული დამცავი კედლებით, ორმაგ წნელებს შორის ჩაყრილი მიწით და თხრილებით. ჩრდილოეთ კავკასიაში დამკვიდრებულ სირაკებს, ეტყობა, რომ თავდაპირველად ექვემდე-ბარებოდნენ თავიანთ ხელმძღვანელებსა და დიდებულებს, ხოლო შემდეგ ემორჩილებოდნენ ბოსფორის მეფეს. სტრაბონის თქმით: „ხალხები, რომლებიც შემდეგ მოდიან, მეოტიდს და კასპიის ზღვას შორის, უკვე მომთაბარენი არიან: ნამიანები, პაგიანები და მაშინვე მათ შემდეგ

სირაკები და აორსები. ეს აორსები და სირაკები, როგორც ჩანს, წარმოადგენენ განდევნილებს (გამოძევებულებს)“. ისტორიკოსი ა უ გ უ ს ტ ა ლ ე მ ა ნ ი წერს, რომ „სირაკები კი, ასევე სარმატული ხალხი, როგორც ჩანს, ცხოვრობდნენ სტავროპოლიდან ჩრდილო-დასავლეთით, მდინარე ეგორლიკის დაბლობში (მანიჩის შენაკადი), რომელიც თავის მხრივ, დონს ქვემო წელში უერთდება“. (15, გვ.28).

არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ძეგლებით დამტკიცდა, რომ სირაკებმა განიცადეს ბერძნული კულტურის გავლენა (ელინიზმი). ახ. წ. I საუკუნეში მდ. ყუბანის ველებზე მცხოვრები სირაკები იყვნენ ერთადერთი უკანასკნელი სარმატთა ტომები, რომლებიც შემორჩენილან თავის ძველ მიწა-წყალზე. ეტყობა, რომ სირაკები არც თუ ისე მრავალრიცხოვანნი ყოფილან, რადგან სტრაბონის გადმოცემით, სირაკების მეფეს ა ბ ე ა კ მ ა ს, ძვ. წ. 66–63 წლებში, შეეძლო მხოლოდ 20 000 მეომრის გამოყვანა. ამ დროს-კი, მის მეზობლად ჩრდილოეთით მყოფ აორსებს შეეძლოდ 200 000 მხედრის გამოყვანა.

ტაციტუსის გადმოცემით, ახ. წ. 35 წელს სირაკებმა და იბერიის მეფე ფარსმანმა გაილაშქრეს, პართიისა და სომხეთის წინააღმდეგ.

ახ. წ. 49 წელს სირაკები ღებულობდნენ მონაწილეობას ბოსფორის სამეფოს მიერ წარმოებულ ომებში. სირაკების მეფე ზ ო რ ს ი ნ ი მიემხრო ბოსფორის სამეფოს მეფე მ ი თ რ ი დ ა ტ ე VIII-ეს (გ. ახ. წ. 68), რომელიც შეეცადა რომისაგან განთავისუფლებას. მაგრამ მის წინააღმდეგ გამოვიდა დედინაცვალის შვილი, კ ო ტ ი ს ი, რომელიც მიემხრო რომაელებს და მისი გეგმები გასცა. ამის გამო, ყუბანისპირეთსა და ჩრდილო-აზოვისპირეთში გამართულ ბრძოლებში მითრიდატე VIII და ზორსინი რამდენიმეჯერ დამარცხდნენ. ერთ-ერთი ბრძოლის დროს მითრიდატე VIII ტყვედ ჩავარდა. ხოლო ზორსინის, რომ გადაერჩინა თავისი სამეფო, რომაელებთან ზავი დადო და ხარკის გადახდაზეც შეუთანხმდა. სირაკების დედაქალაქი უსპა რომაელებმა გაანადგურეს. არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ სირაკების სამეფო თითქმის II საუკუნის ბოლომდე არსებობდა. მდ. დონის შესართავთან მდებარე ძველ ბერძნულ ქ. ტანაისში (როსტოვის ოლქში) არქე-ოლოგების მიერ აღმოჩენილი წარწერიდან ირკვევა, რომ 193 წელს, ბოსფორის სამეფოს მეფეს (174–210) ს ა ვ რ ო მ ა ტ II-ეს დაუპყრია სირაკები და მათი დედაქალაქი უსპაც აუღია. ახ. წ. III საუკუნის დასაწყისიდან, წერილობით წყაროებში სირაკები აღარ ჩანან. ეტყობა, რომ სირაკების ნაწილს დაუწყიათ მიწათ-მოქმედებისა და სოფლის მეურნეობის დამუშავება და სირაკები თანდათან შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ სირაკების ნაწილი ძვ. წ. I საუკუნეშივე შეერივნენ ადგილობრივ მეოტთა ტომებს და მათ, მეოტების კულტურაზე და ენაზე, არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენიათ. ისინი შეერწყმნენ მეოტებს. (162).

9. ა ო რ ს ე ბ ი.

აორსები მომთაბარეობდნენ მდ. დონსა და კასპიის ზღვის ველებზე, მდ. ვოლგის ქვემო და აღმოსავლეთ კავკასიის მხარეში, სამხრეთ ურალისა და შუა აზიის ველებზე. მდინარეების ვოლგასა და დონს შორის. ჩრდილოეთ კასპიისპირეთისა და სამხრეთ ურალის ველებზე მომთაბარე აორსებს უწოდებდნენ „ზემო აორსებს“. „ქვემო აორსები“ იმყოფებოდნენ

სირაკების აღმოსავლეთით, დღევანდელი სტავროპოლის მაღლო-ბზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში და აღწევდნენ კავკასიის ქედამდე. ძვ. ბერძენი მეცნიერი კ ლ ა ვ დ ი უ ს პ ტ ო ლ ე მ ე (გ. დაახლ. 168) „უშვებს აორსთა ორი მთავარი ჯგუფის არსებობას, თუმცა ისინი განცალკებულნი არ იყვნენ“. (15, გვ.28). წყაროებიდან ირკვევა. რომ აორსები იყვნენ სარმატ ტომებს შორის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანნი და ძლიერნი. სტრაბონის გადმოცემით, ერთ-ერთი ომის დროს (ძვ. წ. I საუკუნის შუა წლები) აორსების მეფემ ს პ ა დ ი ნ მ ა – 200 000 მხედარი გამოიყვანა. ხოლო, ზევით მყოფმა აორსებმა, უფრო მეტი მხედარი გამოიყვანა, ვინაიდან ისინი უფრო მეტ ოლქებს ფლობდნენ, ჩრდილოეთ და დასავლეთ კასპიის ზღვისპირეთის მიდამოებს. აქ მყოფი აორსები ზედამხედველობას უწევ-დნენ ამ მხარეებში გამავალ ყველა სავაჭრო გზებს. რომლებიც მიემართებოდა კავკასიაში და შუა აზიაში. „აორსები, თუმცა, ცხოვრობენ ტანაისის (ძვ. ბერძ. მდ. დონი) დინებაზე, ხოლო სირაკები – ახარდეიას (ძვ. ბერძნ. მდ. ყუბანი) დინებაზე“. (141).

სტრაბონი გადმოგვცემს, რომ: „ხალხები, რომლებიც შემდეგ მოდიან, მეოტიდს და კასპიის ზღვას შორის, უკვე მომთაბარენი არიან: ნაბიანები, პაგიანები და მაშინვე მათ შემდეგ სირაკები და აორსები, ეს აორსები და სირაკები, როგორც ჩანს, წარმოადგენენ განდევნილებს (გამოძევებულებს), ამავე სახელწოდების ტომებიდან, რომლებიც უფრო ჩრდილოეთით იმყოფებიან, თანაც მათგან აორსები ყველაზე ჩრდილოეთისანი არიან და ბატონობდნენ თითქმის კასპიის სანაპიროს დიდ ნაწილზე, ამასთან აწარმოებენ ვაჭრობას აქლემებით, ინდური და ბაბილონის საქონლით, რასაც იღებდნენ სომხებისა და მიდიელებისაგან. აორსები, გარდა ამისა, ცხოვრობენ ტანაის დინებაზე“. (15, გვ.27).

ცნობილია, რომ ძვ. წ. I საუკუნეში, აღმოსავლეთ სარმატები, სირაკები და აორსები, რომლებიც იმყოფებოდნენ ყირიმისა და ბოსფორის ზღვისპირეთში, ეხმარებოდნენ ბოსფორის მეფე (ძვ. წ. 190–ძვ. წ. 159) ფ ა რ ნ ა კ ე I-ეს. ხოლო, ამავე საუკუნის შუა წლებში, სირაკები და აორსები ერთმანეთს დაუპი-რისპირდნენ. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ახ. წ. 49 წელს სირაკები მიემხრნენ ბოსფორის მეფე მითრიდატე VIII-ეს, ხოლო, აორსები და რომაე-ლები მხარს უჭერდნენ მითრიდატე VIII-ის ძმას კოტისს, რომელიც მეფეს აუჯანყდა. კოტისმა და მისმა მომხრეებმა დაამარცხეს მითრიდატე და სირაკები.

შემდგომში, ეტყობა, რომ აორსების ადგილსამყოფელი დაიკავეს აორსების მონათესავე ტომებმა – ალანებმა, რომლებმაც თანდათან დაიპყრეს მეზობელი ტომები. რომაელი ისტორიკოსი ა მ ი ა ნ ე მ ა რ ც ე ლ ი ნ უ ს ი (დაახლ. 330–400) გადმოგვცემს, რომ „თანდათან გამუდმებული მოგებებით დააუძლუ-რეს მეზობელი ხალხები და მათზე თავისი სახელი გაავრცელეს“. III საუკუნის შუა წლებიდან აორსების შესახებ ცნობები წყაროებში აღარ გვხვდება. ხოლო მათი ყოფილი სამფლობელი, რომაულ და ჩინურ წერილობით წყაროებში მოხსენებულია, როგორც „ალანია“. აღსანიშნავია, რომ ამდაგვარი სახელწოდება ვაინახების ორსტების (ინგუშ. – ორსტხოი) უმრავლეს ნაწილს დღემდე შემორჩათ. ორსტები ისტორიულად ცხოვრობდნენ ინგუშებისა და ჩაჩნების ჩრდილოეთით, ვარაუდით აორსების ბინადრობის მიდამოებში“. (141).

10. ა ლ ა ნ ე ბ ი.

მეცნიერების მიერ აღიარებულია, რომ **ალანები** წარმოადგენდნენ აღმოსავლეთის ირანულენოვან სარმატების ნახევრად მსხემი ტომების, ძვ. წ. II საუკუნიდან ერთ-ერთი ცნობილი როქსანების ტომის სახელწოდებით, რომლებიც ძვ. წ. I საუკუნიდან ცხოვრობდნენ სამხრეთ რუსეთის ველებზე, აზოვისპირეთში, ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარეების: დნეპრის, დონის, ყუბანისა და ვოლგის ველებზე. დროთა განმავლობაში ალანებმა თანდათან თავიანთი სამფლობელო გააფართოვეს და მდ. ურალის ველებიც მათ ხელში აღმოჩნდა. წყაროებში აღნიშნული „ალანთა მთები“, ერთი და იგივე სამხრეთ ურალის მუგოდჯარის მთების დასახელებაა. თუმცა, მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ალანები ერთ-ერთი თურქული მოდგმის მომთაბარე ტომები იყვნენ. ჩინურ წყაროებში ალანები მოხსენებულნი არიან, ჯერ კიდევ ძვ. წ. II საუკუნეში, ერთ-ერთი ხანის დროს როგორც „ალანია“. ჩინურ წყაროებში მოხსე-ნებულია მხოლოდ ის ტომები, რომლებიც იმყოფებოდნენ, ჩინეთის დასავლეთით კასპიის ზღვის აღმოსავლეთ მხარემდე. ხოლო, ამ წყაროებში კი, არც ერთი კავკასიელი ტომები არ არიან ნახსენები. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ალანები სხვადასხვა ეთნიკური ტომებისაგან შედგებოდნენ.

ალანები, ლათინურ, ბერძნულ და რომაულ წყაროებში, პირველად მოხსენებულნი არიან ახ. წ. I საუკუნიდა ჩრდილოეთ კავკასიელ ტომებს შორის, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი. „ყველა საისტორიო წყაროთი, რომაელებთან კონტაქტში შესვლის მომენტისათვის, ეკავათ ალანებს სტეპები შავი, კასპიისა და არალის ზღვების ჩრდილოეთ მონაკვეთებს შორის“. (15, გვ.9).

ანტიკური მწერლების გადმოცემით, ალანები სხვა სარმატი ტომებიდან გამოირჩეოდნენ საომარი სულისკვეთებით, შესანიშნავი მხედრობითა და მშვილდოსნობით. მომთაბარეობდნენ, დათარეშობდნენ და თავს ირჩენდნენ მხოლოდ მეზობელ ხალხთა ძარცვა-რბევით. ალანები მონაწილეობას ღებულობდნენ ბოსფორის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ცნობილია, რომ ალანთა ტომები, დარიალის კარის და დერბენდის გადასასვლელებით, თავს ესხმოდნენ და აოხრებდნენ სომხეთს, ატროპატენს (ბერძნ. აზეირბაიჯანი) და მცირე აზიის შუა ნაწილის ერთ-ერთ ოლქს კაპადოკიასაც. ახ. წ. III საუკუნიდან გახშირდა ალანებისა და ჩრდილოეთ კავკასიელთა მთიელ ტომებთან ერთად შემოსევები ამიერკავკასიაში. რაც ასახულია ანტიკურ, ქართულ და სომხურ მატიანეებში. ცნობილია, რომ ამ ხანებში ალანებმა მონაწილეობა მიიღეს და ააოხრეს მცირე აზიის სახელმწიფოები პართიაც და კაპადოკიაც. რომაელი ისტორიკოსის კ ა ს ი უ ს დ ი ო ნ კ ო ქ ც ე ი ა ნ უ ს ი ს (დაახლ. 153–235) გადმოცემით, ახ. წ. 134 წელს, ალანები შემოესივნენ რომისა და პართიის სამფლობელოებს. თავს დაესხნენ ალბანეთსა და მიდიას, არმენიას და კაბადოკიას. პართიის მეფე ვ ო ლ ო გ ე ს II-ეს (105–147) თავი დაუხსნია „საჩუქრებით“. რომის იმპერატორის (117–139) პ უ ბ ლ ი უ ს ა დ რ ი ა ნ ე ს (ჰადრიანე) (76–138) დროს, ალანებს ებრძოდა კაბადოკიის რომაელი მმართველი (131–137) ძვ. ბერძენი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი ფ ლ ა ვ ი უ ს ა რ ი ა ნ ე (დაახლ. 95 – 175). ცნობილია, რომ რომის იმპერატორმა (270–275) ლ უ ც ი უ ს დ ო მ ი ც ი უ ს ა ვ რ ე ლ ი ა ნ ემ (214/215–275) სპარსელების წინააღმდეგ საბრძოლველად დაიქირავა ალანები. მისი სიკვდილის შემდეგ ალანებმა კიდევ ერთხელ მოაოხრეს მცირე აზია.

276 წელს რომის იმპერატორმა (275–276) კლავდიუს ტაციტუსმა დაამარცხა, რომის იმპერიაში შემოსეული ალანები და გოთები და აღკვეთა მათი თარეში.

ახ. წ. IV საუკუნეში ალანებს, შუა აზიის ტრამალებიდან წამოსული თათართა ტომები, **ჰუნები** შემოესივნენ. გაანადგურეს და ამოხოცეს ბარის მოსახლეობის დიდი ნაწილი, ხოლო, მომთაბარე ალანების ტომთა ნაწილი შეიერთეს. ამის შემდეგ, IV საუკუნის 70-იან წლებში, ალანებმა და ჰუნებმა, გაილაშქრეს დასავლეთისაკენ და მონაწილეობა მიიღეს ხალხთა დიდ გადასახლებაში. დასავლეთ ევროპაში მყოფი ტომები ზოგი გაანადგურეს, ნაწილი დაიმორჩილეს ან განდევნეს, ზოგიერთი ტომები შეიერთეს და ევროპაში ჩამოაყალიბეს დიდი და მძლავრი გაერთიანება ატილას (ეტცელი) (434–453) მეთაურობით, რომელიც ებრძოდა რომის იმპერიას. ატილას სიკვდილის შემდეგ, ევროპაში, ალან-ჰუნების გაერთიანება სწრაფად დაიშალა. ხოლო, მეორე ნაწილს, V საუკუნის დასაწისში, ჰუნებსა და ალანებს შეუერთდა სკანდინავიის ნახევარკუნძულიდან ჩამოსახლებული აღმოსავლეთ გერმანელთა ტომები **ვანდალები** და განაგრძო მსვლე-ლობა დასავლეთისაკენ. გადათელეს დასავლეთ ევროპა და პირენეს ნახევარკუნძულის გავლით, ჩრდილოეთ აფრიკაში აღმოჩნდნენ. აქ, 10 წლის განმავლობაში ებრძოდნენ რომს და საბოლოოდ დაიპყრეს რომის იმპერიაში შემავალი ოლქი **აფრიკა.** 429 წელს აიღეს, რომის იმპერიის მიერ აღდგენილი ქ. **კართაგენი** და იქ ჩამოაყალიბეს სამეფო. რომელმაც იარსება მცირე ხანს. 534 წელს ბიზანტიამ დაიპყრო და შეიქმნა კართაგენის საერგაქოსო. დროთა განმავლობაში ამ სამეფოს მცხოვრებლები შეერწყმნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ხოლო, 698 წელს კართაგენი აიღეს არაბებმა.

ალანების მეორე ნაწილი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში მდ. თერგის დინების სამხრეთ მხარეში გადარჩა, ადგილობრივ ტომებთან ერთად, ქმნიან ძლიერ ტომთა კავშირს და ყალიბდება სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელიც ცნობილია **ალანიის** (ალანეთის) სახელწოდებით.

კატალონიელი ისტორიკოსი აგუსტი ალემანი, ასე ახასიათებს ალანებს:

„სამყაროს ორ ნაწილში განაწილებული ალანები მრავალ ტომად არიან დაყოფილი, რომელთა ჩამო-თვლის საჭიროებას ვერ ვხედავ. თუმცა ისინი როგორც ნომადები მომთაბარეობენ ვრცელ ტერიტორიაზე, რომლებიც ერთმანეთისაგან შორი მანძილით არის დაშორებული, მაგრამ, დროთა განმავლობაში, ისინი ერთი სახელის ქვეშ ერთიანდებიან და ყველას ეწოდებათ ალანები წეს-ჩვეულებების ერთგვაროვნების, ცხო-ვრების ველური წესის და ერთნაირი შეიარაღების გამო. არა აქვთ მათ ქოხები, არავინ მათგან არ ხნავს, იკვებებიან ისინი ხორცით და რძით, ცხოვრობენ კიბიტებში, რომლებიც გადახურულია ხის ქერქის მოღუ-ნული ნაჭრებით და გადაადგილდებიან უსასრულო სტეპებში. მიაღწევენ რა ბალახით მდიდარ ადგილებს, ისინი თავიანთ კიბიტებს წრეში აჩერებენ და იკვებებიან როგორც მხეცები, და როდესაც საძოვარს გამო-სჭამენ, თავიანთ „ქალაქებს“ კიბიტებზე ტვირთავენ და აგრძელებენ მოძრაობას. კიბიტებში ხვდებიან (ეყრე-ბიან) ერთმანეთს კაცები და ქალები, აქვე იბადებიან და იზრდებიან ბავშვები, ესაა მათი მუდმივი საცხო-ვრებელი, და საითკენაც არ უნდა წავიდნენ, იქაა მათი მშობლიური სახლი“. „ყველა, ვინც ასაკითა და სქესით ომისათვის გამოუსედაგარია, კიბიტების ირგვლივ არიან თავმოყრილი და ისინი დაკავებული არიან საოჯახო საქმიანობით. ახალგაზრდები კი ადრეული ასაკიდან ცხენთან არიან შეზრდილი. მამაკაცებისათვის სირცხვილად თვლიან ფეხით სიარულს“. (15, გვ.15).

რ. თოფჩიშვილი წერს, რომ: „ალანებმა მიწათმოქმედებაზე გადასვლა მხოლოდ IV–V საუკუნეების მიჯნიდან დაიწყეს მას შემდეგ, რაც ისინი ჩრდილოეთ კავკასიის ველების მკვიდრნი გახდნენ. როგორც სხვა მომთაბარეებს, ბუნებრივია, ალანებსაც მუდმივი სალოცავი ადგილი, ნაგებობა არ ჰქონდათ; მათი სალოცავი იყო მიწაში ჩარჭობილი მახვილი. ბინადრობაზე გადასული ალანები დროთა განმავლობაში ქრისტიანობას იღებენ, მაგრამ ფორმალურად. მთებში შეხიზვნის შემდეგ კი მათში წარმართობის ფაქტო-ბრივი რეანიმაცია მოხდა“. (15, გვ.16).

XIII–XIV საუკუნეებში ჩამოყალიბდა ალანთა საზოგადოებები: თაგაურის, ქურთათის, ალაგირისა და დიგორის. ალანები ამყარებენ ურთიერთობას ბიზანტიელებთან, ერთ დროს ალანები ბიზანტიელების ვასალებიც კი იყვნენ.

VIII საუკუნეში ხაზარებმა დაიმორჩილეს ჩრდილოეთ კავკასიელი ალანები. როგორც ცნობილია 1222 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში შეიჭრნენ მონღოლები. „ჟამთააღმწერელი“ მოგვითხრობს, რომ მონღოლური სახელმწიფოს დამაარსებელმა, მხედართმთავარმა, ჩინგის-ყაენმა თავის ოთხივე შვილს „მისცა ლაშქარი“ და გააგზავნა სხვადასხვა მხარეს, ქვეყნების დასაპყრობად. მის „უხუცესს“ შვილს „ერქუა თუში, რომელსა ქართველნი ჯუჩიდ უწოდ-ეს... უხუცესსა თუშის მისცა ლაშქრისა ნახევარი და წარავლინა დიდსა საყივჩაყეთსა ზედა, ხაზარეთს, რუსეთს, ოვსეთსა, ვიდრე ბნელეთამდე. და ესე ყოველი ამას მისცა“. (3, გვ.531). 1238 წელს მონღოლებმა დაიწყეს ალანიის დაპყრობა. ვინაიდან, ამ დროს ალანებმა ვერ მოახერხეს ძალთა გაერთიანება, რადგან, ალანთა ცალკეული ტომები ერთმანეთს ებრძოდნენ, მონღოლებმა 1239 წელს დაამარცხეს ალანები და აიღეს ერთ-ერთი გამაგრე-ბული ქალაქი **მაგასა**, რამაც ალანთა ბედიც გადაწყვიტა და მონღოლებმა დაიპყრეს ბარის ალანია და ალანიამ, როგორც პოლიტიკურმა ერთეულმა, საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა. მონღოლებისა და განსაკუთრებით შუააზიელი გათურქებული მონღოლი მხედარმთავრის თემურლენგის შემოსევების შემდეგ, რომელმაც ალანების მოსახლების უმრავლესობა ამოწყვიტა, ალანთა ბარის მოსახლეობის ნაწილმა, თავი შეაფარა, მაღალმთიან კავკასიის ხეობებს და იქედან განაგრძობდა ბრძოლას. დღევანდელ დღეს ალანების მხოლოდ მცირე ნაწილია გადარჩენილი ჩრდილოეთ ოსეთში, ერთ-ერთი ტომის **ახოხების** სახელწოდებით. სწორედ ისინი ითვლებიან დღევანდელი ოსების წინაპრეპად. ალანები, რომ ოსების წინაპრები იყვნენ, დადასტურებულია მეცნიერების – აგუსტი ალემანის, რუსი ფილოლოგ-ორი-ენტალისტის, ფოლკლორისტის და ეთნოგრაფის ვ ს ე ვ ო ლ ო დ მ ი ლ ე რ ი ს (1848–1913) და სხვ. მიერ.

„გერმანელი მეცნიერი ი უ დ ი გ ე რ შ მ ი ტ ი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჰუნების და შემდეგ, მონღო-ლების შეტევით, ალანები თანდათან შერეკილ იქნენ კავკასიის მთებში:

«ხალხთა შეტევით, რომლებიც მოძრაობდნენ დასავლეთის მიმართულებით (ჯერ ჰუნები, მოგვიანებით მონღოლები და სხვები), დროთა განმავლობაში ალანები მისწიეს კავკასიის მთიან მხარეებში, სადაც ისინი დღესაც ცხოვრობენ ოსების სახელწოდებით“. (15, გვ.10).

ცნობილია, რომ რუსულ ადრინდელ წყაროებში, ალანები, მოხსენებულია **იასების** სახელწოდებით, ხოლო, შედარებით ახლო წარსულის წყაროებში, ალანებს უწოდებენ „ოსეტინი“-ის (ოსები), ისევე როგორც ძირითადათ ქართულ წყაროებშია მოხსენებულნი: ალანია, ალანეთი – „ოსები“, ალანები – „ოვსები“.

თავად რუსი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ:

„ქართულ ქრონიკებში ალანებს ყოველთვის ერქვათ „ოსები“ ან „ოსი“ – როგორც დღევანდელი ოსები.

თვით სახელწოდება „ოსები“ რუსულ ენაში შემოვიდა ქართულიდან მე-17–18 ს., მაშინ როდესაც პირველად დაიწყო ოსურ-რუსული ურთიერთობა. ეს სახელწოდება წარმოსდგა ქართულიდან „ოვსეთი“ – „ოვსების მიწა (ალანების)“. (140).

მეცნიერთა ნაწილის აზრით, ალანების სალაპარაკო ენა იყო სარმატულ-ყივჩაღური ენა და ალანების ნაწილი გაითქვიფა აღმოსავლეთ სლავებთან და შეერია რუსების ერს.

X–XI საუკუნეში ბერძნული ანბანის ზეგავლენით წარმოიშვა ალანური დამწერლობა.

ალანები ურთიერთობას ამყარებდნენ მეზობელ სახელმწიფოებთან და ტომებთან. წყაროებიდან ჩანს, რომ ალანებს საქართველოს სახელფწიფოსთან ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდათ.

წყაროებიდან ჩანს, რომ ალანიაში ქრისტიანობის გავრცელებას ბიზანტიის იმპერია VI საუკუნიდან ცდილობდა ეგრის-აფხაზეთის მთავრებისა და მეფეების მეშვეობით. კონსტანტინეპოლელი პატრიარქი (895–905, 911–925) წმიდა ნ ი კ ო ლ ო ზ მ ი ს ტ ი კ ო ს ი (მისტიკოსი – საიდუმლო საბჭოს უმაღლესი მოხელე) აფხაზეთის მეფეს (922–957) გ ი ო რ გ ი II-ეს სთხოვდა მფარველობა გაეწია ალანთა არქიეპისკოპოსისათვის. თავის მხრივ თვითონ ეგრის-აფახაზეთის მესვეურებიც ცდილობდნენ ქრისტიანობის გავრცელებას ალანიაში. VIII საუკუნის ბოლოდან, მით უმეტესს IX–X საუკუნეებში, ეგრის-აფხაზეთის მეფეები ქრისტიანობასთან ერთად ცდილობდნენ ქართული ენის გავრცელებას ჩრდილოეთ კავკასიის ტომებს შორის, განსაკუთრებით ჩერქეზეთსა და ალანეთში. რასაც დიდი მნიშვნელობა ქონდა ორივესათვის. ამის უტყუარი საბუთებია შემორჩენილნი, ლიხსიქეთ საქართველოდან ოსეთში გადასასვლელ გზაზე ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები: ტაძრები, მონასტრები და ციხე-სიმაგრეები (ერთ-ერთი ასეთი ციხეა შემორჩენილი ალანეთში გადასასვლელ გზაზე **სობღისის** ციხე) და ოსურ ენაში ხმარებული, დადასტურებული ქართული ქრისტიანული სიტყვები. უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში, თანდათან ქართული ენა და ქართული კულტურა შედიოდა, ფეხს იკიდებდა და უკვე XI საუკუნეში ქრისტიანული კულტურის გარდა, ვრცლად იყო გავრცელებული საერთოდ ქართული კულტურა. „როდესაც ქართული სტილით და ქართული წარწერებით ეკლესიები შენდებოდა... საფუძველი ეყრებოდა საკათალიკოსოს დაღესტანში ან ოსეთ-ალანებში (თხაბაერდი), ამას აშენებდნენ არა ქართველი მისიონერები, არა საქართველოს სამეფო ხელისუფლება, არამედ ადგილობრივი ფეოდალური საზოგადოება, რომელიც ამ ნიშნით ქართველობას იჩემებდა. მაგრამ მათ აქ ამ ქართველობაში ახლა უკვე, უპირველეს ყოვლისა, ქართული ფეოდალური კულტურა იგულისხმებოდა“. (6, ტ.III, გვ.370).

ალანეთში ქრისტიანობის გავრცელებას, წინ გადაეღობა თურქეთის სახელმწიფო, რომლის მეშვეობითაც XVII–XVIII საუკუნეებში დაიწყო გავრცელება ისლამმა, თუმცა ისლამი ალანების მხოლოდ მცირე ნაწილმა მიიღო.

წყაროებიდან ჩანს, რომ ალანებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ როგორც ლიხსიქეთ, ასევე ლიხსაქეთ ქართველებთან. ქართულ წყაროებში და „ქართლის ცხოვრება“-ში ალანები ძირითადათ მოხსენებულნი არიან როგორც „ოვსნი“. „ქართლის ცხოვრება“-სში, ლეონტი

მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ში აღნიშნულია, რომ მაკედონიის მეფემ (ძვ. წ. 336-იდან) ალექსანდრე მაკედონელმა (ძვ. წ. 356–ძვ. წ. 323) ქართლის დაპყრობის შემდეგ (სინამდვილეში ალექსანდრეს ქართლი არ დაუპყრია და საერთოდ საქართველო არ დაულაშქრავს), მცხეთის მმართველად დანიშნა ბერძენი აზონი (აზო). რომელმაც დაიმორჩილა ქართლი, ჰერეთი, ეგრისი და მიაღწია მდ. ბერდუჯიდან (დღევ. დებედა) „სპერის ზღვამდე“ (შავ ზღვამდე). მას ხარკი დაუდვია ოსებისათვის (ესე იგი ალანებისათვის), ლეკებსა და ხაზარებისათვისაც. მის წინააღმდეგ ამხედრებულა მცხეთის მამასახლისი ფარნავაზი (ფარნავაზ I, ძვ. წ. IV ს-ის ბოლო–ძვ. წ. III ს-ის I ნახევარი), რომელსაც მიემხრო ეგრისის მმართველი (ერისთავი) ქუჯი. მათ გადმოუყვანიათ ოსები (ე. ი. ალანები) და ლეკები და დაამარცხეს აზოს მიერ მოყვანილი რომაელთა ათასი ლაშქარი, აზო მცხეთიდან გაიქცა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ფარნავაზს მჭიდრო ურთიერთობა დაუმყარებია ჩრდილოეთ კავკასიელ ტომებთან: „ოვსნი“ და „ლეკნი“. მას ცოლად შეურთავს დურძუკი ტომის ქალი. „ქართლის ცხოვრება“ „ოსებს“, ჩრდილოეთ კავკასიელ ტომებს („ლეკებს“, „დურძუკებს“, „დიდოელებს“, „დვალებს“) შორის, უფრო გვიან ჩამოსახლებულად მიიჩნევს და „ხაზართა“ (სკვითები) ტომების შთამო-მავლებად თვლის. წყაროებში აღნიშნულია, რომ ახ. წ. I საუკუნეში სომხეთის გამო ატეხილ ბრძოლაში (პართიასა, რომსა და იბერიას შორის), იბერიის მოკავშირე იყო ალანეთი. იბერისა და ალანების წინაღმდეგ, 68 წელს, რომის იმპერატორმა (54-დან) ნერონმა (ნერო) (37–68), რომ დაეცვა რომის საზღვრები ალანების შემოსევებისაგან, აპირებდა მათ წინააღმდეგ დიდი ლაშქრობის მოწყობას, მაგრამ ვერ მოახერხა. „ალანები კი ამასობაში არაერთხელ შეიჭრნენ სომხეთსა და მეზობელ მხარეებში. განსაკუთრებით გრანდიოზული იყო მათი შემოსევა, რომელიც I ს. 70-იან წლებში მოხდა. ამ ლაშქრობის შესახებ ცნობები შემოინახა I ს. ებრაელი ავტორის იოსებ ფლავიუსის თხზულებამ, აგრეთვე ძველქართულმა და ძველ-სომხურმა წყაროებმა. იოსებ ფლავიუსი ამბობს, რომ ალანებმა, განიზრახეს რა მიდიასსში შეჭრა, მოლაპარაკება გამართეს პირკანიის მეფესთან, რომელიც ფლობდა თავის დროზე ალექსანდრე მაკედონელის მიერ რკინის კარებით ჩაკეტილ გადასასვლელს. პირკანის მეფემ გაატარა ისინი და ალანების დიდი ლაშქარი შეიჭრა მიდიაში. დაიწყო აქაურობის უწყალო ძარცვა-რბევა. ასე მიაღწიეს მათ სომხეთს. სომხეთის მეფე ტირიდატი გამოვიდა მათთან შესაბრძოლებლად, მაგრამ ცოტა გაწყდა ბრძოლაში ტყვედ არ ჩავარდა: ვიღაცამ მას კისერზე ქამანდი მოაბა და მზად იყო უკვე მიეზიდა, რომ მოასწრო ხმლით თოკის გადაჭრა და გაქცევა. ალანებმა სასტიკად ააოხრეს ქვეყანა და უამრავი ნადავლითა და დიდძალი ტყვეებით გაბრუდნენ თავის ქვეყანაში“. (6. ტ.I, გვ.517). „ქართლის ცხოვრება“-ში გადმოცემულია, რომ როდესაც იბერიასა და სომხეთს შორის გამწვავდა მდგომარეობა, იბერიის სამხრეთი მიწა-წყლის გამო, (სომხეთი ცდილობდა ამ მხარის დაპყრობას), იბერები შეუთანხმდნენ ალანებს, რომლებმაც თან ჩამოიყვანეს პაჭანიკები, ჯიქები, დურძუკები და დიდოელნი, შეიჭრნენ სომხეთში და ააოხრეს. შემდეგ დიდი ნადავლით და ტყვეებით ჩრდილოეთისაკენ გაეშურნენ. „მოქცევა ქართლისა“-ში მოთხრობილია, ქართლში „ორმეფობის ხანის“ დროს, ძვ. წ. II საუკუნეში (ზოგიერთი მეცნიერთა აზრით ახ. წ. I ს. 70-იან წლებში), ქართლის მეცამეტე მეფეების აზორკისა და არმაზელის და ალანთა (ოვსთა) მეფეების სომხეთში ლაშქრობის შესახებ. მათ სომხეთი დაურბევიათ და ნადავლითა და

„ურიცხვი ტყვე“-ებით დაბრუნებულან. ცნობილია, რომ იბერიის მეფემ (II ს. 30–50-იან წლებში) ფ ა რ ს მ ა ნ II-ემ ალანთა დახმარებით გაილაშქრა რომისა და პართიის სამფლობელოებზე. ალანები შეიჭრნენ ალვანეთში (კავკასიის ალბანეთი), მიდიაში და სომხეთში. „ქართლის ცხოვრება“-ში ვრცლად გადმოცემულია, ქართლის მეფის ა მ ა ზ ა ს პ ი II-ის (III საუკუნის შუა ხანები), ბრძოლების შესახებ, ქართლში შემოჭრილ ოსებთან (ალანებთან). ქართველი ისტორიკოსი ჯ უ ა ნ შ ე რ ი (XI ს.) მოგვითხრობს, რომ ქართლის მეფის (V საუკუნის 40-იანი წ-დან – 502) ვ ა ხ ტ ა ნ გ I გ ო რ გ ა ს ა ლ ი ს დროს, მისი გამეფებისას, მისი მცირეწლოვანებით უსარგებლიათ ალანებს (ოვსებს) და ქართლი დაულაშქრავთ. „ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდმოვიდეს ოვსნი, სპანი ურიცხუნი, და მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისაჲთ ვიდრე ხუნანამდე და მოაოჯრნეს ველნი, არამედ ციხე-ქალაქნი დარჩეს თჳნიერ კასპისა, ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს, ტყუე-ყვეს, და წარიყვანეს ვახტანგის და მირანდუხტ, სამისა წლისა ქალი. რომელ დარჩეს წარუტყუენელად ჰევნი ქართლისანი, კახეთი და კლარჯეთი და ეგრისი, წარჰვლეს რანსა და მოვაკანსა, წარტყუნნეს იგინიცა, და განვლეს კარი დარუბანდისაჲ, რამეთუ თჳთ გზა-სცეს დარუბანდელთა, და შევიდეს ოვსეთს გამარჯუებულნი“. (3, გვ.158). საპასუხოდ ვახტანგმა დიდი ჯარით, დალაშქრა ალანები (ოვსები) და კავკასიონის გადასვლელი, დარიალი, დაიჭირა, თავისი დაც გაანთავისუფლა, უამრავი ტყვე ქართლში გამოგზავნა, ხოლო თვითონ კი ჩრდილოეთიდან ლიხსიქეთ საქართველოში შეიჭრა და მცხეთაში დაბრუნდა. წმ. ნ ი ნ ო ს ერთ-ერთი რედაქციის ცნობის თანახმად, „ვახტანგმა, „დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაღნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი და აღაშენა მას ზედა გოდოლი და დააყენა მას ზედა მცველნი მახლობელნი მის ადგილისანი და უწოდა მას კარად დარიალისა, და აქ თჳნიერ ბრძანებისა მეფისა ვერ ჰელეწიფების გამოსვლად ოვსთა და ყივჩაღთა“. (6, ტ.II, გვ.100). ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ ალანები თავს ესხმოდნენ როგორც ლიხსაქეთ, ასევე ლიხსიქეთ საქართველოს, კერძოდ აფხაზეთს. ისტორიკოსი მ ა რ ი კ ა ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე წერს, რომ: „მართალია, აფხაზეთმა ბიზანტიელთაგან დამოუკიდებლობა VIII ს. დასასრულს მოიპოვა, მაგრამ ბრძოლა დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის უფრო ადრე დაიწყო. ნიშანდობლივია, რომ განზე გამდგარი აფხაზეთის წინააღმდეგ ბიზანტიელები ალანების დახმარებას და მოკავშირეობას იყენებდნენ.

ალანთა შემოტევებისაგან თავდასაცავად უნდა აეგოთ აფხაზთა მთავრებს ბზიფისა და კოდორის ხეო-ბებში ციხეები, რომელთა ნანგრევები დღემდეა მოღწეული. ბზიფის ხიდიდან დაახლოვებით 8 კმ-ზე, რიწის გზაზე კოშკია აღმართული, რომელსაც გარშემო კედელი აქვს შემოვლებული. ამ ციხეს უნდა ჩაეკეტა ჩრდილო კავკასიიდან შემოსასვლელი გზა. ასეთივე დანიშნულების უნდა აეგოთ (VIII ს.), როდესაც ჩრდილოეთ კავკასიიდან უტევდნენ დასავლეთ საქართველოს, ხოლო IX–X საუკუნეებში, ეგრის-აფხაზეთის ძლიერი სამეფო თვითონ უტევდა ჩრდილო კავკასიას და შემდეგ კი ოსეთი თავის მოკავშირედ გაიხადა.

როგორც ჩანს, IX ს. შუა წლებში ოსები უკვე ეგრის-აფხაზეთის სამეფოს მოკავშირეები იყვნენ და ზურგს უმაგრებდნენ მას მტრებთან ბრძოლაში“. (6, ტ.II, გვ.441).

„მატიანე ქართლისა“-ში გადმოცემულია, რომ VIII საუკუნის II ნახევარში, არაბთაგან დევნილი ქართლის ერისთავი ნ ე რ ს ე, ოვსეთის (ალანების) გავლით გადავიდა ხაზარეთში და იქედან ჩავიდა აფხა-ზეთში. ჩანს, რომ ქართლსა და ალანებს შორის, ამ დროს, კარგი

ურთიერთობა იყო დამყარებული. ამავე მატიანიდან ირკვევა, რომ IX საუკუნის 80-იან წლებში, აფხაზების მოკავშირეები იყვნენ ალანები (ოვსები). „888 წ. ეგრის-აფხაზეთის სამეფოს მიერ ქართლისათვის წარმოებულ ბრძოლებში ოსები დასავლურ ქართული სახელმწიფოს მოკავშირეებად გამოდიან. ქართველი ისტორიკოსის ცნობით, „მოვიდეს გურგენ და ადარნასე, ძე დავითისი, უშველეს სომეხთა, შეიბნეს მტკუარსა ზედა, იძლივნეს აფხაზნი, მოკლეს ნასრა და ბაყათარ, მთავარნი ოვსი, და ერისთავი აფხაზთა“. (6, ტ.II, გვ.442).

არქეოლოგიური ძეგლები, როგორც ქართული ისე უცხოური წერილობითი წყაროები და ენათმეცნიერები ამტკიცებენ, რომ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიელ ტომებს შორის და მათ შორის ალა-ნებთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საუკუნეების განმავლობაში ყოველთვის მიმდინარეობდა ურთიერთ კავშირი. ხშირად იყო მტრული დამოკიდებულება. ხოლო როდესაც ქართული სახელმწიფო მომძლავრდა, მტრული დამოკიდებულება შეიცვალა და ალანები და ჩრდილოეთ კავკასიელი ტომები, მონაწილეობდნენ ქართველებთან ერთად ლაშქრობებში და როგორც გ. მელიქიშვილი წერს, „ქართლის არისტოკრატიაში გზას იკვლევდნენ ნაწილობრივ უცხოელებიც. კერძოდ, ჩრდილოკავკასიური წარმოშობის წარჩინებული მხედრები. უკვე ითქვა, თუ რა დიდ როლს ასრულებდნენ ქართლის მეფეთა სამხედრო პოლიტიკაში ალან-ოსთა მოკავშირე თუ დაქირავებული რაზმები. უნდა ვიფიქროთ, ქართლის მეფეებს უცხოელთა ეს კონტინგენტები მარტო გარეშე მტრების წინააღმდეგ როდი სჭირდებოდათ, არამედ მათ იყენებდნენ აგრეთვე შინაური მტრის – ადგილობრივი ზედაფენის წინააღმდეგაც. ზოგიერთი ამ უცხოელთაგან ახერხებდა ალბათ ადგილობრივ „წარჩინებულთა“ წრეში მოხვედრას და ადგილობრივ არისტოკრატიას ერწყმოდა. ხშირი უნდა ყოფილიყო აგრეთვე ქორწინებებიც ქართლის სამეფო დინასტიისა და უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლებისა, ერთ მხრივ, და კავკასიელ მთიელთა და ალანურ-სარმატული გაერთიანების სამხედრო-გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენელთა შორის მეორე მხრივ. ამის შესახებ ცნობები შემოგვინახა ქართულმა საისტორიო ტრადიციამაც, განსაკუთრებით პირველი ფარნავაზიანი მეფეების ხანის მიმართ.

ამ მჭიდრო კონტაქტის შედეგს წარმოადგენს სარმატულ-ალანური (ჩრდილო-ირანული) სახელების სიუხვე ქართლის ზედაფენებში (სამეფო საგვარეულოში, სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატიაში). ჩრდი-ლოირანული (სკვითური და სარმატულ-ალანური) ელფერისაა მეფეთა სახელები საურმაგ, ხსეფარნუგ, ქარძამ და სხვ., უფლისწული რადამისტის, ქართლის დიდ მოხელებისა და მათი ოჯახის წევრების ასპა-გურის, ზევახის, იოდმანგანის, შარაგასის, ბევრაზურიას და სხვა სახელები. სკვითურ-სარმატული სახელები საკმაოდ გვხვდება ჩვენ აგრეთვე ანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს მმართველთა შორისაც (ქუჯი, სავლაკი, რესმაგა, სპადაგა).“ (6, ტ.I, გვ.657). უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი სიტყვები გვხვდება დღევანდელ ოსურ მეტყველებაშიც, რომლებიც შეითვისეს ალან-ოსებმა ქართულიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ „არაქართული წარმოშობის ოსებს, ჩაჩნებსა და ქისტებს პრინ-ციპულად ისეთივე სოფლები და სახლები აქვთ, როგორც ქართველ ფშავ-ხევსურებს, სვანებსა და მთა-რაჭველებს“. (6, ტ.I, გვ.259). თუმცა, როგორც გ. მელიქიშვილი წერს, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს სოციალურ-პოლიტიკურისა და სამეურნეო ვითარებისა და მხარის გეოკლიმატური თავისებურობის გამო.

11. ო ს ე ბ ი

დღევანდელი **ოსების**, საკუთარი სახელწოდებაა **ირონი**, ხოლო, ჩრდილოეთ ოსეთის დასავლეთ მხარეში მყოფი ოსები, თავისთავს უწოდებენ **დიგორონ**-ს. ცხოვრობენ რუსეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში, საქართველოში, მუჰაჯირობის დროიდან თურქეთში, დიასპორებია საფრანგეთში, კანადაში და აშშ-ში.

სარწმუნეობის მხრივ ძირითადად არიან მართლმადიდებლები და აგრეთვე სუნიტი მუსულმანები.

ჩრდილოეთ ოსეთი 1920 წლის ნოემბერში შევიდა მთის რესპუბლიკის შემადგენლობაში; 1921 წლის იანვარში შეიქმნა ვლადიკავკაზის (ოსეთის) ოკრუგი მთიელთა ასსრ-ის შემადგენლობაში; 1924 წლის 7 ივლის გახდა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი რსფსრ-ის შემადგენლობაში. 1936 წლის 5 დეკემბერს გარდაიქმნა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად რსფსრ-ის შემადგენლობაში; საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990 წლის დეკემბერში ეწოდა ჩრდილოეთ-ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა რსფსრ-ის შემადგენლობაში; 1993 წელს – ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა. ხოლო 1995 წლის იანვრიდან მისი სახელწოდება გადაკეთდა და ეწოდა „ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-ალანია“. დედაქალაქი – 1933 წლიდან ვლადიკავკაზი. დღევანდელ დღესაც დარჩა რუსეთის ფედერაციაში.

ნაწილი ოსებისა, XIII საუკუნეში მცირე რაოდენობით ჩამოსახლდნენ ჩრდილოეთ საქართველოში. XVIII საუკუნეში დიდი რაოდენობით ჩამოსახლდნენ დღევანდელ ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“, ხოლო აქედან გადასახლდნენ საქართველოს სხვადასხვა მხარეებში. „1989 წელს ჩატარებული საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ბოლო აღწერით, საქართველოში 164,055 ოსი ცხოვრობდა. აქედან 64 ათასი ცხინვალის რეგიონში, დანარჩენი – საქართველოს სხვა რეგიონებში“. (11, გვ.4).

1924 წელს ოსების მოსახლეობა შეადგენდა – 280 000 კაცს; 1940 წელს – 406 000; 1959 წელს – 451 000; 1970 წელს – 552 000; 1985 წელს – 612 000. (9, ტ.11, გვ.162).

1979 წლის მოსახლეობის აღრიცხვის მიხედვით, ჩრდილოეთ ოსეთსა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ძირითად მოსახლეობას წარმოადგენდნენ ოსები და რაოდენობის მხრივ შეადგენდნენ 542 000 კაცს. „აქედან საქართველოში ცხოვრობდა 162 000. (მათგან სამხრეთ ოსეთის აო-ში – 65 000. დანარჩენნი დღესაც იმყოფებიან საქართველოს სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებში. (8, ტ.7, გვ.592). ამავე მონაცემებით ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში ცხოვრობდნენ: ოსები – 299 000 (50,5%); რუსები – 201 000; ინგუშები – 24 000; სომხები – 13 000; უკრაინელები – 11 000; ქართველები – 11 000; ყუმუხები – 7 600 და სხვები.

2002 წლის მონაცემებით რესპუბლიკაში ცხოვრობდნენ: ოსები – 445 300 (62,7%); რუსები – 164 000 (23,2%); ინგუშები – 21 400 (3,0%); სომხები – 17 100 (2,4%); ყუმიხები – 12 700 (1,8%); ქართველები – 10 800 (1,5%); უკრაინელები – 5 200 (0,7%); ჩაჩნები – 3 400; ადიღეელები (ყაბარდოელები) – 2 800; თურქები – 2 800; აზერბაიჯანელები – 2 400; ბერძნები – 2 300; თათრები – 2 100; კაზაკები – 0,7 და

სხვები. მოსახლეობის 48% ცხოვრობს ვლადიკავკაზში. (81).

2011 წლის მონაცემებით ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში ცხოვრობდა 712 378 კაცი.

„ლაპარაკობენ ოსურ ენაზე. რომელიც შედგება ირონული და დიგორული დიალექტებისაგან და განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ენათა ჩრდილო-აღმოსავლურ ჯგუფს“. (8, ტ.7, გვ.592). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსების სახელწოდება ევროპულ და რუსულ ენებში, ქართული „ოსიდან“ (ოვსი) არის შესული. ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო ენაა რუსული და ოსური.

რ. თოფჩიშვილი ოსების შესახებ აღნიშნავს:

„ოსებს XX ს-მდე ერთიანი ენდოეთნონიმი არც ჰქონიათ. აღმოსავლეთ ოსეთის სამ ხეობაში მცხოვრები ოსები თავიანთ თავს „ირონს“ უწოდებდნენ, ხოლო დასავლეთით, დიგორის ხეობაში მცხოვრებნი – „დიგორონ“-ს. მიუხედავად ამისა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეზობელი ხალხები ოსური ეთნოსის ამ ორ ნაწილს სხვადასხვა ხალხებად აღიქვამ-დნენ. ამავე დროს, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ერთიანი თვითსახელ-წოდების არარსებობის მიუხედავად, ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრებ ამ ირანულენოვან ხალხს ერთიანი თვითშეგნება მაინც ჰქონდა. რაც შეეხება ეთნონიმს „ოსი“ და დღევანდელი რუსეთის ფედერაციაში შემავალი ტერიტორიული ერთეულის სახელწოდებას – „ოსეთი“, ოსები არასდროს არ იცნობდნენ. ჯერ რუსულ ენაში და შემდეგ სხვა ხალხებში ეთნონიმი (ეგზოეთნონიმი) „ოსი“ ქართველთაგან გავრცელდა. ამ ეგზოეთნო-ნიმით ოსებს ქართველთა გარდა, ფაქტობრივად, არავინ არ იცნობდა. ოსები ანტიკური პერიოდის საისტორიო წყაროებში ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში მოსახლე ალანების ნარჩენ ხალხად მიიჩნევა, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც ხაზგასმულია, რომ ოსები ალანების პირდაპირი და უშუალო შთამომავლები არ არიან. ოსური ეთნოსი ჩრდი-ლოეთ კავკასიის მთებში, XIII ს-ის შემდეგ, ადგილობრივ კავკასიელებთან შერევის შედეგად ჩამოყალიბდა“. (14, გვ.85).

არქეოლოგიის მიერ აღმოჩენილი ძეგლებით, ცხადი გახდა, რომ ჩრდილოეთ ოსეთის მიწა-წყალზე პალეოლითის დროს უკვე ცხოვრობდა ხალხი. ხოლო, ენეოლითის ხანაში უკვე მისდევდნენ მიწათმოქმედებას და მესაქონლეობასაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცნობილია, რომ ძვ. წ. VIII–VII საუკუნეებში, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლეობდნენ კიმერიელები. ძვ. წ. VII საუკუნეში, ჩრდი-ლოეთ კავკასიაში შემოჭრილმა ძველირანულმა ტომებმა, სკვითებმა, ისინი განდევნეს და მათი მიწა-წყალი დაიკავეს. ძვ. წ. IV საუკუნიდან ჩრდილოეთ კავკასიაში, შემოიჭრნენ ირანულენოვანი ტომები სარმატები. რომლებიც შემდგომში ორად გაიყვნენ: დასავლეთ და აღმოსავლეთ სარმატებად. აღმოსავლეთ სარმატებს გამოეყვნენ ალანები. დღევანდელ დღეს მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ოსების წინაპარი ტომები იყვნენ ირანულენოვანი ალანების ის მსხვემი ტომები, რომლებიც ბინადრობდნენ ახ. წ. I საუკუნეში ჩრდილო კავკასიის მხარეში, აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის გადაჭიმულ ველებზე. როგორც რ. თოფჩიშვილი წერს: „ჩრდილოეთ ოსეთს დამატებით „ალანიაც“ უწოდეს. თუმცა ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ოსებისათვის ეთნონიმი „ალანი“ მთლად უცნობი იყო. ამ ტერმინით მათ არც სხვა ხალხები იცნობდნენ. ამავე დროს, მეცნიერებაში ისიც ხშირადაა აღნიშნული, რომ ალანები ეთნიკური თვალსაზრისით ერთგვაროვანი არ იყვნენ... რაც შეეხება კლასიკურ

ავტორთა ნაშრომებს, ალანები მხოლოდ ახ. წ. I საუკუნიდან იხსენიებიან რომის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მომთაბარე ბარბაროს ტომებს შორის. წინასწარ უნდა ითქვას, რომ ყველა საისტორიო წყაროთი, რომაელებთან კონტაქტში შესვლის მომენტისათვის, ალანებს ეკავათ სტეპები შავი, კასპიისა და არალის ზღვების ჩრდილოეთ მონაკვეთებს შორის. ყურადღება-მისაქცევია, რომ წყაროებში აღნიშნული სტეპების ზოლში მრავალი სხვა ეთნოსიც მოიხსენება, რომელთა შორის დასახელებული არიან აგრეთვე სხვა ირანულენოვანი ეთნოსები (ტომები თუ ტომთა გაერთიანებები): სკვითები, სარმატები, აორსები, როქსოლანები, რომლებთანაც ალანები მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ“. (15).

ზევით აღვნიშნეთ, რომ ახ. წ. IV საუკუნეში ალანებს შეესია შუა აზიის ველებიდან წამოსული თათართა მოდგმის ტომები, ჰუნები, რომლებმაც ალანების ნაწილი გაჟლიტეს, გადარჩენილი ნაწილი, ჩამოიწია სამხრეთისაკენ და დასახლდა ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობებში, ხოლო მთებში მცხოვრები ალანები შეუერთდნენ და შეერივნენ ჰუნების ერთ-ერთ ტომს **სავირებს** და დასახლდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთე-ბში, სვანებისა და აფხაზების მეზობლად. სწორედ, რომ დღევანდელ ოსების წინაპრებად მიიჩნევენ ამ აზიელ ალანებს. XI საუკუნეში ალანებს შემოესივნენ თურქულენოვანი ტომები ყივჩაღები, რომლებმაც ალანების განსახლების ჩრდილოეთი მხარის მიწა-წყალი დაიკავეს. წყაროებიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ XIII საუკუნის დასაწყისში ალანები სახლობდნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის ბარში. ამ ხანებში, X–XIII საუკუნეებში, ჩრდილოეთ კავკასიის შუა ნაწილში ჩამოყალიბდა ალან-ოსეთის ფეოდალური სახელმწიფო. XIII საუკუნეში, ჯერ თათარ-მონღოლთა, ხოლო შემდეგ, განსაკუთრებით თემურლენგის შემოსევების შედეგად, განადგურდა და თითქმის მთლიანად ამოწყდა ალანები. ხოლო, გადარჩენილმა ყივჩაღ-ალანთა ტომებმა თავი შეაფარეს შუა კავკასიის მთიანეთსა და ხეობებს და აქედან დიდხანს უწევდნენ თათარ-მონღოლებს წიააღმდეგობას. კავკასიის მთებში გახიზნული ალანთა ტომები შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას და „ნაწილობრივ მონღოლური მოდგმის ნოღაელებს, რის შემდეგაც, ფაქტობრივად, ახალი ეთნოსი ჩამოყალიბდა. განხორციელებული ეთნოსი ეთნო-გენეტიკური პროცესები კავკასიის მთებში დასახლების შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში გრძელდებოდა“. (15). ალანთა ჩასახლება კავკასიის ქედებზე XV საუკუნეშიც გრძელდებოდა და აქ, კავკასიის მთიანეთის ხეობებში, XVI–XVII საუკუნეებში, თანდათან ჩამოყალიბდა, ახალი ეთნოსის (ოსების), თაგაურის, ქურთათის, ალაგირისა და დიგორის საზოგადოებები.

XIII–XIV საუკუნეებში, „ხდება ალან-ოსების ბინადრობის ადგილის კიდევ ერთხელ შეცვლა. ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შესული ალან-ოსები ადგილობრივ კავკასიურ ტომებს შეერივნენ. ესენი იყვნენ ქართული წყაროების „კავკასიანნი“ და ინგუშთა წინაპარი ტომები. ოსების ადრინდელი საცხოვრისი ჩრდილოეთ კავკასიის ბარში ყაბარდოელებმა დაიკავეს და მთიდან ბარში გამოსასვლელ ადგილებში შექმნეს მტკიცე სიმაგრეები, რათა მთებში შერე-კილი ოსები ჩრდილოეთ კავკასიის ბარში საცხოვრებლად აღარ გასულიყვნენ.

XIII–XIV სს-მდე ოსები ჩრდილოეთ კავკასიის მთებში საერთოდ არ ცხოვრობდნენ...

XIII–XIV სს-დან მოყოლებული, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ოსებს

რაიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი არ ჰქონიათ. მათ არ ჰყოლიათ საერთო მმართველი. ისინი აქ ხეობებში ერთმანეთისაგან განცალკევებით ტერიტორიული თემების სახით ცხოვრობდნენ“. (14, გვ.90).

XIII საუკუნის II ნახევარში, თემურლენგის მიერ შევიწროებულმა ოსებმა დაიწყო მცირე რაოდენობით ჩამოსახლება კავკასიონის სამხრეთ ქედებზე, საქართველოში. შემდეგში, განსაკუთრებით XVIII საუკუნიდან, ოსებმა, დიდი რაოდენობთ იწყეს დასახლება ზემო ქართლში და თანდათან წარმოიქმნა ოსი ხალხის სამხრეთი შტო.

„არც ერთი საისტორიო წყაროთი, საბუთით, არქეოლოგიური მასალით არ დასტურდება ოსების საქართველოში მიგრაცია და აქ საბინადროდ გადმოსვლა არც ძველი წელთაღ-რიცხვის სხვადასხვა მონაკვეთში და არც ახ. წ-ის IV ს-ში ჰუნების შემოსევას ალან-ოსების საქართველოში დასახალკარება არ მოჰყოლია. ამ დროს ოსები დონისპირა და აზოვისპირა ველებიდან შედარებით სამხრეთით, ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ველებში წამოიწიეს.

არ დასახლკარებულან ოსები საქართველოში არც VII და არც XIII სს-ში, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს წარმოუდგენია. XIII ს-ში ოსებმა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში დაიწყეს შესვლა. რაც კარგა ხანს გაგრძელდა და დასრულდა ეს მიგრაციული პროცესი XVI ს-ის დასაწყისში. ამ პერიოდში მხოლოდ ოსების ერთმა ჯგუფმა სცადა შიდა ქართლში დასახლება.... ოსების მონღოლთა ეს ფაქტობრივად საპოლიციო რაზმები, გარ-კვეული ხნის შემდეგ, მეფე გიორგი ბრწყინვალეს მიერ განადგურებული და გაძევებული იქნენ საქართველოდან. ოსთა ამ რაზმების განადგურებისა და გაძევების შემდეგ, საქარ-თველოს სახელმწიფოს მესვეურებმა კარგა ხნით მტკიცედ ჩაკეტეს ოსეთის ხეობებიდან საქარ- თველოში შემოსასვლელი ორივე კარი (დარიალი, კასრისკარი) და კარგა ხნით შეაჩერეს ოსთა საქართველოში მიგრაცია“. (14, გვ.93).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XV საუკუნის II ნახევარში, ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობას იწყებს ოსმალეთი. 1475 წელს ყირიმის ნახევარ კუნძულის დაპყრობის შემდეგ, თურქეთი შეუდგა ჩრდილოეთ კავკასიელი ტომების დამორჩილებას და იქ ისლამის გავრცე-ლებას. ხოლო, XVI საუკუნეში ოსები მოექცნენ ყაბარდოელთა გავლენის ქვეშ. ხოლო, ამავე საუკუნის II ნახევარში, ჩრდილოეთ კავკასიას, ჩრდილოეთის მხრიდან, გამოუჩნდა ახალი დამპყრობელი – მოსკოვის სამთავრო. რომელიც 1552 წელს ყაზანისა და 1556 წელს ასტრახანის სახანოების დაპყრობის შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიის ტომებს დაუპირის-პირდა.

ირან-ოსმალეთის ომების დროს, ორივე სახელმწიფო ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასიის დამორჩილებას და ის მათი სათარეშო ადგილად გადაიქცა. თურქეთისაგან თავდაცვისა და მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, ოსები ცდილობდნენ დაკავშირებოდნენ რუსეთის იმპე-რიას და 1774 წელს ოსები იყვნენ პირველნი, ჩრდილოეთ კავაკსიის ტომებს შორის, ვინც ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთის იმპერიას და ის გახდა რუსეთისათვის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი ადგილი.

1784 წელს, მდ. თერგის ნაპირზე, სოფელ ძაუჯიყაუს ახლოს, როგორც საქართველოს სამხედრო გზის დამცველი, რუსებმა ააგეს პირველი ციხე-სიმაგრე ვლადიკავკაზი (კავკასიის მფლობელი). რომელიც 1860 წელს გარდაიქმნა ქალაქად. 1863 წელს ის გახდა თერგის

ოლქის მათავარი ქალაქი. (1921–24) წლებში, ვლადიკავკაზი გახდა, მთიელთა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ხოლო, 1924 წლიდან – ჩრდილოეთ ოსეთის (ვლადიკავკაზის) ავტონომიური ოლქის დედაქალაქი. 1931 წელს უწოდეს ორჯონიკიძე. (1944–1954) წლებში – ძაუჯიყაუ. (1954–1990) წლებში – ისევ ორჯონიკიძე. ხოლო, 1990 წლიდან, დაუბრუნეს ძველი სახელწოდება, ვლადიკავკაზი.

1783 წელს, ყირიმის სახანოსა და ქართლ-კახეთის შემოერთების შემდეგ, რუსეთი შეუდგა ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობას. შეეცადა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ხელში ჩაგდებას, განსაკუთრებით მას შემ-დეგ როდესაც იქ აღმოჩნდა მთის სიმდიდრეები და მის შესასწავლად საიდუმლოდ გაიგზავნა რაზმებიც. რუსეთის მთავრობის მიერ განხორციელე-ბულმა კოლონიურმა ღონისძიებებმა ჩრდილოეთ კავკასიაში გამოიწვია (1802–1842) წლებში აჯანყებები. ოსები ღებულობდნენ მონაწილებას შამილის აჯანყებაშიც. რუსეთის მთავრობამ, რომ გაეტეხა ოსი ხალხის წინააღმდეგობა, XIX საუკუნეში მთაში მცხოვრები ოსები გადა-ასახლა ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობებში, მოზდოკის მიდამოებში. 1918 წელს გამოცხადდა თერგის საბჭოთა რესპუბლიკა (რსფსრ-ის შემადგენლობაში). 1919 წელს ოსეთში შევიდა დენიკინის ჯარი. 1920 წელს ვლადიკავკაზის წითელმა ჯარმა და ოსმა პარტიზანებმა აღადგინეს საბჭოთა წყობილება. 1921 წელს ჩამოყალიბდა ვლადიკავკაზის (ოსეთის) ოკრუგი მთიელთა ასსრ-ის შემადგენლობაში. 1924 წლის 7 ივლისს გადაკეთდა ავტონომიურ ოლქად რსფსრ-ის შემადგენლობაში. 1936 წლის 5 დეკემბერს საბოლოოდ გარდაიქმნა ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-დ.

1937–1938 წლებში, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ასევე ჩრდილოეთ ოსეთშიც ჩატარდა სადამსჯელო მოქმედებები. იმ დროს საბჭოთა ლიტერატურაში იწერებოდა, რომ:

„უზარმაზარი წარმატებები სოციალისტური მშენებლობისა ჩრდილოეთ ოსეთში მიღწე-ული იყო ბოლშევიკების პარტიის სასტიკი ბრძოლებით, საბჭოთა ხელისუფლების მიერ ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და ხალხის სხვა მტრების წინააღმდეგ, რომელთა მიზანი იყო კაპიტალისტური წყობილების აღდგენა, კაპიტალისტების, მემამულეების და კულაკების მიერ მუშათა და გლეხთა დამონება. 1937–38 ხალხის მტრები იყვნენ გამოაშკარავებულნი და ამოძირკვნილნი“. (113, ტ.50, გვ.609).

მეორე მსოფლიო ომის დროს 1942 წ-ს ჩრდილოეთ ოსეთში შევიდნენ გერმანელთა საჯარისო ნაწილები და ვლადიკავკაზის მისადგომებთან გაიმართა შეუპოვარი ბრძოლები. 1943 წელს ჩრდილოეთ ოსეთი განთავისუფლდა გერმანელებისაგან და იქ, ისევ დამყარდა საბჭოთა წყობილება. (1943–44) წლებში საბჭოთა მთავრობამ გადაასახლა ინგუშები შუა აზიასა და ყაზახეთში და განთავისუფლებული მიწა-წყალი გადასცეს ჩრდილოეთ ოსეთს და იქ ჩაასახლეს ჩრდილოეთ ოსეთიდან და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ აო-დან, აგრეთვე საქარ-თველოს სხვადასხვა ადგილას მცხოვრები ოსების ნაწილი. 1950 წელს როდესაც დააბრუნეს ინგუშები, მათ დაუბრუნეს ადრინდელი ინგუშეთის მიწა-წყლის ნაწილი, ხოლო, ჩრდილოეთ ოსეთში მოქცეული ინგუშეთის მიწების სამაგიეროდ, გამოუყვეს ადგილები სტავროპოლის მხარეში და უფლება მისცეს იქ ჩასახლებულიყვნენ. მაგრამ, ინგუშებმა, რუსეთის მთავრობას მოთხოვეს თავიანთი დაკარგული მიწები და ამის თაობაზე 1992 წელს დაიწყო სამხედრო შეხლა-შემოხლა ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც დღემდე გრძელდება. უნდა აღინიშნოს, რომ ის ადგილები, რომლებიც ინგუშების გადასახლების შემდეგ საქართველოს გადაეცა,

მათი უკან ჩამოსახლების დროს, საქართველომ მაშინვე ულაპარაკოდ დაუბრუნა და კიდევაც სხვადასხვა სახის დახმარებაც გაუწია.

დღევანდელ დღეს ჩრდილოეთ ოსეთში განლაგებულია რუსეთის ფედერაციის რამდენიმე მსხვილი სამხედრო ნაწილები, აეროდრომები და სხვადასხვა სამხედრო შენაერთები, რომლებიც მოქმედებენ, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიელთა ხალხის, (ჩაჩნების, ინგუშების, ადიღეელების, საქართველოს და სხვ.), დათრგუნვისა და გასანადგურებლად. როგორც ცნობილია, დღევა-ნდელ დღესაც ხდება, „ოსებისა და რუსეთის მოქალაქეების დასაცავად“, ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ სამხედრო ნაწილების შემოყვანა.

რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს, რომ: „მეცნიერი ხშირად შეცდომაში შეიძლება შეიყვანოს ძველ წყაროთა ჩვენებებმა. გვიანდელი ისტორიკოსები ზოგჯერ, როდესაც აღწერენ დაახლოებით, ათასი წლის წინანდელ მოვლენებს ამა თუ იმ ტერიტორიულ ერთეულზე და აქ თუ ეთნოსი შეცვლილია, ძველი ეთნოსის სახელწოდების აღსანიშნავად მის დროს მცხოვრები ხალხის ეთნონიმს გამოიყენებენ. მაგალითად, „ქართლის ცხოვრება“, როდესაც აღწერს ჩრდილოეთ კავკასიის მოვლენებს V საუკუნისათვის, ხშირად ახსენებს ოსებს. სინამდვილეში კი ჰუნები იგულისხმება“. (13, გვ.63).

ძველ ქართულ წყაროებში აღნიშნულია, რომ ქართლის (იბერიის) მეფე ფარნავაზ I-მა თავისი და მიათხოვა „ოვსთა მეფეს“ და მტრებთან ბრძოლაში მას ეხმარებოდნენ „ოვსნი და ლეკნი“. „ქართლის ცხოვრება“-ში მოთხრობილია, რომ ახ. წ. I საუკუნეში იბერიელნი, ალანები და სხვა მთიელები ერთად იბრძოდნენ სომხეთის წინააღმდეგ. ეტყობა, რომ სხვა დროსაც, დროდადრო ალან-ოსები და სხვა ჩრდილოეთის ტომები მოქირავნეთა სახით, მონაწილეობას ღებულობდნენ იბერიელთა ლაშქრობებში.

ქართლის მეფე ამაზასპი II (III ს-ის შუახანები) რომის წინააღმდეგ გამართულ ომში, მას მხარს უჭერდნენ სპარსელები, სომხები, მეგრები ანუ ლიხსიქეთ ქართველები და ალანები („ქართლის ცხოვრების“ თქმით ოსები).

ი. ჯავახიშვილი წერდა, რომ ვახტანგ გორგასლის დროს, „ჰუნების“ სახელით ცნობილი ჩრდილოეთ-კავკასიელი“ ტომების „მოულოდნელი შემოსევებისაგან უზრუნველსაყოფად საზღვრის დასაცავად საჭირო ხაზის უფრო წინ წაწევა აუცილებელი გამხდარა“ და ამიტომაც ვახტანგ გორგასალს ჩრდილოეთში გაულა-შქრნია. „რომლის მოქმედების აღწერილობა ჯუანშერს სრულებით ზღაპრული სურათებით აქვს შეფერადებული და დაჩრდილული, მაგრამ მოკლედ და მკაფიოდ, თუმცა მაინც ყივჩაყთ შეცდომით ჩართვით. ეს ამბავი ე. წ. „საეკლესიო მატიანეში“ არის მოთხრობილი. ამ ძეგლის ავტორს ნათქვამი აქვს: „ვახტანგმა «დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაღნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი და აღაშენა მას ზედა გოდოლი და დააყენნა მას ზედა მცველნი მახლობელნი მის ადგილისანი და უწოდა მას კარად დარიალ[ან}ისა[დ] და აწ თჳნიერ ბრძანებისა მეფისა ვერ ჴელეწიფების გამოსვლად ოვს-თა და ყივჩაყთა»-ო (1, ტ.I, გვ.272).

საქართველოსათვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ჩრდილოეთის მხრიდან, მთავარი გადმოსასვლელის, დარიალის გზას. ამიტომაც იყო, რომ ვახტანგ გორგასლის შემდეგაც, ჯერ კიდევ, XI საუკუნიდან დაწყებული, გაერთიანებული საქართველოს მეფე-მთავრები ცდილობდნენ ამ გზის ხელში ჩაგდებას და გამაგრებას. ცნობილია, რომ საქარ-

თველოს მეფემ (1027-დან) ბ ა გ რ ა ტ IV-ემ (1018/20–1072) კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარა ოსებთან. მან ცოლად მოიყვანა ოსეთის მეფის დ ო რ ღ ო ლ ე ლ ი ს და ბ ო რ ე ნ ა და ოსები ხშირად ეხმარებოდნენ მას ბრძოლების დროს. 1068 წელს როდესაც შედადიანთა მმართველი (განძის ამირა) (1067–1073) ფ ა დ ლ ი ბ ნ შ ა ვ უ რ ი 33 ათასიანი ლაშქრით საქართველოს შემოესია, ბაგრატ IV-ეს ცოლისძმა დორღოლელი დაეხმარა და უფლისწულ გიორგის (შემდეგში გ ი ო რ გ ი II საქართველოს მეფე 1072–1089) მეთაურობით ქართველ-ოსეთის ლაშქარმა ფადლი სასტიკად დაამარცხა და განძაც დაარბია. ფადლიც ტყვედ ჩავარდა და იძულებული გახდა დაპყრობილი ციხე-სიმაგრეებიც უკან დაებრუნებინა. შემდეგში, სელჩუკთა სულთნის ჩარევით ფადლმა ციხე-სიმაგრის გაგის სანაცვლოდ ტყვეობიდან თავი დაიხსნა. საქართველოს მეფემ (1089–1125) დ ა ვ ი თ IV (1073–1125) ა ღ მ ა შ ე ნ ე - ბ ე ლ მ ა 1118 წელს გაილაშქრა ჩრდილოეთ კავკასიაში და ოსები, ლეკები და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ტომები, ყმადნაფიცები გახადა. ი. ჯავახიშვილი წერს, რომ „დავით აღმაშენებლის ჩრდილო კავკასიის საზღვარზე გამოჩენისთანავე, მასთან ოსთა ყველა სამფლობელოების უფროსები მივიდნენ მორჩილებისა და ერთგულების გამოსაცხადებლად. მეფემ მათ ყივჩაყებთან ფიცისა და ზავის წიგნი დაადებინა და სიტყვა ჩამოართვა, რომ ყივჩაყებს საქართველოში გადმოსასახლებლად მშვიდობით გამოატარებდნენ. როგორც გამო-ცდილ პოლიტიკოსს, დავით აღმაშენებელს კარგად ესმოდა, რომ მარტო ეს საკმარისი არ იყო, ამ ხელშე-კრულების ასრულების უზრუნველსაყოფად, მან ოსთა მთავრებს მოსთხოვა, რომ გზაზე მდებარე ყველა მნიშვნელოვანი ციხეები საქართველოსათვის ყოფილიყო გადმოცემული. ეს პირობა მათ აუსრულეს და დავით აღმაშენებელმა ყველა ამ ციხეებში საქართველოს მეციხოვნე ჯარი ჩააყენა: ამის შემდგომ ოსები თავიანთ სიტყვას ვერ დაარღვევდნენ და საქართველოში მომავალ ყივჩაყებს ვერ დაეცემოდნენ“. (1, ტ.II, გვ.355). „ეს დიდი პოლიტიკური გამარჯვება იყო: მარტო ის რადა ღირდა, რომ ჩრდილოეთის ყველა კართა ციხენი ამიერითგან საქართველოს სახელმწიფოს ხელში იქმნებოდა? ამასთანავე ოს-ყივჩაყთა შერიგება და ქართველთა მეფის ყმად გახდომა საქართველოს ჩრდილოეთით ზურგს უმაგრებდა და უზრუნველჰყოფდა ისე, რომ დავით აღმაშენებელს შეეძლო მთელი თავისი ყურადღება და საქართველოს შეერთებული მხედრობა მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართა“. (1, ტ.II, გვ.199). მან დარიალის გზა გაამაგრა, ააშენა ციხეები და სასახლეები. ისტორიკოსის გ ი ო რ გ ი თ ო გ ო შ ვ ი ლ ი ს ცნობით, დავით აღმაშენებელი ოსების ნათესავიც ყოფილა, მას თავისი ქალიშვილი ოსეთში გაუთხოვებია. დავით აღმაშე-ნებელმა შექმნა უძლიერესი სახელმწიფო. დავით აღმაშენებელი თავის შვილს დემეტრეს, შემდგომში მეფე დ ე მ ე ტ რ ე I-ეს (1125–1156), „სამემკვიდრეოდ უტოვებს მისი ღვაწლით მოგებულ მამულს „ნიკოფსიითგან დარუბანდისა ზღუდემდე და ოვსეთიდგან – სოერად და არეგა-წამდე“. ამავე ანდერძში დავითი ამბობს, რომ შვილს დემეტრეს „მივეც დროშა ჩემი სვიანი, აბჯარნი ჩემნი სამეფონი და საჭურჭლენი ჩემდი ზემონი და ქუემონი“. (6, ტ.III, გვ.261).

როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „ქართველების მაშინდელ მთელს სიძლიერეს ის შეადგენდა, რომ სამხედრო ძლევამოსილების გარდა მათ თავიანთ სახელმწიფოში სხვა ერთათვის ისეთი ხელშემწყობი პირობები შეჰქმნეს, რომ ისინიც, როგორც მაგ. სომხები, ოსები, თვით მაჰმადიანნიც, ქართველთა მეთ-აურობით საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებისათვის და კეთილდღეობისათვის ქართველებთან ერთად თავგამოდებით იღვწოდნენ.

სწორედ აქ და ამ ხანაში გამოიჩინეს ქართველებმა დიდ-სახელმწიფოებრივი აზრის შეგნებისა და მისი განხორციელების უტყუარი ნიჭი“. (1, ტ.II, გვ.307).

წყაროებიდან ირკვევა, რომ დავით აღმაშენებელის შემდეგაც, დემეტრე I-ის დროსაც საქართველოს ყმადნაფიცები იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიელი ტომები, მათ შორის ოსებიც.

„ისტორიანი და აზმანი შარავენდადთანი“-დან ჩანს, რომ საქართველოს მეფის გიორგი III-ის დროსაც ოსები ისევ ყადნაფიცები იყვნენ. ამ მატიანეში მოთხრობილია, რომ სპარსეთის ათაბაგმა ი ლ დ ი გ უ ზ მ ა შეკრიბა „ისლემობისათა“ დიდი ლაშქარი და „შეიყარნეს რანს და მომართეს ქუემოკერძოსა ქუეყანასა სომხითისასა და მოადგეს ციხესა გაგისასა. აიღეს იგი და მოაოჯრნეს ყოველნი საზღვარნი.

ცნა ესე სახელგანთქმულმან, უძლეველმან მჯედარმან და უებრომან ჭაბუკმან გიორგი მეფემან და მსწრაფლ შემყრელმან შჯიდთავე მისთა სამეფოთა, იმერთა და ამერთამან, გამოახსნა ოვსნი და ქუეყანანი დიდძალნი და მომართა სულტანსა, მყოფსა აურაცხელითა და უამრავითა ლაშქრითა. რამეთუ იყვნეს აქეთცა სიკეთე და სიდიდე დაუსრულებელი, და მომართეს და გავიდეს ადგილთა მათ ლაშქართასა. და ვითარცა ცნა ესე სულტანმან, ათაბაგმან და ყოველთა ფალავანთა და დიდებულთა მათთა, თქუეს, ვითარმედ: „არა არს კაცი დღეს პირისპირ შემბმელი გიორგისი და მისთა ლაშქართა ქუეყანათა ზედა, მივრიდოთ, თავი დავიფაროთ!“ (3, გვ.387).

წყაროებიდან ცნობილია, რომ მეფემ (1156–1184) გ ი ო რ გ ი III-ემ 1150 წელს ცოლად მოიყვანა ოსთა მეფის ხ უ დ დ ა ნ ი ს ასული ბ უ რ დ უ ხ ა ნ ი (ბორდოხანი) (გ. 1180-იანი წლების დასაწყისში). ამ მოყვრულმა კავშირმა უფრო მეტად განამტკიცა საქართველოსა და ჩრდილოეთ ტომებთან ურთიერთობა.

საქართველოს მეფის (1184-დან) თ ა მ ა რ მეფის (დაახლ. 1160–1213) ისტორიკოსი და პოლიტიკური

მოღვაწე ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი (XII–XIII სს.) გადმოგვცემს:

„დაჯდა ნებითა ღმრთისათა თამარ მეფედ დასაბამითგანთა წელთა ექუსი ათას ექუსას ოთხმოცდაექუსსა, ქორონიკონსა ოთხას და სამსა, შვილი მეფეთმეფისა გიორგისი, დიდისა დავითის ძისა დემეტრეს ძისა, ცოლისაგან ბურდუხან ოვსთა მეფისა ასულისა, რომელი ჰმატდა სიკეთესა დედათასა სხჯთა ყოვლითა, გარნა თამარის დედობითა. სძალი სხუა მისებრი მაშინ არა ეხილვა ქართლისა თემსა, და შემდგომითი-შემდომად აქონ“. (3, გვ.484).

თამარ მეფის დროსაც, ოსებსა და ქართველებს შორის კარგი ურთიერთობა იყო დამყარებული. დიდებულებმა, მიუხედავად თამარის წინააღმდეგობისა, მას შერთეს ერთმორწმუნე რუსეთიდან ჩამოყვანილი, სუზდალის მთავრის შვილი, ნოვგოროდის მთავარი (1172–1175) ი უ რ ი („გიორგი რუსი“, „უბედური რუსი“). როგორც „ისტორიანი და აზმანი შარავენდედთანი“ გადმოგვცემს, ქართველობამ თამარს დიდებული ქორწილი გადაუხადეს, ქორწილში მოსულნი ყოფილან ალანების (ოსეთის) წარმომადგენლებიც.

„მოსრულ იყვნეს ოვსთა მეფეთა შვილნი, შუენიერნი და სახეკეთილნი მოყმენი, მოჰაჯენი და მთხო-ველნი, ღირსნი და მინდობილნი ჭაბუკობისანი“. (3, გვ.412).

გიორგი რუსთან განქორწინების შემდეგ, 1187 წელს თამარის ქმარი გახდა, ოსეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი, დ ა ვ ი თ ს ო ს ლ ა ნ ი (გ. დაახლ. 1203/4), რომელიც „გაზრდილი“ იყო თამარის მამიდის, რ უ ს უ დ ა ნ ი ს (დაახლ. 1194–1245) მიერ. (შემდეგში საქართველოს მეფე 1223–1245) „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს დახასიათებით

ალანები (ოსები) იყვნენ: „კაცნი მძლენი და ძლიერნი ბრძოლასა შინა“. (3, გვ.419).

თვითონ დავითი „იყო უკუე შვილი ოვსთა მეფისა, გაზრდილი რუსუდან დედოფლისა, ყრმა ფრიად შუენიერი ასაკითა, ვითარცა შუენის მეფეთა შვილსა... ამისი ინებეს ყოველთა შეერთება თამარისი და საქმე ღმერთსა მიანდვეს. თამარცა მიემორჩილა ნებასა მათსა მეცნიერებისათჳს ყრმისა. არღარა ყოვნეს, არამედ შეიყარნეს დიდუბეს და შერთეს დავით თამარს“. (3, გვ.488.).

ამავე მატიანეში მოთხრობილია, რომ „ამას ჟამსა შინა“ ადარბადაგანის (აზერბაიჯანი) ა მ ი რ - ბ უ ბ ა ქ ა რ ი (ამირ-ბუბქარი) შირვანს (შარვანი, აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე) „დაესხა“ და შირვანშაჰი „გააქცივნა და თჳთ დარჩა გალაღებული და გადიდებული ჟამადმე“. (3,გვ.434). რადგან შირვანი საქართველოს ყმადნაფიცი იყო და „შარვანშა“ და მისი სიძე „უღონო იქმნეს“, ამიტომ შირვანშაჰი და ა მ ი რ - მ ი რ მ ა ნ ი დახმარების სათხოვნელად საქართვე-ლოსაკენ გამოემართნენ.

„და შეიყარნეს ზარითა მით გონებისა ზარგანმ დელითა, და შეიქმნა დარბაზობა.....

პირველად, რა გამოვიდეს ტფილისით ქალაქით, მიეგებნეს წინა ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი “. (3, გვ.436).

„ბასილი ეზოსმოძღვარი“-ს გადმოცემით, თამარის დროს, შემოერთებული და ყმადნაფიცი ქვეყნები, მათ შორის ოსებიც, იმყოფებოდნენ უდარდელად და ყოველმხრივ დაცულნი.

„თამარის ქებათა იტყოდიან. ესრეთ ყოველი სოფელი სავსე იყო მისმიერითა ქებითა, და ყოველი ენა ადიდებდა, რომელსაცა ოდენ სახელი მისი ასმიოდეს.

ხოლო საქმეთა მისთათჳს რადღა საჴმარ არს თქმად? რამეთუ კიდით კიდედმდე განისმნეს, ვითარცა თჳთ მოწამე არს ყოველი ჩუენ მიერ ხილული....

სახლი შარვანშე[ლთა] და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქამაგთა, კარნუ-ქალაქელთა და ტრაპიზო-ნელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა“. (3, გვ.518–519).

წყაროებიდან ჩანს, რომ შემდეგ წლებშიც, საქრთველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ტომებსა (მათ შორის ოსებთანაც), არ შეწყვეტილა კეთილმეზობლური და მოყვრული დამოკიდებულება. „ჟამთააღმწე-რელი“ მოგვითხრობს, რომ როდესაც ხვარაზმშაჰი (1220-დან) ჯ ა ლ ა ლ ე დ ი ნ ი (გ. 1231), 1227/28 წელს „დაუტევა ადარბადაგანი“ და წამოემართა მეორედ ტფილისს“, საქართველოს მეფემ რუსუდანმა „მოუწოდა ყოველსა სპათა თჳსთა, იმერთა და ამერთა... განუხუნა კარნი დარიალისანი და გარდამოიყვანნა ოსნი, დურძუკნი, ამათ თანა ყოველნი მთიულნი. შეკრბეს ნაჭარმაგევსა სიმრავლე ურიცხჳ და წარავლინა მეფემან ბრძოლად ხუარაზმელთა“. (3, გვ.544).

როგორც ვიცით, XIII საუკუნის II ნახევარში, ქართლში დაიწყო შინაპოლიტიკური რღვევა. როდესაც ჩრდილოეთ კავკასიას და შემდგომ, საქართველოსაც შემოესია მონღოლ-თათართა ტომები და საქართველოს მდგომარეობა შეიცვალა, საქართველომ ძლევამოსილება დაკარგა და ამ შემოსევების გამო მისი მოსახლეობა, განსაკუთრებით ბარში, შემცირდა და ზოგიერთ ადგილებში საერთოდ გაწყდა, საქართველოსა და ოსეთს შორის ურთიერთობა შეიცვალა და ისტორიული წყაროების თანახმად, თვით მონღოლთა ხელის შეწყობით, ის მტრულ დამოკიდებულებაში გადაიზარდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონღოლებისა და შემდგომ, ოქროს ურდოს ბრძანებლის, თემურლენგის მიერ შევიწროებული ალანები, იძულე-

ბულნი გახდნენ, გადასახლებულიყვნენ და თავი შეეფარებინად, ჩრდილოეთ კავკასიის ხეობებსა და მთებს. შემდეგში, ამ ადგილებში ჩამოყალიბებულმა ოსთა ტომებმა, დაიწყეს მარბიელი ლაშქრობები და თანდათან ჩრდილოეთ ქართლში ჩასახლება. თუმცა, საქართველოს მეფეები დროდადრო მაინც ახერხებდნენ ალან-ოსებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას და დამოყვრებასაც.

ცნობილია, რომ საქართველოს მეფემ (1247-დან) დ ა ვ ი თ VII უ ლ უ მ (გ. 1270), როდესაც იგი იმყოფებოდა მონღოლეთში, 1247 წელს, როგორც ეტყობა პოლიტიკური მოსაზრების გამო, ცოლად მოიყვანა მონღოლი ქალი, ჯ ი გ დ ა - ხ ა თ უ ნ ი. მაგრამ, იგი ისე გარდაიცვალა (დაახლ. 1250), რომ შვილი არ გასჩენია. როდესაც ცხადი გახდა, რომ ჯიგდა-ხათუნმა „არა შვა შვილი", დავით ულუმ ცოლად მოიყვანა ოსი ქალიშვილი ა ლ თ უ ნ ი (გ. 1270), რომლისგანაც შეეძინა გ ი ო რ გ ი და თ ა მ ა რ ი.

„ჟამთააღმწერელი" აღნიშნავს, რომ:

„ამათ ჟამთა შინა მწუხარე იყვნეს წარჩინებულნი მეფისანი, რამეთუ ჯიგდამან არა შვა შვილი. ამისთჳს ინება მეფემან მოყვანება, შვილიერების ძლით ალთუნ, ნათესავით ოვსი, მეუღლედ, აღმთქმელმან, უკეთუ მიეცეს ყრმა წული, არღარა შეიწყნაროს, არამედ განუტეოს. და ვითარ გამო და მცირე ჟამი, მუცლად-იღო ალთუნ ძე და შვა, და უწოდეს სახელი გიორგი, რომელი აღიქუა და შეიყვანა შვილად დედოფალმან ჯიგდა-ხათუნ. და შემდგომად მცირედისა მიუდგა და შვა ასული, და უწოდა სახელი თამარ. და აქა შინა განიშორა საყუარელი თჳსი ალთუნ, ნათესავით ოვსი, რომელი ფრიად ქმნულკეთილი იყო. და შემდგომად მცირედისა გარდაიცვალა დედოფალი ჯიგდა-ხათუნ, და წარიყვანეს სამარხოსა დედოფალთასა მცხეთას და დაკრძალეს". (3, გვ.581).

ამავე ხანებში, „საქართველოს ქალაქებსა და სამიწათმოქმედო მესაქონლეობის ტერიტორიებს იკავებენ ჩრდილოეთის ურდოსაგან დევნილი ჩრდილო კავკასიის ტომები, რომლებიც ილხანთა სამსახურში შედიან". (6, ტ.III, გვ.581).

დავით VII-ის დროს ოქროს ურდოს ყაენის ბ ე რ ქ ა ს ა გ ა ნ (ბერქა-ყაენი) (1209–1266) ოტებული ალანების ნაწილი, ერთი დიდი თემი, დარუბანდის გადმოსასვლელის გავლით საქართველოში ჩამოსულა. მეფეს ისინი ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილის ჰ უ ლ ა გ უ - ხ ა ნ თ ა ნ (1217–1265) გაუგზავნია. „ულუ ყაენმან შეიწყნარა ფრიად და უბოძა ხარაჯა და მოლაშქრედ და თანამებრძოლელად განაჩინა". მოლაშქრეებად ქცე-ული ოსები ყაენს ისევ საქართველოში, დავით მეფესთან გამოუგზავნია („და ესრეთ მეფეს თანავე წარმო-ავლინა"). რომელსაც მათ ყაენისავე ბრძანებით, მუდმივ საცხოვრებლად და სახარაჯოდ გადასცა ადგილები: ქ. თბილისში, ქ. ჟინვანსა და მის მიდამოებში (არაგვის ხეობაში), ქ. დმანისსა და მის მიდამოებში (ქვემო ქართლში, ტაშირი).....

მოსული ოსების მრავალრიცხოვნობას მოწმობდა მათთვის დიდი და თანაც შემოსავლიანი ადგილების გამოყოფა....

ოსები მონღოლთა მხარდაჭერით აფართოებენ თავიანთ უფლებებს და სამფლობელო ტერიტორიებს, ცდილობენ სამუდამოდ გამოდევნონ ადგილობრივი მფლობელები (წვრილი და საშუალო მიწისმფლობე-ლები)". (6, ტ.III, გვ.581-582).

თანდათან ჩამოსახლებული ოსები ისე გაძლიერებულან, რომ მათ დაუკავებიათ ქალაქი გორი და მის გარშემო მდებარე მიწებიც. ოვსთა მთავრები ისე გათამამებულან, რომ „აოხ-

რებდა ქვეყანათა და ხოცთა კაცთა“. „მათი მოქმედება საქართველოში (მიწებისათვის ბრძოლა) პოლიტიკურად შეზღუდველი და უმაღლესად სანქცირებულიც კი იყო. სწორედ ასეთ ვითარებაში მოსულებთან დამხდურთა ბრძოლას მწვავე და მასობრივი ხასიათი ჰქონდა: თვითმხილველი ისტორიკოსიც კარგად ამჩნევდა, რომ იბრძოდა „ყოველი ქართველი“ და „იყო ჭირი დიდი მკვიდრთა ქართლისათა“. (6, ტ.III, გვ.612).

„ჯამღააღმწერელი“-ს თანახმად, საქართველოს მეფის (1293–1311) დავით VIII-ის (დაახლ. 1273/74– 1311) დროსაც ოვსნი და ყივჩაღები ისევ საქართველოს ყმადნაფიცები იყვნენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, „დავით VIII-ის აჯანყების ჟამს, როცა მთიულეთი და ქართლი მონღოლთაგან რბევათარეშით იყო აკლებული და მეფის ურჩ ფეოდალებსაც თავი წამოეყოთ, ოსმა ფეოდალებმა ბაყათარის მეთაურობით ხელი მიჰყვეს შიდა ქართლის, თრიალეთის შევიწროებას; ქართველ აზნაურობას მამაპაპეული მამულებიდან აძე-ვებდნენ, სამაგიეროდ თვითონ ჯდებოდნენ ფეოდალებად. ამჯერადაც დასუსტებული ბარი წინააღმდეგობას უნარმოკლებული აღმოჩნდა“. (6, ტ.III, გვ.613).

უმეფობის ხანაში, „ჟამთააღმწერელი“-ს გადმოცემით, 1292 წელს, დარუბანდის გადმოსასვლელით, ქართლში შეიჭრნენ ოსები და „იწყეს ოვსთა ოჯრებად, ჯოცად, და რბევად, და ტყუენვად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყუენეს და თჯსად დაიჭირეს ოვსთა. მაშინ შეკრბეს ქართლის ერისთავისა ბეგას ძესა. ჰამადას, წინაშე ყოველნი ქართველნი და მოადგეს გორსა. და მრავალგზის შეებნეს ქალაქსა შინა, მრავალი კაცი მოკუდა, ოვსიცა და ქართველიცა, და დაწუეს გორი სრულიად. და ვითარ მისჭირდა ოვსთა, ციხედამე გარდმოუშვეს საბლითა კაცი და წარავლინეს მუხრანს მდგომთა თათართა თანა, რათა შეეწივნენ. ვითარცა ესმა, ჩამოდგეს შუა, შუელა ქმნეს და ზავი. მიერითგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა“. (3, გვ.631).

„ჟამთააღმწერელი“-ს გადმოცემით ვახტანგ III-ის (1298/99–1308) დროსაც, გორში ოსები იმყოფებოდნენ. როდესაც ირანის ილხანად ოლჯაიტუ დასვეს, „რომელსაც მაჰმადიანურად ხუდაბანდა ერქვა, ე. ი. „უფლის მონა“, მაგრამ ხალხი მას ერანში დაცინვით ხარბანდა, ე. ი. მევირე უწოდა“, (1, ტ.III, გვ.393), 1303 წელს მრავალრიცხოვანი ჯარით გილანელების (კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მცხოვრები ხალხი) წინააღმდეგ გაილაშქრა, მან საქართველოდანაც ვახტანგ III და სამცხის ათაბაგიც მოიხმო თავიანთი ჯარებით. ხარბანდას ჯარი ოთხ ნაწილად გაუყვია და ერთ-ერთ ნაწილში ყოფილან „ოვსნი გორს მსხდომნი“. (3, გვ.648).

„თათარ-მონღოლთა უღლის გადაგდების შემდეგ XIV ს. პირველ ნახევარში საქართველოს პოლიტიკური საზღვრები აღმოსავლეთით, დასავლეთითა და ჩრდილოეთით ძველებურ ფარგლებში აღსდგა: ნიკო-ფსიიდან დარუბანდამდე. ამ საზღვრების აღდგენა სამეფო ხელისუფლებას ბრძოლით მოუხდა: კავკასნი (იგულისხმება ოსები, დურძუკ-ღუნძნი და სხვ.), რანი, ყარაბაღი და შირვანი ლეკებითურთ „კუალად მოხარკედ აქუნდა და არღარა იყო წინააღმდეგი და ურჩი მისი“. (6, ტ.III, გვ.663).

ისტორიკოსის თქმით, ქართველთა და ოსთა მტრობა გაგრძელებულა საქართველოს მეფე (1314–1346) გიორგი V ბრწყინვალემდე. „ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან, დიდმან სახელგანთქმულმან გიორგი, განახსნა და აღფხურნა“ (3, გვ.631) ოვსნი, წაართვა მათ „ციხენი და დაბები“, რომლებიც „დაეპყრათ ადგილ-ადგილ“. (4, ტ.IV, 256). ამის შესახებ

ი. ჯავახიშვილი წერს, რომ გიორგი მეფემ „საქართველოში შინაური მყუდროების დასამყარებლად, ყველაზე საშურს ამოცანას მისი შუა თემის, ქართლის, უშიშროებისა და მშვიდობიანი საქმიანობის უზრუნველყოფა შეადგენდა. იმისდა მიუხედავად, რომ ოსთა თარეშს ქართლში არაერთხელ შეჰბრძოლებიან, მაინც მონღოლთა დახმარებითა და უფრო კი ქვეყნის სრული აშლილობის წყალობით, მათი მეკობრული თავდასხმა არც შემდეგში შეწყვეტილა. ისინი გორშიც კი მძლავრობდნენ წინანდებურად. ამიტომ გიორგი ბრწყინვალემ თავის უპირველეს მიზნად საქართველოს ოსთა თარეშისაგან განთავისუფლება დაისახა. ამისათვის ჯერ ქ. გორითგან მათი განდევნა იყო საჭირო, სადაც მათ უკვე საკმაოდ კარგად მოასწრეს გამაგრება. ამიტომაც, როდესაც გიორგი ბრწყინვალე «მოადგა ოვსთა გორსა მყოფთა», მას იქითგან მთლიანად განდევნად «სამ წელ» მოუხდა ბრძოლა....

რაკი ოსები განდევნილები და თავიანთი კადნიერი თავაშვებულობისათვის მკაცრად დასჯილნი იქმნენ, გიორგი ბრწყინვალეს, რასაკვირველია, საქართველოს მთიანეთის მცხოვრებთა შორის წესიერებისა და მყუდროების დამყარებაზეც ზრუნვა უნდა დაეწყო. ამას კი წინასწარი სამზადისი და მოფიქრებაც სჭირდებოდა და ეს თავისი მოვალეობაც მეფემ.... პირნათლად აასრულა კიდეც“. (1, ტ.III, გვ.261). ისტორიულ წყაროებში მოთხრობილია, რომ „ბრძოლებში ცენტრალური ხელისუფლების მხარეზე მონაწილეობდა მთის მოსახლეობაც: „ცხრაძმის“ (ქსნის) საერისთავოს ლაშქარი (ვირშელი ერისთავის მეთაურობით) და „მთიელნი არაგვისანი“. ჩრდილოეთიდან მშვიდობიანობის გარანტიის მიზნით გიორგის იმიერკავკასიაზე გამოსასვლელი გზებიც მტკიცედ დაუჭერია“. (6, ტ.III, გვ.626).

ზ. ჭიჭინაძე წერდა: ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, გიორგი ბრწყინვალე «შევიდა და შემუსრნა კავკასიასა შინა მყოფნი მოსრნა და დაიმორჩილა და მოხარკე ჰყვნა ყველა იგი დამშვიდდა ქართლი ოსთა-გან, ვინაითგან გზანი ყოველნი თვით დაიპყრნა».

ამის შემდეგ გიორგი ბრწყინვალე ეწვია თუშ-ფშავ-ხევსურ-მოხევებს... მას შემდეგ გიორგი ბრწყინვალე თფილისში დაბრუნდა და მთიელებმაც ხსენებულ გზებზედ დააყენა მცველები, მის შემდეგ ანუ 1330 წ. თითქმის გავიდა ორი საუკუნე და ქართლში ერთი ოსის ფეხი აღარ შემოსულა, ერთს კაცს არ შემოუდგამს ფეხი, არც იმერეთში და კახეთში“. (19, გვ.7).

წყაროებიდან ცნობილია, რომ გიორგი ბრწყინვალის შემდგომ, საქართველოს მდგომარეობა თანდათან გაუარესდა. საქართველო აღმოჩნდა ყოველის მხრიდან გარშემორტყმული მტრებით. ამავე დროს, ამ გაუარესებას ხელს უწყობდა შინა აშლილობა, რაც გამოწვეული იყო ფეოდალთა ურთიერთ გაუტანლობით და ღალატით. ამ მდგომარეობით ისარგებლეს ჩრდილოეთში მყოფმა ალან-ოსებმა და იწყეს თანდათან ზემო ქართლში ჩამოსახლება, განსაკუთრებით XV საუკუნის შემდეგ. ამას აღნიშნავენ თვით ოსი ისტორიკოსებიც.

1936 წელს ოსი ისტორიკოსი ზ ა ქ ა რ ი ა ვ ა ნ ე ე ვ ი ც (1888–1963) აღნიშნავდა, რომ „ოსური დასა-ხლებანი ქართლის მთიანეთში ჩამოყალიბდა XV–XVI საუკუნეებში“. (6, ტ.IV, გვ.429).

XVII საუკუნეში საქართვერლოს მდგომარეობის გაუარესების გამო, მეფე-მთავრები წინააღმდეგობას ვეღარ უწევდნენ ოსთა ჩამოწოლას ჩრდილოეთ ქართლის მთიანეთში (სამაჩაბლოში), ქართველთაგან დაცარიელებულ ადგილებში. ისტორიკოსი ა ნ ზ ო რ თ ო თ ა ძ ე წერს, რომ: „განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართულ და უცხოურ წერი-

ლობით წყაროებში დაცული ცნობების გარდა, ენობრივი მასალა, ოსური ფოლკლორი, შიდა ქართლის მთიანეთის ხუროთმოძღვრების ძეგლები, ეპიგრაფიკა და ტოპონიმები, ცხადად ადასტურებს ოსების ჩამოსახლებას ძირითადად XVII საუკუნიდან. მაგალითად, ცნობილი ოსი მეცნიერი ვ. აბაევი აღნიშნავს: „ისტორიული და ენობრივი ფაქტები მოწმობენ, რომ ქსნის ოსების დასახლება ქსნის ხეობის ახლანდელ ადგილებში მოხდა არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, დაახლოებით უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში". მართლაც, ოსური კულტურის კვალი შიდა ქართლში არსად ჩანს. კერძოდ, ხუროთმოძღვრების ყველა ძეგლი ქართულია. პ. ზაქარაია მიუთითებს: „შიდა ქართლის იმ ნაწილში, რომელსაც „სამხრეთ ოსეთი" ერქვა, ყველაფერი, რაც მიწიდან არქეოლოგებმა ამოიღეს და რაც მიწის ზემოთ ძეგლი დგას, ქართულია. ეს თავისთავად იმაზე მიგვითითებს, რომ აქ ყოველთვის ქართველი მკვიდრობდა და თუ ვინმე რამეს ქმნიდა და აშენებდა, ისევ ქართველი იყო. სხვა ერის წარმომადგენლის ხელი აქ მხოლოდ ნგრევაში, ქვეყნის წახდენაში ჩანს". (25, გვ.15).

რ. თოფჩიშვილის თქმით: „დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა პირველი დასახლებები ჩნდება თრუსოსა (მდ. თერგის სათავე) და მაღრან-დვალეთში (მდ. დიდი ლიახვის ხეობის სათავე). ოსების აქ დასახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან XVII ს-ის პირველ ნახევარში მოხდა. XVII ს-ის პირველ ნახევარში ოსებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაკავებული შიდა ქართლის მთიანეთის მნიშვნე-ლოვანი ნაწილი. ისინი აქ მხოლოდ დიდი ლიახვის ხეობის სათავეში (მაღრან-დვალეთში) იყვნენ მიგრი-რებული. მთელი რიგი საისტორიო მონაცემებით, XVII ს-ის პირველ ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთი (დიდი და პატარა ლიახვების ხეობები) ნასოფლარებით იყო მოფენილი. ადგილობრივი ქართული მოსა-ხლეობა აქედან აყრილი და ბარში იყო საცხოვრებლად წასული.

შიდა ქართლის მთიანეთში, კერძოდ, მდინარეების დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ზემო წელში, ოსთა მიგრაცია ხდება XVII ს-ის მეორე ნახევრიდან. ისინი თანდათან მოიწევენ სამხრეთისაკენ და XVIII ს-ის 30-იანი წლებისათვის ითვისებენ დასახლებული ორი ხეობის მთიან ზოლს მთლიანად. აქ, აღნიშნულ პერიოდში, ზოგიერთ მთიან სოფელში ოსები თანაცხოვრობდნენ ადგილზე დარჩენილ მცირერიცხოვან ქართულ მოსახლეობასთან ერთად.

XVIII ს-ის მთელ მანძილზე ოსები შიდა ქართლის მთისწინეთში, ფაქტობრივად, არსად არ იყვნენ განსახლებული. ოსთა მიერ შიდა ქართლის მთისწინეთის სოფლებში (უფრო ხშირად, ნასოფლარებში) ჩასახლება იწყება XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში". (14, გვ.97).

ცნობილია, რომ თანდათან ოსები ისე გათამამდნენ, რომ ისინი ძალასაც იყენებდნენ მიწების დასაკავებლად. თავს ესხმოდნენ დასახლებულ ადგილებს, მოსახლეობას ანადგურებდნენ და იკავებდნენ ქართლის სოფლებს. (1621-1650) წლების ერთ-ერთ სიგელში „ნათქვა- მია: ამოსწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან, ღმერთი იყოს მოწმე ასე ამოსწყდა, რომ კაცის ნაშენი აღარ იყო-რა". ამრიგად, ოსებს სოფელ ზემო ჯავაში მცხოვრები ქართველები მთლიანად ამოუწყვეტიათ." (25, გვ.14).

ლიხსაქეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (1723, 1725 – 1737) და სასულიერო მწერალი ბ ე ს ა რ ი ო ნ ი (ბარათაშვილ-ორბელიშვილი) (გ. 1737) აღწერს თუ როგორ

ავიწროებდნენ, თავს ესხმოდნენ სოფლებს, ატყვევებდნენ და ხოცავდნენ, ჩამოსახლებული ოსები ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას.

დროთა განმავლობაში, მთებიდან ჩამოწოლილი ოსები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იკავებენ ქართლის ბარში ქართველთაგან დაცარიელებულ ადგილებს, ხოლო ამის შემდეგ, გადადიან საქართველოს სხვადასხვა მხარეებში. წყაროებიდან ცნობილია, რომ XVI საუკუნეშიც, ქართლის სამეფოს ომების შედეგად ნახევრად განახევრებული მოსახლეობა, განაგრძობდა ბრძოლას ირანის, ოსმალეთის და ქართლის ბარში გადმოსულ ოსურ და ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელების წინააღმდეგ.

რუსი ელჩი მიხეილ ტატიშჩევი (გ. 1609) რომელიც საქართველოში იმყოფებოდა (1604–1605) წლებში, აღნიშნავს, რომ „ზახა და მაღრან-დვალეთი (დიდი ლიახვის სათავე) მაშინ უკვე დასახლებული იყო ოსთა მიერ“. (6, ტ.IV, გვ.431).

„დიდი ლიახვის სათავეებიდან ოსები თანდათანობით ვრცელდებიან სამხრეთისაკენ, გადადიან მდინარეების მც. ლიახვისა და ქსნის ვიწროებში. ცნობილი ვახუშტის აღწერილობის მიხედვით, XVIII ს. პირველ ათეულ წლებში მათ უკავიათ მიწები სოფ. გუფთადან დიდი ლიახვის გასწვრივ მის სათავეებამდე. გერის ხეობა, ვანათს რომ ეკვრის, მც. ლიახვის ზემო დინება, ჟამური (ქსნის სათავე); ოსთა ცალკეული დასახლებანი ჩანან ჭურთას, ისროლის-ხევის, ქოლოთ-ქვითკირის ხეობებში და სხვ. ამავე დროს ნაწილობრივ უკავიათ ოსებს კუდაროც. როგორც ჩანს, ქსნის სათავეებში მათ შეაღწიეს შედარებით უფრო გვიან, ვიდრე მც. ლიახვის სათავეებში... აღნიშნული რაიონების რიგ სოფლებში ოსები ადგილობრივ მკვიდრ ქართულ მოსახლეობასთან შერევით ცხოვრობდნენ, რომლებიც ეწაფებოდნენ და ითვისებდნენ ქართველთა განვი-თარებულ სამეურნეო და სამწერლობო კულტურას“. (6, ტ.IV, გვ.432).

საქართველოში ოსების ჩამოსვლა-ჩამოსახლება და შემდგომში, ქართველებსა და ოსი ხალხის ურთიერთობა ხდებოდა, ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიასთან დამაკავშირებელი, ძველთაგანვე არსებული, საუღელტეხილო გზებითა და ბილიკებით. ამ გზებს შორის უმთავრესი იყო დარიალისა და არაგვის ხეო-ბებზე გამავალი, საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც ძველ ქართულ და უცხოურ წყაროებში მოხსე-ნებულია, როგორც „დარიალანი“, „დარიელა“, „არაგვის კარი“. „იბერიის კარი“, „კავკასიის კარი“, „სარმა-ტიის კარი“, „ოვსთა კარი“ და სხვ.

ა. თოთაძე წერს, რომ კავკასიის ქედზე გამავალი გზები შეისწავლა ისტორიკოსმა დავით გვრიტიშვილმა (1915–1969). რომლის „მოსაზრების თანახმად, რომელიც ისტორიკოს-მოგზაურთა ცნობებსა და უშუალოდ პირად დაკვირვებას ემყარება, გზა-ბილიკები ჩრდილოეთ კავაკსიიდან უმთავრესად არაგვის, ასნის, პატარა ლიახვისა და დიდი ლიახვის ხეობაში გადმოდიოდა და აქედან ქართლის ველებში მიემართებოდა. აღნიშნულ ხეობაში მთავარი გადმოსასვლელები იყო:

1. როკის გადმოსავალი, რომელიც დიდი ლიახვის ხეობას ოსეთთან აკავშირებდა;

2. ბახ-ფანდაგის გადმოსავალი, რომელიც როკის გადმოსავლის დასავლეთით იემართებოდა. ამ გზას ოსები „ურმის გზის“, „მარხილის გზის“, „საცალფეხო ბილიკის“ გზებისაგან განსხვავებით „ცხენის გზას“ უწოდებდნენ. რადგან ოსურად „ბახ“ ცხენს, ხოლო „ფანდაგ“ – გზას ნიშნავს. ბახ-ფანდაგის გადმოსავალის დასავლეთით მდებარეობდა ზეკარის გადმოსა-

ვალი, რომელიც უერთდებოდა როკის გზას;

3. ძედოს გადმოსავალი, რომელიც რამდენიმე განშტოებად იყოფა. ერთი ხელასთან უერთდება როკის გზას, ხოლო მეორე ჯავა-ონის, ე. წ. „ჩასავლის გზას უერთდება, იგი ონში გადადის;

4. მამისონის გადმოსავალი, რომელითაც ოსეთის სამხედრო გზა არდონის ხეობაში გადადიოდა. ამ გზაზე გაცხოველებული მიმოსვლა იყო და იგი ქართველებს საგანგებოდ ჰქონდათ გამაგრებული;

5. სბის გადმოსავალი, რომელიც სხვადასხვა ხეობების გავლით საბოლოოდ როკისა და კობის გზებს უერთდება.

ამ მთავარი სამიმოსვლო გზების გარდა სხვა ბევრი მცირე გადმოსავალიც იყო. ამ გზებით ოსებს შეეძლოთ საქართველოსთან ურთიერთობა ჰქონოდათ. ვის ხელშიც იყო ეს გადმოსასვლელები და გზა-ბილიკები, მას ეკუთვნოდა ამ ტერიტორიის კონტროლიც. ამიტომ იყო, რომ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურები მუდმივად ზრუნავდნენ გადმოსასვლელების გამაგრებაზე, „რათა არ ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი“, და როცა საქართველომ ვეღარ შეძლო ჩრდილოეთის ამ საზღვრის დაცვა, შედეგიც შესაფერისი მოჰყვა, მან დაკარგა ზემოთ დასახელებული რაიონები, სადაც ჩრდილოეთიდან მოსული ოსები დასახლდნენ“. (25, გვ.26).

როგორც ვხედავთ, ქართველებსა და ჩრდილოეთ კავკასიელებს ურთიერთ დასაკავშირებლად, საკმარისად საუღელტეხილო გადასავლელ-გადმოსასვლელი გზები ჰქონდათ.

გ. თოგოშვილი წერს, რომ: „შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ძირითად საუღელტეხილო გზების აუზებში მცხოვრები ოსები გვევლინებიან ქართულ სამყაროსთან მამოძრავებელ ძალად. რაც შეეხება სამხრეთელ ოსებს, ისინი ქართველებთან უფრო მეტად იყვნენ დაკავშირებულნი როგორც ეკონომიკურად, ასევე სოციალური და კულტურული თვალსაზრისით. სამხრეთელი ოსების ძირითადი მასა პოლიტიკურად ქარ-თლისა და ნაწილობრივ, იმერეთის სამეფოების ქვეშევრდომებათ ითვლებოდა და ბევრგან უშუალოდ ქარ-თველებთან შერეულად ცხოვრობდა. ასეთ პირობებში მათ ქართველ ხალხთან დასაკავშირებლად სპეცი-ალური გზების ძიება საჭირო არ იყო და მათი ურთიერთობაც ერთი მიწა-წყლის მოსახლეობის ურთი-ერთობის ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარეობდა“. (38, გვ.52).

XVII–XVIII საუკუნეებში, „ხანგრძლივი პროცესის შედეგად შიდა ქართლის ჩრდილოეთ განაპირა ტერიტორიაზე დამკვიდრდა ოსი ხალხის ნაწილი. ოსების ძირითადი ნაწილი ქართლის, მცირე ნაწილი კი იმერეთის სამეფოში შედიოდა. ეს უკანასკნელნი – კუდაროს ოსები – დროდადრო რაჭის ერისთავების, თავად წერეთლების ხელქვეითნი ხდებოდნენ. მათზე ბატონობის პრეტენზიას აცხადებდნენ ქართლის მეფე-ებიც. ქართლში გადმოსული ოსები ძირითადათ ქართველი ფეოდალების – არაგვისა და ქსნის ერისთავები, თავად მაჩაბლების სამფლობელოებში მოხვდნენ. ოსთა მცირე ჯგუფები მუხრანბატონების, ფავლენიშვილების, ფალავანდიშვილების, ხერხეულიძეებისა და სხვ. სამფლობელოებშიც ცხოვრობდნენ.“ (9, გვ.337).

როგორც კი საქართველოს მტერთაგან მცირე „ამოსუნთქვის“ შესაძლებლობა მიეცემოდა, საქართველოს მეფეები ცდილობდნენ ჩრდილოეთის საზღვრის გამაგრებას. XVIII საუკუნის ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს გადმოცემით, ვახტანგ

V-თვის (შაჰ-ნავაზი) ოსებს ბეგარა შეუწყვე-ტიათ. „არღარა მოსცეს დვალთა მეფესა ბეგარანი. ამისთვის მოვიდა სპითა ქეცხინვალს შესვლად ოსეთად, მსმენელნი დვალნი შეშინდნენ და მოერთვნენ თავნი მათნი ქრცხინვალს, მოსცეს და დაემორჩილნენ, ვითარცა პირველ“. შაჰ-ნავაზის დამსჯელი ლაშქარი ცხინვალამდე მივიდა და იქედან ოსეთში შესაჭრელად ემზადებოდა. ოსებს (ვახუშტის ცნობით, – დვალებს) წინააღმდეგობის გაწევა უიმედოთ სჩვენებიათ, თავის თავკაცები უახლებიათ მისთვის ცხინვალში და ძველებურად ბეგარა უკისრიათ. კონკრეტულად რას გულისხმობდა ეს ბეგარა არ ჩანს“. (40, გვ.108). ცნობილია, რომ საქართველოს მეფეები გიორგი XI (1676–1709) და არჩილ II (1647–1713) ჩრდილოეთ ოსეთთანაც ცდილობდნენ კარგი ურთიერთობა დაემყარებინად. არჩილ II-ეს „არამარტო სამხრეთის ოსებთან ჰქონია მჭიდრო ურთიერთობა, არამედ ჩრდი-ლოეთის ოსებთანაც. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ როგორც დვალეთი იყო მისი მუდმივი თავშესაფარი, ასევე დიგორიც. ხოლო როცა რაჭიდან დიგორიაში გადასვლა დიდი თოვლის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა, არჩილი თავისუფლად გავიდა ლიახვის ხეობით და დარიალის კარებით თაგაურში, სადაც ოსებს შორის მთელი ზამთარი გაატარა და გაზაფხულზე რუსეთს გაემგზავრა“. (38, გვ.117). ერთ-ერთი წყაროს ცნობით გიორგი XI-ეს თავისი ვაჟიშვილი „ოვსთა მთავრის ასულზე დაუქორწინებია“. „ეჭვს გარეშეა, რომ ოსთა დასახელებული „მთავარი“ ოსთა სოციალური ზედაფენის ისეთი წარმომადგენელი იყო, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა თავის თანატომელებზე და, ამდენად, მასთან დანათესავება ოსების პოლიტიკური მხარ-დაჭერის მიღების რეალურ პირობებსა ჰქმნიდა... გიორგისა და მისი ძმის არჩილის ხშირი ყოფნა ოსეთში და ოსეთის გზით რუსეთში მათი მიმოსვლა კარგად მოწმობს მათსა და ოსებს შორის ლოიალური ურთი-ერთობის არსებობას. ოსეთი თავის მდებარეობითა და მეომარი მოსახლეობით ქართველ მეფეთათვის გაჭირვების ჟამს კარგ თავშესაფარსა და მოკავშირეს წარმოადგენდა“. (38, გვ.111). ისტორიკოსი, გეოგრაფი და კარტოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილის (ბაგრატიონი) (1696–1757) გადმოცემით, ვახტანგ VI-საც ორჯერ (1707, 1711) ოსების წინააღმდეგ გაულაშქრია, დაუმარცხებია და შემოუმტკიცებია.

გ. თოგოშვილის თქმით: „ვახტანგ VI კარგად იცნობდა ოსებს. იგი თავის ბიძა არჩილთან ერთად წლების მანძილზე თავშეფარებული იყო ხან ზარამაგში, ხანაც დიგორიაში და ოსებზე თავის ბატონობის გავრცელებას ქართლში თავის მდგომარეობის განმტკიცებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. საამისოდ 1711 წელს მას ოსეთზე ულაშქრია: „აღიმხედრა სპითა შესვლად ოვსეთს და შევიდა და შემუსრნა პ (80) კოშკნი, მოწვა და მოსტყვევნა ურჩნი, ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ჟღელის-ხევი, და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული ქს, ჩღია (1711)... დაიპყრა დვალეთი და დასდვა ხარკნი“.....

სამხრეთელ ოსების დამორჩილებით ვახტანგის ხელისუფლება განმტკიცდა. ამან შეაფიქ-რიანა ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე ფეოდალები... ოსთა დამორჩილებით ვახტანგმა მათ ზურგში დასყრდენი გაიჩინა და ურჩ ერისთავთა წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლის შესაძლებლობა მოიპოვა“. (38, გვ.117).

მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ ქართლის შიდა მხარეში, ოსების დიდი რაოდენობით ჩამოსახლება, ძირითადათ XVIII საუკუნის დასასრულიდან დაიწყო და გრძელ-დებოდა შემდეგშიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი იკავებდნენ დაცარიელებულ ადგი-

ლებს. ზოგჯერ მოსახლეობისაგან დაცარიელებულ სოფლებში ოსებს ასახლებდნენ ფეოდალები და მემამულეები, „ხიზნობა-ყმობის წესით“. წყარო-ებიდან ჩანს, რომ ქართლში ჩამოსახლებული ოსები, ავჯანყებებსაც აწყობდნენ. პაპუნა ორბულიანის გადმო-ცემით, საქართველოს მეფის (1744–1762) თეიმურაზ II-ის (1700–1762) და ერეკლე II-ის დროს, (1745–1746) წლებში, ქსნისა და არაგვის ოსები ავჯანყებულან. „ორსავ საერისთაონი დიაღ ავკაცობდნენ, არც ბეგარას აძლევდნენ და არც მოხელე შეუშვეს“. „არაგვის ოსები განუდგნენ“ და „დაუწყეს ცემა ზემო ქართლსა“. მდგომარეობა ისე გართულებულა, რომ თემურაზ II და ერეკლე II იძულებული გამხდარან, იქ ჯარი გაეგზავნათ და სასტიკად დაესაჯათ „ურჩები“. „ერეკლე მეორემ არაგვის ერისთავის ჯარი, რომელსაც ჯიმშერ თუშთ მოურავი უთავა, წინ გაუშვა. ურჩი თრუსოელები, რომლებსაც არაგვის ოსებს უწოდებდნენ (რადგან ადმინისტრაციულად არაგვის საერისთავოში შედიოდნენ), დაიმორჩილეს. შეშინებულმა „ქსნის ერისთავის ოსთა“ (რომლებიც მაშინ მხოლოდ ქსნის ხეობის სათავეებში – ჟამურში მკვიდრობდნენ) მეფე თეიმურაზს ხვეწნა დაუწყეს, რომ მათაც იგივე დღე არ დასდგომოდათ, რაც თრუსოელ ოსებს და მოსცეს სრული ბეგარა“. მეფემ საერისთავოში არსებულ შიდა დაპირისპირებასაც (არაგვის საერისთავოს გლეხთა ავჯანყება, ავჯანყებულთა მიერ ბეჟან არაგვის ერისთავის მოკვლა), რომლის გამოც თრუსოელი ოსები ბეგარის გადახდაზეც უარს ამბობდნენ, ბოლო მოუღო“. (16).

გ. თოგოშვილი წერს, რომ: „ქსნის საერისთავოს სამეფო ხელისუფლებისადმი დამორჩილება უმტკივნეულოდ არ მომხდარა. საერისთავოს ოსები არ დამორჩილებიან ახალ ხელისუფლებას და ზემო ქართლზე თავდასხმებიც მოუწყიათ“. პაპუნა ორბელიანის გადმოცემით, ოსების წინააღმდეგ ერეკლე II-ეს „ანწუხელნი, თებელნი და ყირაზელნი ლეკნი, რომელი მონებდეს კახბატონს“ მოუწვევია „და გაუსივეს უკუმდგარ ოსთა. ააოხრეს ოსეთი... ჩამოვიდნენ ნაშოვრით გორს ლეკნი“....

მაგრამ ქსნის საერისთავოს ოსთა დარბევას მათი დამორჩილება არ მოჰყოლია. ისინი არც ბეგარას იძლეოდნენ და არც მეფის მოხელეებს უშვებდნენ თავისთან.... ერეკლემ და თეიმურაზმა გადაწყვიტეს მათი საბოლოო დამორჩილება“. და „წაბრძანდა კახი ბატონი კახეთის ჯარით“...

ოსებს ენერგიული წინააღმდეგობა გაუწევიათ და ერეკლეს თავის ძალების ზედმეტი დაძაბვის შედეგად მიუღწევია წარმატებისათვის. ოსებს ამ ლაშქრობისას 40 კოშკი დაუნგრიეს, განსაკუთრებით კი თრუსოს ხეობა (თურსი წყაროს ცნობით) დაარბიეს. ოსებს, სხვა გამოსავალი არ დარჩენიათ თუ არა ის, რომ მორჩილება და ბეგარა-გადასახადების გადახდა ეკისრათ.

საარაგვოს ოსთა დამორჩილებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქსნის საერისთავოს ოსებზეც. არაგვის და თრუსოს ოსების დამორჩილებამ ისინიც მორჩილების გუნებაზე დააყენა და ქართლის მეფეს თეიმურაზს ნებაყოფლობით მორჩილება აღუთქვეს: „რა ეს ამბავი და არაგვის ოსის წახდენის ამბავი შეიტყეს ქსნის ერისთავის ოსთა, – გვამცნობს პაპუნა ორბელიანი, – მოვიდნენ მაშინვე ვანათს და შემოეხვეწნენ მეფეს თეიმურაზს, ყოვლის კეთილის საფუძველსა და მოსთხოვეს დანაშაულის ფარვანი და მისცეს სრული ბეგარი“.

არაგვისა და ქსნის საერისთავოების დამორჩილებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის ქართლ-კახეთში“. (38, გვ.131–134).

ერეკლე II-ის დროს, ქართლ-კახეთში „ქართველი მოსახლეობა იმდენად შემცირდა გამუდმებული ბრძოლებისა და უფრო მეტად ლეკიანობის გამო, რომ მეფე ერეკლე მეორე იძულებულია ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოიყვანოს ოსები, აქ მათ ცხოვრების სათანადო პირობებს უქმნის. ვინმე ოსს თუჯუკი კუდუხაშვილს აზნაურობაც კი უბოძა ოსების საქართველოში გადმოსახლებისათვის“. (25, გვ.18).

ცნობილია, რომ თეიმურაზ II-ესა და ერეკლე II-ეს ბრძოლები ჰქონდათ მეზობელ სახანოებთან და ერთ-ერთი ამ ბრძოლის დროს 1750 წელს, პაპუნა ორბელიანის გადმოცემით, მეფეებს ჩრდილოეთ კავკასი-იდან, მოუწვევიათ „ჩერქეზნი, ოსნი და კავკაზისანი“. მტრის დამარცხების შემდეგ, მეფეებს „კავკაზისანი“ დაუსაჩუქრებიათ და ისე გაუსტუმრებიათ ისინი. თეიმურაზმა „დაითხოვა ბატონმა ჩერქეზის ბატონი, უბოძა მრავალი, აგრეთვე ჯარსა მათსა და ოსისა პირიქით ჯარსა, აღავსო ყოველი საბოძვრით და გაისტუმრა ქვეყანასა თვისსა“.

მოყვანილი ცნობიდან საყურადღებო დასკვნების გამოტანა შეიძლება. ჩრდილო კავკასიის ხალხები ქირის საფუძველზე მონაწილეობდნენ საქართველოს სამხედრო ღონისძიებებში. თეიმურაზისა და ერეკლეს დროშის ქვეშ მდგარან როგორც პირაქეთი – სამხრეთელი ოსები, ასევე პირიქითა – ჩრდილო ოსები. მეფე საბოძვარს სწორედ ჩრდილო ოსებს აძლევს, რომლებიც ჩერქეზთა მსგავსად, ქირის პირობით ემსახურებიან ქართველ მეფეებს. რაც შეეხება სამხრეთელ ოსებს, ისინი, კავკასიის მთიანეთის სხვა მცხოვრებთა თანა-ბრად, ქართველ მეფეებს ქვეშერდომობის პირობაზე ემსახურებოდნენ და ამისათვის შემთხვევითი ნადავლის გარდა სპეციალურ გასამრჯელოს ვერ მიიღებდნენ“. (38, გვ.136). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჩამოსახლებული ოსები, ერეკლე II-ის დროშის ქვეშ, მონაწილეობას ღებულობდნენ თითქმის ყველა წარმოებულ ომებში.

წყაროებიდან ჩანს, რომ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ოსების ჩამოსახლება საქართველოში დაიწყო 1860 წლიდან. ა. თოთაძე აღნიშნავს, რომ: „ამის შესახებ სანდო წყაროებზე დაყრდნობით უტყუარ ცნობებს გვაწვდის ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედია. კერძოდ, 1860 წელს ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ოსების რაოდენობა 46 802 კაცს უდრიდა, ხოლო საქართველოში, კერძოდ, ქართლის მთი-ანეთში 19 324 ოსი ცხოვრობდა. ასე რომ, ამ პერიოდში ჩრდილოეთ ოსეთში 2,5-ჯერ მეტი ოსი ცხოვრობდა, ვიდრე საქართველოში.....

საქართველოში ოსების საცხოვრებლად გადმოსახლებასთან დაკავშირებით ჩვენთვის საინტერესოა იმავე ენციკლოპედიაში მოტანილი ცნობა 1880 წლისათვის ოსების რაოდე-ნობის შესახებ. კერძოდ, 1880 წელს ჩრდილოეთ ოსეთში, კავკასიის სტატისტიკური მონაცემებით, 58 926, ხოლო საქართველოში უკვე 51 988 ოსი ცხოვრობდა. ასე რომ ოცი წლის განმავლობაში – 1860 წლიდან 1880 წლამდე – ჩრდილოეთ ოსეთში ოსების რაოდენობა 12 ათასით, ანუ მხოლოდ 1,2-ჯერ გაიზარდა, ხოლო საქართველოში 33 ათასით, ანუ 2,7-ჯერ. აქ ისაა საყურადღებო, რომ ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები 47 ათასი ოსი 20 წლის განმა-ვლობაში მხოლოდ 12 ათასით გაიზარდა, ხოლო საქართველოში გაცილებით მცირე რაოდენობით მცხო-ვრებმა ოსებმა, კერძოდ, 19 ათასმა, 33 ათასით მოიმატა. მოსახლეობის ასეთ ბუნებრივ მატებას ესოდენ მცირე პერიოდში არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა. ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ ამ პერიოდში ჩრდილოეთ ოსეთიდან

საქართველოში საცხოვრებლად ოსები დიდი რაოდენობით გადმოდიან“. (25, გვ.18).

ოსების, შიდა ქართლში, ჩასახლების შესახებ, აღნიშნავენ, თვით „ცნობილი რუსი მეცნიერები გ. ჩურსინი, ვ. პფაფი, ნ. დუბროვინი, ლ. ზაგურსკი და სხვ“. (25, გვ.21).

წყაროებიდან ჩანს, რომ თუ ერეკლე II-ის დროს, საქართველოში ჩამოსახლებულ ოსებიდან მხოლოდ ერთს მიუღია აზნაურის წოდება, 1780 წელს ოსი აზნურები მომრავლებულან, ხოლო ერთს, ვინმე ყაისს თუაშვილს თავადობაც კი მიუღია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩამოსული ოსები, დასახლებულან კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე, ზემო ქართლის, სამაჩაბლოში, ქსნისა და არაგვის საერისთავოებში, ხოლო აქედან, შემდგომში, თანდათან გადასულან საქართველოს სხვა ადგილებში. კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ბაქრაძე (1928–1999) აღნიშნავს, რომ:

„უნდა გითხრათ ის, რომ ქართული პრესა არამართებულად ხმარობს ცნებას „სამაჩაბლო“. ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს გაცილებით დიდი ტერიტორია ეჭირა, ვიდრე სამაჩაბლოა. სამაჩაბლო რამდენიმე სოფელია ცხინვალთან. ყოფილი სამხრეთ ოსეთის აო კი შედგებოდა ოთხი რაიონისაგან – ცხინვალის, ლენინგორის (ახლა ძველი სახელი დაუბრუნდა და ისევ ახალგორი ჰქვია), ზნაურის (ახლა ყორნისის) და ჯავის რაიონებისაგან. არც ახალგორის, არც ყორნისის, არც ჯავის რაიონები სამაჩაბლოში არ შედის. ხედავთ, რა თავზარდამცემია ჩვენი უმეცრება? ისიც კი არ ვიცით, რა გვეკუთვნის და რისთვის ვიბრძვით. ამაზე ბევრჯერ ვთქვი და დავწერე, მაგრამ ყურსა ბამბისასა, არავინ აინუნში არ აგდებს. თუ გვინდა, რომ ძირეული, მამა-პაპეული ქართული ტერიტორია არ დავკარგოთ, ცნებები მაინც ვიხმაროდ სწორად“. (35, გვ.308).

წყაროებიდან ცნობილია, რომ ძველი ქართული სათავადო სამაჩაბლო, ჩამოყალიბდა XV საუკუნის დასაწყისში მდ. ლიახვის შუა და ზემო წელზე, ისტორიული აჩაბეთის (მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე) ხევში. სამაჩაბლოს მთავარი ადგილი იყო აჩაბეთი. სათავადოს სახელწოდება წარმოსდგა თავად მაჩაბელთა გვარიდან. სამაჩაბლოს აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრებოდა ქსნის საერისთავო, სამხრეთიდან – ამილა-ხვრებისა და ფავლენიშვილების, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან – საყაფლანიშვილოს მამულები, ჩრდილო-დასავლეთით – რაჭის საერისთავო და ჩრდილოეთით – დვალეთი. რუსეთის ხელისუფლებამ 1850 წელს სამაჩაბლოს სათავადო გააუქმა, სამაჩაბლოს 2 000 ოსი ყმა-გლეხობა სახაზინო უწყებას გადაეცა.

რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს, რომ: „საისტორიო წყაროები, მიწისზედა და მიწისქვეშა მატერიალური კულტურის ძეგლები, ტოპონიმები ცხადყოფენ, რომ საბჭოთა პერიოდის ე. წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოს შუაგული იყო და არის და რომ ე. წ. ეთნოპოლიტიკური გაერთიანება, წარმონაქმნი აქ ოსებს რუსებმა შეუქმნეს“. (15, გვ.309). მისივე თქმით, ის ვაი „მეცნიერები“, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საქართველოში ე. წ. „სამრეთ ოსები“ მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენდნენ, „საქართველოს არქივების თუ არ სჯერათ... იქნებ რუსეთის არქივებში დაგვიძებნონ იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ საქართველოს შუაგულში – შიდა ქართლში როდესმე არსებობდა ტერიტორიული ერთეული, რომელსაც სამხრეთ ოსეთი ერქვა“. (16).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩრდილოეთ კავკასიაში, რუსეთის იმპერიის გამოჩენისთანავე,

რუსეთის ხელისუფლებამ გამოიყენა, ჩრდილოეთ კავკასიელთა ტომებს შორის დაპირისპირება და რუსეთის მიერ წარმოებული კავკასიის ომის (1817–1864) შედეგად, მოჰყვა ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობა, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელთა ზოგიერთი ტომების განადგურება და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ნაწილის იძულებით თურქეთში გადასახლება, ხოლო განთავისუფლებული კარგი ადგილები, განსაკუთრებით მთის-პირა და ზღვისპირეთი, რუსეთიდან ჩამოსახლებულებს გადაეცათ.

კავკასიის დაპყრობის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლების ხელშეწყობით ხდებოდა ოსების დიდი რაოდენობით (განსაკუთრებით 1860 წლიდან), ჩამოსახლება საქართველოში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მანამდე ოსები, მცირე რაოდენობით, სახლობდნენ ჩრდილოეთ ქართლის მთებში. ცნობილია, რომ მოსა-ხლეობის აღწერების სხვადასხვა საბუთებიდან ჩანს, რომ XVIII საუკუნის ბოლოს საქართველოში სულ ცხოვრობდა 2 130 კომლი ოსი. ხოლო XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ოსური დასახლებები მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ჩნდება, ახლანდელი ქარელისა და ბორჯომის რაიონებში (მაგალითად, ბაკურიანში 1885 წელს 71 ოსი ცხოვბრობდა) და სხვა. „სათანადო დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ XIX საუკუნის დამლევს ოსური სოფლები კახეთშიც იქმნება. ამის შესახებ ოსი მეცნიერი ბ. კალოევი მიუთითებს: „XIX საუკუნის განმავლობაში ოსების დიდი რაოდენობა დამკვიდრდა საქართველოს დუშეთისა და გორის რაიონებში, XIX საუკუნის დასაწყისში ზედა და ქვედა კახეთის ტერიტორიაზე 30-ზე მეტი ოსური დასახლებული პუნქტი წარმოიქმნა. ეს ოსები დაფუძდნენ თავადების მიწებზე“. (25, გვ.25).

რუსეთის ხელისუფლება არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ადგილობრივ მცხოვრებ-ლებს, რომლებმაც კავკასიის დაპყრობის შემდეგ, მოექცნენ კოლონიურ მარწუხებში. რუსი მოხელეების სისასტიკის გამო, არაერთხელ ავჯანყებულან ოსებიც. ცნობილია, რომ 1803 წელს დაიწყო ახალი საქართველოს სამხედრო გზის გაფართოების მშენებლობა. ამ გზის მომსახურეობამ, რუსი მოხელების თავხედობამ და ბეგარამ გზისპირა მოსახლეობა საშინელ პირობებში ჩააგდო. 1804 წელს განაწამები მთიელი მოსახლეობა, მათ შორის ოსებიც, ავჯანყდნენ. რუსთა ჯარმა, საქართველოს მთავარმართებლის, რუსეთის მთავრობის პოლი-ტიკის გამტარებელი და რუსეთის მთავრობის მონამორჩილი, პ. ციციანოვის (ციციშვილი) მეთაურობით, არაგველები დაამარცხეს. „არაგველთა ავჯანყების ჩახშობის შემდეგ ციციანოვი რუსთა ჯარით ლიახვის ხეობაში გაეშურა. იქ ოსები ავჯანყებულიყვნენ და მორჩილებაზე უარს აცხადებდნენ. ციციანოვმა ბრძოლით აიღო სოფელი კროჟი და მთლიანად დაანგრია იგი. ოსებმა იარაღი დაჰყარეს. რუსთა ჯარები სასტიკად გაუსწორდნენ ავჯანყებულებს“. (6, ტ.IV, გვ.920). (1810–1812) წლებშიც, კოლონიური ხელისუფლების წინააღმდეგ ოსები ხელახლა ავჯანყდნენ, რომელიც ასევე ჩახშობილ იქნა. 1830 წელს ქართლის ჩრდილოეთი მხარე, ე. წ. დღევანდელი „სამხრეთ ოსეთი“ ავჯანყდა. მონაწილეობას ღებულობდნენ ახლად ჩასახლებული ოსებიც. რუსეთის სადამსჯელო ჯარმა, რომელსაც „ნაბრძანები ჰქონდა უმოწყალოდ ამოეწყვიტა ყველა, ვინც იარაღს არ დაყრიდა და მორჩილებაზე უარს იტყოდა. უფრო მეტიც, დამსჯელი ექსპედიციის უფროსს არც წინააღმდეგობის გამწევთა სახლები უნდა დაენდო და ისინი სულ ერთიანად უნდა გადაებუგა „სხვების სამაგალითოდ და დასაშინებლად“. (6, ტ.V, გვ.183). სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად, სადამსჯელო რაზმმა, ბოლოს და ბოლოს ჩაახშო ავჯანყება და აქაც სასტიკად გაუსწორდნენ ავჯანყე-

ბულებს. განსაკუთრებით დიდი აჯანყება მოხდა 1850 წელს. დიდი ლიახვის ოსები მოითხვნდნენ ქართლის თავადების მაჩაბლებისაგან ხელქვეითობიდან განთავისუფრლებას და სახაზინო უწყებაში გადასვლას. საბოლოოდ რუსეთის ხელისუფლებამ ოსების მოთხოვნას დაეთანხმა, ხოლო მაჩაბლებს ყოველწლიური მემკვიდროებითი პენსია დაენიშნათ.

როგორც ზევით, არა ერთხელ აღვნიშნეთ, რუსეთი, კავკასიის დაპყრობისთანავე, ცდილობდა აქ, თავისი უფლებების განმტკიცებას და მას მიაჩნდა, რომ კავკასია მისი იყო და მას არავის არ დაუთმობდა. როგორც ადრე, დღევანდელ დღესაც იგივე მეორდება.

ისტორიკოსი ავთანდილ სონღულაშვილი აღნიშნავს, რომ რუსეთის ისტორიკოსი, პავლე კოვალევსკი (1849/50–1930) წერდა:

„კავკასია იყო მთლიანად დაპყრობილი და გახდა რუსეთის საკუთრება. მაგრამ რამდენი სისხლი, რამდენი სიცოცხლე, რა ფასად დაუჯდა რუსეთს. და ვინ შეძლებს თქვას, რომ ის მისი საკუთრება არაა... ჩვენი ვალია ჩვენთვის შევინახოთ კავკასია მთლიანად, სრულად, და დაუშლელად.... მისი ვალია ერის ძლევამოსილების წინაშე ჩვენი ცხოვრებისათვის. და ჩვენ ამას შევასრულებთ მიუხედავად უტიფარი არარუსი სიტყვებისა“.

რა დავარქვათ ამას, თუ არა ზეხისტი იმპერიული აზროვნების კლასიკური გამოვლინება, ქსენოფობიის დაუფარავი აპოლოგია, რომელიც ასიმილაციის უსასტიკეს „სკვითურ ლოგიკაზეა“ დაფუძნებული. ამ „ლოგიკით“ კი კავკასიის დაპყრობისათვის დაღვრილი რუსული სისხლი ძვირად ფასობს, ხოლო რუსული კოლონიური უღლის წინააღმდეგ მებრძოლი „უსირცხვილო უცხოტომელების“ მიერ გაღებული მსხვერპლი სათვალავში საერთოდ არც მიიღება. რუსი უფლებამოსილი ყოფილა ცეცხლით და მახვილით გადაუაროს კავკასიას, ვინაიდან ეს მის „დერჟავას“ სჭირდება. ხოლო კავკასიელებს საკუთარ მიწაწყალზე განცდილ უბედურებაზე უარყოფითი რეაგირებაც ეკრძალებათ!!! ისინი, ვითარცა უბადრუკი „ინოროდები“ ან „ტუზემცები“ ხომ იოტისოდენა ადამიანური თანაგრძნობისა და სიხარულის ღირსნიც არ არიან“. (22, გვ.11).

ამავე დროს, რუსეთის ხელისუფლება თავისი უფლებების გამტკიცებისათვის, ცდილობდა ერთმანეთს დაეპირისპირებინა რუსეთის იმპერიაში (ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის დროს) შემავალი ხალხები. ამიტომაც იყო, რომ ვინაიდან სამხრეთ კავკასიაში რუსულ კოლონიურ წყობილების დამკვიდრებას ქართვე-ლები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ, ვინც კი საქართველოს წინააღმდეგ ხმას ამოიღებდა, ყველას მხარს უჭერდა და ცდილობდა საქართველოში მცხოვრები ერები ქართველების წინააღმდეგ აემხედრებინა. შემდეგში კი, ბოლშევიკებმა და კომუნისტებმა, საბჭოთა იმპერიაში შემავალი ერები, სხვადასხვა მოწოდებებითა და შეფარული მოქმედებებით ისე გადაკიდეს ერები ერთმანეთს, რომ ისინი სისხლის ღვრამდე მიიყვანეს. ხოლო თვითონ-კი „დაჩაგრული ერების“ დამცველებად მოევლინენ. როგორც მოხდა აფხაზეთსა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“, აზერბაიჯანში (ყარაბაღში) და სხვ. სადაც რუსეთის „დამცველთა სამშვიდობო მოქმედება“ დღემდე გრძელდება.

ა. სონღულაშვილი რუსეთის ხელისუფალთა მოქმედების შესახებ წერს:

„ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე გრ. ლორთქიფანიძე აღნიშნავდა, რომ

რუსეთის ცარიზმი, მისი მოხელეები მფარველად ევლინებოდნენ იმპერიის ბატონობის ქვეშ მოქცეული ისტორიული ერების ტერიტორიებზე მოსახლე მცირე ეროვნებებსა და ტომებს. „თავგამოდებით ზრუნავდნენ, მაგალითად, ოსებსა და აფხაზებზე... ყველასათვის ცხადი იყო, რომ რუსულ კაციჭამია შოვინიზმს მართლა ის კი არ აინტერესებდა, რომ აფხაზური, ოსური და სხვათა ეროვნული მწერლობა და კულტურა შეექმნა. მისი სანუკვარი მიზანი იყო საქართველოს ეროვნულკულტურულ ოჯახში შინაგანი დაშლა, გახრწნა და აფორიაქება შეეტანა. რუსულ პოლიციასა და რუსულ სინოდს ისევე ეზიზღებოდა აფხაზობა და ოსობა, როგორც ქართველობა და თუ აფხაზურ და ოსურ სამწერლო კულტურის შექმნაზე „ზრუნავდა“, ეს რა თქმა უნდა, მხოლოდ დროებითი და პროვოკაციული ფანდი იყო საქართველოს კულტურის შესასუსტებლად და დასაქცევად, ეროვნული განთვისებისა და შუღლის ჩამოსაგდებად და აი სწორედ ამ ასპარეზზე გაშალა თავის „ინტერნაციონალური“ ფრთები რუსულმა კომუნისტურმა ოკუპაციამ, რომლის ხელში საქართველო გადაიქცა იმ სანთლად, რომელსაც ორივე თვალიდან წაუკიდეს ცეცხლი“. ამ სანთლის ზემოდან წვის გამოხატულება იყო, საქართველოს ამიერკავკასიის ფედერაციაში ჩართვა, მისი სრული გათქვეფა და შემდეგ რუსეთის კავშირში ჩარიცხვა. ქართული სანთლის ქვემოდან წვა კი იმაში მდგომარეობდა, რომ აფახაზეთი დამოუკიდებელ აფხაზურ, სინამდვილეში კი რუსულ რესპუბლიკად გამოაცხადეს და მხოლოდ შემდეგ დაუკავშირეს საქართველოს. „ამავე მიზნით, ხელოვნურად გამოჭრეს საქართველოს ცოცხალი სხეულიდან ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც როკისა და მამისონის უღელტეხილებზე რუსული იმპერიალიზმის პოლიტიკურ და სტრატეგიულ დასაყრდენად იქნა გამიზნული“. (22, გვ.5).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ-ოსური ურთიერთ დამოკიდებულება ორმხრივი ხასიათის იყო, ერთის მხრივ მტრული, რომელიც გამოიხატებოდა ქართული მიწა-წყლის დარბევით და ქართული სოფლების განადგურებითა, ქართველთა ძარცვა-მკვლელობით (რასაც რუსი გენერლებიც აღნიშნავდნენ თავიანთ მოხსენებებში) და ქართველთა ტყვედ წაყვანით, ხოლო მეორეს მხრივ – კულტურულ-საგანმანათლებო ურთიერთობით.

ქართველი და ოსი ხალხის კულტურული ურთიერთობის შესახებ, გ. თოგოშვილი აღნიშნავს, რომ:

„ოსი ხალხი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მჭიდრო კულტურულ ურთიერთობაში იმყოფებოდა მეზობელ და მომძე ქართველ ხალხთან. უძველესი დროიდანვე ქართული მაღალ-განვითარებული კულტურა ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა მეზობელი ქვეყნების ხალხებზე, მათ შორის ოსებზე. უკვე კავკასიაში ალანების – ოსების წინაპრების – დამკვიდრების დროიდან (ახალი წელთაღრიცხვის დამდეგიდან) ისინი კავკასიური კულტურის გარემოცვაში მოექცნენ, სადაც ტონის მიმცემი ქართველური ტომების კულტურა იყო. ალანურმა ტომებმა კავკასიური კულტურის ისეთი დიდი გავლენა განიცადეს, რომ ენის მხრივ ინდო-ევროპული მოდგმის ოსები კულტურის მხრივ ტიპიურ კავკასიელებად იქცნენ“. (38, გვ.225).

„მოტანილი მასალები სრული უეჭველობით მოწმობენ, რომ.... ოსი ხალხის კულტურა ქართველი ხალხის კულტურასთან მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა, ამ უკანასკნელის ცხოველმყოფელ გავლენას განიცდიდა“. (38, გვ.256).

ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ საუკუნეების განმავლობაში ქართული კულტურა

ზეგავლენას ახდენდა როგორც საქართველოში ჩამოსახლებულ კავკასიის მთიანეთის ხალხებზე, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფ ტომებზე. საქართველოდან ხდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგიის, ქართული ენისა და დამწერლობის გავრცელება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ VI–X საუკუნეებში ოსეთში ბიზანტიიდან და საქართველოდან ქრისტიანობა გავრცელდა.

„ქრისტიანობის გავრცელებას კავკასიის მთიელთა შორის დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც მოსდევდა დამწერლობის, საეკლესიო ხუროთმოძღვრების საწყისების განსაზ-ღვრული ზომით გავრცელება ამ ხალხებში. ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ფართოდ გავრცელდა მთი-ელებში, განსაკუთრებით ოსებში“. (22, გვ.189).

ცნობილია, რომ რუსეთში მცხოვრებმა ქრთველმა სასულიერო მოღვაწეებმა, ი ო ს ებ ს ა მ ე ბ ე ლ მ ა (1676–1750), არქიმანდრიტმა ნ ი კ ო ლ ო ზ თ ბ ი ლ ე ლ მ ა (1672–1732) და სხვებმა, რუსეთის იმპერატორს 1741 წლიდან ე ლ ი ს ა ბ ე დ ს (1709–1761) მიმართეს თხოვნით, ვინაიდან ჩრდილოეთ ოსეთში ქრისტიანები შემცირებულან, საჭირო იყო ქართველი სასულიერო მოღვაწეები გაეგზავნათ ყიზლარში, რომ ოსები გაექრი-სტიანებინად. „ისინი მოახსენებდნენ, რომ ისინი ადრე მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ და ქართველ მეფეებს ემორჩილებოდნენ. მათი ქრისტიანობის მაჩვენებელია ქვითკირიტ ნაგები ეკლესიის ნაშთები. ისინი ახლაც იცავენ მარხვას და ამჟღავნებენ დიდ სურვილს ქრისტიანობის აღსადგენად.“ (38, გვ.235). ეს თხოვნა რუსეთის ხელისუფლების მიზნებს ემთხვეოდა, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა შორის ქრისტი-ანობის გავრცელებით, ადვილად მოხდებოდა მთიელთა ტომების დამორჩილება და რუსეთის გაბატონება კავკასიაში. 1744 წლის დასაწყისში ელისაბედის ბრძანებულებითა და რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით, შეიქმნა „ოსეთის სასულიერო კომისია“, სამისიენერო ორგანიზაცია, რომელსაც დასაწყისში უძღვებოდნენ ქართველი სასულიერო მოღვაწეები. უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის წევრთა მხარდაჭერით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, (1768–1774) წლებში რუსეთის მთავრობამ, ჩრდილოეთ ოსეთში, მადნეულების შესწავ-ლისა და მისი გამოყენების მიზნით, გააგზავნა სამი სამთო ჯგუფი. ცნობილია, რომ კომისიის ხელ-მძღვანელის პ ა ხ ო მ ი ს საშუალებით, ხდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში ქართველთა ტყვეების დაბრუნება. მათ გამოსასყიდათ იგი საქართველოდან ფულად სახსრებს ღებულობდა. შემდგომში მას წაუყენეს ბრალდება, რომ იგი ცდილობდა ოსების საქართველოს ქვეშერდომობაში შეყვანას. პახომი და ამ კომისიის წევრი გ რ ი გ ო ლ რ ო მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ოს ბავშვებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ „ოსეთის კომისიის“ დავალებით ხდებოდა საეკლესიო ლიტერატურის გავრცელება ქართული ანბანის გამოყენებით, ქართულიდან ითარგმნებოდა საეკლესიო ლიტერატურა. კომი-სიის წევრები ცდილობდნენ, რომ ოსთა შორის ქართული ლიტერატურა გაევრცელე-ბინად. რადგან წერილობითი წყაროებიდან მტკიცდება, რომ ოსეთში გავრცელებული იყო ქართული ენა.

„ოსთა მიერ ქართული ენის ცოდნა გარკვეულ ფარგლებში ქართული დამწერლობის ცოდნასაც გულისხმობდა. მთელი, საქმიანი მიმოწერა ქართლის და იმერეთის მმართველი წრეებისა ოსებთან, თუ პირიქით, ქართულ ენაზე სრულდებოდა. XVIII საუკუნეში შექმნილია მდიდარი დოკუმენტური მასალა ოსების შესახებ ქართულ ენაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ენა და დამწერლობა საკმაოდ ფეხმო-კიდებული იყო ოსთა შორის. ის კი-არა,

ხშირად რუსეთის ადმინისტრაციისადმი მიმართული ოსთა წერილებიც ქართულ ენაზეა შესრულებული....

XIX საუკუნის დასაწყისში ოსი მწერლები სარგებლობდნენ ქართული ანბანით. ამის საფუძველზე იწერებოდა ოსური წიგნები. გამოცდილებამ ყოველმხრივ დაადასტურა ოსებისათვის ქართული ანბანის უპირატესობა ყველა დანარჩენ ანბანთან შედარებით". (22, გვ.194). „ოსეთის კომისიის" ხელშეწყობით 8 199 ოსი გაქრისტიანდა.

„ოსეთის კომისიამ" სცადა ოსეთში წერა-კითხვისა და განათლების შეტანა. 1751 წელს ქართველმა მოღვაწეებმა რუსეთის მთავრობას წარუდგინეს ოსეთში სკოლების გახსნის პროექტი. ამ პროექტით 30 ბავშვისათვის გახსნილ სკოლაში სწავლა ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მაშინ ოსურ ენაზე განათლების მიღება სათანადო სახელმძღვანელოთა უქონლობის გამო, შეუძლებელი იყო. სინოდის დავალებით ქართველები უკვე თარგმნიდნენ ოსურ ენაზე სასულიერო წიგნებს. 1764 წელს ქართველმა მისიონერებმა პირველი სკოლა გახსნეს ოსი ბავშვებისათვის ქ. მოზდოკში". (6, ტ.IV, გვ.791).

„ოსეთის სასულიერო კომისიის" საქმიანობას დიდი ამაგი დასდეს თეიმურაზ II-ემ, ერეკლე II-ემ, ანტონ I (1720–1788) კათალიკოსმა და სხვებმა. მათი ხელშეწყობითა და დახმარებით საქართველოს სკოლებში აღიზარდნენ არაერთი მთიელი ბავშვები, რომლებმაც შემდგომში თავისი კვალი დატოვეს თავიანთი ხალხების მეხსიერებაში. „ერთ-ერთი მათგანი იყო ერეკლეს მიერ გააზნაურებული ოსი იოანე იალღუზიძე. იოანე იალღუზისძემ გარეჯის სამონასტრო სკოლასა და თბილისის სასულიერო სემინარიაში საფუძვლიანი განათლება მიიღო და თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ოსური დამწერლობისა და მწიგნობრობის გავრცელების საქმეში. იალღუზიძის მიერ ქართულიდან ოსურად თარგმნილმა და ქართული ანბანით დაწერილმა წიგნებმა საფუძველი ჩაუყარა ოსურ დამწერლობასა და ლიტერატურას". (6, ტ.IV, გვ.792).

იოანე იალღუზისძის „შემოქმედება ოსი ხალხის განათლების ინტერესებს ემსახურებოდა. ამით აიხსნება მისი დიდი ავტორიტეტი ოსთა შორის. რუსეთის ადმინისტრაცია სარგებლობდა მისი ავტორი-ტეტით ოსებთან ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში. იგი თავგამოდებით იცავდა ოს ხალხს ცალკეული რუსი მოხელეების ჩაგვრისაგან. იოანე „ოსეთის სასულიერო კომისიაში" მთარგმნელად მუშაობდა. მან ქართული ენის საფუძველზე შეადგინა ოსური დამწერლობა, ქართულიდან ოსურად თარგმნა ცისკრისა და მწუხრის ლოცვები, კატეხიზმო და კურთხევანი, რომელიც მოსკოვში დაიბეჭდა. აღნიშნული ლიტერატურის მეშვეობით, მისიონერ მღვდლებს საშუალება მიეცათ ლიტურგია ოსურ ენაზე შეესრულებინათ. იოანე კომისიის სასარგებლოდ სხვა მხრივაც იღვწოდა. იგი ოსურ და ქართულ ენებს ასწავლიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. აღნიშნული სასწავლებლის კურს-დამთავრებული პირები იგზავნებოდა სამისი-ონერო მოღვაწეობისათვის". (22, გვ.192).

1771 წელს „ოსეთის სასულიერო კომისიის" ხელმძღვანელად დაინიშნა რუსეთის სასულიერო პირის წარმომადგენელი, რომელმაც კომისიის წევრები რუსი მისიონერებით შეცვალა და კომისია გადაიქცა რუსეთის პოლიტიკის გამტარებლად. ოსეთში გავრცელებული ქართული ანბანი, შეიცვალა რუსული – კირილიცას გრაფიკით. „ოსური კომისიის" საქმიანობაში, (1784–1793) წლებში, უნდა აღინიშნოს ქართველი მეცნიერის, ლიტერატორის,

მთარგმნელის, პედაგოგისა და დიპლომატის გაიოზ რექტორის (1746–1821) (ბარათაშვილი, ბარათაშვილ-თაყაიშვილი), მოღვაწეობა, რომელმაც თვალსაჩინო კვალი დატოვა ოსური კულტურის სარბიელზე. მისი შემწეობით განხორციელდა ოსური დამწერლობა და ხელი შეუწყო ოსურ განათლების განვითარებას. მან შექმნა ოსური ანბანი და ოსურ ენაზე პირველ გამოცემულ წიგნში აღბეჭდა ოსური მეტყველება, საფუძველი ჩაუყარა ოსურ დამწერლობას. (38, გვ247). შემდეგში, რუსეთის სინოდის მიერ დანიშნულმა ახალმა რუსმა არქიმადრიტმა, „ოსეთის სასულიერო კომისია“ თბილისიდან ქ. მოზდოკში გადაიტანა. 1792 წელს „ოსეთის სასულიერო კომისია“ გაუქმდა.

„1815 წლის 15 სექტემბერს სინოდის განკარგულებით თბილისში აღსდგა „ოსეთის სასულიერო კომი-სია“, რომელსაც წინამორბედის ფუნქციები დაეკისრა. მხოლოდ 1817–1821 წლებში კომისიის ენერგიული მუშაობის შედეგად 28 592 ოსი გაქრისტიანდა, აშენდა და აღდგენილ იქნა 29 მართლმადიდებლური ტაძარი“. (22, გვ.191). კომისიის ხელმძღვანელად დანიშნეს დოსითეოს ფიცხელაური. იგი, ოს გლეხებს, გაქრისტიანების შემთხვევაში პირდებოდა, რომ მათ მებატონეებისაგან გაანთავისუფლებდა და სახაზინო უწყებაში ჩარიცხავდა. მის დროს 13 ათასამდე ოსი გაქრისტიანდა. შემდეგში, ადგილობრივი ხელი-სუფლებისა და მებატონეების მოთხოვნით, იგი თანამდებობიდან დაითხოვეს და „ოსეთის სასულიერო კომისია“ საქართველოს ეგზარხოსს დაუქვემდებარეს. 1861 წელს არსებული „ოსეთის კომისია“ გააუქმეს. 1863 წელს შემოღებულ იქნა „მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება კავკასიაში“.

XVIII საუკუნიდან დაწყებული, კავკასიაში ადმინისტრაციულ-კულტურულ მთავარ ქალაქად ითვლებოდა თბილისი. აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ კავკასიის ყველა ხალხის წარმომადგენლები. წყარო-ებიდან ჩანს, რომ თბილისმა, ოსი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა. თბილი-სის სასწავლებლებში აღზრდილმა ოსი ხალხის შვილებმა შემდეგში თავი გამოიჩინეს როგორც საქართველოში, ასევე ოსეთშიც. ქართველი ხალხი და საზოგადო მოღვაწეები ცდილობდნენ ოსებს დახმარებოდნენ სხვადა-სხვა მეცნიერების და კულტურის განვითარებაში. ზოგიერთნი თვით ოსეთში ცხოვრობდნენ და სასულიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ. ცნობილია, რომ XIX საუკუნის ბოლოს თბილისის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულები მოღვაწეობდნენ ჩრდილოეთ ოსეთში სხვადასხვა დარგში, სასულიერო, პედაგოგიურ სამეცნიერო, ლიტერატურულ და სხვ.

1906 წელს თბილისში დაარსდა ოსური სახალხო თეატრი. 1906 წლის 7 ოქტომბერს თბილისში ჩამოყალიბდა ოსური საგამომცემლო საზოგადოება „ირ“-ი („ოსეთი“). 1907 წლის 8 მარტს გამოვიდა ოსური გაზეთი „ნოგ ცარდს“ („ახალი ცხოვრება“). 1909 წელს თბილისშივე ჩამოყალიბდა ოსური კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „რუხს“ (სინათლე) და სხვ. (22, გვ.197).

ზევით აღვნიშნეთ, რომ 1830 წელს ჩრდილოეთ ოსების საბოლოოდ დამორჩილების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ ოსებით დასახლებული მიწა-წყალი თავისებურად დაანა-წილა და დაჰყო: „ადმინისტრაციულად მისი ერთი ნაწილი ჩარიცხა გორის მაზრაში, ხოლო ნაწილი კი მთის ხალხთა მმართველობაში, რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ 1817 წელს. იგი როგორც ცალკე ადმინისტრაციული ერთეული აერთიანებდა საქართველოს სამხედრო გზის

გასწვრივ მცხოვრებ მთის ხალხებს.

ოსებით დასახლებულ ხეობებს მოურავების ნაცვლად დაენიშნათ ბოქაულები, რომელთაც დაეგზავნათ სპეციალური ინსტრუქციები. ბოქაულები დაინიშნენ ჯავის, კოშკროკის, მაღრან-დვალეთის და ქსნის ხეობებში. აქედან მაღრანდვალეთის ხეობის ბოქაული დაექვემდებარა მთის ხალხთა მმართველს, ხოლო დანარჩენი სამი – გორის საოკრუგო უფროსს. ასეთი გარდაქმნები ძალაში დარჩა 1834 წლამდე". (22, გვ.81).

რუსეთი XIX საუკუნის I ნახევარში საქართველოს დაპყრობისთანავე, შეუდგა მისი სახელმწიფოებრიობის ყოველგვარი ნიშნის მოსპობას. პირველ რიგში მან საქართველო დაჰყო ორ ნაწილად და საქარ-თველო გადააქცია რუსეთის იმპერიის ორ ჩვეულებრივ გუბერნიად: თბილისის და ქუთაისის გუბერნიებად. მაგრამ რუსეთის მესვეურებმა იცოდნენ, რომ კავკასიის და მით უმეტეს საქართველოს საბოლოოდ დასამორ-ჩილებლად საჭირო იყო მათთვის სხვადასხვა საშუალებებით ისტორიული მიწა-წყლის ხელიდან გამოცლა. საქართველოში შემოხიზნულ და მცხოვრებ სხვადასხვა ერების წარმომადგენლებს, რუსების სახით, ვითომდა მათი მეურვე მოევლინა. ამიტომ იყო, რომ რუსეთი შეეცადა, საქართველოს მიწა-წყალზე მჭიდროდ დასახლებულ ერების წარმომადგენელთა ერთგვარი სახელმწიფოები ჩამოეყალიბებინა. საქართველოში მცხოვრები არა ქართველი წარმოშობის ხალხთა მჭიდროთ დასახლებული ჯგუფები იყვნენ: აფხაზეთის მიწა-წყალზე მყოფი ე. წ. „აფხაზები", ოსები, სომხები და აზერბაიჯანელები. ამათგან, სწორედ ამ დროს ხდებოდა „აფხაზებისა" და ოსების ეროვნებებად ჩამოყალიბება. რუსეთის ხელისუფლებამ სწორედ ეს აფხაზები და ოსები გამოიყენა ქართველების წინააღმდეგ დასაპირისპირებლად.

რუსულ საბუთებსა და უწყისებში, 1865 წლიდან 1917 წლამდე, ჯავის რაიონი, მოხსენებულია როგორც თბილისის გუბერნიის გორის მაზრის ოსების უბანი („ოსეტინსკი უჩასტოკ"). ეს იყო გამოლაშქრება და ოსების ამხედრების პირველი ნიშანი საქართველოს წინააღმდეგ.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, პეტერბურგში ჩამოყალიბდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო და დროებითი მთავრობა. ხოლო ამავე წლის 9 (22) მარტს, თბილისში შეიქმნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომ – ოსობის ზაკავკაზსკი კომიტეტი), ამიერკავკასიის დროებითი მთავრობა. შემდეგში, „ოზაკომი" 1917 წლის 15 (28) ნოემბერს დაიშალა და შეცვალა ამიერკავკასიის კომისარიატმა და სეიმმა.

1864 წელს რუსეთში ჩატარდა საერებო რეფორმა – „ერობა" (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები). რომელიც „მიზნად ისახავდა თვითმპყრობილური წყობის შერწყმას კაპიტალიზმის განვი-თარების მოთხოვნებთან". (8, ტ.4, გვ.199).

საქართველოში ერობის შემოღებას მხარს უჭერდნენ ლიბერალები და რევოლუციონერ დემოკრატები. მათი არაერთი მოთხოვნისა, საქრთველოში ერობის ჩამოყალიბების შესახებ, რუსეთის მთავრობა დუმილით პასუხობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში იყვნენ მოღვაწეები, რომლებიც მოუწოდებდნენ ხელისუფლებას, რომ რუსეთისათვის და რუსი ხალხისთვის უკეთესი იქნებოდა შეეცვალათ თავიანთი აგრესიული დამოკიდე-ბულება საქართველოსა და ქართველების მიმართ. მაგ. „რუსი მოღვაწე ი. კანადპევი, რომელმაც 20 წელი იცხოვრა კავკასიაში, 1902 წელს პეტერბურგში გამოცემულ თავის წიგნში წერდა: „ბურჟუაზია, როგორც ისტორია გვიჩვენებს, ყოველთვის

იმარჯვებს თავადაზნაურთა კლასზე. ეს სწორია, მაგრამ უნდა დავუმატოთ, რომ ეკონომიკური ევოლუცია არსად არ დამთავრებულა ისე სავალალოდ თავადაზნაურობისათვის, როგორც აქ... განა მთავრობამ უნდა დაუშვას, რომ დაიღუპოს ქართველი თავადაზნაურობა, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია რუსეთს მასთან საქართველოს შეერთების დროიდან? არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტი, რომ იგი იყო ორი ერთმორწმუნე ხალხის ერთიანობის იდეის მატარებელი და ერთი სამეფოს მეორე სამეფოსთან ნებაყოფლობით შეერთების მთავარი მიზეზი... საქართველოს შეერთებამ... უდიდესი სარგებლობა მოუტანა რუსეთს იმ მხრივ, რომ მისი საზღვრები უშუალოდ თურქეთთან და სპარსეთთან მოვიდა შეხებაში, რამაც საშუალება მისცა რუსეთის მთავრობას, უშუალოდ გავლენა მოეხდინა ორივე სახელმწიფოზე. ამას გარდა, საქართველოს შეერთებით კავკასიის მთიელები ყოველ მხრივ გარშემორტყმული აღმოჩნდნენ, რამაც გარდაუვლად გამოიწვია მათი დამორჩილება და, შესაბამისად, ჩრდილოეთ კავკასიის მშვიდობიანი კულტურული განვითარების ხელის შემშლელი პირობების მოსპობა. დასასრულს, არ შეიძლება, უყურადღებოდ დავტოვოთ ის გარემოება, რომ რუსეთმა საქართველოს სახით შეიძინა ქვეყანა, რომელიც არაჩვეულებრივად მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, რაც რუსი ხალხის გამდიდრებას შეიძლება ემსახუროს“. (25, გვ.34). ხოლო, ცნობილი რუსი მწერალი, მოგზაური, ლიტერატურის კრიტიკოსი და ეთნოგრაფი ევგენი მარკოვი (1835–1903) 1887 წელს „პეტერბურგში გამოქვეყნებულ წიგნში „კავკასი-ური ნარკვევები“ წერდა: „ჩვენ რუსებმა, არ უნდა დავივიწყოთ თავის დღეში, რომ საქართველო ხმლით არ დაგვიპყრია, რომ ჩვენ იმათი თანასწორი ძმანი ვართ და არა მძლავრი მებატონენი. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველნი შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში მისთვის, რომ ქართველადვე დარჩნენ. ამიტომაც ყოველსავე ქართველს, ისტორიით მოპოვებულს, ყოველს ქართველთაგანს, ყოველსავე სალოცავს ერისას და წმინდად აღიარებულს, ყოველსავე თვისებას მათსა – იმოდენად პატივი უნდა ვცეთ, იმოდენად მხარი მივცეთ და ხელი შევუწყოთ, რამოდენადაც ყოვლისფერს ჩვენს საკუთარს. კავშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მეორეს ძმურად შეეწეოდეს, ერთი მეორეს შეემსჭვალოს, და არა იმაში, რომ ერთმა მეორე ჩაყლაპოს“. (25, გვ.96). მაგრამ, ესენი იყვნენ მეტად მცირენი.

1917 წელს რუსეთის დროებითმა მთავრობამ, განაპირა მხარეებში შემოიღო საერებო დაწესებულებები. რუსეთის ხელისუფლება მოითხოვდა, რომ საქართველოში მყოფ ერებს, აფხაზეთსა და ოსეთს, ებრძოლად „თვითგამორკვევისათვის“ და მათი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიემართათ საქართველოდან გამოყოფისაკენ და ცალ-ცალკე ერთეულის შექმნისაკენ, ოღონდ, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყვნენ.

1918 წელს საქართველოში საერებო რეფორმა ჩატარდა. ჩამოყალიბდა სამაზრო საერებო დაწესებულებები. ზოგიერთ მაზრაში შეიქმნა სათემო ერობის ორგანოებიც. ერობა წარმოადგენდა ადგილობრივ თვითმმართველობის დამოუკიდებელ დაწესებულებას, რომელსაც მართვა-გამგეობის ყოველგვარი უფლებები ჰქონდა. რუსეთის ხელისუფლებაში მოხვედრილმა ბოლშევიკებმა და შემდეგში საქართველოს კომუნისტებმა, სწორედ ეს საერებო რეფორმა გამოიყენეს საქართველოს ერთიანობის დაშლისათვის.

1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დროს, რუსეთისა და ქართველი ბოლშევიკების წაქეზებით, ცხინვალში მყოფმა ბოლშევიკებმა წამოიწყეს დამოუკიდებლობის მოთხოვნა რუსეთთან შეერთების მიზნით.

„სამხრეთ ოსეთის პირველმა ეროვნულმა ყრილობამ შეიმუშავა გეგმა-პროექტი „სამხრეთ ოსეთში ერობის შემოღების და მისი განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის შესახებ“, ეს ეხებოდა გორის, დუშეთის და რაჭის მაზრის (უფრო გვიან შორაპნის მაზრის) „მთიანი ნაწილებისაგან“ ოსი მოსახლეობის გამოყოფას ცალკე საერებო ერთეულად.

„ამიერკავკასიის ოსთათვის, ნათქვამია გეგმა-პროექტში, აუცილებელია ოსეთში ადმინისტრაციული აპარატის შექმნა, რომელიც შეძლებს ოსთა მსოფგაგებასთან უფრო ახლოს მისვლას“, ხოლო სადაც ოსები კომპაქტურად ცხოვრობენ, გამოიყოს ადმინისტრაციული ერთეული ცალკე მაზრით და ოლქით. შემდეგ ნათქვამია: „ჩვენთვის უეჭველია მხოლოდ ის დებულება რომ მთის რაიონი რომელიც დასახლებულია ოსებით, აუცილებლად გამოიყოს დამოუკიდებელ სამაზრო-ადმინისტრაციულ ერთეულად... მთელ ამ რაიონში გაისმის ოსური ენა და ამიტომ მოსახლეობას უფლება აქვს თავიანთ დაწესებულებებშიც მხოლოდ ოსური ენა ესმოდეთ“... ოსი სეპარატისტების და მათი წამქეზებლების მიერ მომზადებული პროექტი ნიშნავდა საქართველოს ტერიტორიულ დაშლას და ოსებისათვის ცალკე სახელმწიფოს შექმნას.....

საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა მხარი დაეჭირა სამხრეთ ოსეთის თვითმმართველ ერთეულად გამოყოფის უფლებას.

მიუხედავად ამისა, ოსმა სეპარატისტებმა გადაწყვიტეს, რომ საქართველოს გამოყოფოდნენ და საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შესულიყვნენ, რაც ოფიციალურად აცნობეს რუსეთის მთავრობას. ყოველივე ამას ოსთა ბოლშევიკი ლიდერები გეგმავდნენ“. (48).

ცნობილია, რომ რუსეთში მომხდარ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციას და ამის შედეგად შექმნილ რუსულ ხელისუფლებას, საქართველოში მომქმედმა პარტიებმა (გარდა ბოლშევიკებისა) და მოსახლეობამ უნდობლობა გამოუცხადეს.

1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში ამიერკავკასიის დროებითი მთავრობა ჩამოყალიბდა. ხოლო ამავე წლის 15 ნოემბერს, პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს „ამიერკავკასიის კომისარიატი“. „ეს იყო პირველი შემთხვევა ამიერკავკასიის ხალხების ისტორიაში როცა მათ შექმნეს ამიერკავკასიის საზღვრებში სრული სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების მქონე საკუთარი მთავრობა რუსეთის დიქტატურისაგან დამოუკიდებელი. მაგრამ აღნიშნულ ორგანოს დიდხანს არ უარსებია. 1918 წლის 22 იანვარს რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის არჩეული ამიერკავკასიელი დეპუტატებისგან ჩამოყალიბდა „ამიერკავკასიის სეიმი“, რომელიც მუშაობას შეუდგა 10 თებერვალს.....

ამიერკავკასიის კომისარიატის და სეიმის შექმნა წარმოადგენდა დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს რუსეთის ყოფილი განაპირა მხარეების – გუბერნიების – საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის მიღების გზაზე.

რუსეთის საბჭოთა მთავრობამ ამიერკავკასიის ახლად შექმნილი ხელისუფლება კონტრევოლუციურ ძალად გამოაცხადა და ბრძოლა დაიწყო მის წინააღმდეგ, ის ყველა მომხრეებს კერძოდ ამიერკავკასიელ ბოლშევიკებს მოუწოდებდა შეიარაღებულ აჯანყების გზით დაემხოთ ამიერკავკასიის მთავრობა, რისთვისაც „სახელისუფლო“ ორგანიზაცია შექმნა“. (48). რუსეთის საბჭოთა მთავრობა, ყოველგვარ ხერხს იყენებდა ამ რესპუბლიკებში მთავრობების დასამხობად. 1917 წლის გერმანიასთან დადებული ზავის შემდეგ, როდესაც

კავკასიის ბრძოლის ველიდან ბრუნდებოდნენ დამშეული, ჩაუცმელ-დაუხურავი საჯარისო ნაწილები, რუსი ბოლშევიკები მოუწოდებდნენ მათ, რომ აეღოთ თბილისი, დაემხოთ მთავრობა და საქართველო გაენადგურებინად.

გ. მაზნიაშვილი რუსეთის ჯარის შესახებ წერდა:

,,სექტემბრის ბოლო რიცხვებში 1917 წელს, რუსის ჯარი, რომელიც იდგა კავკასიის ფრონტზე, იმდენად გაიხრწნა, რომ მთელი გუნდები ჯარისკაცებისა თავის ნებით სტოვებდნენ პოზიციებს და გარბოდნენ შინისაკენ. შემდეგში ეს ჯგუფები გაიზარდა და საქმე იქამდის მივიდა, რომ მთელი დივიზიები იხსნე-ბოდა პოზიციებიდან, მტერს უტოვებდა სურსათსა და საკვების აუარებელ მარაგს, ტყვია-წამლის საწყობებს, ასე გასინჯეთ არტილერიასაც კი, და გამორბოდა რკინის გზებისაკენ სახლში დასაბრუნებლად. თავისთავად იგულისხმება, რომ ქართველები და სომხები, რომლებიც ჯარისკაცებად იყვნენ ამ გამოქცეულ დივიზიებში, თავის მაზრებსა და სოფლებს რომ მიაღწევდნენ, თავს ანებებდნენ სამსახურს და მიდიოდნენ თავიანთ სახლებში.

შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ამიერკავკასიასა და კერძოდ საქართველოს ორივე მხრიდან მოელოდა საფრთხე. ერთი საფრთხე იყო ოსმალეთი, რომლის ჯარები უკან დახეულ ჩვენ ჯარებს ფეხდაფეხ მოსდევდნენ და გადმოლახავდნენ ჩვენს საზღვრებს. მაგრამ სანამ ოსმალები ჩვენამდე მოაღწევდნენ, შინისაკენ მომავალი რუსეთის ჯარები გვაწვებოდნენ და სულს გვიხუთავდნენ. ამ უკან დახეულ რუს ჯარებს გზა ტფილისზე ჰქონდათ. მოაღწევდნენ ტფილისამდე, გაჩერდებოდნენ ნავთლუღში და, როგორც მტერი ალყა-შემორტყმულ ქალაქს, გვიდგენდნენ სხვადასხვა მოთხოვნილებებს. თხოულობდნენ აუარებელ ტანსაცმელს, იარაღს, და მოითხოვდნენ ყველა ამის დაუყოვნებლივ შესრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქს უქა-დნენ განადგურებას და დაქცევას. ერთხელ ისიც კი მოითხოვეს, რომ ამიერკავკასიის მთავრობა გადამდგარიყო და ხელისუფლება ჩაებარებინა საოლქო ყრილობისათვის“. (23, გვ.10).

ასეთ გაჭირვების დროს, ,,საქართველოში იმდენად მძიმე და ტრაგიკული მდგომარეობა შეიქმნა, რომ ქართველმა ბოლშევიკებმაც კი (რომლებსაც აჯანყებასთან უნდა ეხელმძღვანელად) უარი თქვეს ძალაუფლების ასაღებად რუსეთის არმიის გამოყენებაზე. მოხერხდა საქართველოს დასაპყრობად გამიზნულ ჯარისკაცთ ეშელონებით თბილისის გვერდის ავლით გაეგზავნათ რუსეთში. ასევე, შესაძლებელი შეიქმნა თბილისში, ელიაზე, განლაგებული არსენალის (რომელსაც ბოლშევიკურად განწყობილი გარნიზონი იცავდა) ქართული ეროვნული ნაწილების ხელში გადასვლა. ქართველმა ხალხმა 1917 წლის დეკემბერში, თავგანწი-რული ღონისძიებების შედეგად, ქვეყანა გადაარჩინა აბობოქრებული, აგრესიული რუსეთის ოკუპაციას. რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ თბილისში არსენალის დაკარგვა მძიმე მარცხად ჩათვალა, ამის გამო ვ. ლენინი აღშფოთებას ვერ მალავდა – როგორ თუ არსენალი მტერმა ჩაიბარაო.“ (48).

ამასობაში 1917 წლის 19-23 ნოემბერს შეიქმნა საქართველოს ეროვნული საბჭო. ხოლო 1918 წლის 4 იანვარს, ქართლის მთიან მხარეში ჩამოსახლებულმა ოსებმა ჩამოაყალიბეს ,,სამხრეთ ოსეთის“ ეროვნული საბჭო, რომელმაც ,,ოფიციალური ბარათით აცნობა საქარ-თველოს ეროვნულ საბჭოს, რომ იგი უკვე შეუდგა მუშაობას და ამიერიდან ყველა საკითხზე, რომელიც ორ ერს ეხება, ჩვენ მოგვმართეთო. ბარათში ისიც იყო ნათქვამი, რომ სამხრეთ

ოსეთის ეროვნული საბჭო ოსეთის საქმეთა უმაღლეს ხელმძღვანელ ცენტრს წარმოადგენდა.

1918 წლის 10 იანვარს კი სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ ამიერკავკასიის კომისარიატს წარუ-დგინა პროექტი, რომელშიც ნაჩვენები იყო, თუ რა ფორმით და რა საზღვრებში უნდა ჩამოყალიბებულიყო სამხრეთ ოსეთის ერთობა.

პროექტის ავტორები უკვე ამ დროს თვლიდნენ, რომ არსებობდა „სამხრეთ ოსეთის ხალხი", რომ აქ სახლობდა თავისი წარმოშობით, ენით და კულტურით ერთგვაროვანი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა; უნდა შექმნილიყო მაზრა, ან ოლქი ეროვნული ადმინის-ტრაციით და დაწესებულებებში საქმის წარმოება ყოფილიყო „მშობლიურ ოსურ ენაზე".

იმ დროს, 1918 წლის დამდეგს, უფრო შორს არ მიდიოდნენ, ამაზე უფრო ფართო ავტონომიის საკითხს ჯერ ვერ აყენებდნენ. ცხინვალს კი თავიდანვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ერთეულში გულისხმობდნენ". (22, გვ.93). მაგრამ, არ გასულა დიდი ხანი და „სამხრეთ ოსეთის" ეროვნულმა საბჭომ, იმავე „წლის მაისში, ივნისში და აგვისტოში აშკარად გამოთქვა რუსეთთან შეერთების სურვილი. მაგრამ იმის გამო, რომ მაშინ ჩრდილოეთ კავკასია ეკავათ დენიკენელებს და პრაქტიკულად მოუხერხებელი იყო ამ ღონი-სძიების განხორციელება, მათ შეცვალეს თავისი პოზიცია და მოითხოვეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში ფართო პოლიტიკური ავტონომია „სამხრეთ ოსეთისათვის". (22, გვ.94). ცნობილია, რომ ამავე დროს, ოსების გარდა, ბოლშევიკების მიერ წაქეზებული საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნული უმცირესობებიც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში თხოულობდნენ ავტონომიას. ეს იყო ბოლშევიკების მიერ აშკარად გამოხატული სურვილი საქართველოს რესპუბლიკის დაშლისა და დანაწევრება ცალ-ცალკე ერთეულებად, რომ შემდგომ საქართველოს ადვილად დაიპყრობდნენ და ის გახდებოდა საბჭოთა რუსეთის ერთ-ერთი ოლქი.

ბოლშევიკებმა 1918 წლის 29 მარტს ოსეთში აჯანყება მოაწყვეს და აჯანყებულებმა ცხინვალი დაიკავეს. ცხინვალში ძალაუფლება საბჭოების ხელში გადავიდა. მაშინდელმა საქართველოს მთავრობამ, აჯანყების ჩასაქრობად, გაგზავნა ცნობილი გენერლები: ვ ა ლ ე რ ი ა ნ (ვალიკო) ჯ უ ღ ე ლ ი (?–1924) და ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე კ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი, რომლებმაც აჯანყებულნი ცხინვალიდან განდევნეს.

1918 წლის 26 მაისს სეიმმა თავი გაუქმებულად გამოაცხადა. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა „საქართველოს დამოუკიდებლობა" და შეიქმნა დროებითი მთავრობა. ამავე წელსვე საქართველოს ეროვნული საბჭო საქართველოს პარლამენტად გადაკეთდა. საქართველოს დამო-უკიდებლობამ ვ. ლენინი აღაშფოთა, რაც ერთ-ერთ ყრილობაზე თავის სიტყვაში კიდევაც გამოხატა. როგორც ცნობილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ დაირაზმნენ საბჭოთა რუსეთი და ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც ამიერიდან ყოველგვარი ხერხით ცდილობდნენ საქართველოში დემოკრატიული რასპუბლიკის დამხობას და მის დამონებას. ცდილობდნენ რაიმე მიზეზით, საქართველოში საომარი მოქმედებები განეხორციელებინათ. მათი შემწეობითა და ხელმძღვანელეობით დაიწყო საქართვე-ლოში ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება, აჯანყებები და გლეხთა გამოსვლები. უნდა აღინიშნოს, რომ ოსების ეროვნული საბჭოც არ სცნობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას, დაუპირისპირდა მას და მოქმედებდა თავისი შეხედულების მიხედვით. იმ დროინდელი წერილობითი საბუთებიდან ჩანს,

რომ ოსეთის ეროვნული საბჭო ცდილობდა „სამხრეთ ოსეთის“ შეერთებას რუსეთთან და შიდა ქართლის მოსახლეობას მოუწოდებდა აჯანყებისაკენ. 1918 წლის 30 ივლისს, სამხრეთ ოსეთში, ჯავაში, შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის“ საოლქო კომიტეტის ორგანიზაციული ბიურო, რომელსაც უნდა სამხრეთ ოსეთში შეექმნა ბოლშევიკური ბიუროები. ცოტა ხნით ადრე, ბოლშევიკების ხელშეწყობით, 1918 წლის თებერვალში თითქმის ერთსა და იმავე დროს გლეხთა აჯანყებები დაიწყო ოსეთში, აფხაზეთში, ლეჩხუმის, ზუგდიდის, სენაკის და გორის მაზრებში. ოსეთში, აჯანყებულებმა დაიკავეს ცხინვალი და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთავრობამ გვარდიელები გააგზავნა და აჯანყება დამარცხდა. ამის შემდეგაც, ბოლშევიკები, საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, გამუდმებით აწყობდნენ აჯანყებებს, მაგრამ ეს აჯანყებები მარცხით მთავრდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ აჯან-ყებებში მონაწილეობას ღებულობდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული ბოლშევიკები და სხვადასხვა რაზმები და კაზაკებიც.

„1918 წლის მარტში სამხრეთ ოსეთში რუსეთისა და რკპ(ბ) სამხარეო კომიტეტის მიერ მოწყობილ გლეხთა აჯანყების წინააღმდეგ გაილაშქრა სამხრეთ ოსეთის პირველმა ეროვნულმა საბჭომ, რომელმაც აღნიშნა, რომ აჯანყება უცხო ძალების მიერ არის პროვოცირებული და მთელმა ქართველმა და ოსმა ხალხმა უნდა იბრძოლოს მის წინააღმდეგ. მართლაც, პირველი ეროვნული საბჭოს მთელი შემადგენლობა იბრძოდა ოსი და ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული აჯანყების ლიკვიდაციისათვის.“. (48).

ცნობილია, რომ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის საბჭოს, 1918 წლის 13 სექტემბერს მიღებული კანონით, საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს საბჭოში ეკავათ 26 ადგილი: სომხებს – 10, აზერბაიჯანელებს – 4, აფხაზებს – 3, რუსებს–3, ოსებს – 2, ქართველ ებრაელებს – 1, ებრაელებს – 1, ბერძნებს – 1 და გერმანელებს –1.

„1919 წლის დამდეგს რკპ(ბ) სამხარეო კომიტეტი ვლადიკავკაზიდან თბილისში გადმოვიდა და სათავეში ჩაუდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ახალი აჯანყების მოწყობას. აღნიშნული კომიტეტი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამზადებდა გლეხთა გამოსვლებს, განსაკუთრებით შიდა ქართლში, აფხაზეთში და აჭარაში, მაგრამ აჭარაში ვერ მიაღწია სასურველ მიზნებს – აჭარელმა მშრომელებმა არ დაუჭირეს მხარი ბოლშევიკურ ავანტიურას – ე. წ. გლეხთა აჯანყების მოწყობას. ბოლშევიკები ერთგვარ გავლენას ახდენდნენ აფხაზურ და ოსურ მოსახლეობაზე. ისინი ნაციონალურ შუღლს აღვივებდნენ ქართველ, აფხაზ და ოს მოსახლეობას შორის“. (48).

საქართველოს წინააღმდეგ გამოსვლები ოსეთში არ წყდებოდა და ყველა ეს აჯანყებები იგეგმებოდა რუსეთისა და კავკასიელი ბოლშევიკების მიერ და რაც მთავარია, რუსეთის მთავრობის დაფინანსებით. 1920 წლის აპრილში სოფელ როკში დაიწყო აჯანყება რომელიც გავრცელდა მთელ ოსეთში. აჯანყებულების დასახმარებლად ჩრდილოეთ ოსეთიდან გადმოვიდნენ მოხალისეთა რაზმები. 7 მაისს დაიკავეს ცხინვალი. 8 მაისს სახალხო მიტინგზე გამოცხადდა ოსეთის საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო ოსეთი რუსეთის შემადგენელ ნაწილად. ოსეთში ახლად შექმნილი რევკომი საბჭოთა რუსეთისაგან ითხოვდა დახმარებას, რადგან მათი თქმით: „საქართველოს მთავრობა ხელყოფს რუსეთის ნაწილს“. უნდა აღინიშნოს, რომ აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი. ამ დროს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის დაიდო სამშვიდობო

ხელშეკრულება. ამის გამო რუსეთის საბჭოთა მთავრობას აღარ შეეძლო ავჯანყებულ ოსებისათვის დახმარების გაწევა და ქართველი ბოლშევიკებიც იძულებულნი გახდნენ თავიანთი გამოსვლები შეეჩერებინათ. ავჯანყება დამარცხდა და გადარჩენილმა ავჯანყებულებმა ჩრდილოეთ ოსეთს შეაფარეს თავი. 1921 წლის მარტში, ბოლშევიკებმა ისევ მოახდინეს ავჯანყება ოსეთში და პარტიზანული რაზმებისა და წითელი არმიის ნაწილების თანამოქმედებით, ავჯანყებულებმა საბოლოოდ დაიკავეს ცხინვალი და სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

ზევით აღვნიშნეთ, რომ ჯერ მეფის რუსეთი, ხოლო შემდეგ საბჭოთა რუსეთი, ცდილობდა საქარ-თველოს საერთოდ მოსპობას და ამისთვის ყოველივე ხერხს მიმართავდა, რომ როგორმე საქართველოში მცხოვრები ეროვნებები ერთმანეთს წაეკიდებინა.

„ინგლისელი ჟ. სტოკეს მიხედვით – „ბოლშევიზმი არის სიმართლის ყველანაირი იდეის, პატიოსნების, ზნეობრივი ქცევისა და ჰუმანურობის სრული უარყოფა“ (რ. დიუგეს წიგნის „მოსკოვი და წამებული საქართველო“, 1928)“. (49).

1921 წლის 21 აპრილს რუსეთის სამხედრო დიპლომატიის წარმომადგენელი (ატაშე) გენერალი პ. სიტინი საიდუმლო ბართში წერდა:

„ხელი უნდა შევუწყოთ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთს შორის ურთიერთობის განმტკიცებას, აჭარაში სეპარატისტული ტენდეციების სტიმულირებას, კორიდორის გაჭრას... რაც უზრუნველყოფს სომხეთის პირდაპირ კავშირს რუსეთთან... ადგილობრივი შოვინისტების საწინააღმდეგოდ საქართველოში უნდა დავ-ტოვოთ წითელი არმიის ძლიერი რაზმები... უნდა გადავწიოთ რუსეთის საზღვარი მდ. ბზიფის მარჯვენა სანაპირომდე ე. ი. აფხაზეთის საზღვრამდე და ხელი შევუწყოთ აფხაზეთის გამოყოფას... ყურადღება მივაქციოთ სამეგრელოსაც“. (49). შემდეგში, საბჭოთა რუსეთმა შეასრულა წინასწარ დასახული გეგმა.

საქართველოს გასაბჭოებისთანავე, 1921 წლის სექტემბერში, ოსეთის რევკომმა, საქართველოს მთავრობას და საბჭოთა ხელისუფლებას მოსთხოვა, რომ „სამხრეთ ოსეთი“ ცალკე პოლიტიკურ ერთეულად გამოყოფილიყო და იგი უნდა ფედერაციულად დაკავშირებულიყო საქართველოს სს რესპუბლიკას. 1921 წლის 31 ოქტომბერს პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს ოსეთის რევკომის თხოვნა და მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, რომ უნდა შექმნილიყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და დადგენილიყო მისი საზღვრები. ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩადენილი პირველი დანაშაული ქართველი ხალხის წინაშე, „რომელმაც სათავე დაუდო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევას, ძირძველი ქართული მიწის „ოსეთად“ სახელდებას; ქართველი და ოსი ხალხების კეთილმეზობლური ურთიერთობის გაუცხოებას.

როგორც კი ცნობილი გახდა 1921 წლის ბოლოს, რომ შიდა ქართლის ტერიტორიის ნაწილს ოსებისათვის ავტონომიურ ერთეულად გამოცხადებას უპირებდნენ, ქართველობა აღსდგა ამ გაუგონარი უსამართლობის წინააღმდეგ. ეს იყო კიდევ ერთი საშინელი დარტყმა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოსპობის გზაზე. ძირძველ ქართულ მიწაზე „ქართული მთავრობა“ სახელმწიფოებრიობას უქმნიდა სხვა ერს.

ცხინვალის რაიონის თითქმის ყველა ქართულ სოფელში ჩატარდა კრებები, სადაც ერთსულოვნად დაგმეს ეს აქტი. საპროტესტო აქციით გამოვიდნენ სოფლების: დიცის, ერგნეთის, დვანის, ავნევის, ნულის, ქორდის, მეღვრეკისის, ერედვის, თამარაშენის, ტირძნისის,

ბროწლეთის, სვერის, ქეშერტის, მონასტრის, ზემო ნიქოზის, ქვემო ხეთის და სხვა მრავალი სოფლის მცხოვრებნი“. (22, გვ.106). მიუხედავად ამისა, მაშინდელმა საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძემ (1868–1943) და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარემ სერგო ქავთარაძემ (1885–1971) ლენინის ბრძანების თანახმად ხელი მოაწერეს (არასამართლებრივი) დადგენი-ლებას, პირველად საქართველოს ისტორიაში, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნის შესახებ, როგორც საქართველოს სსრ-ის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გამოცხადდა 1922 წლის 20 აპრილს. რომლის მთავარი ქალაქი გახდა ცხინვალი. ხოლო ორი წლის შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბოლშევიკებმა, ჩრდილოეთ კავკასიაში 1924 წლის 7 ივლისს, ჩამოაყალიბეს ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი რსფსრ-ის შემადგენლობაში და ამ დღიდანვე იწყება მცდელობა „ორი ოსეთის“ გაერთიანების შესახებ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის“ საზღვრებში მოექცა „არამარტო იმ დროს ოსებით დასახლებული ჯავის, ზნაურისა და ზოგიერთი სხვა ხეობები, არამედ, ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, გორის, დუშეთისა და რაჭის მაზრების მთელი რიგი ქართული სოფლები“. (22, გვ.109).

ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, რომელიც შექმნეს ბოლშევიკებმა, 1922 წლის 20 აპრილს „მდებარეობდა ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთაზე. ჩრდილოეთით საზღვარი იყო კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემი, აღმოსავლეთით – ალევის ქედი, დასავლეთის საზღვარი კვეთდა ლიხის, რაჭისა და კედელას ქედებს. მდინარეების ძირულის, ყვირილის, ჯეჯორისა და ღარულის ზემო დინების ხეობებს და მთავრდებოდა მამისონის უღელტეხილთან. სამხრეთ საზღვარი შიდა ქართლის ვაკის ჩრდილო პერიფერიაზე გადიოდა. სამხრეთ ოსეთის აო-ს ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ, აღმოსავლეთით ყაზბეგისა და დუშეთის, სამხრეთით – კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის, დასავლეთით – საჩხერისა და ონის რაიონები.

ფართობი 3,8 ათასი კმ (საქართველოს ტერიტორიის 5,4%). მოსახლეობა 97,4 ათასი კაცი (1981). ცენტრი – ქ. ცხინვალი. სამხრეთ ოსეთში იყო 4 ადმინისტრაციული რაიონი: ზნაურის, ლენინგორის (ამჟ. ახალგორი), ცხინვალის და ჯავის. ერთი საოლქო დაქვემდებარების ქალაქი (ცხინვალი), ოთხი დაბა (ზნაური, კვაისა, ლენინგორი, ჯავა)“. (82).

კავკასიოლოგი ჯონი კვიციანი აღნიშნავს:

„ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის „ოსურმა პროექტმა“ დაღუპა ქართულ-ოსური ურთიერთობები, განსაკუთრებით უარყოფითად იმოქმედა მან ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ოსებზე. საბჭოთა კავშირის ეროვნული პოლიტიკა განსაზღვრავდა პოლიტიკური, ტერიტორიული და ადმინისტრაციული ცხოვრების ფორმას, რომლის ჩარჩოებშიც მიმდინარეობდა საბჭოთა ხალხების სოციალური განვითარება. ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნა გამოწვეული იყო უფრო კრემლის გეოპოლიტიკური ინტერესებით, ვიდრე ხალხთა თვითგამორკვევის უფლების სამართლიანობის მოთხოვნით (ცნობილია, რომ ამ მიზნის განხორციელება ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ოსებთან არის დაკავშირებული)“. (11, გვ.5).

„ქართული ისტორიოგრაფიის მიხედვით ჩანს, თუ რამდენად უსამართლო იყო შუაგულ საქართველოში „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის წარმოქმნა. ოსური მხარის თვალსაზრისითაც მოხდა უსამართლობა, როდესაც ოსები, მცხოვრებნი კავკასიონის ქედს გაღმა,

ჩრდილოეთით, და ქედს გამოღმა, სამხრეთით, გაიყვნენ ორ ნაწილად...

ერთი შეხედვითაც კი ჩანს, რომ ცხინვალის რეგიონში ხელოვნურად შექმნილი „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომია რეალურად ხელს ვერ შეუწყობდა საქართველოში ოსების სოციოკულ-ტურულ ადაპტაციასა და ინტეგრაციას. ამ კუთხით, სამწუხაროდ, ეს თემა არ გაანალიზებულა. არ გაანალიზებულა ისტორიაში ის საკითხიც, რომ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიამ, რომელიც კრემლის გეოპოლიტიოკურ მიზნებს ემსახურებოდა, შეიძლება შეგნებულად არა, მაგრამ რეალურად ამ რეგიონში მცხოვრები ოსებიც და ქართველებიც კატასტროფამდე მიიყვანა“. (11, გვ.8).

საბჭოთა მთავრობამ, როდესაც შეიარაღებული გამოსვლები შეწყვიტა, დაიწყო ქართველი მოსახლეობის განიარაღება. საბჭოთა ისტორიკოსები, დიდის ამბით აცხადებდნენ და წერდნენ, რომ: „1921 წლის თებე-რვალში საყოველთაო შეიარაღებულმა ავჯანყებამ საქართველოში ერთობლივ ბრძოლაში ჩააბა სამხრეთ ოსეთის მშრომელი მასებიც, რომელთაც წითელი არმიის დახმარებით დაამხეს საქართველოს მენშევიკური მთავრობა და დაამყარეს საბჭოთა ხელის-უფლება. საქართველოში გამარჯვებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ სრული თავისუფლება და ფართო უფლებები მიანიჭა სამხრეთ ოსეთის მშრომელებს“. (9, გვ.338).

„ბოლშევიკებისაგან ფრთა შესხმული ოსები, კერძოდ, ავტონომიური ოლქის ცაკის პრეზი-დიუმი 1923 წლის 14 ივლისს იღებს დადგენილებას „ოსური ენის, როგორც სახელმწიფო ენის შემოღების შესახებ“. (22, გვ.111). ცხადია, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა, ისტორიულად და იურიდიულადაც სრულიად გაუმართლებელი იყო. რადგან, ამ დროს საქართველოში ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული ხიზნად მყოფი ოსები და ავტონომიურ ოლქში შემავალი მიწა-წყალი არასოდეს ყოფილა ოსების სამშობლო. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, კომუნისტების მიერ, მიზანმიმართულად ხდებოდა ჩრდი-ლოეთიდან სამხრეთში ოსების ჩამოსახლება. ბოლშევიკებმა „საქართველოში შექმნეს სამი ავტონომიური წარმონაქმნი. ავტონომიური ერთეულების შექმნისას გარკვეული როლი შეას-რულა ლოზუნგმა – კომუნიზმის დროს სულერთია მაინც წაიშლება საზღვრები ურთი-ერთშორისო. ანტიპარტიულად განწყობილი ქართველი ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ ამ უაღრესად მტკივნეულ აქტს სრული გულგრილობით შეხვდა „კომუნიზმისა“ და „ინტერნაციონალიზმის“ დემაგოგიური ლოზუნგებით მოტყუებული ერის ერთი ნაწილი.

საქართველოში – ერთ ფიორა ტერიტორიაზე სამი ავტონომიის არსებობა ინტერნაციონალიზმის ორჯონიკიძისეული გეგმის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს. ან უნდა მივიღოთ, რომ იგი ოქტომბრის გადა-ტრიალების ჭეშმარიტ მიზნებში ჩინებულად ერკვეოდა – „დაყავი და იბატონე“.

ქართველი ერის დამოუკიდებლობა რუს ბოლშევიკებს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმად ჰქონდათ მონა-თლული, ასე იყო საჭირო მათი სახელმწიფოსათვის. ორჯონიკიძეს აქტიურად უჭერდა მხარს ქართველი ბოლშევიკების უმრავლესობა და, რა თქმა უნდა, თვით სტალინიც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. ქართველთა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის აღმოსაფხვრელად, პანაცეად იქცა ჩვენი ეროვნული ენერგიისა და ტერიტორიის დაქუცმაცება, ერთა შორის წინააღმდეგობათა გამწვავებისათვის ხელის შეწყობა....

ვერც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში და ვერც საბჭოთა იურიდიულ ლიტერატუ-რაში ვერ იპოვით განმარტებას – როდის, როგორ, რა პირობით, რა უფლებით შეიძლება

მიიღოს ამა თუ იმ ხალხმა ავტონომიურობა. ყველა საბჭოური ავტონომია შექმნილია სსრკის იმდროინდელ მმართველთა გუნებაგანწყობილების შესაბამისად“. (22, გვ.157).

შემდეგ წლებში, ის ვინც მათ მხარს არ უჭერდა (განსაკუთრბით პირველ პირს) და მათ შორის ქართველი ბოლშევიკებიც, ყველა თავიდან მოიშორეს, ზოგი დახვრიტეს და ზოგიც გადაასახლეს.

ცნობილია, რომ „ჯერ კიდევ 1921 წელს ცხინვალის გარშემო 26 სოფელში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. საბჭოთა რეჟიმის დამყარებიდან ოსები ინტენსიურად სახლდებიან ქართლისა და კახეთის ტერიტორიაზე. 1922 წელს თბილისში ცხოვრობდა 1 446 ოსი. 1925 წლისათვის ყოფილ ოლქში აღრი-ცხულია 82 ათასი კაცი. მათგან ოსები იყვნენ 54 ათასი. დანარჩენ 28 ათასს შეადგენდნენ ქართველები, სომხები და ებრაელები. 1926 წელს საქართველოში ოსების რაოდენობა 113 ათასს უდრიდდა და აქედან 60 ათასი ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ხოლო 53 ათასი მის ფარგლებს გარეთ. გამოდის, რომ ერთ წელიწადში ოლქში მცხოვრები ოსები 6 ათასი სულით გაზრდილან? ბუნებრივია ეს იყო ჯაყოების – ჩრდილოეთიდან ახალი ტალღის გადმოსროლა, რაც ბოლშევიკების დემოგრა-ფიული პოლიტიკით იყო განპირობებული.

აღნიშნულ პერიოდში ოსთა კომპაქტური დასახლებები ყველაზე მეტად შესამჩნევი იყო გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრებში“. (25, გვ.47).

მოსახლეობის აღწერის მონაცემებიდან ჩანს, რომ 1800 წელს საქართველოში ცხოვ-რობდა 29000 ოსი. 1939 წელს – 148680, 1979 წელს – 162100, 1989 წელს – 164055.

ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთის“ „1979 წლის აღწერით სამხრეთ ოსეთში მუდმივი მცხოვრები იყო 98 000 კაცი. ძირითად მოსახლეობას ოსები შეადგენდნენ, მათ გარდა ცხოვრობდნენ ქართველები – 28 000 (28,8%), რუსები – 2 000 (2,1%), სომხები – 1 000 (1%), სხვა ეროვნებები – 2 000-მდე (1,7%). ოსეთის აო მოსახლეობის ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობაში 1,9%-ს შეადგენდა....

ოსები ძირითადად ოლქის ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, 70-იან წლებში მათმა რაოდენობამ სამხრეთშიც მოიმატა (უმთავრესად მოსახლეობის მექანიკური ზრდის შედეგად). ქართველები უმთავრესად სამხრეთ ნაწილში სახლობდნენ. საქალაქო ცენტრებში ცხოვრობ-დნენ რუსები, სომხები, ქართველი ებრაელები“. (82).

1989 წლიდან საქართველოში ნაციონალური მოძრაობის ზრდის დროს, დაახლოებით 100 000-მდე ოსებმა დატოვეს საქართველო და „სამხრეთ ოსეთი“. 2002 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოში აღირიცხა 38 038 ოსი. თბილისში ცხოვრობდა 10 268 ოსი.

წყაროებიდან დადასტურებულია, რომ სახელწოდება „ჩრდილოეთ ოსეთი“ და „სამხრეთ ოსეთი“ XIX საუკუნემდე (1830-მდე), როგორც ქართულ, ასევე რუსულ და უცხოურ წყაროებში არ არსებობდა. „ტერმინ „სამხრეთ ოსეთს“ არ იცნობენ უცხოელი მეცნიერები და მოგზაურები. მხოლოდ გერმანელი პროფესორი კ კოხი აფიქსირებს ტერმინ „სამხრეთ ოსეთს“ ქართული ისტორიული პროვინციის დვალეთის აღსანიშნავად და ისიც XIX საუკუნეში... აღსანიშნავია, რომ რუსი მეცნიერები ჩრდილოეთ ოსეთს უწოდებენ ისტორიულ ოსეთს“. (25, გვ.34). „ჩრდილოეთ კავკასიაში „ოსეთის სამხედრო ოკრუგის“, ხოლო თბილისის გუბერნიაში „ოსეთის ოკრუგის“ (შემდეგში „ოსეთის უბანი“) შექმნა ახალი სახელწოდებების – „ჩრდილოეთ ოსეთისა“ და „სამხრეთ ოსეთის“ საფუძველი გახდა.

პირველი გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტი, სადაც ეს ტერმინები გამოიყენება, არის კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების მომწყობი კომიტეტის 1860 წლის ანგარიში, მასში ნათქვამია: კომიტეტმა დაასკვნა, რომ მთელი ყურადღება უნდა იქნეს გადატანილი ქრისტიანობის აღდგენასა და განმტკიცებაზე... სამურზაყანოში, სვანეთში, სამხრეთ ოსეთში, თუშებში და ხევსურებში, საიდანაც ქრისტიანობის შუქი შემდგომში მიაღწევს აფხაზეთში, ბალყარელებში და ყარაჩაელებში, ჩრდილოეთ ოსეთში, ქისტებში და სხვა ჩაჩნურ ტომებში". (25, გვ.35–36). მანამდე, რუსეთში, კავკასიის ჩრდილოეთ მხარეში, ის ადგილი, სადაც ცხოვრობდნენ ოსები, მოხსენებული იყო, როგორც „ოსეთი" („ოსეტია"). ხოლო სამხრეთ მხარეში მცხოვრები ოსები, მოხსენებულნი იყვნენ ადგილმდებარეობის მიხედვით: „საქართველოში მცხოვრები ოსები", „საქართველოს ოსები", „ჩრდილოეთ ქართლის ოსები", „იმერეთის ოსები" და სხვ. 1830 წლიდან თანდათან პრესაში და მიმოწერაში ჩნდება „იუჟნაია ოსეტია" და „სევერნაია ოსეტია" სახელწოდებები.

ა. თოთაძის თქმით: „ტერმინი „სამხრეთ ოსეთი" რუსეთის ცარიზმის მიერ გამიზნულად მკვიდრდება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან და ამ პერიოდიდან გამოსულ ენციკლოპედიებსა თუ ლექსიკონებში ოსეთის განმარტების დროს ტერმინ „სამხრეთ ოსეთსაც" ხმარობენ, თუმცა იძულებულნი არიან მიუთითონ იმის შესახებაც, რომ ოსები გადმოსახლდნენ ჩრდილო კავკასიიდან და დასახლდნენ ჯერ ქართლის მთიანეთში, ხოლო შემდეგ თანდათანობით ქართლის ბარსა და მთელ საქართველოში". (25, გვ.49).

1917 წელს საქრთველოს ეროვნულმა საბჭომ ოსებს ისევ დაუბრუნა ძველი სახელწოდებები. შიდა ქართლში მცხოვრებ ოსებს უწოდეს „ქართლის ოსეთი". მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქართველმა და რუსმა ბოლშევიკებმა ისევ მონათლეს „სამხრეთ ოსეთად" და დედაქალაქად ცხინვალი გამოაცხადეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ მეფის რუსეთის დროს „სამხრეთ ოსეთი" „მოიცავდა დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ზემოწყლის გარდა მდინარეების ქსნისა, მეჯუდას, ლეხურის და ფცის ხეობების მთიან მონაკვეთებს", ეხლა, ბოლშევიკებმა, თითქმის ორჯერ გაუზარდეს „სამხრეთ ოსეთს" საზღვრები და ქართველებით დასახლებული ადგილებიც: „დიდი და პატარა ლიახვის, ქსნის, ლეხურას, მეჯუდასა და ფრონების ხეობების მთისწინა და ბარის" მიდამოებიც ოსებს უფეშქაშეს. (22, გვ.86–89).

სამხრეთ ოსეთის დედაქალაქად ცხინვალის გამოცხადებით, ბოლშევიკებმა კიდევ ერთი დანაშაული ჩაიდინეს ქართველების წინაშე.

ცხინვალი – მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის ნაპირებზე. სახელწოდება ცხინვალი წარმოსდგება ძველი ქართული მცენარის სახელიდან რცხილიდან (ქრცხილა). ქართულ ისტორიულ წყაროებში მოხსენებულია ქრცხინვალის სახელიწოდებით. არქეოლოგიური ძეგლებით მტკიცდება, რომ ცხინვალი დასახლებული ყოფილა ენეოლით-ადრინდელ ბრინჯაოს ხანაში. XIV საუკუნეში, ისტორიულ წყაროებით, ის მოიხსენება დასახლებულ ადგილად. დასახლებული ყოფილა სამონასტრო (სვეტიცხოველის) ყმებით. „1344 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში ის მოიხსენება ვაჭრებით დასახლებულ პუნქტად, რასაც ხელს უწყობდა მისი მდებარეობა. ცხინვალი როგორც ქალაქი პირველად დაფიქსირებულია 1392 წლის მცხეთის სიგელში". (22, გვ.90). ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით ის „მცირე ქალაქი" ყოფილა და ითვლებოდა სამეფო ქალაქად.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, საქართველოს ადმინისტრაციულ-

ტერიტორიულ ერთეულად დაყოფისას, ცხინვალის მხარე შეუერთეს თბილისის გუბერნიის გორის მაზრას. ცხინვალი კი საპოლიციო უბანს წარმოადგენდა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, გასაბჭოების შემდეგ ეს მხარე გახდა „სამხრეთ ოსეთი", რომელიც ხელოვნურად იყო შექმნილი და ბოლშევიკების მიერ საქართველოს მთლიანობის დასაშლელად გამიზნული.

1931 წელს ბოლშევიკებმა უძველეს ქართულ ქალაქს ქცხინვალს შეუცვალეს სახელწოდება და დაარქვეს სტალინირი, რაც ოსურად სტალინის ოსეთს ნიშნავს („ირ" – ოსეთი). 1961 წლის 24 ნოემბერს ისევ დაუბრუნეს ქალაქს ძველებური სახელი – ცხინვალი.

უნდა აღინიშნოს, რომ ოსეთში „XX საუკუნის 30-იან წლებიდან ცხინვალის რეგიონში ე. წ. „სამხრეთ ისეთში" დაიწყო და, სამწუხაროდ, საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელთა თანხმობით მიმდინარეობდა ქართული სახელების ოსურად შეცვლა. საერთოდ, ოსები ან თარგმნიან ქართულ ტოპონიმებს, ანდა ფონეტიკურად ისე ცვლიან, რომ საქმეში ჩაუხედავ მკითხველს მათი შემქმნელი ოსი ხალხი ეჩვენება.

ოსურ მოსახლეობაში ზოგი ქართული ტოპონიმი ოსური ლექსიკის მიხედვით გამო-ითქმოდა, ხოლო ნაწილს თავიანთ ენაზედ ეძახდნენ ამა თუ იმ სახელს. მიუხედავად ამისა, დღესაც ნაკლებად არის გარდაქმნილი ტოპონიმები და თვით არაქართული დასახელებების სახელწოდებათა უმრავლესობა ქართუ-ლია. შეიძლება დავასახელოთ – წინუბანი, მამულიანი, ციხის სოფელი, მონასტერი, მსხლები, ნადარბაზევი და სხვა სახელები.....

ტოპონიმთა შეცვლა უმთავრესად შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში მომხდარა....

ქართულ ტოპონიმებზე განსაკუთრებული იერიში მიიტანეს ყოვლად დაუსაბუთებელი ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" ხელოვნურად შექმნის შემდეგ (1922 წლის 20 აპრილი), როცა ოსთა ერთმა ნაწილმა თავიანთ ისტორიულ სამშობლოდ წარმოიდგინეს სამაჩაბლოსა და ქსნის საერისთავოს ტერიტორია; პირველი და აუცილებელი ამ მიზნით უნდა გაკეთებულიყო ისტორიული ქართული ტოპო-ნიმების ამოძირკვა და მათ ნაცვლად ოფიციალურად ოსური და ოსური ჟღერადობის ტოპონიმების დამ-კვიდრება. ცხადია, ის აღარ გაითვალისწინეს, რომ ამ ტერიტორიის ძველი ქართული ტოპონიმები შემორჩენილია უძველეს და მოგვიანო პერიოდის წყაროებში.

XX საუკუნის 30-იან წლებში ოსებმა მიზნად დაისახეს „ოლქის ტერიტორიაზე" არსებული 986 ქართული ტოპონიმიდან 411 ოსურით შეეცვალათ..... ამდენად, ერთი ხელის მოსმით სურდათ გაენადგურებინათ მთელი ისტორია და გამოგონილი სახელები ეწოდებინათ მათთვის". (22, გვ.32).

ა. სონღულაშვილის გადმოცემით, ძველ ქართულ ოქონის რაიონს, ოსებმა უწოდეს ზნაურის რაიონი. ხოლო ამავე რაიონის (ბორჯომის რაიონში) სოფელ ტყისუბანს 1931 წელს ეწოდა ზნაურკაუ. (ზნაურ აიდაროვის სახელის მიხედვით). ზნაურ აიდაროვი დაბადებულა ჩრდილოეთ ოსეთში. განათლება მიუღია მხოლოდ ორი კლასის. სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ ჩამოსულა თბილისში და დაუწყია მუშაობა სამჭედლოში უროს-მცემლად. აქვე, მონაწილეობა მიუღია „თბილისელი ოსების რევოლუციური კომიტეტის" შექმნაში. 1918 წელს თბილისში ჩამოყალიბდა ოსი ბოლშევიკების ორგანიზაცია „ჩერმენი". 1919 წელს გუჯარეთის ხეობის მცხოვრებლებს მოუწოდებდა აჯანყებისაკენ. ის მონაწილეობას ღებულობდა ქართლის მრავალ სოფლების დარბევაში.

„1919 წლის 7 ნოემბერს ოსების შეიარაღებულმა რაზმმა აიდაროვის მეთაურობით იერიშით აიღო სოფელი ხცისი, ჩამოაგდო ადგილობრივი ხელისუფლება და გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება. მრავალი ფაქტობრივი მასალა არსებობს, რომ ზნაურ აიდაროვი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მებრძოლთა ერთ-ერთი ლიდერი და ასეთი პიროვნების სახელი ეწოდა ძირძველ ქართულ მიწას“. ასევე ძველ ქართულ სოფელს გიორგიწმინდას უწოდეს ისაკ ხარებოვის სახელი. ხოლო ყორნისის აღმოსავლეთში მდებარე რუსთავის ახლოს მდებარე ძველ სოფელს წუნარს 1940 წლის 27 იანვარს ეწოდა ხეთაგუროვი და სხვ. (22, გვ.33).

1770 წლის აღწერით ცხინვალში სულ 700 კომლი ცხოვრობდა. წყაროების მიხედვით, ქ. ცხინვალი ყოველთვის წარმოადგენდა ქართულ ქალაქს სადაც ძველ დროშიც ცხოვრობდნენ ქართველები, ებრაელები და სომხები. მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნეში ცხინვალის მოსახლეობა ეროვნებების მხრივ შემდეგნაირი იყო:

	1886 წ.	1922 წ.	1926 წ.	1959 წ.	1979 წ.	1982 წ.	1989 წ.
ქართველები –	1 135;	1 436;	1 920;	4 652;	5 475;	5 584;	6 905;
ებრაელები –	1 953;	1 651;	1 772;	1 649;	1 475;	652;	396;
სომხები –	744;	765;	827;	860;	768;	712;	734;
ოსები –	––	613;	1 152;	12 432;	20 846;	25 319;	31 537;
რუსები –	––	64;	114;	1 583;	1 280;	1 737;	1 836;
დანარჩენი –	––	14;	33;	465;	567;	787;	925;
სულ –	3 832;	4 543;	5 818;	21 641;	39 311;	34 791;	42 337.

ამ მონაცემებიდან ცხადად ჩანს, რომ ცხინვალში XIX საუკუნეში არცერთ ოსს არ უცხოვრია. როდესაც ოსეთში საბჭოთა წყობილება დამყარდა და ავტონომიური ოლქის დედაქალაქად ცხინვალი გამო-ცხადდა, ამის შემდეგ ჩნდებიან ოსები და რუსები. 1922 წლიდან დაწყებული ოსების რაოდენობა სწრაფად მატულობს და ქართველებს გადააჭარბა კიდევაც. XX საუკუნის ბოლო წლებში, უძველესი ქართული ქალაქი ცხინვალი, გაოსდა.

ცხინვალში XX სეუკუნის 80-იან წლებში შემორჩენილი იყო „ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – კავთის წმინდა გიორგის ეკლესია, რომლის უძველესი სამშენებლო ფენა VIII–IX საუკუნეებს მიეკუვნება, შეკეთებისა და რესტავრაციის შემდეგ შენობაში ჩართულია X–XI საუკუნეების ფრაგმენტებიც. ცხინვალში არის აგრეთვე გვიანდელი შუა საუკუნეების ძეგლები: ციხე-გალავანი (გალავანს შიგნით 1718 წელს აგებული ღვთისმშობლის ეკლესიაა), ღვთისმშობლის მიძინების (ქაშუეთი), კვირაცხოვლისა და ზღუდერის წმინდა გიორგის ეკლესიები“. (8, ტ.11, გვ.253).

წყაროებიდან ცნობილია, რომ ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“, აშენებული იყო ეკლესიები, ტაძრები, მონასტრები და ციხე-კოშკები, რომლებმაც ზოგიერთმა ჩვენამდე მოაღწია:

ნიქოზის ბაზილიკა (V ს.) – ვახტანგ გორგასლის დროინდელი, შემდეგ საუკუნეებში გადაკეთებული ღვთაების ეკლესია. მდებარეობდა „დვალეთის გზაზე“. ნიქოზის საეპისკოპო მცხეთა-ქართლის ეპარქიის ერთ-ერთ საეპისკოპოსოს წარმოადგენდა და ის იყო კავკასიონის მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელების მთავარი საეპისკოპოსო;

არმაზი ქსნისა (864 წ.) – ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი ქსნის ხეობაში

სოფ. არმაზის მახლობლად. შემორჩენილია IX საუკუნის მოხატულობა, კანკელი და წარწერები:

წირქოლის (წირქვალი) – შუა საუკუნეებში აგებული ქსნის ხეობის შევიწროებაში, მდ. ქსნის მარჯვენა მხარეს, ქარაფოვან კლდეზე აგებული ძლიერი ციხე-სიმაგრე და ეკლესია (VIII ს.) – რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების გარდამავალ დროს (VII ს. II ნახ.–X ს. I ნახ) განეკუთვნება;

კაბენის მონასტერი (IX ს. დასაწისი) – სოფ. ყანჩაეთის მახლობლად (სამხ. ოსეთი), რომელიც ეტყობა XIII საუკუნეში გადაუკეთებიათ. შემორჩენილია მოხატულობის ნაწილები;

თიღვის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი (1150–1152) – მდებარეობს სამხრეთ ოსეთის ზნაურის რაიონში. წარმოადგენს ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლს, რომლის ნაპირები XII საუკუნის ქართული ჩუქურთმის საუკეთესო ნიმუშს განეკუთვნება;

იკოთის ეკლესია – მდ. ქსნის მარცხენა მხარეს მდებარე სოფ. იკოთში შემორჩენილია შუა ფეოდალური ხანის წმ. გიორგის ეკლესია, ე. წ. „აშხადურა“, წმ. მარინეს ეკლესია და გვიანდელი ფეოდალური დროის კოშკი;

იკორთის ტაძარი (1172) – წარმოადგენს ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლს, რომლის წინა, მთავარი მხარე და გუმბათი ჩუქურთმებითაა დამშვენებული, რომელიც შესრულებულია მაღალი ოსტატობით და გამოირჩევა XII–XIII საუკუნეების ქართულ ძეგლებს შორის. ტაძარში დასაფლავებულნი არიან 1659 წელს კახეთის აჯანყების ხელმძღვანელები: ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები;

ხოფის ეკლესია (XIII ს. I ნახ.) – აგებულია ქსნის ხეობაში. გარეთა მხარე მოჩუქურთმებულია. შემორჩენილია ნაგებობათა ნაშთები და სატრაპეზო;

თირის მონასტერი (XIII ს. II ნახ.) – სამონასტრო ნაგებობები, რომლებიც მდებარეობს ცხინვალის ჩრდილო-დასავლეთში. ყველაზე ადრინდელი ნაგებობაა ღვთის მშობლის ეკლესია, რომელიც უხვადაა მოჩუქურთმებული. ნაგებობიდან შემორჩენილია სატრაპეზო, კლდეში ნაკვეთი სენაკები, კოშკი, გალავნის ნაწილი, სამრეკლო და საძვალე, რომელიც 1682 წელს მიუშენებიათ;

ძაღინა – წარმოადგენს ქართული ხუროთმოძღვრულ ნაგებობას. შემორჩენილია ციხის (აგებულია XVI ს-მდე) და ფეოდალის (ფალავანდაშვილის) სასახლის ნაწილი, კოშკი და ეკლესიის ნანგრევები;

კუსირეთის ეკლესია (VIII–IX სს.) – აგებულია მდ. დიდი ლიახვის ხეობაში სოფ. კუსირეთის განაპირა მხარეს და შემორჩენილია მოჩუქურთმებული კანკელი და ეკლესიის ნანგრევები. განეკუვნება ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. ეკლესიის ახლოს აღმართული იყო ოთხკუთხა კოშკი (XVIII ს.) და სხვ. (ასევე შემორჩენილია თითო-ოროლა ნაგებობანი ჩრდილოეთ კავკასიაშიც და ჩრდილოეთ ოსეთშიც. იხ. ქვემოთ).

ა. თოთაძე, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიერი ოლქის“ გამოცხადების შესახებ აღნიშნავს:

„1922 წლის 7 აპრილს უძველესი ქართული პროვინცია ცხინვალის რეგიონი საქართველოს ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის საფუძველზე ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების უგულე-ბელყოფით „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქად“ გამოცხადდა. აღსანიშნავია, რომ ოსებით კომპაქტურად დასახლებული შიდა ქართლის ჩრდილოეთი ტერიტორიის ნაწილი იმდენად პატარა იყო, რომ იქ ავტონომიურ წარმონაქმნის

შესაქმნელად არავითარი საფუძველი არ არსებობდა. ამიტომ ავტონომიური ოლქის შექმნისათვის გამართლება რომ მოეძებნათ, მას მიუერთეს ქართველებით დასახლებული მიწა-წყალი, მათ შორის ქალაქი ცხინვალიც, რომელიც ოლქის დედაქალაქი გახდა. ამ მიწა-წყალზე კი ოსებს არასოდეს უცხოვრიათ. ამრიგად შიდა ქართლის ტერიტორიაზე „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" ხელოვნურად იქნა შეკოწიწებული, მაშინ როდესაც შიდა ქართლი ისტორიულად ქართველ ტომთა კონსოლიდაციის ცენტრს წარმოადგენდა.

ეს საზღაური გაღებულ იქნა ოსი ბოლშევიკების სამსახურისათვის – მათ 1918–1920 წლებში სამჯერ მოაწყვეს აჯანყება საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დასამ-ხობად. გარდა ამისა, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" შექმნით რუსეთს ყოველთვის შეეძლო ზეწოლა მოეხდინა საქართველოზე, რამაც შესანიშნავად გაამართლა 70 წლის შემდეგაც კი – დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირობებში". (25, გვ.67–68).

ზევით აღვნიშნეთ, რომ საერთოდ, ჯერ კიდევ ადრე, მეფის რუსეთის დროს და შემდეგ საბჭოთა კავშირის დროსაც, იქმნებოდა ავტონომიური „ოლქები", „რესპუბლიკები", „ნაციონალური ოკრუგები" და სხვ. რომლებიც არავითარ კანონდებლობას არ შეესაბამებოდა. მეფის რუსეთის დროს შექმნილი ავტონომიური ოლქები იყო მის მიერ დაპყრობილი, ზოგიერთ შემთხვევაში „ნებით შეერთებული" ქვეყნები. ხოლო საბჭოთა კავშირის დროს, ავტონომიური ოლქების შექმნა დამოკიდებული იყო სსრკ-ის ხელ-მძღვანელზე, რომელიც საერთოდ ეროვნებას და მის ისტორიას არ ცნობდა და შეუძლებელია იმის ახსნა თუ რატომ შეიქმნა ერთი ერისთვის ავტონომია, ხოლო მეორესთვის არა. ირღვეოდა საბჭოური კონსტიტუციაც და იურიდიული კანონებიც. მით უმეტესს საქართველოს შემთხვევაში, სამი ავტონომიური რესპუბლიკის: აჭარის, აფხაზეთის და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის", ავტონომიური რესპუბლიკების შექმნა, ყოველ მხრივ გაუმართლებელი იყო. რადგან, ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ უძველეს დროიდან სამივე ეს ოლქები, წარმოადგენდნენ ქართულ მიწა-წყალს და შედიოდნენ საქართველოს სახელმწიფოში. ხოლო აჭარლები ხომ უძველესი ერთ-ერთი ქართველი ტომები იყვნენ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ადრეც და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დროსაც, არასოდეს არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ საქართველოში მცხოვრები ოსების უფლებები რაიმე სახით შეზღუდულიყო. ქართველებთან ერთად ისინი თანასწორუფლებიანნი იყვნენ და რაც მთავარია, ოსების თვითმყოფადობის დაცვა, სწორედ საქართველოს პირობებში ხდებოდა. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ ადრე, „1925 წლის იანვარში ჩრდილოეთ ოსეთის, ხოლო ამავე წლის 25 მარტს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოების ყრილობებმა მიიღეს დადგენილებები, რომლებშიც გამოთქმული იყო ჩრდილოეთ ოსეთისა და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების სურვილი – ისინი ერთიანდებოდნენ ერთ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად და შედიოდნენ საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში. სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა (ცაკი) ამის შესახებ წინასწარ თანხმობა განაცხადა. საქართველოს ცაკის სესიამ კენჭისყრით ერთხმად დადებითად შეაფასა გაერთიანებული ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში შესვლა და გადაწყდა ეს საკითხი რსფსრ-ის ცაკს საბოლოო გადაწყვეტისათვის სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში დაეყენებინა. საკითხის განხილვამ გამოავლინა ფრიად მნიშვნე-ლოვანი გარემოება – ოსებისა და ქართველების ტრადიციულად ურღვევი

კავშირურთიერთობა. ძალუმად იჩინა თავი იმ არსებითმა ფაქტორმა, რომ როგორც დოკუმენტებში ეწერა, „ოსეთის ხალხი ისტორიულად დაკავშირებული იყო საქართველოსთან“. ნათლად წარმოჩნდა საქართველოში მცხოვრები ოსების სული-სკვეთება. აღინიშნა, რომ სამხრეთ ოსეთი „გადაჭრით მოითხოვს ჩრდილოეთ ოსეთისაგან, რომ... გაერთიანება მოხდეს საქართველოს ფარგლებში“. საქვეყნოდ ითქვა, რომ ჩრდილოეთ ოსეთი „სურვილს აცხადებს რსფსრ-ს ჩამოშორდეს და შევიდეს საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში“. ამ გადაწყვეტილებას ჩრდილოეთ ოსეთის ოლქის თავჯდომარე ტაკოევი იმით ასაბუთებდა, რომ „ოსეთი არსებობდა და მხარდახარ ვიდოდა საქართველოს რესპუბლიკასთან. ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მშრომელნი, და მით უფრო პასუხისმგებელი მომუშავენი, თვალნათლივ ჰხედავენ, რომ საღი ნაციონალური პოლიტიკა ისე მიზან-შეწონილად არსად არ ხორციელდება, როგორც საქართველოს რესპუბლიკაში“. ამ გარემოებამ, ტაკოევის თქმით, ყველა დაარწმუნა, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის კულტურული და ეკონომიკური განვი-თარებისათვის საჭიროა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში შესვლა. ამას გარდა... სამხრეთ ოსეთი კატეგორიულად აყენებს საკითხს, რომ იგი მხოლოდ მაშინ გაუერთიანდება ჩრდილოეთ ოსეთს, უკეთუ ეს უკანასკნელი თანახმა იქნება საქართველოს ს. ს. რ-ს შემადგენლობაში შესვლაზე“. (25, გვ.68).

ა. სონღულაშვილის გადმოცემით, ორი ოსეთის გაერთიანების შესახებ საკითხი, დღის წესრიგში არ იყო შეტანილი. სესიის მონაწილეებს ა. ტაკოევი წარუდგინა ფ. მახარაძემ. „კამათი არ გამართულა“ და „სესიამ მიიღო რეზოლუცია სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების შესახებ.

ასე ჰაიჰარად, სასწრაფოდ, ექსპრომტად გადაწყვიტეს ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი“ (22, გვ.125). ჩანს, რომ ეს საკითხი წინასწარ დაგეგმილი და განხილული იყო. რა თქმა უნდა გერთიანებული ოსეთის შეერთება რუსეთთან შემდეგში, ადვილად მოხერხდებოდა. ზემო ორგანოებში, ხელმძღვანელთა თათბირებისა და მსჯელობების შემდეგ, „ეს გეგმა არ განხორციელდა. თუმცა იდეა გაერთიანებისა (უფრო სწორად – ქართული მიწა-წყლის მიტაცებისა) არ ჩამკვდარა“. (22, გვ.126).

ქართველი და ოსი ხალხის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა საბჭოთა კავშირის დროსაც თანდათან ვითარდებოდა და მყარდებოდა. მაგრამ, ისევ და ისევ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მეფის რუსეთის იმპერიის მიერ დაწყებული „გათიშე და იბატონე“-ს მეთოდი, საბჭოთა წყობილებამ განავრცო და უმაღლეს დონეზე აიყვანა. საბჭოთა ხელისუფლებამ ყოველი ხერხი იხმარა, რომ ქართველებსა და ოს ხალხს შორის უთანხმოება ჩამოვარ-დნილიყო და ბოლოს მიაღწიეს კიდევაც, რაც თანდათან ურთიერთ დაპირისპირებაში გადაიზარდა, მით უმეტეს, როდესაც საქართველომ ხელმეორედ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. საბჭოთა მესვეურებმა დაიწყეს ოსი ხალხის იდილოგიურ-პროპაგანდისტული მეთოდით დამუშავება, მოტყუებით, ისტორიული ფაქტების დამახინჯებისა და დემაგოგიის გზით. როდესაც რუსეთის მთავრობის ხელშეწყობით „სამხრეთ ოსეთის“ ხელისუფლებაში აღმო-ჩნდნენ სეპარატიზმის მომხრე პირები, ცხინვალის მხარეში, სისხლისღვრაც კი გამოიწვია; და ამ ქართველ და ოსი ხალხის სისხლღვრაში, მთავარი დამნაშავენი არიან „მშვიდობის დამცველი“ საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება და რუსი და ოსი „ვაი მეცნიერები“. ცხადია, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ხელისუფ-

ლებაში მყოფი ძალები ყოველმხრივ ცდილობენ შეინარჩუნონ ჯერ კიდევ ასე თუ ისე გამოყოლილი საბჭოთა სახელმწიფოდან შელახული და დარღვეული სიძლიერე და როგორმე აღადგინონ იმპერია. ამიტომ, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე სხვადასხვა ხერხებით ახდენენ ზეწოლას თავიანთი იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად. ამისათვის ისინი ქმნიან და იყენებენ აფხაზეთსა და ოსეთში სეპარატისტულად განწყობილ პირებს. ცნობილია, რომ საქართველოს პირველ პრეზინდენტს ზ ვ ი ა დ გ ა მ ს ა ხ ურ დ ი ა ს (1939–1993) ტელეფონით საუბრის დროს, (1985–1991) საბჭოთა კავშირის გენერალური მდივანი მ ი ხ ე ი ლ გ ო რ ბ ა ჩ ო ვ ი დაემუქრა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების შემთხვევაში, დაკა-რგავდა აფხაზეთსა და ოსეთს. ზ. გამსახურდიამ „ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა: გორბაჩოვმა დამირეკა და მითხრა: თუკი თქვენ სავსებით არ ამოუკვეთავთ ფეხს რუსეთს საქართველოდან, მე სამაგიეროდ, მოგიხსნით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემებსო. მე კი ასე ვუპასუხე: არავითარ შემთხვევაში არ გადმოვაბიჯებ კრემლის ზღურბლს, ვიდრე რუსეთი არ ცნობს საქართველოს სრულ დამოუკიდებლობასო“ (36, გვ.219).

ა. სონღულაშვილი წერს, რომ: „რუსეთისათვის მიუღებელია ერთიანი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი საქართველო. ეს არის თავი და თავი ყველა ჩვენი დაპირისპირებისა.

საქართველოს დანაწილების პროექტი საკმაოდ ადრე დაიგეგმა. „ბოროტების იმპერიის“ – სსრკს დაშლის ფონზე, როგორც კი საქართველომ დაიწყო ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ შემქმნელმა საბჭოთა კავშირის ლიდერმა მიხეილ გორბაჩოვმა, მაშინვე დაუფარავად და თავხედურად გამოაცხადა: „საქართველო გავა საბჭოთა კავშირიდან, მაგრამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშეო“. ამდენად, საქართველოს განახლებული იმპერიისადმი – „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირისადმი“ მიჯაჭვის მთავარი ინსტიტუტი უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც აფხაზეთი და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ ხოლო შემსრულებელი – საბჭოთა არმია“. (22, გვ.216). და მათ კიდევაც შეასრულეს ეს დანაპირები. საქართველოს წინააღმდეგ ამუშავდა საინფორმაციო საშუალებები, იბეჭდებოდა და დღესაც იბეჭდება „სამეცნიერო“ წიგნები, სადაც ყოველგვარ ზღვარს სცილდება ისტორიული სინამდვილის გაყალბება და დამახინჯება. ა. თოთაძე აღნიშნავს: „უპირ-ველეს ყოვლისა, ისინი თამაშობდნენ ეროვნულ გრძნობებზე, რაც ისტორიაში საკმაოდ ცნობილი ხერხია. ცდილობდნენ დაერწმუნებიათ ერი, რომ ოსები განსაკუთრებული ხალხია, ატყუებდნენ თავიანთ თვისტომთ, რომ ქართველები ავიწროვებდნენ მათ ენასა და ლიტერატურას, თითქოს შიდა ქართლის ტერიტორიაზე ისტორიულად მხოლოდ ოსები ცხოვრობდნენ და ეს მათი ნაწილია.

განსაკუთრებით ცოდავდა რუსული მედია, რომელიც ობიექტური ინფორმაციის გავრცელების ნაცვლად, მოვლენებს უაღრესად ცალმხრივად აშუქებდა – ყველაფერში დამნაშავედ ქართულ მხარეს მიიჩნევდა. რუსეთის მხრიდან იმფორმაციულმა ომმა მნიშვნელოვნად გააღრმავა სისხლისღვრა.... მის მიერ წარმოებული ინფორმაციული ომი, მხოლოდ სისხლისღვრას მოუხმობდა და საბოლოოდ იმპერიული მიზნების განხორციელებას ემსახურეობდა. მხოლოდ ამ პოზიციიდან შუქდებოდა „ცუდი ქართველებისა“ და „კარგი ოსების“ პრობლემები, რომლებიც სინამდვილეში მათ არანაირად არ აღელვებდათ“ (25, გვ.218). ამავე დროს რუსეთის ხელისუფლება და სპეცსამსახურები უამრავ ფინანსებს ხარჯავდნენ და დღესაც

ხარჯავენ, როგორც შინ, ასევე საზღვარგარეთ, რომ როგორმე ხალხი დაარწმუნონ თავიანთ მსშვიდობის დამცველობაში, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ძველთაგანვე აფხაზეთისა და ოსეთის მიწა-წყალი იყო, რომ ქართველები დამპყრობლები და აგრესორები არიან. მაგრამ, რუსეთის ხელისუფალთა და ოს სეპარატისტების მოქმედებას ვერავითარი „მშვიდობის დამცველობა“ ვერ გაამართლებს რაც მათ ჩაიდინეს XX საუკუნის ბოლისა და XXI საუკუნის დასაწყისში, როდესაც მათი შემწეობით და მოქმედებით ლტოლვილი გახდა სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობა: ქართველები, ებრაელები, რუსები და თვით ოსებიც და სხვები.

ცნობილია, რომ საერთოდ, რუსეთის მესვეურებისათვის არა თუ სხვა ერის სიცოცხლეს, არამედ თავიანთი ქვეყნის მოქალაქეების სიცოცხლესაც არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, თუნდაც მილიონობით დაღუპულიყვნენ.

2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა მთელ მსოფლიოს აშკარად დაანახა თუ რას წარმოადგენდნენ რუსეთის ხელისუფალნი და ოსი სეპარატისტები, როდასაც მათ შეძლეს საქართველოს წინააღმდეგ ომის გაჩაღება და ვითომცდა, ოსი სეპარატისტების „დასაცავად“, როკის გვირაბის გავლით, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრომ დიდი რაოდენობით მძიმე ტექნიკა და ცოცხალი ძალა შემოიყვანა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ერთ დღეში შეძლებდნენ საქართველოს დაპყრობას. შეცვლიდნენ საქართველოს მთავრობას და საქართველოს ხელახლა დაიმონებდნენ და ჩაიდინეს ის, რაც ადრე ლანგ-თემური და შაჰ-აბაზი ჩადიოდა, შემოსეული რუსები აჩანაგებდნენ, წვავდნენ და ანადგურებდნენ ბუნებასაც. მაგრამ ხალხის შემართებამ, ჯარისკაცთა თავდადებამ და საქართველოს მომხრე სახელმწიფოების დახმარებამ, აიძულა დამპყრობლები, რომ ომი შეეწყვიტათ და უკან დაეხიათ, თუმცა ისინი დღესაც იკავებენ საქართველოს მიწა-წყალს – აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“ და ზოგიერთ მის მიმდებარე მიწებს. რომლებსაც პლაცდარმად იყენებენ და ხდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცოცხალი ძალებით და სამხედრო ტექნიკით შეიარაღება. აგებენ საზღვარზე საგუშაგოებს, სანგრებს, მავთულ-ხლართებს და აშენებენ აფხა-ზეთსა და საქართველოს შორის, „ბერლინის კედელის“ მსგავსს, „აფხაზეთის კედელს“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ადგილობრივი მცხოვრებნი, თითქმის აღარ არის დარჩენილი. საყურადღებოა, რომ რუსების მიერ დღევანდელ დღესაც ხდება ე. წ. საქართველოსა და ოსეთს შორის საზღვრის თანდათან გადმოწევა.

როკის გვირაბი – სატრანსპორტო გვირაბია, რომელიც აკავშირებს რუსეთის ფედერაციას საქართველოსთან, უფრო სწორად, ჩრდილოეთ ოსეთსა და ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთს“.

გვირაბის სიგრძეა 3 660 მეტრი. ზღვის დონიდან დაახლოებით 2 000 მეტრზეა გაჭრილი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის შუა ნაწილში.

ცნობილია, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის დასაკავშირებლად, კავკასიონის ქედის გვირაბის გაჭრით, არსებობდა ორი გეგმა: პირველი გეგმის მიხედვით გვირაბი უნდა გაჭრილიყო მამისონის უღელ-ტეხილზე, დაახლოებით 7 კმ-ის სიგრძეზე, რომელიც ბუნებრივი პირობების გამო უფრო მარტივი იყო და მეორე – როკის უღელტეხილზე, რომლის გაყვანა, ბუნებრივი პირობების გამო უფრო რთული იქნებოდა.

1838 წელს, ოსებს მიუმართავთ თხოვნით, ევგენი გოლოვინისათვის (1782–

1858), რომელიც (1838–1842) წლებში კავკასიის სამოქალაქო ადმინისტრაციის მმართველი იყო, კავკასიის კორპუსს მეთაურობდა და ამავე დროს ხელმძღვანელობდა კავკასიის გზათა მშენებლობას და ციხე-სიმაგრეების აგებას ჩაჩნეთსა, დაღესტანში და საქართველოს სამხედრო გზაზე, რომ გაეყვანათ გზა კავკასიონის ქედზე იმ ადგილას სადაც დღეს როკის გვირაბია გაყვანილი. დაუწყიათ კიდევაც მშენებლობა, მაგრამ, რთული ბუნებრივი პირობების გამო თავი დაუნებებიათ.

1873 წელს, კავკასიაში მინერალური რესურსებითა და თიხაფიქალებით დაინტერესებულ მეწარმეთა მოთხოვნით, დაიწყეს განხილვა კავკასიონის საუღელტეხილო ქედზე რკინიგზის გაყვანის შესაძლებლობა.

XX საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით სააქციო საზოგადოების „ალაგირი"-ს მოთხოვნით, რომელიც ვერცხლისა და ტყვიის მადნების მფლობელი იყო, დაიწყეს ხელახლა განხილვა კავკასიონზე რკინიგზის გაყვანის შესახებ. ხოლო 20-იან წლებში განიხილავდნენ საავტომობილო გზის გაყვანასაც. ცნობილია, რომ „როკზე სამანქანო გვირაბის გაჭრა ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში იგეგმებოდა. არსებობდა ასევე ოსი ეროვნების ინჟინრის რუტენ გაგლოევის პროექტი, რომელშიც აღწერილი იყო 5,5 კმ. სიგრძის გვირაბის ტექნიკური პარამეტრები. მეტიც, 1930 წელს საქართველოს ტერიტორიიდან დაწყებული ყოფილა სამხრეთ პორტალის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები". (83). ცნობილია ისიც, რომ 1917 წლის ივნისში ოსეთის ეროვნულმა საბჭომ შექმნა კომისია, რომ გამოეძებნა სახსრები როკის გზის მშენებლობისათვის. 1922 წელს მოსკოვმა როკის გზის მშენებლობისათვის 100 000 მანეთი გამოყო და 1925 წელს დაიწყო კიდევაც სამშენებლო მოსამზადებელი სამუშაოები და დაზუსტდა სამშენებლო გეგმები. 1927 წელს დამატებით მოსკოვმა კიდევ 100 000 მანეთი გამოყო. 1930 წელს საშვიდნოემბროდ დაიწყო როკის უღელტეხილის ორივე მხრიდან გზის მშენებლობა. მაგრამ, მეორე მსოფლიო ომის გამო მშენებლობა შეწყდა. ომის დამთავრების შემდეგ, 1961 წელს ჩრდილოეთ ოსეთის ოლქის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბილარ კაბალოევმა და გენერალმა ისსა პლიევმა (1903–1979) მოსკოვს მიმართეს თხოვნით, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანებისათვის, მამისონის ნაცვლად როკის გვირაბი გაეყვანათ, სსრკ კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მხარი დაუჭირა თხოვნას და „მოსკოვმა ბრძანება გასცა, გვირაბი გაეჭრათ არა მამისონზე, არამედ როკის უღელტეხილზე". (83).

1971 წლის 16 ნოემბრის სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად, (1973–75) წლებში უნდა განხორციელებულიყო როკის უღელტეხილზე საავტომობილო გზის მშენებლობა. 1975 წლიდან დაიწყო სამხრეთიდან გვირაბის მშენებლობა.

1975 წლის 31 დეკემბერს საბჭოთა კავშირის ტრანსპორტის სამინისტრომ, მიიღო დადგენილება კავკასიონის მთავარ ქედზე როკის საუღელტეხილო საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტის, რომლისთვისაც გამოიყო 6,1 მილიონი მანეთი. პროექტი დაამტკიცა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ალექსი კოსიგინმა (1904–1980). 1976 წელს გვირაბის გაყვანას შეუდგნენ ჩრდილოეთიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ „თუ რა შენიღბული ჩანაფიქრი იყო ჩადებული კავკასიონის ქედზე გვირაბის გაჭრაში, ამას მაშინდელი საქართველოს ხელისუფლებაც ხვდებოდა. 1972 წელს საქართველოს კომპა-რტიის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ როკის გვირაბის

მშენებლობის საწინააღმდეგო წერილიც გააგზავნა მოსკოვში, მაგრამ ამან სასურველი შედეგი არ გამოიღო....

მძიმე და შეუწყვეტელი სამუშაოების შედეგად 1983 წელს სამხრეთი და ჩრდილოეთი გვირაბი შეერთდა. როკის გვირაბი ოფიციალურად 1986 წელს გაიხსნა და მაშინვე გახდა მზარდი სეპარატისტული მოძრაობის მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი". (83).

ჯერ კიდევ ადრე, როკის გვირაბის გახსნამდე, 1983 წელს ოსმა სეპარატისტებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენ. მდივანს (1982–1984) იური ანდროპოვს (1914–1984) მიმართეს თხოვნით, რომ ვინაიდან როკის გვირაბის საშუალებით ხდებოდა დაკავშირება ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთისა, ამიტომ ეს ორივე მხარე უნდა გაერთიანებულიყო და შესულიყო რუსეთის შემადგენლობაში. თუ რა მოუტანა როკის გვირაბის გაყვანამ საქართველოსა და ოსეთს, ეს ყველასთვის ნათელია. როკის გვირაბი გაყვანისთანავე რუსეთის ზედამხედველობის ქვეშაა მოქცეული და დღევანდელ დღესაც მის განკარგულებაშია.

1970 წელს გაერომ (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) მიიღო დეკლარაცია, რომელიც საყოვე-ლთაო საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს ეხება და ითვლება მთელი საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის საფუძვლად.

„1970 წლის 24 ოქტომბრის გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაციაში საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე არის ჩაწერილი:

„არცერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არა აქვს უფლება პირდაპირ თუ ირიბად, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს, ჩაერიოს მეორე სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებში". ანუ ნებისმიერი საბაბითა თუ მიზეზით ჩარევა სხვის საშინაო და საგარეო საქმეებში კვალიფიცირდება როგორც საერთაშორისო სამართლის დარღვევა და იგივე აგრესიაა". (50).

1975 წლის 1 აგვისტოს ფინეთის ქ. ჰელსინკში გაიმართა ეუთოს (ევროპის უსაფრთხოებისა, უშიშროებისა და თანამშრომლობის) თათბირი, რომელშიც ევროპის ქვეყნების გარდა მონაწილეობას ღებულობდნენ ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა. თათბირის შემდეგ გამოქვეყნდა დასკვნითი აქტი, სადაც აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ სხვა სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას, თავისუფლებასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, პატივი უნდა სცენ ერთმანეთის უფლებას, თვითეულმა თავისუფლად უნდა აირჩიოს თავიანთი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სისტემები; მათი საზღვრები შეიძლება შეიცვალოს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მშვიდობიანი გზით და პოლიტიკური მოლაპარაკებებით. ამ აქტს საბჭოთა კავშირმაც ხელი მოაწერა.

როგორც ვხედავთ, ორივე (1970, 1975) წწ-ის უფლებების დამადასტურებელი წერილობითი საბუთები კრძალავს საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენებას, სხვა სახელმწიფოს მიმართ ძალით დამუქრებას და მის ხელშეუხებლობას.

რუსეთის ხელისუფლების ხელშეწყობით, XX საუკუნის 80-იან წლებში განსაკუთრებით დაიძაბა მდგომარეობა „სამხრეთ ოსეთსა" და საქართველოს შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არა თუ რუსეთის ხელისუფლების მმართველები, არამედ რუსეთის კულტურული წრის წარმომადგენლებიც და ადამიანის უფლებების დამცველებიც შეპყრობილნი აღმოჩნდნენ იმპერიული თავმოყვარეობით და რუსეთის სახელმწიფოში შემავალი სხვა ერის მიმართ

შოვინისტური განწყობილებით. ისეთი ცნობილი ფიზიკოსი, რუსი დისიდენტიც კი როგორიც იყო რუსეთში ადამიანის უფლებების დამცველი ანდრია სახაროვი (1921–1989), მან და მისმა მომხრეებმა საქართველოს „მცირე იმპერია“ უწოდეს. მათი აზრით, თუკი დიდი რუსეთი უნდა დაშლილიყო ეროვნულ ერთეულებად, მაშინ საქართველოს „მცირე იმპერიაც“ უნდა დაშლი-ლიყო მასში შემავალ ეთნიკურ ერთეულებად. ასეთი წამქეზებლური მოწოდებებით ფრთაშესხმული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებაში მოქცეული პირები, რუსეთის იმედით და ხელშეწყობით სულ უფრო და უფრო ამწვავებდნენ მდგომარეობას. საბჭოთა კავშირის სუკ-ის დახმარებით 1979 წელს სამხრეთ ოსეთში ვითომდა ადგილობრივი ეროვნული ძალებით, ჩამოყალიბდა არაფორმალური ჯგუფი „ადამონ ნიხასი“, რომელმაც ჩამოყალიბებისთანავე დაიწყო ქართველი მოსახლეობის დევნა და შევიწროვება. 1988 წლიდან, ყალიბდება პოლიტიზირებული, ეგრეთ წოდებული ცრუ დემოკრატიული მოძრაობა – „ადამონ ნიხასი“ (სახალხო საკრებულო), „სამხრეთ ოსეთის სახალხო ფრონტი“, რომლის წარმომადგენლები პატრიოტული მოწო-დებებით, ოს ხალხს ატყუებდნენ და ქართველების წინააღმდეგ აქეზებდნენ. მათი ძირითადი მიზანი იყო, რომ გაერთიანებულიყო სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთი, შექმნილიყო ერთიანი სახელმწიფო და შესულიყო რუსეთის ფედერაციაში. ამავე დროს „ადამონ ნიხასი“ დაუპირისპირდა ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ძალებს, რომელიც იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

„1989 წლის 15 აგვისტოს გამოიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტე-ტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ. ამ დოკუმენტს მოჰყვა დაძაბულობა. იგი გამოიყენა საბაბად ოსურმა ორგანიზაციამ „ადამონ ნიხასმა“ თავისი შემდგომი ქმედებებისათვის. გაიმართა პირველი მიტინგი, რომლის საბაბი გახდა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცება. საპროტესტო აქციის სათავეში იდგნენ „ადამონ ნიხასის“ წევრები.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს მიერ ქართული ენის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად გამოცხადებას ოსებმა უპასუხეს რეზოლუციით, რომელიც ოსურ ენას აცხადებდა რეგიონის ოფიციალურ ენად. წამოიწყო მიტინგებისა და სახალხო გამოსვლების ტალღა....

1989 წლის 26 სექტემბერი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ მოქმედი კონსტიტუციის 75-ე მუხლს დამატებოდა პუნქტი: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენაა ოსური ენა“.

მიტინგების ფართო ტალღა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში აგორებას იწყებს.

1989 წლის ოქტომბრიდან, როცა ცხინვალში გაიმართა პირველი მიტინგები. ეს გახდა საბაბი იმისა, რომ ქალაქში შეიყვანეს ქართული მილიციის დამატებითი გაძლიერებული რაზმები. თუმცა, „ადამონ ნიხასის“ და, პირადად, მისი ლიდერის, ალან ჩოჩიევის, მოთხოვ-ნები ამ პერიოდში საკმაოდ ზომიერი იყო. ის აცხადებდა: „გააზრებული გვაქვს, რომ მოცემულ მომენტში ოსეთის სტატუსის აღდგენის საკითხის დაყენება ნაადრევი და მოუმზადებელია“.

„ადამონ ნიხასმა“ ორგანიზება გაუკეთა „ოსი მშრომელების მიმართვას“ სსრკ უმაღლესი

საბჭოს, სსრკ მინისტრთა საბჭოს, შსკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელშიც მათ – „ოსმა მშრომელებმა“ და „ადამონ ნიხასმა“ – უკვე ერთობლივი პოზიციით გაილაშქრეს საქართველოში იმ დროს მიმდინარე მოვლენების წინააღმდეგ“. (74).

1989 წლის 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთში ჩატარებულმა დეპუტატთა საბჭომ, მიმართვა გაუგზავნა საქართველოს უმაღლეს საბჭოს, რომ სამხრეთ ოსეთისათვის მიენიჭებიათ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი. სეპარატისტების ამ მოთხოვნამ დაძაბა ორ ერს შორის მდგომარეობა; ოსეთში დაიწყეს ქართველების დევნა და შევიწროვება, თანამდებობიდან ხსნიდნენ, თავიანთ საცხოვრებელი ადგილებიდან, თავიანთ მამაპაპურ მიწა-წყლიდან აძევებდნენ და ხდებოდა თავდასხმები ქართულ სოფლებზე და ბოლოს, სეპარატისტებისა და რუსეთის მესვეურთა ხელშეწყობით, იმდენად გართულდა მდგომარეობა, რომ ორივე მხრიდან სისხლისღვრა და მსხვერპლიც მოჰყვა.

„1989 წლის 23 ნოემბერს 15 ათასი ქართველი ცხინვალისაკენ დაიძრა. ქალაქის მისადგომებთან მათ გზა გადაუღობეს ოსმა შეიარაღებულმა პირებმა და საბჭოთა არმიის მე-8 პოლკის სამხედროებმა. შეტაკებას მოჰყვა პირველი მსხვერპლი: დაიღუპა 6 ადამიანი. 27-მა მიიღო ცეცხლსასროლი ჭრილობა და 140 მოთავსებული იქნა საავადმყოფოში“. (63).

1989 წლის დეკემბრიდან რუსეთის ხელისუფლების მითითებით „სამხრეთ ოსეთში“ მდგომარეობა უფრო მეტად დაიძაბა. სეპარატისტულად განწყობილმა ძალებმა აშკარად გადაუდგნენ საქართველოს. უნდა აღინიშნოს, რომ „ადამონ ნიხასის“ ორგანიზაციის წევრებს შორის აღმოჩნდნენ „სამხრეთ ოსეთის“ მეცნიერმუშაკებიც და მწერლებიც, რომლებიც ადრე ზოგიერთნი ქართველებს ძმობას ეფიცებოდნენ.

„1990 წლის 9 მარტს მოწვეულ იქნა საქართველოს სსრ მეთერმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე XIII სესია. რომელმაც მიიღო დადგენილება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ.

სიტუაციის ესკალაციის შემდეგი საფეხური იყო 1990 წლის ზაფხული, როდესაც მომავალი საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღო საარჩევნო კანონი, რომელიც რეგი-ონალურ პარტიებს უკრძალავდა არჩევნებში მონაწი-ლეობის მიღებას. ოსური მხარის მიერ ეს ნაბიჯი შეფასებულ იქნა, როგორც „ადამონ ნიხასის“ წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად“. (63). ამის შემდეგ, ოსეთში, მოიწვის სესია და 1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიამ მიიღო ანტიკონსტიტუციური დეკლარაცია „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გარდაქმნის შესახებ (ეს იყო გამოძახილი ა. სახაროვისა – „საქართველო მცირე იმპერიაა“). ამის საპასუხოდ, 21 სექტემბერს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭოს სესიამ გააუქმა ოსების მიერ მიღებული დეკლარაცია. სამაგიეროდ, ამავე წლის 16 ოქტომბერს ოსეთის საოლქო საბჭოს სესიამ კვლავ დაადასტურა თავისი უკანონო გადაწყვეტილება და აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი, მიიღო არჩევნების დროებითი დებულება და შექმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია. ამის საფუძველზე 1990 წლის 9 დეკემბერს ჩატარდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს“ არჩევნები და 11 დეკემბერსვე ჩაატარეს „უზენაესი საბჭოს“ სესია. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ იმავე დღესვე (11 დეკემბერს) მიიღო კანონი – „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური

ოლქის გაუქმების შესახებ“ და დადგენილება – „ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მიმართავდა სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, განსაკუთრებით ოსი ეროვნების წარმომადგენლებს, რომ მათ გამოიჩინონ კეთილგონიერება, პოლიტიკური წინდახედულება და სიფრთხილე სეპარატისტული ძალების მოქმედების მიმართ, რომ არ მომხდარიყო რაიმე გაუთვალისწინებელი მოქმედებები. ამავე დროს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებდა, რომ იგი დაიცავდა საქართველოში შემავალი ყველა ეროვნებების უმცირე-სობების უფლებებს და იგი ყოველთვის იბრძოლებს საქართველოს რესპუბლიკის ტერი-ტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისათვის. მიუხედავად ამისა რუსეთის მესვეურთა წაქეზებით, ოსი სეპარატისტები ცხინვალსა და მის მიდამოებში საქართველოს წინააღმდეგ იწყებენ გამოხდომებს და ხდება ქართველებსა და ოსებს შორის შეიარაღებული შეტაკებები.

უნდა აღინიშნოს, რომ „ოსი ხალხისათვის საკმაოდ დიდმა, ჯანსაღმა ნაწილმა მაშინვე იგრძნო და დაგმო ერთი მუჭა ოსი სეპარატისტების ყოვლად უაზრო და დაუფიქრებელი მოქმედება. საქვეყნოდ ცნობილმა ოსმა მეცნიერმა – ფილოლოგმა, ენათმეცნიერმა – ირანისტმა და ეტიმოლოგმა ვ ა ს ი ლ ა ბ ა ე ვ მ ა (1900–2001), რომელიც მოსკოვში მოღვაწეობდა, გამოაქვეყნა სტატია „სამხრეთ ოსეთის ტრაგედია“. მან ისტორიულ რეალობებზე დაყრდნობით, მიუკერძოებლად, სინამდვილით ასახა და შეაფასა 1990-იანი წლების დასაწყისში „სამხრეთ ოსეთში“ განვითარებული მიმდინარე მოვლენები. იგი აღნიშნავდა: „მინდა ვიყო ობიექტური და გავარკვიო იყო თუ არა ოსების მხრიდან რაიმე ნაჩქარევი, მოუფიქრებელი მოქმედებები, რომლებმაც პროვოკაციის მოწყობით გაამწვავეს დაპირისპირება და უნდა გამოვტყდე, რომ ასეთი მოქმე-დებები იყო. მხედველობაში მაქვს სუვერენიტეტის გამოცხადება, რომელიც მთლიანად ორიენტირებული იყო მოსკოვზე პერსპექტივაში სამხრეთი და ჩრდილოეთი ოსეთის გაერთიანებით. სამხრეთელი ოსების მისწრაფება თავის ჩრდილოელი თვისტომებისაკენ ადამიანურად გასაგებია. მაგრამ გეოპოლი-ტიკური პლანით ეს შეცდომაა. კავკასიის მთავარი ქედი – ბუნებრივი საზღვარია საქარ-თველოსა და ოსეთს შორის, და ამ საზღვრის მოშლის ყოველგვარი მცდელობა გამოიწვევს პერმანენტულ კონფლიქტურ მდგომარეობას ქართველებსა და ოსებს შორის. იმისათვის, რომ აღვადგინოთ ტრადიციული მეგობრული ურთიერთობები ორ ხალხს შორის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დავამთავროთ საუბარი საქართველოდან სამხრეთ ოსეთის გამოყოფის შესახებ. საქართველოს არც ერთი ხელისუფლება ამას არასოდეს შეურიგდება და მართალიც იქნება“. მისივე აზრით, სამხრეთ ოსეთი უნდა განთავისუფლდეს ბუტაფორული „სუვერენიტეტისაგან“ (25, გვ.68).

„1991 წლის 7 იანვარს, გამოიცა სსრკ პრეზიდენტის, მიხეილ გორბაჩოვის, ბრძანე-ბულება, გორბაჩოვი აცხადებდა, რომ სამხრეთ ოსეთის სტატუსის შემცვლელი ნებისმიერი გადაწყვეტილება მხოლოდ სსრკ უმაღლესი ორგანოების მიერ მისი დადასტურების შემდეგ იღებდა იურიდიულ ძალას“ (63). 1991 წლის იანვარში, ოსური შეიარაღებული დაჯგუ-ფებების გასაიარაღებლად, ოსეთში ეროვნული გვარდია შევიდა. „რასაც მოჰყვა ქაოსისა და ქუჩური საბრძოლო ქმედებების წელიწადნახევრიანი პერიოდი. ადგილი ჰქონდა სპორადულ ჩარევებს რუსეთის მხრიდან, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა სიტუაციას“. (74). ამ ბრძოლე-ბის გამო, სამხრეთ ოსეთიდან რამდენიმე ათასი ეთნიკური ოსები და ქართველები გაიხიზნენ

და სინამდვილეში სამხრეთ ოსეთი საქართველოსგან დამოუკიდებელი მხარე გახდა.

„1991 წლის 7 მარტს, დილის 8 საათზე, ოს ექსტრემისტთა 100 კაციანი ბანდა თავს დაესხა ცხინვალის რაიონის ქართულ სოფლებს, ზემო აჩაბეთსა და მონასტერს. ბანდიტებმა მშვიდობიან მოსახლეობას დაუშინეს რაკეტები, ყუმბარები, ცეცხლი გახსნეს ავტომატური იარაღიდან. მათ მიერ მოკლული იქმნა ადგილობრივი მცხოვრები ტარიელ ხეთაგაშვილი, ბანდიტთა შემოტევა, დღის 12 საათამდე გრძელდებოდა და აღკვეთილ იქნა მხოლოდ საქართველოს მილიციის და სოფლის მოსახლეობის ძალისხმევით. ოს ექსტრემისტთა შეტევის ადგილიდან ამოღებულ იქნა ერთი რაკეტა, თვითნაკეთი ყუმბარმტყორცნები და სანადირო თოფები. ყოველივე ამას მოჰყვა გაჭიანურებული კონფლიქტი ქართველებსა და ოსებს შორის, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წლის 9 აპრილი) და სსრკს დაშლის (1991 წლის დეკემბერი) შემდეგაც არ შეწყვეტილა და კვლავ გრძელდება“. (22, გვ.161).

სამხრეთ ოსეთში მომხდარი უთანხმოებისა და შეხლა-შემოხლის მოგვარების მიზნით, 1991 წლის 23 მარტს საქართველოში, ყაზბეგში, ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ-ეს უზენაესი საბჭოს თავჯდომარე ბორის ელცინი (1931–2007) და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია (1939–1993). ამ შეხვედრის შესახებ, ცნობილი ინგუში მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი და დისიდენტი ისა კოძოევი (ისა ქაძოევი, იისა კოაზოი), რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ამ შეხვედრის დროს, წერს, რომ: „1991 წლის 23 და 24 მარტს, ყაზბეგში, ბ. ელცინი სამუდამო მეგობრობას ეფიცებოდა ზვიადს. ქართველებმა მას მიართვეს ხმალი. აღფრთოვანებული ელცინი ხმლით ხელში ყვიროდა: „აბა, გამაგრდი მიშკა გორბაჩოვ“. იგი ძლივს დაამშვიდეს და კვლავ მაგიდასთან დასვეს. ამ შეხვედრას ვესწრებოდით ორი ინგუში – მე და სალამ ახილგოვი. ჩვენ სპეციალურად მიგვიპატიჟა ზვიადმა. მას უნდოდა ბ. ელცინთან ინგუშეთის საკითხზე მოლაპარაკება. ასევე, მონაწი-ლეობდნენ ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელი პირებიც. ამბობდნენ, რომ იმყოფებოდნენ ბ. ელცინის მიწვევით. როდესაც ჩვენ ავდექით მაგიდიდან, ზვიადმა შეარჩია შესაფერი დრო და ბ. ელცინი შეიყვანა პატარა კაბინეტში, სადაც მიუხედავად მისი თანხმლები პირების წინააღმდეგობისა, მეც ვიმყოფებოდი. შედგა მოკლე საუბარი. ჩვენ სამნი ვიყავით: ბორის ელცინი, ზვიად გამსახურდია და მე – ისსა კოძოევი. მე მოკლედ ავხსენი ჩვენი თხოვნის არსი. ზვიადმა დამაჯერებლად დაამატა: „ბორის ნიკოლოზის ძევ, გადაწყვიტეთ ინგუში ხალხის საქმე სამართლიანად და ისინი თქვენ არ დაგივიწყებენ. მე ამას გთხოვთ მთელი ქართველი ხალხის სახელით“. აღნიშნულზე ბ. ელცინმა უპასუხა – „ზვიად, მე ხომ უკვე დაგპირდი, ინგუშებო, ხვალ მე ნაზრანში ჩამოვალ“.

მე მართლაც დავუჯერე მას. ზვიადმა დამშვიდობებისას მითხრა – „ისა, იმედიანად იყავი! ნუთუ დიდი ქვეყნის პრეზინდეტი სიტყვებს ჰაერში ისვრის?!“

აღმოჩნდა, რომ ასეთი ქვეყნის პრეზიდენტის სიტყვა კაპიკიც არ ღირს. ტყუილს მათთან „პოლიტიკა“ ჰქვია. მეორე დღეს, 24 მარტს, ბ. ელცინი მართლაც ჩავიდა ნაზრანში.

თანხმობის მოედანზე იგი დაგვპირდა, რომ ინგუში ხალხის ბედი „სამართლიანად“ გადაწ-ყდებოდა. ჩვენ, ყველამ ვიცით თუ როგორ გადაწყვიტა. ვხედავთ, როგორ ესმით სამართლიანობა.

დღეს, ბორის ელცინი ცოცხალი არ არის. იგი გარდაიცვალა და თან წაიღო წყევლა ჩვენი ხალხისა, რომლის იმედიც 1992 წლის შემოდგომაზე სისხლში ჩაკლა.“ (64).

ისა კოძოევი: „ჩვენში სიტყვა „რუსები“ უკვე სალანძღავი გახდა. ყოველდღიურად ინგუშეთში ადამიანებს კლავენ. ადრე ჩვენი ქალები დაკრძალვაზე ტიროდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მუსულ-მანებისათვის ეს დაშვებული არ არის. მაგრამ დღეს ჩვენი ქალები არ ტირიან. რადგან ყველა თავის თავში შეურიგდა იმას, რომ მალე ვიღაცას დამარხავენ....

ინგუშის ცემა არ შეიძლება. ეს დაუსჯელი არ დარჩება... ინგუში 20 წლის შემდეგაც სამაგიეროს გადაგიხდის“. (43).

ამ შეხვედრის და მოლაპარაკების დროს საქართველოსა და რსფსრ-ს შორის გაფორმდა ოქმი, სადაც ჩანდა, რომ რუსეთი ცნობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის გაუქმებას. ამ ოქმში ყველგან იყო აღნიშნული: „ყოფილი სამხრეთ ოლქი“. რომელსაც ხელს აწერდა ორივე ქვეყნის წარმომადგენლები. ამ ოქმის მიხედვით ყოფილ სამხრეთ ოსეთში უნდა შექმნილიყო რუსეთისა და საქართველოს გაერთიანებული მილიციის რაზმი, ყველა უკანონო ფორმირების გასანიარაღებლად და წესრიგის დასამყარებლად. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, ყოფილ სამხრეთ ოსეთიდან უნდა გაეყვანა საბჭოთა არმიის ნაწილები. ორივე სახელმწიფოს უნდა ეზრუნათ, რომ ლტოლვილები დაებრუნებინათ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში. რუსეთის, საქართველოს და ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ მთავრობებს უნდა გამოეყოთ სახსრები ლტოლვილთა დასახმარებლად და სხვა.

შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმს ხელს აწერდნენ:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე: ზვიად გამსახურდია.

რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე: ბორის ელცინი.

დაბა ყაზბეგი, 1991 წ. 23 მარტი.

დოკუმენტიდან ჩანს, რომ რუსეთი სცნობს სამხრეთ ოსეთის, ავტონომიურ ოლქს გაუქმებულად. შეთანხმებაში ყველგან ნახმარია „ყოფილი სამხრეთ ოსეთი“! უფრო მეტიც, მოლაპარაკებებში იგი საერთოდ არ ფიგურირებს როგორც არსებული სუბიექტი – ეს იყო ეროვნული ხელისუფლების უდიდესი მიღწევა“. (82).

მაგრამ ეს ხელმოწერა და შეთანხმება რუსეთისათვის არაფერს ნიშნავდა. ცნობილია, რომ რუსეთისათვის საერთაშორისო ხელშეკრულებაც-კი არაფერს ნიშნავდა, როდესაც მას სჭირდებოდა, მსოფლიოს დასანახად, მას იყენებდა, ხოლო მისთვის საჭიროების შემთხვევაში მას ყურადღებას არ აქცევდა და მოქმედებდა ისე, როგორც მას სურდა.

ცნობილი დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწე, პრემიერ-მინისტრი და სამხედრო კაბინეტის მეთაური (1940–1945) უ ი ნ ს ტ ო ნ ჩ ე რ ჩ ი ლ ი (1874–1965) ასე ახასიათებდა რუსეთს:

„რუსეთთან დადებული ხელშეკრულების ფასი არ აღემატება იმ ქაღალდის ფასს, რომელზეც იგია დაბეჭდილი“. (22, გვ.218).

ასე, რომ ზ. გამსახურდიასა და ბ. ელცინს შორის შეთანხმებაც, „ფარატინა ქაღალდი“ აღმოჩნდა, რაც შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს კიდევაც. რუსეთისათვის მთავარი იყო საქართველოს დაშლა, დანაწევრება და შემდეგ მისი დამონება, ან განადგურება.

1992 წლის 19 იანვარს „სამხრეთ ოსეთში“ ტარდება რეფერენდუმი – „დამოუკი–დებლობისა“ და „რუსეთთან შეერთების“ შესახებ. გამოქვეყნებული შედეგებით, მოსახ

ლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობას და რუსეთთან შეერთებას. ამ რეფერენდუმში მონაწილეობას არ ღებულობდნენ ომის შედეგად „სამხრეთ ოსეთიდან“ ათასობით გადახვეწილი ლტოლვილები, ასე რომ რეფერენდუმი არ ასახავდა ამ მხარეში მცხოვრები მოქალაქეების სრულ განწყობას.

„სამხრეთ ოსეთში“ საომარი მოქმედება მიმდინარეობდა 1992 წლის 24 ივნისამდე. ამ დღეს სოჭში (დაგომისში) საქართველოსა და რუსეთის პრეზიდეტენტებმა ედუარდ შევარდნაძემ და ბ. ელცინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, „ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პრინციპების შესახებ“. შეთანხმე-ბის თანახმად უნდა შექმნილიყო ე. წ. შერეული საკონტროლო კომისია, რუსეთის, საქართველოს, ჩრდი-ლოეთ ოსეთისა და ეუთოს (ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) მონაწილეობით. რომელსაც სამხრეთ ოსეთში უნდა მოეტანა მშვიდობა. 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის შეთანხმების „ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორების შესახებ“ თანახმად, საქართველოს მიწა-წყალზე, აფხაზეთსა და ზუგდიდის ნაწილში, „სამშვიდობო ძალების“ სახით რუსეთის საოკუპაციო ჯარის ნაწილები შევიდა. ეს შეთანხმება რუსის სამშვიდოების აფხაზეთში ყოფნის მთავარ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

1994 წლის 15 აგვისტოს ეუთომ განიხილა ქართულ-ოსური კონფლიქტი და ორივე მხარეს შესთავაზა თავისი კონსტიტუციური ნიმუში, მაგრამ ორივემ უარყვეს.

1996 წლის 16 მაისს მოსკოვში ხელი მოეწერა მემორანდუმს „ქართულ-ოსურ კონფლიქტში მხარეთა შორის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის გასამყარებელ ღონისძიებათა შესახებ“. „გარკვეულ იმედებს წარმოშობდა ჩრდილოეთ ოსეთის-ალანიის პრეზინდეტის საშუამავლო საქმიანობა დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობის მისაღწევად. ყველაფერმა ამან გარკვეული პოლიტიკური სტაბილიზაცი-ისათვის პირობები შექმნა. რიგითი მოქალაქის ცხოვრება შედარებით მშვიდი გახდა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ეროვნული ამოცანა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ჭიანურდებოდა. რუსეთი სულ უფრო აშკარად ავლენდა თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხისადმი“. (22, გვ.220). ეუთოს მისიის სახით ოსეთში რუსეთის ჯარი შევიდა, რომელსაც მშვიდობა უნდა დაემყარებინა ამ მხარე-ებში. მაგრამ, რუსეთის მესვეურთა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლების მოქმედების გამო, ოსეთში დაძაბულობა, ოსებსა და ქართველებს შორის შეხლა-შემოხლა, გრძელდებოდა და თანდათან მატულობდა.

2001 წლის 19 იანვარს ევროპარლამენტმა განიხილა „სამხრეთ ოსეთში“ შექმნილი მდგომარეობა და გამოაქვეყნა რეზოლუცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აღმოჩნდნენ საქარ-თველოდან ჩამოცილებულნი (დეფაქტო) და საქართველოს იურისდიქციას აღარ ექვემდებარებიან. საერთა-შორისო რეზოლუციებში, პირველად მოხდა, რომ რუსეთი მოხსენებულია როგორც აგრესორი. მისი მოქმედება საქართველოს მიმართ ანექსიად არის მიჩნეული და ამავე დროს რუსეთის ყოფნას საქაერთველოს ამ გამწვავებულ მხარეებში, როგორც მშვიდობის დამყარებელი, კითხვის ნიშნის ქვეშ არის დაყენებული.

მიუხედავად ამისა, „სამხრეთ ოსეთში“ მდგომარეობა თანდათან უფრო იძაბებოდა. 2002 წლის 11 მაისს ე. წ. „სამხრეთ ოსეთის პრეზინდეტმა“ მოითხოვა, რომ გაიზარდოს რუსეთის სამშვიდობო ძალები, ვინაიდან საქართველოს ამერიკელები ეხმარებიან. ხოლო 2003 წლის

27 თებერვალს, მისივე განცხადებით, ამ მხა-რეში, მშვიდობის დამყარებლები არიან მხოლოდ რუსეთის სამშვოდობო ძალები. თუ რა მშვიდობას ამყარებდნენ საქართველოს მხარეებში რუსების სამშვიდობო ძალები, ეს ადრეც ჩანდა და შემდგომ წლებშიც აშკარად გამოჩნდა.

რუსეთის ხელისუფალნი, განსაკუთრებით გაღიზიანდნენ მას შემდეგ, როდესაც დამოუ–კიდებლობის მოპოვების მერე, განსაკუთრებით 2003 წლიდან, საქართველომ გეზი აიღო ევროპისა და აშშ-ისკენ და მთელი თავისი ძალისხმევით მოინდომა ნატო-ში (ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია) შესვლა, ეს კი მიუღებელი აღმოჩნდა მათთვის.

2003 წლის 2 მარტს უნდა შემდგარიყო, კონფლიქტის მოგვარების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძისა და „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის“ შეხვედრა, მაგრამ „ოსეთის პრეზიდენტის“ უარის გამო ეს შეხვედრა ჩაიშალა.

როგორც რფ-ის პრეზიდენტის (2000 წ-დან) ვ. პუტინის ყოფილი მრჩეველი ა ნ დ რ ე ი ი ლ ა - რ ი ო ნ ო ვ ი გადმოგვცემს, „2004 წლის 11 თებერვალს მოსკოვში შედგა ვ. პუტინისა და მ. სააკაშვილის პირველი შეხვედრა. ამ შეხვედრაზე ვ. პუტინმა სთხოვა საქართველოს პრეზიდენტს, აღარ მოეთხოვა რუსული სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანა....

2004 წლის 6 მაისს, რუსეთის ფედერაციის სს მინისტრმა იგორ ივანოვმა ასლან აბაშიძე თავისი თვითმფრინავით ბათუმიდან მოსკოვში წაიყვანა. შემდგომ სატელეფონო საუბარში, მ. სააკაშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა ვ. პუტინს იმ წვლილისათვის, რომელიც მან შეიტანა კრიზისის მშვიდობიან გადაწყვეტაში. საპასუხოდ ვ. პუტინმა უთხრა: „ეხლა დაიმახსოვრე, ჩვენ არ ჩავერიეთ აჭარაში, მაგრამ „სამხრეთ ოსეთში“ და აფხაზეთში ჩვენგან არ მიიღებ რაიმე სახის საჩუქარს“. (65).

ამის შემდეგ „რუსეთის სამხედრო სპეციალისტებმა გააქტიურეს ოსი ბანდფორმირებების წვრთნა, რამაც მალე თავისი შედეგი გამოიღო, 2004 წელს სეპარატისტების მიერ იყო წარმოებული თავდასხმები დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობაზე. როკის გვირაბი კი ხდება ერთად-ერთი არალეგალურად მოქმედი სახმელეთო-სატრანსპორტო დამაკავშირებელი ადგილი საქართველოსა და რუსეთს შორის, რომლის გაკონტროლება ვერ ხდება ქართველთა მიერ, იგი სასიცოცხლო არტერიაა ცხინვალის რეგიონში მოქმედ ოს სეპარატისტებისათვის, საიდანაც მათთვის რეგულარულად მიედინებოდა იარაღი, საკვები პროდუქტები და სხვა ყველა ის მნიშვნელოვანი საშუალება, რომლითაც შეიძლება არსებობდეს სეპარატიზმი. სწორედ 2004 წლიდან მოყოლებული, რუსეთი ღიად თუ შეფარვით, აცხადებდა თავის სამხედრო და ეკონომიკურ ინტერესებს აფხაზეთზე და „სამხრეთ ოსეთზე“. ამავე დროს დაიწყო ორმხრივი ურთიერთობის დამყარება კონფლიქტურ რეგიონებთან, რითაც ამზადებდა სამართლებრივ საფუ-ძვლებს საქართველოში შემავალი ამ ორივე ავტონომიის დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარებისათვის. რუსეთის სახელისუფლო ელიტა ყოველნაირად ხელს უწყობდა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ მხრიდან აგრესიულ სეპარატიზმის წაქეზებას, წახალისებას. ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად (სამხედრო წვრთნების ჩათვლით) აიარაღებდა და ამზადებდა მათ ახალი ეთნოწმენდისათვის ყველა საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფით, ხელოვნურად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე აძლევდა აფახზებსა და ოსებს რუსე-თის მოქალაქეობას, შემდგომში პოლიტიკური სპეკულაციის საწარმოებლად“. (22, გვ.222).

2004 წლის 5 ნოემბერს სოჭში, საქართველოს და ოსეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის შესახებ.

2005 წლის 26 იანვარს სტრასბურგის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე, საქართველოს პრეზიდენტმა (2004 წ-დან) მიხეილ სააკაშვილმა წარმოადგინა ახალი შეხედულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიის ფართო უფლებების შესახებ, მაგრამ ოსეთის მხარემ უარყო და მოითხოვა სრული დამოუკიდებლობა.

ცნობილია, რომ 2005 წლის 6 დეკემბერს, რუსეთმა მხარი დაუჭირა ლიუბლიანაში გამართულ მინისტერიალზე მ. სააკაშვილის მიერ წარმოდგენილ სამშვიდობო გეგმას. ხოლო, 2006 წლის 10 სექტემბერის ჟურნალ „ინანციალ თიმეს“-ში გამოქვეყნდა ვ. პუტინის საუბარი ჟურანალისტებთან:

„შეუძლებელია გამოვიყენოთ კოსოვოს მიმართ დამოკიდებულების ერთი წესები და სხვების დამოკიდებულების მიმართ სხვა წესები. რით განსხვავდება კოსოვოს მდგომარეობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მდგომარეობიდან? ისინი არაფრით არ განსხვავდებიან. ჩვენ თუ დავიწყებთ მდგომარეობების მანი-პულაციას, ჩვენ დაგვხვდება პრობლემები. ხალხი იგრძნობს გულგატეხილობას“. „(რაც შეეხება გაყინულ კონფლიქტებს), ჩვენ მზად ვართ ვიმუშაოთ ჩვენი საერთაშორისო თანამონაწილეებთან და EC-სთან, რომ მოვაგვაროთ საკითხები, როდის და სადაც ისინი არ უნდა არსებობდეს. ეს ეხება აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს, მთიან კარაბახსა და დნესტრისპირეთს“. (118).

ა. ილარიონოვის გადმოცემით; „2006 წლის დასაწყისისათვის, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და „სამხრეთოსეთისათვის“ მიწოდებული სამხედრო აღჭურვილობის, იარაღის და ტყვია-წამლის რაოდენობამ გადააჭარბა საქართველოს სამხედრო შესაძლებლობებს მიუხედავად იმისა, რომ ამ ორივე რეგიონში ცხოვრობდა 250 000 მოსახლე, ხოლო საქართველოში 4,5 მილიონი. 2008 წლის დასაწყისისთვის კი ამ რეგიონებმა უფასოდ ორჯერ მეტი სამხედრო აღჭურვილობა მიიღეს, ვიდრე საქართველოს გააჩნდა....

2006 წლის 31 იანვარს ჟურნალისტებთან საუბარში ვ. პუტინმა აღნიშნა, რომ „თუ ვინმე ფიქრობს, რომ კოსოვომ შეიძლება მიაღწიოს სრულ დამოუკიდებლობას, მაშინ ჩვენ რატომ უნდა ვუთხრათ უარი აფხაზებსა და „სამხრეთ ოსებს“?....

2006 წლის მარტში ე. წ. „საქმხრეთ ოსეთის“ პრეზიდენტმა „კოკოითიმ თხოვნით მიმართა რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს, ეცნო „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკი–დებლობა....

12 ოქტომბერს, „სამხრეთ ოსეთის“ პარლამენტმა მიმართა ჩრდილო ოსეთის, ყაბარდო-ჩერქეზეთის და ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკების ლიდერებს თხოვნით, რომ ეღიარებინათ საქართველოს „მორალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობა „სამხრეთ ოსეთის“ 1920 და 1989–1992 წლების გენოციდზე“.

ამავე დროს აფხაზეთის პარლამენტმა კვლავ მიმართა თხოვნით რუსეთის ხელ–მძღვანელეობას, რომ ეღიარებინათ აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ამ თხოვნაში აღნიშნული იყო, რომ რუსეთის მოქალაქეები შეადგენენ აფხაზეთის მოსახლეობის 90%-ს. 6 ნოემბერს, დსთ-ს სამიტზე მოსკოვში, მ. სააკაშვილი სამჯერ შეხვდა ვ. პუტინს. მათი კომენტარებიდან გამომდინარე ეს შეხვედრები უშედეგოდ დამთავრდა....

2006 წ. დეკემბერი – 2008 წ. აპრილი: რუსეთის საბოლოო მზადება დიდი ომისათვის“.

(65). 2006 წლის ოქტომბერში რუსეთის ანალიტიკოსები აცხადებდნენ, რომ რუსეთ-საქართველოს ომი „გარდაუვალი“ იყო.

დსთ-ს სამიტზე, ერთ-ერთი შეხვედრის დროს, საქართველოს პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა „პუტინს უთხრა, რომ მზად იყო უარი ეთქვა ნატოში ინტეგრაციის გეგმაზე იმ პირობით, თუ რუსეთი დაეხმარებოდა «სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაში».

რუსეთის პრეზინდეტმა კი, საქართველოს ხელმძღვანელს შემდეგი «სია» წარუდგინა იმ მოქმედებისა, რომლითაც ქვეყანას შეეძლო «კატასტროფა თავიდან აეცილებინა».....

არა ტერიტორიული მთლიანობა აღედგინა, არამედ ომი და გენოციდი აეცილებინა თავიდან:

1) განცხადება ნატოში ინტეგრაციაზე უარის თქმის შესახებ;

2) დაბრუნება რუსეთის ინიციატივით შექმნილ «კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციაში», რომლის წევრები არიან ტაჯიკეთი, სომხეთი, ყაზახეთი და ბელორუსია;

3) საქართველოდან რუსული ბაზების გატანაზე უარის თქმა;

4) აფახეზთთან და «სამხრეთ ოსეთთან» ყველაფრის დატოვება ისე, როგორც იყო შევარდნაძის დროს ანუ, მაგალითად, «ხელის არხლება» ერგნეთის ბაზრობისათვის, საიდანაც გამანადგურებელი კონტრაბანდა მოედინებოდა და ასე შემდეგ;

5) უპირობო თანხმობა რუსეთის გაწევრიანებაზე «მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში» და ამ საკითხის აფხაზეთთან და «სამხრეთ ოსეთთან» პრობლემებთან მიბმაზე უარის თქმა. სამაგიეროდ, გენადი ონიშენკოს რუსულ ბაზარზე შეიძლებოდა ქართული ღვინო და ბორჯომი დაებრუნებინა.

აი, ამ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, რუსეთი აღარ მისცემდა ოს სეპარატისტებს თანხმობას, აღესრულებინად მრავალწლიანი ოცნება და გაეწმინდათ ქართველებისაგან ლიახვის ხეობა, რათა უფრო «კომფორტულად» ემგზავრათ ვლადი–კავკაზიდან – ცხინვალში“. (66). ცხადია, ამ მოთხოვნას მ. სააკაშვილი არ დაეთანხმებოდა და ეს შეხვედრები უშედეგოდ დამთავრდა.

2006 წლის 12 ნოემბერს „სამხრეთ ოსეთში“ შემავალი სეპარატისტების მიერ დაქვემ–დებარებულ მხარეებში ტარდება არჩევნები და რეფერენდუმები. სამხრეთ ოსეთის ხელმეორედ არჩეული სეპარატისტი პრეზიდენტი ისევ ითხოვს საქართველოსგან დამოუკიდებლობას და ითხოვს საქართველოსთან მოლაპარაკებებს ფედერალური შეთანხმებების შესახებ.

„2006 წლის ბოლოს ცხადი გახდა, რომ ვერავითარი მუქარა და ზეწოლა ვერ აიძულებდა საქართველოს ხელისუფლებას, გადაეხვია მშვიდობიანი გზით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, დამოუკიდებელი განვითარების, ეკონომიკური და იურიდიული რეფორმების განხორციელების კურსიდან“. (65).

„2006 წლის დეკემბერში პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მიხეილ სააკასვილს „პირად საუბარში განუცხადა, რომ „ჩრდილოეთ კვიპროსს“ შექმნიდა საქართველოში. მოგვიანებით პრეზიდენტმა პუტინმა მსგავსი „გაფრთხილება“ მოგვცა ნატოს გენერალურ მდივანთან საუბრისას.

2007 წლის ივლისში რუსეთმა გააკეთა განცხადება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშე-კრულების (CFE Treaty) შეჩერების შესახებ, რაც ძალაში შევიდა 2007 წლის

12 დეკემბრიდან. იმავდროულად, საქართველო-რუსეთის საზღვრის უშუალო სიახლოვეს და სეპარატისტულ რეგიონებში რუსეთი ინტენსიურად ზრდიდა სამხედრო ძალას.

ამ პერიოდში მკვეთრად იმატა რუსულმა სამხედრო აქტივობამ ოკუპირებულ ტერიტო–რიებზე. ხოლო რუსეთის მარიონეტული რეჟიმების პოზიცია უაღრესად აგრესიული და დესტრუქციული გახდა. ცხინვალის რეგიონში მცხოვრები პრაქტიკულად ყველა მამაკაცი გასამხედროებულ დანაყოფებში იყო გაერთიანებული. მათ აიარაღებდნენ რუსი ინსტრუქ–ტორები, მათ შორის რუსული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები.

აფხაზეთში სეპარატისტთა შეიარაღებული დანაყოფები წვრთნას გადიოდნენ რუსული არმიის მოქმედი და გადამდგარი ოფიცრების ხელმძღვანელეობით, რომლებიც მათ იმავდრო–ულად იარაღით ამარაგებდნენ.

2007 წელს რუსეთმა რამდენიმეჯერ დაბომბა საქართველოს ტერიტორიები, რაც ქვეყნის სუვე-რენიტეტის წინააღდეგ ქმედება და აშკარა აგრესიის გამოხატულება იყო“. (67, თავი III,).

2007 წლის 6 აგვისტოდან ოსური ბანდების თავდასხმისა და რუსეთის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის გამო, საქართველოსა და „სამხრეთ ოსეთს“ შორის მდგომარეობა კვლავ გართულდა.

2008 წლის დასაწყისიდან, რუსეთის ხელშეწყობით, ოსეთში დღითი დღე იძაბებოდა მდგომარეობა. იქ მყოფი სეპარატისტები ემზადებოდნენ ჯავადან და ცხინვალიდან შეტე–ვისათვის. მუდმივად ახდენდნენ თავდასხმებს ქართველ სამშვიდობოებსა და ქართულ სოფლებზე.

თუ ადრე რუსეთის ხელმძღანელეობა ფორმალურად მაინც აღიარებდა საქართველოს ერთიანობას, 2008 წლის 16 აპრილს, ვ. პუტინმა გამოსცა ბრძანებულება „1996 წლის 19 ივნისის ხელშეკრულებიდან გამოსვლის შესახებ, რომელიც მასში გაერთიანებულ ქვეყნებს უწესებდა ეკონომიკური თუ პოლიტიკური სახის ურთიერთობების გაწყვეტას საქართველოს არაღიარებულ რეგიონებთან. ამის შემდეგ მჭიდრო კონტაქტი დამყარდა მოსკოვსა და არ-აღიარებულ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“ ე. წ. რესპუბლიკებს შორის. ეს იყო თავისებური „კარტბლანში“ კრემლის მხრიდან. რამაც სეპარატისტულ რეგიონებს თბილისის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ უფრო აქტიური ქმედებისაკენ უბიძგა“. (22, გვ.226).

2008 წლის 20 აპრილიდან რუსეთი აშკარად გადადის შეტევაზე და საქართველოს წინააღმდეგ, სეპარატისტებთან ერთად კონფლიქტის რეგიონებში (აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“) ანხორციელებს თავდასხმებს ქართველ სამშვიდოებებსა და ქართულ სოფლებზე. ამის გარდა რუსეთის მთავრობა აცხადებს, რომ ის დაიცავს კონფლიქტის რეგიონში მცხოვ–რებ თავის მოქალაქეებს. ცნობილია, რომ რუსეთის მთავრობამ რამდენიმე წლის წინ აფხა–ზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს დაურიგა რუსული პასპორტები. უკვე რუსეთის ამ მოქმედებიდან აშკარად ჩანდა, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ დათმობდა აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“ და ის ყოველმხრივ ხელს შეუშლიდა მშვიდობის დამყარებას ამ მხარეებში. როგორც რუსეთის პრეზიდენტი აცხადებდა სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა 90% რუსეთის მოქალაქეა და სამშვიდობო მისიის ფარგლებში იგი მოვალეა დაიცვას თავისი მოქალაქეები.

20 აპრილს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავმა ჩამოაგდო ქართველთა საფრენი მოწყო–

ბილობა, რომლითაც ხდებოდა აფხაზეთის მხარის დაკვირვება. „29 აპრილს, რუსეთის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადებით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში იწყება რუსული სამშვიდობო ძალების კონტინგენტის გაზრდა. მნიშვნელოვანია, რომ ეს ხდება ხელშეკრულების დარღვევით და ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად. სამშვიდობოების ეგიდით რუსეთს შემოჰყავს სადესანტო ძალები მძიმე ტექნიკითა და აღჭურვილობით. არც ჯარის სახეობა, არც შეიარაღება არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფორმატს!“ (67, თავი V).

31 მაისს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ, საქართველოს მთავრობასთან შეუთანხმებლად რკინიგზის აღდგენის მიზნით, აფხაზეთში სარკინიგზო ჯარები შეიყვანა. რომლის აღდგენის შემდეგ აფხაზეთში დიდძალი შეიარაღება შეიტანა.

ამავე წლის ივლისის თვეში რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ, საქართველო-ოსეთის საზღვართან ჩრდილოკავკასიური სამხედრო ოლქის ფართომასშტაბური სამხედრო წვრთნები გამართა.

როგორც ეტყობა კრემლსა და სეპარატისტებს უნდოდათ ქართული მხარე წონასწორობიდან გამოეყვანათ. სამხრეთ ოსეთის მხარე უარს აცხადებდა ევროკავშირის წინადადებაზე 21 ივლისს ბრიუსელში (ბელგია) გამართულ ქართულ-ოსური კონფლიკტის დარეგულირების შესახებ მოლაპარაკების გამართვის თაობაზე და სხვადასხვა მიზეზით წინააღმდგობას გამოთქვამდა ყოველგვარ მოლაპარაკებას ქართულ მხარესთან.

ამავე წლის 29–30 ივლისიდან მიმდინარეობდა სროლები ცხინვალის მიდამოებში, განსაკუთრებით ლიახვის ხეობაში, ოსები ცდილობდნენ ლიახვის ხეობა, „გაეწმინდათ“ ქართული მოსახლეობისაგან.

1 აგვისტოს ოსეთში დაიწყო საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობა და ქართულ სოფლებზე თავდასხმები. „2 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ გამოაცხადა ცხინვალისა და რეგიონში სეპარატისტების მიერ კონტროლირებად სოფლებში მცხოვრები სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაცია, რაც 6 აგვისტომდე გაგრძელდა“. (67, თავი VI.). ამავე დღესვე დაიწყეს ქალების, ბავშვების და მოხუცების გაყვანა ჩრდილოეთ ოსეთში.

„ოსური შეიარაღებული ბანდფორმირებები პერიოდულად ცეცხლს უხსნიდნენ ქართულ სოფლებს და აწყობდნენ თავდასხმებს ქართველი სამშვიდობოების საგუშაგოებზე. ამ თავდასხმების დროს იყენებდნენ ისეთი ტიპის შეიარაღებას, რაც მიღწეული შეთანხმების მიხედვით, რეგიონში საერთოდ არ უნდა ყოფი-ლიყო. ეს ფაქტი წერილობით დაადასტურა კიდევაც სოჭი-დაგომისის ხელშეკრულების საფუძველზე დისლოცირებული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, გენერალმა კულახმეტოვმა“. (67, თავიVI.).

ჩანდა, რომ რუსები და ოსები წინასწარ ემზადებოდნენ ომისათვის, რადგან იცოდნენ, რომ ბოლოს და ბოლოს, ქართველთა მხრიდან ამ „წმენდას“ აუცილებლად საპასუხო მოქმედება მოჰყვებოდა. საქართველოს წარმომადგენლებსა და შერეული სამშვიდობო ძალების სარდალთან შეხვედრის დროს დადასტურდა ქართვე-ლთა ეჭვი, რომ სროლებში მონაწილეობას ღებულობდა სეპარატისთებთან ერთად რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთში მდგარი ბატალიონი.

4 აგვისტოს „სამხრეთ ოსეთიდან“ განაგრძობდნენ მოსახლეობის (ქალების და ბავშვების) გახიზვნას „ჩრდილოეთ ოსეთში „ქართველი აგრესორებისაგან“ დასაცავად, ეს მაშინ, როდე–

საც ჯერ არანაირ სამხედრო ოპერაციას არ ჰქონდა ადგილი ქართველების მხრიდან, უბრალოდ, ამ აქტით ჩანს, რომ ოსები უკვე აპირებდნენ მოქმედების გააქტიურებას საბრძოლო კუთხით. თუმცა, ვლადიკავკაზის განცხადებით, ბავშვების გაგზავნა ჩრდილოეთ ოსეთში იყო იმ პროგრამის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა „სამხრეთ ოსეთის“ ბავშვების მასპინ–ძლობას ზაფხულის არდაგებებზე ჩრდილოეთ ოსეთის კურორტებზე. სულ თვითგამოცხადე–ბული რეგიონებიდან 534 ადამიანი (მათ შორის 390 ბავშვი) გაიგზავნა.

5 აგვისტოს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა როკის გვირაბით რეგიონში დიდძალი და უკანონო შეიარაღების შემოტანის აღსაკვეთად თბილისსა და მოსკოვს როკის ერთობლივი გაკონტროლებისაკენ მოუწოდა; სამხრეთ ოსეთიდან გრძელდებოდა ქალებისა და ბავშვების გაყვანა ვლადიკავკაზის მიმა-რთულებით (819 ადამიანი, აქედან 548 ბავშვი)“. (22, გვ.229).

„7 აგვისტოს დილის 03.41 სთ-ზე, ოპერატიული მონაცემებით, დაახლოებით 150 ერთეული ჯავშანტექნიკა და სატვირთო მანქანა როკის გვირაბში შევიდა. მალევე ე. წ. „სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა“ მინძაევმა უბრძანა ყველა ოსურ ქვედანაყოფს, რუსეთის რეგურალური არმიის ნაწილებთან, დაქირავებულ მებრძოლებთან და სხვა ბანდფორმირებებთან ურთიერთქმედებით განეხორციელებინათ შეტევა და ძლიერი დარტყმებით გაენადგურებინათ ყველაფერი, რაც წინ შეხვდებოდათ.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის კონფლიქტის ზონაში, არსებული შეთანხმებების სრული დაცვით, იმყოფებოდა მხოლოდ ადგილობრივი პოლიცია (რომლის მონიტორინგსაც რეგულარულად ახდენდნენ ქართული, რუსული, ოსური და ეუთოს ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფები) და შერეული სამშვიდობო ძალების ქართული სამშვიდობო ბატალიონი, რომელიც იქ იყო განლაგებული 1992 წლის სოჭის შეთანხმების საფუძველზე.

7 აგვისტოს, გამთენიისას, ფრონის ხეობაში ნულის საგუშაგოს მიმართულებით ცეცხლი გაიხსნა.“ (67, თავი VII.). ოსეთის მხრიდან გამუდმებით გრძელდებოდა საარტელირეო ცეცხლი ყველა სახის სამხედრო დანადგარებით, ქართული სამშვიდობო საგუშაგოების მიმართ სროლები და რაც მთავარია, მიზანმმიმართულად თვით „სამხრეთ ოსეთი“-ის ქართულ სოფლებზე, რის შედეგადაც სამი სოფელი მთლიანად განადგურდა.

ქართული მხარე იძულებული გახდა, ცეცხლის ქვეშ მყოფი სოფლებიდან (თამარაშენიდან და სხვ.) სასწრაფოდ, ევაკუაცია დაეწყო. „დღის მეორე ნახევარში, კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მიზნით, ქართულმა მხარემ საპასუხო ცეცხლი გახსნა. ოსურმა ბანდფორმირებებმა უკან დახევა დაიწყეს. ამის შემდეგ თბილისმა ცეცხლის შეწყვეტის მონატორიუმი გამოაცხადა და ოსურ მხარეს ჰუმანიტარული კორიდორის გაკეთება შესთავაზა. სეპარატისტების დაცვის მოტივით კი, როკის მისადგომებთან, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს დიდი რაოდენობის მძიმე ტექნიკა და ცოცხალი ძალა უკვე მობილიზებული იყო. ისინი სწორედ მოვლენების ამ სცენარით განვითარებას ელოდნენ“ (22, გვ.230); შემდეგში, ცნობილი გახდა, რომ საქართველომ შეეცადა ცხინვალის გავლით შეეჩერებინა რუსეთის სატანკო ნაწილების წინ სვლა და ამის გამო გაიგზავნა სპეცდანიშნულების რაზმი, რომ აეფეთქებინად ხიდები. ეს რაზმი დაიღუპა მას შემდეგ, როდესაც ააფეთქეს ხიდი და გაანადგურეს რუსეთის 15 სამხედრო მანქანა. ამ მოქმედებამ თითქმის 48 საათით შეაჩერა რუსი სამხედროების წინ სვლა.

8 აგვისტოს დილას, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, ვ. პუტინმა, რომელიც იმყოფებოდა

პეკინის ოლიმპიურ გახსნაზე, თავის სიტყვაში, საქართველო მოიხსენია როგორც აგრესორი და განაცხადა, რომ რუსეთი საქართველოს ამ ქმედებებს უპასუხოთ არ დატოვებდა. ამავე დღეს რუსეთის პრეზიდენტმა დ. მედვედევმა საქართველოს წინააღმდეგ „მშვიდობის მაიძულებელი“ ოპერაციის დაწყების შესახებ ოფიციალურად განაცხადა“ (67, თავი VII) რუსეთი, დილის დაახლოებით 10 საათზე, ოსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამართულ ამ ბრძოლაში ჩაერთო და დაიწყო „რუსეთ-საქართველოს ომი“, ცნობილი როგორც „2008 წლის 8 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის ომი“. ეს იყო რუსეთის მიერ დიდი ხნის ჩანაფიქრის განხორციელება – საქართველოს სწრაფი დაპყრობა. ამას ადასტურებენ როგორც საზღვარ–გარეთის, ასევე თვით რუსეთის წარმომადგენლები.

8 აგვისტოს, რუსეთის ახალი პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი აფხაზეთში ჩავიდა და საქვეყნოდ განაცხადა: „აფხაზეთთან ჩვენ განვავითარებთ მეგობრულ და ეკონომიკურ ურთიერთობას. ვითანამშრომლებთ უსაფრთხოების საკითხებში“. იქვე აღნიშნა, რომ „ზუსტად ორი წლის წინ სამხრეთ ოსეთში ცნობილი მოვლენები განვითარდა. რომლებიც მთელი რიგი პოლიტიკური პროცესების დასაწყისი გახდა. მათ შორის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებისა“. (68).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით რუსეთმა „სამხრეთ ოსეთში“ 6 000, ხოლო აფხაზეთში – 4 000 ჯარისკაცი შემოიყვანა. ცნობილია, რომ რუსეთის მთავრობა, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ მთავრობას „ყოველწლიურად 100 მილიონი დოლარის ოდენობის დახმარებას ურიცხავდა. (www.ej.ru რუ 8 აგვისტო, 2008 წ.). თუ გავი–თვალისწინებთ, რომ ცხინვალის კონტროლის ქვეშ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა 40 ათასს არ აჭარბებდა, რუსული დახმარება სულ მოსახლეზე დაახლოებით 2 500 დოლარი იყო ე. ი. საქართველოზე ორჯერ მეტი“. თვით მოსახლეობას ეს არ უგრძვნია.“ ეტყობა, რომ „რუსეთის ბიოჯეტიდან გამოყოფილი ფული“, ნაწილდებოდა „სამხრეთ ოსეთის“ ხელისუფ–ლების წარმომადგენლებსა და „მისი მფარველების ჯიბეებში“. (61).

9 აგვისტოს თავდასხმა გრძელდებოდა. ამავე დღეს რუსეთმა გაწყვიტა საჰაერო კავშირი საქართვე-ლოსთან. ქ. ცხინვალი მთლიანად დატოვა ქართულმა ჯარმა და რუსეთის საჰაერო ძალების ფსკოვის 76-ე და 98-ე ივანოვოს საჰაერო ძალების დივიზიები და მოსკოვის 45-ე სადაზვერვო ჯგუფი ე. წ. „სპეცნაზი“, ცხინვალში შევიდა და შემდეგ ისინი გადაიყვანეს რუსული სახმელეთო ჯარების გასაძლიერებლად.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 11:10 საათზე ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. ამავე დღეს 12:30 საათზე მ. სააკაშვილმა მხარეებს ცეცხლის შეწყვეტაზე მოუწოდა. მაგრამ ბრძოლები ისევ გრძელდებოდა სოფ. ნიქოზთან, იბომბებოდა კოდორის ხეობა, გორი და მისი მიდამოები. „სამხრეთ ოსეთში“ რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ საჰაერო დესანტი გადმოსხა.

10 აგვისტოს ქართულმა ჯარებმა სროლა შეწყვიტეს და ცხინვალის მიდამოებიდან გამოსვლა დაიწყეს. რუსეთმა ცეცხლის შეწყვეტაზე უარი განაცხადა. ხოლო 11 აგვისტოს რუსეთის საჯარისო ნაწილებმა დაარღვია საქართველოს საზღვრები და საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ძალებით იერიში მიიტანეს ქართულ ქალაქებზე და სამხედრო ნაწილებზე. მთელმა მსოფლიომ დაინახა მათი ბარბაროსული ხასიათი და ქმედებები, თუ როგორ რუსი სამხედროები დათარეშობდნენ დაპყრობილ ქალაქებსა და სოფლებში, დახოცეს უდანაშაულო

მცხოვრებლები, ენის აუწერელ სისასტიკეს ჩადიოდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, ანადგურებდნენ და ძარცვავდნენ ყველაფერს რაც შეხვდებოდათ, ცეცხლი წაუკიდეს ბორჯომისა და წაღვერის უნიკალურ ტყეებს. კიდევ კარგი, რომ წვიმა წამოვიდა და ნაწილი ტყეებისა გადარჩა. აგრესორები იყენებდნენ საერთაშორისო კონვენციით სასტიკად აკრძალულ ტანკსაწინააღმდეგო კასეტურ ჭურვებს და მხტუნავ ნაღმებს.

„გაუმართლებელი მსხვრეპლის თავიდან აცილების მიზნით, 11 აგვისტოს 17 საათისათვის უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს ბრძოლიდან გამოსვლა და დაიხიეს უკან, ქალაქ თბილისის მიმართულებით“. (67, თავიVII.). პრეზიდენტის ბრძანების თანახმად, დედაქალაქის დასაცავად, ჯარი მცხეთაში უნდა გამაგრებულიყო.

11 აგვისტოს თბილისში ჩამოდის ევროკავშირის თავმჯდომარე, საფრანგეთის პრეზიდენტი 2007 წლიდან ნიკოლა სარკოზი და საქართველოს პრეზიდენტთან მ. სააკაშვილთან ერთად თანხმდებიან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ამავე დროს, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მოლაპარაკება მიმდინარეობდა რუსეთთანაც. მიუხედავად ამისა, 12 აგვისტოს რუსეთი განაგრძობდა საქართველოს დაბომბვას და იკავებდა სოფლებსა და ქალაქებს. შესვლისთანავე სეპარატისტების შეიარაღებული ბანდები, ე. წ. „მოხალისენი“ და რუსეთის ჯარისკაცებიც იწყებენ ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვას და დაწიოკებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცეცხლის შეწყვეტაზე რუსეთსა და საქართველოს შორის დიდი გავლენა იქონია, ამავე დღეებში საქართველოში პრეზიდენტების: პოლონეთის, უკრაინის, ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის ჩამოსვლამ.

„საქართველოს წინააღმდეგ რუსეთმა გამოიყენა ომის წარმოების ექვსი საშუალება: სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო, სარაკეტო ძალები, კიბერშეტევები და მედიაომი. ეს ფაქტი პირდაპირ მიუთითებს ამ ოპერაციის წინასწარ მომზადებასა და სხვადასხვა უწყებებს შორის კოორდინაციაზე. სამხედრო ექსპერტთა შეფასებით, ამ მასშტაბის სამხედრო ოპერაციის მომზადებას 4-5 თვე მაინც სჭირდება“. (67, თავიVII.).

რუსეთის მთავრობის თავხედური განცხადებით, რუსეთი ებრძოდა საქართველოს პრეზიდენტს მ. სააკაშვილს და მის ხელისუფლებას და არა ქართველ ხალხს; გაერო-ს უშიშროების საბჭოს საგანგებო სესიაზე რუსეთის წარმომადგენლებმა თქვეს, რომ სააკაშვილი „უნდა წავიდეს“.

გაერო-ს სესიაზე რუსეთმა განაცხადა, რომ ის თანახმაა საქართველოსთან სამშვიდობო მოლაპარაკებები დაეწყო და ის „მზად იყო ომისთვის ბოლოს მოსაღებად“. საქართველომაც მზადყოფნა გამოაცხადა რუსეთთან დაეწყო მოლაპარაკებები სამხრეთ ოსეთიდან ჯარების გაყვანის თაობაზე.

12 აგვისტოს, ნ. სარკოზის შემწეობით, მიღწეულ იქნა, მებრძოლ მხარეებს (რუსეთსა და საქართველოს), შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი შეთანხმება. სადაც აღნიშნული იყო, რომ:

1. მხარეები არ დაუშვებენ ძალის გამოყენებას;
2. საბოლოოდ შეწყდეს ყველა საომარი მოქმედება;
3. ჰუმანიტარული დახმარების თავისუფალი შესაძლებლობა;
4. საქართველოს შეიარაღებული ძალები უბრუნდებიან დისლოკაციის ადგილებს;

5. რუსეთის ფედერაციის შეირაღებული ძალები უნდა დაუბრუნდნენ კონფლიქტამდე არსებულ ადგილებს. საერთაშორისო მექანიზმების მიღებამდე რუსეთის სამშვიდობო ძალები უზრუნველყოფენ უსაფრთხოების დამატებით ზომებს;

6. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სტატუსზე მუშაობის დაწყება და მათთვის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შექმნა.

საქართველოს პრეზიდენტმა, შეთანხმებას, 15 აგვისტოს თბილისში მოაწერა ხელი. ხოლო მოსკოვში, ნიკოლა სარკოზის მიერ შეთავაზებულ გეგმას, დ. მედვედევმა 16 აგვისტოს მოაწერა ხელი. მიუხედავად ამისა, რუსეთი მაინც განაგრძობდა სამხედრო მოქმედებებს საქართველოში. როგორც ვხედავთ, შეთანხმების თანახმად, 1 და 2 პუნქტები კრძალავს ძალების გამოყენებას და მოუწოდებს ორივე მხარეს საომარი მოქმედებების საბოლოოდ შეწყვეტას და თვითეული მხარე უნდა დაბრუნებულიყო პირვანდელ მდგომა–რეობას (ომის დაწყებამდე). რუსეთმა, მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება (როგორც მას სჩვევია) არ შეასრულა, რუსული ჯარების გაძლიერებული გარნიზონები დარჩა აფხაზეთში, „სამხრეთ ოსეთში“ და მათ მიმდებარე ზოგიერთ ადგილებში, რომლებსაც ომამდე საქართველოს მხარე მეთვალყურეობდა და იცავდა. მათ უნდა დაეტოვებინად ახალგორის რაიონი და ზემო აფხაზეთი, სოფელი პერევი და საჩხერის რაიონი. მიუხედავად საერთაშორისო ინსტიტუტების, ეუთოს და საფრანგეთის მთავრობის მცდელობისა, რომ შესრულდეს პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილი შეთანხმება, ჯარების გაყვანის თაობაზე, „რეალურად ეს არ ხდება. შემდგომში რუსული მხარე სპეკულირებს, რომ 18 აგვისტოს გაკეთებულ განცხადებაში ლაპარაკი იყო ჯარების არა გაყვანაზე, არამედ „გადაწევაზე“. რუსეთი განაგრძობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დამატებით გადაადგილებას და მათ ოკუპაციას“. (67, თავიVIII.). დღევანდელ დღეს, რუსეთი ამ დაპყრობილ მიწა-წყალს, აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“ დღითი დღე, სულ უფრო და უფრო აძლიერებს, აშენებს სამხედრო ბაზებს ცხინვალში, ჯავაში, გუდაუთში, სოხუმში და ოჩამჩირეში, რომელიც საზღვაო ბაზად გადააქცია. სინამდვილეში აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ მისი მონა-მორჩილი გახდა. ამის გამო საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბული რჩება. ასე, რომ დ. მედვედევის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება (როგორც მოსალოდნელი იყო) – ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდა.

როგორც ა. თოთაძე აღნიშნავს: „ცნობილია, რომ რუსეთმა საქართველოს მოქალაქეებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის მოქალაქეებს პასპორტები დაურიგა და ახლა, ვითომც თავისი მოქა-ლაქეების დაცვის საბაბით, ცხინვალის რეგიონში უამრავი ჯარისკაცი და სამხედრო ტექნიკა შეიყვანა და დაიწყო იქ ნამდვილი საომარი მოქმედებები. იმავ-დროულად რუსეთმა ცოცხალი ძალა და საომარი ტექნიკა შეიყვანა ქვეყნის სხვა რეგიონებში, დაბომბა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე. მისი ჯარისკაცები და ტანკები დათარეშობდნენ მთელ შიდა ქართლში. ფაქტობრივად რუსებმა დაანგრიეს ქალაქი გორი, დაბომბეს ქვეყნის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი. ქვეყნის დედაქალაქ თბი-ლისში, ფოთში, მარნეულში, სენაკში... დახოცეს უდანაშაულო ადამიანები.... ბორჯომის ხეობაში ცეცხლი წაუკიდეს ტყეებს. საშინელი სისასტიკე გამოიჩინეს მშვიდობიანი, მოსახ–ლეობის მიმართ. ორასი ათასი ადამიანი იძულებით ადგილ-ნაცვალი პირი გახდა. ის, რაც რუსებმა ჩაიდინეს, მას არაფერი აქვს საერთო საკუთარი მოქალაქეების დაცვასთან. არც

მსოფლიო საზოგადოებაა დღეს ისე მიამიტი, რომ წინასწარგანზრახულად დარიგებული პასპორტების გამო ვითომ საკუთარი მოქალაქეების დაცვის კანონიერება დაიჯეროს. ამ საბაბით რუსეთს შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას დაესხას თავს. საერთოდ კი შეიძლება ითქვას შემდეგი: როდესაც რუსეთმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსული პასპორტების დარიგება დაიწყო უკვე ღიად ჩანდა, რომ იგი ყოველმხრივ ხელს შეუშლიდა კონფლიქტების მოგვარებას.

საქართველო მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ასე ერთბაშად, ასე საშინლად და მთლიანად არავის აუოხრებია. რუსეთმა შესანიშნავად იცის რაც და რატომ ჩაიდინა და ახლა თავს უსუსური არგუმენტებით იმართლებს...

მსოფლიო საზოგადობრიობამ უკვე შეაფასა, რომ საქართველოსთან დამოკიდებულებაში რუსეთის მრწამსი მეტად შორს დგას ჭეშმარიტებისაგან და იგი მხოლოდ მისი იმპერიული მრწამსია". (25, გვ.108).

2008 წლის 25 აგვისტოს რუსეთის დუმა-ში განიხილებოდა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" სეპარატისტული ხელისუფლების მიერ, დამოუკიდებლობის მოთხოვნის განხილვა. დუმამ დაამტკიცა საქართველოს ამ ორი მხარის დამოუკიდებლობა და დასამტკიცებლად პრეზიდენტ დ. მედვედევს გადაუგზავნა.

ამავე დღესვე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ:

„საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის აქტიური საომარი მოქმედებები დასრულდა. მაგრამ, სამწუხაროდ, გრძელდება დაპირისპირება ჩვენს ქვეყნებს შორის და იგი უფრო საშიშ ფაზაში გადადის, რაც დღეს, 25 აგვისტოს, რუსეთის დუმის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის), – ძირძველი ქართული მიწების დამოუკიდებლობის აღიარებაში გამოიხატა.

ოდითგანვე საქართველო იყო სხვადასხვა კულტურებისა და ცივილიზაციების გადაკვეთის ადგილი, ამასთან ერთად ხშირად მათი შეჯახების არენაც.

ყველა დაპირისპირებულ მხარეს თავისი მიზანი ამოძრავებდა. ჩვენს ერს კი ბუნებრივია ჰქონდა თავისი ინტერესი – ტერიტორიული მთლიანობის და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

ეს ინტერესი ჩვენთვის დღესაც უცვლელია და ჩვენ ჩვენი წინაპრების მსგავსად, შევეცდებით ამ მიზანს ვემსახუროთ.

განსაკუთრებით სამწუხაროა ის, რომ რუსეთი და საქართველო ორივე მართლმადიდებელი ქვეყნებია და დაპირისპირება და ომი სწორედ ერთმორწმუნე ერებს შორის მოხდა.

უნდა გვახსოვდეს, ეშმაკი ყოფს, ღმერთი კი აერთიანებს. რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობით მსოფლიოში ხელი ეწყობა სეპარა–ტიზმს და ამიტომაც საერთაშორისო საზოგადოება ვალდებულია, ხმა აღიმაღლოს ამის წინააღმდეგ.

სეპარატიზმი გადამდები ცენტრიდანული საშინელი ძალაა, რომელიც ანგრევს სახელმწიფოს საფუძველს და თუ მას სერიოზული გასაქანი მიეცა, დედამიწას ქაოსი მოიცავს. მცირე ერები ყველა სახელმწიფოშია და მათ რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოინ–დომონ, ბუნებრივია, დაიწყება დაუსრულებული ომები. მივმართავ რუსეთის პრეზიდენტს,

ბატონ დიმიტრი მედვედევს და პრემიერ-მინისტრს, ბატონ ვლადიმერ პუტინს – საქართველოდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გამოყოფა მეტად საშიშია თვითონ რუსეთისათვის. ეს მისცემს ბიძგს თქვენს ქვეყანაშიც სეპარატიზმის განვითარებას და მომავალში თქვენ გაცილებით მეტი პრობლემები გექნებათ, ვიდრე ეს დღეს საქართველოშია. ამაზე ღირს დაფიქრება.

იმ დროს, როცა უკვე დაიღვარა ოსების, რუსების, ქართველების სისხლი, ჩვენს შორის ვითარების კიდევ უფრო გამწვავება დაუშვებელია. დუმის დადგენილება ყოველგვარ სამარ–თლებრივ საფუძველს მოკლებული გადაწყვეტილებაა და ჩვენივე ქვეყნების კეთილდღე–ობისათვის გთხოვთ, იგი არ დააკანონოთ“. (62). მაგრამ, რა თქმა უნდა, მის მიმართვას ყურადღება არავინ მიაქცია და აინუნშიდაც არავინ ჩააგდო. 26 აგვისტოს რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა აღიარა.

2008 წლის 26 აგვისტოს სატელევიზიო ეთერში დ. მედვედევმა განაცხადა:

„ვითვალისწინებთ რა აფხაზი და ოსი ხალხების ნების თავისუფალ გამოხატვას, ვხელმძღვანელობთ რა გაეროს ქარტიით, სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობების და თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო სამართლის პრინციპების 1970 წლის დეკლა–რაციით, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ ჰელსინკის კონფერენციის 1975 წლის საბოლოო აქტით, და სხვა ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტებით, მე ხელი მოვაწერე რუსეთის ფედერაციის მიერ სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას“....

მედვედევის თქმით, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, 7 აგვისტოს სამხრეთ ოსეთში განხორციელებული ოპერაციით რუსეთს არჩევანი არ დაუტოვა. მედვე–დევმა კიდევ ერთხელ გაიმეორა მძიმე ბრალდება, რომელსაც საქართველოს რუსეთის პოლიტიკური ლიდერები თუ საინფორმაციო საშუალებები უყენებენ – „სააკაშვილმა თავისი პოლიტიკური გეგმების განსახორციელებლად გენოციდის გზა აირჩიაო“, თქვა რუსეთის პრეზიდენტმა.

მედვედევმა თავის გამოსვლაში სხვა სახელმწიფოებსაც მიმართა: „რუსეთი სხვა სახელმწიფოებს მოუწოდებს, მისდიონ მის მაგალითს. ეს იოლი არჩევანი არ არის – მაგრამ ეს ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად ერთადერთი გზაა“. (51).

მისივე თქმით, „რუსეთის პრეზიდენტმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც 25 აგვისტოს რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ზედა და ქვედა პალატებმა, სოხუმისა და ცხინვალის მიმართვის საფუძველზე მედვედევს საქართველოს სეპარატისტული რეგიონების აღიარებისაკენ მოუწოდეს. მედვედევმა განაცხადა, რომ მან სეპარატისტული რეგიონების აღიარების გადაწყვეტილება მიიღო რეფერენდუმების და სეპარატისტების მიმართვის საფუძ–ველზე. თვითგამოცხადებულ სამხრეთ ოსეთში ორი რეფერენდუმი ჩატარდა 1992 წელს და 2006 წლის ნოემბერში, ხოლო აფხაზეთში ერთადერთი რეფერენდუმი 1999 წელს გაიმართა.

ამ რეფერენდუმების შედეგად მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რეგიონების დამოუკიდებლობას. თუმცა მასში მონაწილეობა არ მიუღია 90-იანი წლების შეიარაღებული კონფლიკტების შედეგად ორივე რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ ქართველ მოსახ–ლეობას. შესაბამისად, რეფერენდუმის შედეგები არ ასახავს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის

კონფლიქტებამდე რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების, მათ შორის ეთნიკურად არაქარ–თველების, განწყობებს“. (70).

2008 წლის 26 სექტემბერს, სოჭში რუსეთის უშიშროების საბჭოს დახურული სხდომის შემდეგ, რომელსაც ვ. პუტინიც ესწრებოდა, დ. მედვედევმა ისევ გაიმეორა 26 აგვისტოს გაკეთებული განცხადება და ისევ მოუწოდა სხვა სახელმწიფოებს „მისდიონ მის მაგალითს“.

რუსეთის მიერ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარებას, „მოჰყვა მძაფრი საერთაშორისო გამოხმაურება“. ნატოს გენერალურმა მდივანმა, ეუთოს თავჯდომარემ, ევროპის სახელმწიფოებმა და აშშ-მ დაგმეს რუსეთის გადაწყვეტილება. მხოლოდ ნიკარაგუას პრეზიდენტმა (თუმცა, პარლამენტმა მას მხარი არ დაუჭირა), ვენესუელამ და წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთში, პატარა კუნძულმა ნაურუმ აღიარა, (ცნობილია, რომ რუსეთმა ეს სახელმწიფოები მოისყიდა).

„2008 წლის 2 ოქტომბერს ევროპის საპარლამენტო ასამბლეა იღებს №1633 რეზო-ლუციას, რომელშიც რუსეთი აგრესორად მოიხსენიება და ნათქვამია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობა აღიარებული იყო, არის და იქნება საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევად. რეზოლუციაში ხაზგასმულია კონფლიქტის ზონებში ომამდე მოქმედი სამშვიდობოების უუნარობა, დაეცვათ ადამიანების სიცოცხლე და ქონება, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპირება, რუსეთის ფედერაციის მცდელობა, გაავრცელოს გავლენა „ახლო საზღვარგარეთზე“....

2009 წლის 4 მარტს ევროპულმა კომისიამ, დემოკრატიის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია) დაადასტურა, რომ: „ნებისმიერი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყოფნა საქართველოს ტერი-ტორიაზე, საქართველოს სახელმწიფოს მკაფიო და ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე, მიჩნეული უნდა იქნეს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის ოკუპაციად“. (67, თავი IX.).

2009 წლის 26 აგვისტოს დ. მედვედევმა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ რესპუბლი-კების დამოუკიდებლობის აღიარების წლის თავზე, ხელახლა უტიფრად განაცხადა:

„მე არ ვნანობ და მიმაჩნია, რომ ეს იყო სამართლიანი, აუცილებელი და ლეგიტიმური გადაწყვეტილება საერთაშორისო სამართლის კუთხით“. – განაცხადა მედვედევმა ულან-ბატორში ვიზიტის დროს და აღნიშნა, რომ „საერთაშორისო აღიარება მეორე ხარისხოვანია.

„ეს რესპუბლიკები დაინტერესებული არიან საერთაშორისო აღიარებით, თუმცა არის პროცესები, რომლებიც მსოფლიოში სწრაფად არ ვითარდება. ეს იქნება რთული ნაბიჯი“ და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების გადაწყვეტილება არ გადაიხედება – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა“. (70).

აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ რესპუბლიკების აღიარების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლება გახდა ამ რესპუბლიკების ბატონ-პატრონი.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა დაგმეს რუსეთის მიერ მიღებული ეს ღონისძიებები, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ განცხადებებს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ და განაგრძობენ სეპარატისტების მხარდაჭერას. მედვედევი 2010 წლის 8 აგვისტოს სოხუმში ჩავიდა და განაცხადა: „ზუსტად ორი წლის წინ სამხრეთ ოსეთში განვითარდა ცნობილი მოვლენები, რომლებიც მთელი რიგი პოლიტიკუყრი პროცესების დასაწყისი გახდა, მათ შორის – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის

აღიარებისა“.

„აფხაზეთთან ჩვენ განვავითარებთ მეგობრულ, ეკონომიკურ ურთიერთობას და ვითანამშრომლებთ უსაფრთხოების საკითხებში“.... რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, რომ არა მოსკოვის გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შესახებ, ამ რეგიონებში ხანგრძლივი სისხლიანი კონფლიქტი გაგრძელდებოდა“. (70).

2010 წლის 30 აგვისტოს კომმერსანტ. რუ“-ში მოთავსებულია პუტინის განცხადება:

„აშკარაა, რომ აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაცია რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ესწრა-ფვის, თუმცა მეორეს მხრივ, იმასაც ვხედავთ, რომ საქართველოს შეიარაღება გრძელდება. რატომ? რომ არა საქართველოს იარაღით მომარაგება ორი წლის წინ სისხლის ღვრა არ იქნებოდა. ამის შესახებ ჩვენ პარტნიორებს, მათ შორის ევროპელებს, ვაფრთხილებდით, მაგრამ ხმა არ აიმაღლეს. რითი დასრულდა ეს? ომით. საქართველოს შეიარაღება ახლაც გრძელდება“. (71).

ჩანს, რომ ვ. პუტინი შეშფოთებულია იმით, რომ აშშ და ევროპის ქვეყნები ცდილობენ საქართველოს ყოველმხრივ დაეხმარონ, მათ შორის სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით ჯარის ჩამოყალიბებაშიც.

ხოლო 25 სექტემბრის „ინტერფაქსი“-ს ახალ ამბებში მოთავსებულია ვ. პუტინის შემდეგი განცხადება:

„რაც შეეხება ინტერგრაციას. დღეისათვის საკმარისი იქნება, თუ რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთს შორის საზღვარს არსებითად გავაუქმებთ და ხალხს მშვიდად ცხოვრების, ბავშვების გაზრდის, რსპუბლიკის განვითარების და სახელმწიფო საზღვარზე ფორმალობის გარეშე ურთიერთობების საშუალებას მივცემთ“. (72).

რაც ზემოთ აღვნიშნეთ ვ. პუტინსა და დ. მედვედევის შესახებ, ესადაგება ქართული ხალხური გამოთქმა: „კუზიანს სამარე გაასწორებს“, სწორედ რომ რუსეთის ხელისუფლებაზეა გამოთქმული.

ყოფილი საბჭოთა კავშირის პოდპოლკოვნიკმა, საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების კომიტეტის წევრმა, მწერალ-იაპონისტმა, აშშ-ი მცხოვრებმა კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ რ ე ო ბ რ ა ჟ ე ნ ს კ ი მ განაცხადა:

„სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. დღეს ის რუსეთის საბიუჯეტო სისტემის ნაწილია. რესპუბლიკის მოსახლეობის 80%-ს რუსეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული: ამ ტერიტორიას ფაქტობრივად უშიშროების კომიტეტი მართავს. მისი მმართველი კლასი იმ ადამიანებისაგან შედგება, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი საზღვრების გადახედვას ემხრობიან. იმ ნოსტალგიაზე, რაც მათ საბჭოთა დროზე აქვთ, არა მხოლოდ აგვისტოში საქართველოზე თავდასხმა მოწმობს, არამედ ისიც, რომ სამხრეთ ოსეთის სპეცსამსახურს საბჭოთა სახელი, „სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი“ დაარქვეს. რუსეთში უშიშროების კომიტეტი არამხოლოდ დაზვერ-ვით სამუშაოებს ეწეოდა, არამედ უზარმაზარ კორუფციასაც აჩენდა. რაც ნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთში სახელმწიფოს მართვის რუსული მოდელის ექსპორტი მოხდა და ახლა ამ გაღატაკებულ ტერიტორიის ანტიამერიკული შპიონაჟისა და ფულის გათეთრების ზონად გარდაქმნა ხდება, და რომელიც მთლიანად ერთი ორგანიზაციის, პუტინის „კაგებეს“ მიერ იმართება“. (52).

საერთაშორისო საზოგადოებამ საბოლოოდ დაგმო რუსეთის მოქმედება აფხაზეთსა და ოსეთში და რუსეთი აღიარა კონფლიქტის მხარედ და აგრესორად. თუმცა, რუსეთის სათავეში მოქცეული პირებისათვის ეს არაფერს არ ნიშნავს და დღესაც „რუსეთის ძალების მხარდასაჭერად, მიტროფანოვები, ჟირინოვსკელები და ნაროჩნიცკაიები უტიფრად აცხადებენ: საქართველოს ყველა ქალაქი უნდა დაგვენგრია და არც ერთი ქართველი ცოცხალი არ უნდა დაგვეტოვებინაო“. (25, გვ.96).

ბრძოლის დღეებში და შემდეგაც, გრძელდებოდა მოწოდებები: „ქართველმა ფაშისტებმა უნდა მიიღონ თავისი სტალინგრადი, ხოლო თბილისი უნდა იქცეს 1945-ის ბერლინის მსგავსად“, „მშვიდი თბილისი ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვიბომბია, მალე ვიზამთ“. (კომენტარები „ოსრადიოს“ 18.44–18.59 საიტზე). „დარტყმა ბოლომდე, გარეკვა მთებს იქეთ, ბორჯომი და ბაკურიანი, დავიბრუნოთ ძველისძველი ოსური მიწები. ეხლა თუ არა, მერე აღარასოდეს“. (კომენტარები „ოსრადიოს“ საიტზე, 21.43–21.44) და სხვა.

ჯერ კიდევ, 1916 წელს, ზაქარია ჭიჭინაძე წერდა:

„ოსეთის ერის ისტორია მეტის მეტი სიბნელით არის გარემოცული. ოსებმა არც თვისი უძველესი დროის ისტორია იციან, არც შემდეგ დროის, არც საშუალო საუკუნის და არც უახლესის საუკუნების.

ოსეთის ისტორიის შესახებ ისევ და ისევ თუ არის დარჩენილი ისტორიული მასალები, ამას იგინი უნდა უმადლოდნენ ქართულ მემატიანეებს და საქართველოს ისტორიის წყაროებს და ამ წყაროების მწერლებს, რაც მკვიდრად და მტკიცედ არის დაცული ქართულს წიგნებსა და სიგელ-გუჯრებში“. (19, გვ.8).

„ოსებს თუ ადამიანური ნამუსი და სირცხვილი სულ არ დაუკარგავთ, მაშინ მათ ჩვენი და მათი მტრები უსათუოდ უნდა გამოაშკარავონ. ეს გამოაშკარავება იქნება ის, რომ იგინი ჩვენი ამაგის დაწიხვლას თავს დაანებებენ, ჩვენს პურმარილს და სიკეთეს არ დაივიწყებენ, მასთან არც თვის მამა-პაპათა ღირსებას შეაგინებენ. ძველ დროს და საშუალო საუკუნეთა ამბებს ჩვენ არ შევეხებით. მოვიყვანთ მხოლოდ უახლოეს საუკუნეთა დროის ამბებს და იმედია, რომ ესეც ეყოფათ ოსებს იმის საფუძვლად, რომ დღეის შემდეგ მაინც აღარ აჰყვნენ თვის დამღუპველს და საქართველოს რესპუბლიკური მთავრობის მტრებს.

იქ სადაც მათ მამა-პაპებს ამაგი და სამსახური მიუძღვით, იმათ სისხლით დაცულს მამულზე, ოსებს ღალატი და ქართველების სისხლის ღვრა არას დროს ეპატიებათ, ამას მათ არ აპატიებს თვით მათი ძველის დროის მამა-პაპანი და ის საერთო ამაგი, რაც კი ოსთა წინაპრებს საქართველოს სასარგებლოდ ჩაუდენიათ ხოლმე.

1496 წ. შაჰ-ისმაილი ტფილისში ქართველებმა დაამხეს და გააძევეს, ამ ომში ოსებიც იღებდნენ მონაწილეობას.

1536 წ. შაჰ-თამაზი საქართველოდან ქართველებმა განდევნეს, ტფილისის განთავისუფლებაში ოსებიც იღებდნენ მონაწილეობას.

1556 წ. სულთან სულეიმანი ქართველებმა დაამხეს და გააძევეს საქართველოდან ოსმალთა ჯარი, ამ ომში ოსებიც იღებდნენ მონაწილეობას.

1562 წ. გიურგი მეფემ ოსმალოებზე გაიმარჯვა, ამ გამარჯვებაში ოსებიც იღებდნენ მანაწილეობას. 1578 წ. ოსმალეთმა ააოხრა ქართლი და ოსეთიც, მერე ქართველებმა სძლიეს, ოსეთიდან გამორეკეს და გარეკეს, ამ ბრძოლაში ოსებიც იღებდნენ მონაწილეობას.

1583 წ. სიმონ მეფემ გორი აიღო, ოსმალნი განდევნა, დამონებული ოსეთი სულ გაანთავისუფლა, ამ ომში ოსებიც იღებდნენ მონაწილეობას. 1617 წ. შაჰაბაზმა კახეთი აიკლო, ამ აკლების დროს ოსეთიდან ოსები ჩამოვიდნენ და ფიცი მისცეს კახელებს და მის შემდეგ მტერს ერთად ებრძოლეს.

1634 წ. ოსები შეუერთდნენ ქართველებს და ყიზილბაშთა წინააღმდეგ სასტიკად იბრძოლეს, ყიზილბაშნი ტფილისიდან სულ გარეკეს.

1640 წ. თეიმურაზ კახთა მეფემ ოსეთში შეაფარა თავი, ოსებში ამ დროს, მან შეადგინა ოსთა ძეთა დასი და მათ მიუჩინა წერა-კითხვის მასწავლებელნი, რომელთაც ოსეთში დახსნეს სკოლები.

1690 წ. არჩილ მეფემ ოსებში შეაფარა თავი, ოსთა მოწინავე პირნი შეჰყარა და მათ უქადაგა სწავლა-განათლების მნიშვნელობა და თვალის გახილება. ოსებმა თანხმობა განუცხადეს. მერე არჩილ მეფემ ოსეთში რამდენიმე ოსი რუსეთში გაიყოლა და 1706 წ. მოსკოვში მათ გააცნო რუსული სასტამბო საქმეები და მასთანვე მათ აჩვენა ახლად ჩამოსხმული ქართული ასოების ყალიბები. ოსებს ქართული საბეჭდი ასოების ნახვა დიდად მოეწონათ.

ეს ამბებიც საკმარისია იმისათვის, რომ ვიცოდეთ ის ჭეშმარიტება და ისტორიული პირობები, თუ ძველად ქართველთა და ოსებს როგორი დამკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთში და დღეს კი ამ მეოცე საუკუნეში, როცა მოვესწარით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დაარსებას, რას სჩადიან და რა ლაფით სვრიან დიდს ისტორიულ წარსულსა და ქართველების ამაგს“. (19, გვ.13).

აქვე, ჩვენ მოგყვავს 1994 წლის დეკემბერში ა. ბაქრაძის მიერ წრმოთქმული სიტყვები:

„1922 წლის აპრილში, მოსკოვის ძალდატანებითა და განკარგულებით, ქართველმა კომუნისტებმა ძირძველი ქართული მიწა-წყლის ერთი ნაწილი (3,8 ათასი კვ. კმ.) ოსებს აჩუქეს და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ შეთითხნეს. ადრე ისტორიაში არასოდეს არსებულა „სამხრეთ ოსეთი“ არც როგორც გეოგრაფიული და არც როგორც პოლიტიკური სინამდვილე. ოსთა ისტორიული სამშობლო მდებარეობს ჩრდილოეთ კავკასიაში. საქართველოსა და ოსეთის ბუნებრივი საზღვარი კავკსიონის ქედია. ამას არ უარყოფს ოსთა შორის ყველაზე გამოჩენილი სწავლული ვასილ აბაევიც („ნეზავისიმაია გაზეტა“, №13, 1992 წელი), ვერც უარყოფს, რაკი „სამხრეთ ოსეთის აო“ ნაყოფია ლენინური ნაციონალური პოლიტიკისა და ეს, რა თქმა უნდა, იციან ვ. აბაევმა, სხვებმაც კარგად იციან, მაგრამ ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა უნდათ უფრო უადვილდებათ ეს, რომ წამქეზებლად ზურგს უკან რუსეთი უდგათ.

ჭეშმარიტება კი ის გახლავთ, რომ კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე ოსი ცხოვრობს მხოლოდ როგორც ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოპარული და ხიზანი. სამწუხაროდ, ოსთა გათამამებასა და გათავხედებას ხელი შეუწყო ქართული ისტორიული მეცნიერების დუმილმაც.....

საქართველოს თავისუფლება-დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. **ჩვენ წინ დიდი ომი გველის. უნდა გავანთავისუფლოთ და დავიბრუნოთ მტრის მიერ ოკუპირებული ტერიტორია – ცხინვალის ოლქი და აფხაზეთი. ქართველები არავის არაფერს ართმევენ**. მათ საკუთარი მიწა-წყლის დაბრუნება უნდათ. საკუთარ სახლში მშვიდობიანი ცხოვრება უნდათ. ამისათვის ბრძოლა ღვთისაგან კურთხეულია.

იგი, ვინც ღვთისაგან კურთხეულ ბრძოლას ეწევა, გაიმარჯვებს“. (35, გვ.8).

12. დ ვ ა ლ ე ბ ი .

დვალები – წარმოადგენდნენ ერთ-ერთ იბერიულ-კავკასიურ ტომს, რომლებიც ცხოვრობდნენ საქართველოს განუყოფელ ნაწილში, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – დვალეთში, ჩრდილოეთ კავკასიონის ქედის შუა ნაწილის, მაღალმთიან ზოლში, „დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის. ვახუშტი ბაგრატიონს (XVIII ს.) მოხსენებული აქვს დვალების ხევები: კასრის-ხევი, ზრამაგა, ჟღელე, ნარა, თრუსო, მაღრანდვალეთი. ქართული საისტორიო ტრადიციით ეს ტერიტორია იბერიის სახელმწიფოს წარმოშობის (ძვ. წ. IV–III სს.) დროიდან შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში“. (8, ტ.3, გვ.490).

ი. ჯავახიშვილი დვალეთის შესახებ აღნიშნავდა:

„საქართველოს ჩრდილოეთის სამზღვარი, აფხაზეთის შემდგომ სვანეთის ჩრდილოეთის საზღვრით არის მოხაზული და აქაც ეს ხაზი ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ ზღუდეს მისდევს. კავკასიონის მთავარ უღელტეხილის მარადთოვლიანს ქედს რაჭის სამზღვარამდის. შემდეგ საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი თემი რაჭაა და მისი სამზღვრის ხაზიც ჩრდილოეთით იმავე უღელტეხილის მთავარ ქედზე მიდის დვალეთამდე.

დვალეთის შესახებ საგანგებოთ უნდა იყოს აღნიშნული, რომ იგი კავკასიონის უღელტეხილის ორ მთავარსა და პირიქითელს, ქედებს შუა არის მოქცეული. ეს ქვეყანა ყოველმხრივ მარად-თოვლიან მთებით არის გარშემოზღუდული, ისე-კი, რომ ჩრდილოეთით მდებარე ქედი, ე. ი. პირიქითელი სამხრეთისაზე უფრო მაღალია და ერთს ალაგს გარდა სრულიად გაუვალია. ეს დვალეთი ამ ადგილას საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაპირე ქვეყანა იყო.

ძველთაგანვე დვალეთი საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ ამ სამზღვარს განსაკუთრებული ყურადღება მე-XII-ე ს-ითგან მიექცა და პოლიტიკურადაც მტკიცედ აქ ქართველობამ დავით აღმაშენებელის დროს მოიკიდა ფეხი... შემდეგშიაც, თვით საქართველოს პოლიტიკურ დაუძლურების დროსაც მე-XVIII-ე ს-ის დამდეგსაც, დვალეთი ქართველთა ხელში იყო....

ეხლანდელს რუსულს საგეოგფრაფიო რუკებზე მიღებული სახელები რომ ვიხმაროთ, მაშინ დვალეთის სამზღვარი ასე გვეხატება. ჩრდილოეთით ადაი-ხოხითგან (=ქართულ ხოხის მთას) ხაზი მოდის აღმო-სავლეთ-სამხრეთისაკენ არხონამდის (=ქართულს ახოტს), ხოლო დასავლეთით ამავე ადაი-ხოხის მწვერ-ვალითგან ხაზი სამხრეთისაკენ მიდის ქედ-ქედ მწვერვალ ყაზი-ხოხამდის. შემდეგ სამხრეთის სამზღვარი იწყება ამ ადგილითგან და ქედ-ქედ მიდის საუხოხზე, ხალიწაზე, ზეკარზე, ბრუტსაბძელზე, ხოხზე, შემდეგ როქზე არხონამდის....

ძველად ამ კუთხეს საქართველოსთან პოლიტიკურს გარდა სარწმუნეობრივი და კულტურული კაცშირიც ჰქონდა: ქრისტიანობა აქ ქართული მქადაგებლების მიერ იყო გავრცელებული და თვით ეკლესიის ნანგრევებს, მაგ. როქის ხეობაში ეხლაც ეტყობა ქართული ასომთავრული წარწერები. ვახუშტის სიტყვით ამ ქვეყნის მკვიდრნი იყვნენ „სამწყსონი ნიქოზლისანი“ (გეოგრაფია 434). მე-XVIII-ე ს-ის დამდეგს ბლომად ყოფილა „ციხენი,

კოშკნი, ეკლესიანი ქვითკირისანი“, რომელნიც საქართველოს „მეფეთაგან ნაშენნი“ ყოფილან. თვით ხალხში ამ ძეგლების შესახებ თქმულებები ყოფილა და ვახუშტის ცნობით „უმეტეს იტყვიან... თამარ მეფისაგან“ აგებულადო (იქვე 438).

მე-XVIII-ე ს-ში ეს კუთხე ეკონომიურადაც საქართველოსთან ყოფილა დაკავშირებული: მარილს, ცხვრის ტყავს, სვიას და სხვა სახმარს, რაც-კი თავინთ ცივს ქვეყანაში ვერ შოულობდნენ, თურმე ქართლითგან და რაჭითგან ზიდავდნენ...

ამ ჟამად ამ კუთხეს არდონის ანუ ნარდონის ქვაბ-ხეობა ეწოდება.... ეს არდონის ქვაბ-ხეობა... მე-XIX-ე საუკუნეშიც თავდაპირველად ტფილისის გუბერნიის სამზღვრებში იყო მოქცეული და ამ გუბერნიის მთიულეთის ოლქს ეკუთვნოდა.... მისი სივრცე 497 ოთკუთხ ვერს არ აღემატება. შემდეგში რუსეთის მთავრობამ დვალეთი ანუ არდონის ქვაბ-ხეობა საქართველოს ჩამოაშორა და თერგის ოლქს შეუერთა.

საუკუნეთა განმავლობაში... საქართველოს მთავრობა ამ კუთხეს საქართველოსათვის ფრიად მნიშვნელოვან კარად სთვლიდა და ამის გამო მას ფხიზელ დარაჯად უდგა, საგანგებოდ არდონის გასავალთან ზღუდეც-კი ააგო, რომ თუ საჭირო იქმნებოდა მტრის შემოსვლის მხრივ ამ სახიფათო გზის კარის დახშვა ადვილად შესძლებოდა. ამ კუთხის ბუნებრივ აგებულებასა და თვისებას თუ დავაკვირდებით, ცხადი იქმნება, რომ იგი საქართველოსთან უფრო მრავალრიცხოვან გზებით სხვადასხვა მხრით თერთმეტი გარდმოსავლით, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოსთან არის შედარებით მჭიდროდ დაკავშირებული. ჩრდილოეთთან-კი მას მხოლოდ ერთი გასავალი აერთებს. ყველა ამ მოსაზრების გამო უფრო ბუნებრივია და ხელსაყრელი, რომ წინანდელი მდგომარეობა კვლავ აღდგენილ იქმნას. რუსეთის მთავრობის შეცდომა შესწორდეს და დვალეთი, ტფილისის გუბერნიას დაუბრუნდეს მაშინ ამ ადგილას საქართველოს სახელმწიფო სამზღვარი იმ ხაზს გაჰყვება, რომელიც ხობის მთას (ადაი ხობა) და ახოტის მთას (არხონ) შუა გაივლება“. (2, გვ.9–12).

როგორც ვხედავთ, დვალეთი მდებარეობდა ქართლის მთიანეთის მხარეში და ის ყოველთვის ეკუთვნოდა საქართველოს, სანამ რუსეთი დაიპყრობდა საქართველოს. დღევანდელ დღეს ჩრდილოეთ ოსეთის საზღვრებშია მოქცეული.

რ. თოფჩიშვილი დვალეთის შესახებ წერს:

„დვალეთი, როგორც საქართველოს მონაპირე მხარე, დანარჩენ საქართველოსთან გეოგრაფიულად და ორგანულად იყო დაკავშირებული თერთმეტი გადასასვლელით. ასე რომ, მიმოსვლა დვალეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის (შიდა ქართლისა და რაჭის გავლით) ზამთარშიც არ წყდებოდა... შეცდომით დვალეთს მიათვლიან მდ. თერგის სათავეს – თრუსოს და მდ. დიდი ლიახვის სათავეს – მაღრან-დვალეთს, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ამ ორ, მცირე გეოგრაფიულ ერთეულში სხვადასხვა მონაკვეთში მოხდა დვალთა მიგრაცია. თრუსო ისტორიული წანარეთის ერთი ნაწილია....

დვალები პირველად ანტიკურ წყაროებში ახ. წ. I და II სს-ში არიან მოხსენებულნი (პლინიუს უფროსი, პტოლომე) თალის, ვალის, უალის სახელწოდებებით.

ქართულ წყაროებში დვალებით დასახლებული ქვეყანა დვალეთი პირველად ნახსენებია III ს-ის შუა ხანებში მეფე ამაზასპის დროს. მეცნიერებაში დვალთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობდა. ქართული წყაროებით ისინი ჩვეულებრივ ქართველი მთიელები იყვნენ. ისევე როგორიც ფხოველები, თუშები, წანარები,

გუდამაყრელები, ხადელები, ცხვატელები, ჭართლელები, ცხრაზმელები... ოღონდ შენარჩუნებული ჰქონდათ მთიანეთისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი (სოციალური, რელიგიური) თავისთავადობა... მეცნიერებაში არის შეხედულება დვალების სვანურობის შესახებაც. უკანასკნელი გამოკვლევებით, დვალები ზანებსა და სვანებს შორის მდგომნი ერთ-ერთი ქართველური ტომი იყო. ისინი ერთ-ერთ (აწ გადაშენებულ) ქართველურ ენაზე ლაპარაკობდნენ. რომელსაც ყველაზე მეტი საერთო ზანურ მეტყველებასთან ჰქონდა. საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე დვალები აქტიური მონაწილენი იყვნენ საერთო ქართული კულტურის შექმნისა და მათ ისეთივე წვლილი შეიტანეს საერთო ქართულ კულტურაში, როგორც საქართველოს სხვა მხარეების წარმომადგენლებმა". (13, გვ.59).

წყაროებიდან ჩანს, რომ „შიდა ქართლის მთიანეთის სხვა ხეობების მსგავსად, დვალეთშიც ქრისტიანობა ადრიდანვე გავრცელდა (VI ს.). დვალეთი შედიოდა ნიქოზის ეპარქიაში (სამწყოსში)". (13, გვ.38). ასევე ცნობილია, რომ დვალეთში, ხვთის მსახურობა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

„დვალეთში, თავის დროზე ქართული მატერიალური კულტურის ბევრი ძეგლი იყო. რომელთაგანაც მცირე რაოდენობამ მოაღწია ჩვენამდე. კასრის კარი იყო „კლდისაგან და ქვიტკირით ქმნილი, რათა არა ვიდოდნენ თვნიერ მთისა ოვსნი". ზრამაგამში იყო „ციხე დიდი, ფრიად მაგარი. იტყვიან აღშენებულს თამარ მეფისაგან და დაბა კოშკოვანი" (ვახუშტი). ვახუშტი ბაგრატიონი ზახაში ეკლესიის არსებობაზე მიუთითებდა. მთლიანად დვალეთი კი თავის დროზე, ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეები კოშკებით იყო დაფარული". (13, გვ.61).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIII საუკუნეში, მონღოლებისაგან შევიწროებულმა ალანებმა, დაიწყეს ჩრდილოეთ კავკასიელ ტომებზე თავდასხმები. ავიწროვებდნენ მათ და თანდათან სახლდებოდნენ მათ მიწა-წყალზე. ასევე მოხდა დვალეთშიც. ცნობილია, რომ საქართველოს სამეფოს დანაწევრების შემდეგაც, XV სუკუნეშიც, დვალეთი შედიოდა ქართლის სამეფოში. ამავე საუკუნეში, ალან-ოსებმა დაიწყეს თავდასხმები დვალეთზე და იქ ჩასახლება. ძირითადათ XVI საუკუნეში, მათი გამუდმებული თავდასხემებისა და ლაშქრობებისაგან შევიწროებულმა დვალების უმეტესმა ნაწილმა დაიწყო კავკასიონის სამხრეთ მხარეში (ქართლში, იმერეთში, რაჭაში) გადმოსახლება. XVII საუკუნის დასაწყისში დვალეთის მოურავი იყო პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, თბილისის მოურავი, გ ი ო რ გ ი ს ა ა კ ა ძ ე (დაახლ. 1571–1629). XVIII საუკუნის დასაწყისისათვის დვალები აღმოჩნდა ორად გაყოფილი: საქართველოში ჩამოსახლებული დვალების ნაწილი შეერია ქართლელებს, რაჭველებს და იმერლებს. ხოლო ჩრდილოეთში დარჩენილი დვალები, შეერივნენ ჩასახლებულ ალანებს და შემდეგში თანდათან გაოსდნენ. რ. თოფჩიშვილის თქმით „ასიმილაციის ეს პროცესი XVII–XVIII სს. მიჯნაზე ძირითადად დასრულდა". (13, გვ.60).

თუმცა, მისსივე თქმით, დვალების ასიმილაცია „მოგვიანებითაც არ იყო დამთავრებული. თვით ოსი მეცნიერის (ბ. კალოევი) ცნობით სამი-ოთხი თაობის წინაც დვალეთის ზახას ხეობაში (ესაზღვრება თრუსოს) მკვიდრნი ორენოვანნი იყვნენ – ლაპარაკობდნენ ოსურად და ქართულად". (15).

გ. თოგოშვილი წერს, რომ XVII საუკუნეში ქართლში მდგომარეობა გართულებული იყო. ქართლის მეფის (1606–1615) ლ უ ა რ ს ა ბ II (1592–1622) დროს „ქართლში დეცენ-

ტრალიზაციის პროცესი უფრო გაღრმავდა. ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მცხოვრები ოსები გიორგი სააკაძის გამგებლობაში აღმოჩნდნენ და, უნდა ვიფიქროთ, მისი პოლიტიკური ძლიერების ერთ-ერთ დასაყრდენს წარმოადგენდნენ. ისტორიკოსის ცნობით: „ამ ჟამებთა შინა განმკვიდრებულ იყუნენ მთავარნი და დაეპყრათ ჴევნი და ჴეობანი თვისად და უმეტეს ყოველთა სააკაძე გიორგი, მოურავი ტფილისისა, ქრცხინვალისა და დვალეთისა“. (38, გვ.105).

XVI–XVII საუკუნეებში საქართველოში, განსაკუთრებით ქართლ-კახეთში, წარმოებული აბას I-ის მიერ ომებისა და შინა ბრძოლების გამო, „მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. გაუარესდა სააკაძის გამგებლობაში მყოფი მოსახლეობის, მათ შორის ოსების მდგომარეობაც. გაუთავებელ სისხლისმღვრელ ომებში მონაწილეობა, უზომო ბეგარა გადასახადების გაღება, სამხრეთელ ოსების (დვალების) განდგომის საფუძველი გამხდარა. დვალებში (განსახილველ პერიოდში „დვალი“ იგივე „ოსს“ ნიშნავს) სააკაძეს ბეგარის მიცემა შეუწყვიტეს:

„კვალად ჟამთა ამათ არა მოსცეს დუალთა ბეგარა მოურავსა, გარდავლო სპითა მოურავმან ზეკარა, შთავიდა და მოსრნა ურჩნი და ყვნა კუალად მებეგრედ და მოვიდა ქართლს“. როგორც ვხედავთ, სააკაძემ დვალეთის მოსახლეობის განდგომა საშიშ მოვლენად მიიჩნია და დასაწყისშივე აღკვეთა იგი“. (38, გვ.107).

შემდეგში, XVIII საუკუნეში, დვალებით დასახლებულ ზოგიერთ ხევს, რაჭის ერისთავი დაეუფლა, ხოლო ზოგიერთი ხევი კი ქართლ-კახეთის მლობელობაში გადასულა.

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, „XVIII ს. 30-იან წლებში ოსურ ახალშენებს უკვე ეკავათ დვალეთი (ნარ-მამისონის ქვაბული), ჯეჯორის, ლიახვისა და ქსნის სათავეები“. (6, ტ.IV, გვ.432).

გ. თოგოშვილი წერს, რომ: „ნარ-მამისონის აუზი, ანუ ისტორიული დვალეთი, პოლიტიკურ ბრძოლაში დამარცხებულ ქართლ-კახეთის მესვეურთათვის იმერეთში გასახიზნ უშიშარ გზას წარმოადგენდა. უფრო გვიან იგი ქართლ-კახეთიდან გაქცეულ პოლიტიკურ მოღვაწეთა უშუალო თავშესაფრადაც იქცა“. (38, გვ.108).

როგორც ცნობილია, რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ, კავკასია დაანაწილა მაზრებად და ოკრუგებად. ოსეთის ოკრუგი, თბილისის გუბერნიაში შედიოდა. 1842–1843 წლებში გორის, თბილისისა და თელავის მაზრებში მცხოვრები მთიელებისაგან, ჩამოაყალიბა თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და ოსეთის ოკრუგები. ოსეთის ოკრუგი რომელიც შედიოდა თბილისის გუბერნიაში დაჰყო: ჯავის, პატარა ლიახვის და ნარის (დვალეთი) უბნებად. 1859 წელს ნარის უბანი გადაეცა ოსეთის სამხედრო ოკრუგის „კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთას“. შემდეგში, თერგის ოლქში მოექცა.

XIX საუკუნეში რუსულ წერილობით წყაროებში დვალეთის შესახებ „შემდეგია აღნიშნული: „დვალეთი (ნარ-მამისონის ქვაბული) მთელ შუა საუკუნეებში საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ იგი შედიოდა თბილისის გუბერნიაში და მხოლოდ 1859 წელს შეუერთდა ვლადიკავკასიის (ოსეთის) ოკრუგს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რუსი მეცნიერები ჩრდილოეთ ოსეთს უწოდებენ ისტორიულ ოსეთს (დ. ლავროვი. „ნარკვევი ოსეთისა და ოსების შესახებ“. ჟურ. „ტერსკიე ვედომოსტი“ №20, 1874)“. (25, გვ.34).

ბოლშევიკებმა, საქართველოს დაპყრობისთანავე, ისევე როგორც სხვა ქართული მიწა-წყალი, 1924 წელს ნარი (დვალეთი) გადასცეს ჩრდილოეთ ოსეთს და დაუქვემდებარეს რუსეთის ფედერაციას.

საქართველომ საბოლოოდ დაკარგა ისტორიული დვალეთის მხარე.

13. ჰ ე ნ ი ო ხ ე ბ ი .

ჰენიოხები – ანტიკურ წყაროებში მოხსენებულნი არიან, უძველესი დროიდან, კოლხეთის ჩრდილოეთ სანაპიროზე, აფხაზეთის მიწა-წყალზე და სამხრეთ მხარეში მოსახლე ტომთა შორის.

„ბერძენ-რომაელ ავტორთა გადმოცემის თანახმად, ჰენიოხების ტომი წარმოიშვა დიოსკურების – კასტორისა და პოლიდევკეს მეეტლების ამფიტოსისა და თელქიოსისაგან (ბერძნულად „ჰენიოხოს“ ნიშნავს მეეტლეს). მკვლევართა დიდი ნაწილის ვარაუდით, სატომო სახელი ჰენიოხი საკუთარია, ადგილობრივია, ოღონდ იგი ელინთა მიერ ბერძნულად არის გააზრებული“. (8, ტ.11, გვ.624).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ანტიკური წყაროებიდან ცნობილია, რომ ძვ. წ. I და ახ. წ. I საუკუნეებში, დასავლეთ საქართველოში, ხდებოდა მთიელთა ჩამოსახლება ზღვის სანაპიროებზე და ბარში, და იქ მცირე პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბება.

„ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ადრინდელ ხანაში ჰენიოხები სახლობდნენ კოლხეთის სანაპიროს ცენტრალურ რაიონებში.“ ზოგიერთის მტკიცებით, „ჰენიოხები ადრე ცხოვრობდნენ კოლხეთის სანაპიროს ჩრდილოეთ მონაკვეთზე, ხოლო შემდეგ ჩერქეზული ტომების მოწოლის გამო დაძრულან თავისი ტერიტორიიდან და სამხრეთისაკენ გადმოუნაცვლებიათ. ასეთი ტალღა რამდენიმე ყოფილა, რის შედეგად ახ. წ. I–II სს-ში ჰენიოხები აღმოჩნდნენ კოლხეთის სანაპიროს სამხრეთ რაიონებში.“ (8, ტ.11, გვ.624). ამიტომაც, ანტიკური წყაროები, ჰენიოხების ტომების საცხოვრებელ ადგილს აღნიშნავენ, როგორც კოლხეთის ჩრდილოეთ მხარეში, ასევე სამხრეთში.

ლიტერატურათმცოდნე და ისტორიკოსის პ ა ვ ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს (1893–1983) თქმით, „აფხაზეთის მხარეში ანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეებში (და კერძოდ იმ პოქაში, როდესაც ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფო)“, წყაროების განხილვიდან ირკვევა, რომ აფხაზეთის მხარეთა ტერიტორია მთელი ამ პერიოდის მანძილზე, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში, დასახლებული ყოფილა ქართველი ტომებით“. შემდეგ ჩამოთვლის აფხაზეთში მოსახლე ქართველ ტომთა ადგილმდებარეობას:

„1. „შ უ ა ს ო ფ ე ლ“-ში, ე. ი. ტერიტორიაზე ეგრის-წყალიდან ვიდრე კელასურამდე – მოსახლეობდნენ ეგრისელნი, – მეგრელ-ლაზნი.

2. მ თ ა ა ფ ხ ა ზ ე თ ი (ძირითადი აფხაზეთი) დასახლებული ყოფილა ტომით, რომლის ტომობრივი სახელწოდება ყოფილა „მოსხი“, იგივე მესხი...

3. შ ი დ ა ჰ ე ნ ი ო ხ ე თ ი (სოჭის რაიონი), როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში, დასახლებული იყო მეგრელ-ლაზთა ტომით (ჰენიოხები, იგივე სანიხები ანუ სანები)...

4. ზღვისპირა აფხაზეთი (ძველი სამხრეთი ჰენიოხეთი) ანტიკურ ხანაში წარმოადგენდა ჰენიოხთა სატომო ტერიტორიას, ხოლო ანტიკური ხანის დასასრულიდან მოკიდებული ეს ზონა... მესხების (აფხაზების) სატომო ტერიტორიის ფარგლებშია მოქცეული.

5. აბსილეთში (რომლის ძველი სახელწოდებაა კორახეთი) ნარევი მოსახლეობა იყო ორი ქართველი ტომისა: მეგრელ-ლაზებისა და მესხებისა.

6. მისიმიანეთში (რომლის ძველი სახელწოდებაა კოლაეთი) ასევე ნარევი მოსახლეობა იყო ორი ქართველი ტომისა: მეგრელ-ლაზებისა და სვანებისა. ამ მხარეში მოსახლე ტომს მიემართებოდა სახელწოდება: „სვან-კოლხები" ანუ „ეგერ-სვანები" (ე. ი. მეგრელ-სვანები).

7. დასასრულ, ისტორიული აფხაზეთის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე მხარე – აფხაზეთის ჯიქეთი ანუ ძველი ჩრდილო ჰენიოხეთი (ტუაფსის რაიონი) – ანტიკურ ხანაში დასახლებული ყოფილა მეგრელ-ლაზთა ტომით ჰენიოხებით, ხოლო ანტიკური ხანის ბოლო პერიოდსა და საშუალო საუკუნეებში ამ მხარეში შერეული მოსახლეობაა ჰენიოხებისა (სანიხებისა) და ჯიქებისა". (10, გვ.129–130).

ბერძნულ-რომაულ წყაროებში მოხსენებულ, კოლხეთის სამხრეთ მხარეში მცხოვრები ჰენიოხების წინაპრებად, ზოგიერთი მეცნიერი თვლის, ჩილდირის ტბის (დღევანდელ დღეს თურქეთშია) მიდამოებში და შავი ზღვისპირეთში ძვ. წ. VIII საუკუნეში, აღმოსავლეთ მთიანეთიდან ჩამოსახლებულ **იგანიეხის** ტომებს.

იგანიეხის ტომები მოხსენებულნი არიან ურარტუს მეფეთა, არგიშთი I-ის (ძვ. წ. 786–764) და სარდურ II-ის (ძვ. წ. 764–739) წარწერებში, „ეთიუხის" ლაშქრობების დროს. „ეთიუხი" ურარტელებისათვის სამხრეთ ამიერკავკასიის ვრცელი მიწა-წყლის სახელი იყო: იგი ვრცელ-დებოდა ყარსი-არზრუმის რაიონიდან (დასავლეთში), ვიდრე სევანის ტბის რაიონებამდე (აღმო-სავლეთში)... ამ დროისათვის იგანიეხი (ჰენიოხთა გაერთიანება)... ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ერთეული უნდა ყოფილიყო". (8, ტ.I, გვ.385).

მეცნიერთა ნაწილი, სამხრეთის ჰენიოხებს ჭანებს უკავშირებენ, ხოლო ზოგი-კი მეგრულ-ჭანური მოდგმის ტომად მიიჩნევს.

ჩრდილოეთის კოლხებს ზოგიერთი მეცნიერი თვლის სვანების წინაპრებად, ზოგი კი აფხაზურ-ადიღურ ტომებად. კოლხეთის ჩრდილოეთ მხარეში, ანტიკური წყაროების მიხედვით ძვ. წ. II–I საუკუნეებში ჰენიოხები ცხოვრობდნენ სოჭის რაიონიდან მოყოლებული სოხუმამდე. ბარისა და მთის ადგილებში მცხოვრებ მოსახლეობას შორის განსხვავება ყოფილა. ანტიკური წყაროების მიხედვით, ბარის მოსახლეობა, მშვიდი, სამართლიანი, კეთილი და ზღვაოსნობაში დიდად დახელოვნებულნი ყოფილა. ხოლო, მწირსა და მთიან ადგილებში მცხოვრებ ჰენიოხებს, ახასიათებენ როგორც მეომარ ტომებს, რომლებიც ძირითადათ მეკობრეობით, ზღვაზე თარეშითა და ტყვეთა ვაჭრობით ირჩენდნენ თავს. საერთოდ, მათი გადმოცემით, ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს აფხაზურ სანაპიროზე მცხოვრები დასახლებული ტომები, დაქვეითებულნი და ჩამორჩენილები, თემური წყობილების რღვევის პირობებში ყოფილან.

სტრაბონის გადმოცემით, ძვ. წ. I საუკუნეში ჰენიოხებს დიდი ტომთა კავშირი შეუქმნიათ. მათ, ოთხი სკეპტუხები (ტომთა ბელადები) ჰყოლიათ. ესე იგი ამ დროს ჰენიოხების, უკვე

ოთხი დიდი კავშირი ყოფილა და ეს ბელადები თავის მხრივ ტირანებს ემორჩილებოდნენ.

როგორც ეტყობა, ძვ. წ. I საუკუნის ბოლოს, ჰენიოხები, პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორს ემორჩილებოდნენ, რადგან, მთელი ისტორიული კოლხეთი, პონტოს სამეფოს შემადგენლობაში მოექცა.

სტრაბონი გადმოგვცემს, რომ: ჰენიოხები, „ცხოვრობენ ზღვაზე მეკობრეობით. აქვთ პატარა, წვრილი და მსუბუქი ნავები, რომლებიც დაახლოებით 25 კაცს იტევენ, ხოლო იშვიათად მთლიანად 30 (კაცს) დაიტევენ. ელინები მათ უწოდებენ კამარებს... კამარებისაგან ფლოტებს ჰქმნიან და თავს ესხმიან ხან საბარგო ხომალდებს, ხან რომელიმე ქვეყანას, ან ქალაქს და (ასე) ფლობენ ზღვას. ბოსფორის მფლობელნი ზოგჯერ ეხმარებიან ხოლმე მათ, აძლევენ მათ ნავთსაყუდლებს, ბაზარსა და ნადავლის გაყიდვის (საშუალებას): ხოლო, როდესაც ბრუნდებიან საკუთარ ქვეყანაში, ვერ აგდებენ ღუზას, იდებენ მხრებზე კამარებს და მიაქვთ ტყეებში, რომლებშიც ცხოვრობენ, ამუშავებენ მწირ მიწას, შემდეგ კი როდესაც დრო დგება ნაოსნობისა, (კამარები) უკან მიაქვთ. ასევე იქცევიან ისინი სხვა ქვეყანაშიც, (სადაც) აქვთ მათ განთქმული ტყიანი ადგილები, რომლებშიც ინახავენ კამარებს, ხოლო თვითონ დაეხეტებიან ფეხით დღე და ღამე ტყვეების მოპოვების მიზნით, რასაც ისინი მოიპოვებენ, იოლად სთმობენ გამოსასყიდით და წასვლის შემდეგ ატყობინებენ გაძარცულებს. იმ ადგილების მცხოვრებნი, რომელთაც მმართველები ჰყავთ, რაღაცა შემწეობას ჰპოვებენ ხოლმე წინამძღოლთაგან უსამართლობის შემთხვევებში: რადგან ხშირად მათ თავს ესხმიან და მიჰყავთ კამარები იქ მყოფ ხალხიანად. ხოლო რომაელების (გამგებლობაში) მყოფი (ნაწილი) უფრო უმწეოა გამოგზავნილ პირთა უპასუხისმგებლობის გამო“. (8, ტ.I, გვ.479).

„II საუკუნის 30-იან წლებში შავი ზღვის სანაპიროზე ტრაპეზუნტიდან დაწყებული ვიდრე დიოსკურია-სებასტოპოლისამდე (თანამ. სოხუმი) ექვსი სხვადასხვა გაერთიანება იყო, ყველაზე სამხრეთით ამათგან იყო ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით მდებარე „მაკრონებისა და ჰენიოხების სამეფო“, რომლის სათავეში იდგა „მეფე ანხილი“.....

„მაკრონებისა და ჰენიოხების სამეფოს“ ტერიტორიას ეკავა ზღვისპირა ზოლი სადღაც დღევანდელ რიზესა და ათინას რაიონში“. (6, ტ.I, გვ.544).

კოლხეთის სამხრეთ მხარეში მცხოვრები ჰენიოხები, სოციალურ-ეკონომიურად უფრო განვითარებულნი ყოფილან. მათ მაკრონებთან ერთად ახ. წ. I საუკუნეში საკუთარი სამეფო ჰქონდათ, რომლის მეფე ანქიალე ყოფილა. რომელსაც, ფლავიუს არიანესა და კასიუს დიონ კოქცეიანუსის გადმოცემით, რომის იმპრატორების, მარკუს ულპიუს ტრაიანესა და პუბლიუს ადრიანეს კეთილგანწყობილებით, რომთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. ცნობილია, რომ 115 წელს ტრაიანემ დაასაჩუქრა „ჰენიოხებისა და მახელონების მეფე ანხიალსი“. ძველი ებრაელი ისტორიკოსის იოსებ ფლავიუსის (37–100-ის შემდეგ) გადმოცემით, ჰენიოხები და კოლხები რომს ემორჩილებოდნენ.

შემდგომში, როდესაც სპარსეთის, სასანური ირანის სახელმწიფო მომძლავრდა და რომის ლაშქარიც არა ერთხელ დაამარცხა, ხოლო, 260 წელს სპარსეთის მეფე შაბურ I-მა (242–272), ერთ-ერთი ბრძოლის დროს თვით რომის იმპერატორი (253–260) ლუციუს ვალერიანე (193–260) შეიპყრო, „მახელონებისა და ჰენიოხების სამეფო“, ეტყობა ირანის მფლობელობაში მოექცა.

14. კ ე რ კ ე ტ ე ბ ი.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ტომი **კერკეტები** ანტიკური მწერლების თქმით, ძვ. წ. I ათასწლეულში, კოლხეთის ჩრდილოეთით, შავი ზღვის სანაპირო ზოლის ბარში, სახლობდნენ. მეცნიერთა აზრით, კერკეტების ეთნოგენეზის ჩამოყალიბებაში მიუღიათ მონაწილეობა ზიხებს, მეოტებსა და სარმატების ტომებს.

ანტიკური ხანის მწერლები დღევანდელ ჩერქეზებსაც უწოდებდნენ კერკეტებს. „კერკეტების ტომის სახელწოდება როგორც ჩანს, საფუძვლად დაედო ჩერქეზი ხალხის სახელს“. (6. ტ.5, გვ.476). „V საუკუნის ანონიმის მიხედვით, დღევანდელი ნოვოროსიისკიდან ტუაფსემდე ცხოვრობდა „სამართლიანი და კეთილი ხალხი, ზღვაოსნობაში დიდად დახელოვნებული“ კერკეტები,“ (31, გვ.26). სტრაბონის გადმოცემით, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთიანეთში ცხოვრობდნენ „აპაჲტები, უწინდელი კერკეტები“ (6, ტ.I, გვ.472). ხოლო, მომიჯნავე მთიან მხარეში ცხოვრობდნენ მეომარი ტომები: აქაელები, ჰენიოხები და ჯიქები; (6, ტ.I, გვ.538).

კერკეტები, ადიღეელთა წინაპრები იყვნენ და ერთ-ერთი უძველესი ტომი იყო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. სტრაბონის თქმით, ეს მშვიდობიანი მკვიდრი ტომები კერკეტები, რომლებიც სახლობდნენ ჩრდილო კოლხეთის სანაპიროზე, ადიღეურ მეომარ ტომებს, ჯიქებს განუდევნიათ და „მთელ სანაპიროზე დიოსკურიიდან (სოხუმამდე) ვიდრე თანამედროვე გელენჯიკისა და ნოვოროსიისკის რაიონამდე მყარდება მეომარი მთიელების განუსაზღვრელი ბატონობა, რომლებიც ფართოდ კიდებენ ხელს მეკობრეობას“. (6, ტ.I, გვ.538). ზოგიერთი მეცნიერთა აზრით, ადიღეელი ხალხის ერთ-ერთი აღმნიშვნელი სახელწოდება „ჩერქეზი“, რომელიც ყველაზე უფრო გვიან წარმოიშვა, დაკავშირებულია „კერკეტები“-ს სახელთან. ანტიკური წყაროებიდან ირკვევა, რომ კერკეტები გაერთიანდნენ მათ მეზობლად მდებარე მონათესავე ტომებთან – ტორეტებთან.

ტორეტების, შესახებ, სოციოლოგი ა. ვ. დ მ ი ტ რ ი ე ვ ი წერს, რომ „ეს დასახელებები ჩვენ გვხვდება ბევრ ავტორებთან, მაგრამ, სხვადასხვა ცნობების სიმრავლე, დღევანდელ მკვლევარებს ჯერჯერობით არ გვაძლევს საშუალებას, რომ დასაბუთებით განვსაზღვროთ, ეთნონიმ „ტორეთები“-ს და ეთნონიმების ქ. „ტორიკ“-ის და „ტორეთის“ კონცხის ადგილმდებარეობა.

შედარებით ხშირად წყაროებში მოხსენებულნი არიან კერკეტები, რომლებიც აღნიშნულნი არიან როგორც ტორეტების მეზობლები. ძველი ავტორებიდან პირველად კერკეტები დაასახელა გელანიკ მითენელმა ძვ. წ. V ს. საუკუნის შემდეგ პერიპლეში ფსევდოსკილაკა იტყვის:

სინდები, მეოტების იქეთ სინდების ხალები; მათი ოლქი გადაჭიმულია ტბის საზღვრის იქეთ, და ქალაქები მასში ელინების შემდეგნია: ქალაქი ფინაგორა, კეპი, სინდის ნავსადგური, პატუსი, კერკეტები.

ტორეტები. კერკეტების იქეთ ხალხი ტორეტები და ელინის ქალაქი ტორიკი ნავსადგურით, ტორეტების იქეთ აქეს ხალხები.

ეს ტორეტების პირველი მოხსენებაა და ქალაქ ტორიკის პირველი და ერთარდერთი მოხსენებაა“. (108).

ზოგადად, ანტიკური წყაროებიდან ჩანს, რომ ტორეტები მოსახლეობდნენ ძვ. წ. I ათასწლეულში აზოვის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე და ეკუთვნოდნენ მეოტების ერთ-ერთ შტოს.

მეცნიერთა ვარაუდით, ტორეტები იმყოფებოდნენ, დღევანდელი ნოვოროსიისკის მიდამოებში და ქალაქი ტორეტიც მდებარეობდა ნოვოროსიისკის ადგილას. სწორედ მის მიდამოებში არქეოლოგების მიერ აღმოჩენილია ძეგლები რომლებიც განეკუთვნებიან IV საუკუნის ჩ. წ-მდე. ვინაიდან, ტორეტები, ქალაქი ტორეტი და ტორეტის კონცხი ძველი დროის ნაწერებში იშვიათად გვხვდება, მეცნიერები ფიქრობენ, რომ ზემოთ აღნიშნული ტომები და დასახლებული ადგილები არსებობდნენ მეტად მცირე ხნით, ანდა მათი სახელ-წოდებები შეიცვალა. (108). ა. ვ. დმიტრიევი წერს, რომ:

„ნოვოროსიისკის რაიონში ტორიკის ადგილმდებარეობას დაადგენდა და მასთან ერთად ტორეტებისა და ტორეტის კონცხისა, უსათუოდ, დაამტკიცებდა, თუ იქნებოდა ნაპოვნი ეპიგრაფიული ძეგლები. ეს სამუშაო წარმოადგენს მცდელობას კრიტიკულად გავიაზროთ ძველი ავტორების ცნობები, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენებით“. (108).

15. მ ე ო ტ ე ბ ი .

მეოტები სახლობდნენ ძვ. წ. I ათასწლეულში აზოვის ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთში, აგრეთვე მდ. ყუბანის შუაწელზე. ანტიკური წყაროები და ბოსფორის წარწერები, მეოტებით აღნიშნავდნენ ამ ადგილებში მცხოვრებ ყველა ტომებს. სტრაბონის თქმით, მეოტებს განეკუთვნებოდნენ **სინდები**, **დანდა-რები**, **დოსხები** და სხვა ტომები, რომლებიც ენობრივად ადიღეელთა მონათესავენი იყვნენ. მეოტების ტომების ნაწილი კი ენობრივად, ირანულს ეკუთვნოდნენ. ძვ. წ. VII–IV საუკუნეებში, ძველი ბერძნები და რომაელები აზოვის ზღვას უწოდებდნენ **მეოტიდას**. ჰეროდოტეც აზოვის ზღვას უწოდებს „მეოტიდის ტბას“. ძვ. წ. IV–III საუკუნეებში ბოსფორის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა მეოტთა უმრავლესი ტომები. ბოსფორის სამეფოში „ბერძნებს გარდა შედიოდნენ სკვითები, სარმატები, სინდები, მეოტები და ა. შ.“. (6, ტ.I, გვ.405). ძვ. წ. 67 წელს მითრიდატე IV ევპატორმა მეოტური ტომების დახმარებით დაიპყრო ბოსფორის სახელმწიფო. ხოლო, მითრიდატეს შემდეგ, ახ. წ. I საუკუნის ებრაელი მწერლის იოსებ ფლავიუსის თქმით, ჰენიოხები, კოლხები, ტავრები, ბოსფორელები, პონტოსა და მეოტიდის გარშემო მცხოვრები ხალხები, ემორჩილებოდნენ რომაელებს.

მეოტების წინაპრები იყვნენ ბრინჯაოს დროინდელი (ძვ. წ. II ათასწლ. – ძვ. წ. II ათასწლ. II ნახ.) ჩრდილოკავკასიელთა მრავალი ტომები, რომელთა დასახელებები შემოგვინახა ბოსფორის სამეფოს ძვ. წ. V–III წარწერებმა, (**სინდები, ტორეტები, დოსხები, კერკეტები, ზიხები, ფატიები, დანდარები, პსესსები** და სხვ.), რომელთა ზოგიერთ ტომების ადგილმდებარეობის განსაზღვრა დღევანდელი დღისათვის შეუძლებელია.

არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი მეოტთა უძველესი კულტურული ძეგლები განეკუთვნებიან ძვ. წ. VIII–VII საუკუნეებს, ხოლო V საუკუნიდან ჩანს, რომ იწყება მეოტების აყვავების ხანა, როდესაც იქმნება მრავალი მეოტური ქალაქები.

შავიზღვისპირეთში, აზოვის ზღვასა და მდ. ყუბანის მარჯვენა სანაპიროსა და მის შენაკადებში მცხოვრები მეოტთა ტომები მოექცნენ ბოსფორის სამეფოში და ისინი სოფლის

მეურნეობასა და მეთევზეობას მისდევდნენ. ხოლო, მდ. ყუბანისპირეთის ველებში მცხოვრებნი მსხვემი მეოტთა ტომები განიცდიდნენ სარმატების ზემოქმედებას.

ზოგიერთი მეცნიერი, ბოსფორის სამეფოს განაპირა მხარეში მცხოვრებ მეოტებს, მოიხსენიებს როგორც „ჭაობიან მობინადრეებს“ რომლებიც (ჭაობის) ზღვასთან ახლოს ტივებზე ცხოვრობდნენ. (149)

ზემოთ მოხსენებული **ზიხები** (ზიგები), ანტიკური წყაროების მიხედვით უძველესი ტომები ყოფილან, რომლებიც სახლობდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. სტრაბონის თქმით, ზიხები ძვ. წ. I საუკუნეში ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ-შავიზღვისპირეთის ხალხებს შორის. ანტიკური და ქართული წყაროები მათ მოიხსენიებენ როგორც „ჯიქებს“ და ხშირად – როგორც ჩრდილოეთ-ადიღური ტომების საერთო სახე-ლითაც. გენუელი გ ე ო რ გ ი (ჯორდჯიო) ი ნ ტ ე რ ი ა ნ ო რომელიც XV საუკუნეში ცხოვრობდა კავკასიაში, მოგონებაში ზიხების შესახებ აღნიშნავდა, რომ ბერძნულ და ლათინურ ენებში მოხსენებულნი არიან როგორც ზიხები, თათრები და თურქები უწოდებენ მათ ჩერქეზებს, ხოლო თვითონ თავის-თავს ეძახიან ადიგეელებს.

მეოტთა ტომებს ეკუთვნიან **სინდებიც**, რომლებიც სახლობდნენ ძვ. წ. I ათასწლეულსა და ახ. წ. I საუკუნეში დღევანდელ ტამანის ნახევარ კუნძულზე და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ძვ. წ. V საუკუნეში შექმნეს მონათმფლობილური სახელმწიფო, წყაროების მიხედვით სახელწოდებით – სინდიკა. ძვ. წ. IV საუკუნეში ის შევიდა ბოსფორის სამეფოში. ხოლო ახ. წ. დასაწყისში სინდები შეერწყმნენ სარმატებს. (152).

ფატეები ძვ. წ. IV–ძვ. წ. I საუკუნეებში, მდ. ყუბანის შენაკადის მდ. ფატის ნაპირებზე, ხიმინჯებიან ნაგებობის სოფლებში ცხოვრობდნენ, თუმცა მათ ჰქონიათ გამაგრებული ქალაქებიც. ისინი ღებულობდნენ მონაწილეობას ბოსფორის სამეფოს პოლიტიკურ ბრძოლებში. ეტყობა, რომ ფატეები საკმაოდ ძლიერ ტომი ყოფილა, რადგან, ცნობილია, რომ როდესაც ბოსფორის მეფეს პ ე რ ი ს ა დ I-ეს (ძვ. წ. 349/348–310/309) აუჯანყდა მისი შვილები, მის ერთ-ერთ შვილს ევმელს, მიეხმარა ფატეების ბელადი, რომელსაც ყოლია 20 000 ფეხოსანი ჯარი და 22 000 მხედარი.

მეოტელთა ტომები **პსესხებიც,** ცხოვრობდნენ აზოვის ზღვასთან ძვ. წ. IV საუკუნიდან – ახ. წ. I საუკუნეში. ანტიკური მწერლების მიხედვით, ისინი იმყოფებოდნენ მდ. ყუბანის მარცხენა მხარის შენაკა-დებზე. ძვ. წ. IV საუკუნიდან მოექცნენ ბოსფორის სამეფოში. ყოფილან მიწათმოქმედნი და მისდევდნენ მეცხოველეობას.

ცნობილია, რომ **დოსხებიც** განეკუთვნებოდნენ მეოტების ტომებს და ძვ. წ. I ათასწლეულში აზოვის ძღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთში ცხოვრობდნენ. შემდგომში, ისინიც მოექცნენ ბოსფორის სამეფოში.

დანდარებიც ეკუთვნოდნენ მეოტელ ტომებს და ცხოვრობდნენ აზოვის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებსა და მდ. ყუბანის ქვემო წელში. მეცნიერები თვლიან, რომ შემდეგში ისინი შეერივნენ სარმატებს. (144).

16. ა ქ ა ე ლ ე ბ ი.

ანტიკური წყაროების გადმოცემით და სტრაბონის მიერ აღნიშნული **აქაელები** (აქაველე-ბი), ცხოვრობდნენ შავი ზღვის სანაპიროზე კერკეტების, ჯიქებისა და ჰენიოხების მეზობლად და „მათ ქვეყანას აქაია ეწოდებოდა. აქვე იხსენიებენ მდინარე აქაიოსს. სახელწოდებათა იდენტურობის საფუძველზე ძველად აქაველებს მიიჩნევდნენ კავკასიაში შემორჩენილ ბერძნებად, რომლებმაც თითქოს იასონთან ერთად ილაშქრეს და დროთა განმავლობაში ადგილობრივ ტომებს შეერივნენ. თანამედროვე მეცნიერები მათ ერთ-ერთ ქართვე-ლურ ან კავკასიურ (მთიელ) ტომად თვლიან.“ (8, ტ.2, გვ.35).

ანტიკურ წყაროებში აქაელები მოხსენებულნი არიან როგორც მეომარი ტომები. სტრაბონის გადმოცემით, აქაელები ჩამოსახლებულან მთებიდან, უცხოვრიათ ზღვის სანაპიროზე ვიწრო და უნაყოფო ადგილებში, ყაჩაღობდნენ და მომთაბარეობდნენ. „ცხოვრობენ ზღვაზე მეკობრეობით“. „ადამიანებისა და ნადავლის ხელში ჩასაგდებად ისინი თავს ესხმიან არა მარტო გემებს, არამედ აგრეთვე დასახლებულ პუნქტებს, მათ შორის ქალაქებსაც კი (Strabo, XI, 2, 12). (6, ტ.I, გვ.539). მის დროს, აქაელები, ჯიქები და ჰენიოხები რომს არ ემორჩილებოდნენ.

გ. მელიქიშვილი წერს, რომ ჯიქები, ჰენიოხები და აქაელები, „ჩრდილოეთ კოლხეთში და კიდევ უფრო ზემოთ მცხოვრები ეს ტომები, უეჭველია, უტევდნენ აგრეთვე ცენტრალურ კოლხეთს. ალბათ ასე გამოჩნდნენ სანაპირო ზოლში ახ. წ. I ს. სანიგები (დიოსკურიის რაიონში), აბაზგები (მათ სამხრეთით) და აფშილები (კიდევ უფრო სამხრეთით). ყველა ისინი უფრო ადრე იგულისხმებიან იმ მრისხანე სტიქიაში, რომელსაც სტრაბონი ჯიქების, ჰენიოხებისა და აქაელების სახელით იცნობს და რომლებიც ბატონობდნენ ჩრდილოეთ კოლხეთისა და მეზობელ ადგილებში.“ (6, ტ.I, გვ.539).

17. კ ო ლ ე ბ ი დ ა კ ო რ ა ქ ს ე ბ ი.

ანტიკურ და ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენებულია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კოლ-ხების ჩრდილო-დასავლეთში მცხოვრები, ქართველური ტომები „**კოლები**“ და „**კორაქსები**“. ა. თოთაძე აღნიშნავს, რომ ძველი ბერძენი ლოგოგრაფოსი ჰ ე კ ა ტ ი ო ს მ ი ლ ე ტ ე ლ ი ს (დაახლ. ძვ. წ. 549/546– დაახლ. ძვ. წ. 480) და ფ ს ე ვ დ ო-ს კ ი ლ ა ქ ს კ ო რ ი ა ნ დ ე ლ ი ს (ძვ. წ. IV ს.) ნაწარმოებებში დაცული ცნობებით ქ. დიოსკურიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორია ეჭირათ კოლხურ ტომებს „კოლებს და კორაქსებს“. ჰეკატიოს მილეტელი კორაქსების შესახებ წერს, რომ: „კორაქსები კოლხური ტომია, კოლებთან ახლოს მდებარე“... თვით დ. გულიაც კი, რომელიც მეტად ტენდენციურად იხილავს აფხაზეთის ისტორიის საკითხებს, კორაქსების შესახებ შემდეგს აღნიშნავს: „ჩვენი აზრით, კორაქსები იყვნენ სვანები და, როგორც ცნობილია, ისინი ცხოვრობდნენ ახლანდელ სოხუმის რაიონში ჯერ კიდევ ჩვენი ერის დაწყებამდე და შემდეგ“. (24, გვ.15).

კორაქსები, „ანტიკური წყაროების (ჰეკატეოს მილეტელი, ძვ. წ. VI ს; ჰელანიკე მიტილენელი, ძვ. წ. V ს. II ნახ.; ფსევდოსკილაკ კარიანდელი, ძვ. წ. IV ს.) მიხედვით, ცხოვრობდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კოლხების ჩრდილო-დასავლეთით.....

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, კორაქსები სახლობდნენ მერმინდელი წებელდის მახლობელ ტერიტო-რიაზე (აფსილეთის უძველეს მოსახლეობად თვლიან). ზოგიერთის ვარაუდით კი – მდინარე ბზიფის რაი-ონში. ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო დამაჯერებელი ჩანს. სტეფანე ბიზანტიელის ლექსიკონით („ეთნი-კა“) შემონახული ტრადიციის თანახმად, კორაქსები კოლხური ტომია. ამ ცნობის საფუძველზე კორაქსებს ეთნიკურად კოლხური წარმოშობის ტომად მიიჩნევენ. ხოლო ტომის სახელწოდებას („კორა-ქსო “) – „კოლხის“ ვარიანტულ სახესხვაობად. ძვ. წ. II–I სს. ავტორები კორაქსებს აღარ იხსენიებენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოასავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა შორის.“ (8, ტ.5, გვ.662).

ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ჰეკატაᲘოსის სიტყვით კოლხების ერთ-ერთ ტომს „კორაქსი“ ერქვა..... იგივე ისტორიკოსი ერთს კოლხების ტომს კიდევ იხსენიებს, რომლის სახელი ყოფილა „კოლოᲘ “ – კოლები“. (1, ტ.I, გვ.411).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველური ტომები **კოლები** სახლობდნენ კოლხეთის ჩრდილო-დასა-ვლეთში, კორაქსების მეზობლად.

პ. ინგოროყვას განმარტებით: „ქვეყნის სახელი კ ო ლ ა, ხოლო ტომის სახელია კ ო ლ ხ ი, იგივე კ ო ლ ა ე ლ ი, ანუ კ ო ლ ა რ ი...

ეთნიკური სახელის ამ ფორმიდან კ ო ლ - ა რ ი მომდინარეობს *კოლარჯი → კლარჯი“. (10, გვ.138).

„გეორგიკა“-ში (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ) აღნიშნულია, რომ: „კოლები – ტომი კავკასიონთან; კავკასიონის ქვედა ფერდებს ეწოდება კოლების მთები, ქვეყანას კი კოლიკე ჰქვია“. (გეორგიკა, 1936, გვ.281).

18. ჯ ი ქ ე ბ ი.

ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ერთ-ერთი ტომი **ჯიქები,** ანტიკურ და ქართულ წერილობით წყარო-ებში, „ჯიქი“, „ჯიქეთი“, „ჯიქები“, „ზიგები“, „ზიხები“, „ძილქები“ და „საძები“, ხშირად ადიღეელთა ტომების საერთო სახელწოდებითაც იხმარებოდა.

ძველი ბერძენი მეცნიერის პ ტ ო ლ ე მ ე ს (პტოლემაიოსი) (ძვ წ. II ს.) ცნობით, ჯიქები, ძველად ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, სარმატიაში. (მდინარეების დუნაისა და ტობოლს შორის მდებარე სტეპებში, რომელიც წარმოადგენდა სხვადასხვა ტომების დიდ გაერთიანებას). ხოლო, რომაელი მწერალი, სწავლული და სახელმწიფო მოღვაწე გ ა ი უ ს პ ლ ი ნ ი უ ს ს ე კ უ ნ დ უ ს ი (პლინიუს უფროსი) (23/24–79) ჯიქებს ასახელებს მეოტიურ ტომებს შორის, მდ. ყუბანის ზემო მხარეში.

ანტიკური წყაროებიდან ირკვევა, რომ ძვ. წ. I საუკუნიდან, როდესაც კოლხეთის სამეფო შესუსტდა და შავიზღვისპირეთი პონტოს სამეფოს ფარგლებში მოექცა, ჯიქების ტომთა ერთი ნაწილი, კოლხეთის ზემოთ, შავიზღვისპირეთში ჩამოსახლებულა. სტრაბონის ცნობით, ძვ. წ. I ს-ში, ჩრდილოეთ კოლხეთის სანაპიროზე, მოხდა ადიღეური ერთ-ერთი მეომარი ტომის ჯიქების ჩამოსახლება, დაახლოებით დღევანდელი ტუაფსედან სოჭამდე. რომელთაც განუდევნიათ ამ მხარეში მშვიდობიანი მოსახლე ადგილობრივი „კერკე-ტები“. მისივე გადმოცემით, მეომარი მთიელი ტომები: ჯიქები, ჰენიოხები და აქაელები, „მთელ სანაპიროზე დიოსკურიიდან (სოხუმი) ვიდრე თანამედროვე გელენჯიკისა და ნოვოროსიისკის რაიონამდე

მყარდება მეომარი მთიელების განუსაზღვრელი ბატონობა, რომლებიც ფართოდ კიდებენ ხელს მეკობრეობას... ადამიანებისა და ნადავლის ხელში ჩასაგდებად ისინი თავს ესხმიან არა მარტო გემებს, არამედ აგრეთვე დასახლებულ პუნქტებს, მათ შორის ქალაქებსაც კი. და „ამ თარეშს სტრაბონი უკავშირებს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სისუსტეს“. (6, ტ.I, გვ.539).

პ. ინგოროყვა ჯიქების შესახებ აღნიშნავს, რომ „ლეონტი მროველის თხზულებაში მოხსენებულია...

ე) ჩრდილო-კავკასიის მთიელები: დურძოკნი (ქისტის ტომები), კავკასიანნი, ჯიქნი (ჩერქეზთა ტომები)“. (10, გვ.130).

მისივე თქმით: „ჯიქები შავი ზღვის სანაპიროზე მოსული ტომია: ჯიქები თავდაპირველად იმიერი კავ-კასიის მკვიდრი ტომი ყოფილა და შემდეგ გადმოსულა შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც მათ თანდათან გაუფართოებიათ თავიანთი ტერიტორია.

რომ ჯიქები არ არიან ძველი აბორიგენები აფხაზეთის მხარეთა ჩრდილო სანაპიროზე, არამედ შემდეგ გადმოსულან ამ თემში, ეს ირკვევა არა მარტო ანტიკური ხანის წყაროების ჩვენებათა მიხედვით, არამედ ტრადიცია ამის შესახებ დაცულია საშუალო საუკუნეთა ქართულ მატიანებშიც, სადაც აღნიშნულია, რომ ჯიქების თავდაპირველი სამშობლოა კავკასიის იმიერი მხარე და მხოლოდ გვიან ხანაში „ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“. პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ „ანტიკური ხანის ავტორები მე-6 საუკუნიდან ვიდრე I საუკუნემდე ძველი წელთაღრიცხვისა, რომლებიც ეხებიან პონტოს.... შავი ზღვის სანაპიროზე არ იცნობენ ჯიქებს და უშუალო მეზობლად ჰენიოხებისა მოხსენებულნი არიან ახაველნი. მხოლოდ სტრაბონი (მითრიდატის ომის ისტორიკოსთა ცნობების მიხედვით) პირველად მოიხსენებს ჯიქებს, რომ-ლებიც ჩამოსახლებულან ახაველთა და ჰენიოხთა შუა. ამის შემდეგ ჯიქები თანდათან აფართოებენ თავიანთ ტერიტორიას და დაიჭერენ ახაველთა მიწა-წყალს მთლიანად, ხოლო ჰენიოხეთიდან თავის გავლენის ზონაში მოაქცევენ მის ჩრდილოეთ სანაპიროს“. (10, გვ.125).

მეცნიერთა აზრით, დაახლოებით V საუკუნიდან იქმნება ადიღელების ტომთა კავშირი, რომლის წინამძღოლი გახდნენ ჯიქები.

ისტორიკოსი მ ა რ ი ნ ა ც ი ნ ც ა ძ ე აღნიშნავს, რომ: „სახელწოდება ჯიქი ქართულ წყაროებში პირველად გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“, ანდრია პირველი მოციქულის სამისიონერო მოღვაწეობის აღწერასთან დაკავშირებით (I ს), სადაც ჩანს, რომ ისინი აფხაზეთის მოსაზღვრედ ცხოვრობდნენ და რომ აფხაზეთსა და ჯიქეთს შორის საზღვარი მდ. ნიკოფსზე გადადიოდა... მაგრამ წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჯიქები აბაზგების მახლობლად ყოველთვის არ ცხოვრობდნენ. V საუკუნის ბიზანტიელი ანონიმის ცნობით: „ძველი აქაიიდან“ ვიდრე „ძველ ლაზიკამდე“ (ეს არის ნიკოფსის ძველი სახელწოდება მ. ც.) და შემდეგ აქეუნტის მდინარემდე ცხოვრობდნენ ტომები, რომელთაც ეწოდებოდათ ჰენიოხები, კორაქსები, კილიკები, მელანქლენები, კოლხები და ლაზები; ამჟამად კი ცხოვრობენ ჯიქები“. (32, გვ.22). როგორც წყაროებიდან ჩანს, ჯიქები იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს. I საუკუნეში, ბიზანტიელი ჟამთააღმწერლის, იურისტისა და დიპლომატის პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი ს (დაახლ. 507–562 შემდეგ) ცნობით, ზიქები (ჯიქები) აბაზგების მეზობლადაა მოხსენებული. (31, გვ.23). „ამ დროს მათი საზღვარი

ჯიქებსა და აბაზგებს შორის გადიოდა მდ. ფსოუზე. მოგვიანებით ისინი ბიზანტიელთა გავლენის ქვეშ მოექცნენ“. (8, ტ.11, გვ.567). შემდეგში, ისინი რომის ზეგავლენისაგან განთავისუფლებულან. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ პ. კესარიელის გადმოცემით აფხაზთა ჩრდილო-დასავლეთით, ზღვის პირას, ბინადრობდნენ „ჯიქნი (ძეხო = ეხლანდელს „აბა-ძეხი“-ს); წინათ ჯიქებს რომის კეისარი უნიშნავდა მეფესა, ეხლაკიო, ამბობს პროკოპი კესარიელი, რომაელებს ყურს არავინ უგდებსო“. (1, ტ.I, გვ.427). „ჯიქების ქვეყანა ტყიანი და მწირმიწიანი იყო. მაგრამ მაინც მისდევდნენ მიწის დამუშავებას.“ (8, ტ.11, გვ.567). და ამასთან ერთად, სხვა ტომებთან ერთად, მისდევდნენ მეკობრეობას.

ძველი საისტორიო თხზულება „ქართლის ცხოვრება“-ში არაერთხელ არის მოხსენებული ჯიქები. ლეონტი მროველის გადმოცემით, „მეფეთა ქართლისათა – აზორკ და არმაზელ – მოუწოდეს“ ლეკებსა და ოსებს, რომლებმაც „გარდამოიტანნეს თანა პაჭანიკნი და ჯიქნი“. (3, გვ.58).

„ქათლის ცხოვრების“ თანახმად, ქართლის მეფე ვახტანგ I გორგასალს ჯიქები დაუმორჩილებია და ეს კუთხე ქართლის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. ხოლო შემდეგ, VIII საუკუნის დასაწყისიდან, აფხაზთა ერისთავის (დაახლ. 720–740) ლ ე ო ნ I-ის დროიდან, როდესაც აფხაზთა საერისთავო გაძლიერდა, ჯიქეთი აფხაზეთის სამთავროს დაექვემდებარა. ბიზანტიის იმპერატორი (913–959) კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე VII პორფიროგენეტი (905–959) გადმოგვცემს, რომ „უკრუხიდან ნიკოფსის მდინარემდე, სადაც იმავე სახელწოდების ციხეა, არის ჯიქეთის ქვეყანა“. მდ. უკრუხი ქართული წყაროს“, მიხედვით, „ხაზარეთის მდინარეა და დღევანდელ მდ. ყუბანს უდრის.“ (6, ტ.III, გვ.63). „მატიანე ქართლისაჲ“-ს გადმოცემით, ჩანს, რომ მეფე გიორგი II-ის დროსაც, ჯიქეთი აფხაზეთის სამეფოში შედიოდა. რადგან, როდესაც გიორგი II-ემ კახეთში გაილაშქრა, ერთ-ერთი იქაური ფეოდალი ხახუა არშის ძე, რომელიც ფლობდა „ციხე მარანისა“-ს მეფეს არ დაემორჩილა. მაშინ, „მივიდა მეფე, უბრძანა შებმაჲ ლაშქართა. ხოლო მათ წარიღეს ჴერჯითა და ხახუა მოიყვანეს შეპყრობილი წინაშე მეფისა, და მეფემან წარსცა პყრობილად ჯიქეთს“. (3, გვ.264). VIII საუკუნის 80-იან წლებშიც, როდესაც ლეონ II აერთიანებს ეგრის-აფხაზეთს და ის მოიცავს თითქმის მთელ ლიხსიქეთ საქართველოს, მის საზღვრებში ჩდილოეთით მოექცა სამხრეთ ჯიქეთი ნიკოფსი-ითურთ. ლეონ II-ის მიერ დასავლეთ საქართველოს საერისთავეობად დაყოფისას, აფხაზეთსა და ჯიქეთს ერთი ერისთავი განაგებდა და ჯიქეთი აფხაზეთის საერისთავოში შედიოდა. ვახუშტი ბატონიშვილი წერს; რომ ლეონ მეფემ „ხოლო დაჯდა რა ესე ლეონ მეფედ და დაიპყრა ყოველი ეგრისი და აწ აფხაზეთი რვა საერისთაოდ: ა) დასუა აფხაზთა და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი, ვიდრე ზღუამდე და ხაზართა მდინარემდე; ბ) დასუა ცხომს და მისცა ეგრის – იქითი ანაკოფია ალანითურთ; გ) დასუა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლეთი ცხენის წყლამდე“. (5, ტ.IV, გვ.796). (ცხენის წყალი – მდ. ყუბანი) ლეონის დროს, „საკუთრივ აფხაზეთთან ერთად მოიცავდა ყოფილი სანიგებისა და ჯიქების მიწა-წყალს.“ (6, ტ.II, გვ.420).

როდესაც საქართველო გაერთიანდა, ჯიქეთი საქართველოს შემადგენლობაში იმყოფებოდა. XI ს-ის I ნახევრის ისტორიკოსის ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძის (ბაგრატიონი) გადმოცემით, გაერთიანებული საქართვე-ლოს მეფე ბ ა გ რ ა ტ III (X ს-ის 60-იანი წწ დასაწყისი–1014) „აფხაზთა მეფე, კურაპალატი დიდი, დაეუფლა ტაოს, მამულსა თჳისსა, და

დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე.“ (3, გვ.370).

„გამორიცხული არ არის, რომ ლეონ II-ის დროს აფხაზთა სამთავროს მართლაც მიეღწია ჩრდილოეთი საზღვრის ასე შორს გადაწევისათვის და მთელი ჯიქეთის შემომტკიცებისათვის, მაგრამ, როგორც მომდევნო ხანის ბიზანტიური წყაროთა ანალიზი გვიჩვენებს, მას შემდეგ, რაც ბიზანტიამ თავი დააღწია დროებით შინაურ და საგარეო სირთულეებს, მას ჯიქეთის ნაწილი უკან დაუბრუნებია და აფხაზეთისა და ბიზანტიის საზღვარი მდ. ნიკოფსზე დაწესებულა, რაც შემდგომ საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა სრულიად საქარ-თველოს ჩრდილო დასავლეთ საზღვარსაც. ასე რომ, ჯიქეთის ნაწილი ქალაქ ნიკოფსიითურთ შედიოდა ჯერ აფხაზეთ-ეგრისის სამეფოს, ხოლო შემდეგ გაერთიანებული საქართველოს ფარგლებში“. (31, გვ.30). წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, რომ XII–XIII საუკუნეებში საქართველოს ჯარში მონაწილეობას ღებულობდნენ დაქირავებულნი ჩრდილოეთ კავკასიელ ტომებს შორის ჯიქებიც.

აღსანიშნავია, რომ XV საუკუნის II ნახევრიდან, საქართველოს ერთიანი სამეფოს, სამეფოებად და სამთავროებად, დაშლის შემდეგაც ჯიქეთი აფხაზეთის სამთავროში შედიოდა.

(1466–1478) ქართლ-იმერეთის მეფის ბ ა გ რ ა ტ VI-ის (დაახლ. 1439–1479) (იმერეთის მეფე ბაგრატ II 1463–1466) დროს, ჯიქეთი საქართველოს სამეფოში შედიოდა.

ისტორიკოსის ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ს (გ. დაახლ. XVIII-ის 60-ანი წლების დასაწ-ყისში) გადმოცემით: ბაგრატმა გაანთავისუფლა „ყოველნი სამყოფნი და არენი ქართლისანი მონებისაგან თურქთასა. ესე მეფე ბაგრატ იყო მორჭმული სახელოვანი. ამასა ჰქონდა ქართლი, სომხითი, და ჰმონებდენ პატიახშნი ლორისა, კახეთისა, შირვანისა და სამცხისა, და ჰყვეს იმერელნი, ოდიშარნი, გურიელნი, აფხაზნი, ჯიქნი, ხუანნი, მთიელნი კავკასიანნი“. (4, ტ.II, გვ.342).

XVI საუკუნიდან, კავკასიისა და საერთოდ, მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო მდგომარეობა შეიცვალა. ეს გამოწვეული იყო მომთაბარე თურქმენთა ტომების შემოტევებისა და ამავე დროს ირანსა და აზერბაიჯანში ახალი მძლავრი სეფიანთა სახელმწიფოს ჩამოყა-ლიბებისა და განსაკუთრებით საქართველოს სამეფოს პოლიტიკური დაშლის გამო.

საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა, როდესაც „1453 წ. კონსტან-ტინოპოლის აღების შემდეგ თურქეთი შავი ზღვის აუზში აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა, ყირიმის სახანო გაიხადა ერთგვარ პლაცდარმად და საქართველოს ორი მხრიდან შემოუტია: სამცხე-საათაბაგოდან და ჩრდილო-დასავლეთიდან ადიღეელი ტომებით დასახლებული ტერიტორიიდან.

ჩრდილო-დასავლეთიდან ოსმალები ახორციელებდნენ მძარცველურ თავდასხმებს ძირი-თადად ჯიქების მეშვეობით. „მთური“ მეურნეობის მქონე ჯიქებისათვის ასეთ ვითარებაში თურქები სასურველ „მოკავშირეს“ წარმოადგენდნენ. ჯიქები (ალბათ უფრო ხშირად ვიწრო გაგებით) ძარცვავდნენ და ატყვევებდნენ აფხაზეთის, სამეგრელოსა და გურიის სანაპირო სოფლების მოსახლეობას.“ (31, გვ.37).

ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ თუ ადრე, საქართველოს საზღვარი ჩრდილო-დასავლეთიდან, შავი ზღვის პირას მდებარე, ისტორიულ ციხე-ქალაქ ნიკოფსიიდან (ნიკოფსია) (ქ. ტუაფსეს მახლობლად ნანგრევებია შემორჩენილი) გადაჭიმული იყო კასპიის ზღვის

სანაპირომდე – დარუბანდამდე (დერბენდი), XVI საუკუნიდან მოყოლებული საქართველო თანდათან კარგავს ამ ადგილებს. ბერძენი ისტორიკოსის და ფილოსოფოსის ფ ლ ა ვ ი უ ს ა რ ი ა ნ ე ს (დაახლ. 95–175) გადმოცემით, ნიკოფსიის ადგილას ადრეც ყოფილა ქალაქი „ძველი ლაზიკა“-ს სახელწოდებით. ამ დროიდან დაწყებული, ჯიქეთი, უკვე საქართველოს სამეფოს აღარ ემორჩილებოდა და აფხაზეთის სამთავროსთან ერთად, ქვეყნის შიგნით ფეოდალურ ომებში ღებულობდა მონაწილეობას. ცნობილია, რომ იმერეთის მეფის (1510–1565) ბ ა გ რ ა ტ III-ის (1495–1565) თანხმობით, 1533 წელს გურიის სამთავროს მთავარმა (1512–1534) მ ა მ ი ა I გ უ რ ი ე ლ მ ა (გ.1534) და ოდიშის (სამეგრელოს) მთავარმა (1512–1533) მ ა მ ი ა III დ ა დ ი ა ნ მ ა (გ. 1533) ილაშქრეს ჯიქეთს, მაგრამ დამარცხდნენ. „ოდიშის მთავარსა და მის ლაშქარს შორის უთანხმოების გამო მამია დადიანის რაზმმა მიატოვა ბრძოლის ველი და უკან გამობრუნდა. დადიანი და გურიელის ლაშქარი სისხლისმღვრელ ბრძო-ლაში დამარცხდა. გურიელის შვილი ბრძოლის ველზე დაეცა, მამია დადიანი ღალატით შეიპყრეს და მოკ-ლეს. გურიელი, მისი ძმები და ლაშქარი ტყვედ ჩაბარდნენ, რომლებიც შემდეგში კათალიკოსმა გამოისყიდა“. (6, ტ.IV, გვ.103). მიუხედავად ამ მარცხისა, საქართველოს მესვეურებს ჯიქებისათვის ბრძოლა არ შეუწყვე-ტიათ. ბაგრატ III-ის შემდეგ, იმერეთის მეფე (1565–1585) ხდება მისი ძე გ ი ო რ გ ი II (გ. 1585) რომლის დროსაც, თავნება ფეოდალების გამო, რომლებიც პირველობისათვის ერთმანეთს არ ინდობდნენ და ერთმ-ანეთს არბევდნენ, იმერეთის პოლიტიკური მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ფეოდალები უცხო ძალასაც ხშირად იყენებდნენ. ადიღეელი ტომები საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეულ ადგილს იკავე-ბდნენ და ხშირად აფხაზეთის სამთავროს მოკავშირეებად გამოდიოდნენ. XVII საუკუნეში სხვა სამთა-ვროებსავით აფხაზეთის სამთავრომაც დამოუკიდებლობისაკენ დაიწყო ბრძოლა და მის მოკავშირედ ჯიქები გამოდიოდნენ.

„ქართლის ცხოვრება“-ში მოთხრობილია, რომ აფხაზეთში გაქცეულმა ოდიშის მთავარმა (1572–1582) გ ი ო რ გ ი III დ ა დ ი ა ნ მ ა (გ. 1582) „იშოვა ლაშქარი აფხაზისა, ჯიქისა და ჩერქეზისა“, და თავის ძმას, მამია დადიანს, შეებრძოლა, მაგრამ დამარცხდა და ისევ აფხაზეთში გაიქცა.

განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა XVII საუკუნის შუა ხანებიდან საბედიანოსა (სამეგრელოს) და აფხაზეთის სამთავროებს შორის. რაც გამოწვეული იყო ლიხსიქეთ საქართველოს, სამეგრელოს სამთავრასოთან ერთად, ეკონომიკური დაქვეითებით და ამავე დროს აფხაზეთის მიწა-წყალზე ჩრდილოეთ კავკასიიდან სახვადასხვა ტომების, განსა-კუთრებით აფსუების ჩამოსახლებით, რომლებიც შეერივნენ ადგილობრივ ქართულ მოსახ-ლეობას. მართალია, ლევან II დადიანის დროს თითქოს სამეგრელოს სამთავრო პოლიტი-კურად მძლავრი გახდა და ის ფაქტიურად ლიხსიქეთ საქართველოს განაგებდა, მაგრამ სინამდვილეში მის მიერ წარმოებულმა გაუთავებელმა, მძარცველურმა, მარბიელურმა ომებმა და მეზობელ სამთავროების სამფლობელოებზე თავდასხმებმა, უკიდურესად გააღრმავა ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობა და ის გახდა რეაქციონერი ფეოდალი. ლევან II-ემ გააჩანაგა გურია, აფხაზეთი და იმერეთი და ეს მხარეები ეკონომიურად ძირს დასცა.

„XVII საუკუნის ბოლოს აფხაზეთი თითქმის მთლიანად ჩამოცილდა საქართველოს, რაც არა მარტო შინაფეოდალური ბრძოლებისა და პოლიტიკური დაჩიხულობის შედეგი იყო,

არამედ ამ საქმეში აქტიური როლი შეასრულა აგრესიული თურქეთის სეპარატისტულმა ღონისძიებებმა, რომელიც თავის გავლენის ქვეშ მოქცეული ადიღეურ და აფხაზურ ძალებს დაჯინებით წარმართავდა ქრისტიანული სადადიანოსა და საქართველოს წინააღმდეგ. თურქეთის ეს გეგმები სავსებით შეესაბამებოდა აფხაზი ფეოდალების მისწრაფებებს. ამ ღონისძიებით ისინი, ჯერ ერთი, სადადიანოსაგან სრულიად დამოუკიდებელნი ხდებოდნენ, ხოლო, მეორე მხრივ კი, სამეგრელოს განუწყვეტელი ძარცვა-რბევა შემოსავლისა და გამდიდრების საკმაოდ იოლ გზას წარმოადგენდა.

როგორც პატრიარქ მაკარიოსის ცნობიდან ირკვევა, აფხაზ ფეოდალთა ამ ბრძოლაში სამეგრელოს წინააღმდეგ ადიღე-ჩერქეზებიც იღებდნენ მონაწილეობას“. (31, გვ.40).

ოსმალები თანდათან იპყრობდნენ შავი ზღვის სანაპიროებს და აფხაზეთის სამთავროც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოექცა მის გამგებლობაში. მაგრამ, აფხაზეთი, იძულებით იმყოფებოდა თურქეთის გავლენის ქვეშ. ის მუდამ განიცდიდა თურქეთისაგან შევიწროებას. ამის შედეგი იყო ის, რომ აფხაზეთმა დაკარგა პოლიტიკური ძალაუფლება ჩრდილოეთით მდებარე მეზობელ სამთავროებზე. მათ შორის XVIII ს-ში ჯიქეთზე.

„თურქეთის აღმოსავლეთ შავიზღისპირეთში მტკიცედ გაბატონებისა და გაუთავებელი ომიანობის გამო აფხაზეთი მშვიდად ვერ გრძნობდა თავს, მით უმეტეს, რომ თურქეთის იმპერია კავკასიაში მიღწეული პოლიტიკური წარმატების განმტკიცებას ცდილობდა ისლამის ნაძალადევი დანერგვით.“ (31, გვ.42).

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, 1730 წ. თურქებმა, მთიელთა ტომების, მათ შორის ჯიქების, დასამორჩილებლად წამოიწყეს ომი. ჯერ დალაშქრეს სამეგრელო, გადაწვეს ილორის განთქმული ეკლესია და შემდეგ შეიჭრნენ აფხაზეთში. აფხაზები ბრძოლით შეხვდნენ, მაგრამ დამარცხდნენ. ამის შემდეგ, თურქები გაეშურნენ ჯიქეთისაკენ. მაგრამ, აფხაზთა აჯანყების გამო იძულებულნი გახდნენ, რომ დაბრუნებულიყვნენ, ამრიგად, ეს ლაშქრობა ჩაიშალა და თურქებმა მალე საქართველოც დატოვეს. (6, ტ.IV, გვ.465– 469). თუმცა, თურქებმა მაინც შეძლეს აფხაზეთისა და ჯიქეთის დამორჩილება.

საქართველოს შავი ზღვის მიწა-წყალზე, განსაკუთრებით აფხაზეთში, ხშირი იყო ჩრდილოეთის მხრიდან მთის ტომებისა და ჯიქების შემოსევები, რის გამოც აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო მხარე თითქმის გაუკაცრიელდა.

ჩრდილოეთ კავკასიის მხარის ტომებში (ადიღეში, ჯიქეთში და სხვ.) XVIII ს-მდე გავრცელებული ყოფილა როგორც ქრისტიანული, ასევე, ადგილობრივი წარმართული რელიგიები. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ადრე, ჯიქეთსა და ადიღეში ქრისტიანობა იყო გავრცელებული. „ბიზანტიური წერილობითი წყაროების ჩვენებით VII საუკუნეში ზღვისპირა ჯიქეთში, ანუ ზიხების ქვეყანაში უკვე სამი საეკლესიო ეპარქია იყო ცნობილი და, ამდენად, ქრისტიანული მოძღვრება იქ საკმაოდ საფუძვლიანად უნდა ყოფილიყო დანერგილი.“ (32, გვ.27). მაგრამ, ბიზანტიის იმპერიის დაცემამ, განსაკუთრებით, საქარ-თველოს პოლიტიკურმა დაშლამ და თურქთა მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში მაჰმადიანობის გავრცელებამ, გამოიწვია აფხაზეთსა და ადიღეში ქრისტიანული სარწმუნეობის შესუსტება. „ყირიმის სახანო, თურქეთის ბრძანებით, ცეცხლითა და მახვილით ნერგავდა ისლამს. 1717 წლიდან მათ ჯიქეთის ეპარქიის ეკლესიები მთლიანად დაანგრიეს, ხოლო სამღვდელოება მოსპეს. აფხაზეთის სამთავრო, რომელსაც ოფიციალურად ემორჩილებოდა ეთნოგრაფიული

ჯიქეთი და რომელსაც გავლენა ჰქონდა დანარჩენ ადიღეელ ტომებზე, ვერ გამოდგებოდა ქრისტიანობის დამცველად ჯიქეთსა და მთიანი ადიღეს სხვა ადგილებში, რადგან თვითონ აფხაზეთში ქრისტიანულ რელიგიას არ ადგა კარგი დღე.“ (31, გვ. 42).

ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ თუ ადრე, X საუკუნემდე, დასავლეთ საქართველოს ყველა საეკლესიო კათედრა „ფაზისის მიტროპოლიტით ლაზეთში, მისდამი დაქვემდებარებული ოთხი ეპისკოპოსით, აფხაზეთის სებასტოპოლის ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი და ჯიქეთში ნიკოფსიის ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი კონსტანტინოპოლის სამწყსოს ექვემდებარებოდნენ“, X საუკუნის დასაწყისიდან „დასა-ვლეთ საქართველოს არც ერთი კათედრა (ლაზეთის, აფხაზეთისა და ჯიქეთის, ნიკოფსიისა) აღარ ექვემდებარება კონსტანტინოპოლის პატრიარქს“. (6. ტ.II, გვ.424). ნიკოფსიის სასულიეროს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა თუ ლიხსიქეთ საქართველოსათვის, არამედ მთლიანად საქართველოსათვის, რადგანაც ის მდებარეობდა ყველაზე უფრო ხელსაყრელ, ერთ-ერთ მთავარ დამაკავშირებელ გზაზე, მდ. ნიკოფსიის (დღევანდელი ნეჩეფსუხო) ხეობაზე, რომელითაც ხორციელდებოდა დაკავშირება ჩრდილო კავკასიისა და მთიან ადიღეურ ტომებთან ეკონომიკური და კულტურული ურთიერთგაცვლა. გარდა ამისა, ამავე გზით ხდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრება. წყაროებიდან ჩანს, რომ „როგორც ალანთა შორის, ასევე ადიღეს მოსახლეობაში საქართველოს ეკლესია, გაცილებით უფრო ადრე დგამდა პრაქტიკულ ნაბიჯს, რისი დამადასტურებელია მდ. ზელენჩუკისა და მდ. ყუბანის სათავეებში შემორჩენილი ეკლესიებისა და ციხე-სიმაგრეთა ნაშთები.....

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეკლესიათა რიცხვი მთიან ადიღეში გაცილებით მეტი იქნებოდა თავის დროზე, ვიდრე სადღეისოდ გვაქვს შემონახული, მაგრამ რაც ამჟამად არსებობს, სავსებით ნათლად მეტყველებს კავკასიის ხალხთა შორის საფუძვლიან კულტურულ ურთიერთობაზე.....

წყაროებმა შემოგვინახეს ზოგიერთი ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ გარკვეული კავშირი აღმოსავლეთ საქართველოსა და ადიღეს შორის მონათვაჭრობაშიც დამყარებულა. მემატიანის სიტყვით, ქართლის მეფე სიმონ I (1558–1600) ირანის შაჰის კარზე გასაგზავნ მონებს ჩრდილოეთ კავკასიაში და მათ შორის ჯიქეთ-ჩერქეზეთშიც ყიდულობდა.

სამეგრელოსა და აფხაზეთის ვაჭრები აქტიურად მიმოდიოდნენ ჯიქეთის სანაპიროზე მდებარე ნავსადგურებში, ხოლო ჯიქები, და, საერთოდ, ადიღეელები არცთუ იშვიათად მონაწილეობდნენ ილორის ბაზრობაში“. (31, გვ.60-61).

წყაროებიდან ირკვევა, რომ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის I ნახევარში, ჯიქეთის მიწა-წყალი, ძლიერ შემცირებულა. ამ დროს ჯიქეთი და „შავიზღვისპირეთი ოფიციალურ წრეებში იურიდიულად საქართველოს კუთვნილ ნაწილად იყო მიჩნეული“. (32, გვ.45). „ვახუშტი ბატონიშვილს „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში ჯიქეთი (იგულისხმება ჯიქეთი ვიწრო გაგებით) შეტანილი აქვს საქართველოს სამეფოსადმი კუთვნილ ქვეყანათა სიაში.“ (31, გვ.5).

19. ქაშაგები.

სიტყვა „ქაშაგი“, „ქეშიგი“, წერილობითი წყაროების მიხედვით ადიღეელთა ტომების საერთო კრებითი აღმნიშვნელი სახელწოდებაა და ისტორიკოსის სიმონ ჯანაშიას (1900–1947) თქმით, სიტყვა „ქაშაგი“ „შეესიტყვება ძველ რუსულ კასოგ-ს, თანამედროვე ოსურ „ქასაგ“-ს და ჩერქეზებს აღნიშნავს...

ადიღეელების კრებით სახელად სვანებს დღესაც შემორჩენილი აქვთ ტერმინი „ქაშქი“. სავარაუდოა, რომ ეს ეთნონიმი ოსებმა სვანების მეშვეობით შეითვისეს. საფიქრებელია, რომ ადიღეელთა კრებით სახე-ლებს შორის „ქაშაგი, ქაშქი, ქეშიგი“ ერთი ყველაზე უფრო ძველთაგანია. გარდა ამისა, აშკარაა, რომ ლიტერატურულ ძეგლებში ამ ტერმინმა შედარებით გვიან შეაღწია და მკვიდრად ვერ მოიკიდა ფეხი.

საყურადღებოა, რომ ჩვენს ისტორიოგრაფიაში სახელწოდება „ქაშაგ“-ს უკავშირებენ ხეთური წარმოების „ქაშქა“-ს, რაც სპეციალისტებს საშუალებას აძლევს აფხაზურ-ადიღეური და პროტოხეთური ტომების გარკვეული ნაწილი ურთიერთმონათესავედ მიიჩნიოს.“ (31, გვ.24). გ. მელიქიშვილი წერს, რომ: „ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიის მთიელთა ზოგადი სახელი ხეთებთან „ქასქა“ იგივე „ქაშაგი“ უნდა იყოს, რასაც შუა საუკუნეების (არაბული, რუსული) წყაროები უწოდებენ ჩერქეზებს (ადიღეელებს)... მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ თვით ხეთებთან „ქაშქა“ სახელი ეთნიკურად ერთი გარკვეული ჯგუფის ტომების აღსანიშნავად იხმარებოდა, იგი უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთის მთიელთა კრებითი სახელი იყო და ალბათ ამ მხარეში მოსახლე ქართველ ტომებსაც მოიცავდა.“ (6, ტ.I, გვ.360).

არაბი ისტორიკოსი და მოგზაური ალ-მასუდი აბუ ლ-ჰასან ალი იბნ ალ-ჰუსაინი (IX ს. დასასრული – 956/57) 943 წელს აღნიშნავდა, რომ „ხალხი ქაშაგთა ქვეყნისა“ ცხოვრობდა ალანების მეზობლად, კავკასიისა (კავკასიონის ქედისა) და რუმის ზღვას (შავ ზღვას) შორის. ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე VII პორფიროგენეტი (905–959) წერდა, რომ „ზიხების ზევით მდებარეობს ქვეყანა, რომელსაც ეწოდება პაპაგია – ქვეყანა სახელწოდებით ქასახია, ქასახიის ზევით მდებარეობს კავკასიის მთები, ამ მთების ზევით – ალანიის ქვეყანა“. (147).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ში აღნიშნულია, რომ თამარ მეფის დროს, ვარდან დადი-ანმა „შეყარა ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგრიო, გურია, სამო-ქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი. მომრთველმან სანიგთა და ქაშაგთამან აფიცნა რუსისა გამეფებისა და მისის მეფე-ყოფისათჳს დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყანისანი“. (3, გვ.422). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აჯანყებული დადიანი დამარცხდა. ხოლო, „უბედური რუსი“ თამარმა შეიწყალა და „წარვიდა, მასვე მისსა სუეუბედურსა გზასა გაემართა. და შეიქმნა მშჯდობა, სიხარული და ერთობა“. (3, გვ.427). „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ ჩრდილოეთ კავკასიელები: ქაშაგები, ხუნძები, ლეკები, დარუბანდელნი და ოსები იყვნენ, თამარ მეფის მოკავშირეები და ვასალები. ამის შემდგომ, „ქართლის ცხოვრება“-ში ქაშაგები აღარ იხსენიება.

20. ა ფ ს ი ლ ე ბ ი.

ზევით აღვნიშნეთ, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მდებარე, კოლხეთისა და ლაზიკის (ეგრისის) სამეფოების ჩრდილოეთით, მთიან და სანაპირო მხარეში და მთელი თანამედროვე აფხაზეთის მიწა-წყალზე, ადრეანტიკურ ხანაში ქართული ტომები სახლობდნენ.

მეცნიერთა მტკიცებით, **აფსილები** (აფშილები) და **აბაზგები** (აბაზგია, აბასგები, აბასკები) იყვნენ ქართვ-ლური და არა დღევანდელ აფხაზეთის მიწა-წყალზე მცხოვრები, ეგრეთ წოდებული „აფხაზების“ წინაპარი ტომები. ეს ტომები, ძველი აფხაზები, აფსილები და აბაზგები, ეკუთვნოდნენ მეგრულ-ჭანურ ტომებს.

აფსილები (აფშილები) პირველად მოხსენებულია პლინიუსის მიერ. როგორც ირკვევა ისტორიული წყაროებიდან, აფსილეთის ეთნიკურ-პოლიტიკური ერთეული წარმოიქმნა ძველ კოლხეთში, დღევანდელი აფხაზეთის მიწა-წყალზე, გალის რაიონში და 1 საუკუნეში ჩამოყალიბდა აფსილეთის სამთავროდ. წყაროებიდან ჩანს, რომ ის ერთ ხანს ემორჩილებოდა ბიზანტიას. ხოლო, II საუკუნის ბოლოს აფსილეთის სამთავრო ლაზეთის (ეგრისის) სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. V საუკუნიდან აფსილეთის სამთავრომ თანდათან ჩრდილოეთით გადაინაცვლა და ის მოიცავდა ეხლანდელ გულრიფშისა და სოხუმის მიდამოებს. ფლავიუს არიანეც ახსენებს აბშილებს. როგორც ცნობილია, არიანემ თავად მოიარა 131 წელს შავი ზღვის სანაპიროები და კოლხეთი. მის მიერ დაწერილ თხზულებაში – „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, ამბობს, რომ ფაზისის ორივე ნაპირზე ლაზები მოსახლეობენ და რომ „ლაზებს შემდგომ ჩრდილოეთით აფშილები ბინადრობენ, რომელთა მეფე იულიანე კეისრის მიერ იყო დამტკიცებული“. (1, ტ.I, გვ.424). აფსილეთის მეფე ი უ ლ ი ა ნ ე მ (II ს-ის I ნახ.) მეფობა მიიღო რომის იმპერატორის (98–117) მ ა რ კ უ ს უ ლ პ ი უ ს ტ რ ა ი ა ნ ე ს ა გ ა ნ (53–117).

ი. ჯავახიშვილს მოჰყავს პროკოპი კესარიელეს აღწერილობიდან ადგილი, სადაც იგი გადმოგვცემს აფსილების დასახლების ადგილმდებარეობას: „რიონს ჩრილოეთითვე, ევროპაში, მდებარეობს აფშილეთი („აფსილიონ ხორა“ აფსილების ქვეყანა), რომელიც ლაზებს ემორჩილება. აფშილეთის ჩრდილოეთის საზღვრის გამორკვევა ცოტადაც მაინც იმით შეიძლება, რომ პროკოფი კესარიელის სიტყვით, თურმე, მაგარი ციხე „წიბელი“ (ტძიბილე), ეხლანდელი „წებელდა“ აფშილების ქვეყანაში ყოფილა“. (1, ტ.I, გვ.426).

ბიზანტიელი ფილოსოფოსის თ ე მ ი ს ტ ი ო ს ი ს (დაახლ. 317–388) გადმოცემით, „ლაზიკა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, მეტადრე მდ. რიონის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილი. სამხრეთით მოსახლეობა განუწყვეტლივი ომიანობის გამო თხლად იყო. ციხე-ქალაქებიც ბლომად არსებობდა ლაზიკაში. სხვებზე უფრო თვალსაჩინოდ ძველი ქალაქი (არხა პოლის), ფაზისი (ფოთი), ვარდციხე, ონოგური, წიბელი, სკანდა და შორაპანი ითვლებოდნენ. მთელ ლაზიკაში სიმდიდრით მოხურისი ყოფილა განთქმული. ამ მოხერისის ანუ მუხირის (მუხურის?) სანახებში ბევრი და დიდი დაბები ყოფილა, ქვეყანა ხშირი მოსახლეობით ყოფილა მოფენილი და ნიადაგიც საუკეთესოდ ითვლებოდა. ამისთანა ადგილი მთელს ლაზიკაში სხვა არ მოიძებნებოდა. იქ მშვენიერი ღვინო მოდიოდა და სხვა ყოველ-გვარი ხილეულობა და ნაყოფიც კარგის ღირსებისა იცოდა“. (1, ტ.I, გვ.274).

IV საუკუნეში აფშილეთში ქრისტიანული სარწმუნეობა სახელმწიფო რელიგიად

გამოცხადდა.

პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს, რომ 550 წელს, აფსილეთის მმართველი და ლაზების ჯარების უფროსი ტერდეტე აჯანყებულა. „აფშილებს, რომელნიც რიონის ჩრდილოეთით აფხაზების და ლაზების შორის ბინადრობდნენ და იმთავითვე ლაზებს ემორჩილებოდნენ, ერთი ძლიერი ციხე წიბელდა ჰქონდათ. ტერდეტემ მეფე გუბაზს როგორღაც შესცოდა და რაკი სასჯელს მოელოდა, აიღო და ეს ციხეც საიდუმლოდ სპარსელებს გადასცა. თითონაც, რასაკვირველია, იმათ მხარეზე გადავიდა, მაგრამ მერმე ინანა“. (1, ტ.I, გვ.253). „ირანელებმა თავი აფშილეთის ბატონ-პატრონებად წარმოიდგინეს და გათავხედნენ. ირანელმა სარდალმა შეურაცხოფა მიაყენა წიბელეს მეციხოვნეთა რაზმის უფროსის ცოლს, ტომით აფშილს. ამით აღშფოთებულმა აფშილებმა მთლიანად ამოჟლიტეს ციხეში შესული ირანელები. გუბაზმა ბიზანტიელთა რაზმი გაგზავნა აფშილების ქვეყანაში და აფშილებიც უბრძოლველად კვლავ ლაზთა მეფეს დაემორჩილნენ“ (6, ტ.II, გვ.259). ი. ჯავახიშვილი წერს, რომ: „ბიზანტიელი ჯარი იოანე გუზის მეთაურობით აფშილეთში (აფსილია) შევიდა და მშვიდობიანი მოლაპ-არაკებით იგი ისევ გუბაზს დაუმორჩილა“. (1, ტ.I, გვ.253).

ბიზანტიელი ისტორიკოსისა და პოეტის აგათია სქოლასტიკოსისა (დაახლ. 536 – დაახლ. 582) და პროკოპი კესარიელის გადმოცემით, 552 წელს ირან-ბიზანტიის ომის დროს, ირანელები ეგრისში გადავიდნენ და რამდენიმე წარუმატებელი ბრძოლის შემდეგ მიადგნენ, აბსილეთის მთავარ ციხე-სიმაგრე **ციბილიუსს** (ციბილიუმი, წებელდა, წიბილ, წიბილურ, წიბელი, წიბელიოს, წიფელდა, ტძიბილე), რომელიც მდებარეობდა მდ. კოდორის შუა და ზემო წყლის აუზში (დღევანდელ გულრიფშის მიდამოებში შემორჩენილია რამდენიმე ციხის ნაშთები), „აფშილებისა და მისიმიელთა საზღვარზე“, (1, ტ.I, გვ.258). მაგრამ ვერ აუღიათ.

„ფეოდალურ ხანაში წებელდა მარშანიების ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა. მდ. კოდორის ხეობის ერთი მონაკვეთი – დალი გვიან საუკუნეში გამოეყო წებელდას... 1866 წლის აფხაზეთის აჯანყების დროს წებელდის მოსახლეობა აქტიურად იბრძოდა ადგილობრივი ფეოდალებისა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. შემდეგში წებელდის მოსახლეობა იძულებით თურქეთში გადასახლდა. (8, ტ.11, გვ.302).

VI საუკუნის დასასრულს, ეგრისის სამეფოს ძლიერება თანდათან სუსტდება და ის კარგავს სამთა-ვროებზე გავლენას. აბშილეთიც გამოეყო მას და ის უშუალოდ დაექვემდებარა ბიზანტიას. ხოლო, VIII საუკუნეში აფსილები აბაზგიის შემადგენლობაში მოექცა და ამის შემდეგ მისი სახელი „აფსილი“, „აფსი-ლეთი“ წყაროებში აღარ იხსენიება. „აფსილების სახელი შემონახულია აფხაზების საკუთარ სახელწო-დებაში „აფსუა“. (8, ტ.2, გვ.28).

21. აბაზგები.

აფხაზების ერთ-ერთი წინაპარი ტომი **აბაზგები** (აბაზგია, აბასგები, აბასკები, აბასხები) წყაროებიდან ჩანს, რომ ადრე ცხოვრობდნენ შავი ზღვისპირა მცირე ზოლში, ეხლანდელ ოჩამჩირის მიწა-წყალზე, მდ. ღალიძგას შესართავზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძვ. წ. I და II საუკუნეში, დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე და ბარში ჩამოსახლდნენ მთიელები და თანდათან წარმოიქმნა პოლიტიკური ერთე-ულები. რომაული წყაროებიდან

ირკვევა, რომ ახ. წ. I საუკუნის შუა ხანებში ისტორიული კოლხეთის მიწა-წყალზე წარმოიქმნა „ჰენიოხებისა და მათთან გაერთიანებული მაკრონების (მახელონების), ლაზთა, აფშილებისა და აბაზგების „სამეფოები“. (6, ტ.I, გვ.541). ი. ჯავახიშვილი წერს, რომ აბაზგები პირველად მოიხსენია II საუკუნეში არიანე ფლავიუსმა და რომ „აფშილების მოსაზღვრედ აბასხები არიან; მათი მეფეც რისმაგი კეისრის დამტკიცებული ყოფილა“. (1, ტ.I, გვ.424). წყაროებიდან ირკვევა, რომ II საუკუნის 30-იან წლებში აბასგები გავრცელებულან დიოსკურიიდან ვიდრე მდ. აბასგოსამდე (დღევანდელი ფსოუ), „სადაც ადრე, არიანეს მიხედვით, სანიგები (ჰენიოხები) ივარაუდებიან. ეგების ადრე სამხრეთით წამოწეული აფშილები და აბასგები ლაზებმა კოდორს გადაღმა უკუაგდეს, სადამდეც ადრებიზანტიური ხანის ცნობებით, ეთნოგრაფიულად უკვე ლაზების ტერიტორია ვრცელდებოდა.“ (6, ტ.I, გვ.545). წყაროებიდან ირკვევა, რომ II საუკუნის ბოლოს ლაზებმა დაიმორჩილეს მის ჩრდილოეთით მდებარე აფშილები, აბაზგები და სანიგების ტომები და ისინი ლაზეთის (ეგრისის) სამეფოში გაერთიანდნენ. მაგრამ, პროკოპი კესარიელის გადმოცემით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი „ძველთაგანვე ლაზების ქვეშერდომნი იყვნენ“, ჰყავდათ ორი მთავარი..... ამ ტომთა მთავრების გარდაცვალების შემთხვევაში, მათ ახალ მთავარს თვისტომთაგან ლაზეთის მეფე უნიშნავს“. (6, ტ.II, გვ.165). წყაროებიდან ჩანს, რომ VI საუკუნიდან დაწყებული აბაზგებმა თანდათან ჩრდილოეთით გადაინაცვლეს და დაიკავეს სანიგების გვერდით მიწები, მდ. გუმისთასა და ბზიფს შუა. მათი მთავარი ქალაქები იყო ჩრდილოეთში **ბიჭვინთა,** ხოლო სამხრეთში – **ანაკოფია**. აბაზგები შედგებოდნენ ორი სამთავროსაგან: დასავლეთისა და აღმოსავლეთისაგან. VI საუკუნის I ნახევარში, მათი მთავრების ძალადობის გამო, აბაზგები აჯანყდნენ, მოსპეს ორივე მთავარი და ბიზანტიას დაემორჩილნენ.

მ. ლორთქიფანიძე წერს, რომ: „დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომები ადრე ეგრისის სამეფოში იყვნენ გაერთიანებულნი. VI ს. დამდეგიდან აბაზგები, რომლებიც აფშილებზე ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ, გადაუდგნენ ეგრისის მეფეს და თავი უშუალოდ ბიზანტიელთა ქვეშევრდო-მებად გამოაცხადეს.“ (6, ტ.II, გვ.258).

აბზგებმა „იუსტინიანე კეისრის მოთხოვნით ქრისტიანობა მიიღეს. ამით ბიზანტიელებს აბაზგების შემომტკიცება სურდათ. ბიჭვინტასა და ცხუმში (სებასტოპოლისი) ბიზანტიელი მეციხოვნენი ჩადგნენ. ეგრისში ირანელების პირველი შემოჭრის დროს ბიზანტიელებმა ეს ციხეები მიწასთან გაასწორეს, რადგან შიშობდნენ, მტერს არ ჩავარდნოდათ ხელში.

როცა ბიზანტიელი მოხელეები და კარისკაცები კვლავ მოვიდნენ აბაზგიაში, მათ ახალი წესების დამყარება მოიწადინეს, რათა ეს ქვეყანა მთლიანად დაემორჩილებინათ კეისრის ძალაუფლებისათვის. პრო-კოპი კესარიელი დაუფარავად ამბობს: „ამ ძალადობის გამო აბაზგები პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნენ. იმის შიშით, რომ ამიერიდან რომაელთა მონებად არ გამხდარიყვნენ, მათ კვლავ დაიყენეს თავისთვის მთავრები, აღმოსავ-ლეთის ნაწილისათვის ოფსიტე სახელად, ხოლო დასავლეთისათვის სკეპარნა“. სკეპარნა ხოსროსთან ირანში ფარულად წავიდა, რათა ბიზანტიელების წინააღმდეგ დახმარება მიეღო. ეს რომ იუსტინიანემ გაიგო, ბესას უბრძანა დიდი ჯარი გაეგზავნა განდგომილების დასას-ჯელად. ჯარი აბაზგებს ზღვიდან მიადგა ნავებით. ოფსიტემ შეკრიბა ყველა მამაკაცი და გადაწყვიტა მტერს დახვედროდა. აბაზგები გამაგრდნენ ერთ მიუვალ ციხეში, რომელსაც ბერძნულად ტრაქეას ეძახდნენ (თანამედროვე გაგრის მახლობლად). ბიზანტიელებმა ციხეს

ალყა შემოარტყეს. აბაზგები თავდაუზოგავად იბრძოდნენ, მაგრამ იძულებული გახდნენ ციხე დაეთმოთ. ბოლოს ისინი სახურავებზე ავიდნენ და მტერს ზემოდან დაუშინეს ისრები. ბიზანტიელების საქმე ცუდად იყო, რომ სახლებისათვის ცეცხლი არ წაეკიდებინათ. აბაზგთა მთავარმა ოფსიტემ რამდენიმე კაცით თავს გაქცევით უშველა, ხოლო დანარჩენები ან ფერფლად იქცნენ გადამწვარ სახლებთან ერთად, ან მტრის ხელში ჩავარდნენ. რომაელებმა დაატყვევეს მთავართა ცოლები მთელი მათი შთამომავლობით, ციხის გალავანი კი მიწასთან გაასწორეს და მთელი მიწა-წყალი უდაბნოდ აქციეს. ასე დაბოლოვდა აბაზგების განდგომა". (6, ტ.II, გვ.258).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ VIII საუკუნეში აბაზგია და აფშილეთი ერთ სამთავროდ გაერთიანდა. ხოლო, ამავე, **VIII საუკუნის ბოლოსათვის ძირითადათ დასრულდა აფხაზი ხალხის ჩამოყალიბება. მასში გაერთიანებულნი აღმოჩნდნენ ქართველური ტომები: ჰენიოხები, აბაზგები, აფსილები, აქაველები, სანიგები და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე სხვა უძველესი მოსახლე ტომები.**

„XIX საუკუნის შუა ხანებში აფხაზეთს ეჭირათ მდინარეებს ხოსტსა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორია და რამდენიმე ჯგუფად იყოფოდნენ. ზღვისპირელი და მთიელი საძები (ჯიქები) ცხოვრობდნენ ხოსტასა და გაგრას შორის (ე. წ. მცირე აფხაზეთი), ე. წ. დიდ აფხაზეთში (ახლანდ. გუდაუთის რაიონში) ცხოვრობდნენ ბზიფელები, გუმაელები (სოხუმში და მის მიდამოებში), აბჟუელები (ახლანდ. ოჩამჩირის რაიონში), სამურზაყანოელი აფხაზები (ახლანდ. გალის რაიონში), აგრეთვე ფსხუს (ბზიფის ზემოწელი), გუმის (გუმისთის ზემოწელი), დალცაბალის (კოდორის ზემოწელი) და სხვ. მთის თემების მოსახლეობა. მუჰაჯირობის შემდეგ აქ დარჩნენ მხოლოდ სამურზაყანოლოები, ბზიფელთა და აბჟუელთა ნაწილი, რომლებიც წარსულში საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული დიალექტური და კულტურული თავისებურებით გამოირჩეოდნენ. ეს განსხვავება თანდათან ქრება." (8, ტ.2, გვ.29).

„სახელწოდება „აბაზგი" იმავე ფუძისაა, რაც „აფსილი" (დიალექტ. გაჟღერებული ფორმა). ამ სიტყვისაგან მომდინარეობს ქართული „აბხაზი" – აფხაზი". (8, ტ.1, გვ.11).

ა. თოთაძე აღნიშნავს: „აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ „აბაზგ" ეთნონიმს არაფერი აქვს საერთო კავკასიონის ჩრდილოეთით მცხოვრები აბაზინელების აღმნიშვნელ „აბაზა" ეთნონიმთან. აქ მხოლოდ გარკვეულ მსგავსებასთან გვაქვს საქმე. როგორც თ. გამყრელიძე აღნიშნავს, არსაიდან ჩანს ამ ეთნონიმთა შორის ეტიმოლოგიური კავშირი. ისინი ისტორიულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფორმებს უნდა წარმოადგენდნენ „ბერძნ. „აბაზგ„ – ფორმა ქართულში დადასტურებულ „აფხაზ" – ეთნონიმის ისტორიული ექვივალენტია... ხოლო „აბაზა" სახელი სულ სხვა შინაარსს გამოხატავს და ჩრდილო-კავკასიურ, ჩერქეზულ-ადიღეურ ენობრივ სამყაროს განეკუთვნება". (24, გვ.19).

22. ს ა ნ ი გ ე ბ ი.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ახ. წ. I–II საუკუნეებში, შავი ზღვის აღმოსავლეთში, კოლხეთის ჩრდილოეთ მხარეში, ეხლანდელ აფხაზეთის მიწა-წყალზე, სებასტოპოლისის (ეხლანდ. სოხუმი) მიდამოებში, ჩამოყალიბდა **სანიგების** (სანიხები, სანიკები) სამეფო. ეს, „ძველი დასავლურ-ქართული ტომი პირველად იხსენიება I–II სს. ავტორები – პლინიუსი,

არიანე, მემნონი. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით სანიგები იგივე ზანები (მეგრელ-ჭანები) იყვნენ. სხვების აზრით – სვანები. არსებობს აგრეთვე მოსაზრება, რომ სანიგები ჯიქები (საძები) იყვნენ". „სანიგების „მეფეს" – სპადაგას, რომელსაც ძალაუფლება იმპერატორმა ადრიანესგან მიუღია, იხსენიებს არიანე II საუკუნის I ნახევარში. როგორც მეფის სახელიდან ჩანს, იგი ადგილობრივი დინასტი უნდა ყოფილიყო. ს. ჯანაშიას სანიგები კოლხეთის სკეპტურიებად დაშლის შედეგად წარმოქმნილ სამეფოდ მიაჩნია. გ. მელიქიშვილის აზრით, სანიგეთის გაერთიანება წარმოადგენდა ტომთა კავშირს სახელმწიფოებრიობის ძლიერი ჩანასახით". (8, ტ.9, გვ.81).

ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ა რ რ ი ა ნ ე, რომელმაც მთელი შავი ზღვის ნაპირი მოიხილა თავისი მოგზაურობის შესახებ კეისარს მოხსენება წარუდგინა, მოგვითხრობს, რომ.... აბასხებს გვერდით **სანიგები** (თუ ჭანები?) არიან, სწორედ მათ ქვეყანაშია ქ. სებასტოპოლისი, ანუ დიოსკურია; სანიგების მეფე სპადაგიც კეისრის დადგენილი იყო." (1, ტ.I, გვ.424).

წყაროებიდან ჩანს, რომ ახ. წ. II საუკუნის II ნახევრიდან, ეგრისის (ლაზეთის) სამეფოში შედიოდა მთლიანად ლიხსიქეთ საქართველო და სანიგებიც ემორჩილებოდნენ ლაზეთის ხელისუფლებას. ხოლო, VI საუკუნეში ბიზანტია-ირანს შორის ომის დროს, რომელიც ძირითადათ მიმდინარეობდა ეგრისის მიწა-წყალზე, ეგრისი თანდათან დასუსტდა და მან დაკარგა მასში შემავალი სამთავროები. დაიწყო გაძლიერება აბაზგიის საერისთაომ. რომელმაც თანდათან შეიერთა მეზობელი „სამეფო-სამთავროები" და VII საუკუნეში სანიგებიც მის გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ.

პ. ინგოროყვა წერს, რომ: „ზღვისპირა აფხაზეთი ანუ ძველი სამხრეთი ჰენიოხეთი (სანიხეთი, სანიგეთი). – ძღვისპირა მხარე ისტორიული აფხაზეთისა, სახელდობრ ზონა სუხუმის, ლიხნი-ბიჭვინთის, გაგრის და ადლერის სექტორებისა ანტიკურ ხანაში შედიოდა ჰენიოხების (სანიხების, სანიგების) ტომის ტერიტორიის ფარგლებში, ხოლო ანტიკური ხანის დასასრულს ეს მხარე მეზობელ აფხაზთა ტომის ტერიტორიის ფარგლებში გადასულა. წყაროების ჩვენებათა შეფარდებიდან ირკვევა, რომ ეს მომხდარა მე-3–4 საუკუნეებში ახალი წელთაღრიცხვისა. ამ დროიდან მოკიდებული, საშუალო საუკუნეთა განმავლობაში, ეს ზონა აფხაზთა სატომო ტერიტორიის ნაწილს შეადგენს. პოლიტიკური ცენტრი ამ მხარისა – ზღვისპირა აფხაზეთისა (ძველი სამხრეთი ჰენიოხეთისა) იყო ცხუმი (თანამედროვე სუხუმი), ხოლო საეკლესიო ცენტრი – ბიჭვინთა (რეზიდენცია აფხაზეთის კათალიკოსთა).

ადრეული საშუალო საუკუნეების საისტორიო წყაროებში მოხსენებული ორი სამთავრო აფხაზეთისა – ეს არის.... მთიანი აფხაზეთი (ძირითადი აფხაზეთი) და ზღვისპირა აფხაზეთი". (10, გვ.123).

თავი VI. ჩ რ დ ი ლ ო - დ ა ს ა ვ ლ ე თ კ ა ვ კ ა ს ი ე ლ ე ბ ი.

ნ. ბერძენიშვილი საქართველოსა და იმიერ კავკასიის ხალხთა ურთიერთობის შესახებ წერდა:

„კავკასიის მთიანეთსა და იმიერკავკასიის მთისძირობა ქვეყნებს უძველესი დროიდანვე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ამიერკავკასიასთან. ეს ურთიერთობა, რასაკვირველია, მაშინაც

გრძელდებოდა, როცა ფეოდალურად დაწინაურებულ საქართველოში იზრდებოდა და ძლიერდებოდა ქვეყნის პოლიტიკური გაერ-თიანების დიდი პროცესი. აფხაზთა მთავრები თუ გაერთიანებული საქართველოს მეფეები სულ უფრო და უფრო მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკურსა და კულტურულ ურთიერთობას აბამდნენ თავის ამ ჩრდილოეთის მოძმე-მეზობლებთან. ჩერქეზ-ოსები თუ დურძუკ-ხუნძები სულ უფრო და უფრო ორგანულად მონაწი-ლეობდნენ კავკასიის ერთიანი დიდი ფეოდალური სამყაროს წარმოქმნაში და, ბუნებრივია, ისინი ვერ დარჩებოდნენ იმ სამყაროს გარეთ, რომელიც ხსენებული პროცესის შედეგად საქართველოს მოთავეობით წარმოიქმნა. ასე რომ, თამარის მეფობის უკანასკნელ ხანაში ყველა ეს იმიერკავკასიელი მთიელები საქართველოს მეფის ყმადნაფიცთა შორის იმყოფებოდნენ და პოლიტიკური გავლენის გარდა ფეოდალური საქართველოს ძლიერ კულტურულ გავლენას განიცდიდნენ“. (7, გვ.204).

საქართველოს ჩრდილო-დასავლეთში ემეზობლებოდნენ ადიღეური ტომები (ადიღეელები, ყაბარდოელები და ჩერქეზები), რომლებიც დღევანდელ დღეს წარმოადგენენ ადგილობრივ უძველეს კავკასიელთა მკვიდრ მონათესავე მოსახლეობის შთამომავლებს. მათი საბოლოო ჩამოყალიბებაში მიიღეს მონაწილეობა ირანულ-ენოვანმა მომთაბარე ტომებმა (ალანებმა, ყივჩა-ყებმა, ბულგარელებმა და სხვ.), მაგრამ, ძირითადი ნაწილი დარჩა ადგილობრივი მთიელთა ტომები. მათი ძირითადი საქმიანობა იყო მესაქონლეობა, მიწათმოქმედება და რეწვა.

1. ა დ ი ღ ე ე ლ ე ბ ი .

ადიღეელების შესახებ მ. ცინცაძე აღნიშნავს, „ადიღე-საქართველოს ხალხთა ურთიერთობის ისტორია სპეციალური შესწავლის საგნად არავის გაუხდია; აღნიშნული საკითხის მონოგრაფიული დამუშავება თავი-სთავად რთულდება არსებული ისტორიული წყაროების მეტისმეტი სიმცირის გამო, მაგრამ, რაც არის, ადიღეელთა ისტორიის მკვლევართა მიერ ვერაა სათანადოდ გამოყენებული. აქ ვგულისხმობთ თანამედროვე ადიღეელი და რუსი ისტორიკოსების იმ ნაწილს, რომლებიც სპეციალურად ადიღე-ჩერქეზეთის ისტორიაზე მუშაობენ (ბ. ჯიმოვი, ე. ალექსეევი, ე. ნევსკაია და სხვ.). მათ ქართული ისტორიული წყაროების არასაკმარისი ცოდნის გამო ბევრი საინტერესო ცნობა ყურადღების მიღმა რჩებათ.

წერილობითი წყაროების სიმცირეს, ნაწილობრივ, ავსებს ის მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც მოპოვებულია გასულსა და მიმდინარე საუკუნეებში და სადაც კარგად ჩანს კავკასიის ხალხთა ურთიერთობის ამსახველი არაერთი მომენტი“. (31, გვ.3).

ჯ. კვიციანი აღნიშნავს, რომ „ადიღე-საქართველოს ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ლეონტი მროველის ცნობით, მეფე არმაზის დროს ქართლის ლაშქარში ჯიქებიც მსახურობდნენ. ჯუანშერის ცნობით, 456 წელს ეს მხარე ვახტანგ გორგასალს დაულაშქრავს. საინტერესო ცნობაა, რომ 656 წელს კონსტანტინოპოლის მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებამ ჯიქეთის ეპარქია მცხეთის საკათალიკოსოს დაუქვემდებარა. XII–XIII საუკუნეებში ადიღე საქართველოს პოლიტიკურ გავლენაში მოექცა, რამაც ხელი შეუწყო აქ ქრისტიანობის გავრცელებას“. (12, გვ.156).

„ადიღეელ ტომებს ეკავათ საკმაოდ ვრცელი და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ტერიტორია ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მდ. ყუბანის აუზში.....

სამფლობელოები განიცდიდნენ მეტნაკლებ ტერიტორიულ ცვლილებებს, მაგრამ ამ ხალხის ძირითადი ნაწილი ყოველთვის აღნიშნულ ტერიტორიის ფარგლებში რჩებოდა“. (31, გვ.5).

ცნობილია, რომ ადიღეელებმა ძველი ქვის დროიდან დაწყებული, ყველა ცნობილი ხანის კულტურა გამოიარეს. ადიღეელები მრავალი ტომებისაგან შედგებოდნენ, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი იყვნენ ნათესაური ურთიერთობით და ენით. ენის მხრივ ადიღეელები განეკუთვნებიან იბერიულ-კავკასიურ ოჯახს, სადაც შედის ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ნახურ და დაღესტნურ ენათა ჯგუფები. მეცნიერები თვლიან, რომ ადიღეელების წინაპარი ტომები, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცხოვრობდნენ, იყვნენ: **სინდები, მეოტები, კერკეტები, ტორეტები, ზიხები (ჯიქები)** და სხვა ტომები, რომლებიც სხვადასხვა პირობების გამო, ან შეერივნენ სხვა ტომებს, ან საერთოდ გადაშენდნენ. ძვ. წ. IV–V საუკუნეებში თანდათან ადიღეელთა ზოგიერთმა ტომებმა დაიკავეს ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთში მდ. ყუბანისა და შავი-ზღვისპირეთის მიწა-წყალი. წყაროებში ყუბანისპირელი ადიღეელები მოხსენებულნი არიან როგორც **მეოტები**, ხოლო შავიზღვისპირელი ტომები კი – საკუთარი სახელწოდებებით: **ზიხები, კერკეტებით** და სხვ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძვ. წ. V საუკუნეში, სინდებმა ცალკე დამოუკიდებელი სამეფო შექმნეს. ხოლო შემდეგ ძვ. წ. IV საუკუნიდან ბოსფორის სამეფოში მოექცნენ. ახ. წ. I საუკუნეში ადიღეელებს სკვითები, სარმატები და ალანები შემოესივნენ. ხოლო IV საუკუნეში – ჰუნები. ახ. წ. I საუკუნიდან თანდათან ზოგიერთი ადიღური ტომები ძლიერდებიან და დროთა განმავლობაში დაიწყეს მონაწილეობის მიღება კავკასიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყველაზე უფრო მეტად გაძლიერდა ზიხების (ჯიქები) ტომი, რომელმაც, V საუკუნეში ყველა ადიღური ტომები დაიმორჩილა, ხოლო ზოგიერთი ტომები თავის საცხოვრებელი ადგილებიდან გააძევა და შექმნა ადიღეელთა ტომთა კავშირი. ხოლო VIII – IX საუკუნეებში შავიზღვისპირეთში ის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ წერილობით წყაროებში, ადიღეელები, საერთო სახელწოდებით, „ჯიქების“ („ქაშქები“, „ქაშაქები“) სახელით არის მოხსენებული. უცხოურ წყაროებში VI საუკუნიდან, ადიღეელებს ძირითადათ იხსენიებენ „ზიხების“ სახელწოდებით. X საუკუნის რუსულ წყარო-ებში ადიღეები მოხსენებულნი არიან „კასოგი“-ებად. ხოლო XIII საუკუნის 40-იანი წლებიდან თურქები ადიღეელებს უწოდებენ ჩერქეზებს, ეს სახელწოდება „ჩერქეზი“ თანდათან გავრცელდა ევროპაში და აღმოსავლეთშიც. X–XII საუკუნეებში არაბთა და სხვა აღმოსავლურ წყაროებში ყველა ადიღეელთა ტომები, მოხსენებულნი არიან როგორც ერთი ერი.

VI–X საუკუნეებში ბიზანტიამ ნაწილობრივ შეძლო ადიღეელების დამორჩილება და იქ ცდილობდა ქრისტიანობის გავრცელებას. „ქართლის ცხოვრება“-ში მოთხრობილია, რომ ანდრია მოციქულს (პირველწოდებული), რომელიც საქართველოში ცნობილი იყო როგორც ქართველებში ქრისტიანობის პირველი მქადაგებელ-გამავრცელებელი და ზოგი მეცნიერის აზრით, იგი იყო საქართველოში ეკლესიის დამფუძნებელი, უცდია ჯიქების (ადიღეელების) გაქრისტიანება. ანდრია მოციქული „თავად ჯიქეთისა ქვეყნად აღვიდა. ხოლო კაცნი მის ქუეყანისანი ჯიქნი იყვნეს კაცნი ფიცხელნი გულითა და საქმითა შინა ბოროტთა განფრდილნი, ურწმუნონი და უძღებნი. რომელთა არა შეწყნარეს ქადაგება მოციქულისა, არამედ ენება მოკლვა მისი. ხოლო მადლმან ღვთისამან დაიცვა და იხილა რა მიუდრეკელობა

მათი და პირუტყუებრივი გონება, დაუტევა და წარვიდა. ამისთჳსცა ვიდრე აქამომდე ურწმუნოებასა შინა არიან. ხოლო სიმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოფს ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა, რამეთუ მუნ აღესრულა წმიდა სჳმონ კანანელი.

ხოლო კუალად განამტკიცნა წმიდამან ანდრია მეგრელნი და აფხაზნი და წარვიდა სკჳთედ". (4, ტ.I, გვ.43. ჩანართი 3).

როგორც ცნობილია XIII საუკუნის დასაწყისიდან აღმოსავლეთ აზიიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით დაიწყო მონღოლების შემოსევები და 1236 წელს ბათო-ყაენმა დაიპყრო დეშთი-ყივჩაყი (ყივჩაყთა ველები) და ჩამოაყალიბა სახელმწიფო, ოქროს ურდო (ჯუჩის ულუსი). 1238–1239 წლებში ბათო-ყაენმა თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა თითქმის ყველა ჩრდილოეთ კავკასიის ტომები და რა თქმა უნდა ადიღეელებიც მისი გავლენის ქვეშ მოექცა. XIII–XIV საუკუნეებში, თათრებისა და მონღოლების შემოტევებისა და საძოვრების მოპოვების გამო, (რადგანაც ისინი ძირითადათ მისდევდნენ მეჯოგეობას, განსაკუთრებით მეცხენესნეობას) ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ მხარის ადიღეელების ერთმა ნაწილმა მიატოვა თავისი საცხოვრებელი და ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, მდ. თერგის აუზში (დღევ. ყაბარდოელების მიწა-წყალი) დასახლდა. ყუბანსა და შავიზღვის-პირეთში დარჩენილი დასავლეთის ტომები (**ბჟედუღები, ნათხვაჯები, აბაძეხები, შაფსუღები, ჭემგუელები, ბესლენელები** და **სხვა უფრო მცირე ტომები) გახდნენ დღევანდელი ადიღე-ელების უშუალო წინაპრები,** რომლებიც კულტურითა და ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა თავისებურებებით კავკასიელ ძირძველ ხალხებს ენათესავებიან, განსაკუთრებით აბაზებსა და აფხაზებს. XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XV საუკუნის ბოლომდე, შავიზღვისპირეთში იქმნება გენუელთა ქალაქ-კოლონიები (მატრეგა, კაფა და სხვა), სადაც მიმდინარეობდა ვაჭრობა, ძირითადად ადგილობრივ მეურნეობის ნაწარმით. ამ ქალაქების მოსახლეობას წარმოადგენდნენ იტალიელები, ბერძნები და ადიღეელები.

XVI–XVII საუკუნეებში საბოლოოდ ადიღეელი ტომებისაგან ჩამოყალიბდა სამი განშტოება: **ადიღეელები, ყაბარდოელები და ჩერქეზები**.

ჩრდილო-კავკასიის ისტორიაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა ყირიმის ნახევარკუნ-ძულზე და ქერჩის სრუტეში მცხოვრები ტომებისაგან ჩამოყალიბებული სახელმწიფოები: **ტავრია, პანტიკაპეონი, ხერსონესი, ბოსფორის სახელმწიფო, ტმუტარაკანის სამთავრო, ოქროს ურდოს ყირიმის ულუსი, ყირიმის სახანო,** ყირიმის მიწა-წყალზე ჩამოსახლებული ჩრდილოეთიდან გადმოხვეწილი მომთაბარე ტომები და თათარ-მონღოლები.

1239 წელს მონღოლ-თათრებმა დაიპყრეს ყირიმი და აქ სახელმწიფო ჩამოაყალიბეს. ხოლო, XVI საუკუნეში თურქეთი დაეუფლა ყირიმის სახანოს და გაიხადა მთავარ დასაყრდენ ადგილად. აქედან თანდათან დაიპყრო ჩრდილოკავკასია, მათ შორის ადიღეელი ტომები და დაიწყო ისლამის გავრცელება. აქედანვე ანხორციელებდა სამხრეთ კავკასიის სამეფოებზე თავდასხმებს. ამ დროს, საქართველო იყო, ორსავე მხრი-დან: სამხრეთიდან – ტაო-კლარჯეთიდან და ჩრდილოეთიდან – ადიღეელთა ტომებითა და ყირიმის სახა-ნოდან, მუსულმანური სამყაროსგან გარშემორტყმული. საქართველოზე თურქების თავდასხმები გრძელ-დებოდა XIX საუკუნის დამდეგამდე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIX საუკუნის დასაწყისიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გამოჩნდა რუსეთის იმპერია, რომელიც ცდილობდა სამხრეთის მიმართულებით საზღვრების

გაფართოებას და შავიზღვისპირეთში გასვლას. ასე რომ, კავკასიაში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს სამი დაპყრობელი სახელმწიფოები: ირანი, თურქეთი და რუსეთი. სამივე ცდილობდა მის დაპყრობას და დამონებას. საბოლოოდ სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარების გამო, გამარჯვება დარჩა რუსეთის იმპერიას.

„რუსეთის წარმატება ამ ხანისათვის უმთავრესად გამოიხატებოდა შემდეგში: კავკასიის საბოლოოდ დაკავებისათვის რუსეთმა აწარმოა ხანგრძლივი და მძიმე წინამოსამზადებელი ბრძოლები და შექმნა მყარი ნიადაგი წარმატებისათვის, კერძოდ: ყირიმის სახანოს გაუქმებით. სამხრეთ რუსეთში თურქეთმა დაკარგა ერთგული და ძლიერი მოკავშირე, ხოლო რუსეთი შავ ზღვაზე უცილობლად გაბატონდა.

რუსეთის სანაპირო ხაზი სამხრეთით მჭიდროდ მიადგა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთს და ახალ დაკავებულ რაიონებში შექმნა ციხე-სიმაგრეთა მთელი სისტემა და წარმოებდა კაზაკური მოსახლეობის გამალებული ჩამოსახლება კავკასიისწინეთში. მეფის რუსეთმა თავისი მოკავშირის – აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს გაუქმებითა და თბილისში ჯარების შეყვანით საკმაოდ მტკიცედ ჩადგა ფეხი კავკასიის მთიანეთის სამხრეთით“. (31, გვ.46).

ჩრდილოეთ კავკასიისა და საერთოდ კავკასიის ხალხების ცხოვრებაში, ძალიან დიდი მნიშვნელობა იქონია რუსეთ-ოსმალეთის და რუსეთ-ირანის ომებმა. 1829 წელს რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიიდან თითქმის გააძევა თურქეთი. ხოლო 1830 წელს შავი ზღვის სანაპიროც მის ხელში აღმოჩნდა.

მ. ცინცაძე წერს, რომ: „სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს კარგადაა ცნობილი, რომ ადიღე შედგებოდა ურთიერთმონათესავე, ეთნიკურად ერთიმეორესთან უაღრესად ახლო მდგომ ცალკეული ტომებისაგან, რომლებსაც გარკვეული ტერიტორიები (ხეობა თუ ხეობები) ეკავათ. მართალია, ასეთი ტომობრივი საზღვრები არ იყო მყარი და განსაკუთრებით გვიანი შუა საუკუნეებისათვის იგი საგრძნობ ცვლილებებს განიცდიდა, მაგრამ ამ ტომების უმრავლესობამ, როგორც ცალკეულმა მიკროპოლიტიკურმა ერთეულმა, XIX საუკუნის შუა ხანებამდე შემოინახა თავი.

ადიღეელებში XIX საუკუნის დასაწყისისათვის ცნობილი იყო შემდეგი ტომები: ხეგაკები, წოფსინები, ნატუხაელები, შაგსულები, აბაძეხები, ბჟუდეხები, ხამიშეველები, მახოშეველები, მამხეგოელები, ბესლენეელები, ხაკუჩები, აბაზელები და სხვ“. (31, გვ.6).

კავკასიაში წარმოებული ომებისა, პოლიტიკური შექმნილი ვითარებისა და ეკონომიკური პირობების გამო, ხდებოდა ადიღეელი ტომების ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადანაცვლება, ცალკეული ტომების შერწყმა-შერევა და ზოგიერთი ტომების მოსპობაც.

XVIII საუკუნეში ადიღეელთა ტომები საბოლოოდ დამკვიდრდნენ მდ. ყუბანიდან დაწყებული შავი ზღვის სანაპიროს მიდამოებში მდ. ფსოუმდე.

XV საუკუნის II ნახევარში ოსმალებმა ყირიმის ნაწილი დაიპყრეს და თანდათან ჩრდილოეთ კავკასიაც მათ ხელში აღმოჩნდა. მუსულმანური სარწმუნეობის გავრცელება, ჩრდილოეთ კავკასიელ ტომებში იწვევდა უკმაყოფილებას და აჯანყებებს. ამის წინააღმდეგ თურქები ილაშქრებდნენ. მაგრამ, როდესაც რუსეთმა 1763 წლიდან დაიწყო ომები ჩრდილოეთ კავკასიის დასაპყრობად, განსაკუთრებით (1806–1864) წლებში რუსების მიერ წარმოებული ომები, ადგილობრივი ტომებისათვის, ძირითადათ ადიღეელი ტომებისათვის,

სავალალო აღმოჩნდა. ზოგიერთი მთიელი ტომები საერთოდ გაწყდნენ, ან იძულებულნი შეიქმნენ, რომ გადასახლებულიყვნენ. ხოლო ვინც დარჩა კოლონიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ადიღეელების დაპყრობის შემდეგ რუსეთის იმპერია შეუდგა მკაცრი კოლონიური მმართველობის დამყარებას და მუსულმანი სარწმუნეობის მქონე ადიღეელების წინააღმდეგ ბრძოლას. ამიტომ, ადიღეელები იძულებულნი შეიქმნენ თურქეთში გადასახლებულიყვნენ. (იხ. ზევით „მუჰაჯირობა“).

რუსეთის იმპერიის ადიღეელთა წინააღმდეგ მოქმედების შესახებ, პუბლიცისტი ანტონ სურიკოვი (1961–2004) მოგვითხრობს, რომ რუსეთის იმპერიის მიერ:

„მთიელთა სისტემატური გაწყვეტა იწყებოდა 1806 – 1812 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ. ასე რომ მეფის გენერალმა ვლასოვმა 1812 – 1826 წლების პერიოდისათვის გაატარა რამდენიმე სადამსჯელო ექსპედიცია ადიღეელების წინააღმდეგ. გაანადგურა რა ათეულობით აული, გაწყვიტა რა მათი ყველა მცხოვრები, მათ შორის ქალები და ბავშვები. შესაძლებელია უამრავი ასეთი მაგალითის მოტანა.

ომის წლების მანძილზე ადიღეელთა მიწაზე მოხდა ასობით ტრაგედია, რომელიც მასშტაბით არ ჩამორჩება მეორე მსოფლიო ომის „ხატინს“.....

ცარიზმი ადიღეელებთან ბრძოლის მეთოდათ იყენებდა გენოციდს. ომის შუახანებში სამხედრო სარდლობამ ადიღეელები დაყო სამ კატეგორიად: დამორჩილებულნი (ყაბარდოელები), ნახევრად დამორჩი-ლებულნი (ამიერყუბანისპირეთის „არისტოკრატიული“ ტომები) და დაუმორჩილებელნი („აბაძეხების, შაფ-სულების და ნატუხაელების „დემოკრატიული“ ტომები). ყველაზე სრული განადგურება განიცადა სახელდობრ დაუმორჩილებელმა ტომებმა. შინაგანი დემოკრატიული წყობის შედეგად ისინი იწვევდნენ თვითმყრობელურ ბატონყმურ სანკტპეტერბურგის სიძულვილს.

გენოციდის დამადასტურებლად შესაძლებელია ჩერქეზული მოსახლეობის რუსეთ-კავკასიის ომის დასაწყისისთვის და მის დამთავრების ხუთი წლის შემდეგდროინდელი მონაცემების მოყვანა:

შაფსულები იყვნენ 300 000, დარჩა 1 983 კაცი;
აბაძეხები – 260 000, დარჩა – 14 660;
ნათუხაელები – 240 000, დარჩა – 175;
თემირღოელები – 80 000, დარჩა – 3 140;
ბჟედუღები – 60 000, დარჩა – 15 263;
მახოშეველები – 8 000, დარჩა – 1 204;
ადამიელები – 3 000, დარჩა – 230;
უბიხები – 74 000, დარჩა – 0;

დაახლოებით ასი ათასი ჟანოველებისა და ხაკუჩებისაგან ცოცხალი არ დარჩენილა არც ერთი.

ყაბარდოელები არ ომობდნენ, რამაც ისინი იხსნა მასობრივი განადგურებისაგან.

1870 წლისათვის თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ყუბანისპირეთსა და შავიზღვისპირეთში სოჭიდან ანაპამდის დარჩა მხოლოდ ადიღეელების ომამდელი რაოდენობის 2%. ამგვარი გენოციდი სხვათა მიწების კოლონიზაციის ისტორიაში არ ჩაუდენია მსოფლიოს

არცერთ იმპერიას“. (53).

1864 წლის ჩრდილოეთ კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ, მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში, ყალიბდება ეროვნული სამხედრო ოლქები, ადიღეშიც დამყარდა სამხედრო-საოკუპაციო მმართველობა. 1867 წლის 1 იანვარს ადიღეელები შეიყვანეს ეკადერინო-დარსკისა და ბატალპაშინის მაზრაში. 1870 წლიდან მაზრის მთავარ ქალაქად გამოცხადდა მაიკოპი. ამ ადგილას, მდ. ყუბანის შენაკადში, მდ. ბელაიას მარჯვენა მხარეს, ციცაბო ნაპირებზე, 1857 წელს, რუსებმა ააშენეს ციხე-სიმაგრე მაიკოპი. ადიღეურ ენაზე მაიკოპი ნიშნავს „ვაშლის ველს“. 1918 წელს მაიკოპში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ამავე წლის მაისში ჩამოყალიბდა ყუბან-შავიზღვისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკა, სადაც შევიდა ადიღეც. მთავარი ქალაქი გახდა კრასნო-დარი. 1918 წლის შემოდგომაზე მთელი ყუბანი თეთრგვარდიელებმა დაიკავეს. 1920 წლის მარტში ყუბანისპირეთში ისევ კომუნისტური წყობილება აღსდგა. ამავე წლის დეკემბერში ადიღე დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად გამოცხადდა. 1922 წლის ივლისში შეიქმნა ჩერქეზეთის (ადიღეს) ავტონომიური ოლქი. ხოლო 1928 წლის ივლისიდან ადიღე ავტონომიურ ოლქად გამოცხადდა. 1936 წლის ხელისუფლების მიერ, დედაქალაქი კრასნოდარიდან მაიკოპში გადმოიტანეს. მეორე მსოფლიო ომის დროს 1942 წლის აგვისტოში, ადიღე გერმანელებმა დაიკავეს. საბჭოთა ჯარი ადიღეში შევიდა 1943 წლის თებე-რვალში. 1962 წლის აპრილში ადიღე აო-ს მიუერთეს ტულის (ეხლანდელი მაიკოპი) მხარე. 1991 წლის 5 ოქტომბერს ადიღე გამოცხადდა რესპუბლიკად. დედაქალაქი ქ. **მაიკოპი.**

ამ დროს ადიღეელების მცხოვრებთა რაოდენობა იყო შემდეგი:

ადიღეეში – 108 100 კაცი; ყაბარდო-ბალყარეთში – 600 კაცი; ყარაჩაი-ჩერქეზეთში – 10 400 კაცი; თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთში – 4 000 000-მდე კაცი.

* * * * * *

ადრეული ხანის საქართველოსა და ადიღეელთა ურთიერთობის შესახებ ცნობებს ნაწილობრივ გვაწვდის არქეოლოგიური, ფოლკლორული და სხვა მასალები. მაგრამ ეს გამოკვლევები იმდენად მცირეა, რომ დანა-მდვილებით რაიმეს თქმა გაძნელებულია.

მ. ცინცაძე წერს, რომ: „აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აფხაზეთი, თავისი გეოგ-რაფიული მდებარეობის გამო, საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა იმ ძირითად არტერიას, რომლის მეშვეობითაც საქართველოს სამეფო უკავშირდებოდა ეთნიკურად და კულტურულად აფხაზებისავე მონათესავე ადიღეელ ტომებს.

აფხაზეთი ადიღეელებთან ხანგრძლივი ისტორიული თანაცხოვრების პირობებში წარმოა-დგენდა იმ ძირითად რეგიონს, საიდანაც ხდებოდა კულტურული ურთიერთობა ადიღეელებსა და საქართველოს ცენტრალურ პროვინციებს შორის“. (31, გვ.5).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ წყაროებში ადიღეელებს მოიხსენიებდნენ ჯიქების სახელწოდებით. საქართველოსა და ჯიქების ურთიერთ კავშირის შესახებ ჩვენ ზევით ვისაუბრეთ. საქართველოსა და ადიღეელებს შორის ურთიერთობა, მიუხედავად წყაროთა სიმცირისა, ჩანს, რომ წარმოებდა I საუკუნეშიც. ადიღეელთა სხვადასხვა ტომებს ძირითადათ ლიხსიქეთ საქართველოსთან ჰქონდათ ურთიერთობა. წყაროებიდან ცნობილია, რომ ქართველი მეფეები და მთავრები, ნათესაური კავშირებითაც ამყარებდნენ ურთიერთობას ამ ტომებთან.

როგორც მაგალითად, „ახალი ქართლის ცხოვრება“-ში მოთხრობილია, რომ იმერეთის მეფეს, გიორგი II-ეს და გიორგი II (გ. 1600) გურიელს, ცოლად ჰყოლიათ ჩერქეზი ქალები და მეფესთან იზრდებოდა ცოლის დაც. გიორგი II-ეს „მპყრობელსა იმერეთისასა“ გიორგი III დადიანმა (გ. 1582), ასე შემოუთვალა: „რათგან ჩერქეზის ქალი ერთი თქვენ გყავსო და ერთი გურიელსაო, მესამე დაი გაუთხოვარი, თქვენ რომ ზრდით, ეგ მე მომეცითო, თორემ რით გენდოო“. (4, ტ.II, გვ.362). წყაროებიდანვე ჩანს, რომ აფხაზეთის სამთავროს მხარდასაჭერად ხშირად ჩამოდიოდნენ ადიღეელი ტომები, რომლებიც სამხედრო ძალითაც ეხმარებოდნენ. ადიღეელების და ლიხსიქეთ საქართველოს სხვა სამთავროებს შორის ურთიერთობა, ასახულია წყაროებში. ადიღეელები მონაწილეობას ღებულობდნენ საბედიანოს, გურიისა, სამეგრელოს და აფხაზეთის სამთავროებს შორის ურთიერთ დაპირისპირებაშიც. როდესაც X საუკუნეში აფხაზეთის სამთავრო მომძლავრდა (იხ. ზემოთ), ჯიქეთი მოექცა აფხაზეთ-ეგრისის საზღვრებში. ხოლო შემდგომ, IX–XI საუკუნეებში, როდესაც საქართველოში მიმდინარეობდა ურთიერთ საომარი დაპი-რისპირება სამთავროებს შორის პირველობისათვის, ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ტომებს შორის მონაწილეობას ღებულობდნენ ადიღეელი ტომებიც. წყაროებიდან ჩანს, რომ გაერთიანებულ საქართველოს საზღვრებში შემოდიოდნენ ადიღეელი ტომებიც, რომლებიც თავისუფალნი და დაცულნი იყვნენ მტერთაგან. „ქართლის ცხოვრება“-ში ბასილი ეზოსმოძღვარს ადიღეელები მოხსენებული ჰყავს „ქაშაგი“ სიტყვით. ხოლო, „ჟამთააღმწერელი“ ადიღეელებს მოიხსენიებს „ჯიქის“ სახელწოდებით. მაგრამ, მონღოლთა შემო-სევების დროიდან დაწყებული, საგრძნობლად შესუსტდა ეკონომიკური და კულტურული კავშირები, საქარ-თველოსა და ჩრდილოეთ-კავკასიელ ქვეყნებსა და მათ შორის ადიღეელ ტომებს შორისაც. როდესაც XIV საუკუნის ბოლოს, თემურლენგი კავკასიას შემოესია და აქ მყოფი ქვეყნები დაარბია და ააწიოკა ადგი-ლობრივი მცხოვრებლები, მათ შორის ქართველები და ადიღეელი ტომებიც (ჯიქებიც), იძულებულნი იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ მის ლაშქრობებში, სხვა ქვეყნების დასაპყრობად. თემურლენგის შემდეგ, როდესაც მეფის ხელისუფლება დასუსტდა და ერთიანი საქართველო დაიშალა ცალკეულ სამთავროებად, (იხ. ზემოთ), ამდენი დაუსრულებელი ომების გამო, ბარის მოსახლეობაც შემცირდა, ამით ისარგებლეს მთის ტომებმა და დაიწყეს ბარში ჩამოსახლება. ლიხსიქეთ საქართველოს შავიზღვისპირეთშიც, განსაკუთრებით აფხაზეთის ბარში, დაიწყეს დასახლება მთიანი ადიღეელთა ტომებმაც.

მ. ცინცაძე წერს, რომ: „დასავლეთ საქართველოში, სხვა მრავალი პოლიტიკური ერთეულების გვერდით, აფხაზეთ-ადიღეს უშუალო მეზობლად XIV საუკუნის ბოლოდან და XV საუკუნის დამდეგიდან ჩამოყალიბდა საკმაოდ მძლავრი პოლიტიკური ერთეული – საბედიანო. რომლის შემადგენლობაში მოექცა მთელი სამეგრელო და ინგურის იქითა მიწების, ანუ სამურზაყანოს საკმაოდ მოზრდილი ნაწილი. აფხაზეთის მთავრები მუშტრის თვალით უყურებდნენ სამურზაყანოს მდიდარ მიწებს და სრულიადაც არ აპირებდნენ გულგრილად ეცქირათ საბედიანოს გაძლიერებისათვის. ამიტომაც იყო, რომ მომდევნო საუკუნეებში აფხაზთა სამთავრო აწარმოებდა გაუთავებელ ბრძოლებს არა მარტო ცალკე განდგომისათვის, არამედ ახალი მიწების შემომტკიცებისათვის. ამ ბრძოლაში საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ადიღეელი ტომებიც“. (31, გვ.35).

XV საუკუნიდან დაწყებული, როდესაც თურქებმა დაიპყრეს ჩრდილოეთ კავკასიელი

ტომები და ყირიმის სახანოც დაიმორჩილეს, საქართველოსა (ძირითადათ ლიხსიქეთის) და ადიღეელებს შორის ურთიერთობა გაუარესდა. თურქების წაქეზებით, ადიღეელთა ტომებმა (ჯიქებმა) დაიწყეს თავდასხმა ქართულ სამთავროებზე. ისინი ძარცვავდნენ და ატყვევებდნენ ზღვისპირეთის მოსახლეობას და შემდეგ ან გამოსასყიდს ღებულობდნენ, ან ჰყიდნენ. თურქებისათვის, ჩრდილოეთ კავკასიელთა და ქართველთა ტყვეები, ერთ-ერთ მთავარ გამდიდრების წყაროს წარმოადგენდა. ჩერქეზებითა და ქართველი ტყვეებით ხდებოდა ახლო აღმო-სავლეთის ბაზრებისა და საჯარისო ნაწილების (მამლუქებით – თეთრი მონა) შევსება. თუმცა შემდეგში, აღმოსავლეთის ქვეყნებში (ეგვიპტეში და ერაყში) მამლუქებმა შეძლეს ძალაუფლებისა და ამ სახელ-მწიფოების დამოუკიდებლობის მოპოვებაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თურქეთი, როგორც სამხრეთიდან, ტაო-კლარჯეთიდან და აჭარიდან, ასევე ადიღედან, ცდილობდა ლიხსიქეთ საქართველოს დამორჩილებას.

ქართული სამთავროები, როგორც კი მომძლავრდებოდნენ, განსაკუთრებით აფხაზეთის სამთავრო, ცდილობდნენ ჩრდილოეთი მხარის (ჯიქეთის) შემომტკიცებას.

ჩრდილოეთ კავკასიაში გაბატონების შემდეგ, თურქეთმა დაიწყო ისლამის გავრცელება ჯერ ადიღეელთა ზედა ფენებში, ხოლო შემდეგ მოსახლეობაშიც. ისლამის მოძღვრება იყო ერთ-ერთი ხერხი „ურწმუნოთა“ (რუსების) წინააღმდეგ საბრძოლველად, რასაც თურქეთი იყენებდა კიდეც.

ქართველი ხელისუფალნი, რომ უფრო მტკიცედ შემოემტკიცებინად ჩრდილოეთ კავკასიელები და კერძოდ ადიღეელები, თავის მხრივ ცდილობდნენ, ქრისტიანული სარწმუნეობის გავრცელებას. ცნობილია, რომ VIII საუკუნეში, ჯიქეთის ნაწილი და ქალაქი ნიკოფსია შემოდიოდა ჯერ ეგრის-აფხაზეთის, ხოლო შემდეგ აფხაზეთის სამთავროს საზღვრებში და X საუკუნეში ჯიქეთში არსებობდა 3 ავტოკეფალიური კათედრა, 2 ჯიქეთის ჩრდილოეთში, ბოსფორსა და ქერსონესში (ქერსონი, კორსუნი, ტავრიკესი) და ნიკოფსიაში. ნიკოფსიის ეპარქიას ეკუთვნოდა შავი ზღვისპირეთისა და ადიღეს გარკვეული მიწა-წყალი. ნიკოფსიის ეპარქია X საუკუნეში მცხეთის საკათალიკოსოს შემადგენლობაში გაერთიანდა და რა თქმა უნდა ის შეეცდებოდა ადიღეში თავისი სარწმუნეობის, ქრისტიანობის მოძღვრების გავრცელებას. ხოლო ამას კი მოჰყვებოდა ადიღეელებსა და ჩრდილო-კავკასიელთა სხვა ტომებში ქართული ენის გავრცელება. ს. ჯანაშია წერს, რომ: „დაწყებული IX საუკუნიდან (თუ ადრე არა) აფხაზეთის სამეფო კანცელარიისა და ეკლესიის წიგნური კულტურის ენას წარმოადგენდა ქართული ენა, რომელიც ვრცელდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაშიც (ჩერქეზები, ალანები)“. (31, გვ.32). მაგრამ, წყაროებიდან ჩანს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში და მათ შორის ადიღეში, ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ერთად მოქმედებდა წარმართული რელიგია და ადათ-წესები. ხოლო, როდესაც ყირიმის სახანო და ადიღე თურქებმა დაიპყრო, ყირიმის სახანომ 1717 წლიდან ქრისტიანული ეპარქიები დაანგრია და სამღვდელოება მოსპო. თუმცა, მიუხედავად თურქების მოძალებისა, ზოგიერთმა ჩრდილოეთ კავკასიელთა ტომებმა, მაინც შეძლეს ქრისტიანობის შენარჩუნება. მიუხედავად ჩრდილოეთ კავკასიაში ასეთი დაძაბული ვითარებისა, საქართველოსა და ადიღეელებს შორის, მაინც არ წყდებოდა ურთიერთ კავშირი და გაჭირვების ჟამს ერთმანეთს ეხმარებოდნენ კიდევაც. მაგ. ქელაიშ-ბეგისა და არსლანბეის დროს. (იხ. ზემოთ).

ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის გამოჩენის შემდეგ და მით უმეტეს, როდესაც საქარ-

თველოს ბოლო სამთავრო, აფხაზეთი, რუსეთის იმპერიამ დაიპყრო, ადიღეელები ყოველი მხრიდან გარშემორტყმული აღმოჩნდა. ჩრდილო კავკასიელთა და მთიანი ადიღეელების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს, საქართველოსა და ადიღეელებს შორის ურთიერთობა შემცირდა, თუმცა, ზღვისპირეთში მცხოვრები ადიღეელები და აფხაზები ერთმანეთთან მაინც კავშირს ამყარებდნენ.

რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთის სამთავროს შეერთებას სხვადასხვა ხერხით ცდილობდა. აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის (1822–1864) მიხეილ შარვაშიძის (1811–1865) წინააღმდეგ ფარულ ხრიკებს მართავდა. როდესაც, 1856 წელს, თურქეთის სულთნის მიერ გამოგზავნილი სარდალი ომერ-ფაშა აფხა-ზეთში შევიდა, აფხაზეთის მთავარი, მას დაუკავშირდა. „ასეთ ვითარებაში, როცა მ. შარვაშიძე თურქეთის მოკავშირე გახდა, ბუნებრივია, რომ ადიღეელი ტომების არისტოკრატია თავისი მხედრობით აგრეთვე ომარ-ფაშას ბანაკში აღმოჩნდებოდა“. (31, გვ.53). ადიღეელთა მოსახლეობის ნაწილი, რომლებიც რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ თავისუფლებისათვის იბრძოდნენ, ომერ-ფაშას მიემხრნენ. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ უბიხი მხედრები. (იხ. ზევით).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის ხელისუფლება ყოველთვის ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასიელთა დაპყრობას. დღევაენდელ დღესაც განაგრძობს მის დამორჩილებას და ამისათვის იყენებდა და იყენებს ბრძოლის ერთ-ერთ ხერხს გენოციდს. ა. სურიკოვი აღნიშნავს:

„140 წლის შემდეგ, გენოციდის შედეგები კვლავ გვახსენებენ თავს. დღეს დასავლეთ კავკასიაში ცხოვრობს 600 000 ადიღეელი. ამათგან, ამიერყუბანისპირეთში და შავიზღვისპირეთში, რომელთაც განიცადეს გენოციდი – მხოლოდ 160 000. ამავე დროს საზღვარგარეთ იმყოფება თითქმის ორი მილიონი მოჯახედი – მთიელთა შთამომავალნი. სამშობლოდან ძალადობით დეპორტირებულნი. მათ შორის 1 500 000 თურქეთში (300 000 სტამბოლში ცხოვრობს), 60 000 – სირიაში, 40 000 – იორდანიაში, 20 000 – გერმანიაში, 5 000 – აშშ-ი. სულ მცირე მათი მესამედი დაბრუნების პირობების შექმნის შემთხვევაში მზად არიან დაუბრუნდნენ თავიანთ მიწებს. სხვანი, რჩებიან რა დევნილობის ქვეყნებში, სადაც მათ ცხოვრება მოიწყვეს, ისურვებდნენ ადიღეასთან მჭიდრო კავშირის დამყარებას, მოქალაქეობისა და არჩევნების უფლების მიღების ჩათვლით. ერთი კია, რომ ადიღეელების ტერიტორიის დიდი ნაწილი დიდი ხანია დასახლებულია კაზაკებითა და სხვა ეროვნების პირებით. ხოლო 15–20 წლის მანძილზე აქ კიდევ ჩამოვიდნენ 40 000 სომეხი და ამიერკავკასიის სხვა ხალხების წარმომადგენლები. გასაგებია, რომ ყველა ამ ხალხს არაფერი საერთო არ აქვს 140 წლის წინანდელ გენოციდთან და უფლება აქვთ მათი კანონიერი უფლებების ინტერესების ანგარიშის გაწევისა. ამიტომ დაბრუნებული მუჰაჯირებისათვის ეს საგანგებო დელიკატური ამოცანაა. მაგრამ მისი გადაწყვეტა ადრე თუ გვიან მოუწევთ. და ეს სახელმწიფომ უნდა გააკეთოს“. (53).

მაგრამ უბედურება ის არის, რომ რუსეთის ხელისუფლება დღევანდელ დღესაც ახორციელებს როგორც ჩრდილოეთ კავკასიელთა, ასევე სამხრეთ-კავკასიელთა და მათ შორის ადიღეელთა, გენოციდს. (იხ. ქვევით).

წყაროებიდან, მართალია მცირეა, მაგრამ მაინც ჩანს, რომ ადიღეელ ტომებსა და ლიხსაქეთ საქართველოს შორისაც ყოფილა ურთიერთკავშირი დამყარებული. როგორც ზემოთ

აღვნიშნეთ, ვახტანგ გორგასალს ჩრდილოეთ კავკსია დაულაშქრავს და მათ შორის ჯიქებიც. ხოლო როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ დროს, ჯიქებით, ყველა ადიღეელთა ტომებს აღნიშნავდნენ. ადიღეელებსა და ლიხსაქეთ საქართველოს შორის კავშირი გაძლიერდა. როდესაც ერთმორწმუნე რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის, ერთადერთი ახლო დამაკავშირებელი გზით, **დარიალის** ხეობით, კავკასიაში შექმნილი სხვადასხვა მიზეზების გამო, დაკავშირება შეუძლებელი იყო, მაშინ რუსეთი და ქართლ-კახეთი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ ადიღეელების შემწეობით. წყაროებიდან ცნობილია, რომ ერეკლე II მტრებთან საბრძოლველად იყენებდა ჩრდილოეთ კავკასიელ ტომებს, მათ შორის ჯიქებსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ „სახელწოდება დარიალი წარმოდგება სპარსულ დარ-ი ალანი-საგან (ალანთა კარი). ძველ ქართულ და უცხოურ წყაროებში იგი იხსენიება როგორც დარიალანი, დარიელა, არაგვის კარი, იბერიის კარი, კავკასიის კარი, სარმატიის კარი, ოვსთა კარი და სხვ.“ (8, ტ.3, გვ.385) რ. თოფჩი-შვილი დარიალის შესახებ აღნიშნავს, რომ ახ. წ. V საუკუნიდან „ერქმევა საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში გასასვლელს „დარი-ალი“, რაც ირანული სახელია (ტოპონიმია) და არა ალანურ-ოსური“. (15, გვ.20). და ხშირად, წყაროებში, დარიალის ხეობა („ალანთა კარი“), შეცდომით მოხსენებულია დერბენ-დის გასასვლელის („ალბანთა კარი“, ძვ. დარუბანდი, სპარს. დარ – კარი, ბანდ – ზღუდე) მაგივრად. ასე, რომ წყაროებში მოხსენებულ „ალანთა კარში“, იგულისხმება „ალბანთა კარი“.

ლიხსიქეთ და ლიხსაქეთ საქართველოსა და ჩრდილო-კავკასიის მთიანეთთან ურთიერთობის შესახებ ცნობებს გვაწვდის არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ძეგლები და მასალები, რომლებიც მოპოვებული იყო წარსულ XIX–XX საუკუნეებში, პოლიტიკური ვითარების გამო დღევანდელ დღეს არქეოლოგიური კვლევაძიება შეჩერებულია.

საქართველო-ადიღეს ურთიერთობის შესახებ ცნობებს გვაწვდის ის არქეოლოგიური მასალები რომე-ლიც მოპოვებული იყო მდ. ნიკოფსის (ეხლ. ნეჩეფსუხო) ხეობაში. ამ ხეობით ხდებოდა კავშირი ქ. ნიკოფსიისა და მთიან ადიღესთან, ფსეკუფსის ხების გავლით.

მ. ცინცაძე წერს, რომ:

„საყურადღებო ინფორმაციას ნიკოფსიის (ამ პუნკტს ამჟამად ეწოდება სოფ. ნოვომიხაილოვკა) ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობის შესახებ გვაწვდის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მასალები. ამ რეგიონის მატერიალური კულტურის ძეგლები უკვე კარგახანია იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას.....

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი და განსაკუთრებით კი ნეჩეფსუხოს ხეობა მდიდარია ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებით“. (31, გვ.58). „სოფ. ნოვომიხაილოვკის ცენტრის სიახლოვეს, ზღვის სანაპიროზე, დღემდეა შემონახული საკმაოდ მძლავრი ციხე-სიმაგრის ნაშთები, რომელსაც ადგილობრივი ადიღეელები დუზუ-კალეს უწოდებენ....

ქვის წყობის ხასიათით დუზუ-კალეს ციხე საკმაოდ ახლო დგას ანაკოფიისა და გაგ-რის ისტორიულ ძეგლებთან“. (31, გვ.57) ამის გარდა ნიკოფსიის მიდამოებში შემორჩენილია უფრო მომცრო ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რომლებიც ვარაუდით, ახლოს დგას ქართულ ხელოვნებასთან.

ეს ძეგლები, დღემდე შემორჩენილი ციხე-სიმაგრის ნაშთები და თვით ნიკოფსია წარმოადგენდა საქა-რთველოს სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი მხარის სასაზღვრო ადგილს და

ამავე დროს ის მეთვალყურეობას უწევდა ადიღეს მთიანეთისაკენ მიმავალ გზას. რომლითაც ხდებოდა დაკავშირება ადიღეელებსა და საქა-რთველოს შორის. ამიტომაც ეტყობა, რომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტად გაემაგრებინათ ეს მხარე. ადიღეელბსა და ქართველებს შორის ურთიერთ კავშირს ადასტურებს ისიც, რომ მეცნიერთა მტკიცებით, ადიღეურში ბევრი სიტყვა შესული არის საქართველოდან „(მაგ., ბალი, თუთა, ხურმა, ზეთი, ჭადი, ხურჯინი, გოზინაყი, არაყი და სხვ.)“ და „ამ ხალხს ხანგრძლივი კონტაქტების საფუძველზე ბევრი რამ გააჩნიათ საერთო, როგორც მატერიალურ, ისე სულიერ სფეროშიც. ვახუშტის მიხედვით, ჯიქეთი არის „ყოვლითურთ (მსგავსი მ. ც.) აფახეზეთისა; მოსავლით და ცხოველით, წესით და ქცევითაცა... გარნა იუწყე აფხაზთა და ჯიქთა სამოსელნი და იარაღნი, და საჭურველნი, ვითარცა ჩერქეზთანი, რომელთა ზნეთა ჟამად იმერნიცა ხმარობენ“.

მაგრამ საქართველოსა და ადიღეელ ტომებს შორის არამარტო სამოსელის, იარაღისა და „ზნეთა“ სიახლოვე შეიმჩნეოდა, არამედ ეთნოგრაფიული მასალების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ მათ სამეურნეო გამოცდილებათა და ჩვევათა სიახლო-ვეზე და ურთიერთკავშირზე, რასაც საფუძველი უძველესი დროიდან უნდა ჩაყროდა“. (31, გვ.63).

ცხადია, რომ მომავალში, თუ კავკასიაში პოლიტიკური ვითარება დაწყნარდება და აქ მაცხოვრებელი ყველა ერი, ბოლოს და ბოლოს დამოუკიდებლობას მოიპოვებს და საშუალება შეიქმნება, რომ ადიღეელებსა და საქართველოს შორის ნორმალური ურთიერთ კავშირი აღსდგეს, მაშინ მეცნიერები უფრო მეტ დამადასტურებელ საბუთებს აღმოაჩენენ ამ ორი ხალხის ურთიერთგავლენის შესახებ.

2. ჩ ე რ ქ ე ზ ე ბ ი .

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ჩერქეზები**, ადიღეელთა ტომების საერთო სახელწოდებაა, რომელიც წარმოიშვა XIII საუკუნეში.

გ. მელიქიშვილი წერს, რომ: „ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიის მთიელთა ზოგადი სახელი ხეთებთან „ქაშქა“ იგივე „ქაშაგი“ უნდა იყოს, რასაც შუა საუკუნეების (არაბული, ქართული, რუსული) წყაროები უწოდებენ ჩერქეზემს (ადიღეელებს)“. (6, ტ.I, გვ.360).

ჩერქეზების „სახელწოდებას ხმარობდნენ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებამდე“. (8, ტ.11, გვ.102).

მ. ცინცაძის თქმით, „ადიღეელი ხალხის აღმნიშვნელი მესამე სახელწოდება „ჩერქეზი“ ყველაზე უფრო გვიანდელი წარმოშობისაა“ და მოჰყავს იოჰან გიულგენშტედტის სიტყვები, რომელმაც 1771-იდან – 1775-მდე მოიარა, გამოიკვლია და შეისწავლა ჩრდილოეთ კავკასია და მთელი საქართველო, იგი აღნიშნავდა, რომ: „ჩერქეზნი თავის თავს ადიღე-ს (Adigi) უწოდებენ, თურქები და თათრები მათ „ჩერქას“-ს ეძახოდნენ, ხოლო ქართველებს მათთვის სახელად „ჩერქეზიანი“ ჰქონიათ“. ის მოსაზრება, რომ ადიღეელი ტომების კრებითი სახელი „ჩერქეზი“ თურქებმა და თათრებმა შემოიტანეს, ფართოდაა გაზიარებული სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინი „ჩერქეზი“ საქართველოში, ხშირად, ყაბარდოელთა მიმართ უფრო გამოიყენებოდა, ვიდრე ადიღეელებისა და აშკარად იგრძნობოდა

ტენდეცია, რომ საბოლოოდ ტერმინ „ჯიქეთის“ ადგილს დაიკავებდა ტერმინი „ჩერქეზი“.

XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის ადიღეელი ტომების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში სახელწოდება „ჩერქეზი“ კიდევ უფრო ფართო ხასიათს იძენს და ამ სახელწოდებით მთელ კავკასიის მთიანეთის მცხოვრებნიც კი მოიხსენებიან“. (31, გვ.25).

XVI საუკუნეში, „ჩრდილოეთით საქართველოს განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ტომი და ხალხი ემეზობლებოდნენ. ჩრდილო კავკასიის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი იმ დროს ჩერქეზეთის საერთო სახელწოდებით იყო ცნობილი. ვრცელი ტერიტორია შავი ზღვის სანაპიროდან ვიდრე მდ. სუნჯამდე დასახლებული იყო ადიღეელებით, რომელთა საერთო სახელით მაშინ ცნობილი იყვნენ თანამედროვე ადიღეელები, ჩერქეზები და ყაბარდოელები. XVI საუკუნეში ყაბარდოელებით დასახლებულ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა „დიდი ყაბარდო“ – მდ. თერგის დასავლეთით და „მცირე ყაბარდო“ – თერგსა და სუნჯას შორის. ქართულ წყაროებში ჩრდილო კავკასიის ადღეურ-ჩერქეზული ტომები უმთავრესად ჯიქების სახელით იხსენიებიან, ხოლო ყაბარდოელები – ჩერქეზების სახელით.“ (6, ტ.IV, გვ.87).

ზევით აღვნიშნეთ, რომ ანტიკური ხანის მწერლები ჩერქეზებს უწოდებდნენ „კერკეტებს“. XV საუკუნემდე რუსეთში ადიღეელთა ტომები მოხსენებულნი არიან, როგორც „ჩერკასები“. სახელწოდება „ჩერქეზი“ თურქებმა XV საუკუნეში შემოიღეს.

მეცნიერთა ვარაუდით, ძველ დროს ჩერქეზებს, უცხოვრიათ უფრო ჩრდილოეთით, ვიდრე დღევანდელ დღეს იმყოფებიან და გაუვლიათ პირველყოფილი თემური წყობილების ყველა საფეხური. შემდგომ დროს, მათ თავს ესხმის, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთის მხრიდან სხვადასხვა მომთაბარე და მსხემი ტომები და თანდათან იკავებენ მათ საცხოვრებელ ადგილებსა და მიწებს. ამიტომ ისინი იძულებული გამხდარან, სამხრეთ მხარეში გადმოსახლებულიყვნენ.

XV საუკუნის მიწურულს ჩერქეზები მოექცნენ თურქეთის გავლენის ქვეშ. XVI–XVII საუკუნეებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა სამი ძირითადი ადიღეური ხალხის განშტოება: **ადიღეური, ყაბარდოული და ჩერქეზული**.

1790 წელს იზმაილის (ისმაილი) ციხე-სიმაგრესთან (უკრაინაში) თურქების დამარცხების შემდეგ, რუსეთის იმპერიის შეტევა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ განსაკუთრებით გაძლიერდა. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთმა დაიპყრო მთლიანად ყაბარდოს სამთავროები. ყაბარდოელები გადასახლდნენ მდ. ყუბანის ზემო მხარეში და მათი მონაწილეობით შეიქმნა დღევანდელი **ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა.** ყარაჩაელების სახელწოდება წარმოსდგა მათი ბელადის – „ყარაჩა“-ს სახელისაგან, რომელმაც დაასახლა ისინი ახალ ადგილას.

1828 წელს რუსეთმა ყარაჩაი-ჩერქეზეთი დაიმორჩილა და დაიწყო თავისი წესწყობილების დამყარება. მიუხედავად ამისა, ჩერქეზებს ქედი არ მოუხრიათ და მუდამ ცდილობდნენ დამპყრობელისაგან განთა-ვისუფლებულიყვნენ. მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, რუსეთის მიერ ყველა ქართული სამთავროების დაპყრობის შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიის ტომები ალყაში აღმოჩნდნენ და ურჩი ჩერქეზების დამორჩილება გაადვილდა.

რუსეთის იმპერიის მიერ (1817–1864) წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში განხორციელებულმა კოლონიური ხასიათის ბრძოლამ, გამოიწვია კავკასიის მთიელთა სახალხო მოძრაობა,

რომელიც საბოლოოდ რუსე-თის გამარჯვებით დამთავრდა (მოძმე, „რუსოფილე“ მთიელთა დახმარებითა და ღალატის გამო). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ომი, ზოგიერთ კავკასიელ მთიელთა ტომებისათვის საბედისწერო აღმოჩნდა, ამ ომმა შეიწირა მრავალი ხალხი და მთლიანად განადგურდა არა ერთი ტომები. კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ, ჩერქეზები, ყარაჩაელები და სხვა მთიელები, იძულებული გახადეს, რომ გადასახლებულიყვნენ თურქეთში, რომლის დროსაც უამრავი ხალხი დაიღუპა. თურქეთში გადარჩენილი ჩერქეზების ნაწილი (90%) გადასახლდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. კავკასიელების და მათ შორის ჩერქეზების (ადიღეელების) მთელი ისტორია არის სხვადასხვა რჯულის დაპყრობლების, ხოლო ბოლოს, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, თვითგადარჩენისათვის და თავისუფლებისათვის გმირული ბრძოლა, რომელიც გრძელდება დღემდე.

უამრავი წყაროები არსებობს როგორც უცხოელი, ასევე თვით რუსების მიერ ჩანაწერები, რომლებიც აღწერენ იმ საშინელებებს, რასაც ჩადიოდნენ კავკასიელების მიმართ რუსეთის სამხედრო წარმომადგენლები და კაზაკები.

კავკასიოლოგი მ ერ ა ბ ჩ უ ხ უ ა წერს და მოჰყავს რუსი მოგზაურის, პუბლიცისტისა და მეცნიერის მ ი ხ ე ი ლ ვ ე ნ ი უ კ ო ვ ი ს (1832–1901) მონათხრობი:

„გენოციდის რეალიზაცია მიმდინარეობდა წინასწარ მკაცრად დადგენილი წესების მიხედვით, განსა-ზღვრული იყო ადგილობრივი მოსახლეობის საერთო რაოდენობის შემცირება შემდეგი გზებით: ფიზიკური განადგურება, სიკვდილს გადარჩენილთა სოფლების გადაწვა, ნათესებისა და სასურსათო მარაგების მოსპობა, დაწიოკებული მოსახლეობის თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან იძულებით გასახლება: „ომი დაუ-ნდობელი, უმოწყალო სისა-ტიკით წარმოებდა. ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ საიმედოდ, მივიწევდით წინ და გზად უკანასკნელ ადამიანამდე ვმუსრავდით ყველა მთიელს, რომელიც კი შემოგვეყრებოდა. როგორც კი თოვლმა დნობა იწყო და ვიდრე ხეები მწვანით შეიმოსა (თებერვალსა და მარტში) ასობით მთის სოფელი გადავწვით; ნათესები ცხენებით და ზოგან ფეხითაც გავაჩანაგეთ; მოსახლეობას, თუკი მოულოდნელად მოვიხელთებდით, ბადრაგის თანხლებით ერთიანად უახლოეს სტანიცამდე, იქიდან კი შავი ზღვის ნაპირებისაკენ და შემდეგ თურქეთში მივერეკებოდით“. (45). მ. ჩუხუა წერს, რომ რუსეთის გენერალი ვ ა ს ი ლ გ ე ი მ ა ნ ი (1823–1878) რომელიც მონაწილეობდა კავკასიის დაპყრობისას და (1877–1878) წლებში რუსეთ-თურქეთის ომებში, „იმედოვნებდა, რომ ადგილობრივი ჩერქეზული მოსახლეობა ან შიმშილისაგან დაიხოცებოდა, ან გამოვიდოდა ზღვისპირეთში, რათა გადასახლებულიყო თურქეთში. აი, რას წერდა გენერალი თავის მოხსენებაში 1864 წელს: „აულები, პურისა და ხილის მარაგი გადამწვარია; ზუსტად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობა ზამთრის განმავლობაში, ან შიმშილით გაწყდება, ან ჩვენს ზღვისპირა პუნქტებში გამოვა თურქეთში გადასასახლებლად“. (45).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის ხელისუფლებას, რომ ხელში ჩაეგდო კავკასიის მიწები, ყოველგვარ ღონესა და ხერხს მიმართავდა. მისთვის კავკასიელები (განსაკუთრებით ჩერქეზები) არაფერს წარმო-ადგენდა და ფიზიკურად ანადგურებდა.

საბჭოთა ისტორიკოსი ვ ლ ა დ ი მ ერ პ ი ს ა რ ე ვ ი ც-კ ი (1890–1967) აღნიშნავდა, რომ „თითქმის ასი წლის მანძილზე (XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან 1864 წლამდე) მეფის ჯარები და კაზაკები სისტემატიურად აოხრებდნენ აულებს, წვავდნენ პურსა და თივას,

მიერეკებოდნენ საქონელს, ტყვედ მიჰყავდათ ქალები, ბავშვები და მოხუცები. მშვიდობიან მოსახლეობას სასტიკად უსწორდებოდნენ, სისხლი მდინა-რეებად მოედინებოდა“. (45).

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რუსებს შორისაც (არმიის მეთაურებშიც) იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ასეთ სისასტიკეს არ ეთანხმებოდნენ. ცნობილია, რომ 1812 წლის ომის გმირი, კავალერიის გენერალი ნიკოლოზ რაევსკი (1771–1829), 1824 წელს, „გადადგა და თავის მოხსენებაში წერდა:

„მე აქ პირველმა და აქამდე ერთადერთმა ავიმაღლე ხმა კავკასიაში დამღუპველი საომარი მოქმედებების წინააღმდეგ, რის გამოც იძულებული ვარ, დავტოვო აქაურობა. ჩვენი მოქმედებები კავკასიაში ესპანელების მიერ ამერიკის თავდაპირველი დაპყრობის ყველა საშინელებას მაგონებს, მაგრამ აქ ვერ ვხედავ ვერც გმირობას და მამაცობას, ვერც პისარისა და კორტესის მიღწევებს. ღმერთმა ქნას, რომ კავკასიის დაპყრობამ იმის მსგავსი სისხლიანი კვალი არ დატოვოს რუსეთის ისტორიაში, როგორც ამ დაპყრობილებმა დატოვეს ესპანეთის ისტორიაში“. (45).

ხორავა ნაშრომში – „ჩერქეზები“-ის, დასკვნით ნაწილში აღნიშნავდა, რომ:

„რუსეთ-კავკასიის ომის დროს რუსეთის იმპერია მიზანმიმართულად ეწეოდა ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილის მოსახლეობის – აბაზა-ჩერქეზების ამ რეგიონებიდან ძალადობრივი გზით განდევნას სამოქალაქო მოსახლეობაზე სამხედრო თავ-დასხმების გზით. რუსეთის ხელისუფლება ომის დროს ამ რეგიონის მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით განადგურებას ეწეოდა: განზრახ ქმნიდა ისეთ პირობებს, რომლის მიზანი იყო ამ მხარის მოსახლეობის სრული ან ნაწილობრივი ფიზიკური განადგურება. ამის შედეგად აბაზა-ჩერქეზების დიდი ნაწილი დაიღუპა, ნაწილი იძულებული გახდა უცხოეთში გადახვეწილიყო, ძალიან მცირე ნაწილი დარჩა რუსეთის ტერიტორიაზე.

შედეგად, მრავალი ეთნოგრაფიული ჯგუფი ისტორიის არენიდან გაქრა. ამდენად, რუსე-თის იმპერიის ქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც გენოციდი და ეთნიკური წმენდა“. (45).

1918 წლის 1 აპრილს, საბჭოთა ხელისუფლების დროს, გამოცხადდა ყუბანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და მასში შევიდა ჩერქეზები. ამავე წლის 28 მაისიდან გადაკეთდა და დაერქვა ყუბანისა და შავი ზღვის საბჭოთა რესპუბლიკა. ხოლო ამავე წლის 5 ივლისიდან – ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკა და ჩერქეზეთი გახდა მისი ნაწილი.

ჩერქეზი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არ შეწყვეტილა საბჭოთა წითელი ჯარის შემოსვლის დღიდან და გრძელდება დღემდე. ცნობილია, რომ ჩერქეზული აული, კოშეჰაბლი, „1918 წლის ზაფხულში წითელარმიელებმა პრაქტიკულად გაანადგურეს, აქ აგრესორებთან ომს 214 თავისუფლე-ბისათვის მებრძოლი ჩერქეზი პატრიოტის სიცოცხლე შეეწირა“. (45).

1919 წლის იანვარში ყარაჩაი-ჩერქეზეთი დაიკავა ა. დენიკინის, ეგრეთ წოდებულმა „მოხალისეთა თეთრი არმია“-მ, „როგორც თვითონ ამბობდნენ, „ზურგში წესრიგის დასამყარებლად“. დენიკინის პროპაგანდა მთიელებს ორ ჯგუფად ყოფდა: „ერთნი, მშრომელი ხალხებია (კუმიკები, ოსები, ყაბარდოელები და ლეკები), ხოლო მეორენი, თავიანთი ველური ინსტიქტების გამო, – ბანდიტური ცხოვრების მოყვარულები“.

„თეთრებმა“ მთიელების წინააღმდეგ ტერორს მიმართეს, თუმცა, ამავე დროს სრულ

თვითმმართველობას სთავაზობდნენ. მარტში დენიკინმა ჩეჩნებს არმიაში სამსახური შესთავაზა და შეიქმნა ჩეჩნების დივიზია. მაგრამ ამან უკუშედეგი გამოიღო – ჩეჩნები უკვე სხვა მთიელებს დაუპირისპირდნენ.

1919 წლის მაისში კავკასიის ემირმა, უზუნ-ხაჯიმ დენიკინის არმიას „ჰაზავათი", ანუ წმინდა ომი გამოუცხადა და დაღესტანსა და ჩეჩნეთშიც დაიწყო ახალი ავჯანყება. ჩვენთვის საინტერესოა, რომ ამ ომის მხარდამჭერად მოგვევლინენ ახლად შექმნილი სახელმწიფოები – აზერბაიჯანი და საქართველო. აზერბაიჯანი მთიელებს იარაღს აწვდიდა, ხოლო საქართველო, რომელსაც იარაღის დეფიციტი ჰქონდა, ძირითადად, ფულს აძლევდა. აი, რას წერდა პუბლიცისტი, დამოუკიდებელი საქართველოს (1918–1921) მთავრობის თავჯდომარე ნოე ჟორდანია (1868–1953):

„ჩვენ თვითონ გვიჭირდა, მაგრამ მთიელებს უარს არ ვეუბნებოდით. რატომ? ამას მოითხოვდა ჩვენი ჩრდილო საზღვრების დაცვა. მთიელთა ძლიერი დამოუკიდებელი რესპუბლიკა – ეს იქნებოდა მოსკოვის დაპირისპირებული ციხესიმაგრე. მის არსებობაში ყველა ჩვენ ვიყავით დაინტერესებული". (54).

1920 წელს საბჭოთა წითელმა ჯარებმა, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, თეთრგვარდიელებს დაატოვებინეს და იქ ისევ დამყარდა საბჭოთა წყობილება.

1921 წლის 20 იანვრიდან ჩერქეზეთი შეიყვანეს მთიელთა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. 1922 წლის 12 იანვრიდან ცალკე ჩამოყალიბდა ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი და ჩერქეზეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარის შემადგენლობაში აღმოჩნდა. რომლის მთავარი ქალაქი გახდა **ბატალფაშინსკი**. 1924 წლის 16 ოქტომბრიდან ჩრდილო-კავკასიის ავტონომიურ ოლქში შევიდა.

1926 წლის 26 აპრილში ეს მხარე გაყვეს ორ ოლქად: ყარაჩაის ავტონომიური ოლქი და ჩერქეზეთის ნაციონალური ოლქი. 1943 წლის ოქტომბრიდან სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს დადგენილებით, ყარაჩაის ავტონომიური ოლქი გაუქმდა და გაიყო ორ ნაწილად. სამხრეთი მხარე (ქლუხორი) შეუერთდა საქა-რთველოს, ხოლო დანარჩენი კი სტავროპოლის მხარეს. ხოლო იმავე წლის ნოემბერში, გერმანელებთან თანამშრომლობის საბაბით, ყარაჩაელები და ჩერქეზები მთლიანად შუა აზიაში გადაასახლეს, რომლის დროსაც მოსახლეობის დიდი ნაწილი დაიღუპა. 1957 წლის გადასახლებულთა შეწყალების (რეაბილი-ტაციის) შემდეგ დაბრუნდნენ და შეიქმნა სტავროპოლის მხარეში ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი, ისევ 1943 წლის საზღვრებში. 1990 წლის 30 ნოემბერს, სტავროპოლის მხარიდან გამოიყო და გადაკეთდა „ყარაჩაი-ჩერქეზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად" და შევიდა რსფსრ-ის შემადგენლობაში. რაც დამტკიცდა 1991 წლის 3 ივნისის რსფსრ-ის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით.

ყოველ წელიწადს, რუსეთსა და სხვადასხვა ქვეყნებში მყოფნი ჩერქეზები, განსაკუთრებით ადიღეში, ყაბარდო-ბალყარეთსა და ყარაჩაევო-ჩერქეზეთში, ფართოდ აღნიშნავენ 21 მაისს. ეს დღე არის ჩერქეზე-ბისათვის გლოვის დღე. ვინაიდან ამ დღეს დამთავრდა რუსეთ-კავკასიის 100 წლიანი (1763–1864) ომი და ამ დღეს დაეცა ჩერქეზების უკანასკნელი სიმაგრე აული **გუბაადვში**, (იხ. ზემოთ) რომლის აღების დროსაც ჩერქეზების სისხლით მოირწყო აულის მიმდებარე ველი და ამ ადგილს დაერქვა „**წითელი ველი**". 1994 წელს, ამ დღის 130 წლის თავთან დაკავშირებით რსფსრ-ს პრეზიდენტი ბორის ელცინი, მეფის

რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებულ ჩრდილოეთ კავკასიის ომის შესახებ ამბობდა:

„ჩერქეზი (ადიღეელების) ხალხის ასწლიანი უმაგალითო ბრძოლა თავისუფლებისათვის იწვევს პატივისცემას მთელ მსოფლიოში. „ეს იყო ომი არამარტო თავის მიწაზე გადარჩენისათვის, არამედ თვითმყოფადი კულტურის, საუკეთესო ნაციონალური ხასიათის თვისების შენარჩუნებისათვის.“ (119). მიუხედავად ამისა, სწორედ მის დროს და მისი ბრძანებით დაიწყო ჩაჩნეთის ომი, რომელიც დღემდე გრძელდება.

ჩრდილოეთ-კავკასიის მცხოვრებლები დღემდე მიმართავენ თხოვნით რფრ-ს ხელისუფლებას, რომ ახლომონათესავე ადიღელები, ყაბარდოელები და ჩერქეზები გაერთიანებინად და ერთიანი ადიღეს რესპუბლიკა შეექმნათ, მაგრამ მათ თხოვნას არ აკმაყოფილებენ. რადგან რუსეთის იმპერიას აწყობს, რომ ჩრდილოეთ კავკასია იყოს დანაწევრებული. ამავე დროს ჩერქეზების ნაციონალური მოძრაობის წევრები იბრძვიან იმისათვის, რომ აღიარებული იყოს მეფის რუსეთის მიერ, ჩერქეზების (ადიღეელების) მიმართ ჩადენილი დანაშაული, როგორც გენოციდი.

დღევანდელ დღეს, **ყარაჩაი-ჩერქეზეთის** რესპუბლიკა სამხრეთ ფედერალური ოლქის შემადგენლობაში შედის, რომლის დედაქალაქია ქ. **ჩერკესკი**.

ქ. ჩერკესკი მდებარეობს მდ. ყუბანის მარჯვენა ნაპირზე. დაარსდა 1804 წელს კაზაკების პოლკის მიერ. 1931 წელს ეწოდა **ბატალფაშინსკი**. 1934 წელს, რევოლუციონერი სახკომის წევრის დ. ი. სულიმოვის (1890–1937) პატივსაცემად დაერქვა სულიმოვ-ჩერკესკი. ხოლო როდესაც 1937 წელს დ. სულიმოვი დახვრიტეს, ქალაქს დაარქვეს, ნ. ეჟოვის (1895–1940) პატივსაცემად – ეჟოვ-ჩერკესკი. 1939 წელს ნ. ეჟოვი დააპატიმრეს და ქალაქს დაუტოვეს სახელი მარტო ჩერკესკი.

1979 წლის აღწერის მონაცემებით ჩერქეზები სსრკ-ში ცხოვრობდა 46 000 კაცი. (8, ტ.11, გვ.102).

ყარაჩაი-ჩერქეზეთის მოსახლეობა 1959 წელს იყო 277 959 კაცი; ხოლო 1989 წელს გახდა 417 560 კაცი.

2010 წლის აღწერით რესპუბლიკაში სულ 478 500 მცხოვრები იყო. აქედან:

ყარაჩაელები – 194 324 (41,0%); რუსები (მათ შორის კაზაკები) – 150 025 (31,6%); ჩერქეზები – 56 466 (11,9%); აბაზინები – 36 929 (7,8%); ნოღაელები – 15 654 (3,3); უკრაინელები – 1 990; ოსები – 3 142; სომხები – 2 737; თათრები – 1 696; ბერძნები – 1 276; დანარჩენი – 3 499. (133).

სურიკოვი აღნიშნავს, რომ „140 წლის შემდეგ, გენოციდის შედეგები კვლავ ახსენებს თავს. დღეს დასავლეთ კავკასიაში ცხოვრობს 600 000 ადიღეელები. ამათგან, ამიერყუბანის-პირეთში და შავიზღვის-პირეთში, რომლებმაც განიცადეს გენოციდი – მხოლოდ 160 000. ამავე დროს საზღვარგარეთ იმყოფება თითქმის ორი მილიონი მოჯახედი – მთიელთა შთამომავალნი, სამშობლოდან ძალადობით დეპორტი-რებულნი. მათ შორის: თურქეთში – 1 500 000; (სტამბულში – 300 000); სირიაში – 60 000; იორდანიაში – 20 000; ისრა-ელში – 4 000; გერმანიაში – 20 000; საფრანგეთში – 150; ჰოლანდიაში – 100; აშშ – 3 000“. (53). ისრაელში 4 000 ადიღეელები (ჩერქეზები) ჩასახლდნენ ისტორიულ ოლქის გალილეიაში და იმყოფებიან სამ სოფელში: კფარ-კამაში, აბუ-ტოში და რეხანიაში. ისინი არ ეკუთვნიან არაბებს. 1958 წელს იბრძოდნენ ებრაელებთან ერთად დამოუკიდებლო-

ბისათვის და დღესაც იმყოფებიან ისრაელის საჯარისო ნაწილებში.

„ჩერქეზებს სსრკ-ში უწოდებენ ყარაჩაი-ჩერქეზეთის აო-ის მოსახლეობას (მათ შორის ყაბარდოელების წინაპრებსაც, რომლებიც ყუბანში გადასახლდნენ XIX ს. I მეოთხედში). ლაპარაკობენ ყაბარდოულ-ჩერქეზულ ენაზე, რომელიც განეკუთვნება კავკასიურ ენების აფხაზურ-ადიღურ ჯგუფს. საერთო რაოდენობა სსრკ-ში 45 ათასი კაცი (1979). ჩერქეზებს უწოდებენ აგრეთვე თავიანთ თავს XIX ს-ში ოსმალეთში გადასახლებული კავკასიის მთიულები – ადიღეები, აფხაზები, ოსები და ა. შ. საზღვარგარეთის ლიტერატურაში ეთნონიმი ჩერქეზები დღემდე იხმარება, როგორც ყველა ადიღეს სახელწოდება“. (8, ტ.11, გვ.102).

ყარაჩაი-ჩერქეზეთის სახელმწიფო ენაა – რუსული და ყარაჩაული, ჩერქეზები ლაპარაკობენ ჩერქეზულ კილოკავზე, ყაბარდოულ-ჩერქეზულ (საერთო ყაბარდიელებთან) ენაზე, რომელიც განეკუთვნება აფხაზურ-ადიღეურ ჯგუფის ჩრდილოეთ-კავკასიურ ოჯახს.

ჩერქეზების და ყაბარდოელების ენა სინამდვილეში ერთი და იგივე ენაა. ადიღეური მცირედით განსხვავებულია, მაგრამ, ერთმანეთის ესმით.

„2010 წლის 25 მაისს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლიის ინსტიტუტმა ოფიციალური დასკვნა გამოაქვეყნა იმის შესახებ, რომ თანამედროვე ადიღელები, ყაბარდოელები, ჩერქეზები და შაფსულები ერთიანი ჩერქეზული ერია“. (45).

რუსეთის იმპერიის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, ყველა ტომებისათვის შემოიღეს საერთო დამწერლობა – რუსული (კირილიცა), რომელმაც შეცვალა არაბული. 1925 წელს მიიღეს ლათინურენოვანი დამწერლობა. შემდგომში, ჩრდილოეთ-კავკასიის მეცნიერები იხილავდნენ საკითხს, რომ შექმნილიყო ყველა ჩრდილო-კავკასიელებისათვის, ერთიანი, საერთო ანბანი და ლიტერატურული ენა, მაგრამ საკითხი განუხილავი დარჩა, რადგან, ამ ყრილობის მონაწილე ყველა მეცნიერი მსჯავრდადებული აღმოჩნდა როგორც „ბურჟუაზიული ნაციონალისტები“. ნაწილი დაიჭირეს და გადაასახლეს, ხოლო უმრავლესობა მოსპეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთელ საბჭოთა კავშირში შეფარვით მიმდინარეობდა გარუსების პოლიტიკა. რომელიც გრძელდება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც. დღევანდელ დღეს შემოღებულია ყველა ჩრდილო-კავკასიელთათვის ისევ რუსული ანბანი.

ა. თოთაძე აღნიშნავს:

„ჩრდილოეთ კავკასიაში რუსულმა ენამ გაბატონებული მდგომარეობა დაიჭირა. ეროვნული ენები განიდევნა ფაბრიკებიდან, ქარხნებიდან, საცხოვრებელი კორპუსებიდან, ინსტიტუტებიდან, სკოლებიდან. შინ და გარეთ, სამუშაოზე და ქუჩაში ყველაფერი რუსულ ენაზე „ალაპარაკდა“. ასეთი ვითარება იყო მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში....

ყოველივე ეს ძირითადათ იმან განაპირობა, რომ იერიში მიჰქონდათ ეროვნულ ენებზე და ცდილობდნენ მხოლოდ რუსული ენის დამკვიდრებას. მაგალითად, საკმარისი აღმოჩნდა ყოფილ საბჭოთა კავშირის პირველ პირს ნ. ხრუშჩოვს ბელორუსიის უნივერსიტეტის კიბეებზე ეთქვა საკრამენტული ფრაზა „რაც უფრო მალე ჩვენ ყველანი ვილაპარაკებთ რუსულად, მით უფრო სწრაფად ავაშენებთ კომუნიზმს“, რომ არა მარტო ბელორუსიაში, არამედ უკრაინაშიც მაშინვე დაიწყეს ამ ყოველმხრივ საზიანო და ნაცოდვილარი ნაზრევის ცხოვრებაში გატარება. მართალია, კომუნიზმი ვერ აშენდა, მაგრამ სამაგიეროდ ბელორუსიაში

თითქმის აღარ დარჩა სკოლა მშობლიურ ენაზე, მოსწავლეთა 79,0 პროცენტი განათლებას რუსულ ენაზე იღებდა. ბელორუსული სკოლა მხოლოდ სოფლად შემორჩა. სკოლებში ბელორუსულ ენას სამჯერ ნაკლები საათები ჰქონდა დათმობილი, ვიდრე რუსულს. ბელორუ-სული ენის დისკრიმინიზაციის საქმე იქამდე მივიდა, რომ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების შრომის ანაზღაურება უფრო მაღალი იყო, ვიდრე მათი, ვინც მშობლიურ ბელორუსულ ენას ასწავლიდა....

კიდევ ურო მძიმე მდგომარეობა იყო ჩრდილოეთ კავკასიაში. ცნობილი დაღესტნელი პოეტი რასულ გამზათოვი წერდა: „ჩემს მსობლიურ დაღესტანში ლიტერატურა ცხრა ენაზე იქმნება. ამტკიცებენ, რომ არცერთ მათგანს არ უწერია გაქრობა... უკანასკნელ დროს ეროვ-ნულ ენაზე ორი ახალი ლიტერატურული ჟურნალი გამოიცა. მაგრამ გვაღელვებს საკითხი: ვის შეეძლება ეს ჟურნალები წაიკითხოს ათი, ოცი წლის შემდეგ? მახაჩკალაში არ არის არც ერთი საბავშვო ბაღი, არც ერთი სკოლა, არც ერთი კლასი, სადაც ჩვენი წინაპრების ენას ასწავლიდნენ“. (25, გვ.98). ასეთი ვითარება იქმნებოდა მთელ საბჭოთა კავშირში.

საქართველო-ჩერქეზების პოლიტიკურ-კულტურული კავშირები ხორციელდებოდა ლიხ-სიქეთიდან, ძირითადათ აფხაზეთის სამთავროდან. თუმცა, დრო და დრო ხდებოდა ლიხ-საქეთაც, ქართლ-კახეთის სამთავროებს შორის ურთირთკავშირიც. ზევით აღვნიშნეთ, რომ გიორგი გურიელს ცოლად ჩერქეზი ქალი ჰყავდა. ხოლო, ერეკლე II-ეს მოუწვევია მტერთან საბრძოლველად დასახმარებლად სხვა ჩრდილოეთ კავკასიელთა შორის ჩერქეზებიც. ცნობი-ლია ისიც, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როდესაც ქართლის მეფემ ვახტანგ VI-ემ პოლიტიკური ვითარების გამო, მიატოვა ქართლი, თავისი ამალით, რომელიც შედგებოდა 1 200 წევრისაგან, 1724 წლის აგვისტოს ბოლოს, რაჭიდან გადავიდა ჯერ ჩერქეზეთში, ხოლო აქედან გაემგზავრა რუსეთში.

წყაროებიდან ჩანს, რომ საქართველოსა და ჩერქეზებს შორის დაახლოება და კულტურული ურთიერთობა უფრო მეტად დამყარებულა VIII საუკუნიდან, როდესაც ჩრდილო კავკასიაში დაიწყო ეგრის-აფხაზეთიდან ქრისტიანული რელიგიის გავრცელება, რასაც მოჰყვა ქართული ენის გავრცელებაც. „აღსანიშნავია, რომ VIII ს. მიწურულიდან, განსაკუთრებით კი IX–X სს. ქართულ ენას ეგრის-აფხაზეთის მეფეები ავრცელებენ და ქრისტიანობასთან ერთად ამკვიდრებენ როგორც ეკლესიის ენას ჩრდილო კავკასიაშიც, ჩერქეზებსა და ალან-ოსებში. ეს ყველაფერი ჩრდილოეთ კავკასიაში ეგრის-აფხაზეთიდან მიმდინარე პროცესი იყო“. (6, ტ.II, გვ.26). მაგრამ, XIV საუკუნიდან ჩერქეზეთში თანდათან დაიწყო ისლამის გავრეცელება და საბოლოოდ XVIII საუკუნეში ისლამმა მთელი ჩრდი-ლოეთ კავკასია დაიპყრო. ისლამის გავრცელება ხდებოდა ძალდატანებითაც. ოსმალების წეს-ჩვეულების თანახმად, ოჯახის უფროსის წინაშე დააყენებდნენ ნათესავებს და ემუქრე-ბოდნენ ყველას დახოცვით, თუ იგი უარს იტყოდა ისლამის მიღებაზე.

მიუხედავად ამისა, წყაროებიდან ჩანს, რომ ჩერქეზებსა და საქართველოს შორის ურთიერთობა, XVII–XIX საუკუნეებში, მაინც ხორციელდებოდა. საქართველოს მოღვაწეები შეძლებისდაგვარად ცდილობ-დნენ ჩერქეზეთში ქრისტიანობის გავრცელებას და გაჭირვების დროს შეძლებისდაგვარად ერთმანეთს ეხმარებოდნენ.

ლიხსიქეთის კათალიკოს-პატრიარქი (1696–1742) წლებში გ რ ი გ ო ლ ი (ერისკაცობაში გრიგოლ ლორთქიფანიძე), რომელიც მონაწილეობდა იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ

ცხოვრებაში და დიდი ძალი-სხმევით ებრძოდა ტყვის ყიდვას, მაჰმადიანობის გავრცელებას და ამავე დროს ცდილობდა მთიანეთის მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელებას, ისტორიკოსის და საზოგადო მოღვაწის მიხეილ თამარაშვილის (ერისკაცობაში თამარათი მიქელ) (1858–1911) გადმოცემით: „1713 წ. სამეგრელოს გავლით ევროპაში მიმავალ ფრანგ მისიონერ რიშარს და სულხან-საბა ორბელიანს გრიგოლმა დაავალა, რომ იმერეთში მისიონერები ჩამოეყვანათ. რათა ისინი აფხაზეთსა და ჩერქეზეთში სამოღვაწეოდა გაეგზავნა“. (6, ტ.IV, გვ.485).

პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს, რომ: „ქართველნი ყიზილბაშთა საომრად დიდად ალესილ იყვნეს, მოიწვივნეს ჯარები ქალაქსა თბილისასა ქართლნი სრულად, იმერნი, ჩერქეზნი, ოსნი და კავკაზისანი, აგრეთვე კახსაბატონს შემოეყარა კახნი სრულად. თუშნი, ფშავნი, ხევსურნი და ლეკნი, რომელნი მონებდნენ კახს ბატონს. რა ეს ჯარები შემოიკრიბნენ ქალაქსა თბილისასა, გავიდა თოფხანა და გაბძანდა მეფე თეიმურაზ და მეფე ერეკლე ქალაქით თვესა თებერვალსა... (8), ქრონიკოსნ ულ (1750 წ.)“. (29, გვ.106).

1751 წელს, როდესაც ირანის ტახტის ხელში ჩაგდების მოსურნემ, აზატ-ხანმა (გ. დაახლ. 1762) ააოხრა ქართლ-კახეთის მოხარკე ერევნის სახანო და ალყაში მოაქცია ერევანი, ერევნის ხანმა დახმარება სთხოვა ერეკლე II-ეს. მან სასწრაფოდ ჯარი შეკრიბა, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ჩრდილოეთ კავკასიელებიც და მათ შორის ჩერქეზებიც.

პ. ორბელიანი მოგვითხრობს, რომ:

„მოვიდა ერევნის ხანი და უფროსნი კაცნი, შემოეხვეწნენ პატრონთა ჩვენთა, სთხოვეს ჯარი და მოხმარება, გაგზავნეს კაცნი მაშინვე ჩერქეზში, ოსეთში, და მთების ქვეყნებში, ჯარები დაიბარეს და აქაც მზადება შექმნეს ჯარებისა“. (29, გვ.107). ერევნის ახლოს, ყირხბულახში, ერეკლე II-ემ, სასტიკად დაამარცხა აზატ-ხანი და ერევნის სახანოდან განდევნა. თუმცა, იმავე წელსვე, თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ის ლაშქრობისას ჭარ-ბელაქნის (უბატონო თემების) დასამორჩილებლად, 11 თებერვალს, მდ. აგრისწყლის (ალაზნის შენაკადი, ახლანდელი აგრიჩაი, აზერბაიჯანში) მიდამოებში გადამწყვეტ ბრძოლის დროს, მაჰმადიანი ხანების (მათ შორის ერევნის ხანიც) და შაქის სახანოს დამაარსებელ აჯი-ჩალაბის (ჰაჯი ჩელები ყურბან-ოღლუ) (გ. 1755) ღალატის გამო, ქართველები დამარცხდნენ.

1752 წლის 28 მარტს, განჯასთან გამართულ ბრძოლაში, რომელიც დილიდან საღამომდე გაგრძელდა, მაჰმადიანმა ხანებმა და ისევ ერევნის ხანმაც ქართველებს უღალატეს და აჯი-ჩალაბს მიემხრნენ. ღალატის გამო, ქართლისა და კახეთის მეფეები თეიმურაზ II და ერეკლე II დამარცხდნენ. ამ დამარცხებით გათამა-მდნენ ლეკები და კახეთის სოფლებს მოედვნენ. ამიტომ საჭირო გახდა ახალი ჯარის შექმნა და დასახმა-რებლად ერეკლემ ყაბარდოელები და ჩერქეზები მოიწვია. შეერთებულმა ლაშქარმა ყაზახ-შამშადილოსთან აჯი-ჩალაბი დაამარცხა. როგორც პ. ორბელიანი გადმოგვცემს, ამის შემდეგ, არ გასულა დიდი დრო და დაღესტნის ერთ-ერთმა ძლიერმა ფეოდალმა, ხუნძახის ბატონმა ნურსალ-ბეგმა შეკრიბა რაც რომ „დაღე-სტანში ბელადები და უფროსი კაცები იყვნენ“ და 1754 წელს ქართლ-კახეთის დასაპყრობად გამოემართა. ერეკლე II-ეს, დასახმარებლად ისევ ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელები მოუწვევია. „გაგზავნეს მეგეთა კაცნი ჩერქეზში, აღუთქვეს მისაცე-მელი ფრიადი და დაიჭირეს ჯარი, ეგრეთვე ოსისა და მთის ჯარები, კავკასიიდან მოიწვიეს

ჯარები“. (33, გვ.108). თუმცა, სანამ დამხმარე ჯარები მოვიდოდნენ, აგვისტოში, მჭადის-ჯვართან ერეკლე II-ემ, საოცარი გაბედული შეტევით დაამარცხა ნურსალ-ბეგი.

საქართველოსა და ჩერქეზებს შორის ურთიერთობა შეწყდა რუსეთის იმპერიის მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოებული ომის დროს. ხოლო საბჭოთა კავშირის დროს, მიუხედავად მოწოდებებისა, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი ერები ყველა „ძმები“ იყვნენ, სინამდვილეში, ერებს შორის ურთიერთ კავშირი უფრო დაიძაბა და გართულდა. ცნობილია, რომ 1992–1993 წლებში, ეგრეთ წოდებულ „აფხაზეთის ომში“, საქართველოს წინააღმდეგ, მონაწილეობას ღებულობდნენ, საბჭოების მიერ მოტყუებული ჩრდილო-კავკასიელები, მათ შორის ჩერქეზი მოხალისეებიც. თუმცა, დროთა განმავლობაში, ჩრდილოეთ-კავკასიელებსა და ქართველებს შორის, თანდათან მყარდება ურთიერთ კავშირი და 2010 წლის 20 მარტს, თბილისში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, სახელწოდებით: „უცნობი ერები, უწყვეტი დანაშაული: ჩერქეზები და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები წარსულსა და მომავალს შორის“. სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ჩრდილო-კავკასიელთა 15 ქვეყნის 70-მდე ექსპერტი. ძირითადათ, კრება სამ საკითხს განიხილავდა:

1). საკუთარი სახელმწიფოს შექმნა; 2). გენოციდის აღიარება; 3). სოჭის ოლიმპიადის გაუქმება.

კონფერენციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ „თბილისი კავკასიის დედაქალაქია და სწორედ ამ დედაქალაქში გვინდოდა ამ ღონისძიების ჩატარება. საქართველო ჩრდილოეთ კავკასიის ერებს შორის ბუნებრივ ხიდს წარმოადგენს“. (55).

კონფერენციაში მონაწილე ჩერქეზი ხალხის წარმომადგენლებმა საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს სთხოვეს, რომ XIX საუკუნეში რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაული ჩერქეზების მიმართ – აღიარონ როგორც ჩერქეზთა გენოციდი.

2010 წლის ნოემბერში თბილისში მეორე კონფერენცია ჩატარდა. სადაც, კონფერენციის წარმომა-დგენლებმა საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების საკითხის გან-ხილვის დაჩქარება მოითხოვეს. ამის შემდეგ საქართველოს პარლა-მენტის დიასპორასა და კავკასიის საკითხთა კომიტეტთან საინფორმაციო თანამშრომლობა დამყარდა.

კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რუსები კავკასიის დაპყრობისთანავე ფიქრობდნენ ქარ-თველების, ინგუშების, ჩაჩნების, დაღესტნელების და ჩერქეზების დამორ-ჩილებას, ან საერთოდ განადგურებას და ამასვე ფიქრობდნენ რუსეთის პროგრესულად მოაზროვნენიც, ისეთები როგორიც იყვნენ დეკაბრისტებიც.

ცნობილი დეკაბრისტი, პ ა ვ ლ ე პ ე ს ტ ე ლ ი (1793–1826) რომელიც „1816 შევიდა „ხსნის კავშირში“ და იყო მისი წესდების მთავარი ავტორი. 1818 ტულჩინში ჩამოყალიბდა „კეთილდღეობის კავშირი“, რომე-ლსაც მიაღებინა რესპუბლიკის პროგრამა, მოითხოვდა და ასაბუთებდა მეფისა და მისი ოჯახის სიკვდილით დასჯის აუცილებლობას. 1821 მარტში შექმნა და სათავეში ჩაუდგა დეკაბრისტების სამხრეთ კავშირს და ცდილობდა გაერთიანებინა ჩრდილოეთ კავშირთან. იყო ავტორი რუსეთის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნის პროექტისა („რუსკაია პრავდა“), რომელიც მოითხოვდა ყმების განთავისუფ-ლებას მიწითურთ, წოდებრივ პრივილეგიათა მოსპობას და სხვ.“ (8, ტ.8, გვ.40). „საზო-გადოების საპროგრამო დოკუმენტში „რუსკაია პრავდა“-ში იგი წერდა:

„1. მტკიცედ დავიმორჩილოთ საზღვრიდან ჩრდილოეთით მცხოვრები ყველა ხალხი, რომელიც გადაჭიმულია რუსეთსა და სპარსეთს შორის, ასევე თურქეთამდე, მათ შორის ზღვისპირა ნაწილი რომელიც დღეს თურქეთს ეკუთვნის.

2. დავანაწევროდ ყველა კავკასიელი ხალხი ორ ხარისხად: მშვიდობიან და შმაგებად. პირველები დავტოვოთ თავიანთ ბინებში და მივცეთ მათ რუსული მმართველობა და წყობილება, ხოლო მეორეები – ძალით გავასახლოთ რუსეთის შიგნით, დავანაწევროთ ისინი მცირე ოდენობით მთელს რუსეთის თემებში.

3. შევქმნათ კავკასიის მიწებზე რუსული სოფლები და ყველა რუს გადასახლებულებს დაურიგოთ ყველა მიწები, წართმეული უწინდელი შმაგ მცხოვრებლებისაგან და გარდავქმნათ ეს მხარე მშვიდ და კეთილმოწყობილ რუსულ ოლქად“.

ამრიგად, პ. პესტელი კავკასიელ ხალხებს ყოფდა მშფოთვარე, დაუმორჩილებელ და მშვიდ, დამყოლ ტომებად. მისი აზრით, აუცილებელი იყო პირველის გადასახლება იმპერიის შიდა გუბერნიებში, ხოლო მეორის თანდათანობითი ასიმილაცია და სრული გათქვეფა კავკასიაში ჩასახლებულ რუსულ მოსახლეობაში. შემდეგში ცარიზმი სწორედ ასე მოიქცა“. (45).

დღევანდელ დღესაც, „კავკასიის მრავალეროვნულობას კარგად იყენებს რუსეთი მის დასაშლელად“, „ჩვენ დღეს ხელოვნურად გვაშორებენ იმისთვის, რომ ერთმანეთი ვხოცოთ, ასეთი ღონისძიებები ძალიან მნიშვნელოვანია კავკასიის გასაერთიანებლად“ – აღნიშნავს ჩეჩნეთის პრეზიდენტის, ჯოხარ დუდაევის ქვრივი, ალა დუდაევა“. (55).

სიტყვა „**გენოციდი**“, II მსოფლიო ომის შემდეგ შემოიღეს, რაც ნიშნავს „რასობრივი, ეროვნული თუ რელიგიური მოტივებით მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ფიზიკური მოსპობა ან ცხოვრების ისეთ პირობებში ჩაყენება, რაც მათ განადგურებას გამოიწვევს.

გენოციდი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულია....

პასუხისმგებლობა გენოციდისათვის გათვალისწინებულია ნიურბერგისა და ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალების წესდებით და სპეციალური კონვეციით „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცი-ლებისა და მისი დასჯადობის შესახებ“ (მოიწონა გაეროს გენოციდის ასამბლეამ 1945 წ. 9 დეკე.)“. (8, ტ.3, გვ.57).

რუსეთის ფედერაციაში შემავალმა ორმა სახელმწიფომ: ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბ-ლიკამ 1992 წელს და ადიღეს რესპუბლიკამ 1996 წელს, აღიარეს ჩერქეზების გენოციდი.

1997 წლის 15–17 ივლისს ჰოლანდიის გენერალური ასამბლეის არმქონე ერებისა და ხალხების V სესიამ, რუსეთის ფედერაციას და საერთაშორისო საზოგადოებრიობას მოუწოდა ეღიარებინათ ჩერქეზი ხალხის გენოციდი.

1998 წლის 28 მაისს გაეროს IV სესიაზე განიხილეს ჩერქეზი ხალხის გენოციდის აღიარების და ჩერქეზული დიასპორის რეპატრიაციის პრობლემის საკითხები.

„2006 წლის 11 ოქტომბერს მსოფლიოს 9 ქვეყნის 20-მა ჩერქეზულმა ორგანიზაციამ ევროპარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა.

2006 წლის 17 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის ჩერქეზულმა ორგანიზაციებმა რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს თხოვნით მიმართეს, ჩერქეზთა საკითხის დადე-ბითად გადაწყვეტისათვის ხელი შეეწყო. ორგანიზაციებმა მიმართვის პასუხად შემდეგი შინა-არსის განცხადება მიიღეს: „რუსეთის კანონდებლობაში არ არსებობს შესაბამისი ნორმა-ტულსამართლებლივი აქტები, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის პროცედურას განსაზ-

ღვრავს“. (55).

2011 წელს საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს, ჩერქეზთა გენოციდის აღიარების დაჩქარების საკითხის გადაწყვეტის თხოვნით მიმართავდნენ „ჩერქეზთა კონგრესის“, „ჩერქეზთა პატრიოტებმა“ და სხვადასხვა ქვეყნის ჩერქეზთა დიასპორის წარმომადგენლებმა და საზოგადოებრივმა წარმომადგენლებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ზოგიერთი საზოგადოების წარმომადგენლები, („რუსოფილები“), უარყოფითად ეკიდებოდნენ გენოციდის მიღებას და აფრთხილებდნენ პარლამენტს, რომ ჩერქეზი ხალხის გენოციდის მიღების შემთხვევაში, უფრო მეტად გაუარესდებოდა საქრთველოსა და რუსეთს შორის დამოკი-დებულება. მიუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა ჩერქეზი ხალხის გენოციდის დოკუმენტური მასალები და მეცნიერთა კვლევის შედეგები და „2011 წლის 20 მაისს საქართველოს პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე კენჭი უყარა რუსეთის იმპერიის მიერ რუსეთ-კავკასიის ომის დროს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების შესახებ რეზოლუციას. საკანონმდებლო ორგანო გადაწყვეტილების მიღებისას ერთსულოვანი გამოდგა. 95 ხმა არცერთის წინააღმდეგ“. (55).

საქართველოს პარლამენტმა დაადგინა:

„1. აღიარებულ იქნეს რუსეთ-კავკასიის ომის პერიოდში ჩერქეზების (ადიღელების) მასობრივი განადგურება და ისტორიული სამშობლოდან განდევნა გენოციდის აქტით, თანახმად „სახმელეთო ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ“ ჰაგის 1907 წლის 18 ოქტომბრის IV კონვენციისა და „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილების და მისი დასჯის შესახებ“ გაეროს 1948 წლის 9 დეკემბრის კონვენციისა.

2. აღიარებულ იქნენ ლტოლვილებად რუსეთ-კავკასიის ომის პერიოდში და შემდგომ დეპორტირებული ჩერქეზები, თანახმად „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის 28 ივლისის კონვენციისა.

თბილისი, 2011 წლის 20 მაისი.

საქართველოს პარლამენტისაგან რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებული ჩერქეზი (ადიღელი) ხალხის გენოციდის აღიარების ლოგიკურ გაგრძელებად იქცა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 ივლისის დადგენილება №1446 რუსეთის იმპერიის კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად დაღუპულთა სახელის უკვდავსაყოფად საქართველოს ტერიტორიაზე მემორიალის აღმართვა. მემორიალი, რომელიც რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიელ ხალხთა მიმართ გენოციდის პოლიტიკის შედეგად ფიზიკურად განადგურებული ადამიანების ხსოვნას მიეძღვნება, საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქ ანაკლიაში განთავსდება, ანუ იქ, სადაც მე-19 საუკუნეში სამშობლოდან იძულებით აყრილმა, ოსმალოთა იმპერიაში მიმავალმა, ჩერქეზული (ადიღური) დევნილი მოსახლეობის არაერთმა ტალღამ გაიარა“. (55).

ასევე, განხორციელდა გენოციდი, რუსეთისა და აფხაზი სეპარატისტების მიერ წარმოებულ „აფხაზეთის ომის“ და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ომის“ დროს, მცხოვრები ქართველებისა და სხვა ერის მიმართ. რომლის დროსაც დაახლოებით 300 000 აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ ათასობით მოსახლე იძულებული შეიქნა დაეტოვებინათ თავისი კარმიდამო და გადასახლებულიყო სვადასხვა ადგილებში.

3. ყარაჩაელები და ბალყარელები.

ყარაჩაელები ჩამოყალიბდნენ ადგილობრივი მთიელი ტომებისა და ირანულ და თურქულ-ენოვან (ალა-ნების, ბალყარელების, ბულგარელების და ყივჩაღების) შერევის შედეგად. შემდეგში, კიდევ მოხდა მათი გაყოფა: ყარაჩაელები დარჩნენ მდ. ყუბანის ზედა მხარეში, ხოლო ბალყარელები ჩასახლდნენ აღმოსავლეთ მხარეში: ბაქსანის, ჩეგენის და ჩერეკის ხეობებში. ყარაჩაელები და ბალყარელები ერთმანეთთან მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი. ცნობილია, რომ XIX საუკუნეში ბალყარელების ნაწილი, ყ ა რ ა ჩ ა ს მეთაურობით გადასახლდნენ კავკასიის მთებში და მათი ბელადის სახელის მიხედვით ეწოდათ – ყარაჩაელები. მათი საერთო რაოდენობა 200 000-ს აღწევს. ყარაჩაელები თურქულ ენოვან ოჯახში შედიან. (146).

რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს, რომ:

„მეგრელთა მეტყველებაში თურქულენოვანი ყარაჩაელების აღმნიშვნელი ეთნონიმი... არის ალანები რაც ასევე იძლევა საშუალებას დანამდვილებით დავასკვნათ, რომ ყარაჩაელების მიწა-წყალზე მათ მოსვლამდე ოსთა ახლო მონათესავე ალანები მკვიდრობდნენ (რომლებიც კავკასიის ველებში ჰუნების შემოსევების შემდეგ გამოჩნდნენ) და ადრინდელი მოსახლეობის სახელი შემდეგ მოსულ ხალხს მიეკუთვნა“. (13, გვ.66).

ბალყარელები (საკ. სახელ. კარაჩ-ბალყარლი, თაულულა – „მთიელნი“) წარმოადგენენ ჩრდილოეთ კავკასიელ, ყაბარდო-ბალყარეთის ძირითად ხალხს, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილოეთ კავკასიის მთებში, მდინარეების: ხაზნიდონზე, ჩერეკ-ბალყარეთის, ჩერეკ-ხულამის, ჩეგემის, ბაქსანის და მალკის ფერდობებზე.

მეცნიერების აზრით, ბალყარების ჩამოყალიბება ხდებოდა თანდათან, ძველი ჩრდილო-კავკასიური ტომე-ბისა, (ძვ. წ. IV–I სს.), შემდეგში აქ ჩამოსახლებულ ირანულენოვან ტომებთან ალანებთან (ძვ. წ. I ს.), თურქულენოვან ბოლგარებთან (ჩვ. წ. I ს.), ხაზარებთან და ყივჩაღებთან, (ჩვ. წ. X ს.), აღრევის შედეგად. XII–XIV საუკუნეებში თანდათან ჩამოყალიბდა ორი ძირითადი ტომი: **ბალყარელები** (სახელი წარმოიშვა „ბალგარიიდან“) და **ყარაჩაელები** („შავი წყალი“). ქართულ წყაროებში (XIV–XVIII) ბალყარელები მოხსენე-ბულნი არიან როგორც „ბასიანები“, სვანები უწოდებენ „საუარებს“ („მთიელებს“), ოსები – „ასამებს“, („ასონ“, „ასიაგ“), ყაბარდოელები – „კიუშხებს“ („მთიელი“). რუსულ წერილობით წყაროებში ბალყარელები მოხსენებულნი არიან პირველად 1629 წელს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბალყარელები და ყარაჩაელები წარმოადგენენ ერთ ერს, გაყოფილს ორ ნაწილად. ბალყარელები ლაპარაკობენ ყარაჩაულ-ბალყარულ ენაზე, რომელიც განეკუთვნება თურქულ ენოვან ოჯახს. ბალყარელებისა და ყარაჩაელების ენა ერთმანე-თისაგან მცირე კილოკავით განსხვავდება.

ბალყარეთში XVII საუკუნიდან დაიწყო გავრცელება ისლამმა. რომელმაც შეცვალა ქრისტი-ანული და წინაქრისტიანული რწმენა-წარმოდგენები.

2009 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით ბალყარელები იმყოფებიან:

ყაბარდო-ბალყარეთში – 107 300 კაცი; ყირგიზეთსა და ყაზახეთში – 53 000. გარდა ამისა ცხოვრობენ თურქეთში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში და აშშ-ში. (142)

4. ყ ა ბ ა რ დ ო ე ლ ე ბ ი

დღევანდელ ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ადიღეელების ერთ-ერთ ტომს, **ყაბარ-დოელებს**, ჩრდილოეთ კავკასიის ტომებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მ. ცინცაძე წერს:

„ადიღეური მოდგმის ტომებზე მსჯელობისას შეუძლებელია გვერდი აუაროთ ყველაზე უფრო აღმო-სავლეთით მცხოვრებ ყაბარდოელებს. რომლებმაც მონღოლთა მიერ ალან-ოსური მოსახლეობის შევი-წროების შემდეგ თანდათანობით გადაინაცვლეს აღმოსავლეთისაკენ XIV საუკუნეში და საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას დაეუფლნენ. XVI–XVIII საუკუნეებში ყაბარდოელებმა მძლავრი პოლიტიკური ორგანიზმი შექმნეს და აქტიურ როლს თამაშობდნენ, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, ასევე მეზობლებთან ურთიერთობაში“. (31, გვ.14).

ყაბარდოელები ცხოვრობენ ძირითადათ ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთში და ჩრდი-ლოეთ-აღმოსავლეთ მთიან მხარეში და ბარში, მდინარეების: თერგის, ჩერეკის, ჩეგემის, ბაქსანის და ურვანის მიდამოებში. ხოლო ბალყარელები კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმყოფებიან მხოლოდ ყაბარდო-ბალყა-რეთის რესპუბლიკის მთიან ზოლში.

2011 წლის აღწერის მონაცემებით, ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო რაოდენობა იყო 859 700 კაცი. ხოლო 2010 წლის მონაცემებით – 893 697 კაცი; გარდა ამისა, ყაბარდოელთა გადასახლებულთა შთამომავლები ცხოვრობენ თურქეთში, სირიაში, იორდანიაში, ლიბანში, აფრიკაში, ევროპაში და აშშ-ში. მათ მოიხსენიებენ როგორც ჩერქეზებს.

2009 წლის 1 იანვრის მონაცემებით – 894 324 კაცი:

ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის მოსახლეობა ეროვნებების მიხედვით შემდეგი იყო:

ყაბარდოელები – 502,3 (55,3%); რუსები – 227,9 (25,1%); ბალყარელები – 107,3 (11,6%); ოსები – 9,8 (1,1%); თურქები – 8,8; უკრაინელები – 7,6; სომხები – 5,3; კორეელები – 4,7; ჩაჩნები – 4,2; გერმანელები – 2,5; ციგნები – 2,4; თურქი-მესხები – 2,3; ლაკები (ყაზიყუმუხები, დაღესტნის ერთ-ერთი მკვიდრი ხალხი) – 1,8; ქართველები – 1,7; ყარაჩაელები – 1,3; ინგუშები – 1,2; ბელორუსები – 1,2; ებრაელები – 1,1 და სხვები – 924 (0,1%).

2008 წლის მონაცემებით, მოსახლეობის საერთო რაოდენობა 891 338 ადამიანს შეადგენდა. მოსა-ხლეობის სიმჭიდროვეა 71,3 ადამიანი კვადრატულ კილომეტრზე“. (73).

ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის დედაქალაქია **ნალჩიკი**.

სახელწოდება „ნალჩიკი“ ეტყობა წარმოსდგა მთის გარეგნული მოხაზულობის გამო, რომელზედაც არის გაშენებული. იგი ნალის მოყვანილობისაა. მდებარეობს კავკასიონის ჩრდილოეთ მხარეში, მდ. ნალჩიკის (თერგის აუზში) ნაპირებზე.

ნალჩიკი დაარსდა 1817–1818 წლებში როგორც სამხედრო ციხე-სიმაგრე გზების შესა-ყარზე, რომლებიც მიემართებიან მთის ხევებში. ეს იყო ერთ-ერთი ციხე-სიმაგრე, რუსეთის მიერ აგებული კავკასიის ომების დროს, კავკასიის გამაგრებული ხაზისა, რომელიც შედგე-ბოდა ყოველ 25–30 კმ-ით დაშორებულ რამდენიმე ციხე-სიმაგრეებისა და სტანიცებისაგან, რომელთა შორის ყოველ 3–5 კმ-ზე იდგა საგუშაგოები. 1838 წელს ციხე-სიმაგრესთან გაშენდა სამხედრო დასახლება. 1871 წელს გამოცხადდა სლობოდად (რუსეთში XI საუკუ-

ნიდან ზოგიერთი დასახლებული ადგილი დროებით თავისუფლდებოდა სათავადო მორჩილე-ბისაგან) და ნალჩიკის ოკრუგის (სამხედრო დასახლებების გაერთიანების ადგილები) მთავარ ქალაქად. 1863 წელს სლობოდა გაუქმდა. დასახლება გაიზარდა. 1918 წლის 21 მარტს ქალაქში კომუნისტებმა მოახდინეს აჯანყება და საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. 7 ოქტომბერს ნალჩიკი დაიკავეს თეთრგვარდიელებმა. ამავე წლის ნოემბერში ნალჩიკში ისევ საბჭოთა ჯარი შევიდა, ხოლო 1919 წლის იანვარში, ა. დენიკინმა დაიკავა ქალაქი. ამავე წლის მაისში 1920 წლის 24 მარტს ნალჩიკში ისევ საბჭოთა ხელისუფლება აღსდგა და 1921 წლის 1 სექტემბერს ნალჩიკი გამოცხადდა როგორც ყაბარდოს ავტონომიური ოლქის (რუსეთის შემადგენლობაში) მთავარი ქალაქი. 1922 წლის 16 იანვრიდან ყაბარდო-ბალყა-რეთის ავტონომიური ოლქის მთავარი ქალაქი გახდა, ხოლო 1936 წლის 28 ოქტომბრიდან – ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური სსრ-ის დედაქალაქი. 1942 წლის 25 ოქტომბერში ნალჩიკში შევიდნენ გერმანელები და იმყოფებოდნენ 1943 წლის 3 იანვრამდე. 1995 წლიდან ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის დედაქალაქად გამოცხადდა.

ყაბარდო-ბალყარეთის სახელმწიფო ენებია: ყაბარდოული (ყაბარდო-ჩერქეზული), ბალყა-რული (ყარაჩაი-ბალყარული) და რუსული.

„ყაბარდო-ჩერქეზული ენა, კავკასიური ენების აფხაზურ-ადიღეურ ჯგუფს მიეკუთვნება. ერთ-ერთ ოფიციალურ ენას ყაბარდო-ბალყარული და ყარაჩაი-ჩერქეზული წარმოადგენს.

ზოგიერთი ენათმეცნიერი მიიჩნევს, რომ ყაბარდო-ჩერქეზულ ენას ადიღეურ ენასთან აქვს კავშირი. თავად ადიღეები, ყაბარდოელები და ჩერქეზები თავიანთ ენას „адыгэбзэ“-ს უწოდებენ. რაც „ადიღეურ ენას“ ნიშნავს“. (73).

რუსეთის მიერ ყაბარდოს დაპყრობამდე სამწერლო ენა იყო არაბული, ხოლო შემდეგ 1924 წელს შემოიღეს ლათინური. 1936 წლიდან – რუსული (კირილიცა).

ყაბარდოულ ენაში „გამოიყოფა კილოები: ბაქსანური, მალკური, მოზდოკური და საგრძნობლად განსხვავებული ბასლენური. ყაბარდოულ ენაზე მოლაპარაკებელთა რაოდენობა 300 ათ. კაცს აღემატება....

ყაბარდოულ ენაში შეიმჩნევა ძველად შეთვისებული ოსური, ქართული, თურქული და არაბული. ამჟამად სალიტერატურო ენის ლექსიკა გამდიდრებულია რუსულიდან შემოსული სიტყვებით“. (8, ტ.10, გვ.605).

„ყარაჩაი-ბალყარული ენა თურქული ენის ჩრდილო-დასავლურ შტოს მიეკუთვნება, რომელიც ყაბარდო-ბალყარეთის და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ერთ-ერთ სახელმწიფო ენას წარმოადგენს. მას მშობლიურ ენაზე ბალყარელები „малкъар тил“-ს უწოდებენ, ხოლო ყარაჩაელები – „къарачай тил“-ს.

ყარაჩაი-ბალყარულ ენას აქვს ორი დიალექტი – ყარაჩაი-ბაკსანო-ჩეგემის (чокающий) და მალკარული (цокающий), ასევე, ხოლამო-ბიზინგური კილოკავი, ყარაჩაი-ბალყარული ლიტე-რატურული ენა ეფუძნება ყარაჩაი-ბაკსანო-ჩეგემის დიალექტს“. (73).

ძველ დროს ყაბარდოელები და ბალყარელები წარმართები იყვნენ. X საუკუნიდან ყაბარდო-ბალყარეთში ბიზანტიიდან დაიწყო გავრცელება ქრისტიანულმა სარწმუნეობამ, რომელმაც ძველი სარწმუნეობის ნაწი-ლები დაიტოვა და წარმართული მიმდინარეობის ნაირსახეობა გახდა. XIV საუკუნიდან თურქეთის ზეგა-ვლენით ყაბარდო-ბალყარეთში იწყებს გავრცელებას ისლამი, რომელმაც XVIII საუკუნეში დაიწყო ქრისტი-ანული სარწმუნეობის

გამოდევნება და XIX საუკუნის I ნახევარში ყაბარდო-ბალყარელები სუნიტი მუსლიმები (ისლამის ძირითადი მიმართულება) გახდნენ.

დღევანდელ ყაბარდო-ბალყარეთის მიწა-წყალზე, უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ ადიღეელების წინაპართა ტომები: **მეოხები**, **ზიხები**, **ქასოგები** და სხვ. არქეოლოგების მიერ გამოვლენილი ძეგლები განეკუთვნებიან კაცობრიობის უძველეს დროს. რკინის ხანაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადიღეურ ტომებს, რომლებმაც ძვ. წ. I ათასწლეულში სახელმწიფო გაერთიანება შექმნეს, განიცადეს სკვითების, სარმატების, ალანების და თურქულენოვანი ტომების (ბოლგარების და ყივჩაყების) ზეგავლენა. VII–VIII ყაბარდოს მიწა-წყალზე წარმოიშვა ადიღეელთა ტომების მცირე გაერთიანებები. X–XII საუკუნეებში ყაბარდოს მიწა-წყალზე მცხოვრები ტომები შევიდნენ „ალანთა კავშირში. „ბაქსანის მთიელთა“ და „ჩეგემის მთიელთა“ სახელწოდებებით“. (73). XIII საუკუნიდან ადიღეელთა ტომები, რომლებიც ცნობილი იყვნენ როგორც ჩერქეზების საერთო სახელწოდებით და სახლობდნენ დღევანდელი ჩერქეზეთის მიწა-წყალზე, გაემართნენ სამხრეთ-აღმოსავლეთით პიატიგორიეს მხარეში და საბოლოოდ XIV საუკუნეში, მდინარეების თერგის, მალკის, ბაქსანისა და ჩერეკის მიდამოებში, (ყაბარდოს თანამედროვე მიწა-წყალზე), დამკვიდრდნენ და ყაბარდოელთა სახელწოდება მიიღეს. ამ ადგილებში მცხოვრები ადგილობრივი ადიღეელთა ტომები (დღევანდელი ბალყარელები) იძულებულნი გახდნენ გადასახლებულიყვნენ ჩრდილოეთ კავკასიის ქედების ფერდობებზე, ხევებში და ჩამოყალიბდა ყაბარდოსაგან დამოუკიდებელი ბალყარელთა გაერთიანება. „რაც წარმოადგენდა სახელმწიფოებრიუობის ნიშნების მქონე ადრეფეოდალურ წარმონაქმნს.

ბალყარელებს ძველთაგანვე გააჩნდათ მეზობლებთან მრავალმხრივი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები, განსაკუთრებით ყაბარდოელებთან, დიგორიელ ოსებთან, ქართველებთან (განსაკუთრებით რაჭველებთან და სვანებთან) და სხვ.“ (53).

XV–XVI საუკუნეებში ჩამოყალიბდა სამთავროები: მდ. თერგის დასავლეთ მხარეში „დიდი ყაბარდო“ და თერგის მარჯვენა მიდამოებში მდ. სუნჯამდე – „მცირე ყაბარდო“.

„ყაბარდო (ყაბარდეი, პიატიგორსკის ჩერგეზეთი) როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული XV საუკუნეში გამოიყო, ნახევარლეგენდად ქცეული ინალის – ჩერქეზეთის თავადების (ინალიდები) პატრიარქის, ეფემერული ქვეყნის დაშლისას. XV–XVI ს. ზღვარზე მას გამოეყვნენ ბესლანეი – აღმოსავლეთ ამიერყუბანში და ჯილიახსტანი – თერგ-სუნჟენის შუამდინარეთში“. (73).

„ქართულ წყაროებში ჩრდილო კავკასიის ადიღეურ-ჩერქეზული ტომები უმთავრესად ჯიქების სახელით იხსენიებიან, ხოლო ყაბარდოელები – ჩერქეზების სახელად“. (8, ტ.IV, გვ.87).

XV საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიაში თურქების მომძლავრების დროს, ყაბარდოელები ყირიმის სახა-ნოს დაემორჩილნენ, ისინი აგზავნიდნენ ჯარს, ყოველ წელიწადს უხდიდნენ ხარკს, მონებისა და ტყვეების სახით. ყაბარდოელები თურქებსა და ყირიმის სახანოს დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ.

XVI საუკუნეში „ჩრდილოეთ ოსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ყაბარდოს ფეოდალების გავლენის ქვეშ“ მოექცა.. (6, ტ.IV, გვ.88).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVI საუკუნეში, ჩრდილოეთში იწყებს მომძლავრებას მოს-

კოვის სამთავრო და ყაბარდო მალე გადაიქცა თურქების, ყირიმის სახანოსა და რუსეთის დაპირისპირების ადგილად. ამ ომების გამო, ყაბარდოელების მთავრების ნაწილმა, 1557 წელს ელჩები გააგზავნეს ივანე IV მრისხანესთან, რომ დაეცვა ყაბარდოელები ყირიმის სახანოსაგან. „1557 წელს მოსკოვში ჩასული ყაბარდოელი ელჩები რუსეთის მთავრობას მოახსენებდნენ, რომ მათთან ერთად „ერთი ფიცითა და პირობით არიან შეკრულნი ივერიის მთავარი და ივერიის მთელი ქვეყანა“ და მათთან ერთად ქართველებიც ითხოვენო რუსეთის მფარველობას და დახმარებას მათი მტრების წინააღმდეგ“. (6, ტ.IV, გვ.121). მოსკოვის სამთავრომ სიხა-რულით მიიღო ელჩობა და მზადყოფნა გამოხატა მათ დასაცავად. მოსკოვის მთავრობა უკვე ფიქრობდა კავკასიის დაპყრობას და კოლონიად გადაქცევას. რომ უფრო მეტად მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინა ყაბარდოელ ფეოდალებთან, ივანე მრისხანემ 1561 წელს ცოლად მოიყვანა ყაბარდოელი დიდი თავადის თემრუკ აიდარის ძის (იდარის ძე) (გ. XVI ს. 70-იან წლებში) ასული კუჩენეი (მარია). ამავე ხანებში თემრუკის შვილები იმყოფებოდნენ მოსკოვის კარზე. 1557 წელსვე თემრუკმა და ზოგმა ყაბა-რდოელმა თავადმა მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა. თემრუკის მოთხოვნით 1567 წელს მოსკოვის მთა-ვრობამ მდ. თერგზე ააგო ციხე-სიმაგრე, რომელიც შემდგომში გახდა კავკასიაში რუსეთის ძალაუფლების გავრცელებისა და რუსების მთავარ დასაყრდენ ადგილად. ამავე დროს ზოგი ყაბარდოელი მთავრები გაქრისტიანდნენ და გახდნენ რუსეთის ბოიარები (თავადაზნაურები). რაც შემდეგში ყაბარდოელებს სავალალო გაუხდა.

რუსეთის მეფე ივანე IV-ის ძე თევდორე თავის თავს უკვე ყაბარდოელთა ბატონ-პატრონად თვლიდა. მაგრამ, მიუხედავად მოსკოვის მთავრობის მცდელობისა, რომ ყაბარდოელები როგორმე დაემორჩილებინა და ისინი მისი ხელქვეითები გამხდარიყო, ეს არ მოხდა. XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დამდეგს, ყაბარდოში იწყება არეულობა და მთავრების ურთიერთ დაპირისპირება. აქ ყალიბდება ორი ურთიერთ საპირისპირო დაჯგუფება: „ბაქსანის“ – რუსეთის მომხრე და „ქაშქათავის“ – თურქეთისა და ყირიმის მომხრეებად. ყაბარდოში ფეოდალების ურთიერთ დაპირისპირებას და ამ არეულობას ხელს უწყობ-დნენ როგორც თურქები, ასევე მოსკოვის სამთავროც. (1735–1739) რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრებისას 1739 წელს ბელგრადში დადებული ხელშეკრულების თანახმად, ყაბარდო დამოუკიდებელი გახდა. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ თურქებმა შეძლეს ყაბარდოელების დამორჩილება. 1774 წლის ოსმალეთსა და რუსეთს შორის დადებული ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებით, ყაბარდო და ბალყარეთი რუსეთის გამგე-ბლობაში აღმოჩნდა და ამის შემდეგ, რუსეთის მთავრობამ ყაბარდო-ბალყარეთში დაიწყო კოლონიური წყობილების დამყარება. ამის გამო ყაბარდო-ბალყარეთში არ შეწყვეტილა გამოსვლები და აჯანყებები რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ.

რუსეთის ხელისუფლება, როგორც სხვაგან, აქაც ცდილობდა ზოგიერთი თავადების საჩუქრებით და წოდებების მიცემით გადმობირებას, ადგილობრივი მცხოვრებლების აყრასა და გადასახლებას და მათ მიწე-ბზე რუსებისა და სხვა ეროვნებების დასახლებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რუსეთი მიმართავდა კავკა-სიელი ტომების სხვადასხვა ხერხებით ერთმანეთზე წაკიდებასაც. მეფის რუსეთის კავკასიაში მოქმედების შესახებ, საბჭოთა ისტორიკოსები წერდნენ:

„ნაციონალურ შუღლში და კავკასიელი მთიელების ერთმანეთთან ბრძოლებში მეფის

რუსეთი ყოველთვის ხედავდა ერთ მნიშვნელოვან საშუალებას, რომელიც აადვილებდა კავკასიაზე კოლონიურ ოლიტიკას. ერთი ხალხისაგან ჩამორთმეულ მიწებს ურიგებდა სხვებს, რუსეთის ხელიოსუფლება აჩაღებდა ნაციონალურ მტრობას და ყაბარდოელ მეზობლებს (ოსებს, ინგუშებს, ჩაჩნებს და სხვ.) ერთმანეთს უსევდა. „აზრთა სხვაობა მთიელებს შორის გააადვილებს ჩვენს საქმიანობას. ამაზე ფულის დახარჯვა არ დაინანოდ“. წერდა 1771 წელს ეკატერინე II ჩრდილოეთ კავკასიაში ჯარების ხელმძღვანელს, გრაფ გენერალ-პორუჩიკს იოჰან ფრიდრიხ ფონ მედემს (ივანე თევდორეს ძე დე მედემი, 1722–1785). მანვე პეტერბურგიდან მიიღო მითითება: „ყველაზე უფრო უფრთხილდით მათ გაერთიანებას და შეეცადეთ მათ შორის შიდა შეუთანხმებლობის გაღვივებას“. (113, ტ.30, გვ.411).

ყველა აჯანყებები რუსეთის ხელისუფლების მიერ სასტიკად იქნა ჩახშობილი, მოსახლეობას დაუნდო-ბლად ანადგურებდნენ და აულებს წვავდნენ.

მოსკოვის მთავრობამ, რომ გაეადვილებინა ყაბარდოს დაპყრობა, მის საზღვართან ახლოს 1763 წელს დიწყო მოზდოკის ციხე-სიმაგრის მშენებლობა. ამან გამოიწვია მოსახლების უკმაყოფილება და რუსეთის მომხრეებიც კი აჯანყდნენ. 1767 წელს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყდა თითქმის ყველა ფეოდალი. დე მენდემმა მოახერხა აჯანყებაში მონაწილე ზოგიერთი ფეოდალის გადაბირება და სხვა ტომების დახმარებით ჩაახშო აჯანყება. 1777 წელს რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ მხარეში დაიწყო ციხე-სიმაგრეების: ეკატერინოგრადსკაიას, პავლოვსკაიას, გეორგიევსკაიას და ალექსანდროვსკაიას მშენებლობა და დაარსეს „სტანციები“ სადაც ასახლებდნენ ვოლგისპირეთის კაზაკებს. ამან გამოიწვია ხელახლა ყაბარდო-ელთა აჯანყება, რომელიც ჩაახშვეს. 1779 წელს ისევ დაიწყო აჯანყება, რომელიც მოედო მთელს მხარეს, სადაც მონაწილეობდნენ თითქმის ყველა მთავრები და გლეხობა, რაც სისხლის ფასად დაუჯდა ყაბარდო-ელებს. დაიღუპა ყველა ყაბარდოში გამოჩენილი მთავრები. 1785 წელს უფრო ფართოდ მოიცვა აჯანყებამ, რომელიც ისიც ჩაახშვეს. ეკატერინე II-ის დროს რუსეთის ხელისუფლებამ უფრო მყარად მოიკიდა ფეხი ყაბარდოში და 1803 წელს დაიწყო ახალი ციხე-სიმაგრეების: კისლოვოდსკის, კონსტან-ტინოგორსკის და პიატიგორსკში კაზაკთა სტანციების მშენებლობა, ამან, ისევ გამოიწვია აჯანყება, რომლის ჩახშობისას, 1804 წლის დასაწყისში, სადამსჯელო ომის დროს დაიღუპა უამრავი ყაბარდოელი. რუსების წინააღმდეგ, თავისი საიდუმლო წარმომადგენლების საშუ-ალებებით, ყაბარდოელებსა და ნოღაედელებს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა თურქეთი, რომე-ლიც ცდილობდა უფლებების განმტკიცებას ჩრდილოეთ კავკასიაში.

„1808 წლის დასაწყისში, ყაბარდოს ყველა კავშირი გარე სამყაროსთან სრულად შეწყდა კორდონების ორმაგი ჯაჭვით და საკარანტინო საგუშაგოებით. ხოლო, გენერალ ბულგაკოვის ლაშქრობა ყაბარდოს და ამიერყუბანის სიღრმეში იმდენად მკაცრი იყო, რომ რუსეთის უმაღლეს გენერალიტეტშიც გამოიწვია შეშფოთება.

1816 წელს, კავკასიის მთავარსარდლად გენერალ ერმოლოვის დანიშვნის შემდეგ, საოკუპაციო რეჟიმი ყაბარდოში კიდევ უფრო გამკაცრდა, რამაც ახალი აჯანყებების ტალღა გამოიწვია და გამათავისუფლებელი მასობრივი ბრძოლის ხასიათი მიიღო;

1822 წელს, ყაბარდო საბოლოოდ იქნა დაპყრობილი რუსეთის მიერ“. (73). თუმცა, ამის შემდეგაც ყაბარდოელები განაგრძობდნენ ბრძოლას და 1825 წელს, კავკასიის ჯარების შტაბის უფროსმა (1816–1827) ალექსი ველიამინოვმა (1785–1838), ისევ ჩრდილოეთ

კავკასიელთა თავადების დახმარებით, სასტიკად ჩაახშო აჯანყება და ამის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო კოლონიური წყობილების დამყარება.

ყაბარდოს დაპყრობის შემდეგ, რუსეთის იმპერიამ უფრო მეტად მოაქცია ჩრდილოეთ კავკასია კოლო-ნიურ მარწუხებში. რასაც ხალხი უპასუხებდა აჯანყებებით. ამით კი სარგებლობდა თურქეთი, რელიგიის – ისლამის შემწეობით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩრდილოეთ კავკასიის ტომებმა რუსეთს „ღაზავათი“ – საღვთო ომი გამოუცხადა.

ამავე ხანებში, (1817–1864) წლებში რუსეთის მიერ, მთიელთა წინააღმდეგ, ჩრდილოეთ კავკასიაში ჩატარებულმა ომებმა, ყაბარდოელებსა და ბალყარელებსაც საშინელება მოუტანა. 1785 წელს ყაბარდოში დაწყებული აჯანყება, მთელ ჩრდილოეთ კავაკსიას მოედო. ეს იყო ჩრდილოეთ კავკასიის ტომთა გამა-თავისუფლებელი ომი. (იხ. ზემოთ). რაც, სისხლში ჩაახშო რუსეთმა. ამ აჯანყებების ჩახშობის შემდეგ, ვინაიდან ხელს აღარავინ უშლიდა, რუსეთის ხელისუფლება შეუდგა კოლონიური წყობილების დამყარებას მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველ რიგში დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიაში სასაზღვრო სამხედრო ლინიების მშენებლობა. ციხე-სიმაგრეების მშენებლობა მას სჭირდებოდა, რომ შეეჩერებინა თურქეთის მოძა-ლება და დაემორჩილებინა ქედუხრელი მთიელები. სტანიცები-სიმაგრეები რომ აეშენებინათ, ამისათვის ადგილობრივ მოსახლეობას ართმევდნენ მიწებს და ასახლებდნენ ჩამოყვანილ კაზაკებს და სხვა მსურველ კოლონისტებს. თვითონ ყაბარდოში (1817–1820) ააშენეს ციხე-სიმაგრე ნალჩიკი და კიდევ სხვა სიმაგრეები. რუსეთის იმპერა-ტორი ალექსანდრე II წერდა: „ასე მივიჩნევდი კაზაკების წოდებას, როგორც დანიშნულებას «სახელმწიფოს ყოფაში იმისთვის, რომ დავიცვათ იმპერიის საზღვრები, მიმდებარე მტრუ-ლად განწყობილ და არა კეთილგანმზრახველი ტომებისაგან, და ჩავასახლოთ მათ ჩამორთმეულ მიწებზე»“. (113, ტ.30, გვ.411).

სამხედრო მნიშვნელობის გარდა, ჩრდილოეთ კავკასიის სიმდიდრის ხელში ჩაგდებით დაინტერესებულნი იყვნენ რუსეთის მემამულეები, ვაჭრები და მრეწველები. რუსეთის მთავრობას ხელს უწყობდნენ აგრეთვე რუსოფილი მთავრები, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ თავისი უფლებების გამტკიცებისათვის დამპყრობლები როგორმე ეამებინად. სამაგიეროდ ამ გამყიდველებსა და მოღალატეებს ასაჩუქრებდნენ, სხვადასხვა საჩუქრებით, აძლევდნენ წოდებებსა და ჩინ-მედლებს, საშვილიშვილოდ გადასცემდნენ მიწებსაც.

„გენერალი ერმოლოვი 11/XII 1822 ფინანსთა მინისტრს სთხოვდა, რომ მის გამგეობაში გაეცად საჩუქრებისათვის «ამ მხარის აზიატებისათვის მომავალ 1823» სპეციალური აღწერით სხვადასხვა ნივთები, დაწყებული ბრილიანტების ბეჭდებიდან, ოქროსა და ვერცხლის საათებით, ჭურჭლებისა და ა. შ....

საკმარისია ვაჩვენოთ, რომ სამინისტროს კომიტეტის მიერ 1825 წ. დამტკიცებული მხოლოდ ერთი აქტით, ყუმიყი თავადის პოლკოვნიკ ბოკაჩოვ-ჩერქეზისათვის, ყაბარდოელთა დაცხრომისათვის, პირად ფლობელობაში, საჩუქრად გადაეცა, მცირე ყაბარდოს საზოგადო მიწებიდან 98 ათას დესეტინაზე მეტი ფართობი, ამ მიწებზე მდებარე აულები, კომლებითა და ტყეებით“. (113, ტ.30, გვ411).

ყაბარდოს დაპყრობის შემდეგ, ბრძოლას განაგრძობდნენ ბალყარელები. მის მიუვალ მთებში შეფარე-ბული აჯანყებულები თავს ესხმოდნენ რუსების საჯარისო ნაწილებს. ბოლოს,

1827 წელს ბალყარელმა ტაუბებმა (თავადებმა), ჩრდილოეთ კავკასიის ჯარების უფროსს მიმართეს თხოვნით, რომ ისინი თანხმდებოდნენ რუსეთის ქვეშერდომობას, თუ შეუნარჩუნებდენ მათ წოდებებსა და უფლებებს. ამით დამთავრდა ბალყარეთის შეერთება რუსეთთან. ამის შემდეგ რუსეთის იმპერიამ ჩაატარა ადმინისტრაციული რეფორმა. „ყველა ჩრდილოეთ-კავკასიელი ხალხი, თავისი ტერიტორიებით, მონიშნულნი იყვნენ როგორც ოლქები და შევიდნენ თერგის ოლქის შემადგენლობაში. ყაბარდოელებმა და ბალყარეთის ხუთმა თემმა შეადგინეს ერთიანი ადმინისტრაციული ერთეული – ყაბარდოს ოლქი. (73). როგორც ცნობილია, 1838 წლიდან, როგორც საქართველოს გრენადერთა პოლკის შტაბს-კაპიტანი და შემდეგ, 1843 წლიდან ავარიის მმართველი და დაღესტნის ჯარების უფროსი გრიგოლ ორბელიანი, მონაწილეობას ღებულობდა ჩრდილოეთ კავკა-სიის მთიელთა ბრძოლებში და იბრძოდა შამილის წინააღმდეგ. (იხ. ზემოთ). როდესაც 1861 წლის მაისში, შეშფოთებულმა გ. ორბელიანმა, რუსეთის ხელისუფალთ შეატყობინა, რომ თუ ასეთი სისწრაფით გაგრძელდებოდა ყაბარდოელების გადასახლება თურქეთში, ყაბარდო საერთოდ დაიცლებოდა მოსახლეობისაგან, ერთ-ერთი ცნობილი კავკასიის დამპყრობლის, გრაფი, ნიკოლოზ ევდოკიმოვის (1804–1873) პასუხიდან, ცხადათ ჩანს, რუსეთის ხელისუფალთა დამოკიდებულება კავკასიელთა მიმართ:

„მავნებელი მოსახლეობის შემცირება ჩვენ გვიხსნის ბევრ საზრუნავისაგან.... ნუ გეცოდებათ 442 ოჯახის წასვლა, რომ წასულიყვნენ ორჯერ მეტნი, ამით ამ მხარეს ზარალი არ მოუვა.... რაც შეეხება მუქარას, ვითომ წავლენ ყველა მოსახლეობა, ეს რომ განხორციელდეს, სიამოვნების გარდა, ჩვენ მოგვიტანდა კიდევ საგრძნობ სარგებლობას“. (96).

„1869 წელს, თერგის ოლქის მომდევნო ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად, ყაბარდოს ოლქს დაერქვა გეორგიევსკი, მოგვიანებით კი ნალჩიკის ოლქი“.

1918 წლის 18–23 მარტს ნალჩიკში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.

1918 წლის ივნისში დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ კაზაკთა აჯანყება, რომელსაც ხელმძღვანელეობდა გ ე ო რ გ ბ ი ჩ ე რ ა ხ ო ვ ი (1878–1920), რომელიც საბჭოთა წითელმა ჯარმა 1920 წლის ნოემბერში ჩაახშო. გეორგი წითლებმა აზერბაიჯანში დააკავეს და დახვრიტეს.

1919 წელს ყაბარდო-ბალყარეთი დენიკინმა დაიკავა;

1920 წლის 24 მარტში ყაბარდო-ბალყარეთში XI წითელი ჯარი შევიდა და საბჭოთა წყობილება დამყარდა;

„1921 წლის 20 იანვარს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ჩამოყალიბდა მთიელთა რესპუბლიკა, რომელშიც სხვა ნაციონალურ-ტერიტორიულ წარმონაქმნებთან ერთად შევიდა ყაბარდო და ბალყარეთი;

1921 წლის 1 სექტემბერს, მთიელთა რესპუბლიკის შემადგენლობიდან გამოსვლის შემდეგ, ყაბარდო გადაკეთდა რ/ფ-ში შემავალ ბალყარეთის ავტონომიურ ოლქად;

1922 წლის 6 იანვარს.... ბალყარეთი მოაქციეს რ/ფ-ში შემავალ ბალყარეთის ავტონომიურ ოლქში;

1922 წლის 9 იანვარს, შეიქმნა ყაბ.-ბალყ. ავტონომიური ოლქი, რ/ფ-ს შემადგენლობაში“. (73).

„1922 წლის 16 იანვარს, რსფსრ ცაკის დადგენილებით შეიქმნა ყაბ.-ბალყ. ავტონომიური ოლქი.....

სსრკ 1936 კონსტიტუციით, ყაბ.-ბალყ. აო გარდაიქმნა ყ-ბის ასსრ-დ“. (8, ტ.10, გვ.604).

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წლის ოქტომბერში ყაბარდო-ბალყარეთი დაიკავეს გერმანელებმა. 1943 წლის იანვარში საბჭოთა ჯარი შევიდა ყაბარდო-ბალყარეთში. ხოლო, 1944 წლის 8 მარტს ბალყა-რელები გადაასახლეს შუა აზიაში და ყაზახეთში. (ეს დღე, 8 მარტი, ითვლება ბალყარეთის ხალხის გლოვის დღედ). „ხოლო ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ს ეწოდა ყაბარდოს ასსრ, რაც სოციალისტური კანონიერების დარღვევა იყო“. (8, ტ.10, გვ.604). 1957 წელს, რეაბილიტაციის შემდეგ, ბალყარელები დაბრუნდნენ სამშობლოში. „1957 წლის 9 იანვარს სსრკ უმაღლესი საბჭოთა პრეზიდიუმის ბრძანებულებით ბალყარეთის ეროვნული ავტონომია აღდგა და ყაბარდო ასსრ ისევ ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-დ გარდა-იქმნა“. (8, ტ.10, გვ.604).

1991 წელს, გამოცხადდა ყაბარდო-ბალყარეთის დამოუკიდებლობა;

1995 წელს გამოცხადდა სახელწოდება „ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა“.

„ადიღეური მოდგმის ტომებიდან, გვიან შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა საქა-რთველოსთან სწორედ ყაბარდოელებს ჰქონდათ. აღმოსავლეთ საქარ-თველოს მმართველები ყაბარდოელებთან ურთიერთობას უპირატესად დვალეთისა და დარი-ალის გზებით ახორციელებდნენ, თუმცა დასავლეთ საქართველოსა და ყაბარდოს შორის ურთიერთობა რაჭისა და სვანეთის მეშვეობითაც ხორციელდებოდა“. (31, გვ.14).

წყაროებიდან ცნობილია, რომ კახეთის მეფე ალექსანდრე II „ცდილობდა მეგობრული დამოკიდებულება ჰქონოდა მეზობლებთან და ფრთხილი და მოხერხებული პოლიტიკით კიდევ უფრო გაეძლიერებინა თავისი სამეფო. მას ნათესაური დამოკიდებულებით კავშირი ჰქონდა შეკრული ყაბარდოსთან“. (6, ტ.IV, გვ.122).

როდესაც 1769 წელს, იმერეთის მეფემ (1752–1784) სოლომონ I-მა (1735–1784) გაილაშქრა როსტომ რაჭის ერისთავის (1759–1769) წინააღმდეგ, როსტომმა შვილი გიორგი გააგზავნა ყაბარდოს მთავართან – ნავრუზ მისოსტოვთან ჯარის სათხოვნად. მაგრამ თვითონ ნავრუზი მთებში იყო გახიზნული და იქედან ებრძოდა რუსეთს, ასე, რომ გიორგი ხელცარიელი დაბრუნდა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, 1752 წელს, როდესაც შაქის ხანი აჯი-ჩალაბი საქართველოს შემოესია, ერეკლე II-ემ დახმარება სთხოვა ყაბარდოელებს.

ცნობილია ისიც, რომ XVIII საუკუნის 70-იან წლებში როდესაც გამწვავდა ბრძოლები რუსებსა და ყაბარდოელებს შორის და ყაბარდოელები გამოუვალ მდგომარეობაში ვვარ-დებოდნენ, ერეკლე II-ემ შეეცადა ყაბარდოელებთან კავშირი დაემყარებინა, რომ ყაბარდოელები, მათთვის ხელსაყრელი პირობებით, საქართველოში გადმოსახლებულიყვნენ, „მაგრამ რუსეთის მთავრობამ ერეკლეს წარგზავნილები მოზდოკში დააკავა და ეს წამოწყება მარცხით დასრულდა“. (6, ტ.IV, გვ.522).

XVIII საუკუნის II ნახევარში, მიუხედავად ომებისა და დაძაბული ვითარებისა, საქართველო მაინც ახერხებდა მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებს.

„მნიშვნელოვნად გაცხოველდა აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო კავშირები ჩრდი-ლოეთ კავკასიის ხალხებთან. ოსები, ყაბარდოელები, ლეკები მოდიან სავაჭროდ თბილისში,

ცხინვალში, ახალგორში, დუშეთში, თელავში, ყვარელში, სიღნაღში და სხვ“. (6, ტ.IV, გვ.544).

ცნობილია, რომ XIX საუკუნეში თბილისი წარმოადგენდა კავკასიის როგორც პოლიტიკურ, ასევე კულტურულ ადგილს, რადგანაც აქ ცხოვრობდნენ ყველა კავკასიელი ხალხის წარმომადგენლები. აქ მოღვაწეობდნენ აზერბაიჯანელი, ოსი, სომეხი, ყაბარდოელი და სხვ. მოღვაწენი. 1861 წელს, პირველი ყაბარდოელი ხალხის განმანათლებელის, ისტორიკოსის და ფილოლოგის შორა ნოგმოვის (1794–1844) ნაშრომი „ადიღე ხალხის ისტორია“ დაიბეჭდა თბილისში. (6, ტ.V, გვ.836). შემდგომ დროსაც, ქართველი ხალხი, მიუხედავად თავისი გაჭირვებული მდგომარეობისა, ყოველთვის ცდილობდა შეძლებისდაგვარად დახმარებოდა ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხს. ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, „1943 წლის მაის-აგვისტოში სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების, ჩრდილო ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და როსტოვის ოლქის მოსახლეობისათვის საქართველოდან გაიგზავნა ათობით მილიონი მანეთის სხვადასხვა სამრეწველო საქონელი, ავეჯი, ინვენტარი და კვების პროდუქტები“. (6, ტ.VIII, გვ.223). და სხვა. საქართველოსა და ყაბარდო-ბალყარეთის ურთიერთობა ომის შემდეგაც გრძელდებოდა. მაგრამ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენების გამო, საქართველოსა და ყაბარდო-ბალყა-რელებს შორის ურთიერთობა შეწყდა.

თავი VII. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიელები.

ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიელებს ეკუთვნიან კავკასიის უძველესი ტომები: **ინგუშები**, **ჩაჩნები** და **დაღესტნელები**. ენის მხრივ ისინი შედიან იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში (იხ. ზევით). ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიურ ენებს განეკუთვნებიან:

1. დაღესტნური ენებიდან, სამი ქვეჯგუფი: ხუნძურ (ანუ ავარული)-ანდიურ-დიდოური (ანუ ცეზური), ლაკურ-დარგული და ლეზგიური;

2. ნახური (ვეინახური) ენები;

3. ხინალუღური ენა (ადრე მიაკუთვნიდნენ დაღესტნური ენების ლეზგიურ ქვეჯგუფის ენებს. დღევანდელ დღეს გამოყოფილია ცალკე ენად).

არსებობს კიდევ მეორენაირი აღმოსავლეთ-იბერიულ-კავკასიური ენების სქემა:

1. დასავლეთის ჯგუფი: ნახური (ვეინახური ანუ ჩაჩნეთ-ინგუშური) ქვეჯგუფი;

ხუნძურ (ავარული)-ანდიურ-ცეზური (დიდოური) ქვეჯგუფი.

2. აღმოსავლეთის ჯგუფი: დარგული ქვეჯგუფი და ლაკური ქვეჯგუფი.

3. სამხრეთის ჯგუფი: ლეზგიური ქვეჯგუფი და ხინალუღური ქვეჯგუფი.

ქვეჯგუფებში შედიან სამწერლობო და უმწერლობო ენები.

ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიელები ჯერჯერობით შედიან რუსეთის შემადგენლობაში და მიმდინარეობს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა.

1. ჩაჩნები.

ჩაჩნეთის რესპუბლიკა (ჩეჩნეთი) – ექვემდებარება რუსეთის ფედერაციას. შედის სამხრეთ ფედერალური ოლქის შემადგენლობაში. დაარსდა 1922 წლის 30 ნოემბერს როგორც ავტონომიური ოლქი რსფსრ-ს შემადგენლობაში. ესაზღვრება ჩრდილოეთ ოსეთი, სტავროპოლის მხარე, ინგუშეთი, დაღესტანი და საქართველო. სასაზღვრო ხაზი ინგუშებსა და ჩაჩნეთს შორის (1994 წლისათვის) განსაზღვრული არ იყო, ვინაიდან ჩაჩნეთი და ინგუშეთი ერთ სახელმწიფოს წარმოადგენდნენ. დედაქალაქი – **გროზნო** (ჩაჩნურად „სოოლჟ-პაპა“, ნიშნავს – „სუნჟის ქალაქი“). გროზნო დაარსდა 1818 წელს.

1922 წლის 30 ნოებრიდან იყო ჩაჩნეთის ავტონომიური ოლქის მთავარი ქალაქი;

1934 წლის 15 იანვრიდან – ჩაჩნეთ-ინგუშეთის აო-ს მთავარი ქალაქი;

1936 წლის 5 დეკემბრიდან – ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის დედაქალაქი;

1944 წლის 7 მარტიდან – შევიდა სტავროპოლის მხარის გროზნოს ოლქში;

1957 წლის 9 იანვრიდან – ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის დედაქალაქი;

1991 წლის 1 ოქტომბრიდან ჩაჩნეთის რესპუბლიკის დედაქალაქი;

1999 წელს დაარქვეს ჯოხარ-პაპა (ჯოხარის ქალაქი), ჯოვხარი;

2000 წელს ჩაჩნეთის რესპუბლიკის პირველმა პრეზიდენტმა (2003–2004) ახმატ კადიროვმა (1951–2004) დაუბრუნა ისევ ძველი სახელი – გროზნო.

ჩაჩნები დღევანდელ დღეს სახლობენ არმოსავლეთ-ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩაჩნეთ-ინგუშეთის შუა და აღმოსავლეთ მხარეში და დაღესტნის ხასავიურთის მიდამოებში.

ჩაჩნები ლაპარაკობენ თავიანთ ჩაჩნურ ენაზე. ჩაჩნური ენა განეკუთვნება იბერიულ-კავაკსიურ ენათა ოჯახს.

ჩაჩნური დამწერლობა და ჩაჩნური მხატვრული ლიტერატურა შეიქმნა გასაბჭოების შემდეგ.

„ჩაჩნეთის თვითსახელწოდებაა „ნოხჩო“, „ნოხჩი“. რუსები და სხვა ხალხები მათ ჩეჩნების სახელ-წოდებით იცნობენ. ნოღაელები „შეშენ“-ს უწოდებენ, ოსები – „ცაცაინაგ“-ს, ხუნძები – „შუტურალ“-ს, დარგუელები – „მიჩიხილან“-ს. ქართველებისათვის ჩაჩნები (ინგუშებთან ერთად) „ქისტები“ იყვნენ. თუმცა ქართული წყაროები მათ სხვა ეთნონიმითაც იცნობენ. XIV-ის ბიბლიის მინაწერზე ქართველ მწერალს ისინი ენდოეთნონიმით – „ნოხჩო“ ჰყავს მოხსენებული. საერთოდ, ესაა საერთო ჩაჩნური ეთნონიმის წყაროებში პირველად მოხსენიების შემთხვევა... ქართულ წყაროებში ეთნონიმ „ქისტს“ „დურძუკი“ („დურძუკნი“) უსწრებს, ხოლო დურძუკებით დასახლებულ ქვეყანას „დურძუკეთს“ უწოდებდნენ... ეთნონიმს „ჩაჩანი“ კი თითქმის ისეთივე ისტორია აქვს, როგორც „ინგუშს“ ის მომდინარეობს ბარის ჩაჩნეთში, მდ. არღუნის ნაპირას მდებარე სოფლის ჩაჩანაულის სახელწოდებიდან. რადგანაც რუსები ჩვენთვის საინტერესო ეთნოსს პირველად აღნიშნული სოფლის საშუალებით გაეცნენ, სოფლის სახელწოდება მთელ ხალხზე გადაიტანეს. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში იმის შესახებაც არის მითითება, რომ სპარსულ წყაროებში (XIII ს.) კერძოდ, რაშიდ-ად-დინის ნაშრომში, ის ირანული ტრანსკრიფციით („სასანი“) არის მოცემული, რომელიც მოგვიანებით რუსულ დოკუმენტებში შევიდა.

1989 წლის მონაცემებით რუსეთის ფედერაციაში 899 ათასი ჩაჩანი იყო აღრიცხული.

საერთო რაოდენობას კი 957 ათასს აღნიშნავდნენ. რუსეთში გარდა ჩაჩნეთისა, ისინი მკვიდრობდნენ აგრეთვე დაღესტანში (58 ათასი), სტავროპოლის მხარეში (15 ათასი), ვოლგოგრადის ოლქში (11,1 ათასი), ყალმუხეთში (8,3 ათასი), ასტრახანისა და ტიუმენის ოლქებში (შესაბამისად 6 ათასი და 4,6 ათასი), ჩრდილოეთ ოსეთში (2,6 ათასი). დიდი რაოდენობით არიან ყაზახეთში (49,5 ათასი)". (13, გვ.64).

ჩაჩნები წარმოადგენენ კავკასიაში უძველეს ხალხს და ხალხთა რაოდენობის მხრივ ქართველების შემდეგ, განეკუთვნიან იბერიულ-კავკსიურ ენათა ოჯახს.

გ. მელიქიშვილის თქმით, „ადიღეურ-ჩაჩნურ ლეზგიური ტომები «იყვნენ გავრცელებულნი არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიის მთავარი ქედიდან, არამედ, როგორც ეტყობა, მის სამხრეთითაც, ამიერკავკასიაში და კიდევ უფრო სამხრეთით». ამ აზრს ეთანხმებოდა ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე ა. გენკო". (96, გვ.30).

„XX ს-ის 20-იან წლებამდე სამეცნიერო ლიტერატურაში ჩაჩნეთს ორ ნაწილად ყოფდნენ: დიდი ჩაჩნეთი და მცირე ჩაჩნეთი, რომელთა შორისაც საზღვარს მდ. არღუნი წარმოადგენდა. დიდი ჩაჩნეთი მდ. არღუნის დასავლეთით მდ. აქსაიმდე მდებარეობდა, მცირე ჩაჩნეთს კი – იმავე მდინარის მარცხენა ნაპირი და ნადტერეჩიე ეკავა.

ჩაჩნეთის ეთნიკური ტერიტორია დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდიდა, განსაკუთრებით ეს მის ჩრდილოეთ ნაწილს ეხება. საერთოდ, ჩაჩნები მთიელებად მიაჩნიათ, მაგრამ, როგორც ირკვევა, ისინი გარდა მთისა, ბარშიც ოდითგანვე მკვიდრობდნენ". (13, გვ.66).

ჩაჩნები თვლიან, რომ მათი წინაპრები იყვნენ, ძვ. წ. IV ათასწლეულში სამხრეთ შუამდინარეთში, ახლანდელ ერაყის მიწა-წყალზე, მცხოვრები **შუმერები**. მათ ენაში შენარჩუნებულია აუთენტური სიტყვები. ჩაჩნები მებრძოლი და თავისუფლების მოყვარე ხალხია. მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ჩაჩნები და ინგუშები ჩრდილოეთ კავკასიელ ტომებს შორის, ადგილობრივი, მკვიდრი ხალხია.

არქეოლოგების მიერ დამტკიცებულია, რომ დღევანდელ ჩაჩნების მიერ დასახლებულ მიწა-წყალზე, ჯერ კიდევ ადრე, პალეოლითის ხანაშიც ყოფილა მოსახლეობა. ბრინჯაოს დროს მისდევდნენ მიწათმოქმე-დებას და მესაქონლეობას. მათი საზოგადოებრივი წყობა პირველყოფილ-თემური ყოფილა. ისინი მოსა-ხლეობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთებში და ველებზე. კავშირი ჰქონდა სკვითებთან, სარმატებთან, ალანებთან, ამიერკავკასიელებთან და წინა აზიასთან (ბიზანტიასთან და შავიზღვისპირეთთან). VIII–XII საუკუნეებში, ადრინდელ ფეოდალურ სახელმწიფოს, ალანიის, გაერთიანებაში ჩაჩნეთ-ინგუშეთის ძირითადი (ბარის) ნაწილი მოექცა. ხოლო „ჩაჩნეთის მთიანი ზოლი, განსაკუთრებით ტერიტორია მდ. არღუნის მარცხენა მხარეს, ადრეული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ე. წ. „სერირის სამეფოში" შედიოდა". (13, გვ.67). „სერირი" წარმოადგენდა V–VI საუკუნეებში ერთ-ერთ უმსხვილესს ადრინდელ-ფეოდალურ სამე-ფოს დაღესტანის მთიანეთში, მდ. ყოისუს შუა წელზე. (იხ. ქვემოთ). მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ X საუკუნეში ხაზართა სახელმწიფოს დამხობის შემდეგ, ჯერ ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის სხვადასხვა ტომთა თავდასხმების, ხოლო შემდეგ XIII საუკუნეში მონღოლთა და XIV საუკუნეში თემურ-ლენგის შემოსევების გამო, ჩაჩნებმა მიატოვეს ბარი, თავი შეაფარეს მთებს და აქედან განაგრძობდნენ წინააღმდეგობის გაწევას. აქ ისინი იყოფოდნენ დამოუკიდებელ ჯგუფებად (საზოგადოებად, ოჯახებად). მონ-

ღოლების, კერძოთ კი XVI საუკუნეში, ფეოდალური სახელმწიფოს, ოქროს ურდოს (ჯუჩის ულუსი) დამხობის შემდეგ, ჩაჩნებმა დაიწყეს მთებიდან ბარში ჩამოსახლება. „ასეთი მიგრანტების ნაწილი „აუხო-ელთა“ სახელითაა ცნობილი, რომელთა საზოგადოება XVII–XIX სს-ში ცხრა აულს მოითვლიდა. ყველა ესენი დღეს ძირითადად დაღესტნის ტერიტორიის მკვიდრნი არიან და აჯიელების (აჯიელი ჩაჩნების) სახე-ლით არიან ცნობილი და ლაპარაკობენ ჩაჩნური ენის აჯიურ დიალექტზე. აჯიელი ჩაჩნები ლამ-აჯიიდან (მდ. გეხის სათავე) გადმოსახლებულთა შთამომავლები არიან. მათ სხვანაირად აუხოელებსაც უწოდებენ. ეს სახელწოდება კი ყუმუხებმა შეარქვეს. რადგან აჯიის გვარის (ტაიპის) წარმომადგენლების ნახევარი, სოფ. აუხში დასახლდა. ყუმუხების მეზობლად დაახლ. XVI-XVIII სს-ში მდ. იამანსუსა და იარიკუს დაბლობთა გასწვრივ კაჩკალთა საზოგადოების ჩაჩნები დასახლებულან. დაღესტნელი ჩაჩნების ეს ჯგუფიც ექვს აულში იყო განსახლებული. დაღესტნელ ფეოდალთა მიწებზე დასახლებული აჯიელი ჩაჩნები იძულებულნი იყვნენ ხარკი ეხადათ ხუნძი და ყუმუხი ფეოდალებისათვის. აუხოელთა აულების ჩაჩნების დასახლება XIX საუკუნესა და უფრო გვიანაც, თითქმის 1940-იან წლების დასაწყისამდეც გრძელდებოდა“. (13, გვ.69).

ცნობილია, რომ XVIII საუკუნეში დაღესტანში სახლობდნენ ჩაჩნების საზოგადოებები (თემები, ოჯახები): „აჯიელები“, „კაჩკალიკიელები“, „ყარაბულახები“. გარდა ამ ოჯახებისა, XVIII–XIX საუკუნის I ნახევარში ხდებოდა ჩაჩნების საზოგადოებების (ჩებერლის, შატოს, მაისტის და სხვ.) წარმოქმნა მდ. თერგისა და მისი შენაკადების მიდამოებში და არღუნის ველზე. „ამ პერიოდში გადაინაცვლეს თერგის მარჯვენა სანაპიროდან აღმოსავლეთის მიმართულებით სუნჯისა და თერგის მონაკვეთზე მდ. გუდერმესსა და მდ. ფორთანგოს შორის. ასე რომ, მთისწინეთსა და ბარში მთელი ასწლეულის განმავლობაში ჩაჩნური მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა“. (13, გვ.69).

„ჩაჩნეთის აღმოსავლეთში მდინარეების ხუხლულაუს და აკსაის სათავეებში მდებარეობდა მხარე, რომელსაც ჩაჩნები ნოხჩი-მოხკს („ნოხჩელთა მიწას“) უწოდებდნენ; ის იჩქერიის სახელწოდებით იყო ფართოდ ცნობილი“. (13, გვ.70).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩრდილოეთ კავკასიაში, ჯერ ირანისა და თურქეთის, ხოლო შემდეგ რუსეთის იმერიის გამოჩენამ, აქაური ტომები ერთმანეთს დაუპირისპირა და გადაკიდა, ხოლო შემდეგ რუსეთის იმპერიის მესვეურთა კოლონიური მოქმედების გამო, ჩრდილოეთ კავკასიაში განმათავისუფლებელი ბრძოლა გამოიწვია, რაც საბოლოოდ, რუსეთის ხელისუფლების მიერ ფეოდალთა მოსყიდვითა და ტომთა შეუთანხმელობის გამო, რუსეთის იმპერიის გამარჯვებით დამთავრდა.

როდესაც 1567 წელს სუნჯასა და თერგის შესართავთან რუსეთმა პირველი ციხე-სიმაგრე ააგო, დაიწყო რუსეთ-ჩაჩნეთის მუდმივი ურთიერთობა, რაც შემდეგში თანდათან ჩაჩნური ტომების ურთიერთ დაპირისპირებაში გადაიზარდა. რუსეთის მომხრეთა ერთი ნაწი-ლის, 1588 წელს მოსკოვს პირველი ჩაჩნური ელჩობა ეწვია, ერთ-ერთი ჩაჩანი ფეოდალის ბატა-მურზა ოცოცელის მეთაურობით, რაც დასრულდა მოსკოვის მთავარსა და ჩეჩნეთის ფეოდალური სამფლობელოს ვასალური ურთიერთობის გაფორმებით.

1588 წელს მდ. თერგზე რუსეთმა დაიწყო თერგის ციხე-სიმაგრის მშენებლობა და ამ დროიდან მოყოლებული თანდათან ხდება რუსებსა და ჩრდილოეთ კავკასიელებს შორის

გაუთავებელი შეხლა-შემოხლა.

1707 წელს ყირიმის სახანომ კავკასიაში მყოფი რუსების წინააღმდეგ გაილაშქრა და ალყაში მოაქცია თერგის ციხე-სიმაგრე. ყირიმის ხანის ლაშქრობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ჩაჩნები და ყუმიხები. ხოლო 1708 წელს, ბაშკირეთის ავჯანყების (1707–1711) ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ყარაყალპაკეთის უფლისწული მურატ-სულტანი თავს დაესხა ქ. თერგს, შეძლო მისი აღება და 10 დღის განმავლობაში ალყაში ჰყავდა მომწყვდეული თერგის ციხე-სიმაგრე. მის რაზმში ჩაჩნების გარდა მონაწილეობას ღებულობდნენ ნოღაელები, ყუმიკები, 1 600 ყუბანელი თათრები და კაზაკებიც. სამთავრობო ჯარებმა, ასტრახანის გუბერნატორის, გრაფი პეტრე აპრაქსინის (1659–1728) ხელმძღვანელობით დაამარცხეს ავჯანყებუ-ლები, დაჭრილი მურატი ტყვედ აიყვანეს, ასტრახანში საშინლად აწამეს, ხოლო შემდეგ, ყაზანში, ნეკნებზე ჩამოჰკიდეს და ასე წამებით ამოხადეს სული. უნდა აღინიშნოს, რომ ავჯანყებულების წინააღმდეგ რუსულ ჯარში, მონაწილეობას ღებულობდნენ, 400-მდე ასტრახანელი თათრები. ვ. იმამოვი წერს: „აი ეს – მეფის პოლიტიკის სისხლიანი მაგალითი: მუსულმანების განადგურება თავად მუსულმანების ხელით!“ (94).

(1711–1712) წლებში რუსებსა და ჩრდილოეთ კავკასიელ მოსახლეობის დაპირისპირების გამო, მდ. თერგის მარჯვენა მხარეში ჩასახლებული ე. წ. გრებენელი კაზაკები, რომლებიც პირველად 1557 წლიდან გამოჩნდნენ, რუსეთის ხელისუფლებამ გადაასახლა თერგის მარცხენა მხარეში.

ცნობილია, რომ 1718 წელს, სუნჯაში და არგუნში მცხოვრები ჩაჩნების წინააღმდეგ, რუსეთის იმპერატორის პეტრე I-ის ბრძანებით, პირველად გაიგზავნა დონელი კაზაკები. ხოლო 1721 წლის ივნისში ავჯანყებული ჩაჩნების დასამორჩილებლად ხელახლა გაიგზავნა რაზმი. ამავე წლის აგვისტოში ჩაჩნებს თავს დაესხნენ, პეტრე I-ის მოთხოვნით, რუსეთის მომხრე ყალმუხები.

1722 წელს, პეტრე I-ის ირანის წინააღმდეგ ლაშქრობისას, როდესაც რუსეთის ლაშქარმა დააპირა მდ. აქსაიზე და იამან-სუზე მცხოვრები აჯიელი (ახიელი) ჩაჩნების მიწა-წყალზე შეჭრა, ჩაჩნები და ყუმიხები თავს დაეხსნენ რუსეთის ცხენოსანთა რაზმებს და გაანადგურეს. ამავე წელსვე პეტრე I-ის ბრძანებით, მდინარეების სუნჯისა და არგუნის მიდამოებში, ავჯანყებული ჩაჩნების დასასჯელად, გაიგზავნა დონის კაზაკების რაზმები. 1732 წელს ავჯანყებული ჩაჩნების დასამორჩილებლად ისევ გაიგზავნა სამხედრო რაზმი, მაგრამ, დაახლოებით 10 000-მა ავჯანყებულმა ჩაჩნებმა სოფ. ჩაჩან-აულთან გადამწყვეტ ბრძოლაში, სასტიკად დაამარცხა პოლკოვნიკ კოხის სადამსჯელო რაზმი.

რუსეთის ხელისუფლებამ, 1735 წლებში, ნება დართო იმ ჩაჩანთა ტომებს, რომლებიც დათანხმდნენ მიეღოთ რუსეთის ქვეშერდომობა, ჩასახლებულიყვნენ კაზაკების მიერ დატოვებულ მდ. თერგის მიდამოებში.

1747 წელს ჩაჩნებმა გაილაშქრეს ყუმუხელი და ყაბარდოელი ფეოდალების წინააღმდეგ, რომლებსაც მხარს უჭერდნენ რუსები. ამავე წელსვე და შემდეგ 1749 წელს ჩაჩნები თავს დაეხსნენ კაზაკების სტანი-ცებს (კაზაკთა სოფლები) და ყიზლარის მონასტერს. შემდეგ წლებშიც არ შეწყვეტილა რუსების წინა-აღმდეგ გამოსვლები.

1757 წელს ჩაჩნეთში ხელახლა დაიწყო გამოსვლები ყაბარდოელი და ყუმუხი ფეოდალების წინააღმდეგ, რომლებსაც მხარს უჭერდნენ რუსეთის საჯარისო ნაწილები. ბრძოლების

შედეგად ფეოდალებმა ჩაჩნეთი დატოვეს.

1758 წლის აპრილში, აჯანყებულ ჩაჩნებს მიემხრნენ ანდიელები, ავარიელები (ხუნძები) და ყუმუხები. მათ წინააღმდეგ გაიგზავნა სადამსჯელო 6 000 რაზმი ყიზლარის კომენდატის გენერალ კარლ ფრაუენდორფის (?–1767) მეთაურობით. ცნობილია, რომ დაღეს-ტნელებმა თხოვნით მიმართეს გენე-რალს, რომ შეეწყვიტა ბრძოლები ჩაჩნეთში. მაგრამ, გენერალმა მათ თხოვნას ყურადღება არ მიაქცია და გენერალს მოუწია ხევებში გამაგრებულ ჩაჩნების წინააღმდეგ გაემართა ბრძოლები. ყიზლარში დაბრუნე-ბულმა გენერალმა, მთავრო-ბისადმი გაგზავნილ მოხსენებაში აღიარა, რომ აჯანყებულნი „დამორჩილებაში არ მოვიდნენ“.

(1760–1762) წლებში რუსეთის წინააღმდეგ გრძელდებოდა გამოსვლები და მთავრობამ ბარის ინგუშეთში შეიყვანა საჯარისო ნაწილები.

1770 წლის ზამთარში აჯანყებული ჩაჩნების წინააღმდეგ, გაილაშქრა კავკასიის ჯარების სარდალმა გენერალ-მაიორმა ბარონმა ივანე ფონ მედემმა (დე მენდემი) (1722–1785), რომელმაც მიწასთან გაასწორა დასავლეთ ჩაჩნეთის აულები. წამოიყვანა მძევლები (ამანა-ტები), რომლებიც იმ შემთხვევაში თუ ჩაჩნები არ დაემორჩილებოდნენ და მიცემულ პირო-ბებს დაარღვევდნენ, მძევლებს მოკლავდნენ. გენერლის მოთხოვნით, ზოგიერთი „დამორჩილე-ბულნი“ და „მშვიდობიანი“ მთიელნი, ჩაჩნური ტომები, ჩასახლდნენ კაზაკების მიერ განთავი-სუფლებულ მდ. სუნჯისა და თერგის მარჯვენა ადგილებში. ამავე წელსვე რუსეთს დამორ-ჩილდნენ ნაზრანელი ინგუშები. რუსებმა დაიწყეს თერგის მარცხენა მხარეში, ადგილობრივი მოსახლეობის აყრა და იქ ყიზლარიდან დაწყებული მოზდოკამდე, სტანიცების აგება, სადაც ჩაასახლეს ვოლგისა და დონის კაზაკები.

1774 წელს ყირიმის ხანი შაბახ-გირეი 10 000-იანი ჯარით თავს დაესხა სტანიცა ნაურის. მის ჯარში მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც ჩაჩნების ასევე კავკასიელი ტომები. ამავე წელსვე, ისევ აჯანყდნენ ჩაჩნები. მხედართმთავარმა გენერალმა ივანე იაკობიმ (1726–1803) დაამარცხა და სასტიკად გაუ-სწორდა აჯანყებულებს.

1779 წელს ჩაჩნები თავს დაესხნენ სტანიცა კალინოვსკაიასთან სამხედრო რაზმს, რომელსაც გადაჰქონდა აღალი. ხოლო როდესაც ამავე წელვეს ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკ-რულებით, რუსეთმა მოიპოვა შავ ზღვაზე ნაოსნობისა და ბოსფორ-დარდანელის სრუტეებით სარგებლობის უფლება, მას გაუადვილდა ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი მიზნების (ამიერ და იმიერ კავკასიაში) განხორციელება. 1781 წელს რუსეთსა და ჩაჩნებს შორის შეთანხმების თანახმად, ჩაჩნეთი შეუერთდა რუსეთს. შეთანხმებას, რომელიც შედგენილი იყო რუსულ და არაბულ ენებზე, ხელი მოაწერეს და დაიფიცეს ყურანზე, რუსეთის მომხრე ჩაჩნების უხუცესებმა. შეთანხმების თანახმად ჩაჩნეთის დიდი ნაწილი, თითქმის სამხრეთი მხარის ნახევარი, რუსეთის მორჩილებაში გადავიდა.

1783 წელს ისევ აუჯანყდნენ ჩაჩნები და ინგუშები მათ მხარეში ჩამოსახლებულ ყაბარდოელ და ყუმუხელ ფეოდალებს, რომლებსაც იცავდნენ რუსები და საბოლოოდ განდევნეს ისინი. ამავე წელსვე აჯანყებულები თავს დაეხსნენ მდ. თერგზე მყოფ კოლონისტებს. სამაგიეროდ, რუსეთის სადამსჯელო რაზმმა გადაწვა სოფ. ატაგი. აჯანყებულებსა და რუსეთის ჯარს შორის გაიმართა სასტიკი ბრძოლა, რის შედე-გადაც ორივე მხრიდან დიდი დანაკლისი განიცადეს. აჯანყებულები განაგრძობდნენ თავდასხმას რუსულ დასახლებებზე. მაგრამ, რუსეთის ხელისუფლებამ შეძლო განხეთქილების ჩამოგდება ჩაჩნებსა და ინგუშებს შორის.

ივნისში ისინი ერთმანეთს წაეკიდნენ და რუსეთის ხელისუფლებამ ადვილად შეძლო აჯანყების ჩახშობა. ამავე წელსვე დაიწყო ჩაჩნეთში გამოსვლები რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ შეიხ მანსურის ხელმძღვანელეობით.

ღვთისმოსავი, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, შ ე ი ხ მ ა ნ ს უ რ ი (უშურმა) (1760/65–179 4) ჩაჩანი ხალხის ეროვნული გმირი, წარმოშობით ჩაჩანი იყო.

1783 წელს მან დაიწყო თავისი რელიგიური მოძღვრების ქადაგება ჩაჩნებს შორის, მოუწოდებდა მათ წესრიგისაკენ, მთიელთა ძველი წეს-ჩვეულებების შეცვლას რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ მუსულმანურ კანონებსა და მოძღვრებას. ამავე დროს, იგი მოუხმობდა მთიელებს დაეცვათ და გაენთავისუფლებინათ სამშობლო დამპყრობელისაგან.

„მანსურის ქადაგების გავლენით, ჩაჩნეთი სახეს იცვლიდა. ადიღეელების მსგავსად ყველა სოფლებში დაიწყეს მოწევის თავის დანებება, შეწყვიტეს ბუზუს დამზადება – ტრადიციული მთიელთა მათრობელი სასმელი. სოფლის შუაგულში გამოჩნდნენ ჭოკები, სადაც მაგრდებოდა ყოველნაირი ნაპოვნი – ფულები და სხვა საგნები. ხალხი ერთმანეთის მიმართ ხდებოდა კეთილგანწყობილი, პატიობდნენ მოსისხლეობას, თითქმის ყველა იცავდა მარხვას, დადიოდნენ მეჩეთში, ცხოვრობდნენ საინტერესოდ. და თუ რუსეთის მხრიდან არ ყოფილიყო შევიწროება, ხალხს საერთოდ არ ეცოდინებოდა ვარამი. მაგრამ რუსეთს არ სურდა ჩრდილოეთ კავკასიაში მშვიდობა. ორივე მხარე ემზადებოდა ახალ შეჭიდებისათვის“. (125).

1785 წლის 12–13 თებერვალს ჩრდილოეთ კავკასიაში მოხდა საშინელი მიწისძვრა, რაც მთიელებმა ჩათვალეს როგორც ღვთის რისხვად და შეიხ მანსურმა (არაბულად – „გამარჯვება“, „ძლევამოსილი“. ასე უწოდა მას ხალხმა), ეს ბუნების მოვლენა მიიჩნია როგორც ღმერთის მინიშნებად და საძულველი მტრის წინააღმდეგ, ღაზავათის სახელით, მოუწოდა ყველა მთიელებს აჯანყებულიყვნენ და დაეცვათ სამშობლო რუსი კოლონიზატორებისაგან. მალე აჯანყება მოედო მთელ ჩრდილოეთ კავკასიას. ამავე წლის სექტემბერში, გ. პოტიომკინმა ჩაჩნეთში გააგზავნა 15 ათასიანი სამხედრო ნაწილი პოლკოვნიკ პერრის ხელმძღვანელობით, რომელსაც დავალებული ქონდა აჯანყების მოთავის, შეიხ მანსურის შეპყრობა, ან მოკვლა. ცნობილია, რომ სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ (მან გადაწვა რამდენიმე აული), როდესაც რუსები მიუახლოვდნენ სოფ. ბიდლოს, სადაც იმყოფებოდა მანსური, აჯანყებულებმა, მსხვერპლის აცილების მიზნით, შესთავაზეს მშვიდობა, მაგრამ პერრი არ დათანხმად და თავს დაესხა სოფელს, მოაოხრა და გადაწვა. მანსურმა დატოვა სოფელი. უკან დაბრუნებისას, მდ. სუნჟასთან, აჯანყებულებმა ალყაში მოაქციეს სადამსჯელო რაზმი და გაანადგურეს. შეტაკების დროს პერრი დაიღუპა, ხოლო გადარჩენილები გაიქცნენ. ამ გამარჯვების შემდეგ მანსური ხალხმა კავკასიის იმამად გამოაცხადა.

ამავე წელს აჯანყებულებმა ალყაში მოაქციეს რუსეთის მთავარი ადმინასტრაციული ქალაქი ყიზლარი და ახლად აგებული ციხე-სიმაგრეები: გრიგორიპოლი, მოზდოკი, ვლადიკავკაზი და პოტიომკინი. მაგრამ, ბრძოლების შემდეგ აჯანყებულები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. ამასობაში რუსეთის ხელისუფლებამ დიდი ფულითა და დაპირებებით შეძლო ფეოდალების მოსყიდვა და აჯანყებულებს ზოგიერთმა რუსეთის მომხრე ფეოდალებმაც მხარი არ დაუჭირა და ყაბარდოში და ჩაჩნეთში აჯანყება დამარცხდა, მანსური იძულებული გახდა დასავლეთ ზღვისპირეთში, ყუბანს იქეთ, გადასულიყო. მიუხედავად იმისა, რომ მანსურმა ამის შემდეგაც მოიპოვა არაერთი გამარჯვება და რუსებიც არაერთხელ დაამარცხა, იგი იძულე-

ბული შეიქმნა, 1791 წელს დარჩენილი ავჯანყებულთა ნაწილებით თავი შეეფარებინა თურქების მიერ დაკა-ვებულ ანაპის ციხე-სიმაგრეს. 1791 წლის 19 ივნისს მოულოდნელად ანაპას ალყა შემოარტყეს რუსებმა და ცხარე ბრძოლების შემდეგ შეძლეს ციხის აღება და შეიხ მანსურის შეპყრობა. გადმოცემით, რუსების მიერ მოსყიდულმა თურქეთის სულთანმა იგი მიიწვია ანაპაში, შეიპყრო და რუსეთს გადასცა. მანსური ჩაიყვანეს პეტერბურგში.

გადმოცემის თანახმად, მისი ნახვა მოუსურვებია ეკატერინე II-ეს, ამიტომ ის გადაიყვანეს ცარსკოესელოში. მთელი ქალაქი გამოსულა მის სანახავად. ეკატერინე II სარკმელიდან უყურებდა როდესა მას დაატარებდნენ ქალაქში. „ეკატერინემ როდესაც გაიგონა ახალგაზრდა კაცის სილამაზის შესახებ განაცხადა, რომ მას უნდა ახლოს გაიცნოს დატყვევებული. იცოდა რა იმპერატორის სისუსტე, პოტიომკინს არ შეეძლო ამ შეხვედრის დაშვება. „დედილო, ის თქვენ მთელ სადილს გაგიფუჭებთ. ჯობია თქვენ შეხედოთ სარკმელიდან“. – ურჩია მან. „მომხიბვლელობა ამ უცნაური კაცისა იყო ისეთი დიდი, რომ ყველას სჯეროდა მისი ჯადოქრობისა და ეკეტერინე დიდის დაახლოებულმა პირებმა გადაათქმევინეს მას პირადად შეხვედრა“. – ადასტურებს ისტორიკოსი გ. პროზრიტელევიც.... კავკასიელი ტყვე დაჰყავდათ სასახლის სვეტების ახლოს, ხოლო სარკმელებიდან მას უყურებდა ასეული ცნობის მოყვარე თვალი. იმპერეტორს არ შეეძლო მოშორებოდა სარკმელს. აუძგერდა გული ამ ლამაზი მამაკაცის დანახვისას თავისი მშვიდი და ამაყი სიარულით.

შეიხ მანსური მზად იყო მიეღო ყველაფერი, რაც მას წინასწარ დაუსახა ალაჰმა. სასამართლოზე მანსურს სთავაზობდნენ თავისუფლების სანაცვლოდ ეღიარებინა მისი ბრძოლა „იძულებით ბოროტმოქმედებად“, მაგრამ, მანსური მტკიცე პასუხს აძლევდა, რომ თუ იგი შეძლებს თავის დაღწევას და განთავისუფლდება, ისევ გააგრძელებს უფრო მეტი ძალით ბრძოლას“. (130).

ცნობილია, რომ რუსებმა, შეიხ მანსურის გარდა, ყველა ავჯანყების მეთაურების გატეხვა შეძლეს, როგორც ფიზიკურად, ასევე მორალურად და ისინი გაანთავისუფლეს. მან-კი უარყო ყოველი შემოთავაზება რუსეთის მთავრობის მიერ. არ მიიღო გრაფობის წოდებაც. 1791 წლის 15 სექტემბერს იგი გადაიყვანეს შლისელბურგის ციხეში, ზოგიერთი ავტორის აზრით, – სოლოვეცკის მონასტერში (ჩრდ. რუსეთი, თეთრ ზღვაში სოლოვეცკის კუნძული). 1794 წელს იგი გარდაიცვალა. მაშინდელი რუსეთის წარმომადგენლები და საბჭოთა კავშირის დროსაც, შეიხ მანსურს უწოდებდნენ ცრუ წინასწარმეტყველს, მატყუარას, ზოგჯერ მოიხსენიებდნენ როგორც იტალიელს, ხან – თურქად, რომ როგორმე გაექარწყლებინად მისი სახელი და დიდება, მაგრამ, დღევანდელ დღეს მისი სახელი ყველა ჩრდილოეთ-კავკასიელ მთიელთათვის სათაყვანებელი გახდა. ხოლო ჩაჩნებმა იგი ეროვნულ გმირად აღიარეს.

ის იყო პიროვნება, რომელმაც მომავალ თაობას მაგალითი მისცა, თუ როგორ უნდა ებრძოლა სამშო-ბლოს გასათავისუფლებლად და მისი შეუდრეკელი თავდაუზოგავი ბრძოლით აღფრთოვანებულნი ჩრდილოეთ კავკასიელები დღემდე განაგრძობენ ბრძოლას თავისუფლების მოპოვებისათვის.

გენერალმა გ. პოტიომკინმა მოაწყო ჩაჩნების წინააღმდეგ სადამსჯელო საომარი მოქმედება. 6 ოქტომბერს ხანკალას ხევში გაიმართა რუსეთის ჯარსა და ავჯანყებულთა შორის გააფთრებული ბრძოლა, ავჯანყებულები დამარცხდნენ. მიუხედავად ამისა, ჩაჩნების დამორჩილება რუსეთმა მაინც ვერ შეძლო.

1810 წლის 2 აპრილს ჩაჩნები თავს დაესხნენ ციხე-სიმაგრეს ჩერვენს.

როგორც ცნობილია, 1817 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა საქართველოს მთავარსარდლად დანიშნა გენერალი ა. ერმოლოვი, რომელსაც უნდა დაემყარებინა წესრიგი მთელს კავკასიაში.

ალლ. ერმოლოვმა ალექსანდრე I-ეს წარუდგინა ჩრდილოეთ კავკასიის ტომთა საბოლოოდ დასამორჩი-ლებელი გეგმა. მისი აზრით, ვინაიდან ჩრდილოეთ კავკასიის ტომთა მმართველები ერთის მხრივ ვითომ ცნობდნენ რუსეთის ხელისუფლებას, მაგრამ სინამდვილეში ისინი განაგებდნენ თავისი შეხედულებისდა მიხედვით, არ იხდიდნენ გადასახადებს, თავს ესხმოდნენ რუსეთის მხარეს და სხვ. ამიტომ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მდინარეების სუნჯისა და თერგის მიდამოებში უნდა აშენებულიყო ციხე-სიმაგრეები და ჩასა-ხლებულიყვნენ კაზაკები და ნოღაიდელები. ასეთი მოქმედებები აიძულებდა კავკასიელებს, ან დამორჩი-ლებულიყვნენ რუსეთის ხელისუფლებას, ანდა გახიზნულიყვნენ მთებში, მიუვალ ადგილებში და იქ ეცხოვ-რათ გაჭირვებულ მდგომარეობაში, ან, საერთოდ განადგურებულიყვნენ. ამისი განხორციელება უნდა დამთა-ვრებულიყო 1820 წელს. ეს გეგმა, ცნობილია როგორც „ერმოლოვის სისტემა“. იმპერატორმა ა. ერმოლოვის განზრახვა მოიწონა და დაიწყო ციხე-სიმაგრეების აგება.

პირველ რიგში მას უნდა მოევლო ჩაჩნებისათვის, რადგან მისი თქმით:

„მიწები (ჩაჩნეთში) არ შეესაბამება მცხოვრებთა რაოდენობას სივრცეში, გაუვალი, გაზრდილი ტყეებით საკმარისი არ არის ხვნათესვისათვის, ამის გამო მრავალი ხალხი უსაქმურია და რომ მოიპოვოს საარსებო სახსრები ერთადერთი საშუალებაა ყაჩაღობა“. (120).

„გენერალი ა. ერმოლოვი ჩაჩნების შესახებ წერდა:

«ჩაჩნები უძლიერესი ხალხია და უსაშინელესნი, ამის გარდა, მათ ეხმარებიან მეზობელი ხალხები. მაგრამ იმის გამო კი არა, რომ მათ უყვართ ჩაჩნები და ვეჯავრებით ჩვენ, არამედ იმ შიშის გამო, რომ ჩაჩნები, მოქცეულნი რუსეთის ხელისუფლების ქვეშ, გაიყოლიებენ მათთაც მძიმე რუსული ხელისგულის ქვეშ. რა ყაბარდო? რა თქმა უნდა, ყაბარდოელები თავისი აუტანელი ცელქობით გვიხმობენ ომისკენ, მაგრამ მე ჯერჯერობით უნდა მოვითმინო, რადგან დაკავებული ვარ უფრო სახიფათო ბოროტმოქმედ – ჩაჩნებით. გველის კბენის დროს კოღოს ნექტარი არც თუ ისე საგრძნობია. სიწყნარე და უსაფრთხოება მხარეში დამყარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც თერგის ქვედა დინების მარჯენა ნაპირების მიწები იქნება დაკა-ვებული. ეს ისინი, ჩაჩნები აღელვებენ მთელ კავკასიას. წყეული ტომები! მათი საზოგადოება არც ისე ხალხმრავალია, მაგრამ განსაკუთრებით გამრავლდნენ ამ ბოლო რამდენიმე წლე-ებში, ვინაიდან თავისთან ღებულობენ ყველა მეგობრულად განწყობილ ხალხს, რომლებიც ტოვებენ თავის მიწას როდესაც ჩაიდენენ სხვადასხვა რაიმე დანაშაულს. და არა მხოლოდ, ჩვენი სალდათებიც გარბიან სწორედ ჩაჩნებთან. მათ იზიდავთ იქ მომხდარი ჩაჩნების თანას-წორობა, ისინი არ ცნობენ თავის წრეში არცერთ ხელისუფლებას. ეს ყაჩაღები ღებულობენ ჩვენს ჯარისკაცებს სულითა და გულით! ასე რომ ჩაჩნებს შეიძლება დაუძახოთ ყველა ყაჩა-ღების ბუდე და ჩვენი ჯარისკაცების ბუნაგი. მე ამ თაღლითებს უყენებდი ულტიმატუმს: გაეცათ გაქცეული ჯარისკაცები ან შურისგება იქნებოდა საშინელი. არა, არც ერთი ჯარის-კაცი არ გასცეს! გვიხდებოდა მათი აულების განადგურება. რა თქმა უნდა, არ არსებობს მზის ქვეშ ასეთი საძაგელი, ვერაგი, ხალხი. მათთან ჭირიც კი არ ხდება! მე არ მოვისვენებ მანამდე, მანამ საკუთარი თავლით არ დავინახავ უკანასკნელ ჩაჩანის ჩონჩხს»“. (96, გვ.267).

ამიტომ ა. ერმოლოვის აზრით, საჭირო იყო ჯერ ჩაჩნების დამორჩილება, ხოლო შემდეგ, ყაბარდოელებსაც და სხვებსაც ადვილად დაიპყრობდა.

1818 წელს, მდ. სუნჯის თავდაცვითი ხაზების აგებისას, რუსების მიერ გადამწვარ და ძირფესვიანად მოსპობილ ჩაჩნების აულების მიწა-წყალზე, დაიწყო ციხე-სიმაგრის, გროზნაიას, აგება, ჩაჩნებმა სცადეს აგვისტოში წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ამის შემდეგ, გროზნოს მშენებლობის წინააღმდეგ, გაერთიადნენ ჩრდილოეთ კავკასიელთა სხვადასხვა ტომები. ავჯანყების ჩასაქრობად ა. ერმოლოვმა გააგზავნა მილიციის ცხენოსანთა რაზმი და ორი ათასეული. რომლებიც მთიელებმა ალყაში მოაქციეს. რუსებმა შეძლეს ალყის გარღვევა და დერბენდში გამაგრდნენ. ავჯანყებულების წინააღმდეგ თბილისიდან თვით ა. ერმოლოვი გაემართა. ცეცხლითა და მახვილით ჩააქრო ავჯანყება, ზოგი სახანო გააუქმა, ზოგირთი რუსეთის იმპერიის საკუთრებად გამოაცხადა. ა. ერმოლოვმა განაგრძო ციხე-სიმაგრეების მშენებლობა.

1820 წლის სექტემბერში ხელახლა ავჯანყდნენ ჩრდილოეთ კავაკასიელი მთიელები და 6 000-დე ავჯანყებულებსა და რუსეთის საჯარისო ნაწილებს შორის გაიმართა ბრძოლები. ა. ერმოლოვს ისევ მოუხდა ჩრდილოეთ კავკასიაში 9 ათასეულითა და „მრავალი ქვემეხებით“ გადასვლა, დაამარცხა ავჯანყებულები, ყველაზე უფრო გავლენიანი ოჯახებისაგან მძევლები (24) წამოიყვანა და გამოამწყვდია დერბენდში. მიუხედავად ამისა ჩაჩნები მაინც განაგრძნობდნენ წინააღმდეგობის გაწევას.

1824 წელს რუსებმა შეძლეს რამდენიმე ავჯანყებული ჩაჩნების ხელმძღვანელების ხელში ჩაგდება და ხალხის დასაშინებლად, მათ ხალხის წინაშე ცემით სული ამოხადეს. მაგრამ, ჩაჩნები ვერ შეაშინეს, ავჯანყებას ავჯანყება მოსდევდა და უფრო მძლავრად უტევდნენ დამპყრობლებს.

(1824–1826) წლებში ჩაჩნებთან ერთად ავჯანყებაში მონაწილეობას ღებულობენ ინგუშები, ავარები და ლეზგები. ამ წლებში, მთიელთა დამოუკიდებლობის ბრძოლა თანდათან იღებს „რელიგიურ ხასიათს“. მთიელთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხდება გ ა ჯ ი - მ ა გ ო მ ე დ ი (კაზი-მულა) (1795/96–1832), რომელიც 1828 წლიდან ხდება პირველი იმამი დაღესტანსა და ჩაჩნეთში. იმამი 1832 წელს სოფ. გიმრში იღუპება ბრძოლის დროს. (იხ. ზემოთ).

ჩაჩანთა განმათავისუფლებელი მოძრაობისას, რუსეთის საჯარისო ნაწილები და ავჯანყებულები დაუნდო-ბლად და სასტიკად უსწორდებოდნენ ერთმანეთს. რუსებმა თერგის მარჯვენა ნაპირას მდებარე აული დიდი-იურტა მიწასთან გაასწორეს და მოსახლეობა ამოხოცეს. „არც რუსებს დასდგომიათ კარგი დღე – გენერალ ერმოლოვის მიერ გამოგზავნილი დამსჯელი რაზმის 230 ჯარისკაცი და ოფიცერი შეეწირა ამ ბრძოლას. რუსების ამ მოქმედებამ ჩაჩანთა თარეშები გაახშირა. 1825 წელს, თერგზე მდებარე ერთ-ერთი სიმაგრე ჩაჩნებმა მიწასთან გაასწორეს – 181 კაციდან 98 მოკლეს და 13 ტყვედ აიყვანეს.“ (14, გვ.42). სამაგიეროდ, 1826 წლის იანვარში ა. ერმოლოვმა გაანადგურა და მიწასთან გაას-წორა აულები, გადაწვა ტყეები, გაწყვიტა ის ჩაჩნებიც რომლებიც ავჯანყებაში მონაწილე-ობას არ ღებულობდნენ. ამავე დროს ცდილობდა ფეოდალები მოემხრო საჩუქრებითა და ქრთამით. ბოლოს და ბოლოს ერმოლოვმა შეძლო, ჩრდილოეთ კავაკსიელთა შეუთახმლობის გამო ავჯანყების ჩახშობა და გამარჯვებული დაბრუნდა თბილისში. ამავე წლის ივლისში

რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა ამიერკავკასიის ჯარების სარდლად დანიშნა ი. პასკევიჩი. ხოლო 1827 წელს – კავკასიის მეფისნაცვლად. 1827 წლის 9 აპრილს ა. ერმოლოვმა დატოვა თბილისი. ა. ერმოლოვის სიტყვებია:

„კავკასია ჭეშმარიტად რუსების საკუთრება გახდება მაშინ, როცა მას რუსებით დაასახლებენ“.

ა. ერმოლოვის შემდეგაც გრძელდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსების მიერ ციხე-სიმაგრეების შენება და იქ კაზაკების ჩასახლება.

„ჩაჩნეთის განადგურებული აულების ადგილას შენდებოდა მეფის ციხე-სიმაგრეები და კაზაკთა სტანიცები. 1842 წლიდან მდ. ასსეზე, საფუძველი ჩაეყარა ე. წ. „მეწინავე ჩაჩნეთის ხაზს“.

1845–46 წწ., შეიქმნა სუნჯის სამხედრო ხაზი, ყარაბულაყების მიწებზე აშენებულ სტანიცებში ჩაასა-ხლეს I სუნჟის პოლკის კაზაკები. 1854 წ. მეფის პოლკოვნიკი დე-საჟე წერდა: „ომის სისტემა კავკასიის ბუნების წინააღმდეგ და მისი შვლების მიმართ შერჩეული იყო სწორად. ყოველი გადადგმული ნაბიჯი სამუდამოდ უჭრიდა მთიელებს საკუთარ მიწის ნაჭერს. ასე დაპყრობილ იქნა „მცირე ჩეჩნეთი და გალაშკი. ყველა ამ ადგილებში ჩასახლე-ულნი იყვნენ კაზაკები, მოწყობილი იყო სიმაგრენი პოლკის შტაბ-სადგომებით...“...

გარდა ამისა, კაზაკებს გადაეცათ მცირე ჩეჩნეთის კარაბულაყისა და გალაშეკის „მკვიდრი“ მიწები.... მიუხედავად იმისა, რომ ეს მოუსავლიანი მიწები კაზაკებმა ვერ გამოიყენეს და წავიდნენ სუნჟაში, ეს მიწები რჩებოდა კაზაკთა პოლკის საკუთრებაში.“. (121).

ვ. იმამოვი წერს, რომ: „კავკასიის ომის დროს გენერალ ალექსი ერმოლოვის ხელმძღვანელეობით, 1817–1822 წლებში, ზოგიერთ ჩაჩნეთისა და ინგუშეთის სოფლების ადგილებზე, აშენდა სუნჯის გამაგრების ხაზი. შამილის დატყვევების შემდეგ, ზოგიერთი იმამის მოსპობისა, და ფელდმარშალის ივანე პასკევიჩის ტაქტიკაზე „მიწების გადაწვის“ გადასვლის შემდეგ, როდესაც ამბოხებული აულები მთლიანად განად-გურდნენ, ხოლო მოსახლეობა სრულიად განადგურდა, 1860 წელს შესძლეს მთიელთა გაერთიანებული წინააღმდეგობის ჩახშობა.

მაგრამ კავკასიის ომის დამთავრება არ ნიშნავდა სრულ სიმშვიდეს“. (94).

„1832 წელს გენერალმა როზენმა ჩაჩნეთსა და ინგუშეთში 60 აული გაანადგურა... 1841 წლისათვის ჩაჩნეთის დაბლობების აულების უმეტესობა გადამწვარი იყო. რუსებმა მთიელი ჩაჩნებისა და ხუნძების წინააღმდეგ დიდი ძალები გადაისროლეს. მარტო 1845 წელს ერთი ლაშქრობის დროს 3 900-მდე ჯარისკაცი დაკარგეს, რომელთა შორის 3 გენერალი იყო. ხანგრძლივი და მომქანცველი ბრძოლის შემდეგ, 1859 წელს ჩაჩნები და დაღესტნელები დამარცხდნენ. მას შემდეგ, ოსმალეთის იმპერიაში, ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად ჩაჩნები და ინგუშებიც გადასახლდნენ (დაახლ. 20 ათასი კაცი). მიუხედავად ამისა, ჩაჩნები კოლონიურ მდგომარეობაში ყოფნას მაინც არ ურიგდებოდნენ, აგრძელებდნენ პარტიზანულ ბრძოლას, ჯანყდებოდნენ დროდადრო. ერთ-ერთი მასობრივი ავჯანყება 1877 წელს მოხდა. ავჯანყების ჩაქრობას აულების გადაწვა, განადგურება, 11 ადამიანის გროზნოში ჩამოხრჩობა და 500-ზე მეტი კაცის ციმბირში გადასახლება მოჰყვა. ამის შემდეგ ჩაჩნები აბრაგობის გზით აგრძელებდნენ რუსების წინააღმდეგ ბრძოლას“. (14, გვ.42).

1860 წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ის ბრძანების თანახმად, ჩამოყალიბდა ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთში თერგის ოლქი, რომელშიც გააერთიანეს: ჩაჩნეთი, ინგუშეთი, იჩქერიისა და მთის ოლქები. ჩეჩნეთი დაანაწევრეს და მიუერთეს სხვადასხვა ოლქებს, გუბერნიებსა და მაზრებს.

1862 წელს თერგის ოლქი დაშალეს სამხედრო განყოფილებებად. დასავლეთში მოაქციეს – ყაბარდო-ელები, ოსები და ინგუშები; შუა განყოფილებაში – ჩაჩნეთის ნაწილი, იჩკერია და არღუნი; აღმოსავლეთში – ჩაჩნეთის მეორე ნაწილი და თერგის მხარე. შემდეგ წლებშიც არაერთხელ იცვლებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში ადმინისტრაციულ ტერიტორიული დაყოფა და მეფის რუსეთის დროს ჩაჩნეთის მიწა-წყალს ანაწევრებდნენ და სხვადასხვა ოლქებსა და მხარეებს უერთებდნენ.

„დაპყრობისა და შემდეგში ჩრდილოეთ კავკასიაში ცარიზმის მიერ გატარებული „რეფორმების“ შედეგად ჩაჩნეთის ხალხი იყო შევიწროებული მცირე მიწა-წყალზე, სადაც შეუძლებელი იყო მეურნეობის წარმოება. ამის გამო ივარაუდებოდა ჩაჩნების ნაწილის ჩასახლება ე. წ. „მცირე ყაბარდოში“, მათ შორის დღევანდელ მალგობეკის რაიონში, მაგრამ ეს გეგმა არ განხორციელდა. ამის მაგიერ დაიწყეს მთიელთა პროვოცირება, რომ მიეტოვებინათ მშობლიური ადგილები და წასულიყვნენ საზღვარგარეთ. ასე დაიწყო ჩაჩნების მასიური გადასახლება თურქეთში“. (121).

რუსეთის ხელისუფლება მიხვდა, რომ ჩაჩნებს ვერ აიძულებდა ძალით დაეტოვებინათ თავიანთი მიწა-წყალი, ამიტომ დაიწყეს ფეოდალებისა (ნაიბების) და სარწმუნოების წარმომადგენელთა მოქრთამვა და ქადაგება, რომ გადასახლებულიყვნენ ერთმორწმუნე თურქეთში. მათი გავლენით, ჩაჩნების ნაწილმა დაიჯერა და ცნობილია, რომ 1865 წელს თითქმის 40 000-დე ჩაჩნები, მცირე ჯგუფებად, გადასახლდნენ თურქეთში. თურქებმა, რუსეთთან მიცემული პირობის თანახმად, გადმოსახლებულთა უმეტესი ნაწილი ჩაასახლეს რუსეთიდან მოშორებით საზღვრების გასწვრივ.

როდესაც მუჰაჯირები მიხვდნენ, რომ მოატყუეს და ისინი გახდნენ წამქეზებლების მსხვერპლნი, მათ მოინდომეს უკან დაბრუნება, მაგრამ, რუსეთის ხელისუფლებამ ისინი არ მიიღო და აუკრძალა საზღვრის გადაკვეთა.

XIX საუკუნის II ნახევარში ჩრდილოეთ კავკასიაში, განსაკუთრებით ჩაჩნეთში, გავრცელდა აბრაგობა. დღევანდელი გაგებით „აბრაგი“ ნიშნავს ავაზაკსა და ყაჩაღს. სიტყვა „აბრაგი“, ქართულ ენაში შემოვიდა ჩრდილოეთ კავკასიიდან. მეცნიერების აზრით წარმოიშვა სარმატ-ირანელებისაგან. რუსულ ლიტერატურაში, კავკასიის ომების დროს, ხშირად, განსაკუთრებით ჩაჩნებსა და სხვა მთიელებს უწოდებდნენ „აბრაგს“. ამ დროს, სინამდვილეში, აბრაგები იყვნენ რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ პარტიზანულად მებრძოლი მთიელები, რომლებიც იცავდნენ თავიანთ უფლებებს, არ ემორჩილებოდნენ რუსულ კოლონიურ ხელი-სუფლებას და თავს ესხმოდნენ რუსული ჯარის ნაწილებს და სტანიცებს. ხალხმა შემო-ინახა მათი სახელები თქმულებებში. ჩრდილოეთ კავკასიაში აბრაგობა განსაკუთრებით გავრცელებული იყო (1905–1907) წლებში.

ისტორიკოსები ნ. ნუხაჟიევი და ხ. უმხაევი აბრეკობის შესახებ წერენ:

„პოლიტიკურ ბანდიტებს ჩაჩნეთში ძველთაგანვე ეძახდნენ აბრეკებს. ცნობილი აბრეკი ზელიმხანი, უმაღლესი ცოდნით, რუსეთის სახელმწიფო დუმის თავის მიმართვაში აღნიშ-

ნავდა, რომ ის არ იყო დაბადებული აბრეკად, აბრეკობის გზაზე იგი დააყენა მეფის მთავ-რობის უსამართლობამ. აბრეკობა, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის ს. მ. კიროვის აზრით, წარმოადგენდა «არა ორგანიზებულ, სტიქიურ პროტესტს სიღარიბის წინააღმდეგ, უსამარ-თლობისა და თვითნებობისა». აი როგორ განმარტავდა აბრეკობის სათავეს მგზნებარე რევოლუციონერი ჩაჩნეთის წითელი არმიის მეთაური ასლანბეკ შერიპოვი: «მეფის სასამარ-თლოს შეუსაბამობა და მთიელთა ჩვეულებრივი უფლება, კავკასიის ხელისუფალთა დანაშაულებრივობა და საერთო ჩაგრვის პოლიტიკა აიძულებდა ბევრ ძლიერ პიროვნებას ჩაჩნეთიდან გადასულიყო არალეგალურ მდგომარეობაზე. ხელისუფლება ტერორით აშინებდა ადგილობრივ მოსახლეობას, აბრეკები ტერორით აშინებდნენ ხელისუფლებას. და რა თქმა უნდა, ხალხი უყურებდა აბრეკებს, როგორც შევიწროებისა და ხელისუფლების სიმხეცის წინააღმდეგ მებრძოლებს». ა. ნოსოვი – ერთ-ერთი გროზნოს ბოლშევიკთა ხელმძღვანელი, თვლიდა, რომ «აბრეკობა იზრდებოდა ანტიკოლონიური სულიერი განწყობილების შეური-გებლობით და ამიტომ ის უნდა განვიხილოთ როგორც განსაკუთრებული პოლიტიკური პრო-ტესტის ფორმა თვითმპყრობელობის კოლონიური მმართველური წესის მიმართ»". (96, გვ.71).

ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩაჩნეთსა და დაღესტანში, ამ დროის განმავლობაში ეწყობოდა მცირე აჯანყებები. 1877 წელს კი, ჩაჩნეთში მოხდა დიდი აჯანყება, რომელსაც მოჰყვა, სადამსჯელო ჯარის მიერ, აულების განადგურება და გადაწვა, უდანაშაულო ხალხის (რომ-ლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა აჯანყე-ბაში) ხოცვა-ჯლეტა, გროზნოში თვალსა-ჩინოებისათვის ჩამოხრჩობა და ციმბირში გადასახლება. ამის შემდეგ უფრო იმატა აბრაგობამ.

რუსეთში მომხდარი რევოლუციის დროსაც, ჩაჩნეთში არ შეწყვეტილა აჯანყებები.

ცნობილია, რომ მეფის რუსეთში, ჩაჩნებს თვლიდნენ მებრძოლ ხალხად და მათგან ჩამოყალიბებული იყო ეგრეთ წოდებული „დიკაია დივიზია" (ველური დივიზია), რომელიც თავისი ბრძოლის უნარიანობით გამოირჩეოდა I მსოფლიო ომის დროს. ეს დივიზია მონაწილეობას ღებულობდა მეფის პირად მცველთა რაზმშიც.

1914 წლის 23 აგვისტოს, პირველი მსოფლიო ომის დროს, გამოცხადდა ნიკოლოზ II-ის ბრძანება „კავკასიის აბორიგენთა ცხენოსანთა დივიზიის" შექმნის შესახებ. შემდეგში მას ეწოდა „ველური დივიზია".

„ველური დივიზია" შედგებოდა 3 ბრიგადისაგან (საჯარისო შენაერთი) 6 აბორიგენი ცხენოსანთა პოლკისაგან (დამოუკიდებელი საჯარისო ერთეული) რომელთა თითოეულ შემადგენლობაში შედიოდნენ 4 ესკადრონები (ცხებოსანთა ქვეგანაყოფები):

1 ბრიგადაში შედიოდა ყაბარდოსა და დაღესტნის ცხენოსანთა პოლკები;

II ბრიგადაში – თათრეთის და ჩაჩნეთის ცხენოსანთა პოლკები;

III ბრიგადა – ჩერქეზეთის და ინგუშეთის ცხენოსანთა პოლკები და აჭარის ქვეითი ბატალიონი.

თვითეულ პოლკში შედიოდა 22 ოფიცერი, 3 სამხედრო მოხელეები, 1 პოლკის მულა, 575 მხედრები და 68 არა სამხედრო წოდების სამხედრო მოსამსახურეები.

დივიზიაში 90% მონაწილეობას ღებულობდნენ ადგილობრივი მოხალისე მუსულმანები. (რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, კავკასიელ და შუა აზიელ მუსულმანებს არ იწვევდნენ ჯარში).

პირველ მსოფლიო ომის დროს, რუსეთის ჯარში მონაწილეობას ღებულობდნენ: კავკასიის

ცხენოსანთა, კავკასიის კაზაკთა 5, კავკასიის გრენადერიის (რჩეული ჯარისკაცები რომლებიც ისროდნენ ხელის ჭურ-ვებს) და 5 კავკასიის მსროლელთა დივიზიები.

„ველური დივიზიის“ უფროსად მეფემ დანიშნა დიდი მთავარი, თავისი უმცროსი ძმა, გენერალ-მაიორი მიხეილ ალექსანდრეს ძე (1878–1918), ხოლო დივიზიის შტაბის მეთაურად გენერალ-ლეიტენანტი იაკობ იუზეფოვიჩი (1872–1929), ლიტვიელი თათარი, მაჰმადიანური სარწმუნეობის მიმდევარი. ხოლო მთავარსარდლად – ინფანტერიის-გენერალი ლავრ კორნილოვი (1870–1918). „ველურ დივი-ზიას“ მეთაურებდნენ სხვადასხვა დროს, პეტრე დიმიტრის ძე ბაგრატიონი (1863–1919), პეტრე ალექსანდრეს ძე პოლოვცოვი (პოლოვცევი) (1874–1964) და სხვ.

„ველური დივიზიის“ მონაწილეებმა I მსოფლიო ომის დროს ომებში თავი გამოიჩინეს და დაახლოებით 3 500 მხედარი დააჯილდოვეს „მამაცობისათვის“ მედლებით. ხოლო ყველა ოფიცრები დაჯილდოვებულნი იყვნენ სხვადასხვა ორდენებით.

1917 წლის ბოლოს „ველური დივიზია“ დაიშალა. (160).

რუსეთის ჯარში „ველური დივიზია“ ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო ცხენოსანთა დივიზიად. გრაფმა, ოფიცერმა ა. პალეცკიმ, ერთ-ერთ მუსულმანურ საღამოზე დასწრე-ბისას, „ველური დივიზიის“ შესახებ განაცხადა:

„ველური დივიზია... ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო საიმედო სამხედრო ნაწილია – რუსეთის არმიის სიამაყეა...

კავკასიელებს ქონდათ სრული მორალური საფუძველი, რომ რუსეთის არმიაში არ მიეღოთ მონაწილეობა. ჩვენ კავკასიელებს წავართვით ყველა მათი შესანიშნავი მთები, მათი უდაბური ბუნება, ულევი სიმდიდრე ამ მადლიანი ქვეყნისა.

მაგრამ, როდესაც დაიწყო ომი, კავკასიელები ნებაყოფლობით წამოვიდნენ რუსეთის დასაცავად და იცავდნენ მას თავდადებულად, არა როგორც ავ ბოროტ დედინაცვალს, არამედ, როგორც მშობელ დედას.... ასეთებია ყველა კავკასიელები: მათში ჯერ კიდევ ცოცხლობს ჭეშმარიტი რაინდობის სული – არ კადრულობს ღალატს, ჩუმად ზურგში ჩაცემას. რუსეთის წინააღმდეგ კი არა, და რუსეთის თავისუ-ფლებისათვის მიდიან ველური დავიზიის ჯარისკაცები. ისინი იბრძვიან რუსეთის არმიასთან ერთად და მათ წინ, ყველაზე უფრო გაბედულად იღუპებიან ჩვენი თავისუფლებისათვის.

მუსულმანური საღამოზე დასწრებით, ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ გადმოგცემთ მცირე ნაწილს იმ ვეება ვალისა, რომელიც აწევს მთელ რუსეთს, ჩვენ ყველას, კავკასიის წინაშე და კეთილშობილი ველური დივიზიის წინაშე, რომელიც უკვე სამი წლის განმავლობაში სისხლს ღვრის რუსეთისათვის“. (100, გვ.303–304).

ცნობილია, რომ რუსეთში მომხდარი სამოქალაქო ომის დროს, რუსეთის ჯარი, გარდა „ველური დივიზიისა“, იყო დაშლილი და დარღვეული.

რუსეთის არმიის მთავარსარდალმა ლავრ კორნილოვმა (1870–1918) დივიზიას, დათვალიერების დროს, შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„კავაკსიის არწივებო!

მე ბედნიერი ვარ, რომ გხედავთ თქვენ ასეთ გასაოცარ წესრიგში. თქვენში კიდევ არის შემორჩენილი ის სული, რომელსაც იწყებს დაკარგვას ჩვენი ჯარი.

როდესაც დაბრუნდებით შინ კავკასიაში, გადაეცით ჩემგან მოკითხვა და დიდი მადლობა

თქვენს მამებს, რომ თქვენში შეძლეს აღეზარდათ ის შინაგანი დისციპლინა, რომელმაც დაგიცვათ თქვენ რღვევისაგან“. (100, გვ.295).

ინგუშ ფიზიკოსს და ისტორიკოსს ახმედ მალსაგოვს, „ველური დივიზიის“ ოფიცრის ა. არსენიევის ნარკვევიდან „კავკასიის აბორიგენი ცხენოსანი დივიზია“-დან, მოჰყავს ამონაწერი ამ დივი-ზიის ოფიცრების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ ამ დივი-ზიაში „მსახურობდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები... ინგუშეთის დივიზიაში რუსებისა და ინგუშების გარდა იმყოფებოდა ბევრი ქართველი, ყაბარდოელთა დივიზიაში იყვნენ ყაბარდოელები, ბალყარელები, ქართველები და ოსები. ყველა ოფიცრები იყვნენ თანასწორნი და არავის თავში აზრად არ მოუვიდოდა, რომ მიექცია ყურადრება სხვის ეროვნებაზე და ყველანი იყვნენ პოლკის ერთი ოჯახის წევრები“. (100, გვ.217).

რუსეთში მომხდარი სამოქალაქო ომის დროს ჩაჩნეთი გადაიქცა საბრძოლო მოედნად, რომლის საზღვრები გამუდმებით იცვლებოდა.

„1917 წლის თვითმპყრობელობის მსხვრევის შემდეგ კონტრრევოლუციურ კაზაკებთან და თეთრგვარდიელებთან ბრძოლების წლებში, სამოქალაქო ომების დროს ჩაჩნებმა იარაღით ხელში დაიბრუნეს ცარიზმის მიერ წართმეული თავისი მიწის ნაწილი.

ამდაგვარად, ბუნებრივი ეთნოპოლიტიკური მოწყობა ნახური ეთნოსის – ჩაჩნებისა და ინგუში ხალხისა იყო უხეში დეფორმირება და დამახინჯება XIX საუკუნეში ცარიზმის მიმტაცებლური პოლიტიკისა, გან-ადგურება და გაძევება მთელი ხალხისა, ხოლო ამის შემდეგ XX საუკუნეში, და საბჭოთა კავშირის პოლი-ტიკით, გამომდინარე ნაციონალური ავტონომიების მშენებლობისას ეკეონომიური და იდეოლოგიური მიზანდასახულებით.

XX საუკუნის ბოლოსა – და XXI საუკუნის დასაწყისში ჩაჩნეთის რესპუბლიკა, ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით გახდა ორი დამანგრეველი ომების მოედანი, აოხრდა მისი დედაქალაქი ძირფე-სვიანად და ათობით სოფლები. „ჩაჩნეთის“ ომებში საერთო რაოდენობა დაღუპულებისა და დაჭრილების 300 ათასი კაცია, ხოლო მშვიდობიანი მოქალაქეებისა, უკვალოდ დაკარგულებისა გადააბიჯა 5 ათასს. 700–800 ათასამდე ჩაჩნეთის მაცხოვრებელი იმყოფებოდა როგორც ლტოლვილი რესპუბლიკის საერთო მცხოვრებთა 1 მილიონზე მეტი კაციდან...

რამდენიმე ათასი ჩაჩანი, როგორც ადრე მათი წინაპრები, XIX საუკუნის 60-იან წლებში, გარდაიხვეწა შორეულ საზღვარგარეთში. სინამდვილეში, ჩაჩნებისათვის, როგორც ერისათვის, XIX და XX საუკუნეებში, შეიძლება დამდგარიყო „ისტორიის დასასრული“. მაგრამ ეს არ მოხდა, ჩაჩნეთის ისტორიის ძაფი ჩაჩნე-ბისათვის არ შემწყდარა, პირველ რიგში უზარმაზარი ხალხთა ძალისხმევის შემწეობით, მისი ძირითადი მორალურ-ეთნიკური ღირებულებისა, განსაცდელის გაძლებების შეუდარებელი ძლიერი სულის გამო“. (97).

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის 4 მარტს გროზნოში შეიქმნა დროებითი მთავრობა. ჩაჩნეთში დამყარდა სრული უწესრიგობა.

1917 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩაჩნები თავს დაეხსნენ ქ. გროზნოს და სტანიცას. ამავე წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა „მთიელთა რესპუბლიკა“. მაგრამ წითელ არმიელებისა და დენიკინის შემოტევების შედეგად დაემხო „მთიელთა რესპუბლიკა“ და ჩაჩნეთი ხელიდან ხელში გადადიოდა.

ბოლშევიკების მიერ გამოცხადებული მოწოდებებით: „მიწები – გლეხებს, ქარხნები –

მუშებს, თავისუფლება – ხალხს!“ მოტყუებულნი ზოგიერთები ჩაჩნები და ინგუშები მიემხრნენ მათ.

ცნობილი გახდა, რომ როდესაც გენერალი ა. დენიკინი შეიჭრა ჩაჩნეთში და დაიკავა გროზნო, წითელ არმიელებმა და ბოლშევიკმა მუშებმა თავი შეაფარეს ჩაჩნეთის აულებს, რომლებმაც მოუარეს, ჩააცვეს და ყოველ მხრივ ხელს უმართავდნენ. საბჭოთა სახელმწიფოს პარტიული მოღვაწე გ რ ი გ ო ლ (სერგო) ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე (1886–1937) წერდა:

„ჩაჩნებმა არა თუ დაიწყეს ჩვენი ამხანაგების ძარცვა, არამედ შეიკედლეს ისინი, შემოსეს, ფეხზე ჩააცვეს, ხოლო სოფელი გოითი გადაიქცა წითელარმიელთა ბანაკად“. (96, გვ.50).

გოითთან გაიმართა ბრძოლა წითელ არმიელებსა და დენიკელებს შორის, რომლის დროსაც: „200 ჩაჩანი და ოცზე მეტი რუსი წითელი ჯარისკაცი დაეცა გოითის ბრძოლაში. მიუხედავად მუსულმანური წეს-ჩვეულებისა, რუსი წითელარმიელები პატივისცემით იყვნენ დასაფლავებულები ჩაჩნებთან ერთად გოითის მთავარ სასაფლაოზე. დენიკელების დანაკარგი იყო ორჯერ მეტი. თეთრგვარდილებმა მაინც ვერ შეძლეს სოფლის დაკავება“. (96, გვ.52).

საბოლოოდ, მოლშევიკებმა გაიმარჯვეს და ამავე წლის 26 ოქტომბერს გროზნოში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. რასაც მოჰყვა ჩაჩნეთში კლასობრივი ბრძოლები.

1918 წლის მაისში, გამოცხადდა „ჩრდილოეთ კავკასიელთა მთიელთა რესპუბლიკა“.

1920 წლის მარტის ბოლოს ჩაჩნეთი დაიკავეს ბოლშევიკებმა. თერგის ოლქი გააუქმეს. ჩამოყალიბდა ჩაჩნეთ-ინგუშეთის ოლქები, სადაც შეიყვანეს ჩაჩნეთში იჩქერიელები და ინგუშეთში – მთიანეთი მხარე. ამავე დროიდან ჩრდილოეთ კავკასიაში და ჩაჩნეთში დაიწყო არა საიმედო ხალხის გადასახლება ქვეყნის შორეულ მხარეში.

1921 წლის 20 იანვარს შეიქმნა მთიანეთის ასსრ, სადაც გაერთიანდნენ: ჩაჩნეთი და ინგუშეთი ყარაჩაი-ჩერქეზეთთან, ყაბარდო-ბალყარეთი და ჩრდილოეთ ოსეთი.

1922 წლის 30 ნოემბერს, ჩაჩნეთი როგორც ავტონომიური ოლქი რსფსრ შემადგენლობაში, გამოეყო მთიანეთის ასსრ-ს. ქ. გროზნო გახდა ჩაჩნეთის ოლქის დედაქალაქი.

1923 წლის 4 იანვარს განისაზღვრა ჩაჩნეთის აო-ს საზღვრები. მასში შევიდა ის მიწები, რომლებიც ადრე, რუსეთ-კავკასიის ომის დროს დაიკავეს კაზაკებმა და შეიქმნა სტანიცები. ერთის მხრივ, გასაბჭოების შემდეგ, თითქოს ჩაჩნებმა დამოუკიდებლობა მიიღეს და გადაიდგა ჩაჩნების განვითარებისათვის გარკვეული ნაბიჯები. შეიცვალა არაბული დამწერლობა კირილიცას ანბანის მიხედვით, ჩამოყალიბდა რამდენიმე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვ. მაგრამ, სინამდვილეში მდგომარეობა ჩაჩნეთ-ინგუშეთში არ შეცვლილა, 1925 წლიდან ჩაჩნებს არ აძლევდნენ უფლებას, რომ ეხელმძღვანელად თავისი ქვეყნისათვის, ყველა ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურის ხელმძღვანელ ადგილებზე ინიშნებოდა მთავრობიდან გამოგზავნილი პირები, ან მათი მომხრეები, რომელთაც ხალხის მდგომარეობა არ აინტერესებდათ. გრძელდებოდა ჩაჩნებსა და რუსებს შორის დაძაბულობა. განსაკუთრებით მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირში დაიწყეს ე. წ. „კოლექტივიზაციის“ ჩატარება, მით უმეტესს მთის მხარეებში კოლმეურნეობების შექმნისას. ვინც უარს აცხადებდა ან მერყეობდა კოლმეურნეობაში შესვლაზე, ცხადდებოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს მტრებად, „ბანდიტებად“ და „კულაკებად“, ზოგს ხვრეტდენ და ზოგს ასახლებდნენ.

ზ. ნუხაჟიევისა და ხ. უმხაევის გადმოცემით:

„მხოლოდ სპეციალური ოპერაციის მსვლელობისას «ჩაჩნეთის მიწა-წყლის გაწმენდისას

ბანდფორმირებებისა და იარაღის ჩამორთმევისას» 1925 წელს, როდესაც კბილებამდე შეიარაღებული ჯარი 3 საჯარისო ბრიგადის შენაერთის შემადგენლობით, 9 მსროლელთა და არტილერიის პოლკის, 4 ცხენოსანთა ქვეგანაყოფის, ვლადიკავკასიის ფეხოსანთა სკოლის, ვლადიკავკასიის დივიზიის გპუ-ს, დაღესტნის ნაციონალური ცხენოსანთა სკოლის, 28-ე არტ-პოლკის ცალკეული ოცეული, 8 საჰაერო რაზმი, 14 მთის და 10 მსუბუქი იარაღით, 137 ტანკებით და 102 მსუბუქი ტყვიაფრქვევით დაიძრნენ მთიელი ჩაჩნების განიარაღებისათვის, დაჭერილნი იყვნენ და მსჯავრდადებულნი 1032 ე. წ. „ბანდიტთა“ ჯგუფის წევრები და თანამდგომნი, 746 გაქცეული კულაკი, ასეული ადამიანი იყო მოკლული, მსგავსი ოპერაციის ჩატარებისას 1933 წელს გადასახლებული იყო 2 000-ზე მეტი კაცი. მსჯავრდადებულთა უმეტესობა უკან არ დაბრუნდა.

წარმოიდგინეთ თქვენთვის, რას ნიშნავს ასეთ მცირე რიცხოვან ხალხისათვის, როგორც ჩაჩნებია, მხოლოდ ერთი სამხედრო ოპერაციის მსვლელობისას დაიკარგოს 2 000 კაცი. მაგრამ ასეთი ოპერაციები, რომლებიც მიმდინარეობდა დიდხანს, ხანდახან მცირე მოცულობით, რუსეთთან ჩაჩნეთის ძალად მიერთების დროიდან, იყო ათეულობით. რომ არ ვილაპარაკოთ ოპერაციებზე თვით კავკასიის ომზე და მასზე ადრე“. (96, გვ.55).

1927 წელს ჩრდილოეთ-კავკასიაში მარცვლეულობის დამზადების გეგმის შეუსრულებლობა გამოცხადდა როგორც „საბოტაჟი“ და ჩატარდა სადამსჯელო მოქმედებები. მათ რიცხვში მოჰყვნენ ჩაჩნები, ინგუშები და ჩრდილოეთ კაზაკებიც. მიუხედავად ჩატარებული სადამსჯელო ზომებისა ჩაჩნეთში აჯანყებები გრძელდებოდა. 1928 წელს ჩაჩნები თავს დაესხნენ ნაურის სადგურში მყოფ კაზაკებს.

1929 წელს ჩეჩნების ოლქში ხდებოდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებები.

1931 წლის 30 სექტემბერს ოლქები გადაკეთდა რაიონებად.

1934 წლის 15 იანვარს ჩაჩნეთი და ინგუშეთი გააერთიანეს და შეიქმნა ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური ოლქი. მთავარი ქალაქი დარჩა გროზნო. 1936 წელს ისევ შეიცვალა და გახდა ავტონომიური რესპუბლიკა (ასსრ) რსფსრ შემადგენლობაში. რომლის ხელმძღვანელებად ინიშნებოდა მხოლოდ რუსები.

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წლის შემოდგომაზე ჩაჩნეთ-ინგუშეთის დასავლეთი მხარე გერმანელებმა დაიკავეს. 1943 წლის 3 იანვარს, გერმანელების მიერ დაკავებული მხარე, საბჭოთა ჯარებმა გაანთავისუფლეს და ამ დროიდან დაიწყო ყველაზე დიდი უბედურება ჩაჩნეთინგუშეთის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩაჩნები და ინგუშები მოღვაწეობდნენ და იბრძოდნენ ჯერ კიდევ ადრე, წითელ ჯარში, ხოლო შემდეგ, „დიდ სამამულო ომის (1941–1945) დროს რესპუბლიკის მშრომელები აქტიურად ეხმარებოდნენ ფრონტს... ჩაჩნები და ინგუშები იბრძოდნენ ფრონტებზე, მონაწილეობდნენ პარტიზანულ ბრძოლებში. ათასობით კაცი დაჯილ-დოებულია ორდენებითა და მედლებით. 36 კაცს მიაენიჭეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება“ (8, ტ.11, გვ.89). მიუხედავად ამისა, ისინი შერაცხეს მოღალატეებად და მტრებად და გადაასახლეს.

„ვაინახი ხალხების – ჩეჩნებისა და ინგუშების ისტორიაში 1944 წლის 31 იანვარი, 24 თებერვალი და 7 მარტი საყოველთაო უბედურების თარიღებია: 31 იანვარს სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო დადგენილება ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ გაუქმებისა და მოსახლეობის ჩრდილოეთ კავკასიიდან საბჭოთა კავშირის შორეულ ადგილებში დეპორტა-

ციის შესახებ. დადგენილებაში ჩაწერილი იყო, რომ ჩაჩნები და ინგუშები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დროს თითქოსდა კავკასიონის ქედს მოახლოებულ გერმანელ ფაშისტებს ეხმარებოდნენ.

საბჭოთა უშიშროების ორგანოების მიერ შემუშავდა სპეციალური ოპერაცია კოდური სახელწოდებით „ჩეჩევიცა" (ოსპი), რომლის რეალიზების შედეგად ორ კვირაში – 24 თებერვლიდან 7 მარტის ჩათვლით ჩრდილოეთ კავკასიიდან სარკინიგზო ეშელონებით ნახევარ მილიონზე მეტი ჩაჩანი და ინგუში სამშობლოდან შორს, ყაზახეთში და ყირგიზეთში გადაასახლეს.

1944 წლის 22 მარტს მიღებულ იქნა დადგენილება გროზნოს ოლქის შექმნის შესახებ. ყოფილი ჩაჩნეთ-ინგუშეთის დასავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის რაიონები გადაცემულ იქნა ოსეთის, დაღესტნისა და საქართველოს შემადგენლობაში. დანარჩენმა ტერიტორიამ, ყიზლარის ოლქთან ერთად, გროზნოს ოლქი შეადგინა. დაცარიელებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მეზობელი რესპუბლიკების მოსახლეობა დაასახლეს". (12, გვ.83).

ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხის მოღალატეებად შერაცხვა არც ისე ადვილი იყო.

ამიტომ:

„ოფიციალური საბრალდებულო მოსაზრება გახდა – «... აქტიური და თითქმის საყოველთაო მონა-წილეობა ტერორისტულ მოძრაობაში, მიმართული საბჭოთა კავშირისა და წითელი არმიის წინააღმდეგ» კერძოდ, ამტკიცებდნენ, რომ არსებობდა მასობრივი ამბოხებულთა ორგანიზაციები «კავკასიელთა ძმების შეერთებული პარტია» ხ. ისრაელოვის (ტერლოვი) წინამძღოლობით და სხვა". (122).

როგორც ცნობილი გახდა, ი. სტალინის ბრძანებით, სანამ დაიწყებოდა ჩაჩნებისა და ინგუშების გადასახლება, მანამდე, 1943 წლის ოქტომბერში ადგილზე მდგომარეობის გასაცნობათ ჩავიდა სსრკ-ის შინაგან საქმეთა და უშიშროების სამმართველოს მინისტრის (გენერალური სახალსო კომისარი), მარშალი ლავრენტი ბერიას (1899–1953) მოადგილე და მისი „მარჯვენა ხელი" ბოგდან ქობულოვი (1904–1953). მოსკოვში მისი დაბრუნების შემდეგ დამუშავდა ვაინახების (ჩაჩნებისა და ინგუშების) გადასახლების გეგმა და დრო. ამ გეგმას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირობითად ეწოდა „ჩეჩევიცა". გეგმის თანახმად გადასახლება უნდა მომხდარიყო ერთსა და იმავე დროს მთელ ჩაჩნეთ-ინგუშეთში, რომელიც დაყოფილი იყო ოთხ უბნად. მთავარი პასუხისმგებელი იყო ლ. ბერია.

ქობულოვი ხელახლა ჩავიდა რესპუბლიკაში და პირველ რიგში აღირიცხა მთელი მოსახლეობა და მათი მდგომარეობა. „გამოვლინებულ" იქმნენ ის პირები რომლებიც მონაწილეობდნენ „1942 წლის აგვისტოში სსრკ-ის წინააღმდეგ მომხდარ აჯანყებაში" და „ყაჩაღური ჯგუფები". ჩამოყალიბდა საქმის წარმოებისათვის ოპერატიულ-ჩეკისტური ჯგუფები. გადასახლებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები, უნდა ჩატარებულიყო მოსახლეობისაგან საიდუმლოდ.

წინასწარ, საგანგებო დანიშნულების ჯარის ნაწილები და ჩეკისტები შეიყვანეს აულებში, ცხოვრობდნენ გლეხების სახლებში და ხმა გაავრცელეს, რომ ტარდებოდა ჯარის ნაწილების სწავლება მთის პირობებში. ამგვარად შეისწავლეს და გაეცნენ თვითეული ოჯახის მდგომარეობას.

1944 წლის 29 იანვარს ლ. ბერიამ დაამტკიცა მითითებანი, თუ როგორ უნდა მომხდარიყო

ჩაჩნებ-ინგუშების გადასახლება. მასში ნათქვამი იყო, რომ:

„«თავისებურებები ნაციონალურ ოლქებში და სპეციფიკური პირობები ნაციონალურ აულებში განხორ-ციელებული ოპერაციის დროს, თვითეული – ოპერაციის მონაწილესაგან – მოითხოვს პოლიტიკურ ურყეობას, სიმტკიცეს, ოპერატიულ პატიოსნებას და მოქნილობას»... სწრაფად და გაბედულად «დემორა-ლიზება დასაწყისშივე როგორცდა არ უნდა იყოს კულაკურ-მოლების-ბანდიტური ცდები და გამოხდომები»“. (122).

31 იანვარს, კიდევ გამოიცა 2 საიდუმლო დადგენილება, სადაც მითითებული იყო, რომ ჩაჩნები და ინგუშები უნდა დასახლებულიყვნენ ყაზახეთსა და ყირგიზეთში. რა ზომები უნდა მიეღოთ და რა უნდა გაეკეთებინათ ამ რესპუბლიკების ხელმძღვანელებს.

1944 წლის 22 თებერვალს, ლ. ბერია მოხსენებით ბარათში სტალინს წერდა:

„ამხანაგ სტალინს.

„ოპერაციის სწრაფად განხორციელებისა ჩაჩნებისა და ინგუსების გადასახლებისათვის თქვენი მითითების შემდეგ ჩეკისტ-საჯარისო ღონისძიებებს დაემატა შემდეგი ღონისძიებები:“ და აღწერდა ჩატარებულ ღონისძიებებს. მოხსენებას ამთავრებდა შემდეგი სიტყვებით:

„გადასხლება დაიწყება გამთენიისას ა. წ. 23 თებერვალს, განზრახულია გარშემოერტყას რაიონებს, რომ ხელი შეუშალოთ დასახლებული პუნქტებიდან მოსახლეობის წასვლას დასახლებული პუნქტების ადგილებიდან. მოსახლეობა მოწვეული იქნება კრებაზე, კრების ნაწილი გაშვებული იქნება ნივთების მოსა-გროვებლად, ხოლო დანარჩენი ნაწილი იქნება განიარაღებული და მიყვანილი ადგილებზე დაბარგებისათვის.

ვთვლი, რომ ჩაჩნებისა და ინგუშების გასახლების ოპერაცია წარმატებით იქნება ჩატარებული.

ლ. ბერია“. (96, გვ.132).

1944 წლის 23 თებერვლის ღამის 2 საათზე ჩაჩნეთ-ინგუშეთის ცაზე გამოჩნდა სანათი რაკეტები, რაც მაუწყებელი იყო იმისა, რომ უნდა დაწყებულიყო ოპერაცია „ჩეჩევიცა“. მთავრობის მოხელეთა გადმო-ცემით ყველა აული გარემოცული იყო სამხედრო ნაწილებით, ყველა გზა გადაიკეტა, მთებისკენ მიმავალ ბილიკებზე იდგნენ მზირნი და ჩასაფრებული რაზმები, გამოთიშული იყო ყველა რადიოსატრანსლიაციო სადგურები და ტელეფონები. ამ ამბებს ზოგიერთი შემდეგნაირად გადმოსცემდა, რომ, თითოეულ სახლში შედიოდნენ „ნკვდ“-ეს (შსსკ – შინაგან საქმეთა სახალხო კომიტეტი) წარმომადგენლები, რომლებიც აცნობებ-დნენ გამოსახლების მიზეზებს, ჩხრეკდნენ, იღებდნენ ცივ და სასროლ იარაღებს, ანტი-საბჭოურ ლიტერატურას, ვალუტას, ოჯახის უფროსისაგან მოითხოვდნენ, რომ დაესა-ხელებინათ ბანდიტური ჯგუფები და მათთვის გადაეცად გადამალული მოღალატენი, რომლებიც ეხმარებოდნენ გერმანელ ფაშისტებს. შემდეგ, ოჯახის წევრები, პირველ რიგში ქალები და ბავშვები, გადაჰყავდათ შეკრების ადგილას. წინააღმდეგობის გაწევისას, ან გაქცევისას, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ხვრეტდნენ. ასევე მოხუცებს რომელთაც სიარული არ შეეძლოთ და ავადმყოფებს. თითეულს ნება ეძლეოდათ, თან წაეღოთ წვრილი საოჯახო ნივთები და სოფლის მეურნების საგნები (თითოეულზე 100კგ.), შეეძლოთ თან წაეყვანათ თითო საქონელი და მისთვის საჭირო საკვები. თითოეულს ხელზე აძლევდნენ ბარათს სადაც აღრიცხული იყო ყველაფერი: ადგილზე მყოფი ოჯახის წევრები, რაც აღმოაჩინეს და ნახეს ჩხრეკისას და სხვ. შემდეგ, სატვირთო მატარებლებით აგზავნიდნენ

ახალ საცხოვრებელ ადგილებისაკენ.

მაგრამ, თვითმხილველთა გადმოცემით, სინამდვილეში ხდებოდა სულ სხვანაირად:

„ყველა მამაკაცი დილით ადრე შეკრიბეს, ვითომ ყრილობისათვის და მაშინვე აპატიმრებდნენ. «ამის შემდეგ იწყებოდა სცენარის მეორე ნაწილი: ყველა ეზოში შედიოდნენ სალდათები, შეიარაღებული ავტომატებით, ოფიცრების ან სერჟანტის მეთაურობით, რომლებიც იძლეოდნენ შეკრებისათვის 10-15 წუთს და სახლებიდან აძევებდნენ უმწეო მოხუცებს, ბავშვებს და ქალებს, საწოლებიდან აგდებდნენ ავადმყოფებს. უკმაყოფილების გამომჟღავნებისათვის – დახვრეტა! ბრძანების არასწორი გაგებისათვის – დახვრეტა! გაქცევის მცდელობისათვის – დახვრეტა! ამის შესახებ აცხადებდნენ – რუსულად, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობას არ ესმოდა...». ლაპარაკი საღრიცხვო ბარათებზე და ჩამორთმეული ქონების, მოწყობი-ლობების, საკვების, მსხვილ რქოსან საქონელის ქვითრებზე, თითქოს და «ახალ ადგილზე ბინადრობისას მეურნეობის აღსადგენად» – ეს არის სიცრუე. ასეთი «ცერემონიები» არასდროს არ იყო „ნკვდ"-ესთვის დამახასიათებელი, მით უმეტეს მათ მოქმედებებში «ხალხის მტრების» – ჩაჩნების წინააღმდეგ". (96, გვ.97).

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ „ვალუტას", „ანტისაბჭოურ ლიტერატურას", „გადამალულ მოღალატეებს" და „ბანდიტურ ჯგუფებს", თვითმხილველთა თქმით, მოგონილია, რადგან „შინსახკომ"-მა ძალიან კარგად იცოდა თვითოეულ აულში ვინ და რას წარმოადგენდა. ეს იყო „ნკვდ"-ეს მიერ მონაგონი, რომ შეექმნათ ხილვადობა იმისა, რომ იყო რაღაც რაზმები და რომ ჩაჩნებმა დაიმსახურეს გადასახლება". (96, გვ.97).

გადასახლების მსვლელობის შესახებ, ჯგუფის ხელმძღვანელები, ყოველ ნახევარ საათში ლ. ბერიას აწვდიდნენ ცნობებს.

1 მარტს ლ. ბერია მოხსენებით ბარათში წერდა:

"«სახელმწიფოს თავდაცვის კომიტეტი

ამხ. სტალინს

1 მარტი 1944 წელი.

მოგახსენებთ ჩაჩნებისა და ინგუშების გასახლების ოპერაციის შედეგის შესახებ, გადასახლება დაიწო 23 თებერვალს უმრავლეს რაიონებში, გარდა მაღალ მთიან დასახლებულ ადგილებისა.

29 თებერვლისათვის გასახლებულნი იყვნენ და ჩაბარგებულნი რკინიგზის ეშელონებში 478 479 კაცი, მათ შორის 91 250 ინგუშები. დატვირთულია 180 ეშელონი, მათ შორის 159 ეშელონი უკვე გაგზავნილია ახალ ადგილზე დასასახლებლად. დღეს გაგზავნილია ეშელონები ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკებით და ჩაჩნეთ-ინგუშეთის გავლენიანი რელიგიური ავტორიტეტებით, რომლებიც გამოიყენებოდნენ ოპერაციის ჩასატარებლად.

ზოგიერთ ჩაჩნეთის გალანჩჟოსკის რაიონის ადგილებიდან ძლიერი თოვისა და უგზოობის გამო დარჩნენ გაუსახლებელნი 6 ათასი ჩაჩნები, მათი გაყვანა და დაბარგება დამთავრებული იქნება 2 დღეში. ოპერაცია ჩატარდა ორგანიზებულად და ყოველგვარი წინააღმდეგობისა და სხვა ინციდენტების გარეშე.

....მიმდინარეობს გაჩხრეკა ტყიანი რაიონების, სადაც დროებით დატოვებულია „ნკვდ"-ეს ჯარის გარნიზონი და ჩეკისტების ოპერჯგუფი. მომზადების დროს და ჩატარებული ოპერაციისას დაპატიმრებულია 2 016 კაცი ანტისაბჭოთა ელემენტები ჩაჩნებისა და ინგუშებიდან.

ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღები:

20 072 ერთეული, მათ შორის შაშხანები 4 868, ტყვიამფრქვევები და ავტომატები 479...

დღეს ვამთავრებთ აქ სამუშაოს და გავემგზავრებით ერთი დღით ყაბარდო-ბალყარეთში და იქედან მოსკოვში.

ლ. ბერია»". (96, გვ.134).

მართალია, ლ. ბერია მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა, მაგრამ სინამდვილეში ზოგიერთ აულში წინააღმდეგობის გაწევისას, გაქცევის მცდელობისას და სამხედროებზე თავდასხმის დროს, დაიღუპნენ და დაიჭრნენ როგორც ჩაჩან-ინგუშები, ასევე გადასახლებაში მონაწილე სამხედროები.

ასევე ცნობილი გახდა, რომ 1944 წლის 27 თებერვალს გალანჩჟოსკის რაიონთან მდებარე აულ ჰაიბახში, ვინაიდან ხალხის გადასაყვანად ტრანსპორტი აღარ ეყოთ, შს-ის საჯარისო ნაწილებმა, გადმოცემის თანახმად, დაახლ. 600-მდე მთიელებს, ძირითადათ მოხუცებს, ქალებს და ბავშვებს, დაავალეს, რომ წამოეღოთ თივა, რომ არ შესცივნოდათ, შეჰყარეს ლ. ბერიას სახელობის საჯინიბოში და ცეცხლი წაუკიდეს, ხოლო გამოქცეულებს ადგილზე ხვრეტდნენ. დახვრიტეს მიმდებარე აულების მცხოვრებლებიც. (131). ცნობილია ისიც, რომ შსსკ-ის წარმომადგენლები, ხშირად, როგორც ბანდიტებს ხოცავდნენ უდანა-შაულო ხალხს, რადგან განმკითხავი არავინ იყო და ამით ღებულობდნენ ჩინ-მედლებსა და წოდებებს. 1944 წელს ჩაჩნებისა და ინგუშების გასახლებისათვის, ბ. ქობულოვი დააჯილ-დოვეს სუვოროვის სახელობის I ხარისხის ორდენით. (ცნობილია, რომ ბოგდან ქობულოვი საკანშივე, პატიმრების დაკითხვისას პირადად თვითონვე აწამებდა და კლავდა პატიმრებს. 1953 წლის ივნისში სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დააპატიმრეს, გაასამართლეს და დახვრეტა მიუსაჯეს. 1953 წლის 23 დეკემბერს დახვრიტეს).

7 მარტს დამთავრდა ჩაჩნებისა და ინგუშების გადასახლება. ამ დღეს მოხსენებით ბარათში ლ. ბერია წერდა:

„...ოპერაციის ჩატარებისას მონაწილეობას ღებულობდნენ 19 ათასი ოპერატიული მუშაკები „ნკვდ–ნკტბ" და „სმერშ"-ი, 100 ათასი ოფიცრები, „შსსკ"-ეს ჯარის მებრძოლები, ჩამოყვანილი სხვადასხვა ოლქებიდან, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი აქამდე მონაწილეობდა ოპერაციებში ყარაჩაელებისა და ყალმუხების გადასახლებაში, ესენი მიიღებენ მონაწილეობას მომავალ ბალყარელთა გადასახლების ოპერაციებში.

ჩატარებული სამი ოპერაციის შედაგად გადასახლებულია სსრკ-ის აღმოსავლეთ რაიონებში 650 ათასი ჩაჩნები, ინგუშები, ყალმუხები და ყარაჩაელები.

ოპერაციის მომზადების მსვლელობისას, ჩაჩნების, ინგუშების, ყარაჩაელების, ყალმუხების და ბალყარელების გადასახლებისას ჩატარდა სამუშაო ბანდების მოსპობისათვის, შექმნილი და შეიარაღებული გერმანელ-ფაშისტ ოკუპანტებისაგან ჩრდილოეთ კავკასიიდან უკან დახევის დროს დაკავებულ იქნენ ანტისაბჭოთა ელემენტები და მოსახლეობიდან ამოიღეს არალეგალურად შენახული იარაღი.

სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახკომ ლ. ბერია". (96, გვ.135).

როგორც ცნობილია, ხალხის გადაყვანა ხდებოდა სატვირთო ვაგონებით. შეყრილნი იყვნენ თვითეულ ვაგონებში 50-მდე ადამიანი, რომელთა ნაწილი, საშინელი პირობების (ყინვისა და შიმშილის) გამო, გზაშივე დაიღუპა. შსსკ-ის მონაცემებით, 1272 კაცი დაიღუპა

გადასახლებულთა გადაყვანის დროს, რაც სიმართლეს არ წარმოადგენს.

„თუ გავითვალისწინებთ, რომ რკინიგზის ეშელონები იმყოფებოდნენ 20 დღიდან თვემდე გზაში, ძალიან ჩქარა წარმოიქმნა ინფექციური დაავადებები, კერძოდ, ტიფი, და გადასახლებულები იღუპებოდნენ უამრავი რაოდენობით. ბავშვებს შორის დახოცილთა რაოდენობა იყო ძალიან მაღალი. გვამები გამოჰქონდათ ახლო მდებარე სადგურებში და აწყობდნენ გზის გასწვრივ. იღბლიანად ითვლებოდა თუ ბადრაგი დაგრთავდა ნებას ისინი ჩაგეფლა თოვლის ნამქერებში, ვინაიდან ეშელონიდან 5 მეტრზე უფრო შორს მოცილება აკრძალული იყო და ისჯებოდა სიკვდილით.

დანამდვილებით უცნობია, რა რაოდენობის ჩაჩნები და ინგუშები დაიღუპნენ გზაში.

ზოგ ეშელონებში «განთესვის» პროცენტი (ე. ი. მკვდრების) აღწევდა ნახევრამდე. ყოველ შემთხვევაში საუბარი უნდა მიმდინარეობდეს, სულ მცირე, ბევრად ბევრ ათიათასობით ხალხზე“ (132).

„23 თებარვალი ჩაჩანი ხალხისათვის არის ტრაგიკული თარიღი, და არა სამშობლოს დამცველთა დღე. 1944 წელს ყველა ჩვენი ხალხი მოგონილი ბრალდებებით გიტლერის ფაშისტებთან ხელის შეწყო-ბისათვის იყვნენ გასახლებულნი ყაზახეთსა და შუა აზიაში.

რამდენი ათეულ ათასი საფლავი ჩვენ დავტოვეთ გზაში გადასახლების პირველ თვეებში დღეს ვერავინ ვერ იტყვის. ჩვენი 12 წევრიანი ოჯახიდან, გადავრჩით მხოლოდ მე და ჩემი ძმა. და ასე იყო პრქტიკულად ყველა ოჯახში...

ალი სანტაევის მოგონებიდან“. (96).

1944 წლის 7 მარტის (დ. №1/803), საიდუმლო ბრძანებულებაში, „ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის გაუქმებისა და მისი ტერიტორიის ადმინისტრაციულად მოწყობის შესახებ“, ნათქვამი იყო, რომ ვინაიდან სამამულო ომის დროს, კავკასიაში გერმანელ-ფაშისტების ყოფნისას, ჩეჩნებმა და ინგუშებმა უღალატეს სამშობლოს და ახლაც ბანდიტები ახდენენ თავდასხმებს კოლმეურნეობებზე და მეზობელ მხარეებზე, ძარცვავენ და კლავენ საბჭოთა მოქალაქეებს, ამიტომ სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, უქმდებოდა ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური ოლქის რესპუბლიკა, ყველა ჩაჩნები და ინგუშები, მცხოვრებნი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე და მის მიმდებარე რაიონებში, უნდა გადა-ესახლებინად სსრკ-ის სხვადასხვა რაიონებში (ყაზახეთისა და ყირგიზეთის სსრ-ში, ხოლო ნაწილი ტაჯიკეთისა და უზბეკეთის სსრ-ში). სსრკ-ის სახკომსაბჭოს უნდა უზრუნველყო გადასახლებულნი მიწითა და დახმარებოდა სამეურნეო მოწყობაში. შეიქმნა სტავროპოლის რსფსრ-ში შემავალი გროზნოს ოლქი, რომლის მთავარი ქალაქი გახდა ქ. გროზნო. მის შემადგენლობაში შედიოდა ჩაჩნეთ-ინგუშეთის ზოგი რაიონი. დანარჩენი რაიონები გადაეცა დაღესტანს, ჩრდილოეთ-ოსეთს და მცირე ნაწილი საქართველოს. ჩამოთვლილი იყო გროზ-ნოს ოლქის საზღვრები. შეიცვალა რსფსრ-სა და საქართველოს სსრ-ს შორის საზღვრებიც. (96, გვ.142).

თვითმხილველთა გადმოცემით, შუა აზიაში გადასახლებულებს, ადგილობრივი მოსახ-ლეობა და ხელისუფლებაც, ექცეოდნენ როგორც მტრებს. მთავრობამ წინასწარ გაავრცელა ხმები, რომ გადმოსახლებულნი იყვნენ „მტრები“, „სამშობლოს მოღალატენი“, რომლებიც „ეხმარებოდნენ გერმანელებს“, „ყაჩაღები“ და ისინი ყველანი იყვნენ ინფექციური ავად-მყოფობით დავადებულნი. ასე, რომ მთავრობის წარმომადგენლებმა ყოველივე ღონე იხმარეს,

რომ ჩამოსახლებულებს არ ჰქონოდათ კავშირი ადგილობრივ მოსახლეობასთან. ამის გამო მოსახლეობის ნაწილი მათ ახლოსაც არ იკარებდა. ადგილობრივი მთავრობა მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და არავითარ ცხოვრების პირობებს არ უქმნიდა.

გადმოსახლებულთა უმრავლესობა აღმოჩნდა დაუსახლებელ, ტრიალ მინდვრებში, სიცივისა და ყინვის გამო, ისინი იძულებულნი იყვნენ ამოეთხარათ მიწური და იქ ჩასახლებულიყვნენ.

1944 წლიდანვე საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო საბჭოთა ჯარში მონაწილე ჩაჩნებისა და ინგუშების დაჭერა და გადასახლება. გადმოცემით, თითქმის 16 000-დე ოფიცერი და ჯარისკაცი იქნა გადასახლებული.

,,თემა ჩაჩნებისა და ინგუშების გმირულ მონაწილეობაზე დიდ სამამულო ომში დიდი ხნის განმავლობაში იყო აღკვეთილი მიუკერძოებულ კვლევაძიებისათვის, ვინაიდან ის ეწინააღმდეგებოდა თქმულებას ხალხზე – მოღალატეებზე. გადასახლების დროიდან, სახელმწიფოს მიერ გადასახლებულთა შესაბამისი გადა-წყვეტილების მიღებამდე, და 80-იან წლებამდეც კი, საბჭოთა კავშირის პარტიული ხელმძღვანელობა, თავისი პროპაგანდისტული იდეოლოგიური ბერკეტების საშუალებებით, მუშაობდა იმაზე, რომ ხელოვნურად შეექმნათ ჩაჩნების სახე, როგორც ყაჩაღების, მოღალატეების – კოლაბორაციონისტების. სახელმწიფოს დაკვეთით გამოჩნდა უამრავი გამოგონილი «დამადასტურებელი საბუთები», რომლებიც იყო გაშვებულნი ბრუნვაში რომ დაედასტურებინად თავისი მოქმედებები ხალხთა გადასახლებისათვის, ხოლო რესპუბლიკური არქივები, ამ ბოლოდროინდელი ჩაჩნეთში დამანგრეველი სამხედრო კამპანიის დროს, ფაქტიურად მთლიანად იყო განადგურებული“. (96, გვ.67).

გადასახლების დამთავრების შემდეგაც, (1944–1945) წლებში, გრძელდებოდა შსსკ-ის თანამშრომელთა მიერ ჩაჩნებისა და ინგუშების ,,ბანდიტების“ გამოვლენა, დაკავება და მთებიდან დაკავებულთა ჩამოყვანა. მონაცემებით, ამ დროის განმავლობაში მარტო გროზნოს ოლქში დააკავეს 2 213 ჩაჩნები და ინგუშები.

,,ძირითადი ოპერაციის ჩატარების დამთავრების შემდეგ ჩაჩნეთში დაიწყო ნადირობა მათზე, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო შეძლეს დარჩენა თავის სამშობლოში. გზებზე და გარეუბნებში მოსახლე-ობისაგან დაცარიელებულ ადგილებში იყვნენ დაყენებულნი შეიარაღებული მზირნი, ტყეებსა და მთის ხევებში დაძრწოდნენ ოპერატიული ჯგუფები, ,,შსსკ“-ის და სახ-უშიშროების რაზმები. მათ ჰქონდათ ბრძანება გაცემული გაენადგურებინათ ყველა, რომლებსაც ისინი გამოავლენდნენ. თვითმხილველთა გადა-რჩენილთა გადმოცემით, ყველა ის ადგილი, სადაც ჩატარდა შსსკ-ის მიერ რესპუბლიკაში ერთსა და იმავე საათის დროს ხალხის ლიკვიდაცია, გვამებით იყო მოფენილი. მათ ნახულობდნენ ყველგან: დაცარიელებულ სახლებში, ეზოებში, გზებსა და ბილიკებზე, სოფლების გარეუბნებში, ტყის პირებსა და ხევებში. მკვლელობის ხერხები ასევე იყო სხვადასხვანაირი, აფეთქებიდან, დახვრეტიდან ან ცოცხლად დაწვიდან თავის მოჭრამდე და ძელზე ჩამოცმამდე.

გაუსახლებელი ხალხის განადგურებისათვის გამოიყენებოდა საწამლავიც. საბჭოთა ჯარისკაცები მიმო-ფანტავდნენ ან ტოვებდნენ აოხრებულ აულებში მოწამლულ კვების პროდუქტებს. ათობით დამშეული ხალხი, პირველ რიგში ბავშვები და ქალები, გახდნენ ამ «კვების სიურპრიზებისაგან» მსხვრეპლნი “. (98).

1948 წლის 24 ნოემბერს სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს მიერ გამოიცა ბრძანებულება, რომლის თანახმად, გადასახლებულებს ეკრძალებოდათ, ერთი სოფლიდან მეორეში გადასვლა, ან ნათესავებთან მისვლა. წესრიგის დამრღვევნი იქნებოდნენ დაპატიმრებულნი და 20 წლით კატორღაში გაგზავნილნი.

საბჭოთა წყობილების დროინდელი და დღევანდელ დღესაც შემორჩენილი, „მეცნიერ-ისტორიკოები", ცდილობენ გაამართლონ იმ დროინდელი მთავრობის მოქმედებები, წერენ და ამტკიცებენ, რომ თითქოს კავკასიელთა გადასახლება აუცილებელი იყო და ამას მხარს უჭერდა მეზობელი ხალხები. რაც აშკარად სიმართლეს არ შეეფერება. მიუხედავად იმ დროინდელი მთავრობის მოქმედებებისა და რეპრესიებისა, აღმოჩნდნენ მეზობლები, რომლებიც შეძლებისდაგვარად მაინც ცდილობდნენ დახმარებოდნენ ჩაჩნებსა და ინგუშებს.

„აი როგორ წერს ცნობილი ისტორიკოსი დ. ხოჯაევი თავის წიგნში «ცოცხალი ხსოვნა»:

«მაგრამ იყვნენ კიდევ ნამდვილი ადამიანები, ძლიერი სულით, რომლებსაც არ ჰქონდათ დაკარგული ვაჟკაცობა, გულკეთილობა და კეთილშობილება. მიუხედავად სასტიკი სასჯელისა ისინი ამაზე არც კი ფიქრობდნენ, ეს ხალხი იფარებდა ჩაჩნებსა და ინგუშებს... ჩერვნელი კაზაკი გულამოსკვნით ტიროდა, რკინიგზის ყრილზე, ჩაჩნებითა და ინგუშებით სავსე აღმოსავლეთისაკენ მიმავალი ვაგონების გაცილებისას... გროზნოს მრავალმა მთიელმა ებრაელმა უარი განაცხადა ყოფილი ჩაჩნეთის სახლების დაკავებაზე... ყუმიკებმა უარი განაცხადეს შეებღალად ჩაჩნეთის სასაფლაო. ფშავ-ხევსურეთის ეკლესიებში ქართველმა მთიელებმა ჩაჩნების მიერ უდანაშაულოდ მოკლულ ინგუშებს პანაშვიდი გადაუხადეს. ქართველმა ხალხმა არ დაანება გაესახლებინათ ჩაჩნები – ქისტები, რომლებიც ცხოვრობდნენ საქართველოს სსრ-ში.... ავარების 40 ოჯახი ნებაყოფლობით ჩაჩნებთან ერთად გაემგზავრნენ გადასახლებაში...». და ასეთი მაგალითები ჭეშმარიტი მეგობრობისა და თანამონაწილეობისა მეზობელი ხალხისა ჩაჩნების მიმართ იყო მრავალი". (96, გვ.90).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირის დროს, საერთოდ, ვერავინ ბედავდა საბჭოებში შემავალი ერების შესახებ ისტორიული სიმართლის წერას. ხოლო გადასახ-ლებულთა შესახებ, ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ აკრძალული ყოფილიყო მათი ხსენებაც.

„სვეტლანა ალიევა, დოკუმენტური კრებულის «ეს ასე იყო. სსრკ 1919–1952 წლები»-ს შემდგენელი წერს: «მთელი ლიტერატურა გამოცემული ამ ხალხის გადასახლებამდე, და არა მარტო მხატვრული, იყო ამოღებული ხმარებიდან, მოსპობილი, დამალული არქივებში და საიდუმლო განყოფილებებში, სხვადასხვა საცავებში. მოგვიანებით გამოცემებში ეს ეთნოსები თავისი ისტორიით, ცხოვრებით, ყოფით, ხელოვნებით იშლებოდა ან იცვლებოდა სხვებით. იშლებოდა ხალხის მახსოვრობიდან, ენციკლოპედიებიდან, ცნობარებიდან, სახელმძღვა-ნელოებიდან, სამეცნიერო ნაშრომებიდან და სტატისტიკიდან – ერთი სიტყვით, ყველაფერი ემორჩილებოდა ფორმულას: «არ არის ხალხი – არ არის პრობლემები»... თუმცა 1985 წლიდან ბევრ რამეზე შეიძლებოდა თქმა, გაიხსნა არქივები, და სიმართლემ დაიწყო ამობობღება ნაყარი ტყულებიდან და გადასახლებულმა ხალხმა ამოიღო ხმა და მოითხოვა დაებრუნებინათ თავისი მოქალაქეობის უფლებები, მართალია სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ და რსფსრ-მ მიიღო რიგი ჰუმანური დადგენილება, ამ ხალხზე მაგრამ, კეთილი სიტყვის აკრძალვა, ალბათ ინერციით განაგრძობს მოქმედებას»". (96, გვ106).

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის „ბელადის“, „მამა და მარჩენალის“, სტალინის სიკვდილის შემდეგ, საბჭოთა კავშირში მდგომარეობა შეიცვალა, ერთის მხრივ თითქოს - და მდგომარეობა გამოიცვალა უკეთესობისაკენ, მაგრამ, სინამდვილეში ეროვნებათა შორის მდგომარეობაში არაფერი შეცვლილა, რუსეთის მესვეურთა მხრიდან ძალის გამოყენების წესი იგივე დარჩა რაც სტალინის დროს იყო.

1954 წლის ივლისში სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს დადგენილება: „სპეცგადასახლებულთა სამართლებრივი მდგომარეობის ზოგიერთი შეზღუდვის მოხსნის შესახებ“, რომლის თანახმად, შერბილებული იყო გადასახლებულების ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლა (მას აღარ იჭერდნენ), 16 წლამდე ბავშვებს, თუ ისინი დადიოდნენ სკოლებში, ან სხვა სასწავლებლებში, აღარ ხდებოდა აღრიცხვა და სხვ. მაგრამ, ისინი, მაინც ითვლებოდნენ დამნაშავებად. 1955 წლის 10 მარტიდან გადასახლებულებს ნება დართეს პასპორტების აღებისა. ამან-კი გადასახლებულებს, იმ რესპუბლიკაში სადაც იმყოფებოდნენ, საშუალება მისცა თავისუფლად გადაადგილებულიყვნენ, თუმცა სამშობლოში დაბრუნებას მაინც ხელს უშლიდნენ. გადასახლებულებმა დაიწყეს, შემოვლითი გზებით, სამშობლოში დაბრუნება. თითქმის 11 000 გადასახლებული თვითნებურად დაბრუნდა სამშობლოში.

1956 წლის 16 ივლისს გამოცხადდა სსსრ-ის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება: „სპეცგადასახლებულთა ჩაჩნების, ინგუშების, ყარაჩაელების და მათი ოჯახის წევრებისათვის შეზღუდვის მოხსნის შესახებ“ რომლის თანახმად ნაწილობრივ მოუხსნეს ადმინისტრაციული შეზღუდვები გადასახალებულებს, მაგრამ, მაინც, მათ არ ეძლეოდათ უფლება, რომ დაბრუნებულიყვნენ თავიან სამშობლოში. (134). მიუხედავად იმისა, რომ აკრძალული იყო მათზე რკინიგზის ბილეთების გაყიდვა და ხდებოდა რკინიგზის სადგურების პატრულირება (მათ იჭერდნენ და უკან აბრუნებდნენ), თითქმის 30 ათასამდე გადასახლებულმა თვითნებურად მოახერხა დაბრუნება სამშობლოში. რომ როგორმე შეეჩერებინათ გადასახლებულთა სამშობ-ლოში დაბრუნება, მთავრობამ დაიწყო აგიტაცია და კულტურულ-საგანმანათლებლო სამუშაობების ჩატარება. 1955 წლის დასაწყისში, ალმაათაში დაიწყო გამოცემა ყოველ-კვირეულმა გაზეთმა ჩაჩნურ ენაზე, ნოემბერში გაიხსნა ნაციონალური თეატრი და სხვ.

სსრკ-ს მთავრობაში იყო გამოთქმული წინადადება, რომ ყაზახეთსა და ყირგიზეთში შექმნილიყო ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური ოლქი, მაგრამ ამ აზრის წინააღმდეგნი იყვნენ ორივე რესპუბლიკის ხელმძღვა-ნელები, ვინაიდან ისედაც რთული ვითარება შეიქმნა ჩასახ-ლებულთა მიერ მათ ქალაქებსა და ოლქებში, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური (ხდებოდა ადგილობრივ მოსახლეობასა და ჩასახლებულთა შეხლაშემოხლა). ვინაიდან გადაჭარბებული მოსახლეობის გამო, რესპუბლიკები ვერ უზრუნველყოფდნენ მათ საცხოვ-რებელ პირობებს. ჩასახლებულთა უმრავლესობამ თავი მოიყარა ქალაქებში, რომ როგორ-ღაც თავი გადაერჩინათ. 1956 წლის სკკპ-ის XX ყრილობაზე ნ. ხრუშჩოვის გამოსვლის შემდეგ, როდესაც დაიწყო შუა აზიაში ყამირი მიწების ათვისება და სამრეწველო მშენებ-ლობა, იქ მყოფნი, არა საიმედოდ მიჩნეულნი გადასახლებულნი, ამ ღონისძიების გატარებას ხელს უშლიდნენ, ამიტომ, ამავე წლის დეკემბერში, შეიქმნა სახელმწიფო კომისია, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური ოლქის რსფსრ-ს შემადგენლობაში აღდგენასთან დაკავშირებით. კომისიაში მონაწილეობას ღებულობდნენ: გროზნოს ოლქის, დაღესტნის, ჩრდილოეთ-ოსეთის, საქართველოს რესპუბლიკების ხელმძღვანელები და ჩაჩნეთ-ინგუშეთის წარმომად-

გენლები. 1957 წლის 9 იანვარს გამოცხადდა რსფსრ-ის უმაღლესი საბჭოს მიერ ბრძანებულება, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური ოლქის რსფსრ-ში შექმნისა (ჩიასსრ) და გროზნოს ოლქის გაუქმების შესახებ. ოღონდ სხვა საზღვრებში, ვიდრე ადრე იყო. ჩასახლება უნდა განხორციელებულიყო (1957–1960) წლებში, ნაწილ-ნაწილ, განსაზღვრულ დროთა განმავლობაში. მაგრამ ჩაჩნეთ-ინგუშეთის მიწა-წყალზე 1944 წლიდან ჩასახლებულ მოსახლეობაზე: რუსებსა, ოსებსა, დაღესტნელებსა, ქართველებსა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებზე არაფერი იყო ნათქვამი. ამ დროს, გროზნოს ოლქში მოსახლეობის რაოდენობა იყო 540 ათასი კაცი. ხოლო, უზბეკეთში ცხოვრობდა 155 ათასი; ყაზახეთსა და ყირგიზეთში – 415 ათასი. ჯერ მარტო, 1958 წლის დასაწყისში ჩეჩნეთ-ინგუშეთში ჩამოვიდა 201 746 კაცი და შემდეგ წლებში დაბრუნებულთა რიცხვი მატულობდა. რის გამოც ამ მხარეებში შეიქმნა ჭარბი მოსახლეობა, ამან კი გამოიწვია სწრაფი საცხოვრებელი პირობების ცვლილებები: უმუშევრობა, უსახლკარობა და რაც მთავარია ერთაშორისო ურთიერთობის გამწვავება, როგორც თვით რესპუბლიკაში ასევე მის მეზობელ რესპუბლიკებში; რადგან დაბრუნებულნი თხოულობდნენ ძველ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას (ჩამოსულთა უმრავლესობა უსახლკაროდ დარჩა და ღამეს ათევდა ღია ცის ქვეშ – ქუჩაში). როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჩაჩნებისა და ინგუშების გადასახლების შემდეგ, განთავი-სუფლებულ მიწებზე და სახლებში, მთავრობის დადგენილებით, ჩაასახლეს მეზობელი რესპუბლიკების მოსახლეობა, რომლებიც ძირითადათ დასახლდნენ დაბლობებში, ჩაჩნეთ-ინგუშების მიერ დატოვებულ სახლებში. ხოლო მთიანი აულები გაუქმნდა. ჩამოსახლებულნი კი თხოულობდნენ თავიან ძველ სახლებს (რომლებიც გადაურჩა ნგრევას 1944–1957 წლებში) და აულებში მიწის ნაკვეთებს. რაც იწვევდა ჩამო-სახლებულთა და იქ მყოფ, დამხვდურთა შორის შეხლა-შემოხლას. რაც ხშირად გადაიზრდებოდა ხოლმე ნაციონალურ და ეთნიკურ უთანხმოებაში და ურთიერთ დაპირისპირებაში. ხდებოდა მკვლელობაც. ქ. გროზნო წარმოადგენდა, ადრეც და ეხლაც, ნავთობმოპოვებისა და ნავთობგადამამუშავების სამრეწველო ქალაქს, აქ, მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდა რუსები. აქ ჩამოსახლებამდე ჩაჩნებ-ინგუშები შედა-რებით მცირე რაოდენობით იყვნენ. ხოლო როდესაც უსახლკაროდ დარჩენილმა ჩაჩნებ-ინგუშებმა დაიწყეს ქალაქგარეთ მიწების მიტაცება, სახლების მშენებლობა და ქალაქის ხელმძღვანელებისაგან მოითხოვდნენ შეღავათებსა და თავიანთი მოქალაქეობრივი უფლებების აღდგენას, დაიწყო რუსებსა და ჩამოსახლებულთა დაპირისპირება. ჩამოსახლებულნი მოითხოვდნენ აგრეთვე იმ მიწების დაბრუნებასაც, რომლებიც გადასცეს მეზობელ რესპუბლიკებს. ნაციონალური ურთიერთობის დაძაბულობის მოგვარებას ართულებდნენ, ჩაჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკის (განსაკუთრებით ზოგიერთი ხელმძღვანელები) წარმომადგენლებიც, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ მთავრობის დადგენილებას და წინააღმდეგნი იყვნენ მათი ჩამოსახლებისა, რადგან მათი აზრით, ყველა გადასახლებულნი და საკონცენტრაციო ბანაკებში მოხვედრილები იყვნენ „სამშობლოს მოღა-ლატეები და მტრები“.

„1944 წელს გაუქმებული ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომია 1957 წელს კვლავ აღადგინეს. მოსახლეობა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს დაუბრუნეს. მაგრამ ჩაჩნეთის რამდენიმე მთიან რაიონში მათ ცხოვრება აეკრძალათ; ისინი დაბლობის აულებისა და კაზაკთა სტანი-ცებში დაასახლეს“. (14, გვ.39). თავიანთ სამშობლოში დაბრუნებულნი ჩაჩნები და ინგუშები,

კვლავ განიცდიდნენ რუსეთის მხრიდან ზეწოლას, ისინი ვერ გახდნენ თავის მიწა-წყლის პატრონები. მათ არ აღუდგინეს მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებები. მუდამ ახსენებდნენ, რომ იყვნენ შეწყალებულნი, როგორც „დამნაშავენნი საბჭოთა კავშირის მიმართ“.

ჩაჩნებსა და ინგუშებს არ ჰქონდათ უფლება დაეკავებინათ სსრკ-ში ხელმძღვანელი თანამდებობები, ზოგიერთ სასწავლებლებში, დაწესებულებებში, არც „სუკ“-ში (სახელმწიფოს უშიშროების კომიტეტი. რუს. „კგბ“) და არც ისეთში როგორიც იყო „საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი, რომე-ლიც ამზადებდა დიპლომატებს. მათ არ ეძლეოდათ სამუშაო ადგილები თავდაცვით წარმოებებში (გროზ-ნოშიც კი!), რომელიც იყო დაკავშირებული სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. ჩაჩნებსა და ინგუშებს გორბაჩოვის გარდაქმნამდე არ შეეძლოთ გამხდარიყო გენერალი ჯარში, მილიციაში, არც სუკ-ში. ყველაზე ნიჭიერს მათგან დიდი-დიდი რისი მიღწევაც მათ შეეძლოთ, – ეს წოდება პოლკოვნიკი იყო“. (98, ტ.I, 2,10.8).

ხოლო ადგილობრივ ჩაჩნებ-ინგუშებიდან ინიშნებოდნენ მხოლოდ შსკ-ის მიერ შემოწმებული პირები. ამოწმებდნენ მის დამოკიდებულებას პარტიასთან, საზღვარგარეთ მყოფ პირებთან, ამოწმებდნენ ნათესავებს. უპირატესობა ეძლეოდათ იმათ, ვისაც ოჯახის წევრები ჰყავდათ რუსები. ასეთივე ვითარება იყო სსრკ-ში შემავალ სხვა რესპუბლიკებშიც.

„საბოლოოდ 60-80-იან წწ. ჩამოყალიბდა გაუპიროვნებული ჩაჩნურ-ინგუშური პოლიტი-კური და ეკონომიკური ელიტა, რომელთა წარმომადგენლები დაწინაურების გულისათვის დემონსტრაციულად გამოიყოფებოდნენ თავისი ხალხიდან. ხელისუფლებაში აღმოჩნდნენ ხალხნი, რომელებიც მხოლოდ თავის კეთილ-დღეობაზე ფიქრობდნენ, არ ეწინააღმდეგებოდნენ, უფრო ხშირად კი თვითონვე ღებულობდნენ საქმიან მონაწილეობას, რესპუბლიკაში მხურვალედ გატარებულ დისკრიმინაციის პოლიტიკას, მათ შორის კულტუ-რულისაც“. (98, ტ.I, 2.10.8).

სკოლებსა და ინსტიტუტებში სწავლება მიმდინარეობდა მხოლოდ რუსულ ენაზე. საკუთარი ენა გამოყოფილი იყო ცალკე საგნად, მაგრამ მას დათმობილი ქონდა უფრო ნაკ-ლები დრო ვიდრე უცხო ენას. რესპუბლიკაში საკუთარ ენაზე გამოდიოდა მხოლოდ ერთი გაზეთი და თითო-თითო ლიტერატურული და საბავშვო ჟურნალი. ხოლო რაიონების თითეული გაზეთი, ისე უნდა გამოცემულიყო, რომ რუსულ ენას უნდა დაეკავებინა დაახლოებით 70%.

რესპუბლიკაში მოქმედებდა მხოლოდ ერთი ნაციონალური თეატრი, რომელიც შედგებოდა ცალ-ცალკე, ჩაჩნების და ინგუშების ჯგუფებისაგან, ერთი ცეკვის და ერთი ფილარმონიის ანსამბლი, რომელთა წარმოდგენებს ამტკიცებდა კულტურის სამინისტრო და პარტიული საოლქო კულტურის განყოფილება.

რესპუბლიკაში აკრძალული იყო ყველა მუსულმანური წესჩვეულებების აღნიშვნა და შესრულება. ისლამის სარწმუნეობის მოქადაგეები და გამავრცელებლები იდევნებოდნენ. არ მოქმედებდა არც ერთი მეჩეთი. ამიტომ, მოსახლეობა სარწმუნეობის წესჩვეულებებს აღნიშ-ნავდა მალულად და მქადაგებლები მოქმედებდნენ არალეგალურად. (98, ტ.I, 2.10.8).

სანამდე, მოსახლეობას შორის დაპირისპირება ხდებოდა გროზნოს გარეთ, აულებში, რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები ჩამოსახლებულებს არ აქცევდნენ არავითარ ყურადღებას. მაგრამ, 1958 წლის აგვისტოში, გროზნოში, ახალგაზრდებს (რუსებსა და

ინგუშებს) შორის მოხდა შეხლა-შემოხლა, რომლის დროსაც დაიღუპა ერთ-ერთი ჩხუბის მონაწილე რუსი. მისი დასაფლავება გადაიზარდა რუსებსა და ჩაჩან-ინგუშებს შორის დაპირისპირებაში. დასაფლავებიდან დაბრუნებულნი, გააფთრებით დაერივნენ ქალაქში მცხოვრებ – ჩაჩნებსა და ინგუშებს. ამ აყალ-მაყალში დაიღუპა რამდენიმე კაცი და მათ შორის ერთი ჩაჩანი მოხუციც. გროზნოში ეს არეულობა გრძელდებოდა 4 დღეს. ამასთან დაკავშირებით, გროზნოში, მინისტრთა საბჭოს წინ მდებარე მოედანზე მოეწყო მრავალ ათასიანი მიტინგი, სადაც გაისმოდა მოწოდებები: „დავაბრუნოთ ჩამოსულები უკან ციმბირში“, „შეიქმნას რეგიონში რუსული მმართველობა“ და სხვ.

ცნობილი ამერიკელი მიმომხილველი ჯ ო ნ დ ა ნ ლ ო პ ი წერდა:

„საბედნიეროდ... ადგილობრივმა მთიელებმა გამოიჩინეს განსაკუთრებული გამძლეობა, როგორც კი დაიწყო ანგარიშის გასწორება, ხელისუფლებისაგან მიაღწიეს იამას, რომ რეგიონში აღდგენილიყო წესრიგი. ხალხის მონაწილეებიდან არავინ არ ყოფილა პასუხის-გებაში მიცემული; მხოლოდ ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელი ა. ი. იაკოვლევი 1959 წ. რესპუბლიკიდან გადაიყვანეს“. (98, ტ.I, 2.10.8).

გროზნოში მომხდარმა არეულობამ, დაპირისპირებამ, რუსებსა და ჩაჩნებ-ინგუშებს შორის, თანდათან ფართო ხასიათი მიიღო და გაგრძელდა დიდხანს. 1973 წლის 15–18 იანვრის დარბევის შემდეგ, „სკკპ ცკ-ის მიერ იყო მიღებული დადგენილება „«ქ. გროზნოში ანტინაციონალური გამოვლინებები». რესპუბლიკაში გაემგზავრა სკკპ-ის და რსფსრ-ის მინისტრთა საბჭოს მუშათა ჯგუფი. ჯგუფის მოსკოვში დაბრუნების შემდეგ სკკპ-ის ცკ-ის პროპაგანდის განყოფილებამ და სკკპ-ის ცკ-ის ორგანიზაციულ-პარტიული სამუშაო განყოფილებამ მოამზადეს ანგარიში, სადაც, კერძოდ ნათქვამი იყო, რომ «ნაციონალურად განწყობილმა პირებმა დაუშვეს შეურაცხყოფები, მუქარები, ხულიგნური მოქმედებები, მოქალაქეთა ძალადობა სხვა ერო-ვნებების მიმართ, განსაკუთრებით რუსების მიმართ, იძულებულს ხდიდნენ უკანასკნელთ გამგზავრე-ბულიყვნენ რესპუბლიკის საზღვრებს იქეთ». მაგალითისათვის მოყვანილია სუნჟენის რაიონი, რომელიც «ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში» დატოვეს 9 ათასმა რუსმა, მათ შორის 1973 წლის I მეოთხედში 780 კაცმა“. (130).

მიუხედავად მთავრობის მიერ განხორციელებული ზემოთ მოხსენებული „იდეოლოგიური და პოლიტიკური“ ზეწოლისა, ჩაჩნეთ-ინგუშეთში, 60–80-იან წლებში გამოჩდნენ მეცნიერ-ისტორიკოსები, რომლებმაც გაილაშქრეს წყობისა და კომუნისტური შეხედულებების წინააღმდეგ. ისტორიკოსების ჯგუფმა გაილაშქრა, საბჭოთა კავშირში მიღებული იდეოლოგიის: „რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთების“ წინააღმდეგ. ყველა ეს მეცნიერი დაითხოვეს სამუშაოდან და ისინი მ. გორბაჩოვის ე. წ. „გარდაქმნამდე“ ვეღარ აქვეყნებდნენ თავიანთ მეცნიერულ ნაშრომებს. მათ წინააღმდეგ მიმართულმა სახელმწიფოს მიერ სადამსჯელო მოქმედებებმა ხალხში უკმაყოფილება გამოიწვია და უფრო მეტად განაწყო პარტიული წეს-წყობილების წინააღმდეგ. ახალგაზრდა მწერლებმა და პოეტებმა ჩამოაყალიბეს საზოგადოება „პრომეთე“, მაგრამ უშიშროების თანამშრომლებმა ის დახურეს. ხოლო ამ საზოგადოების ერთ-ერთი წევრი საეჭვო ვითარებაში დაიღუპა. თანდათან, 80-იან წლებში ჩაჩნეთ-ინგუშეთში ნაციონალური მოძრაობა უფრო მეტად გაძლიერდა და მომძლავრდა.

1989 წლის იანვარში გაიმართა სკკპ-ს საოლქო სხდომა, რომელზედაც მიიღეს დადგე-

ნილება: „მივიჩნიოთ გადასახლება «როგორც ჩვენი საერთო ტრაგედიად, რომელსაც ჰქონდა უფრო მეტად პოლიტიკური, ვიდრე ნაციონალური მიზეზები»“. მიუხედავად ნახევრად ფორმულირებისა, ეს იყო მაინც წინ გადადგმული ნაბიჯი, რომელსაც ადრე გადასახლებულთა საკითხის განხილვას ტაბუ ჰქონდა დადებული, ეს კი, ჩაჩნებ-ინგუშებისათვის ყველაზე უფრო მტკივნეული თემა იყო. (98, ტ.I, 3.1.).

1989 წლის აპრილიდან სსრკ-ში განხორციელდა პარტიული ცვლილებები, რომლის შედეგად პარტიული მიდგომა და „ზემოდან“ ბრძანებები შემცირდა. ამავე წლის ივნისში ჩაჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელი გახდა ჩეჩენი – დ ო კ უ ზ ა ვ გ ა ე ვ ი, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადრე შეუძლებელი იყო. ამის გამო მოსახლეობა აღფრთოვანებული დარჩა. თანდათან სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე გამოჩნდნენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები. ამის შემდეგ, ჩაჩნეთ-ინგუშეთში, აღმოცენდნენ ახალი საზოგადოებები და პარტიული ჯგუფები. ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი გაერ-თიანებები: „ნიისხო“, „გარდაქმნის დახმარების სახალხო ფრონტი“ და პირველი პარტიული პოლიტიკური გაერთიანება „ბარტო“ („თანხმობა“), რომელიც 1990 წელს გარდაიქმნა და დაერქვა „ვაინახის დემოკრატიული პარტია“ (ვდპ). ის დაუპირისპირდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას.

1990 წლის ზაფხულში, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა მთავრობას მოსთხოვეს, რომ ჩატარებულიყო ყრილობა და განხილულიყო ენის, კულტურის აღორძინებისა და ისტორიული შეხედულებების და სიმართლის დადგენის საკითხები. მოითხოვდნენ, რომ სრული სიმართლით უნდა თქმულიყო XIX საუკუნის რუსეთ-კავკასიის ომის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის რუსეთში შესვლისა და სტალინის მიერ ხალხთა გადასახლებების გამომწვევი გარემოებები და მიზეზები. 1990 წლის (23–25) ნოემბერში ჩაჩნეთ-ინგუშეთში ჩატარდა პირველი ნაციონალური ყრილობა. რომლის მთავარი საკითხი გახდა განხილვა: „რესპუბლიკის დამოუკიდებლობა“. ინგუშებმაც მოითხოვეს, რომ ქონოდათ საკუთარი სახელმწიფო. მაგრამ ჯერჯერობით ეს მოთხოვნა ნაადრევად მიიჩნიეს და ყურადღება არ მიაქციეს. აირჩიეს ჩაჩნეთის ნაცი-ონალური აღმასკომი (ჩნა), რომლის თავმჯდომარე გახდა, სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, ჩაჩნეთში დაბრუნებული, ავიაციის გენერალ-მაიორი ჯ ო ხ ა რ დ უ დ ა ე ვ ი (1944–1996). 27 ნოემბერს, ვდპ-ეს მიერ მოწყობილ ხალხის გამოსვლებისა და ნაციონალური აღმასკომის ზეგავლენით, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია ჩაჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ. აღნიშნავდნენ, რომ „ჩაჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკა (ჩირ) ხელს მოაწერს ფედერალურ და საკავშირო ხელშეკრულებებს ძირითადათ და მხოლოდ თანასწორ უფლებიან სხვა სუბიექტებთან, როგორც ამას დაჟინებით მოითხოვდა ინგუშეთის დეპუტატთა კორპუსის ნაწილი, გარეუბნის რაიონის კუთვნილების საკითხის დადებიდათ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

1991 წლის 11 მარტს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომ თავის მიწაზე არ ჩატა-რებულიყო რეფერენდუმი „რსფსრ“-ის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების თაობაზე. ამის შემდეგ ჩაჩნები აღარ მონაწილეობდნენ სრულიად რუსეთის ხმის მიცემაში“. (98, ტ.I, 3.1).

ამავე წლის 15 მაისს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ს გადაარქვეს სახელი და ეწოდა **ჩაჩნეთ-**

ინგუშეთის რესპუბლიკა.

1991 წლის 8-9 ივნისს ჩატარდა ჩაჩნეთის პირველი ყრილობის 2-ე სხდომა, რომელმაც გამოაცხადა, რომ ამიერიდან ის ხდებოდა „ჩაჩანი ხალხის საერთო-ნაციონალური კონგრესი“ (ჩხსკ). სხდომამ, ჩაჩნეთ-ინგუშეთის უმაღლესი საბჭო (ჩიუს) გააუქმა და გამოაცხადა **ჩაჩნეთის რესპუბლიკა ნოხჩი-ჩო**, რომლის დროებით მმართველი ხდებოდა ჩხსკ-ის აღმასკომი, ჯ. დუდაევის ხელმძღვანელეობით.

1991 წლის 19-21 აგვისტოში სსრკ-ში სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ჩაჩნეთ-ინგუშეთშიც მოხდა დაპირისპირება რესპუბლიკის ხელისუფლებასა და ნაციონალურ აღმასკომს შორის. 25 აგვისტოს გაიხსნა ჩაჩნეთ-ინგუშეთის ყრილობა. ჩამოვიდნენ მოსკოვიდან პრეზინდენტის წარმომადგენლები, რომლებმაც გააფრთხილეს ჩაჩნეთ-ინგუშეთის ხელმძღვანელები, რომ ხალხის წინააღმდეგ არ გამოეყენებინათ ძალა. ამავე დროს, ჯ. დუდაევს მოსთხოვეს, რომ დაეტოვებინა სამშობლო, გადასულიყო მოსკოვში საცხოვრებლად და სამაგიეროდ შესთავაზეს მაღალი სამხედრო წოდებები. მან რა თქმა უნდა, უარყო ყველა შემოთავაზება და მოთხოვნა.

1–2 სექტემბერს ჩხსკ-ის მე-3-ე სხდომამ ჩეჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო გაუქმებულად გამოაცხადა და რესპუბლიკის მთელი მმართველობა აიღო თავის ხელში.

4 სექტემბერს აღმასკომმა დაიკავა გროზნოს ტელეცენტრი და რადიოს შენობა. ჯ. დუდაევმა გამოაცხადა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელები არიან „სახელმწიფოს დამნაშავეები, მექრთამეები, ხაზინის ქურდები“ და „5 სექტემბრიდან დაწყებული, სანამ არ ჩატარდებოდა რესპუბლიკაში დემოკრატიული არჩევნები რესპუბლიკის მმართველობა გადადის აღმასრულებლისა და სხვა დემოკრატიულ საზოგადოებების ხელში“.

15 სექტემბერს ქ. ნაზრანში, ჩატარდა ჩაჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბოლო ყრილობა. საბჭოს გადაწყვეტილებით ჩაჩნეთ-ნგუშეთის რესპუბლიკა გაიყო ორ ნაწილად: გამოცხადდა ინგუშეთის რესპუბლიკა რსფსრ-ის შემადგენლობაში და ჩაჩნეთის რესპუბლიკა. ამავე ყრილობაზე უმაღლესმა საბჭომ თავი დაშლილად გამოაცხადა და შეიქმნა დროებითი უმაღლესი საბჭო (დუს), 32 დეპუტატის შემადგენლობით.

კონგრესმა (ჩხსკ) ჩამოაყალიბა ნაციონალური გვარდია.

ოქტომბრის დასაწყისში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ კონგრესი და საბჭო. 5 ოქტომბერს ნაციონალურმა გვარდიამ დაიკავა პროფკავშირების სახლი სადაც იმყოფებოდა საბჭო და რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტის (სუკ-ის) შენობა, გააუქმა საბჭო და გამოაცხადა, რომ თავის თავზე იღებდა ყველა მოვალეობას. ჩაჩნებსა და რუსეთს შორის მდგომარეობა უფრო დაიძაბა, რადგან რუსეთის ხელისუფლება მხარს უჭერდა და რესპუბლიკის მმართველად ცნობდა მხოლოდ უმაღლეს საბჭოს. რსფსრ-ს უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება: „ჩაჩნეთ-ინგუშეთის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“ და უმაღლეს საბჭოს მოუწოდებდა „მდგომარეობის განსამტკიცებლად მიღებულ იქნას ყველა ზომები“. (98, ტ.I, 3.1). კონგრესმა გააუქმა საბჭოთა ჯარში გაწვევა და ჯარში მყოფნი ყველა ჩაჩნებს მოუწოდეს, რომ დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოსთხოვა გვარდიას, რომ 9 ოქტომბრის შუა ღამემდე განიარაღებულიყვნენ. კონგრესის აღმასკომმა ამ მოთხოვნას უწოდა, რომ ეს არის: „საერთაშორისო მასშტაბის პრვოკაცია,

მიმართული კოლონიური ბატონობის უკვდავსაყოფად“ და გამოაცხადა „ღაზავათი“, მოუწოდა ყველა ჩაჩნებს, 15 წლიდან – 55 წლამდე შეიარაღებულიყვნენ.

ვინაიდან ჩრდილოეთ ოსეთსა და დაღესტანში რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო შეიარაღებული ძალების თავმოყრა, 18 ოქტომბერს, ჯოხარ დუდაევმა გააფრთხილა მოსახლეობა, რომ მზად ყოფილიყვნენ რუსეთის მხრიდან შესაძლებელი სამხედრო თავდასხმის გამო. მეორე დღეს, რუსეთის პრეზიდენტმა ბ. ელცინმა მოითხოვა, რომ ჯ. დუდაევმა და მისმა თანამზრახველებმა სამი დღის განმავლობაში დაექვემდებარონ რსფსრ-ის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას, თუ არა და, მაშინ:

„იქნება ყველა ზომა მიღებული, კანონებით გათვალისწინებული, რომ გამტკიცდეს მდგომარეობა და გაძლიერდეს კონსტიტუციური წესრგის დაცვა“. (98, 3.1).

მიუხედავად ამ დაძაბულობისა, 27 ოქტომბერს ჩაჩნეთში მაინც ჩატარდა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. მოსახლეობის ხმათა უმრავლესობით, პრეზიდენტად არჩეულ იქნა ჯოხარ დუდაევი.

1 ნოემბერს პრეზიდენტმა ჯ. დუდაევმა, ჩაჩნეთის რესპუბლიკა გამოაცხადა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. იმავე დღეს, მოსკოვში, რსფსრ-ს სახალხო დეპუტატების ყრილობამ, არჩევნები და დამოუკიდებლობის გამოცხადება არ ცნო, რადგან ამ აქტით ირღვეოდა რსფსრ-ს კონსტიტუცია.

8 ნოემბერს, ბ. ელცინმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, ჩაჩნეთ-ინგუშეთში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. ჩაჩნეთში ჩასული ყველა სპეციალური დანიშნულების მილიციის ნაწილები და ჩაჩნეთში მყოფი მილიციელები, რომლებიც ჯერ კიდევ მოსკოვს ემორჩილებოდნენ ნაციონალურმა გვარდიელებმა განიარაღეს, ხოლო სამხედრო ნაწილები ხალხმა ალყაში მოაქცია.

9 ნოემბერს ჩაჩნეთის პრეზიდენტმა ჯ. დუდაევმა შეკრებილი უამრავი ხალხის წინაშე ფიცი დადო. დროებითი უმაღლესი საბჭო და მის დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული დაჯგუფება დაიშალა.

ამავე წლის 21 ნოემბერს, დ. დუდაევმა აკრძალა ჩაჩნეთის რესპუბლიკიდან სამხედრო შეიარაღების გატანა. მოლაპარაკების შედეგად, რუსეთმა შეძლო შეიარაღების ნაწილის წაღება.

1992 წლის აპრილიდან რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო ჩაჩნეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ეკონომიკური და ფინანსური ბლოკადის შექმნა.

25 მაისიდან იწყება რუსეთსა და ჩაჩნეთს შორის მოლაპარაკება, ჩაჩნეთში მყოფი რუსეთის სამხედრო ნაწილების გაყვანისა და იარაღის შესახებ. საბოლოოდ, მოლაპარაკების შედეგად 7 ივლისს, რუსეთის უკანასკნელმა ჯარისკაცმა დატოვა ჩაჩნეთის რესპუბლიკა. მიუხედავად ამისა რუსეთსა და ჩაჩნეთს შორის დაძაბულობა მატულობდა. ამავე დროს მიმდინარეობდა ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის მოლაპა-რაკებები. რუსეთის ხელისუფლებას გადაწყვეტილი ქონდა, როგორმე ჯ, დუდაევი მოეშორებინა. 1993 წლის მარტის ბოლოს, მასზე თავდასხმაც მოაწყვეს, ოპოზიციის შემწეობით, რომელსაც რუსეთის სამხედროები აიარაღებდნენ. მაგრამ – უშედეგოდ. ამას თან დაერთო ეთნიკური კონფლიქტი კაზაკებსა და ჩაჩნებს შორის.

1994 წლის დეკემბერში ელცინის ბრძანებით, რუსეთის ფედერაციამ ჩაჩნეთში შეიარა-

ღებული ძალები შეიყვანა. გეგმის მიხედვით სამხედრო მოქმედება უნდა ყოფილიყო სწრაფი: 9 დეკემბერს უნდა აეღოთ გროზნო, ხოლო 13-ში მთელ ჩაჩნეთში უნდა დაემყარებინად „მშვიდობა"; და დაიწყო სისხლისმღვრელი ბრძოლები, რომელიც 1996 წლამდე გაგრძელდა. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლები მიმდინარეობდა გროზნოს მისადგომებთან.

1996 წლის მარტის ბოლოს და აპრილში, მთელ ჩაჩნეთის მიწა-წყალზე მიმდინარეობდა სასტიკი სისხლისმღვრელი ომი. სარაკეტო ბომბებითა და არტილერიის დანადგარებით ხდებოდა მოსახლეობის განადგურება. 21 აპრილს სარაკეთო დარტყმის შედეგად მოკლული იქნა ჩაჩნეთ-იჩქერიის პირველი პრეზიდენტი ჯ. დუდაევი.

ჯ. დუდაევის სიკვდილის შემდეგ, თითქმის 9 თვის განმავლობნაში, პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა, მისი თანამებრძოლი, ზ ე ლ ი მ ხ ა ნ (ზელიმხა) ი ა ნ დ ა რ ბ ი ე ვ ი (1952–2004).

„1997 წლის 27 იანვარს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში იანდარბიევი მესამე აღმოჩნდა ა. მასხადოვისა და შ. ბასაევის შემდეგ.

1999 წლის ოქტომბერში, რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყების შემდეგ ზ. იანდარბიევი დიპლომატიური მისიით გაემგზავრა ავღანეთში, სადაც თალიბთა ხელმძღვანელობასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება ჩაჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებაზე.

ზელიმხან იანდარბიევი იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქართველოდან გროზნოში გადასვენების კომისიის თავჯდომარე". (91).

2000 წლიდან, როგორც იჩქერიის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელი იმყოფებოდა კატარში (სახელმწიფო დას. აზიაში. კატარის ნახ. კუნძულზე). რუსეთის ხელისუფლებამ მასზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა და კატარისაგან მოითხოვა მისი გადაცემა. კატარის ხელისუფლებამ დუმილით უპასუხა. ვინაიდან რუსეთის ხელისუფლებამ ზ. იანდარბიევი ხელში ვერ ჩაიგდეს, ამიტომ კატარში მასზე მოაწყვეს თავდასხმა.

„მოგვიანებით განვითარებული მოვლენები ცნობილია როგორც ნორდ-ოსტის ტრაგედია.

ზ. იანდარბიევი დაიღუპა მასზე განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად 2004 წლის 13 თებერვალს, კატარის საამიროს დედაქალაქ დოჰაში ტერაქტის შედგად მძიმედ დაიჭრა მისი 13 წლის ვაჟიც. 19 თებერვალს ადგილობრივმა ხელისუფლებმა მოახერხეს ტერაქტის შემსრულებელთა დაკავება, რომლებიც რფ-ის გენშტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს აგენტები აღმოჩნდნენ. 26 თებერვალს კატარის გენერალურმა პროკურატურამ ოფიციალური ბრალდება წაუყენა ბოროტმოქმედებს. რუსეთის იმდროინდელმა საგარეო მინისტრმა, იგორ ივანოვმა, კატეგორიულად მოითხოვა მათი განთავისუფლება. მისი უწყების თანახმად კატარში დაკავებულნი სპეცსამსახურების თანამშრომლები იყვნენ საამიროში მივლინებულნი.

2004 წლის 30 ივნისს კატარის სასამართლომ ორი რუსი ჯაშუში... დამნაშავედ ცნო ჩაჩნეთის რესპუბლიკა-იჩქერიის ექს-პრეზიდენტის ზ. იანდარბიევის მკვლელობაში და მათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. საამიროების კანონმდებლობით ამგვარი ვადა სამუდამო პატიმრობის ტოლფასია.

2004 წლის 23 დეკემბერს მოხდა ტერორისტების ექსტრადირება. მათ სამშობლოში, რუსეთში, მკვლელებს საზეიმოდ, როგორც გმირებს ისე შეხვდნენ და თვითმფრინავიდან

საპატიმროს მანქანამდე წითელი ხალიჩა დაუფინეს“. (91).

1995 წლის ნოემბერში ჩაჩნეთში შეიქმნა პრორუსული მარიონეტური მთავრობა, რომლის ხელმძღვანელად დანიშნეს დოკუ ზაგაევი. იგი (1989–1991) წლებში ჩაჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკის კპ-ის კომიტეტის მდივანად მუშაობდა. 1995 წლის დეკემბერში დოკუ ზაგაევი „არჩეულ“ იქნა ჩრ-ის პრეზი-დენტად. 1996 წლის ზაფხულში, როდესაც ჩაჩნეთის მეომრებმა აიღეს გროზნო, ზაგაევმა დატოვა ჩაჩნეთი. 2004 წელს დაინიშნა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს დირექტორად. ხოლო 2009 წლის სექტემბერში, გაგზავნეს ელჩად სლოვენიის რესპუბლიკაში. მიუხედავად ჩაჩნეთში რუსების მოქმე-დებებისა, ჩეჩნეთის გამანთავისუფლებელთა რაზმებმა მოახერხეს გროზნოსა და გუდერ-მესის აღება. როგორც იქნა, ბ. ელცინმა ომი შეწყვიტა. რუსეთთან მოლაპარაკებისას, ხელი მოეწერა ხასავიურთის შეთანხმებას, რომლის თანახმად, რუსეთის სამხედროებმა 1996 წლის 31 დეკემბერს ჩაჩნეთი დატოვეს. დამთავრდა ეგრეთ წოდებული, პირველი რუსეთ-ჩაჩნეთის ომი და რუსეთსა და ჩაჩნებს შორის დამყარდა მშვიდობა. აღდგა ჩაჩნეთის დამოუკიდებლობა და ჩაჩნებმა ბოლოს და ბოლოს მიიღო თავისუფლება. მონაცემებით, ამ ომის დროს დაღუპულთა რაოდენობა დაახლოებით 80 ათასი იყო, ხოლო დაჭრილე-ბისა – 240 ათასი. ზოგიერთის ვარაუდით დაღუპულთა და დაჭრილთა რაოდენობა უფრო მეტი იყო.

ჯ. კვიციანი ამ ომის შესახებ წერს:

„1990-იანი წლების ღრმა სისტემატურმა კრიზისმა სამხრეთ რუსეთი ფედერალური ხელისუფლების დასუსტებამდე და სეპარატიზმის ზრდამდე, ეთნოსთაშორისი ურთიერთობების დაძაბვამდე, შეიარაღებულ კონფლიქტებამდე და ისლამის დროშას ამოფარებული ტერორისტული მოძრაობების გააქტიურამდე მიიყვანა.....

რასაკვირველია, მოსკოვი შეეცდებოდა თავისი კონტროლის აღდგენას ურჩ რესპუბ-ლიკებზე და ასეც მოხდა: დაიწყო „რუსეთ-ჩეჩნეთის“ პირველი ომი (1994–96 წლები), კრემლი ამ ომს „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას“, ხოლო ჩეჩნები – „თავისუ-ფლებისათვის ბრძოლას“ უწოდებდნენ. კონფლიკტმა პიკს 1995 წლის ზაფხულში მიაღწია, როცა საომარმა მოქმედებებმა ჩეჩნეთის მთიანი რაიონებიც მოიცვა. სამხედრო ექსპერტების აზრით, ფედერალურ არმიას მკაფიო სტრატეგია და ტაქტიკა არ გააჩნდა. რუსეთის ხელისუფლების არათანმიმდევრულმა მოქმედებამ, ასევე ბუდიონოვსკის, ყიზლარისა და პერვომაისკის ტერაქტებმა (1995–96 წლებში) და მათმა ფართო საერთაშორისო რეზონანსმა სიტუაცია მკვეთრად შეცვალა – შეწყდა „ომი მთაში“, რამაც ამბოხებულ ჩეჩენ მეომრებს საშუალება მისცა, ბარში გადა-ჯგუფებისა და გროზნოს აღების ოპერაცია განე-ხორციელებინათ. ყოველივე ამის შედეგად, 1996–97 წლებში, ჯერ ხასავიურტში და შემდეგ მოსკოვში, მებრძოლ მხარეებს შორის ხელი მოეწერა საზავო შეთანხმებებს, რასაც ჩეჩნეთიდან რუსეთის ჯარების გასვლა მოყვა“. (12, გვ.113).

რუსეთსა და ჩაჩნეთს შორის მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ჯ. დუდაევის სიკვდილის შემდეგ, რუსეთის მთავრობა ფიქრობდა, რომ ჩაჩნეთს ადვილად მოუვლიდა, ჩაჩნეთის ხელმძღვანელად დასვამდა მის მომხრეს, მაგრამ შეცდა.

1997 წლის 27 იანვარს, მოსახლეობის დიდი ნაწილის ხმათა უმრავლესობით აირჩიეს, ჩაჩნეთის მეორე პრეზიდენტად, ყოფილი ჯ. დუდაევის დროს, შტაბის უფროსი, ასლან

მ ა ს ხ ა დ ო ვ ი (1951–2005). იგი ჯ. დუდაევის მიერ არჩეულ გზას დაადგა და თავგამოდებით იბრძოდა სამშობლოს გასათავისუფლებლად.

1992 წელს სსრკ-ის საარტილერიო პოლკის მეთაური ასლან მასხადოვი დაბრუნდა სამშობლოში და ჯ. დუდაევმა იგი დანიშნა ჩრი-ის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის მოადგილედ.

(1993–1994) წლებში ა. მასხადოვი მონაწილეობს, რუსეთის მომხრე ოპოზიციონერების მიერ, პრეზიდენტის წინააღმდეგ მოწყობილ, შეიარაღებული გამოსვლების ჩახშობაში. რუსეთ-ჩაჩნეთის პირველ ომში (1994–1996) იგი მთელი ძალისხმევით ებრძოდა ჩაჩნეთში შემოჭრილ რუს აგრესორებს.

1995 წელს ჯ. დუდაევმა მას უბოძა ბრიგადის გენერლის წოდება. მისი პრეზიდენტობის დროს იწყება ჩაჩნეთის საველე მეთაურებს შორის უთანხმოებები.

1999 წელს ჩაჩნების შეიარაღებული რაზმები დაღესტანში შეიჭრნენ. ამის გამო, რსფსრ-ს პრეზიდენტმა ვ. პუტინმა დაღესტანსა და ჩაჩნეთში ჯარი შეიყვანა. დაიწყო „1999 წლის 30 სექტემბერს მეორე ჩაჩნური ომი“, რომელიც დღემდე გრძელდება და რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

2000 წელს რუსეთის მთავრობამ ასლან მასხადოვზე ძებნა გამოაცხადა და იგი იძულებული გახდა იატაკქვეშეთში გადასულიყო. ამის გამო, ჩაჩნეთში, რუსეთის მომხრეთა და მოღალატეების დახმარებით ძალაუფლების ნაწილი რუსეთის ხელში აღმოჩნდა.

2005 წლის 8 მარტს, სოფ. ტოლსტოიიურტში, დიდი ხნის დევნის შემდეგ, რუსეთის ფედერაციულმა ძალებმა შეძლეს, ჩაჩნეთის მეორე პრეზიდენტის, ასლან მასხადოვის მოკვლა.

უნდა აღინიშნოს, რომ ასლან მასხადოვმა ქართველებს ორჯერ მოუხადა ბოდიში, აფხაზეთში მომქმედი, ზოგიერთი მოხალისე, ჩაჩანი მოქალაქეების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამო.

ასლან მასხადოვის სიკვდილის შემდეგ, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლი გახდა, რუსეთ-ჩაჩნეთის პირველი ომის დაწყების დღიდანვე, რუსული აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი, თეოლოგი, ქ. არღუნის იმამი ა ბ დ უ ლ - ჰ ა ლ ი მ ს ა დ უ ლ ა ე ვ ი (1967–2006).

„ხანმოკლე პრეზიდენტობის მიუხედავად, მან მოახერხა მოეპოვებინა არა მხოლოდ ჩეჩენი სეპარა-ტისტების, არამედ ქვეყნის საზღვრებს გარეთ მებრძოლი ანტირუსულად განწყობილი მუსულმანების კეთილ-განწყობაც. ასევე შეძლო დაეყოლებინა ექსტრემისტი შამილ ბასაევი უარი ეთქვა ტერორიზმზე, შედეგად, მისი მმართველობის პერიოდში არცერთი სერიოზული ტერორისტული აქტი არ განხორ-ციელებულა.....

1999 წელს ასლან მასხადოვმა სადულაევი კონსტიტუციური რეფორმის კომისიის წევრად დანიშნა....

2002 წელს მასხადოვმა პრეზიდენტის პოსტზე თავის შემცვლელად დაასახელა... სადულაევს იდეოლოგიურის გარდა პირადი მიზეზიც ჰქონდა რუსეთთან საბრძოლველად. 2003 წელს რუსმა სამხედროებმა მისი მეუღლე გაიტაცეს და იმ მიზნით, რომ ქმრის ადგილსამყოფელი ეთქმევინებინათ, სასტიკი წამებით მოკლეს“. (აბდულ-ჰალიმ სადულაევი. ვიკიპედია).

2006 წლის 17 ივნისს სადულაევი მოკლეს რუსმა სამხედრო 12 კაციანმა ჯგუფმა მშობლიურ ქალაქ არღუნში, გავრცელებული ხმის თანახმად, უცნობმა ინფორმატორმა მისი ადგილსამყოფელი მცირე საფასურად გასცა.

ა. სადულაევის მოკვლის შემდეგ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გახდა, ჩრდილოეთ კავკასიის ემირი, დოკუ (დოკა) უმაროვი. იგი, რუსეთ-ჩაჩნეთის დაწყების ომის დღიდან ებრძვის აგრესორებს. სიმამაცისათვის დაჯილდოვებულია ორდენებით: „ერის პატივი“ და „ერის გმირი“. და დღემდე განაგრძობს ბრძოლას. 2004 წლის 7 ოქტომბერს, დოკუ უმაროვმა, ჩამოაყალიბა ე. წ. „კავკასიის იმამატის ისლამური სახელმწიფო“. ამის შემდეგ, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლამ, რელიგიური ხასიათი მიიღო. დოკუ უმაროვის განცხადებით: **„კრემლში ტყუილად იმედოვნებენ, რომ დუდაევის, მასხადოვის და სხვა ლიდერების მოკვლით გაგვტეხენ, სანამ არსებობს თუნდაც ერთი ჩეჩენი, თავისუფლებისთვის ბრძოლა არ შეწყდება“**.

რუსეთმა, ჩაჩნეთის დიდი ნაწილი, მოღალატეების შემწეობით, დაიპყრო და ხელმძღვანელად აჰმად (ახმატ) კადიროვი (1951–2004) დანიშნა, მაგრამ ჩაჩნეთის სრული დამორჩილება რუსეთის ხელისუფლებამ მაინც ვერ შეძლო.

„ყოველთვის რუსეთის პირველივე შეტაკების დროიდან ჩაჩნებთან დღემდე, პირველის მხრიდან მეორის მიმართ იწყებოდა ყველაზე უფრო შეუპოვარი და სასტიკი მოქმედებები, რომლითაც მას შეეძლო ემოქმედა. ამ განუწყვეტელი სამხედრო კამპანიისა და სპეცოპერა-ციების ორ და მეტი ასწლიანის დროს, როდესაც ჩაჩანი ხალხი იძულებული იყო დაეცვა თავისი არსებობა ყოველი ხელმისაწვდომი საშუალებებით, ჩამოყა-ლიბდა მისი ხასიათი.

ეკატერინე II-ის დროიდან ვერც ერთმა ჩაჩნების თაობამ ვერ შეძლო თავი დაეღწია რუსეთის ჯარის მხრიდან უმოწყალო მოქმედებებისაგან. სხვა საქმეა, რომ მათ ვერ მიაღწიეს თავის მიზანს. ეს უკვე არა მათი «მოდუნებული და გაუბედავი მოქმედებით», არამედ უმაგალითო თავისუფლებისმოყვარეობისა, ვაჟკა-ცობისა და ჩაჩანი ხალხის გმირობის გამო, ამ ვეება ძალის პირისპირ დგომისა და ყველაფრის მიუხედავად, ბოლომდე დაუმორჩილებელი დარჩა.

როგორც წერდა დიდი რუსი მწერალი და პატრიოტი ა. სოლჟენიცინი თავის რომანში «არქიპელაგი გულაგი»: «იყო ერთი ერი, რომელიც მთლიანად არ ჯდებოდა ფსიქოლოგიის მორჩილებაში, – არა ერთეული, არა მეამბოხე, არამედ მთლიანად ერი. ეს ჩეჩნებია... მას შემდეგ, რაც ისინი მუხანათურად მოგლიჯეს ადგილიდან, მათ უკვე არაფრის სჯეროდათ... არცერთი ჩეჩენი არასდროს არ ცდილობდა, რომ ხელმძღვანელისათვის გული მოეგო ან მოწონებოდა. – მაგრამ ყოველთის ამაყი მის წინაშე და ღიად მტრულადაც განწყობილნი...». აი ის თვისებაა, რომელიც მოსწონდა ჩეჩნებში სოლჟენიცინს, ისევე როგორც ბევრ თავისებურად თავისუფლების მოყვარე ხალხს“. (96, გვ.93).

პირველი ომის დროს, დაიწყო პარტიზანული ომი, ხოლო შემდეგ, განსაკუთრებით მეორე ომის მსვლელობისას, ის გადაიზარდა ტერაქტებში, რომელსაც ჩაჩნები რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში აწყობენ. ტერაქტებს შორის ყველაზე უფრო საყოველთაოდ ცნობილი გახდა, 2002 წლის ოქტომბერში, მოსკოვის თეატრში ტყვეების აყვანა, 2004 წლის ბესლანის ტერაქტი, მოსკოვის მეტროში მომხდარი აფეთქება და სხვა. რომლის ხელმძღვანელად ითვლებოდა შამილ ბასაევი, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა აფხაზეთში ქართვე-

ლების წინააღმდეგ ომში. იგი გარდაიცვალა 2006 წლის ივლისში.

ომის დასაწყისში, ჩაჩნების მებრძოლები იცავდნენ სოფლებს, აულებს. ცდილობდნენ შეძლებისდაგვარად, განურჩევლად ეროვნებისა, საბრძოლო ადგილებიდან, გამოეყვანათ მოსახლეობა, პირველ რიგში ბავშვები, მოხუცები და ქალები. ამიტომაც იყო, რომ 1995 წლებში მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერდა მებრძოლებს. ხოლო შემდეგ, როდესაც ომი გამძაფრდა და რუსეთის საჯარისო ნაწილები აღარ ინდობდნენ არავის და უმოწყალოდ აულებსა და მოსახლეობას ანადგურებდნენ, რომ მორჩილნი გაეხადათ, ჩაჩნების მებრძოლებმა დაიწყეს მძევლების აყვანა, რომ გამოეხსნად ტყვეები და ბანაკებში მოხვედრილი მოსახ-ლეობა. ხოლო შემდეგ, რუსეთში და მეზობელ რესპუბლიკებშიც დაიწყეს ტერაქტების მოწყობა. ცნობილია, რომ ჯ. დუდაევი წინააღმდეგი იყო რუსეთში ტერაქტების მოწყობისა.

ჯ. კვიციანის თქმით: „სამწუხაროდ, დღეს ტერორისტული ომი მეტაკლებად მთელ ჩრდილოეთ კავკასიაშია გავრცელებული. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა დაღესტანსა და ინგუშეთში. სხვადასხვა მონაცემებით, ტერორისტული აქტების რაოდენობა ორგანიზებულ დანაშაულს 40-50%-ით აღემატება... რუსეთის ადამიანთა უფლებების დამცველი ორგანიზაციის „მემორიალის“ შეფასებით კავკასიაში ტერორიზმთან ბრძოლამ ტერორიზმი გაძლიერებამდე მიიყვანა“ ეს შეფასება გაკეთდა 2009 წლის 20 ოქტომბერს, პარიზში, ამ ორგანიზაციის წარმომადგენლების შეხვედრაზე თავიანთ კოლეგებთან ევროკავ-შირისა და ადამიანის უფლებათა დამცავი წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.....

ისმის კითხვა: რატომ არის მიმართული ტერორისტული აქტები ჩრდილოეთ კავკასიაში ძირითადად ძალოვანი სტრუქტურების წინააღმდეგ? რაზე კეთდება გათვლა – უკმაყო-ფილებაზე ხელისუფლების, განსაკუთრებით კი სამართალდამცავი ორგანოების ქმედებებით თუ რაიმე სხვაზე? რასაკვირველია, ამ აზვავებული ტერორიზმის მიზეზების ძიებისას არ შეიძლება არ მივიღოთ მხედველობაში კლანებს შორის მიმდინარე კორუფციული კონ-ფლიქტების მნიშვნელოვანი წილიც, რომელიც საკუთრების გადანაწილებასთან, მის კონტ-როლთან და გავლენის სფეროების ზონებთანაა დაკავშირებული. ჯერჯერობით ის პოლი-ტიკური ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ტერორისტულ აქტივობას, შენარჩუნებულია. სამწუხაროდ, ტერორისტული საფრთხის შემცირების იმედი არ ჩანს“. (12, გვ.115).

აჰმად კადიროვი, ჩაჩნეთის სასულიერო და პოლიტიკური მოღვაწე იყო. 1995 წელს არჩეულ იქნა იჩქერიის ყადად. პირველი რუსეთ-ჩაჩნეთის ომის დროს იბრძოდა რუსების წინააღმდეგ. მან რუსებს „საღვთო ომი“ (ჯიხადი) გამოუცხადა. კორესპონდენტის შეკით-ხვაზე, თუ ნამდვილად მას ეკუთვნის ცნობილი სიტყვები: „ყველა ჩეჩნებმა უნდა მოკლას 150 რუსი. აი მაშინ ჩეჩნეთში ომი დამთავრდება“, თუ არა, მან შეუსწორა: „მე არ ვამბობდი 150 რუსზე, მე ვთქვი, რამდენიც გინდა, იმდენი (რუსი) მოკალით“. (გაზეთი „რუსკი ვესტნიკ“, „ვირტუალნიე „რეალისტი“, 26.05.2003). მაგრამ, შემდეგ, მასსა და სასულიერო პირებს შორის უთანხმოება მოხდა და ასლან მასხადოვი ყადის თანამდებობიდან გაანთავი-სუფლეს. მისი აზრით ჩაჩნები, რომ გადარჩენილიყვნენ, უნდა შეეწყვიტათ რუსეთთან ომი. მეორე რუსეთ-ჩაჩნეთის ომის დაწყებისთანავე ა. კადიროვი რუსეთის მხარეზე გადავიდა. მან, რუსეთის ფედერაციულ ძალებს გადა-სცა გუდერმესის ქალაქები და სოფლები. რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებით, დაინიშნა ჩაჩნეთის ადმინი-სტრაციის ხელმძღვანელად. 2000 წლის 16 მარტს მოითხოვა ჩაჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პირ-დაპირი არჩევნები. 12 ივნისს

აირჩიეს პრეზიდენტად და დაიწყო თავისივე თანამემამულეების შევიწროვება და დარბევა. ჩაჩნები მას მოღალატეთ თვლიდნენ. 2004 წლის 9 მაისს, გროზნოს მთავარ სტადიონზე, განხორციელებული ტერაქტის შედეგად, ჩაჩნებმა ახმად კადიროვი მოკლეს.

ჩაჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა, 2004 წლის 30 აგვისტოს, რუსეთის მთავრობის შემწეობით, ა ლ უ ა ლ ხ ა ნ ო ვ ი. იგი პირველი რუსეთ-ჩაჩნეთის ომის დროს მიემხრო რუსეთს. მისი პრეზიდენ-ტობის დროს, ჩაჩნეთში დამყარდა ორ ხელისუფლიანობა: პრეზიდენტს არ ემორჩილებოდა რესპუბლიკის მთავრობის მეთაური აჰმადის ძე რ ა მ ზ ა ნ კ ა დ ი რ ო ვ ი. მათ შორის მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ ალუ ალხანოვი 2007 წელს გადადგა და მის მაგივრად, ჩაჩნეთის პრეზიდენტად, რუსეთის მთავრობამ დანიშნა რამზან კადიროვი.

რ ა მ ზ ა ნ კ ა დ ი რ ო ვ ი ადრე რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა, მაგრამ შემდეგ, იგი მიემხრო რუსეთის ხელისუფლებას და მისი ყურმოჭრილი მონა გახდა. რ. კადიროვს, მამის მოკვლის შურისძიებაც ამოძრავებს და ამიტომ დაიწყო დ. უმაროვისა და მისი თანამზრახველების წინააღმდეგ ბრძოლა. ყოფილი თანამებრძო-ლების მიმართ დაუნდობლად მოქმედებს. მან განაცხადა, რომ: „მე მივაღწიე იმას, რომ ჩემი ეშინიათ“. რ. კადიროვი შეუდგა, ომების შედეგად მიწასთან გასწორებული, ჩაჩნეთის დედაქალაქის გროზნოს განახლებას. მან მოითხოვა პრეზიდენტის წოდების გაუქმება. მისი თქმით: „ერთიან სახელმწიფოში, მხოლოდ ერთი პრეზიდენტი უნდა იყოს. ფედერაციის სუბიქტების პირველ პირებს კი შეიძლება „რესპუბლიკის ხელმძღვა-ნელი“, „ადმინისტრაციის ხელმძღვანელი“, „გუბერნიის“ ან სხვა რაიმე ერქვას.“.

რ. კადიროვს ბრალს დებენ ადამიანის უფლებების დარღვევაში, მისთვის არასასურველი პირების გატა-ცებასა, წამებასა და მკვლელობაშიც. იგი თავგამოდებულ ვ. პუტინის დამცველად მოევლინა ჩაჩნეთს. 2012 წლის 23 იანვარს რამზან კადიროვმა განაცხადა: „რომ სახელმწიფო დუმაში არჩევნების ფალსიფიკაციის საწინააღმდეგოდ პროტესტის მიტინგების ორგანიზატორები «რუსეთის მტრები – არიან» და «თუ ჩემი ნება იქნებოდა, მე ჩავაჯენდი იმ ხალხს, რომლებიც აწყობენ ამ მიტინგებს»“. (161).

2010 წელს რსფსრ-ს პრეზიდენტის მედვედევის ბრძანებით, ჩრდილოეთ კავკასიაში, შეიქმნა ფედერა-ლური ოლქი, რომელშიც გაერთიანებულია ჩაჩნეთის, ინგუშეთის, დაღესტანის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკები და სტავროპოლის მხარე, რომლის ხელმძღვა-ნელად ინიშნება კრემლის წარმომადგენელი.

ჩაჩნები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მებრძოლი, თავისუფლების მოყვარე ხალხია. ჩაჩნეთში ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის გრძელდება და არ დამთავრდება მანამ, სანამ ჩაჩნები არ მიიღებენ სრულ თავისუ-ფლებას, ან მთლიანად არ ამოწყდებიან. როგორც ეს მოხდა XIX საუკუნეში რუსეთ-კავკასიის ომის დროს. რომლის დროსაც ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ტომები შეეწირა ამ ომებს.

„უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთ-ჩაჩნეთის ურთიერთკავშირის ტრაგიკული ისტორია იძლევა გასაღებს, რომ გავიგოთ, არა თუ ეხლანდელი შეიარაღებული დაპირისპირებისა, არამედ ფსიქოლოგია, იდეოლოგია რუსეთ-ჩაჩნეთის ომისა და XVIII–XX სს. აჯანყებაში მონაწილეთა მოქცევის მოტივაცია, ტრადიციულ ჩაჩნეთის საზოგადოებაში, არა მხოლოდ აკადემიური საგანი და ლიტერატურული ანალიზია, რადგანაც ეს ყველაფერი თვითეული

ოჯახის ცოცხალი გადმოცემაა. განსაკუთრებით ეს ეხება 1944 წ. გადასახლებას, რომელთა უამრავი მსხვერპლი დღემდე ცოცხალია. ეს შეუხორცებელი, ანაუზღაურებელი ჭრულობაა. ჩაჩნეთის საზოგადოებაში დამოუკიდებლობის გამოცხადება მიუკერძოებელად აღითქმებოდა, ერთის მხრივ, როგორც კანონზომიერი და სამართლიანი შედეგი მრავალსაუკოვან ბრძოლისა, მეორე მხრივ, როგორც უზრუნველყოფა ისეთი ტრაგედიისა, როგორც სტალინის მიერ განხორციელებული გადასახლება იყო. სავსებით ბუნებრივია, რომ რუსეთის მცდელობა ძალის გზით ხელი შეეშალათ გამოყოფისათვის, ჩაჩნების მიერ იყო აღთქმული, როგორც გაგრძელება იმპერიისა და საბჭოთა პოლიტიკისა. მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო ფაქტი შეიცავს იმას, რომ უმრავლესობა რუსეთის მხრიდან წარმომადგენლები სინამდვილეში აღითქვამდნენ თავის თავს სტალინის პოლიტიკის შთამომავლებად, კერძოდ ჩაჩნეთის მიმართ და ნაციონა-ლურ-გამანთავისუფლებელ მოძრაობაში საერთოდ. ყველაზე უფრო გულახდილად ეს დოქტრინა გამოხატა რუსეთის ფედერაციის საერთო საჯარისო აკადემიის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელმა გენერალ-პოლკოვნიკმა ლ. ს. ზოდოტოვმა.

«კონტრტერორისტული ოპერაცია გამოჩნდა ცარიელ ადგილას კი არა – არამედ მას აქვს თავისი წინა ისტორია. ასე, ჩაჩნეთში 20-იან წლებში იყო ჩატარებული არა ერთი ოპერაცია ბანდფორმირებების განადგურებისათვის ჩრდილო-კავაკასიის სამხედრო ოლქისა და „ნკვდ"-ეს ჯარის ნაწილების მონაწილე-ობით. მართალია, მაშინ ასეთ ოპერაციებს უწოდებდნენ სხვანაირად – «ჩაჩნეთის-ჯარებს», მაგრამ არსი იყო იგივე. ამდაგვარი ოპერაციები ხორციელდებოდა დიდ სამამულო ომის დროსაც, და მას შემდეგაც (უკრაინაში ბანდფორმირებებისა და ბალტიისპირეთში «ტყის ძმების» განადგურება)».

მეთოდებს, რომლებსაც შეიარაღებულ კონფლიქტების მხარეები (მხარეთა წარმომად-გენლები) 1994 და 1999 წწ., თავისი მიზნების მისაღწევად იყენებდნენ, შეიცავენ სერი-ოზულ და ფართომასშტაბიან დარღვებს საერთაშორისო ჰუმანიტარული ნებართვის წესების და საერთაშორისო უფლებების ადამიანის დარგში. რუსეთის მხრიდან ამ წესების მრავალი დარ- ღვევები დაიწყო კონფლიქტის პირველივე დღიდანვე სამხედრო დაპირისპირებიდან (1994 წ. დეკემბერი), ჩაჩნეთის მხარიდან – არა უგვიანეს 1995 წლის 14 ივნისიდან. «მეორე» კონ- ფლიქტი აღინიშნება უფრო მეტად სასტიკი, მრავალი და სისტემური დარღვევები ორივეს მხრიდან". (98, ტ.I, თავი 7).

როგორც ვხედავთ, დღევანდელ დღემდე მოღწეული ჩაჩნების ისტორია, ისევე როგორც საქართველოს ისტორია წარმოადგენს საუკუნეების განმავლობაში ბრძოლას თავისუფლებისათვის. ვერცერთმა დამპყრო-ბელმა (ყივჩაღებმა, მონღოლებმა, სპარსელებმა, თურქებმა და სხვ.) ვერ შეძლო ჩაჩნების დაპყრობა და დამონება და ბოლოს, დღევანდელ დღესაც კი, მის დამორჩილებას ცდილობს, „ევროპის ჟანდარმი" რუსეთის იმპერია.

ისტორიკოსები ნ. ნუხაჟიევი და ხ. უმხაევი აღნიშნავენ, რომ:

„სრული ისტორია რუსეთ-ჩაჩნეთის ურთიერთობისა წარმოადგენს დაუსრულებელ ჯაჭვს რუსეთის ჯარის სამხედრო ოპერაციებისა და სადამსჯელო ექსპედიციებს ჩაჩნეთში, რომლის მსვლელობის დროს იღუპებოდა ათასობით ჩაჩნები, ასევე რუსი მეომრები. ჩაჩნების არც ერთ თაობას იმ დროიდან დღევანდელ დღემდე არ შეუძლია დაიტრაბახოს იმით, რომ მან არ განიცადა გამანადგურებელი რეპრესიების ეგზეკუციები რუსეთის სახელმწიფოსაგან". (96, გვ.31).

* * * * * *

ჩაჩნების შესახებ წერდნენ:

გენერალი მელენტი ოლშევსკი (1816–1895): «ჩაჩნებს, როგორც ჩვენს მტრებს, ჩვენ ვცდილობდით ყოველი ხერხებით დაგვემცირებინა და მათი ღირსებაც კი გადაგვექცია ნაკლოვანებაში. ჩვენ მათ ვთვლიდით უკიდურეს ცვალებად ხალხად, გულუბრყვილებად, ვერაგ და მუხანათად იმიტომ, რომ მათ არ უნდოდათ შეესრულებინად ჩვენი მოთხოვნები, რომლებიც შეუსაბამო იყო მათი გაგებით, ზნე-ჩვეულებასთან, ადათებთან და ცხოვრების წესებთან. ჩვენ მათ სახელს უტეხდით მარტო იმისათვის, რომ მათ არ უნდოდათ ჩვენს დუდუკზე ცეკვა, რომლის ხმა მათთვის იყო ძალიან უხეში და გამაყრუებელი». (96, გვ.27).

პეტრე I: «ამ ხალხს, რომ ქონოდათ წარმოდგენა სამხედრო ხელოვნებაზე, მაშინ ვერც ერთი ერი ვერ გაბედავდა მათ წინააღმდეგ იარაღის აღებას». (96, გვ.267).

მწერალი ალექსანდრე ფადეევი (1901–1956): „60 წელი კავკასიის ომის 60 წელი“: «ჩაჩნები უსათუოთ ყოჩაღი ხალხია აღმოსავლეთ მთებში. მათზე მსვლელობები ყოველთვის გვიჯდებოდა ჩვენ სისხლიან მსხვერპლად. მაგრამ ეს ტომი არასდროს არ იყო მთლიანად განსჭვალული მიურიდიზმით. ყველა აღმოსავლეთ მთიელთაგან, ჩაჩნებმა ყველაზე უფრო მეტად შეინარჩუნეს პირადი და საზოგადოებრივი დამოუკიდებლობა, აიძულეს შამილი, დაღესტნის დესპოტი მბრძანებელი, წასულიყო მათთვის ათას დათმობებზე მმართველობაში, ხალხთა ვალდებულებებში, რწმენის სიმკაცრეში.

ჰაზავათი მათთვის იყო მხოლოდ საბაბი დაეცვათ თავისი ტომის დამოუკიდებლობა».

გენერალ პულოს პატაკი: «ამ მხარის ძირითად მოსახლეობას შეადგენენ ჩაჩნეთის ტომები, ყველაზე ძლიერნი, მეამბოხე, მეომარი ყველა კავკასიელ ხალხებს შორის».

უკრაინის და რუსეთის საზოგადო მოღვაწე, გენერალი ალექსანდრე გრეკოვი (1875–1958): „ჩაჩნეთში 1825 წლის ზაფხულის სადამსჯელო ექსპედიიციის შესახებ“: «ყველა ეს, საკმარისია დაიპყრო ყოველი სხვა ხალხი, ოდნავ შეარყია რამდენიმე ჩაჩანი. შეუპოვრობა მათი უზომოა». (96, გვ.268).

* * * * * *

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ადრე, XVIII საუკუნემდე, ქართულ წყაროებში ჩაჩნებს, „დურძუკებს“ მოიხსენიებდნენ „ქისტებს“ და „ნოხჩოს“ სახელწოდებით, ხოლო XVIII საუკუნის დასაწყისიდან კი შეიცვალა „ჩაჩანი“-ს სახელწოდებით.

წყაროებიდან ირკვევა, რომ ჩაჩნებსა და ქართველებს ურთიერთობა ადრეც ქონებიათ. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად: „ჩაჩნების ერთი შტოს ჩანთელთა (ანუ ითუმელთა) საფუძვლის ჩამყრელი იყო საქართველოდან გადმოსახლებული ითუმ ლიუნგიევი. მისი ერთ-ერთი შთამომავალი ყოფილა ჯალი. ჯალის ჰყოლია შვილები: ბარზგარი, ბაგომატიგარი, ეჟიგარი, ხამატი-გარი და მურთაზ-გარი. (გადმოცემის ჩამწერის განმარტებით, „გარი“ გვარის დანაყოფს აღნიშნავდა. შესაძლებნელია ჩაჩნური „გარი“ სწორედ ქართული „გვარისაგან“ მომდინარეობდეს).“ (57).

ქართულ ისტორიულ წყაროებში ჩაჩნები (ქისტები, დურძუკები) მოხსენებულნი არიან „ქართლის ცხოვრებაში,“ ლეონტი მროველის, ვახუშტი ბაგრატიონისა და სხვა ავტორთა ნაშრომებსა და საბუთებში.

1900 წელს თავად გიორგი ამილახვარის დაქირავებულ რაზმში ქისტებსა და ლეკებთან ერთად მონაწილეობდნენ ჩაჩნებიც.

ცნობილია, რომ ადრე (VIII–XI) საუკუნეებში ჩაჩნეთში ქრისტიანობა იყო გავრცელებული, რომელიც საქართველოს შემწეობით ფეხს იკიდებდა. საქართველოს სიძლიერის დაკარგვის შემდეგ, და ამავე დროს სოციალურ-ეკონომიკური და მთიანი მხარის პირობების გამო, და შემდგომ საუკუნეებში მაჰმადიანური სარწმუნეობის გავრცელების შედეგად, ჩაჩნეთში ქრისტიანობა ვერ გავრცელდა. დღესაც შემორჩენილია ჩაჩნეთის მთებში ეკლესიის ნანგრევები და ქვის ჯვრები. „საქართველოდან ქრისტიანობის შეღწევის დამა–დასტურებელია ზოგიერთი ჩაჩნური ლინგვისტური ერთეული. მაგალითად: ჩაჩნურად კვირას ეწოდება „კვირა", პარასკევს – „პერისკა", შაბათს – „შუოთდე", „მარხვა" – „მარხ" და ა. შ." (57).

XVI საუკუნიდან ჩაჩნეთში იწყება ისლამის შეღწევა, რომელმაც თანდათან გამოდევნა ქრისტიანული სარწმუნეობა და დღევანდელ დღეს ჩაჩნები მაჰმადიანი სუნიტების მიმდევრებია.

2. ინგუშები.

ინგუშები ჩაჩნების მონათესავე ერს წარმოადგენენ. ინგუშეთის რესპუბლიკა ეკუთვნის რუსეთის ფედე-რაციას, შედის სამხრეთ ფედერალური ოლქის შემადგენლობაში. 2000 წლიდან ინგუშეთის დედაქალაქი გახდა **მაგასი** („მზის ქალაქი"), მისი საგანგებოდ აღმშენებლობა დაიწყო 1995 წლიდან, ძველი მცირე ქალაქის ადგილას. მანამდე იყო **ნაზრანი**. ინგუშეთის რესპუბლიკა ესაზღვრება დასავლეთით – ჩრდილოეთ ოსეთს, აღმოსავლეთით – ჩაჩნეთისა და სამხრეთით – საქართველოს რესპუბლიკებს.

ინგუშური თვითსახელწოდებაა „ღალღა", „მათი ერთ-ერთი ლოკალური ტერიტორიული ჯგუფის სახე-ლიდან – ღალღებიდან მომდინარეობს, რომელსაც სხვანაირად ხამხელებსაც უწოდებდნენ. ლეგენდის თანა-ხმად, ინგუშების (ღალღების) წინაპარს ერქვა ღა, რომელსაც ორი შვილი – ღალღაი და ღაბერტე ჰყავდა. გარდა ღალღებისა (ხამხელებისა) ინგუშების ლოკალური (ტერიტორიული) ჯგუფები იყო აგრეთვე: ჯერა-ხელები (ჯარია-ხელები), მეცხალელები (იწოდებოდნენ ქისტებადაც), ცორელები, გალაშელები, ნაზრანე-ლები. ქართული საისტორიო წყაროებით, იმგუშები ღლიღვებად იწოდებოდნენ. მათ, მეზობელი ქართველი მთიელები ქისტებადაც მოიხსენიებდნენ, თუმცა ეს ეთნონიმი ჩაჩნებსაც აღნიშნავდა". (14, გვ.53).

სახელწოდება ინგუშეთი წარმოსდგა დასახლებული ადგილის (ინგუში – სოფელი ანგუში, იგუში. ახლანდელი ტარსის ხეობაში სოფ. ტარსი, ჩრდილოეთ ოსეთის პრიგოროდნის რაიონში) სახელისაგან და ქართული სუფიქსისაგან – ეთი, ორივეს ერთობლიობა აღნიშნავს „ადგილს, სადაც ცხოვრობენ ინგუშები". ამ ეთნონიმმა „ინგუში" გავრცელება ჰპოვა XVIII საუკუნის დასაწყისიდან. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ XVII საუკუნეში ტარის ველზე უკვე იყო დასახლება ანგუშტი, რომლის სახელწოდებიდან წარმოსდგა „ინგუში". რუსები პირველად ანგუშატში მოხვდნენ და მთელ ამ მხარეს დაარქვეს „ინგუშეთი".

მეცნიერების ნაწილი ფიქრობს, რომ თვით სახელწოდება „ღალღა" – „გალგა" აღნიშნავს

„აღმშენებელს“, ან „კოშკში მცხოვრებელს“; ხოლო ზოგიერთის ვარაუდით, „ღელა“ – „გელა“ ან „ღალა“ წარმართულია და აღნიშნავს ვაინახების (იხ. ქვემოთ) ღმერთს.

2002 წლის მონაცემებით ინგუშეთის რესპუბლიკის მოსახლეობა შეადგენდა 467 294 კაცს.

ეროვნებების მიხედვით შემდეგი იყო: ინგუშები – 361 057 (77,27%); ჩაჩნები – 95 403 (20,42%); რუსები – 5 559 (1,19%); სხვები – 1 607 (0,34%). (161).

ბოლო წლებში მომხდარი ჩაჩნეთ-რუსეთის ომის გამო, ინგუშეთის რესპუბლიკაში დიდძალი ლტოლვილი გადმოიხვეწა ჩაჩნეთიდან და ჩრდილოეთ ოსეთიდან, ხოლო ინგუშეთი დატოვა რუსულმა მოსახლეობამ.

ინგუშები ლაპარაკობენ ინგუშურ ენაზე. ინგუშების ენა წარმოადგენს ინგუშურ (გალგაურ) ენას და განეკუთვნება კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ ჯგუფს. ინგუშური და ჩაჩნური ენები მონათესავე ენები არიან.

ინგუშეთში პირველად, არაბული დამწერლობა შეიქმნა მუსულმანური სარწმუნეობის დამკვიდრების შემდეგ. 1922 წელს ინგუშმა ენათმეცნიერმა და მკვლევარმა ზაურბეკ მალსაგოვმა (1894–1935) ლათინური შრიფტის საფუძველზე შეადგინა ინგუშური ანბანი. 1934 წელს მოხდა ჩაჩნური და ინგუშური ანბანის შერწყმა, ხოლო, შემდეგ, 1938 წელს ინგუშური ანბანი, როგორც ყველა ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხის ანბანი, გადაიყვანეს რუსულ (კირილიცას) დამწერლობის გრაფიკზე.

დღევანდელ დღეს ინგუშეთში ძირითადათ გავრცელებულია ისლამური სუნიტური მიმდინარეობა და მცირე რაოდენობით ქრისტიანული სარწმუნეობაც დარჩა. ახლანდელი მონაცემების მიხედვით, რესპუბლიკაში მოქმედებს 15 მუსულმანური საზოგადოება, 45 მეჩეთი, 26 მედრესი, ერთი ისლამური ინსტიტუტი და 3 რუსული მართლმადიდებლური ეკლესია. (134).

ისტორიული წერილობითი წყაროების შესწავლის, მეცნიერთა სხვადასხვა მოსაზრებების (განსაკუთ-რებით ანთროპოლოგების) განხილვის შემდეგ, ინგუშების წარმომავლობის შესახებ, მეცნიერები საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ინგუშები და ჩაჩნები განეკუთვნებიან ერთიან კავკასიურ ანთროპოლოგიურ ოჯახს, რომ-ლითაც ხასიათთდება დღევანდელი ცენტრალური კავკასიელი მცხოვრებლები და ორივე ეს ერები (ინგუშები და ჩაჩნები) წარმოადგენენ უძველეს კავკასიელ ტომთა შთამომავლებს, რომლებმაც განიცადეს მეზობელი ტომების (ყველაზე მეტად ქართველების) გავლენა.

მათ აერთიანებთ გარდა საერთო ლინგვისტური ჯგუფებისა, მატერიალური და ანთროპოლოგიური დაკვირვებები, რაც მთელ ცენტრალურ კავკასიის ხალხებს საერთო ჰქონდათ და რომლებიც ბევრი რამით უკავშირდებიან მცირე აზიასთან, მით უმეტეს ინგუშებს.

ანთროპოლოგი ვიქტორ ბუნაკი (1891–1979) წერდა:

„შორეულ ხანაში... ჩრდილოეთ კავკასია დასახლებული იყო ხალხთა ორი ნაკადიდან: ერთნი – მოძრაობდნენ განაპირა კავკაკსიის დასავლეთიდან, მეორენი – აღმოსავლეთიდან. ორივე ეს ნაკადი მცირე აზიის ხალხთა მონათესავე არის. კავკასიის ცენტრში ისინი შეხვდნენ და ჩამოაყალიბეს საკუთარი თავისე-ბური ფორმა, სხვადასხვა სახესხვაობით რომელიც გვხვდება მთავარი კავკასიის ქედის სამხრეთში, გარ-კვეულ ზომამდე მიღწეულნი და მის ჩრდილოეთ კალთებზე. ინგუშებმა ეს საკუთარი კავკასიის ფორმა უფრო მეტად შეინარჩუნეს

ვიდრე სხვებმა ჩრდილოკავკასიის ხალხიდან“. (101, გვ.39).

ხოლო, მეორე ანტროპოლოგი გეორგ დებეცი (1905–1969) აღნიშნავდა, რომ:

„კავკასიის ანთროლოგიური ფორმა «ზუსტად კავკასიურია ყველა სხვა კავკასიურიდან»“. (101, გვ.40).

მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ წარსულში, ინგუშებისა და ჩაჩნების წინაპრებს, ისტორიულად ბევრი საერთო ჰქონდათ და სწორედ ისინი წარმოადგენდნენ წამყვან ძალას ვეინახი ხალხის ჩამოყალიბების დროს.

ინგუშების საბოლოო ჩამოყალიბება ხდებოდა დიდი ხნის განმავლობაში, სამხრეთ კავკასიიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლისას და მეზობელ ტომებთან ნაწილობრივ შერევისა და შერწყმის შედეგად. არქეოლოგი ევგენი კრუპნოვი (1904–1970) წერდა:

„სწორი იქნება ინგუშების საზოგადოება მივიჩნიოთ როგორც ჩამოყალიბებულ უძველეს ადგილობრივ ეთნიკურ ბირთვიდან ნაწილობრივ ჩართულ სხვადასხვა ტომთა საგვარეულო ჯგუფებისაგან, რომლებმაც ჯერ კიდევ შეინარჩუნეს მახსოვრობა თავისი განსხვავებული წარმომავლობისა. ასეთი თვალსაზრისით ინგუშეთის ეთნოგენეტიკური პროცესის შეფასებისას, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ მასში სიჭარბეა სამხრეთის ელემენტები.

ყველა განხილული წყაროები აჩვენებს, რომ მასში ქართველური ელემენტების გარკვეული ხვედრითი წილია, რომელიც ერთ დროს მონაწილეობდა ვაინახის ეთნოსის წარმოქმნაში და განსაკუთრებით ინგუშეთის კულტურის ჩამოყალიბებაში.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ მონაცემების უმრავლესობას ერთ დროს თავის ქვეშ ჰქონდათ რეალური საფუძველი და დღევანდელ დღემდე შენარჩუნდა მხოლოდ როგორც ძველი კულტურის ერთობის გამოძახილი და ენობრივი ნათესაობა ინგუშების უძველესი წინაპრებისა ქართველ წინაპარ ტომებთან.

უკანასკნელნი შეადგენდნენ, ალბათ, წამყვან ნაწილს ერთ დროს დიდ საერთოკავკასიურ ეთნოკულ-ტურულ ერთიანობისა ან «იაფეტურ» კავკასიის ხალხის კომპლექს; აქედან ალბათ ვარაუდიც, რომ ძველ დროს აღნიშნული «ქართველური» ინგუშეთის კულტურაში შეიძლება ყოფილიყო უფრო მეტი“. (99, გვ. 57).

დღევანდელ დღეს, ყველაზე უფრო მეტად ჩანს, ინგუშებსა და ქართველებს შორის საერთო ურთი-ერთობა, როგორც ლექსიკოლოგიის მხრივ, ასევე მატერიალურ-კულტურულ დამოკიდებულებაში. მეორე ადგილას ე. კრუპნოვი აღნიშნავს, რომ:

„ერთობ მაჩვენებელია ფაქტი ინგუშების ლექსიკაში ქართული ენის ელემენტების არსებობა“. (99, გვ.57).

ინგუშების სალაპარაკო ენაში შემორჩენილია ქართული სიტყვები, („გაჯი“, „გოდოლი“, „ზედა სართული“, „ჯოხი“, „ხერხი“, „ცეცხლი“, „მუხა“, „პარასკევი“, „შაბათი“, „კვირა“, „ქორწილი“ და სხვ.), რომლებიც შეუთვისებიათ უძველეს დროს ქართველი ტომებისაგან. აგრეთვე, ის სიტყვები, რომლებიც ინგუშეთში შევიდა, საქართველოდან ქრისტიანული სარწმუნების შესვლის შემდეგ („ჯვარი“, „მარხვა“, „სანთელი“, „ჯოჯოხეთი“ და სხვ.).

ე. კრუპნოვის თქმით:

„საინტერესო იქნებოდა ასევე დაკვირვება, ხომ არ წარმოადგენს ქართული ეთნიკური და ტოპონიმიური სახელები და დასახელებები დაბოლოებული – ხი-თი, რომელიც ანალოგიურია ინგუშური არმ-ხი (თეთრი წყალი ან წყალი), სურხო-ხი (წითელი მდინარე,

წყალი), პსედა-ხი (ლამაზი მდინარე ან კარგი წყალი) და ა. შ. ქართველი იტორიკოსის თეიმურაზ ბატონიშვილის მოწმობით, «ქისტები, ღალღები, და ძურძუკები ადრე, საუბრობდნენ ქართულ ენაზე და იყვნენ ქრისტიანები». რა თქმა უნდა, ეს არ უნდა გავიგოთ პირდაპირი გაგებით, რომ მათ არ ჰქონდათ საკუთარი ენა.

შესაძლებელია, ერთ დროს ამდაგვარი «ქართველური» ინგუშურ ენაში იყო გაცილებით მეტი, მაგრამ თანდათან ისინი გამოდევნა, შემდეგი მომდევნო ინგუშებისა და თურქულ ხალხთან და ალან-ოსებთან ურთიერთობისას, გამდიდრებული ყუმიხებისა და ოსურმა სიტყვებმა“. (99, გვ.57).

ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ საუკუნეების განმავლობაში ინგუშებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული, მით უმეტეს ქართველ მთიელებთან. წყაროებიდან ჩანს, რომ „საუკუნეების განმავლობაში ინტენსიური მიგრაციული პროცესები მიმდინარეობდა ინგუშეთიდან საქართველოში და პირიქით. ინგუშური წარმომავლობის გვარებიდან ხამხაძისა და ღლიღვაშვილის დასახელებაც საკმარისია“, (14, გვ.64). ცნობილია, რომ (XI–XII) საუკუნეებში საქართველოდან ინგუშეთში ვრცელდებოდა ქრისტიანული სარწმუნეობა. დღევანდელ დღეს შემორჩენილია ინგუშეთში ქრისტიანული ძეგლები: თხაბა-ერდი, ალი-ერდი, თარგი-მი და სხვა. ერთ-ერთი ტყობა-იერდის (ინგუშ. „ტკობლა-ერდი“, თხაბა-ერდი, ტყობია-იერდი, „წმინდა თომას“ სახ.) ტაძარი, განეკუთვნება (VIII–IX) საუკუნეებს. ის რამდენიმეჯერ გადაკეთებულა და ჩვენამდე მოაღწია (XIV–XVI) საუკუნეებში შესრულებული ხედით. ტყობია-იერდის ტაძარი წარმოადგენს ინგუშეთისა და ქართულ ერთ-ერთ ხუროთმოძღვრების შერწყმის ნიმუშს. ამათ გარდა ინგუშეთში არის შემორჩენილი სხვა ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები.

ეთნოგრაფი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე სერგი მაკალათია (1893–1974) გადმოგვცემს, რომ: „წინათ კი VII–XVII საუკ. მანძილზე ქისტ-ჩაჩნები და ლეკები საქართველოს მეგობრულ კავშირში იყვნენ და ადმინისტრაციულად ფშავ-ხევსურეთთან ერთად ისინი შედიოდნენ ხუნძახისა და პანკის-კვეტერის სამოურაოში (იხ. ვახუშტი, საქართვ. ცხოვრება, გვ.151–158).

ამასთანავე, ქისტეთ-ლეკეთი იმყოფებოდა საქართველოს კულტურული და სარწმუნეობ-რივი გავლენის ქვეშ. ამას მოწმობს ძველ ძურძუკეთ ღლიღვეთში (დღევანდელი ქისტეთ-ჩაჩნეთში) არსებული ქართული სტილის ძველი ტაძარი, რომელიც დაცულია ასას ხეობაში და ცნობილია თხაბა-ერდის სახელწოდებით. ტაძარი შემკულია ასომთავრული ქართული წარწერით და IX საუკ. არის დათარიღებული. ამავე ტაძარშია ნაპოვნი ქართული ფსალმუნის XI–XII საუკ. ხელნაწერი....

ისტორიულ წარსულში ჩაჩნეთ-დაღესტანი და ყოფილი ზაქათალის ოლქის და ნუხის მაზრის მოსახლეობა სარწმუნეობრივად საქართველოს ეკლესიას ექვემდებარებოდა....

ამასთანავე ძლიერ იყო ქართული მატერიალური კულტურისა და ენის გავლენა ქისტ-ჩაჩნებ-ლეკებზე. საყურადღებოა აგრეთვე ისტორიკოსის თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობაც, რომელიც ამბობს:

„ქისტნი, ღლიღვნი და ძურძუკნი პირველ იყვნენ ენითა ქართულთა მომზრახნი და ქრისტიანენი... ლეკნი იყვნენ ქრისტიანენი და სცვიდენ ენასა ქართულსა ვიდრე თემურ-ლენგამდე (მე-14 საუკ), რომელმანაც დაიპყრნა იგინი, მოაქცივნა მრავლისა ტანჯვითა,

ლიქნითა წყალობითა; დაუდგინა არაბნი მოლანი და განუწესა მათ, რათა ასწავებდნენ ურმათა მათთა წერილსა არაბულისი ენისასა. მისცა მათ ბრძანება ფიცხნი არღარა კითხვად და არცაღა სწავლად ქართულისა წიგნისა რათა, არცაღა ენა ქართული იზრახვებოდეს მათ შორის. მხოლოდ დაშთა ენა ქართული ლეკთა შორის ანწუხელთა, რომელნიც დღეინდელად დღემდე ზრახვენ ქართულსა ენასა". (37, გვ.30–32).

XVI საუკუნის 80-იან წლებში დასავლეთ ინგუშეთში თანდათან დაიწყო შესვლა ისლამურმა სარწმუ-ნეობამ. არქეოლოგიური და ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ XVIII-შიც ინგუშეთში იყო შერწყმული წარმართული, ქრისტიანული და ისლამური სარწმუნეობები. ხოლო XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, დაღესტნიდან და ჩაჩნეთიდან, ისლამურმა სარწმუნეობამ მძლავრად შეუტია და მალე მთელ ინგუშეთს მოედო. „ისლამი სულ ბოლოს საქართველოში, ხევის ტერიტორიაზე სოფელ გველეთში მცხოვრებმა ინგუშებმა 1861 წელს მიიღეს". (14, გვ.63).

არქეოლოგიური აღმოჩენები ადასატურებენ, რომ ძვ. წ. I ათასწლეულში დღევანდელ ინგუშეთის მიწა-წყალზე გავრცელებული იყო ყობანური კულტურა. მეცნიერთა ნაწილის ვარაუდით ყობანური და კოლხური კულტურები ერთგვაროვანია.

პირველად, ინგუშები და ჩაჩნები, მოხსენებულნი არიან წერილობით წყაროებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე I ათასწლეულში.

შუა საუკუნეებში, ინგუშებს, ჩაჩნებსა და სხვა ტომებს აღნიშნავდნენ საერთო სახელწოდებით – დურძუკებით. (იხ. ქვემოთ, დურძუკების გაერთიანება).

ადრინდელ ქართულ წყაროებში ინგუშები მოხსენებულნი არიან „ღალღაის" სახელ-წოდებით. შემდეგში მათ აღნიშნავდნენ ადრეთვე „ქისტი"-თაც. მოგვიანებით – „ვეინახები"-ს სახელწოდებით (იხ. ქვევით).

სტრაბონს „გეოგრაფიაში" მოხსენებული აქვს „გარგარეი". მათი საცხოვრისი ადგილი ყოფილა ჩრდილოეთ კავკასიის შუა ნაწილი. წარმომდგარი არის ნახური სიტყვისაგან „გარგარა" („გერგა"). რაც ახლო-ბელს, ნათესავს აღნიშნავს. მეცნიერები თვლიან, რომ „გარგარები" ინგუშების წინაპრები არიან. სტრაბონის მიხედვით ისინი ყოფილან „ცენტრ-ალური კავკასიის მცირე მთისწინეთსა და ბარში. ჭეშმარიტებასთან ახლოს უნდა იყოს მოსაზრება, რომ სტრაბონისეული „გარგარები" დღევანდელი ინგუშების წინაპრები არიან. არც მათი კავკასიის მთისწინეთსა და ბარში მკვიდრობაა გასაკვირი, რადგან ჩრდილოეთ კავკასიაში სხვადასხვა ირანული, თურქული და მონღოლური მომთაბარე ტომების თარეში ადგილობრივი კავკასიელი ეთნოსების მთებში შესახლებას იწვევდა. ინგუშური (და ჩაჩნური) გადმოცემებით, მათი წინაპრები ებრძოდნენ იურტებში მცხოვრებ მოსულთა დიდ ურდოებს. საისტორიო წყაროებით გარგარები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ისტორიულ ალბანეთში (დღევანდელი აზერბაიჯანი) მკვიდრი ერთ-ერთი ტომი იყო. ჩვენ არა გვაქვს არავითარი საბუთი სამხრეთკავკასიელი და ჩრდილოეთკავკასიელი გარგარების ერთი ეთნოსისადმი კუთვნილების შესახებ ვისაუბროთ. საერთოდ, ისტორიაში არაერთი ფაქტია დადასტურებული ერთი ეთნონიმით სახვადასხვა ხალხების სახელდებისა". (14, გვ.54).

სხვადასხვა მსხემი ტომების შემოსევების გამო, როგორც ჩრდილოეთ კავკასიელთა ტომებს უხდებოდათ ადგილმდებარეობის გამოცვლა, ასევე ინგუშებსაც უწევდათ ბარიდან მთებში გახიზვნა. 1395 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში შეიჭრა თემურ-ლენგი და გაანადგურა

დურძუკების გაერთიანება. დურძუკთა გაერთი-ანებაში შედიოდნენ ინგუშებიც. გადარჩენილი ბარში მცხოვრები ინგუშების ნაწილი აღმოჩნდა ალანიის გაერთიანებაში, ხოლო დანარჩენმა თავი შეაფარა მთებს.

XV საუკუნეში ინგუშები ცდილობენ ჩასახლებულიყვნენ ბარში, მაგრამ 1562 წლის დეკემბერში ყაბარდოელი თავადის თემრუკის ლაშქრობის გამო, რომელსაც ეხმარებოდნენ რუსეთის მეფე ივანე IV მრისხანე და ნოღაელები, ინგუშები იძულებულნი გახდნენ ისევ მთებში გახიზნულიყვნენ. თუმცა XVI საუკუნის ბოლოსა და შემდგომ საუკუნეებში, XIX საუკუნის I ნახევრამდე, ხდებოდა ინგუშების ჩამოსახლება ბარში, მდინარეების თერგისა და სუნჯის მიმდებარე მიდამოებში და იქ სადაც დღეს იმყოფებიან, საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ XIX საუკუნეში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩრდილოეთ კავკასიაში, გამუდმებით ხდებოდა ტომებს შორის დაპირისპირება, ყირიმის სახანოსა და თურქეთთან შეტაკებები. ამიტომ, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიას რუსეთის იმპერია მოადგა, თავის გადარჩენის მიზნით, ინგუშეთის ზოგმა გავლენიანი ოჯახების წარმომადგენლებმა, 1770 წლის მარტში, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, ნებაყოფლობით რუსეთის იმპერიის შემადგე-ნლობაში შესვლაზე. რაც შემდგომში, ეს შეთანხმება, ძვირად დაუჯდა ინგუშეთის ხალხს. ჯერჯერობით კი, როდესაც რუსეთი 1774 წელს კავკასიაში ომს აწარმოებდა, ინგუშეთმა თავისუფლება შეინარჩუნა.

ცნობილია, რომ 1785 წლის შეიხ მანსურის (იხ. ზემოთ „ჩაჩნები“) მიერ, რუსეთის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში, ინგუშებიც მონაწილეობდნენ. 1810 წლის 5 ივნისს რუსების წაქეზებით მოხდა შეტაკება ინგუშებსა და ჩაჩნებს შორის. რუსების მიზანს წარმოადგენდა, რომ შემდეგში, ინგუშებზე „ზრუნვით“ შეწუხებულებმა ისინი მიეღოთ თავის ქვეშერდომობაში. მართლაც, ამავე წლის 22 აგვისტოს, რუსეთისა და ინგუშეთის გავლენიანი ოჯახიდან ათ-ათი წევრის წარმომადგენლებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ინგუშეთის ნებაყოფლობით შესვლის შესახებ. ამ აქტით, ხელის მომწერ ოჯახებს ნება ეძლეოდათ ესარგებლად თერგის მარჯვენა სანაპიროს მიწებით თერგის ქედამდე. ინგუშებს უნდა გამოეყვანად 1 000 მხედარი რუსეთის მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად, დაეცვათ ციხე-სიმაგრეები, უზრუნველყოთ ინგუშეთის მიწებზე რუსეთის ჯარის თავისუფლად გადაადგილება. ამავე დროს იზღუდებოდა ინგუშების ჩასახლება და გადაადგილება სხვა ადგილებზე. ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში ინგუშები ცხადდებოდნენ როგორც „მოღალატეები“ და „მეამბოხეები“ და მათ მოეპყრობოდნენ როგორც რუსეთის მტრებს. ამავე წელსვე დაიწყო ნაზრანის ციხე-სიმაგრის მშენებლობა. ხელშეკრულება ძირითადათ მოქმედებდა ბარის მოსახლეობაზე, ხოლო მთა დიდხანს უწევდა რუსებს წინააღმდეგობას. რუსეთ-კავკასიის ომის დროს, ინგუშები იბრძოდნენ შამილის რაზმში. აჯანყებული ინგუშების წინააღმდეგ არაერთხელ იქნა გაგზავნილი სადამსჯელო რაზმები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1816 წლიდან, ცეცხლითა და მახვილით მოევლინა ჩრდი-ლოეთ კავაკასიას მთავარსარდალი ა. ერმოლოვი. იგი პირდაპირ მოუწოდებდა ჯარისკაცებს, რომ არ დაენდოთ ქალები, ბავშვები და არც მოხუცები. მის მითითებაში პირდაპირ ეწერა, რომ: „სოფელი ნადგურდება ცეცხლით, ქალები და ბავშვები გაიჟლიტოს“.

1832 წელს კი გენერალმა გ. როზენმა აჯანყებულ ჩაჩნეთში და ინგუშეთში 60 აული

მიწასთან გაასწორა.

1858 წლის მაისში, ინგუშეთში დაიწყო, ე. წ. ნაზრანის აჯანყება. რომლის მიზეზი გახდა, კავკასიის სამხედრო ხელისუფლების მოწადინება, რომლის მიზანი იყო, აულების გამსხვილება. მათი აზრით უნდა შექმნილიყო დაახლოებით 300-დე ეზოები და იქ ჩასახლებულიყვნენ ინგუშები.

მთავარსარდალი და მეფისნაცვალი კავკასიაში გენერალი ა. ბარიატინსკი მეფეს მოხსენებით ბარათში წერდა:

„მთავარი მიზეზი ნაზრანის აჯანყებისა მდგომარეობს იმაში, რომ შეუძლებელია იქონიო მცხოვრებთა სათანადო ზედამხედველობა გაფანტულ დასახლებულთა ცალკეულ ხუტორებზე, და ამიტომ მე მივიჩნიე საჭიროება ჩავასახლო ისინი დიდ აულებში ჩვენს მიერ არჩეულ ადგილებში... ამავე დროს, ამის მიუხედავად სრულიად დამოუკიდებლად, ვლადიკავკაზში დაარსებულმა პირადი და ადგილობრივი საადგილმამულო უფლებათა განხილვის კომიტეტმა მოითხოვა ნაზრანის დეპუტატებისაგან ცნობები მოსახლეობის რაოდე-ნობაზე. ამ ორი გარემოების დაჯახებისას ისარგებლეს საზოგადოებრივი წესრიგის მოწინააღმდეგეებმა და ააღელვეს ხალხი“. (134).

აჯანყებამ მოიცვა ნაზრანის გარდა ინგუშეთის სხვა მიმდებარე მხარეები. აჯანყების დასაწყისში აჯანყებულებმა რუსეთის სამხედრო მმართველთან გააგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები მოსალაპარაკებლად, მათი რამდენიმე წევრის დაკავების შემდეგ, აჯანყებულებმა შეეცადნენ ციხე-სიმაგრის ხელში ჩაგდება, მაგრამ ვერ შეძლეს. ვერც შამილმა მოახერხა აჯანყებულებისკენ გარღვევა და საბოლოოდ რუსებმა შეძლეს აჯანყების ჩახშობა.

რუსეთის ხელისუფლებამ, 1845 წლიდან მდ. სუნჯის გასწვრივ დაიწყეს კაზაკების ჩასახლება. რომლებმაც შეჰქმნეს სტანიცები.

1860 წელს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო სამმართველო გაუქმდა და იმპერატორ ალექსანდრე II-ის მითითებით შეიქმნა ყუბანისა და თერგის ოლქი, რომლის შემადგენლობაში მოექცნენ ჩაჩნების, ინგუშების, იჩქერიის და მთიანი ოლქები.

ინგუშების აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ინგუშების უმრავლესობა, რუსეთის ხელისუფლებამ გადაასახლა თურქეთში. განთავისუფლებულ აულებს სახელწოდება შეუცვალეს და ჩაასახლეს კაზაკები.

ცნობილია, რომ მაშინდელი მონაცემებით, 1865 წელს 5 000-დე ინგუში გადაასახლეს, მათგან, ზოგმა უკან მოინდომა დაბრუნება, მაგრამ, არც თურქეთმა და არც რუსეთის ხელისუფლებამ ნება არ დართო. 1871 წელს ვლადიკავკაზის ოლქში გააერთიანეს ინგუშეთისა და ოსეთის ოლქები.

1888 წელს-კი, შეიქმნა სამხედრო კაზაკების სამმართველო და ინგუშეთი დაექვემდებარა სუნჯის კაზაკურ სამმართველოს.

1905 წელს, ინგუშეთში მიმდინარეობდა ბრძოლები. ბრძოლების შედეგად, ინგუშებმა შეძლეს 1909 წლის 10 ივნისში ნაწილობრივ თავისუფლების მიღწევას და თერგის ოლქის შემადგენლობაში წარმოიქმნა **ნაზრანის ოლქი**, რომლის მთავარი ქალაქი გახდა **ვლადიკავკაზი.**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1914 წლის 23 აგვისტოს შეიქმნა „კავკასიის ადგილობრივ მცხოვრებთა ცხენოსანთა დივიზია“, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ინგუშებიც.

1917 წლის 23 ივლისს დაიწყო ვლადიკავკაზიდან ინგუშების გასახლება. (96).

რუსეთში მომხდარი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის ნოემბერში ჩრდილოეთ კავკასიაში გამოცხადდა დამოუკიდებელი მთიანი რესპუბლიკა, სადაც შევიდნენ ჩრდილოეთ კავკასიელებს შორის ინგუშებიც. 1919 წელს, ვერსალის სამშვიდობო თათბირზე, ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი რასპუბლიკის პარლამენტმა გააგზავნა წარმომადგენლობა, რომელთა შორის იმყოფებოდნენ ინგუშებიც, მათი მიზანი იყო, რომ დასავლეთ სახელმწიფოებს ეღიარებინათ ახლად ჩამოყალიბებული „მთიანი რესპუბლიკა“.

რუსეთში სამოქალქო ომის დროს, ბოლშევიკების მოწოდებებით მოტყუებული ინგუშების უმრავლესობა ემხრობოდა და მხარს უჭერდა ბოლშევიკებს. ხოლო თერგის კაზაკები – თეთრგვარდიელებს.

1918 წლის მარტში ჩამოყალიბდა თერგის საბჭოთა რესპუბლიკა რსფსრ-ის შემადგენლობაში. 28 მაისს ქ. გროზნოში ახლად დამყარებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ გამოაცხადა დადგენილება, რომ უქმდებოდა ე. წ. „ჩერერსპოდოსცი“-ს (მდ. თერგის გასწვრივ მყოფი კაზაკების მიწები), კერძო საკუთრება და მემამულეებს ერთმეოდათ მიწები. აქედან დაიწყო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩაჩნეთ-ინგუშეთში საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ გამოსვლები და განსაკუთრებით გამძაფრდა მდგომარეობა, როდესაც საბჭოთა ხელმძღვანელობამ დაიწყო ე. წ. „კოლექტივიზაცია“.

1918 წლის ივნისიდან თერგის საბჭოთა რესპუბლიკა შეიყვანეს ჩრდილოეთ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკაში.

1919 წელს ინგუშეთში შევიდა დენიკინი, ხოლო 1920 წლის მარტში, ისევ აღსდგა ინგუშეთში საბჭოთა ხელისუფლება. 1920 წლის მარტიდან, ჩაჩნები გაერთიანდნენ იჩქერიელებთან, ხოლო ინგუშები მთიელებთან და გახდნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი. ამავე წლის 17 ნოემბერს ჩამოყალიბდა მთიანეთის სსრ, რომელიც 1921 წლის 20 იანვარს გადაკეთდა მთიანეთის ასსრ-თ. მასში შევიდნენ ჩაჩნეთი, ინგუშეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ყაბარდო-ბალყარეთი და ჩრდილოეთ ოსეთი.

1924 წლის 7 ნოემბრიდან ვინაიდან საბჭოთა მთიანი რესპუბლიკა გაუქმდა, შეიქმნა ინგუშეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქები რსფსრ-ს შემადგენლობაში, რომელთა მთავარი ქალაქი გახდა ვლადიკავკაზი (შემდეგში მას უწოდეს ორჯონიკიძე).

1934 წელს ინგუშეთი გაერთიანდა ჩაჩნეთდან და ჩამოყალიბდა „ჩაჩნეთ-ინგუშეთის აო“, ხოლო 1936 წლის 5 დეკემბერს გადაკეთდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-თ.

მეორე მსოფლიო ომის დროს 1942 წლის 12 სექტემბერს გერმანელებმა დაიკავეს ქალაქი მალგობეკი. რომელიც 1943 წლის 3 იანვარს საბჭოთა ჯარებმა გაანთავისუფლეს და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაიწყო ჩაჩნეთ-ინგუშეთში ე. წ. „ბანდიტების“ გამოვლინება და მოსპობა.

ზემოთ ვთქვით, რომ 1943 წლის ბოლოს საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო მზადება ჩაჩნეთ-ინგუშეთის გასახლების ოპერაციის „ჩეჩევიცას“ ჩასატარებლად და 1944 წლის 23 თებერვლიდან ჩაჩნები და ინგუშები შუა აზიაში გადაასახლეს. მონაცემებით, თებერვლის ბოლოს 91 250 ინგუშები იქნენ გადასახლებულნი. ჩაჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკა გაუქმდა და ინგუშეთის მიწა-წყალი გადასცეს მეზობელ რესპუბლიკებს: მთიანი მხარე გადაეცა საქართველოს რესპუბლიკას, ხოლო დანარჩენი ნაწილი, როგორც ნაზრანის რაიონი შეუერთეს

ჩრდილოთ ოსეთის ასსრ-ს. ამგვარად ინგუში ხალხი გაქრობის წინაშე აღმოჩნდა.

1956 წლის 16 ივლისს გადასახლებულებს მოუხსნეს „გადაადგილების შეზღუდვები“ და ჩაჩნები და ინგუშები იწყებენ, ჩრდილოეთ კავკასიაში, თავიანთ ძველ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებას.

1957 წელს აღადგინეს ჩეჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკა, მხოლოდ ძველთან შედარებით შემცირებულ საზღვრებში, ჩრდილოეთ ოსეთში მოქცეული ინგუშეთის ნაწილი ისევ ოსებს დაუტოვეს. შუა აზიიდან ჩამოსულმა ინგუშებმა, პრიგოროდნის რაიონშიც დაიწყეს ჩასახლება.

1991 წლის 15 მაისს გახდა ჩაჩნეთ-ინგუშეთის სსრ. 1 ოქტომბერს ჩაჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკა გაიყო ჩაჩნეთისა და ინგუშეთის რესპუბლიკებად.

1991 წლის 30 ნოემბერს ინგუშეთის მჭიდროდ დასახლებულ ოლქებში, ჩატარდა რეფერენდუმი. მოსახლეობამ ხმათა უმრავლესობით მოითხოვა, რომ შექმნილიყო ინგუშეთის რესპუბლიკა რსფსრ-ის შემადგენლობაში. რასაც დაეთანხმა რუსეთის ფედერაციის საბჭო და 1992 წლის 4 ივნისს ინგუშეთის რესპუბლიკა შევიდა რფრ-ს შემადგენლობაში.

ინგუშებმა, რფრ-ის ხელმძღვანელებისაგან მოითხოვეს ინგუშეთის ძველი საზღვრების აღდგენა, მაგრამ ამ მოთხოვნას ყურადღება არავინ მიაქცია. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებმა გადასახლებიდან დაბრუნებულ ინგუშებს, ულაპარაკოდ დაუბრუნეს, 1944 წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადმოცემული ჩაჩნეთ-ინგუშეთის სამხრეთის მიწები, დაუტოვეს სახლები, საქონელიც და ცდილობდნენ ყოველ მხრივ დახმარებოდნენ ახლად ჩამოსახლებულებს; და ინგუშებმა ეს არ დაივიწყეს. ცნობილია, რომ საქართველოს მიწა-წყალზე, აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ მომხდარი ომის დროს, ერთადერთი ჩრდილოეთ კავკასიელებს შორის აღმოჩნდა ინგუშები, რომლებმაც ჩვენს წინააღმდეგ არ უბრძოლიათ და აფხაზებსა და ოსებს არ მიემხრნენ. „მათ სასტიკად თქვეს უარი „ქართველ ძმებზე ხელის აღმართვაზე“... რაც სხვა მეზობლებთან კონფლიქტადაც კი დაუჯდათ“. (84). ცნობილია ისიც, რომ: „აგვისტოს ომის დროს ასამდე ინგუშმა მილიციონერმა სამსახური დატოვა იმის გამო, რომ მათ ცხინვალში წასვლას და ქართველების წინააღმდეგ ბრძოლას სთხოვდნენ.

კრემლის აქტიურობის მიუხედავად, ინგუშებისა და ქართველების დაპირისპირება მაინც ვერ მოხერხდა. ინგუშები მხარდაჭერას დღემდე აგრძელებენ“. 2010 წლის სექტემბერში როდესაც ცხინვალის სეპარა-ტისტულმა ხელისუფლებამ „სამხრეთ ოსეთის“ ე. წ. „დამოუკიდებლობის დღესთან“ დაკავშირებით ზეიმი გამართა, და „ამ ღონისძიებაზე დასასწრებად რუსი და კავკასიელი ჩინოვნიკები ჩავიდნენ“, „ინგუშებმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს და მხარდაჭერა ისევ საქართველოს მიმართ გამოხატეს“. (58).

რაც შეეხება ინგუშებსა და ჩრდილოეთ ოსეთს შორის, ურთიერთდამოკიდებულებას ინგუშების თავიანთ მკვიდრ მიწაზე დაბრუნების შემდეგ, მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ დაძაბულობა შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ეს პირველი შემთხვევა იყო საბჭოთა წყობილების დაშლის შემდეგ რფრ-ში, როდესაც ეროვნებები ირთმანეთს დაუპირისპირდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩაჩნეთ-ინგუშების გადასახლების შემდეგ, მათი მიწა-წყლის ნაწილი, ვლადიკავკაზის პრიგოროდნის მხარე, გადასცეს ჩრდილოეთ ოსეთს. 1957 წელს,

გადასახლებიდან დაბრუნებული ინგუშები დაუბრუნდნენ ძველ სამოსახლო ადგილებს, მაგრამ აქ დახვდათ, გამონთავისუფლებულ სახლებში ჩასახლებული ოსები და დაიწყო მათ შორის შეხლა-შემოხლა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ინგუშებმა რფრ-ს მოსთხოვეს უკან დაებრუნებინათ ეს მხარე. ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ ოსები. რის გამო, 1992 წლის ოქტომბრის ბოლოს, წამოიშვა ოსებსა და ინგუშებს შორის ომი. „აღსანიშნავია, რომ ინგუშების წინააღმდეგ ყველაზე აქტიურად ცხინვალელი ოსები იბრძოდნენ. ოსურ დაჯგუფებებს სამხრეთ ოსეთის სახალხო ლაშქრის მეთაური ოლეგ თეზიევი მეთაურობდა....

ამდენად ინგუშებს ორი მიზეზი ჰქონდათ, რომ ოსების დამოუკიდებლობის დღე არ აღენიშნათ.

ინგუშურმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა რუსეთის ფედერაციისაგან სამხრეთ ოსეთისათვის პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის შეწყვეტა მოითხოვეს.“ (58). ინგუშებსა და ოსებს შორის მომხდარ ომში, რსფსრ, როგორც მორალურად, ასევე მატერიალურად ოსებს ეხმარებოდა. ომის შედეგად თითქმის 65 000 ინგუშები იძულებულნი გახდნენ პრიგოროდნიდან ინგუშეთში გახიზნულიყვნენ. აღნიშნული მხარე ისევ ოსებს დარჩათ.

„ინგუშეთში დგას საკითხი არა მარტო პრიგოროდნის რაიონის კუთვნილების, არამედ თავის დროზე ვლადიკავკაზის ოსეთისათვის გადაცემის სამართლიანობის შესახებაც“. (12, გვ.153). გამოუქვეყნებული საარქივო მასალებისა და სხვადასხვა წყაროების შესწავლის შემდეგ დამტკიცდა, რომ დღევანდელი ვლადი-კავკაზის მიწა-წყალი ეკუთვნოდა ინგუშებს და მცდარია საბჭოურ ლიტერატურაში მოთხრობილი გამოგო-ნილი დასაბუთება, „რომ თითქოს, ქალაქი დაარსდა ოსური სოფლის ძაუჯიკაუს ადგილას“. (78). არაერთი წყაროებიდან ჩანს, რომ 1784 წლის 6 მაისს ინგუშურ აულებთან: ზაუროვო, ტოტი და თემურხოვოსთან ახლოს, „ოთხი ვერსის მოშორებით“ სოფ. საუკვასთან (საური, ზაუროვო) საფუძველი ჩაეყარა რუსულ ციხესიმაგრეს ვლადიკავკაზს. „ვლადიკავკაზიდან რამდენიმე ათეული ვერსის რადიუსში დოკუმენტები არ აფიქსირებენ არავითარ სხვა დასახლებას, გარდა ინგუშებისას“. (78). დაახლოებით 1803 წელს როდესაც მიტოვებული ციხესიმაგრე რუსებმა ხელახლა აღადგინეს, დაიწო სამხედროების დაცვის ქვეშ, კაზაკების და ოსების ჩამოსახლება, ხოლო ინგუშები იძულებულნი იყვნენ მიეტოვებინათ თავიანთი ადგილები და ზემოთ მოხსენებული ინგუშური აულები გაქრნენ. ცნობილი არქეოლოგი და კავკასიოლოგინ ევგენი კრუპნოვი (1904–1970) წერდა:

„მალსაგოვების გვარი (ტერგიმხოევის ტეიპი) იყო ძლიერი და მრავალრიცხოვანი ჯერ კიდევ XVII საუკუნის შუახანებში, ცნობილია, რომ ამ გვარის მეთაურის (ვიარა) მალსაგა-ძავგის (დძაურ) შვილმა ინგუშეთის დაბლობში დააარსა აული ზაური... ამ ადგილას 1784 წელს წარმოიქმნა ქ. ვლადიკავკაზი (ეხლანდელი ქ. ორჯონიკიძე), ოსები და ვაინახები უწოდებენ მისი სახელიდან – დზაუგ-კაუ (დზაუდჯიკაუ)“. (99, გვ.166).

„ვლადიკავკაზიდან რამდენიმე ათეული ვერსის რადიუსში დოკუმენტები არ აფიქსირებენ არავითარ სხვა დასახლებას, გარდა ინგუშებისას. ეს გასაგებიცაა. ოს ხალხს არ გააჩნდა არც ძალა, არც საშუალება ყაბარდოელი ფეოდალებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, რათა დამოუკიდებლად გადმოსახლებულიყვნენ ვლადიკავკაზის დაბლობზე, რომელსაც ყაბარდოელი ფეოდალები აკონტროლებდნენ. ოსები თავიანთი ნდო-ბით აღჭურვილი პირების

მეშვეობით მრავალგზის მიმართავდნენ რუსეთის მთავრობას თხოვნით – დახმარება გაეწიათ მათი მთებიდან ჩამოსახლების საქმეში. არ ჰქონდა რა თვით რუსეთს კავკასიაში მყარი პოზიცია, არ შეეძლო ამის განხორციელება. და მხოლოდ ციხესიმაგრის და მის კედლებთან სიმაგრეების მშენებლობის დაწყებისთანავე ჩნდებიან გარნიზონის დაცვის ქვეშ მყოფი პირველი ოსები დაბლობში. ეს გადასახლება... ოსი მეცნიერის ბ. პ. ბეროზოვის მიხედვით, „უფრო შემთხვევით ხასიათს ატარებდა, და ამიტომაც არ იყო მდგრადი“...

1786 წელს რუსებისაგან მიტოვებული ვლადიკავკაზის ციხესიმაგრის აღდგენის შემდეგ, არა უადრეს 1803 წლისა ჩამოსახლდნენ ოსები განსაკუთრებულ აულში“. (78).

მიუხედავად იმისა, რომ ვლადიკავკაზი ითვლებოდა „ინგუშეთის სავაჭრო, სამრეწველო და კულტურულ ცენტრად“ და „ქალაქის მისადგომებთან **ცხოვრობდა 80 ათასი ინგუში, რომელიც გაცილებით მეტი იყო ვიდრე ოსი, გერმანელი და კაზაკი ერთად აღებული** თვით ქალაქში კი ინგუშებისა და ოსების რაოდენობა მიახლოებით ერთნაირი იყო“. როდესაც „საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში“ ი. ჯუღაევი (ჯუღაშვილი, სტალინი) დაინიშნა, ოსურმა ხელისუფლებამ მოიპოვა მხარდაჭერა და „**1933 წლის 1 ივნისის საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ქალაქი გადაეცა ჩრდილოეთ ოსეთის იურისდიქციას, ერთ წელიწადში ჩეჩნეთისა და ინგუშეთის აო გაერთიანდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ ოლქში.** ინგუშეთის ყველა ადმინისტრაციული ორგანო გაიყვანეს ვლადიკავკაზიდან. ყველა დაწესებულება და საწარმო გადაეცა ჩრდილოეთ ოსეთს“ და „გადატანილ იქნა გროზნოში, ინგუშეთიდან ასობით კილო-მეტრის დაშორებით. **1944 წლის თებერვალში ჩეჩენ-ინგუშების შუა აზიაში და ყაზახეთში დეპორტაციის შედეგად ორჯონიკიძე „განთავისუფლდა“ თვით ინგუშებისაგან, ოსეთმა დაიწყო იქ განუკითხავი ბატონობა**“. (78).

„ინგუშეთის კონსტიტუციაში გამოცხადებულია, რომ «დაბრუნება პოლიტიკური საშუალებით არაკანონიერად წართმეული ინგუშეთისაგან ტერიტორიების და ინგუშეთის რესპუბლიკის ტერიტორიული მთლი-ანობის დაცვა» წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანას“. (134).

„„ჩრდილოეთ ოსეთში ფართოვდება ძალმომრეობა ინგუშებთან მიმართებაში – ამაში მონაწილეობას ღებულობს შეიარაღებული ფორმირებები. რუსეთის ხელისუფალნი იჩენენ უმოქმედობას, რაც უტოლდებოდა წარმოქმნილ სიტუაციაში საკუთარი მოსახლეობის წინაშე დანაშაულში თანამონაწილეობას. 1992 წლის 30 ოქტომბერს იწყება ჯერ კიდევ ადრე დაგეგმილი ფართომასშტაბიანი აქცია ქალაქ ვლადიკავკაზში პრიგოროდნის რაიონის ინგუშური მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, რომლის შედეგადაც მოკლულ იქნა და უგზოუკვლოდ დაიკარგა ასობით ინგუში. ინგუში ეროვნების 70 ათასზე მეტი მოქალაქე განდევნილ იქნა საკუთარი სახლებიდან და დღემდის იმყოფებიან ლტოლვილებად. ვლადიკავკაზი კვლავ მიეყიდა ოსებს“. (74). ინგუშებსა და ოსებს შორის დაპირისპირება დღემდე გრძელდება.

1993 წლის 28 თებერვალს ინგუშეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი არჩევნების შედეგად, ხმათა უმრავლესობით (99,94%), გახდა ყოფილი საბჭოთა არმიის ოფიცერი რ უ ს ლ ა ნ ა უ შ ე ვ ი. ამავე წელსვე, ჩეჩნეთის რესპუბლიკის იჩქერიის პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა და ინგუშეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რ. აუშევმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმად სუნჯის მხარის დიდი ნაწილი გადაეცა ინგუშეთს.

1994 წელს, პირველ რუსეთ-ჩაჩნეთის ომის დროს, ინგუშეთის მიწა-წყალზე ხდებოდა

რუსეთის საჯარისო ნაწილების გადასვლა ჩაჩნეთში. რომლის დროსაც რუსებმა რამდენიმე სოფელი დაბომბეს.

უნდა აღინიშნოს, რომ 1996 ჯ. დუდაევის სიკვდილის შემდეგ, ინგუშებსა და ჩაჩნებს შორისაც წარ-მოიშვა, საზღვრების გამო უთანხმოება.

საერთოდ კავკასიაში საზღვრები სახელმწიფოებს შორის, ადრეც არ იყო და ეხლაც მთლიანად დადგე-ნილი არ არის. რუსეთის მიერ გამოცემული რუკები და ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (მის) არასწორ ინფორმაციას აწვდიან საზოგადოებას.

,,ეხლანდელი საზღვარი ინგუშებსა და ჩაჩნებს შორის ფორმალურად ითვლება 1934 წლის საზღვარი, მაგრამ დემარკაცია მისი დღევანდლამდე არ მომხდარა ზოგიერთი ტერიტორიული უთანხმოების გამო; გარდამავალი დრო, დამყარებული 1992 წელს რფ-ს კანონით, ფაქტიურად გრძელდება დღევანდელ დღემდე. ძირითადი უთანხმოება სუბიექტებს შორის იქმნება სუნჟის რაიონის კუთვნილება, რომელიც თავდაპირველად იყო ჩაჩნეთისა და ინგუშეთისაგან ცალკე ადმინისტრაციული წარმონაქმნი (წარმოადგენდა სუნჟის კაზაკური ოლქის ნაწილს). რუსეთის კარტოგრაფიის რუკებზე ჩაჩნებსა და ინგუშებს შორის არ არის ნაჩვენები.

ამის გარდა 1866 წელს ჩაჩნებს გადაეცათ აკინის საზოგადოების მიწები (გალანჩოჟი) რომელიც ადრე წარმოადგენდა ინგუშეთის ოლქის მთიელთა ნაკვეთს. შემდგომ ინგუშეთს ჩამოაშორეს სოფლები ბამუტი და ვალერიკი.

საზღვრები ამ ორ, ინგუშეთისა და ჩაჩნეთის რესპუბლიკებს შორის დღემდე დაუდგენელია. 1999 წელს, რ. აუშევმა, რუსეთის ხელისუფლებას მიმართა თხოვნით, რომ ქალაქისა და მხარეების დამცავი სამმართველოები გადასცემოდათ ინგუშებს, ხოლო რესპუბლიკური მნიშვნელობისა დარჩენოდათ რუსებს, მაგრამ, რუსეთის ხელისუფლება ამ მოთხოვნას არ დაეთანხმა.

2000 წელს რ. აუშევი, არ დაეთანხმა ჩაჩნეთისა და ინგუშეთის გაერთიანებას.

როგორც ზევით აღვნიშნეთ ინგუშეთს აქვს საზღვარი საქართველოსთან სიგრძით დაახლოებით 45 კმ. ამ საზაზღვრო ხევებში მდებარეობს საგვარეულო სოფლები. ინგუშების მსხვილი გვარეულობა – ტეიპები: ოზდოევი, კარტოევი, ბარახოევი, ევდოევი, ხამხოევი, ცოროევი, ბარკინხოევი და ა. შ.

ზოგიერთი მსს-ი, კერძოდ EuroNews და BBC, რუკებზე, მათ საინფორმაციო გამოშვებებში, შეცდომით ინგუშეთის ჯეირახის რაიონი მითვლილია ჩაჩნეთის რესპუბლიკასთან (ასე რომ ინგუშეთს მოუსპეს საზ-ღვარი საქართველოსთან)“. (134).

რუსლან აუშევს საყოველთაოდ აღიარებული გავლენა აქვს მოპოვებული არა თუ ინგუშეთში, არამედ მთელს კავკასიაში. იგი (1980-დან–1987) წწ-ში სამხედრო სამსახურს გადიოდა ავღანეთში. 1982 წელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ხოლო 1991 წელს – გენერალ-მაიორის წოდება. მან, მიუხედავად ყველაფრისა, ავღანეთში საბჭოთა კავშირის სამხედრო მონაწილეობა უარყოფითად შეაფასა და აღიარა, რომ ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომა.

მისი პრეზიდენტობის დროს, იგი ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ხელისუფლების მოთხოვ-ნებს ინგუშეთის მიმართ და როდესაც ჩაჩნეთში რუსეთმა ომი დაიწყო, მან ორჯერ განაცხადა უარი და არ მოაწერა ხელი ჩაჩნეთში ჯარის შეყვანის თაობაზე. რა თქმა უნდა რფრ-ის

ხელისუფლებამ (ვ. პუტინის დროს) დაიწყო მის წინააღმდეგ მოქმედება და ბოლოს და ბოლოს აიძულა, რომ მას 2002 წლის 23 აპრილს, ვადის გასვლამდე დაეტოვებინა პრეზიდენტობა და მისი განცხადებით, იმის გამო, რომ მისი პრეზიდენტობის დროს მან ინგუშეთის გაერთიანება ვერ შეძლო, გადადგა. ამავე წლის 15 მაისს რფრ-ის საბჭო დაეთანხმა მის გადადგომას.

2002 წლის 28 აპრილს, ინგუშეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა რუსეთის მომხრე და მორჩილი მურატ ზიაზიკოვი. რომელმაც გააუქმა რ. აუშევის მიერ მიღებული კანონები, ინგუში ხალხის ყრილობა, შარიათის სასამართლო და სხვ. მის დროს, კრიმინოლოგიური და ტერორისტული მდგომარეობის გამო, რესპუბლიკის საშინაო ვითარება გართულდა. დაიწყო ეკონომიკური კრიზისი, უმუშევრობის და სიღა-ტაკის სწრაფი ზრდა. ამის გამო, ზიაზიკოვის და ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხი აშკარად გამოთქვამდა უკმაყოფილებას და დაიწყო გამოსვლები.

2008 წლის 31 აგვისტოს მოკლეს ინგუშეთის ცნობილი ხელისუფლების მოწინააღმდეგე მაგომედ ევდოევი, ამან ინგუშეთის მოსახლეობის აღშფოთება და გამოსვლები გამოიწვია. მოითხოვეს პრეზიდენ-ტის მ. ზიაზიკოვის გადადგომა. ამავე წლის 30 ოქტომბერს, მიუხედავად იმისა, რომ მ. ზიაზიკოვს რფრ-ის მხარდაჭერა ჰქონდა, როგორც მორალური, ასევე სამხედრო და ფინანსურიც, რფრ-ის ხელისუფლებას მოუხდა ინგუში ხალხის უკმაყოფილების გამო-- ხატვის წინაშე უკან დახევა და ამავე წლის 30 ოქტომბერს, რუსეთის პრეზიდენტმა დ. მედვედევმა გადააყენა ინგუშეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელი.

2008 წლის 31 ოქტომბერს ინგუშეთის პრეზიდენტი გახდა რუსეთის არმიის გენერალი იუნუსბეკ ევკუროვი. ინგუშეთის საშინაო მდგომარეობა კვლავ იგივე დარჩა, თითქმის ყოველ დღე ხდება ტერორისტული აქტები. 2009 წლის 22 ივნისს ევკუროვი შემთხვევით გადაურჩა აფეთქებას. იგი მოსკოვში გადაიყვანეს და იქ უმკურნალეს.

2013 წლის 4 ივლისში პრეზიდენტობის ვადის გასვლამდე იუნუსბეკ ევკუროვი გადადგა. იგი დროებით მმართველად დარჩა.

მისი მმართველობის დროს, შეიცვალა საქართველოს მიმართ დამოკიდებულება. 2009 წლის 25 თებერვალს ევკუროვი აფხაზეთს ეწვია და გვირგვინით შეამკო სოხუმში (1992–1993) წლებში დაღუპულ მეომართა მემორიალი, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ინგუში არ მონაწილეობდა ქართულ-აფახაზურ ომში, მით უმეტესს აფხაზეთის მხარეს. ხოლო 2010 წლის 20 სექტემბერს იგი ჩავიდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ და მონაწილეობა მიიღო „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის დღის“ საზეიმო აღლუმში. აქვე განაცხადა, რომ ინგუშეთი და სამხრეთ ოსეთი თანამშრომლობას გააღრმავებენ. თუმცა, ზოგი თვლის, რომ ევკუროვმა ეს გააკეთა კრემლის მითითებისა და ბრძანების თანახმად. ევკუროვის ამ მოქმედებამ აღაშ-ფოთა ინგუში მოსახლეობა. ამავე დღეს, ინგუშეთის არასამთავრობო პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რუსეთის პრეზიდენტს დ. მედვედევს ღია წერილი გაუგზავნეს, სადაც მოითხოვდნენ, რომ რუსეთს შეეწყვიტა სამხრეთ ოსეთისათვის პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა.

ცნობილია, რომ 2005 წელს 100-ზე მეტმა ინგუშმა, მოინდომა საქართველოში ჩამოსახლება და მოქალაქეობის მიღება. ხოლო 2009 წელს, უკვე ენერგიულად განიხილებოდა „ინგუში მოქალაქეების საქართველოში გადმოსახლების საკითხი, რაშიც ისინი საკუთარ

სამშობლოში არსებული განუკითხაობის ფონზე გადარჩენის ერთადერთ გზას ხედავენ. ორგანიზაცია „ინგუშეთი ჩვენი სახლი“-ს წარმომადგენელი მეჰმედ მერბაკოვი კატეგორიულად აცხადებს, რომ თუ საქართველომ კეთილი ნება არ გამოიჩინა და ინგუების მიღებაზე თავი შეიკავა, იგი კავკასიაში თავის ისტორიულ როლს დაკარგავს. მისივე თქმით ინგუშეთში ცხოვრება აუტანელი გახდა, რადგან ყოველდღიური მკვლელობებისა და ადამიანთა გატაცების პარალელურად ფედერალური ხელისუფლება ახალი კონფრონტაციის სცენარსაც ამზადებს, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ჩაჩნეთისა და ინგუშეთის გაერთიანება, ჩაჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკის სტატუსის აღდგენით, რომლის პრეზიდენტიც რამზან კადიროვი იქნება.

ეს ინგუშეთის მოსახლეობის აღშფოთებას გამოიწვევს, – აცხადებს მერბაკოვი – რეალურია ის საფრთხე, რომ გარკვეულმა ძალებმა ზემოთხსენებულ ნიადაგზე ჩეჩნებისა და ინგუშების დაპირისპირება გამოიწვიოს“. (74).

ამ ბოლო დროს ირკვევა, რომ რფრ-ს ხელისუფლება ფიქრობს ინგუში ხალხის თავიანთ საცხოვრებელი ადგილიდან აყრასა და გადასახლებას.

„როგორც ცნობილი გახდა, რუსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩრდილო-კავკასიის ოლქში ალექსანდრე ხლოპონინი გამოდის წინადადებით, რათა შემუშავებულ იქნას უახლოესი პროგრამა შრომითი რესურსების მიგრაციის შესახებ ოლქის სუბიექტებში, ე. ი. ჩრდილოეთ კავკასიაში, რუსეთის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ სამრეწველო – „განვითარებულ“ რეგიონებში.

„რუსეთის ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა უამრავი რაოდენობაა და დღეს შეიძლება რეგიონის – მაგალითად ვთქვათ ინგუშეთის (!?!) მოსახლეობიდან, ჩამოვაყალიბოთ მუშათა ბრიგადები და გავაგზავნოთ ისინი მსხვილ ნავთობმომპოვებელ, ქვანახშირის თუ სამშენებლო საწარმოებში“, – გადმოსცემს რია ნოვოსტი ხლოპონინის სიტყვებს, რომლებიც მან წარმოთქვა „რეგიონში დასაქმების“ პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებულ დღეს გამართულ თათბირზე.

შეგახსენებთ, რომ, ადრე, თვით ინგუშეთის ეროვნული ხელმძღვანელობის დონეზე არაერთხელ დასმულა საკითხი რესპუბლიკის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის საბჭოეთის ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში გადასახლების შესახებ „ინგუში ხალხის კეთილდღეობის ამაღლების“ მიზნით.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ინგუშ ხალხზე „ზრუნვას“ დღეს თავის ხელში იღებს რუსეთის ცენტრალური ხელმძღვანელეობა (ხლოპონინი – იგი ხომ პრემიერ-მინისტრ პუტინის მოადგილეა) და ინგუშ ხალხს მაინც მოუწევს „არც თუ ისე ახლოეთში“ გამგზავრება“. (75). ამას მომავალი გვიჩვენებს.

3. დურძუკები.

შუა საუკუნეების, ისტორიულ წყაროებში, ჩრდილოეთ კავკასიის მცხობვრებ ტომებს, მოიხსენიებდნენ **დურძუკების**, ძურძუკების, ურძუკების და დროზკიტების სახელწოდებებით. დურძუკებს, მეცნიერები თვლიან შემდგომში ჩამოყალიბებულ ვეინახების წინაპრებად.

ქართულ წყაროებში, პირველად დურძუკები მოხსენებულია ლეონტი მროველის მიერ.

მროველის მიხედვით, დურძუკები პირველად ჩრდილოეთ კავკასიის შუა ნაწილში დასახ-ლებულან, ხაზართა მომძლავრების დროს. მისივე გადმოცემით, დურძუკები ხაზარებს ხარკსაც უხდიდნენ.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, დურძუკებსა და ქართველებს შორის მჭიდრო კავშირი ყოფილა დამყარებული. ლეონტი მროველი გადმოგვცემს, რომ ქართლის (იბერიის) სამეფოს პირველმა მეფემ ფ ა რ ნ ა ვ ა ზ I-მა (ძვ. წ. IV ს. ბოლოს–III ს.) „მოიყვანა ცოლი დურძუკელთა, ნათესავი კავკასისი“. (3, გვ.44). ხოლო მის მემკვიდრეს, ქართლის მეორე მეფეს ს ა უ რ მ ა გ ფარნავაზის ძე-ს (ძვ. წ. III ს.) აუჯა-ნყდნენ ქართლის ერისთავები, იგი დურძუკეთში გადავიდა. „წარვიდა ფარულად, და ილტვოდა, და წარიტანა თანა დედა მისი, და მივიდა დურძუკეთს დედისძმათა მისთა თანა“. (3. გვ.46). მათი და ჩრდილოეთ კავკასიელთა ტომთა დახმარებით დაამარცხა ავჯანყებულები და დაიბრუნა მეფობა. შემდეგში, მანვე ჩამო-ასახლა ჩრდილოეთ კავკასიიდან კავკასიელთა ტომები საქართველოს მთიანეთში. „ამან საურმაგ წარმოიყვანნა იგინი, ყოველთა კავკასისა ნათესავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მთიულეთს დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი. და ესენი იპყრნა მისანდობელად თჳსად, დედულნი“. (3, გვ.47).

„ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ საურმაგის შემდეგ, ქართლსა და დურძუკებს შორის ჩამოვარდნილა უთანხმოება. ფარნავაზიანთა მესამე ქართლის მეფის მ ი რ ი ა ნ I-ის (მირვანი) (ძვ. წ. II სუკუნის დასაწყისი) დროს, მომხდარა ქართველებსა და ჩრდილოეთ კავაკასიელთა ტომთა, მათ შორის დურძუკებთან ბრძოლა და მირვანს ისინი დაუმარცხებია.

ამის შემდეგაც, წყაროთა ცნობით, გრძელდებოდა საქართველოსა და დურძუკებს შორის ურთიერთ კავშირი.

ალექსანდრე მაკედონელის დროს, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლში ორმეფობის დროს, იბერიის მეფეებმა აზორკმა და არმაზელმა, მოიხმეს ლეკები და ოსები, რომელთა შორის იმყოფებოდნენ დურძუკები და დიდოელნი და შეერთებული ლაშქრით, სომხების მიერ წართმეული ქართული მიწების დასაბრუნებლად შეიჭრნენ სომხეთში, მოაოხრეს სომხების მიდამოები და ნადავლითა და ტყვეებით გამობრუნდნენ უკან.

შემდგომ საუკუნეებშიც დურძუკებსა და ქართველებს მჭიდრო ურთიერთობა ქონდათ. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის ტომები, დურძუკებიც საქართველოს „ყმადნაფიცი“ იყო. ხოლო საქართველოში, „ყმადნაფიცი“ ქვეყანა, ხდებოდა ის დაპყრობილი სახელმწიფო, სადაც მოსახლეობის უმცირესობას წარმოადგენდნენ ქრისტია-ნები. ასეთი ქვეყნის მმართველის საშინაო უფლებები არ იზღუ-დებოდა. ის მხოლოდ ვალდებული იყო, რომ საქართველოს მეფისადმი ყოფილიყო ერთგული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოდან გავრცელდა ქრისტიანობა და მათ შორის დურძუკეთშიც.

„ქართლის ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ თამარ მეფის დროს მთიელებთან ერთად, დურძუკეთიც ემორჩილებოდა საქართველოს.

„ჟამთააღმწერელი“-ს გადმოცემით, საქართველოს მეფის რუსუდანის დროსაც, დურძუკები ისევ საქარ-თველოს ემხრობოდნენ. როდესაც ჯალალედინი მეორედ გამოემართა თფილისისაკენ, რუსუდანმა „მოუწოდა ყოველსა სპათა თჳსთა, იმერთა და ამერთა.... განუხუნა კარნი დარიალისანი და გარდმოიყვანნა ოჳსნი, დურძუკნი, ამათ თანა ყოველნი მთიულნი.

შეკრბეს ნაჭარმაგევსა სიმრავლე ურიცხჳ და წარავლინა მეფემან ბრძოლად ხვარაზმელთა“. (3, გვ.544).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, საქართველოს სამთავროებად დაშლის შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიელ ტომებთან კავშირი ნაწილობრივ წყდება და ხშირად მტრებადაც გვევლილებიან. ხოლო, XIV საუკუნის I ნახევარში, როდესავ საქართველო მონღოლთა უღლისაგან განთავისუფლდა და მისი საზღვრები „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ აღსდგა, კავკასიანი: დურძუკ-ღუნძნი, ოვსნი და სხვები, „კუალად მოხარკედ აქუნდა და არღარა იყო წინააღმდეგი და ურჩი მისი“. (4, ტ.IV, გვ.259).

შემდგომ საუკუნეებში, როდესაც არა თუ საქართველო, არამედ მთელი კავკასია, როგორც ჩრდილოეთი, ასევე სამხრეთი, აღმოჩნდა გაშემორტყმული ირან-ოსმალეთ-რუსეთისაგან, წერილობით წყაროებში დურძუკეთმა დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და ხშირად დურძუკეთად აღნიშნავდნენ როგორც ჩაჩნებს ასევე ინგუშებსაც, ზოგჯერ ორივეს ერთად. XVIII საუკუნეში, აღნიშნავდნენ ჩაჩნებსა და ინგუშებს „დურძუკეთით“ და „ღლიღვით“, ხოლო შემდეგ წლებში ჩნდება ახალი სახელწოდებები „ვეინახები“ და „ნახები“. ცნობილია, რომ დურძუკების ნაწილი ჩამოსახლდა ქართლის მთიანეთში და შეერწყმა ადგილობრივ მოსახლეობასთან.

4. ვ ე ი ნ ა ხ ე ბ ი.

მეცნიერები, **ვეინახებს** მიაკუთვნებენ ჩაჩნურ და ინგუშურ ენებზე მოლაპარაკე ტომებს, რომლებიც განეკუთვნებიან იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს და შედიან ნახურ ჯგუფში, რომელიც აერთიანებს ჩაჩნებს, ინგუშებს და მათ მონათესავე ბაცბებსა და ქისტებს. ნახურ ენებზე მოლაპარაკე ტომები ძირითადათ სახლობენ ჩაჩნეთში, ინგუშეთში და საქართველოში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩაჩნური და ინგუშური ახალი დამწერლობის ენებს წარმოადგენენ, ხოლო ბაცბური უმწერლობო ენაა.

მართალია, ისტორიულ წყაროებში ნაკლებად გვხვდება ცნობები ვეინახებსა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ, მაგრამ, შემორჩენილი „წერილობითი წყაროები და მატერიალური კულტურის ძეგლები მოწმობენ, რომ კავკასიის მთიანეთის ცენტრალური ნაწილის მცხოვრებნი ოდითგანვე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ამიერკავკასიის ხალხებთან.

მათი ურთიერთობის განვითარებას ხელს უწყობდა გეოგრაფიული მდებარეობა. აქ გადიოდა დიდმნიშვნელოვანი მაგისტრალები, რომლებიც სამხრეთს ჩრდილოეთთან, დასავლეთს აღმოსავლეთთან აკავშირებდნენ და სხვადასხვა ქვეყნებსა თუ ხალხებთან ურთიერთობის პირობებს ქმნიდნენ“. (28, გვ.82). ხოლო, ვინაიდან, კავკასიაში გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ძირითადი, მთავარი გზა საქართველოზე გადიოდა და საქართველო იყო უძველესი დროიდან კულტურისა და ეკონომიკის მხრივ განვითარებული ქვეყანა, ამიტომ იმიერ და ამიერ კავკასიის ურთიერთობისას, ქართველები ზეგავლენას ახდენდნენ მის მეზობლად მდებარე ჩრდილოეთ კავკასიელებზე.

საუკუნეების განმავლობაში მომქმედ ქართველებსა და ვეინახების ურთიერთობაზე ზეგავლენა იქონია და ლახვარი ჩასცა, მთელს კავკსაიაში მომხდარმა სოციალურ-პოლიტიკურმა მოვლენებმა, თათარ-მონღო-ლთა და თემურ-ლენგის გამოჩენამ, მათმა დამანგრეველმა და

საშინელმა შემოსევებმა, ხოლო შემდეგ კავკასიაში თურქმანთა ტომებისა და რუსეთის გამოჩენამ, რომლის გამო, კავკასიაში სახელმწიფოებსა და ტომებს შორის განხეთქილებისა და ურთიერთ დაპირისპირების მიზეზი გახდა.

საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ ვეინახებს საუკუნეების განმავლობაში ახლო ურთიერთობა ქონდათ მის მეზობელ ქართველებთან, კერძოთ თუშებთან, ხევსურებთან და ქართლ-კახეთთან. რომელიც კეთილ-მეზობლურიც იყო და ზოგჯერ მტრულიც.

ცნობილია, რომ XI საუკუნიდან, მთიან ადგილებში მცხოვრები ვეინახები, საქართველოს პოლიტიკურ გავლენის ქვეშ მოექცა და აქედან დაიწყო გავრცელება ვეინახებში ქრისტიანულმა სარწმუნეობამ. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემდეგში, ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ დაღესტანში და მათ შორის ვეინახებშიც, მუსულმანურმა სარწმუნეობამ ქრისტიანული სარწმუნეობა თანდათან გამოდევნა.

ქართულ წყაროებში ვეინახები მოხსენებულნი არიან დურძუკებად (ძურძუკებად). შემდგომში, თანდათან, ამ ეთნონიმით ჩაჩნებს მოიხსენიებდნენ. წყაროებიდან ჩანს, რომ ვეინახების საქართველოში ჩამოსახლება დაიწყო ჩვ. წ. III საუკუნიდან. ზევით აღვნიშნეთ, რომ საქართველოს მეფემ საურმაგმა ლიხსაქეთ საქართველოს მთიანეთში გადმოასახლა „კავკასიელნი“ და „დედულნი“ – დურძუკები. XIII საუკუნიდან კავკასიის ქედის სამხრეთში, დაიწყო ვეინახების გადმოსვლა. განსაკუთრებით გაძლიერდა მათი ჩამოსახლება XVIII საუკუნის II ნახევრიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე.

XVIII – XIX საუკუნეებში საქართველოში გადმოსულნი ვეინახები, ძირითადათ ქისტებად წოდებული ჩაჩნები, სახლდებოდნენ და დროთა განმავლობაში ისინი ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ.

„XVI–XVIII საუკუნეებში ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში თუშებთან ერთად ვეინახებიც მონაწილეობენ. ამ დროს ინტენსიური ხდება მოსახლეობის მოძრაობა როგორც ჩრდილოეთიდან სამხრეთით, ისე სამხრეთიდან ჩრდილოეთით, რის შედეგადაც თუშეთში ჩნდებიან გარკვეული ვეინახური ეთნიკური ჯგუფები, ხოლო ჩეჩნეთ-ინგუშეთში – ქართული.

XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში თუშებსა და ვეინახებს შორის ურთიერთ-დამოკიდებულება ნაწილობრივ იცვლება. მეზობლურ დამოკიდებულებასთან ერთად შეიმჩნევა ურთიერთ თავდასხმები, პირუტყვის მოტაცება. ამ ურთიერთობას ამწვავებდა მეფის რუსეთის შოვინისტური პოლიტიკა, რომელიც პატარა ტომებს ერთმანეთს უპირისპირებდა და მათ შორის შუღლს თესავდა“. (28, გვ.105).

1994 წლიდან ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებული სამხედრო მოქმედებების გამო, ვეინახებმა თავი შეაფარეს ისევ საქართველოს. ისინი ჩამოვიდნენ თიანეთსა და თელავის რაიონებში. ხოლო ნაწილი პანკისის ხეობაში ჩასახლდა.

5. ბაცბები.

ბაცბები (წოვა-თუშები) მცირე ტომია, რომელიც ჩაჩნებისა და ინგუშების მონათესავე ერს წარმოადგენენ. ისტორიულად ცხოვრობდნენ თუშეთში, თუშებთან ერთად, მდ. ანდი ყოისუს ზემო მხარეში. დღე-ვანდელ დღეს ბაცბების უმრავლესობა იმყოფება ალაზნის ზემო ნაწილში, ქ. ახმეტასთან ახლოს, სოფ ზემო ალვანში.

მეცნიერები თვლიან, რომ ბაცბები წარმოადგენენ XVI საუკუნეში ინგუშეთიდან გადმოსახლებულ ტომთა შთამომავლებს, რომლებიც წინათ ცხოვრობდნენ არმხის ხეობაში (ჯარიახის ხეობა) ნასოფლარ ერზიდან.

დღევანდელ დღეს, სხვა ტომთა განსხვავებით (მაგ. ქისტები) ბაცბები არ გამოიყოფიან ცალკე ეთნიკურ ტომად, ისინი ითვლებიან ქართველებად.

სამეცნიერო ლიტერატურაში ბაცბურ ენას უწოდებენ წოვათუშურ ენას, რომელიც შედის იბერიულ-კავკასიურ ენათა ნახურ ჯგუფში. ამ ენაზე ლაპარაკობენ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკაში, ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანში მცხოვრები წოვათუშები, რომლებიც დაახლოებით 3 000 კაცს შეადგენს.

ბაცბურ ენას „ქართულად უწოდებენ თუშურსაც.....

ქართული ენის გავლენით ბაცბურ ენაში დიდი რაოდენობითაა შესული ქართულიდან ნასესხები სიტ-ყვები. მკაფიოდ გამოხატული სესხების წესები ჩამოყალიბებულია ბაცბურ ენის ლინგვისტური მოდელის მიხედვით". (8, ტ.2, გვ.252).

წოვათუშები წარმოადგენენ ქართული ეროვნული კულტურისა და აზროვნების გამტარებელ ტომს. მათი სასაუბრო ენაა წოვათუშური (ბაცბური) და აგრეთვე, მეორე ენაა – ქართული.

მეცნიერთა მიერ, ისტორიული ტოპონიმიკიდან და არქეოლოგიური ძეგლებით დადგენილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს თიანეთში, პირველყოფილი თემური წყობილების დროს, ერთმანეთის დამოუკი-დებლად, ქართველურ ტომებთან ერთად, დაღესტნურ-ვეინახური ცალკეული მონათესავე ტომები ცხოვ-რობდნენ. შემდეგ საუკუნეებში მოხდა ამ ტომების შერწყმა და ერთიანი ქართული ეროვნების ჩამოყალიბება. რასაც ხელი შეუწყო თიანეთში ქრისტიანული სარწმუნეობისა და ქართული კულტურის გავრცელებამ. ზემოთ ვთქვით, რომ აღმოსავლეთ საქართველოს თიანეთში და ბარშიც, შემდგომ საუკუნეებშიც ხდებოდა გამუდმებით ჩრდილოეთ კავკასიიდან სხვადასხვა ტომთა ჩამოსახლება.

ასევე მოხდა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეში თუშეთში, ინგუშების მონათესავე ტომის **წოვების** ჩამოსახლებაც. თუშეთის ისტორიის შესახებ ს. მაკალათია წერდა: „თუშეთის ისტორია ჯერ კიდევ გამოურკვეველია და ბურუსით არის მოცული". (თუშეთი. 1933 წ.). მართალია, დღევანდელი დღისთვის ბევრი რამ ცნობილი გახდა თუშეთის ისტორიიდან, მაგრამ, კიდევ არა ერთი საკითხი დარჩა გამოსაკვლევი.

ისტორიკოსი ვ ა ლ ე რ ი ა ნ ე ლ ა ნ ი ძ ე **თუშეთისა** და **წოვების** შესახებ წერს, რომ:

„თუშეთის ახლანდელი ტერიტორია უძველესი ხანიდანვე თუშეთად იწოდებოდა და იქ მცხოვრებ ხალხს თუშებად (მოსოქებად), თუშ ტომად იცნობდნენ. ასე გრძელდებოდა თუშეთის ისტორია საუკუნეების მანძილზე, რადგან საქართველოს ბარიდან შემოხიზნული თანამემამულენი თუ იმიერკავკასიიდან თუშეთში საცხოვრებლად გადმოსული ოჯახები თვითონ თუშთებოდნენ და თუშზე, როგორც ერთ-ერთ უძველეს ქართულ ტომზე, არსებით ზემოქმედებას ვერ ახდენდნენ. მაგრამ თუშეთში წოვების საკმაოდ მასობრივმა დასახლებამ თუშეთის ეთნიკურ შემადგენლობაში სიახლე შეიტანა, რადგან მათ სრულიად ახალი, დამოუკიდებელი თემი – წოვათა თუში შექმნეს და ამ მოვლენამ თანდათანობით სატომო სახელ „თუშზეც" იმოქმედა. წოვების ხანგრძლივად თუშეთში ცხოვრებამ გამოიწვია მათი სატომო სახელის – „წოვის" „წოვა-თუშად", ხოლო სატომო სახელ „თუშის" „ჩაღმა-

თუშად“ გარდაქმნა-გადაკეთება.

ტერმინი – „ჩაღმა“ თუშეთის ერთი თემის, ერთი კუთხის სახელია და სატომო სახელად ვერ გამოდგება.

ის ქართველი ტომი, რომელსაც ახლანდელი თუშეთის ტერიტორია დაუსახლებია, თუშეთის გეოგრაფიული მდებარეობის გამო თავიდანვე დანაწევრებულა და დასახლების სამი უბანი შეუქმნია: ჩაღმა, გომეწარი და პირიქითი. დროთა ვითარებაში დასახლების ეს გეოგრაფიული სახელები თემის სახელებადაც იქცა და მივიღეთ სამი თემი, სამი საზოგადოება: ჩაღმა, გომეწარისა და პირიქითისა....

ქართული საარქივო მასალებითა და გამოქვეყნებული ლიტერატურითაც წოვების თუშეთში ცხოვრება მხოლოდ XVII ს-ის მეორე ნახევრიდან აღინიშნება. ამასვე ადასტურებს ქართული ზეპირსიტყვიერებაც, კერძოდ, ბახტრიონის ავჯანყების თაობაზე შექმნილი ლექსები და გადმოცემები.

თუშეთში წოვების დასახლებიდან დღემდე მიმდინარეობს კვლევა-ძიება თუშებისა და წოვა-თუშების იგივეობა-განსხვავებულობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხმა თავიდანვე როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევებში ძირითადად სწორი ასახვა პოვა და გაირკვა ამ ორი ტომის ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული წარმომავლობა....

თუშეთში წოვების დასახლება გამოწვეული უნდა იყოს იმ მრავალსაუკუნოვანი მჭიდრო ეკონომიკურ-კულტურული და სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობით, რაც თუშებს და მის მეზობელ იმიერკავკასიელ მთიელებს ჰქონდათ, რადგან როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „აქამდე გაწეული შრომა, დაკვი-რვება და ანალიზი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველთა, სინდ-ღლიღვ-ლეგ-ალბანელების შერეული წინაპრები ღვიძლი მოძმე ტომები ყოფილან, რომელთაც მონათესავე და თავდაპირველად ერთი ენაც კი უნდა ჰქონოდათ“. (27, გვ.21-24). შემდეგ, ვ. ელანიძე განაგრძობს:

„კავკასიის უძველესი მოსახლეობის საერთო კულტურისა და უტყუარი ნათესაობის თანამედროვე კვლევა-ძიების შედეგები ნათელს ჰფენს და თანდათან უფრო დამაჯერებელს ხდის XI საუკუნის მეორე ნახევრის დიდი საეკლესიო მოღვაწის ლეონტი მროველის თეორიას, რომლითაც ქართველები და კავკასიის სხვა ხალხები ერთი მამიდან, ერთი ფუძიდან მომდინარეობდნენ.

ქართველი ხალხისა და იმიერკავკასიელი ხალხების თავდაპირველი წარმომავლობის მიხედვით ერთ ისტორიულ ჭრილში განხილვის თანამედროვე მიღწევები საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ თუშეთის მეზობლად მცხოვრები ღალღები (წოვები) ალბათ დანარჩენი ღლიღვებისაგან განსხვავებით უფრო მეტად ავლენდნენ თავდაპირველ ბუნება-ნათესაობას ქართულ ენასა და კულტურასთან, ქრისტიანობასთან. როგორც მშობლიურ რელიგიასთან, ისტორიულ სამშობლოსთან, რამაც თუშ ტომს მისცა საფუძველი, რათა სათუშო ყრილობის გადაწყვეტილებით (ასე მსჯელობს თუშური გადმოცემა) დაეკმაყოფილებინა თანამოძმეთა თხოვნა და მათთვის თუშეთში დასახლების უფლება მიეცათ. ასეთია ჩვენი ვარაუდი ამ ურთულეს საკითხზე, რაც, რა თქმა უნდა, მომავალში უფრო გაირკვევა, დაიხვეწება და ნათელი გახდება მისი ნამდვილი ისტორია. (27, გვ.25).

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მეფის რუსეთისა და საბჭოთა კავშირის დროსაც

ხდებოდა საქართველოს მთიანი მხარის დაცარიელება, მთიელები იძულებულნი იყვნენ ბარში დასახლებულიყვნენ. ცნობილია, რომ „1801 წელს თუშეთში აღირიცხებოდა 1019 კომლი, 1860 წელს – 786, 1931 წელს – 379, 1963 წელს – 110 და 1975 წელს – 70. სტატისტიკური მონაცემები თვალნათლივ ასახავს თუშეთიდან ბარისაკენ დაწყებული მიგრაციული პროცესების დინამიკას. ბარისაკენ მოსახლეობის ლტოლვა სხვადასხვა მიზეზებით იყო განპიროვნებული, როგორიცაა გვაროვნულ-თემობრივი ინსტიტუტების რღვევა და სახელმწიფოებრივი ფორმების დამკვიდრება, ნატურალური მეურნეობის რღვევა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარება, მკაცრი კლიმატურგეოგრაფიული პირობები და შეზღუდული საარსებო სივრცე. ბოლოს, 1959 წელს, საბჭოთა ხელისუფლებამ პოლიტიკური მოსაზრებით გააუქმა კოლექტივები თუშეთში და მოსახლეობა იძულებით ჩამოასახლა ბარში.

XX საუკუნის II ნახევარში, ზემოხსენებული პროცესების შედეგად ძირეულად შეიცვალა თუშების ცხოვრებისა და განსახლების გეოსოციალური სურათი. თუშების ძირითადმა საცხოვრისმა თუშეთიდან გადაინაცვლა ბარის სოფლებში – ზემო ალვანში, ქვემო ალვანსა და ლალისყურში, ხოლო თუშეთმა და შირაქმა საზაფხულო და საზამთრო საძოვრებისა და სეზონური საცხოვრისის ფუნქცია შეიძინა“. (85).

6. ქისტები.

ქისტები კავკასიის ძირძველ ვეინახებს (ჩაჩნები, ინგუშები) ეკუთვნიან, რომლებიც როგორც ჩაჩნები და ინგუშები, თავიანთ თავს „ვეი ნახ“-ს („ჩვენი ხალხი“) უწოდებენ, რომ გამოყოფილიყვნენ სხვა ჩრდილოეთ კავკსიაში ჩასახლებულ მთიელებისაგან. ქისტები, წარმოადგენენ ჩაჩნების ერთ-ერთ ტომს, რომლებიც ჩასახლდნენ საქართველოს თიანეთში. მათ ქართველებმა უწოდეს ქისტები.

საუბრობენ ჩაჩნურ-ინგუშური ენების ქისტურ დიალექტზე. „ქისტები მშობლიურ ენასთან ერთად ფლობენ ქართულ ენას. პანკისის ხეობის ქისტური მოსახლეობის ყოფაში ძლიერ იგრძნობა ქართული მატერიალური კულტურის გავლენა... განათლებას ქართულ ენაზე იღებენ. ზოგ ოჯახში ლაპარაკობენ ქისტური დიალექტისა და ქართულის შერევით მიღებულ ჟარგონზე“. (8, ტ.10, გვ.537).

ცნობილია, რომ „კომუნისტების დროს იყო მცდელობა იქ რუსული სკოლების გახსნა-დაარსებისა, მაგრამ ქისტებისაგან სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ“. (59).

ქისტები სარწმუნეობის მხრივ მაჰმადიანი მუსლიმები არიან. რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელდა XVIII საუკუნის II ნახევრიდან. „მანამდე ისინი ძირითადათ ქრისტიანები იყვნენ. მათი ნაწილი, დღესაც ქართულ ეკლესია-მონასტერ-სალოცავებში ანთებს სანთელს და კლავს საკ-ლავს. ქისტებს საკუთარი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია აქვთ ჯოყოლოს ცენტრში. დუისელების სალოცავია წუ (წე), რაც ქართულად წმინდანს ნიშნავს. ომალოელებს სალოცავად აქვთ წმინდა გიორგის, თუშოლის (ქართულად ღვთისმშობლის) და კოპალას ნიშები. ბირკიანელთა სალოცავია ყურის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც მდებარეობს სოფლის განაპირას, იქ, სადაც ტყის მასივი ყურესავითაა შეჭრილი და ამიტომ ჰქვია ყურის ეკლესია.

პანკისელი ქისტები ტრადიციულად სალოცავად დაიარებიან ალავერდისა და თეთრი გიორგის (აწყურის) მონასტრებში რელიგიურ დღესასწაულებზე (ალავერდობა, თეთრი გიორგობა).

ქისტები განსაკუთრებულად აღნიშნავენ და დღესასწაულობენ აღდგომას.....

ქისტებს ქართველებთან ნათელ-მირონობაც აკავშირებთ. თუ თავდაპირველად ადათი კრძალავდა ქართველებთან საქორწინო კავშირს, ამჟამად შერეული ქორწინება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ქართველთა პატივისცემასა და სიყვარულზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ქისტებმა ჩამოსახლებისთანავე თავიანთ გვარებს ქართული დაბოლოება – შვილი და ძე მისცეს. რაღა თქმა უნდა, გვარები მამა-პაპათა სახელებიდან აწარმოეს. პანკისელი ქისტების ძირითადი გვარებია: მარგოშვილი, დუიშვილი, ხანგოშვილი, ბაღაკაშვილი, ბორჩაშვილი, იმედაშვილი, მაჩალიკაშვილი, გაურქაშვილი, გუმაშვილი, წუწაშვილი, ფარეულიძე, ციხესაშვილი, გუნაშაშვილი.....

ცხადია, პანკისელ ქისტებს აქვთ თავიანთი ტრადიციები, რელიგია, სალოცავები – მეჩეთები, ჰყავთ მოლები და მოლების თამადა – ყეედი. მოქმედებს უხუცესთა საბჭო, რომელიც ყველა სადავო საკითხის გადასაწყვეტად იკრიბება ხოლმე“. (59).

ზევით აღვნიშნეთ, რომ ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ ქართველებსა და ვეინახურ (ჩაჩნები, ინგუშები) ტომებს, ანტიკურ დროსაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონიათ. სხვადასხვა დროს ქართველებთან ერთად იბრძოდნენ.

პანკისი – წარმოადგენდა ძველი კახეთის სამთავროს ერთ-ერთ საერისთავოს, რომელიც პირველად წყაროებში მოხსენებულია XI საუკუნის შუა წლებში. მოიცავდა პანკისის ხეობას, ალვანის ყელსა და თუშეთს. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ახმეტის რაიონში, პანკისის ხეობაში, ხალაწნისა და მაღრანის ხევების წყალგამყოფ მთაზე შემორჩენილი ციხის ნანგრევები ადრე იყო საერისთავოს მთავარი ციხე-სიმაგრე. პანკისი XII–XIII საუკუნეებში კახეთის საერისთავოში შედიოდა. XVI საუკუნიდან, კახეთის სამეფოს ერთ-ერთ სამოურავოს წარმოადგენდა. პანკისის ციხე შუა საუკუნეების ბოლო ხანებში წყაროებში მოხსენებულია როგორც მაღრანის ციხე.

„ქართველები და ქისტ-ჩაჩნები, რომ მონათესავე ხალხები ვართ, სხვა ისტორიული წყაროებითაც დასტურდება. მარი ბროსეს ცნობით, თეიმურაზ პირველი რუსეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილში ხაზ-გასმით აღნიშნავდა, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთის მოსახლეობის ნაწილი XVII საუკუნის 30-იან წლებში ქრისტი-ანულ სარწმუნეობას აღიარებდა. ამასთან, როგორც ნიკო მარი ამტკიცებს, ქართული ენა ჩრდილოეთ კავკასიის ტომებისათვის ხშირად სახელმწიფო ენა იყო. აი, თეიმურაზ ბატონიშვილი კი ქისტ-ძურძუკ-ღლიღვებს თავიდანვე ქართულად მოლაპარაკე ტომებად აცხადებს“. (59).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვეინახების გადმოსახლება კახეთის თიანეთში დაიწყო XVII საუკუნიდან. მათი გადმოსახლება საქართველოში დროგამოშვებით, ნაწილ-ნაწილ ხდებოდა. ხოლო მათი დიდი რაოდენო-ბით ჩამოსახლება მოხდა XIX საუკუნის 20-იან და 60-იან წლებში. როცა რუსეთის იმპერიის მიერ მიმდი-ნარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში ბარბაროსული დაპყრობითი ომები. ჩრდილო კავკასიიდან გამოქცეული ქისტები, ძირითადათ სახლდებოდნენ, მათ მეზობლად მდებარე თუშეთში. ამჟამად ქისტების ეთნიკურ ჯგუფს,

უკავიათ ახმეტის რაიონში, მდ. ალაზნის ზემო წელზე მდებარე პანკისის ხეობაში, მდებარე „სამი დიდი სოფელი: დუისი, ჯოყოლო და ომალო, 60-დან 120 კომლამდე თითოეულში და სამი ახალშენი: ხოროჯა, ჩხატიანი და ქართაბუდე, 6-იდან 12 კომლამდე თითოეულში. ამ ეროვნების დანარჩენი ნაწილი ცხოვრობს ყოფილი თიანეთის მაზრის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში მთიელთა რესპუბლიკის საზღვართან. 2002 წლის მოსახლეობის აღწერით საქართველოში ცხოვრობდა 7 110 ქისტი“. (86).

წყაროებიდან ირკვევა, რომ ქისტების ჩამოსახლებას თუშეთში, უწყობდნენ ხელს თვით თუშები, რადგან ამით თიანეთის ქართველობა თავს იცავდა, იმ დროს გახშირებულ მოთარეშე ლეკთა თავდასხმისახაგან, როგორც ერთ-ერთ დამცავ საშუალებათ. ხოლო როდესაც ეკონომიური მდგომარეობისა და გახშირებული ავადმყოფობის გამო ქისტებმა დააპირეს უკან დაბრონება, თუშები ყოველმხრივ ცდილობდნენ მათთვის ხელი შეეშალათ.

წყაროებიდან ცნობილია, „რომ მთიანი ჩეჩნეთის ერთ-ერთი თეიფი (გვარი), რომელიც მაისტის თემს განეკუთვნება, ერთი მხრივ, შამილის რეპრესიებითა და, მეორე მხრივ, უმძიმესი ეკონომიური პირობებით შევიწროებული, ტოვებს მშობლიურ ადგილებს და გადადის თიანეთის ტერიტორიაზე, ხოლო აქედან – პანკისის ხეობაში.... გადასახლებას ხელმძღვანელობს მაისტის თემის ერთ-ერთი წინამძღოლი, ვინმე ჯოყოლა..... მალევე თავიანთი გადმოსახლების შემდეგ მოუსვენარი ქისტები შეგროვდნენ და გადაწყვიტეს უკან, ჩეჩნეთში, დაბრუნება. თუშები გამოუდგნენ მათ და წიფლოვანის ხეობაში დაეწივნენ. თუშებმა ვერაფერი ვერ იღონეს და ქისტები წავიდნენ. ჯოყოლა შეიპყრეს ჩეჩნეთში და როგორც მოღალატე მიჰგვარეს შამილის ვაჟს ყაზი-მახამას, რომელიც იმ დროს ჩეჩნეთს მართავდა.

ყაზი-მახამას ბრძანებით ჯოყოლას თავი მოჰკვეთეს. მაგრამ თუშები მაინც არ ისვენებდნენ. ისინი კვლავ გადავიდნენ ქისტეთში და კიდევ გადმოიყვანეს ქისტები პანკისში, სოფელს ბელადის სახელი – ჯოყოლა, დაარქვეს“. (29, გვ.97–99).

ცნობილია, რომ რუსეთის მთავრობაც ხელს უწყობდა კავკასიელ მთიელთა ჩამოსახლებას პანკისის ხეობაში, ხოლო ქართველებს, არ აძლევდა უფლებას, რომ იქ დასახლებულიყვნენ.

ქისტებსა და თუშებს შორის ურთიერთობა ყოველთვის მეზობლური არ ყოფილა. განსაკუთრებით გამწვავებულა მდგომარეობა რუსეთ-ჩაჩნეთის ომის დროს. წყაროებში მოხსენებულია, რომ „XIX ს. 20-იან წლებში თუშეთს თავს დაესხა მეკობრე ქისტების ჯარი“. წყაროებში „აღნიშნულია, რომ ქისტები თუშების დაუძინებელი მტრები გახდნენ, ისინი ლეკებთან ერთად თავს ესხმიან თუშეთს“. 1850-იან წლებში გახშირებულა თუშეთში ჩეჩნებისა და დაღესტნელი ხანების თარეში.

თუშეთში, ჩეჩენ-ინგუშებისა და ქისტების მეკობრეების შემოსევების შესახებ ასახულია არა ერთ ფოლკლორულ მასალებშიც. (29, გვ.102).

ქისტებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო, ცვალებადი იყო. „იყო მტრობაც, ურთიერთთავდასხმები. მაგრამ ეს ხდებოდა, უმთავრესად საარსებო საშუალებათა მოპოვებისათვის (ცხვარ-ძროხისა და ცხენ-ჯოგის დატაცებები). თუმცა მტრობით დაქცეულს მალევე სიყვარული აშენებდა. პანკისელი ქისტები (და არამარტო პანკისელი) იმთავითვე ქართველთა ჭირისა და ლხინის ერთგული გამზიარებლები გახდნენ“. (59).

ამ ბოლო წლებში, რუსეთის იმპერიის მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარებული ომის შედეგად, განსაკუთრებით რუსეთ-ჩაჩნეთის მეორე ომის დროს, საქართველოს ისევ თავი შეაფარეს დაახლოებით 7 000-ზე მეტმა ლტოლვილმა ჩეჩენ-ქისტ-ინგუშებმა და პანკისის ხეობაში ჩასახლდნენ. რუსეთის ხელისუფლება, როგორც ადრე, ეხლაც ცდილობს ერთმანეთს დაუპირისპიროს ქართველები და ჩრდილოეთ კავკასიელები და პანკისის ხეობა ტერორისტთა სადგომად გამოაცხადა.

დღევანდელ დღეს ქისტები ჩასახლებულნი არიან პანკისის ხეობის 6 სოფელში: დუისში, ჯოყოლაში, ძიძახევში, ომალოში, ბირკიანიში და შუახალაწანიში. (70).

„სხვათაშორის, ქისტ-ჩეჩნეთში არის ეთნიკური ტომი მალხები. ისინი დღემდე თავის თავს თვლიან ძველი კოლხების ჩამომავლებად. გადმოცემით მეფეთმეფე ვახტანგ გორგასალს კოლხეთის ჭაობიანი ადგილებიდან მოსახლეობის ნაწილი, ძირითადად ახალგაზრდობა, აუყრია და ჯანსაღ ადგილას, მთებში, აუსახლებია. ამით ჭკვიანმა და შორსმჭვრეტელმა მეფემ ორი დიდი საქმე გააკეთა – ახალგაზრდობა მალარიის კერტას განარიდა და ჩრდილოეთის საზღვრები გაამაგრა“. (59).

7. დაღესტნელები.

დღევანდელ დღეს **დაღესტანის რესპუბლიკა** ექვემდებარება რფრ-ს და შედის ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალური ოლქის შემადგენლობაში. დედაქალაქია **მაჰაჩყალა.**

მაჰაჩყალა დაარსდა 1844 წელს ანჯი-არკის ბორცვზე, „როგორც რუსული სამხედრო სიმაგრე პოე-ტროვსკოე. რომელიც მთიელთა შორის ცნობილი იყო სახელწოდებით ანჟი-კალა (წამებული ციხე-სიმაგრე). 1857 წელს დასახლებამ მიიღო ქალაქის სტატუსი და დასახელება – საპორტო ქალაქი პოტროვსკი. აღნი-შნული დაკავშირებულია ლეგენდასთან, რომლის თანახმადაც, 1722 წლის სპარსეთის ლაშქრობის დროს ამ ადგილას პეტრე პირველის ჯარი იყო დაბანაკებული“. (87). 1922 წელს უწოდეს „მაჰაჩყალა“ – დაღე-სტნის რევოლუციონერის მ უ ჰ ა მ ე დ - ა ლ ი (მაჰაჩი) დ ა ხ ა დ ა ე ვ ი ს (1882–1918) პატივსაცემად.

დაღესტნის რესპუბლიკა შეიქმნა 1921 წლის 20 იანვარს.

დაღესტანს ესაზღვრება სამხრეთით – აზერბაიჯანი, სამხრეთ-დასავლეთით – საქართველო, დასავლეთით – ჩაჩნეთი, ჩრდილოეთ-დასავლეთით – სტავროპოლის მხარე, ხოლო ჩრდილოეთით – ყალმუხეთი.

დაღესტანი („მთების ქვეყანა“), სპარსულად და არაბულად წარმოითქმის როგორც „დაღსთან“. თურქული სიტყვისაგან „დაღ“ (მთა) და სპარსული სუფიქსის მნიშვნელობიდან – „ქვეყანა“.

„1989 წლის აღწერის თანახმად რესპუბლიკის ტერიტორიაზე 102 ეროვნების წარმომადგენელი ცხო-ვრობდა“ (12, გვ.149) და ამიტომაც მას „ენების მთასაც“ უწოდებენ. დაღესტანში არის ენები რომლებიც მხოლოდ ცალკეულ აულშია გავრცელებული.

თვით დაღესტნელები ენის მხრივ „სამ ენობრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან: იბერიულ-კავკასიური ოჯახის ნახურ-დაღესტნური განშტოებას, ალთაური ოჯახის იერარქიულ ჯგუფს და ინდოევროპულ ენობრივ ჯგუფს“. (12, გვ.149).

დაღესტნის ხალხთა უმრავლესობა ენის მხრივ განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს

და შედის ნახურ-დაღესტნურ ჯგუფში, რომელიც შედგება 3 ქვეჯგუფისაგან: ხუნძურ (ავარულ)-ანდიურ-დიდო-ური; ლაკურ-დარგული და ლეზგიური.

I. ხუნძურ ქვეჯგუფს ეკუთვნიან: ხუნძები (ავარიელები, ღუნძები);

II. ანდიურ-დიდოურ (ცეზური) ქვეჯგუფს ეკუთვნიან:

1. ანდიურში – ანდიელები, ახვახელები, ბაგვალელები, ბოთლიხელები, კარატაელები, ტინდელები, ღოღობერიელები, ჭამალალები და ჰინუხები (ხუნძურ-ანდიური);

2. დიდოურში – ბეჟიტელები (კაპუჭელები), დიდოელები, ხვარშილები და ჰენზილები.

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ქვეჯგუფს ეკუთვნიან – გოდობერილები.

III. ლაკურ-დარგულ ქვეჯგუფს ეკუთვნიან:

1. ლაკურში – ლაკები;

2. დარგულში – დარგუელები, ხაიდაყელები და კუბაჩელები (კუბაჩურ-დარგული).

IV. ლეზგიურში (კირიული) – არჩიბლები, აღულები, ბუდუხები, თაბასარანელები, კრიწები (ჯეეკური), ლეზგები, რუთულერელები (მუხადები), უდიები, წახები და ჰინალუღები.

ლეზგურ ენებს შორის თავისებურებით გამოიყოფებიან არჩიბული და ჰინალუღური ენები.

ამათ გარდა, დაღესტანში ცხოვრობენ სხვადასხვა ენის წარმომადგენლები:

1. ნახური ჯგუფის: ჩაჩნები;

2. თურქულ ენათა ოღუზური ჯგუფის: აზერბაიჯანელები;

3. თურქულ ენათა ჩრდილო-დასავლურ (ყივჩაყური) ჯგუფის: ყუმუხები და ნოღაელები;

4. ირანული ჯგუფის: თათები, „მთის ებრაელები“.

5. სემიტური ჯგუფი: ებრაელები;

6. სლავური ჯგუფი: უკრაინელები და რუსები;

7. ინდოევროპული ოჯახის სომხური ჯგუფი: სომხები.

დაღესტანი ყველაზე უფრო დიდი რესპუბლიკაა ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლეობითაც და მიწა-წყლითაც. 1929 წლის მონაცემებით დაღესტნის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 845 500 კაცს, ხოლო 2008 წლის მონაცემებით – 2 687 800 კაცს.

ქვეყნის გარეთ ცხოვრობს – 700 000-ზე მეტი დაღესტნელი.

დაღესტანში მცხოვრებთა 2002 წლის მონაცემებით ეთნიკური ჯგუფები იყო:

ავარიელები (ხუნძები) – 29,4%; აგულები – 0,9%; აზერბაიჯანელები – 4,3%; დარგინები – 16,5%; ებრაელები – 1,5%; თაბასარანელები – 4,3%; თათრები – 4,7%; ლეზგინები – 13%; ლეკები – 5,4%; „მთის ებრაელები“ – 1,17%; ნოღაელები – 1,5%; რუთულები – 1,6%; რუსები – 4,7%; სომხები – 5,7%; უკრაინელები – 2,9%; ყალმუხები – 14,2%; წახები – 8,2%; ჩაჩნები – 3,4% (76).

„მოსახლეობის რაოდენობა 2,7 მლნ. (2009 წლის პირველი იანვრის მონაცემებით)“. (12, გვ.149).

VIII საუკუნეში არაბთა დაღესტნის დაპყრობის შედეგად გავრცელდა ისლამი და შევიდა არაბული გრაფიკა. XII საუკუნეში წარმოიქმნა ე. წ. „აჯამური“ დამწერლობა. 1920 წლიდან შეიცვალა ძველი ანბანი და ეწოდა „ახალი აჯამი“. 1928 წელს დაღესტანში შემოიღეს ლათინური ანბანი თურქული ანბანის გამოყენებით. დაღესტნის „ენათა ანბანებს 1928–1938 წლებში ლათინური გრაფიკა ედო საფუძვლად, ხოლო 1938 წლიდან ლათინური რუსული

გრაფიკით შეიცვალა. უფრო ადრე კი, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რუსული გრაფიკის საფუძველზე და ცალკეული ქართული ასოებისა და დიაკრიტიკული ნიშნების დამატებით რუსმა ენათმეცნიერმა პეტრე უსლარმა (1816–1875) აფხაზურ და ჩეჩნურ ანბანებთან ერთად დაამუშავა ხუნძური, ლაკური, დარგული, ლეზგიური და თაბასარანული ენების ანბანები. იყო ცალკეული ცდები მთის კავკასიური ენებისათვის გამოეყენებინათ არაბული დამწერლობა. მაგრამ ამ ცდამ განვითარება ვერ პოვა. დაღესტნურ ენათათვის ახალი ანბანების შექმნის პროცესები დღესაც გრძელდება. სულ რამდენიმე წელია, რაც იმავე რუსული გრაფიკის საფუძველზე დამუშავდა ანბანები აღულური, რუთულური და წახური ენებისათვის“. (88).

„დღეს დაღესტანში, კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ენებად ითვლებიან რუსული და დაღესტნის ხალხთა ყველა ენა, მაგრამ მათგან თავისი დამწერლობა მხოლოდ 14 ენას გააჩნია“. (12, გვ.150). დაღესტანში ენებიდან ყველაზე უფრო მეტად გავრცელებულია დამწერლობის ხუთი ენა: ხუნძური, დარგული, თაბასარანული, ლაკური და ლეზგიური. დანარჩენებს საერთოდ არ გააჩნიათ დამწერლობა, ან მცირე დამწერლობა აქვთ. (76).

ქართულ წყაროებში, XIX საუკუნემდე დაღესტნელებს მოიხსენებდნენ მხოლოდ ერთი საერთო სახელით – ლეკებით. სხვადასხვა დაღესტნის ტომებიდან მოხსენებულნი არიან დურძუკნი, დიდოელები და ხუნძები. „უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებში ქართველებს დაღესტნის ხალხების აღმნიშვნელად თით-ქოს კიდევ ერთი კრებითი სახელი უნდა ჰქონოდათ, კერძოდ, გულხადარ, გულვხადარი თუ გლუხოდარი, „ღარის ომების ქრონიკაში“ იგი ცნობილი იყო „ბულკადარების“ სახელით.

ისტორიკოსის, ეთნოგრაფისა და არქეოლოგის დიმიტრი ბაქრაძის (1826–1890) სიტყვით, ბულ-ხადარებს საერთოდ მთაში მცხოვრებ ლეკებს უწოდებდნენ. „ჭარის ომების ქრონიკის“ შენიშვნებში გულ-ხადარები მიჩნეულნი არიან მთიელ ანდიელებად....

შეიძლება ვიფიქროთ, რომ დაღესტნის ხალხების ძირითადად აღმნიშვნელ კრებით სახელს – ქართულ – ლეკებს, სომხურ – ლეკებს, ბერძნულ – ლეგებს, არაბულ – ლაკზებს თუ ლაქზებს პირველსაწყის საფუძვლად ადრეულ საუკუნეებში დაღესტნის სხვებზე მეტად გაძლიერებული და გავლენამოპოვებული ერთ-ერთი ტომისა თუ ხალხის სახელი უნდა დადებოდა.

იმ ისტორიული მასალების მიხედვით, რომლებიც ხელთ მოგვეპოვება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი ტომი თუ ხალხი, რომელთაც ადრეულ შუა საუკუნეებში, განსხვავებით დაღესტნის სხვა მოძმე ტომებისა თუ ხალხებისაგან, დაახლოებით V საუკუნისათვის თავიანთი ძლიერი გაერთიანება შექმნეს, ლაკები უნდა ყოფილიყვნენ“. (32, გვ.7–8).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახ. წ. IV საუკუნიდან ჩრდილოეთ კავკასიაში და კერძოდ დაღესტნის სამხრეთში იწყება ქრისტიანული სარწმუნეობის გავრცელება, რომლის საეკლესიო მთავარი ადგილი გახდა დარუბანდის მახლობლად მდებარე **ჩოგი**. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ამავე ხანებში დაღესტანში გავრცელდა ალვანური დამწერლობაც. ქრისტიანობის გავრცელებას დაღესტანში მოჰყვა ქართველი მისიონერების გამოჩენაც. ქართულ და სომხურ წყაროებში მოთხრობილია, რომ „ქართველთა განმანათლებელ წმ. ნინოს ქრისტიანული სარწმუნეობა „კასპიის კარებამდე“ ე. ი. დარუბანდამდე უქადაგია“. (30, გვ.162). XIII საუკუნეში ცნობილმა მქადაგებელმა პიმენ გარესჯელმა „დაღესტანში ქრისტი-

ანობა... იქადაგა და ლეკები გააქრისტიანა“. (1, ტ.III, გვ.313). ხოლო 1724 წელს, წმინდა ი ო ა ნ ე მ ა ნ გ ლ ე ლ ი (სააკაძე) (1668–1751) და 11 სასულიერო პირი, დარუბანდში წავიდნენ და იქ ქადაგება დაიწყო, ქრისტიანობას ავრცელებდა, ეკლესიებს და ტაძრებს აშენებდა. შემდეგში, ვინაიდან „ოსეთში ქრისტიანობას უჭირდა“, ყიზლარში გადავიდა, ტაძარი ააგო და მქადაგებელთა მოსამზადებლად სკოლაც გახსნა. (89). და სხვ.

IX–XI საუკუნეებში სამხრეთ კავკასიას ჩრდილოეთიდან საფრთხე აღარ ემუქრებოდა. ხაზარების სახანო (იხ. ზევით), რომელიც ადრე მრისხანე ძალას წარმოადგენა და გამუდმებით თავს ესხმოდა სამხრეთ კავკასიას, ამ დროს, თურქთა სახაკანოს შემოსევების გამო თავს იცავდა და თითქმის განადგურამდე იყო მისული. ხოლო, სამხრეთ კავკასიაში საქარ-თველომ შეძლო ძალების მოკრეფა, გაუძლო არაბებისა და ბიზანტიის შემოსევებს და ქართველი მესვეურები იმიერ კავკასიაში მყოფ ტომებთან, დაღესტნელებთან, ალანებთან და შემდეგ ოსებთან, ახერხებდნენ ურთიერთ კავშირის დამყარებას, ხშირად თავიანთ გავლენის ქვეშ დაქვემდებარებასაც. XI საუკუნის შუა ხანებში, როდესაც სამხრეთ კავკასიაში გამოჩნდნენ ახალი დამპყრობლები თურქ-სელჩუკები, განადგურდნენ ქართველთა მონათესავე ალვანური ტომები და სომხური სამეფო-სამთავროები (სომხეთის სამეფომ დაიწყო დაცემა 908 წლიდან). ხოლო, საქართველომ შეძლო არათუ თავის გადარჩენა, არამედ შეეცადა პოლიტიკურად გაერთიანებინა მთელი კავკასია. ქართველი მეფე-მთავრებისათვის, იმიერ კავკასიაში, ძალაუფლების განმტკიცებისათვის, ერთ-ერთ მძლავრ იარაღს წარმოადგენდა ქრისტიანული სარწმუნეობის გავრცელება. XI–XII საუკუნეებში, ვინაიდან, დაღესტანი (განსაკუთრებით მისი მთიანი ნაწილი), საქართველოს გამგებლობის ქვეშ მოექცა და როგორც პოლიტიკურად, ასევე კულტურულად დაუკავშირდა საქართველოს, დაღესტანში გავრცელდა მართლმადიდებლური სარწმუნეობა და ქართული (ხუნძური) ანბანი. იქ, დღემდეა შემორჩენილი ქართული ძეგლები (ყოისუს ხეობაში სოფელ დათუნას ეკლესია, წახურის ეკლესია და სხვ.).

მიუხედავად იმისა, რომ IX–XI საუკუნეებში, სხვადასვა პოლიტიკური ვითარების გამო ქართველ მეფე-მთავრებს, „ურთიერთობა ჩრდილო კავკასიის ხელისუფლებთან ზოგჯერ მწვავე ხასიათსაც იღებდა..... ქართველი ხელისუფალნი მაინც ახერხებდნენ თავიანთი გავლენის გავრცელებას ჩრდილო კავკასიაში, რომელიც მრავალმხრივ, კერძოდ, ეკონომიკური თვალსაზრისითაც დამოკიდებული იყო საქართველოზე. ქრისტიანობაც იქ თანდათან მტკიცედ იკიდებდა ფეხს, რის შედეგადაც საქართველოს გავლენა ჩრდილო კავკასიაში კიდევ უფრო აშკარა ხდებოდა. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ხშირ დინასტიურ ქორწინებას საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის სამეფო-სამთავრო სახლებს შორის. ბოლოს და ბოლოს საქართველოს მეფეებმა შეძლეს ჩრდილო კავკასიის ხელისუფალთა თავიანთი ინტერესების შესაბამისად გამოყენება, ჩრდილო კავკასიელი მეომარი ტომებისაგან წარმომდგარი სამხედრო ძალის საქართველოს საჭიროებისამებრ წარმართვა“. (30, გვ.230).

ისტორიკოსის ფ ა ტ ი მ ა ტ ტ ა ხ ნ ა ე ვ ა ს თქმით: „XIII საუკუნისთვის ქრისტიანობას მკვიდრად ჰქონდა ფეხი მოკიდებული დაღესტანში. შენდებოდა საყდრები, მონასტრები, კულტურის ცენტრები და ყოველივე ეს არა მხოლოდ კულტუროლოგიური, არამედ უდიდესი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკური მოვლენა იყო. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვილაპა-

რაკოთ იმის თაობაზე, რომ იმ დროს დაღესტანი კავკასიის ხალხთა ერთგვარ კონფედერაციაში შედიოდა, რომელსაც საქართველო აერთიანებდა.....

იმ დროს დაღესტანში ოცამდე ქართული ეკლესია და სამი ეპარქია იყო. როგორ გგონიათ, ეს ფაქტი რამეს მეტყველებს თუ არა". (60).

დაღესტნის მიწა-წყალზე, აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები ადასტურებენ, რომ აქ, ბარსა და მთაში სახლობდნენ ადამიანები უძველესი დროიდან და მათ გაუვლიათ პალეოლითისა და ნეოლითის ხანები. ძვ. წ. III ათასწლეულში დაღესტანში გავრცელებულა მტკვარ-არაქსის კულტურა. ხოლო ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყისში, აქაურ მცხოვრებლებს გაუვლიათ გვიანდელი ე. წ. ბრინჯაოს ხანის ყაიაქენთ-ხოროჩოის კულტურა. (დაღესტნელებისა და ჩაჩან ტომთა არქეოლოგიური კულტურა).

ანტიკური წყაროების ცნობით ძვ. წ. I ათასწლეულში დაღესტნის მიწა-წყალზე სახლობდნენ **ანდაკები, გელები, დიდურები, კასპიები, ლეგები, უტიები** და სხვა ტომები.

წყაროებიდან ცხადი ხდება, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის სხვადასხვა დროს, დაღესტანში, ჩრდილოეთიდან, შეჭრილან მსხემი ტომები: სკვითები, სარმატები და სხვ. ხოლო სამხრეთიდან – აქემენიდები (ძვ. სპარსული სახელმწიფო).

ძვ. წ. I ათასწლეულის დასასრულს დაღესტნის სამხრეთი ნაწილი **ალვანეთის** („ალბანეთის", „კავკა-სიის ალაბანეთის") გავლენის ქვეშ მოექცა. ახ. წ. II საუკუნეში დაღესტნის ზღვისპირეთი **სავირებმა** (ხაზართა მონათესავე ტომი, ზოგიერთი ფიქრობს, რომ სავირები ჰუნთა ერთ-ერთი ტომი იყო) დაიპყრეს, შემდეგში, VII–VIII საუკუნეებში ისინი შეერივნენ ადგილობრივ ტომებს.

IV საუკუნეში დაღესტანს თავს ესხმოდნენ თათართა მოდგმის ტომები ჰუნები. ამავე დროს დაღესტნის სამხრეთი მხარე დაიპყრო სასანიანთა ირანმა. შემდგომ საუკუნეებშიც დაღესტანს გამუდმებით თავს ესხმო-დნენ სხვადასხვა მომთაბარე და მსხემი ტომები. VII საუკუნის შუა წლებში ჩრდილოეთ კავკასიის აღმო-სავლეთიდან ქვემო ვოლგისპირეთამდე ჩამოყალიბდა ხაზართა სახაკანო (ხაზართა კაღანატი). (იხ. ზემოთ).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, VII საუკუნეში ამიერკავკასიაში არაბების გამოჩენის შემდეგ, დაიწყო ხაზარებსა და არაბებს შორის სასტიკი ბრძოლები. VIII საუკუნის შუა ხანებში, არაბების მიერ დაღესტნის მთლიანად დაპყრობის შემდეგ, იწყება ქ. დარუბანდიდან ისლამის გავრცელება, რომელიც, XV საუკუნეში დაღესტნის დასავლეთის მთიანი და მაღალმთიანეთის მხარეები მოიცვა და შემდეგში თანდათან მთელს დაღესტანში დამკვიდრდა. XVIII სუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში დაღესტნის მოსახლეობა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ძველ ადათ-წესებს, მაგრამ, რუსეთ-კავკასიის ომის დროს, იმამებმა შეძლეს გაერთიანებინად დაღესტნის სხვადასხვა ტომები და ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ საღვთო ომი წამოიწყეს (იხ. ზემოთ). რომელიც მარცხით დამთავრდა. მაგრამ ისლამმა შეძლო დაღესტანში მკვიდრად ფეხის მოკიდება და დღევანდელ დღეს, დაღესტანში „ისლამი ორი სახით არის წარმოდგენილი: **სუნიზმის** მიმდევრებად (მოსახლეობის 97%-მდე) და **შიიზმად** (დაახლოებით 3%). სუნიტები, თავის მხრივ, იყოფიან **თარიკატის** და **ვაჰაბიზმის** მიმდევრებად, რომელთა როლი ბოლო დროს მკვეთრად ძლიერდება.

ამჟამად რსპუბლიკაში დაახლოებით 2 ათასი მეჩეთი ფუნქციონირებს. რელიგიური ცხოვრების ხელმძღვანელეობა ძირითადად ხორციელდება დაღესტნის მუსულმანთა სასულიერო სამმართველოს მეშვეობით, რომელიც რესპუბლიკის მუსულმანთა სასულიერო ცხოვრების მართვის ოფიციალურ ორგანოს წარმოადგენს.....

დაღესტნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა (90,7%-ზე მეტი ისლამის მიმდევარია, დანარჩენი ნაწილი ქრისტიანობას და იუდაიზმის აღიარებს. ქრისტიანები იყოფიან მართლმადიდებლად და გრიგორიანელებად. იუდაიზმს აღიარებენ მთიელი ებრაელები. მათი ნაკადი წამოსულია ბაბილონიდან და სპარსეთიდან, მე-7 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე (დღეს მათი უმრავლესობა ტატამებად იწოდება)". (78).

„1996 წლის 1 იანვრის მონაცემებით, დაღესტანში ფუნქციონირებდა 1670 მეჩეთი, 7 ეკლესია, 4 სინაგოგა, 3 ადვენტისტთა „მეშვიდე დღის" თემი, 4 ევანგელისტ ქრისტიან-ბაპტისტთა თემი". (12, გვ.150).

X საუკუნის ბოლოს, ხაზართა სახაკანოს დაშლის შემდეგ, დაღესტანში წარმოიქმნა რამდენიმე დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული (სამთავროები): **დარუბანდი, თაბასარანი, ლაკზი, სერირი, ხაიდაყი, ღუმიკი, ჯიდანი** და სხვ.

ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროებში მოხსენებულია **დერბენდი** და **დარუბანდი**. **დერბენდი** (დარუბანდი, ჩორი), სპარსულად ნიშნავს: დარ – კარს, ხოლო ბანდ – ზღუდეს. მას უწოდებდნენ დერბენდის კარს, დერბენდის გადასასვლელს, ვინაიდან მდებარეობს ვიწრო ხევში კასპიის ზღვასა და მთებს შორის.

დარუბანდი დაარსდა VI საუკუნეში. VII–IX საუკუნეებში შედიოდა არაბთა სახალიფოში. X საუკუნეში ჩამოყალიბდა დარუბანდის სამთავრო. მის დასამორჩილებლად მიმდინარეობდა ბრძოლები. ამ ბრძოლებში საქართველოც ღებულობდა მონაწილეობას და XII საუკუნეში საქართველომ შეძლო მისი დამორჩილება.

XIII საუკუნის II ნახევრიდან დარუბანდი დაიპყრეს მონღოლებმა. ხოლო, XVI ირანის მფლობელობაში გადავიდა. კავკასიაში რუსეთის გამოჩენის შემდეგ, ვინაიდან რუსეთი ცდილობდა, რომ ხელში ჩაეგდო ინდოეთში გასასვლელი გზები, პეტრე I-მა 1722 წელს დარუბანდი დაიპყრო, მაგრამ, 1735 წლის განჯის ხელშეკრულების თანახმად, ისევ ირანს დაუბრუნდა. 1747 წელს, ირანის შაჰის ნადირ-შაჰ ავშარის სიკვდილის შემდეგ, დაღესტანში მდებარე თაბასარანის, ყარახაიდაყისა და ყუბის სახანოს შორის, ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი დარუბანდის (დერბენდის) სახანო, რომლის დედაქალაქი გახდა დარუბანდი. თუმცა, ირანის ერთ-ერთ ოლქს წარმოადგენდა. აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე ყუბის სახანოს მმართველმა ფ ა თ ა ლ ი - ხ ა ნ მ ა (1736–1789), 1759 წელს დარუბანდის სახანო დაიპყრო. მისი ძე 1793 წელს რუსეთის ქვეშევრდომი გახდა. მიუხედავად ამისა, მან რუსეთის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. 1796 წელს დარუბანდი რუსეთმა დაიკავა, მალე რუსეთი იძულებული გახდა უკან დაეხია. 1806 წელს ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით რუსეთმა ხელახლა დაიკავა ქ. დარუბანდი. 1813 წელს გულისტანის ზავის თანახმად საბოლოოდ ქ. დარუბანდი შეუერთდა რუსეთს, ხოლო, დანარჩენი დარუბანდის სახანოს მიწა-წყალი გადაეცა ტარკის საშამხლოს.

XI საუკუნის შუა წლებში აზერბაიჯანი და დაღესტნის დიდი ნაწილი დაიპყრო სელჩუკთა სახელმწიფომ. ამავე საუკუნიდან თანდათან დაღესტანსა (განსაკუთრებით მის

მთიან მხარესა) და საქართველოს შორის მყარდება პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობა. წყაროებიდან ცნობილია, რომ საქართველოს მეფემ დავით IV აღმაშენებელმა 1120 წელს დაიმორჩილა შირვანი. ხოლო, „1121 საქართველოს ლაშქარმა აიღო დარუბანდი“. (8, ტ.3, გვ.403). ასე, რომ დღევანდელი დაღესტანის მიწა-წყალზე მდებარე სამთავროები, დავით IV აღმაშენებელის დროს, საქართველოს გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და როგორც წყაროებიდან ირკვევა, დაღესტნის სამხრეთში მდებარე დარუბანდის სამთავროც საქართველოს ვასალი ყოფილა. (6, ტ.III, გვ.275).

დავით IV-ის შემდეგ, დ ე მ ე ტ რ ე I-ის (1125–1156) დროსაც, დარუბანდი ისევ საქართველოს გავლენის ქვეშ დარჩენილა. „ქვეშევრდომებთან ურთიერთობის განმტკიცების მიზნით დემეტრე მეფე, მეფე დავით აღმაშენებლის მსგავსად, დამოყვრებასაც იყენებს (დარუბანდის მალიქს ცოლად დემეტრეს ასული ჰყავდა).

დარუბანდი იცავდა ამიერკავკასიას ჩრდილო კავკასიიდან და ამდენად კეთილმეზობლური ურთიერთობა ამ პოლიტიკურ ერთეულთან სასურველი იყო. მაგრამ როდესაც დარუბანდის ამირები ჩრდილო კავკასიელ მფლობელებთან ერთად უტევდნენ შარვანს, მაშინ საქართველო შარვან შაჰის დასახმარებლად გამოდიოდა. ჩრდილოეთიდან შემოტევებისაგან იცავდნენ შარვანს დავით აღმაშენებელი, დემეტრე და გიორგი III-ეც. საქართველოს მეფის გიორგი III-ის დროსაც დაღესტანი საქართველოს გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ასევე დარჩა თამარ მეფის დროსაც.

როგორც ცნობილია, XIII საუკუნის I ნახევარში, დაღესტანი მონღოლებმა დაიპყრეს. მონღოლები პირველად ამიერკავკასიაში გამოჩდნენ 1220 წელს, ჩინგის ყაენის სარდლების ჯ ებ ე და ს უ ბ უ დ ა ი ს მეთაურობით. ირანისა და აზერბაიჯანის აოხრებისა და ქართველების დამარცხების შემდეგ, 1222 წელს დარუბანდის გადასასვლელით ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდნენ. 1223 წელს დაამარცხეს ყივჩაყებისა და რუსების გაერთიანებული ლაშქარი და შემდეგ დაბრუნდნენ ჩინგის-ყაენთან.

1239–40 წლებში თათარ-მონღოლები, ისევ დარუბანდის გადასასვლელით შეიჭრნენ შიდა დაღესტანში და გაანადგურეს ყაზი-ყუმუხის საშამხლო.

XII საუკუნის შუა დროიდან XIII საუკუნის დასაწყისამდე, დერბენდის საამიროსა და სხვა სამთა-ვროების გარდა, დაღესტანში წარმოიქმნა მცირე პოლიტიკური ერთეულები: **ავარიის სახანო, ხაიდაყის საუწმიო და ყაზიყუმუხის საშამხლო.**

მალე, დაღესტანი მოექცა, XIII საუკუნის 40-იან წლებში, ქვემო ვოლგაზე, მონღოლების მიერ, ახლად დაარსებულ ოქროს ურდოს (ჯუჩის ულუსი) შემადგენლობაში. XIV საუკუნის I ნახევარში, გ ი ო რ გ ი V ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ი ს (1314–1346) დროს, საქრთველო კვლავ გაძლიერდა და აღიდგინა ძველი საზღვრები: „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“.

XIV საუკუნის ბოლოს, შუაზიელ მხედართმთავარ თემურლენგსა და ოქროს ურდოს გამაერთიანებელ თოხთამიშ-ხანის დაპირისპირების დროს, თემურ-ლენგი 1395 წელს დერ-ბენდის გასასვლელით შეესია დაღესტანს. მდ. თერგთან მოხდა გადამწყვეტი დიდი ბრძოლა თოხთამიშსა და თემურლენგს შორის. თოხთამიში დამარცხდა და უკან დაიხია. „თემურლენგმა გაძარცვა და დაანგრია ოქროს ურდოს დედაქალაქი სარაი ბერქე, დაწვა და გაანადგურა სამხრეთ რუსეთის სატრანზიტო ვაჭრობის მთავარი ქალაქები აზოვი და ასტრახანი, გაძარცვა მოსახლეობა და წამოიყვანა მრავალი ტყვე.

უკან დაბრუნების დროს თემურლენგმა საგანგებოდ დალაშქრა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთი, განსაკუთრებით ის ქვეყნები და ხალხები, რომლებიც კავკასიონის მთის ჩრდილოეთის კალთებზე ცხოვრობდნენ, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან. თემურლენგმა მათ ქრისტიანული რელიგიის საკულტო ძეგლები დაუნგრია და ძალით მიაღებინა ისლამის სარწმუნეობა.

ყოველივე ამის შემდეგ თემურლენგი უკან გამობრუნდა დერბენდისაკენ. ეს ქალაქი მან ხელახლა გაამაგრა და მცველები მიუჩინა. ამის შემდეგ ჯერ შარვანში დაბანაკდა", ხოლო „შემდეგ თემურლენგი შუა აზიისკენ გაემართა მთელი თავისი ბანაკით და ნატყვევ-ნაძარცვით და 1397 წლის ივლისის დამდეგს სამარყანდში ჩავიდა". (6, ტ.III, გვ.687–688).

თემურლენგმა სადაც-კი მისწვდა ყველგან მუსრი გაავლო და ამოხოცა დაღესტნის მოსახლეობა. მთისძირისა და სამხრეთ დაღესტნის მხარე მოსახლეობისაგან დაცარიელდა. როგორც მეცნიერები ვარა-უდობენ, ჩრდილოეთ კავკასიაში, სწორედ თათარ-მონღოლების შემოსევების დროს დაიწყეს დაღესტნელთა და სხვადასხვა ტომებმა ამიერკავკასიაში ჩამოსახლება, რომელიც ზოგჯერ მშვიდად მიმდინარეობდა, ზოგჯერ კი – მწვავედ.

თემურლენგის შემდეგ დაღესტანი პოლიტიკურად უფრო მეტად დაქუცმაცდა და წარმოიქმნა წვრილი ადგილობრივი ფეოდალური ერთეულები. ხოლო, XV–XVI საუკუნეებში დაღესტანში აღორძინებისა და განვითარების ხანა დაიწყო. წარმოიქმნა სავაჭრო და სამრეწველო ქალაქები. ჩამოყალიბდა მსხვილი ფეო-დალური გაერთიანებები: „ავარიის სახანო, ყაზიყუმუხის საშამხლო (შამხალი ფეოდალური მმართველის ტიტული იყო)". და „XVI საუკუნეში ზღვისპირა დაღესტანში დაწინაურდა მარჯვე სავაჭრო გზაზე მდებარე ტარკი (თარღუ), რომელიც საშამხლოს ცენტრად იქცა". (6, ტ. IV, გვ.88). მაგრამ, მის განვითარებას ხელს უშლიდა საგარეო და საშინაო ფეოდალური ომები. თათარ-მონღოლების შემდეგ, დაღესტანი გადაიქცა სათარეშო მოედნად ოსმალეთის, ყირიმის სახანოსა და ირანის დაპირისპირების დროს, ხოლო შემდეგ, როდესაც XVI საუკუნეში, ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთი გამოჩნდა, დაღესტანი აღმოჩნდა თურქეთის, ირანისა და რუსეთის სახელმწიფოებს შორის დავის საგანი, რომლებიც, თვითოეული ცალ-ცალკე ცდილობდა მთლიანად კავკასიის ხელში ჩაგდებას.

ზევით აღვნიშნეთ, რომ 1475 წელს თურქეთმა ყირიმის სახანო დაიპყრო და ის მასზე დამოკიდებული გახდა. ამიერიდან ყირიმის სახანო თურქეთისათვის წარმოადგენდა შავ ზღვაზე ძირითად დასაყრდენს. თერქეთმა შეუტია ჩრდილოეთ კავკასიას. თურქეთმა და ყირიმის სახანომ დაიწყეს ბრძოლა დაღესტანის დასამორჩილებლად. დაღესტნელები მედგრად იცავდნენ თავს.

როგორც ცნობილია, თურქეთმა ძლიერებას მიაღწია XVI საუკუნის I ნახევარში ოსმალეთის სულთნის (1520–1566) სულეიმან I-ის (1490–1566) დროს. თურქეთი უზარმაზარი იმპერია გახდა, რომლის საზ-ღვრებში მოექცა მცირე აზია, არაბული ქვეყნები, აფრიკისა და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი სახელ-მწიფოებიც. დაღესტანიც თურქეთის ქვეშევრდომი გახდა. თურქებისაგან შევიწროებულმა დაღესტნელმა ტომებმა დაიწყეს მეზობელ მხარეში, მთა-თუშეთში და კახეთში ჩამოსახლება.

XVI საუკუნის II ნახევარში თანდათან იწყება თურქეთის სამხედრო ძლიერების დაცემა. ცნობილია, რომ დაღესტნის ფეოდალები, ოსმალეთის წინააღმდეგ, შეუთანხმდნენ ქართვე-

ლებს და 1582 წლის აგვისტოში, ქართლის მეფემ სიმონ I-მა, დაღესტანისა და ირანის გაერთიანებული ლაშქრით დაამარცხა ოსმალები. თუმცა, ოსმალებმა 80-იანი წლების II-ე ნახევარში შეძლეს ამიერკავკასიის დაპყრობა, შირვანიც მათ ხელში აღმოჩნდა, დაღესტნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ტარკის საშამხლოც მის გამგე-ბლობაში მოექცა. საქართველო გარემოცული აღმოჩნდა ოსმალეთის მიერ და განსაკუთრებით ქართლ-კახეთს მძიმე დღეები დაუდგა.

დაღესტანში თურქეთის „გაბატონებამ მეტისმეტად გაამწვავა ურთიერთობა კახეთის სამეფოსა და დაღესტნის ფეოდალებს შორის, კახეთი მთიელ ფეოდალთა სისტემატური რბევისა და აოხრების ობიექტი შეიქმნა. კახეთის სამეფოსათვის შეუძლებელი გახდა დაღესტნელ ფეოდალთა თარეშის ალაგმვა, რადგან ისინი აშკარა და პირდაპირ ომს გაურბოდნენ, მოხერხებულ დროს ირჩევდნენ, როცა სამეფო ლაშქარი დაკავებული იყო და ყაჩაღურად, პატარ-პატარა ჯგუფებად გაერთიანებულნი მოქმედებდნენ. ეს იყო იმის მიზეზი, რომ საშამხლოსთან ურთიერთობა კახეთს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მტკივნეული და საჭირბოროტო საკითხი გახდა“. (6, ტ.IV, გვ.144).

ზევით აღვნიშნეთ, რომ XVI საუკუნის შუა წლებში, როდესაც კავკასიაში რუსეთი გამოჩნდა, თურქეთისაგან შევიწროებულნი ჩრდილოეთ კავკასიის მებრძოლი ხალხები, თავისი თავი, რომ გადაერჩინათ, იმედის თვალით შეჰყურებდნენ რუსეთს და მუსულმანური სამყაროს მიერ გარშემორტყმული კახეთის სამეფომაც, თავის გადარჩენის მიზნით, დაუკავშირდა ერთმორწმუნე რუსეთს. 1587 წლის 28 სექტემბერს კახეთსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების („ფიცის წიგნი“) თანახმად რუსეთის ქვეშევრდომი გახდა. „ფიცის წიგნის“ თანახმად, რუსეთს უნდა დაეცვა კახეთი გარეშე მტრებისაგან. ეს და შემდეგში მომდევნო შეთანხმებები, (ყოველთვის) ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდა, რუსეთს არასოდეს არ შეუსრულებია შეთანხმებები. რუსეთის მეფე თედორე I თავის თავს „ივერიის ქვეყნისა და ქართველი მეფეების ხელმწიფეს“ უწოდებდა. (6, ტ.IV, გვ.146).

კახეთ-რუსეთის შეთანხმებამ, თურქეთის შეშფოთება გამოიწვია. ხოლო, ოსმალეთის მიერ წახალისებულმა ყირიმის ხანმა, საშამხლომ და დაღესტანელმა ფეოდალებმა, კახეთს შემოუტიეს და კახეთის მდგომარეობა გაუარესდა. დაღესტნელების თავდასხმებს საქართველოში „ლეკიანიბას“ უწოდებდნენ. რუსეთსა და კახეთს შორის კავშირი გაგრძელდა 1605 წლამდე. კავშირი ჩაშალა შაჰ აბას I-მა.

1567 წელს, რუსეთის მიერ, მდ. სუნჯაზე, ხოლო შემდეგ, 1588 წელს მდ. თერგის შესართავთან ახლოს ციხე-სიმაგრის აგების შემდეგ, (1593-1594) წლებში რუსეთმა გაილაშქრა დაღესტნის წინააღმდეგ, მაგრამ საშამხლოს მთავარ ქალაქ ტარკში, გამაგრება ვერ შეძლო. 1605 წელს რუსეთის ლაშქარი ხელახლა შეესია საშამხლოსა და დაღესტანს. შაჰ აბას I-ი თვალყურს ადევნებდა როგორც ოსმალეთის, ასევე რუსეთის მოქმედებას კავკასიაში. „ირანი შეაშფოთა კასპიის ზღვის სანაპიროზე და განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთის გამოჩენამ: რუსეთისა და კახეთის მეფეთა კავშირი, მისთვის ყოვლად მიუღებელი ჩანდა. ამიტომ ირანის შაჰისათვის, საქართველოს ერთიანად მოსპობა, რომელიც ყიზილბაშობის წინააღმდეგ ყოველგვარი ხერხით იბრძოდა, გადაუდებელ ამოცანად იქცა. შაჰ-აბასმა თავისი გეგმის განხო-რციელება ასე დაიწყო: 1602 წლიდან, ოსმალეთთან ომის განახლების შემდეგ, ქართლში, ლორესა და დებედას ხეობაში, ყიზილბაშური სახანოები,

ხოლო კახეთში კი ენისელის სასულთნო შექმნა....

შაჰი ჩქარობდა. რუსეთმა თავი დააღწია გართულებულ საშინაო მდგომარეობას და სანამ იგი კავკასიის სარბიელზე ხელახლა გამოვიდოდა, შაჰ-აბასი ცდილობდა მისთვის დაესწრო და საქართველოს საკითხი საბოლოოდ გადაეწყვიტა. ამიტომ მან 1614 წ., ოსმალეთთან ზავის დადების მეორე წელსვე, დაიწყო ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური ერთეულების სრულ შემოერთებისათვის. მრავალი წლის სამზადისი შაჰ-აბასს იმედს აძლევდა, რომ ქართლისა და კახეთის სამეფოებს ადვილად მოუღებდა ბოლოს და ყიზილ-ბაშურ სახანოებად გადააქცევდა მათ.“ (7. გვ.290). მან დაიწყო ბრძოლა ამ მიზნის განსახორციელებად. შაჰმა შეძლო დაღესტნის ფეოდალების და სხვადასხვა გაერთიანებების მთავრების საჩუქრებით და ზოგიც ქრთამით, მიმხრობა და საქართველოს წინააღმდეგ ამხედრება. ამავე წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში ირანს უპირისპირდებოდა რუსეთი. რუსეთმაც დაღესტანის ზოგიერთი მთავარი გადმოიბირა. 1614 წლის შემოდგო-მაზე რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა ავარიის სახანოს მმართველი და ზოგიერთი სხვა მთავრებიც. მიუხე-დავად იმისა, რომ აბას I-მა ქართლ-კახეთი არა ერთხელ დალაშქრა და ააოხრა, ხოლო (1614–1617) წლებში უთანასწორო ბრძოლების შედეგად კახეთის ზოგიერთი ქალაქი და სოფელი გააჩანაგა, 100 000-მდე კაცი ბრძოლებში დაიღუპა და 200 000-მდე კი გადაასახლა და დაიწყო თურქმანული ტომების ჩამოსახლება, ქართველი ხალხი მაინც ვერ დაიმორჩილა და იგი განაგრძობდა ბრძოლას. ამავე დროს, შაჰ აბასის მიერ ქართლ-კახეთის აოხრებით და მისივე წაქეზებით, ისარგებლეს დაღესტნელებმა და დაიწყეს წვრილ-წვრილი თარეშები და თავდასხმები. ხოლო, შემდეგ, თანდათან დაცარიელებულ და გავერანებულ მიწა-წყალზე, სხვადასხვა დაღესტნელი ტომების ჩამოსახლება და დამკვიდრება. მაგრამ, 1625 წლის 25 მარტს დიდი მოურავი, გიორგი სააკაძე აჯანყდა და გაანადგურა შაჰის ჯარი და მის მიერ წარმოებული პარტიზანული ომის შედეგად ქართლ-კახეთი თითქმის განთავისუფლდა ყიზილბაშებისაგან. ამის შემდეგ, სააკაძემ გაილაშქრა დაღესტნისა და შამხალის წინააღმდეგ და სასტიკად დაამარცხა ისინი. გიორგი სააკაძის დაუღალავი მოქმედებების შედეგად, დაღესტნელთა თარეში დროებით შეწყდა და ქართლ-კახეთმა დაიწყო მოშენება.

შაჰ-აბას I-ის შემდეგ, ირანის შაჰმა (1642–1666) აბას II-ემ (1633–1666) შეძლო დაღესტანის დამორჩილება. 50-იან წლებში მის გამგებლობაში მოექცა დერბენდის სახანო, კაიტაღის საუწმეო, საშამხლო და სხვ. ვინაიდან, ქართლ-კახეთი და დაღესტანი მის ხელში აღმოჩნდა, ამის შემდეგ იგი ფიქრობდა ყაბა-რდოს დამორჩილებას, რის შემდეგ იგი გახდებოდა კავკასიის ბატონ-პატრონი. მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ირანის წინააღმდეგ გამოდიოდნენ თურქეთი და რუსეთი. თურქეთისა და ყირიმის ხანის ლაშქრობა 1663 წელს, ყაბარდოს გავლით, რუსების ქალაქ თერგის ასაღებად მარცხით დამთავრდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვინაიდან კავკასიის პოლიტიკურ სარბიელზე უკვე გამოდიოდა რუსეთი, ქართველმა მესვეურებმა, მუსულმანური სამყაროს შემოტევებისაგან სამშობლოს გადასარჩენად, უფრო ენერგიულად შეუდგნენ, ერთმორწმუნე რუსეთის მხარდაჭერას.

XVII საუკუნის II ნახევარში საქართველოსა და დაღესტანს შორის მდგომარეობა უფრო გამწვავდა. რასაც ხელი შეუწყო შინაფეოდალურმა ომებმა და ირან-თურქეთის გამუდმე-ბულმა თავდასხმებმა. ხოლო XVIII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში გაძლიერდა დაღესტნელთა ტომების თავდასხმები და ამავე დროს მდ. ალაზნის გაღმა

განაპირა ნაპირებზე, დაიწყეს ავარიელთა სხვადასხვა ტომებმა ჩასახლება. 1719 წელს, მოხდა ქართლ-კახეთის მეფეების (თეიმურაზისა და ერეკლეს) და შირვანის ხანის შეთანხმება დაღესტნელების წინააღმდეგ, მაგრამ, შაჰის ბრძანებით, მათ დასახმარებლად წამოსული შირვანის ხანი, ლეკებმა სასტიკად დაამარცხეს, ხანიც ამ ბრძოლის დროს დაიღუპა და შეთანხმებაც ჩაი-შალა. ასე, რომ ჯერ ოსმალეთის, ხოლო შემდეგ, ირანის ხელშეწყობითა და წაქეზებით, კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ მხარეში თანდათან, მომრავლდნენ და გაძლიერდნენ, ჩამოსახლებულნი დაღესტნელი ტომები: ავარები, წახურები, შირვანელები, ყარაბაღელები და სხვა. საბოლოოდ კიდევაც ჩამოსცილდა კახეთს, ძველი ჰერეთის აღმოსავლეთის განაპირა, კაკ-ენისელის მხარე და დაიწყო ლეკური მოსახლეობისა და დაღესტნის ფეოდალთა ე. წ. „ასწლიანი ლეკური ომი“, რომელიც გაგრძელდა საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე.

1722 წელს პეტრე I-მა დაიპყრო დაღესტნის ზღვისპირეთი და ის რუსეთს შეუერთა. თუმცა, 1735 წელს განჯის ტრაქტატის თანახმად, ეს მიწები ირანს გადაეცა.

1736 წელს ირანის შაჰი გახდა სარდალი ნადირ-შაჰ ავშარი (1688–1747). რომელმაც დაღესტნის დასამორჩილებლად მრავალათასიანი ჯარი გააგზავნა. დაღესტნელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ნადირ-შაჰს და ორ წლიანი ლაშქრობის შემდეგ, 1742 წელს, ნადირ-შაჰი იძულებული გახდა დაღესტა-ნელებთან ზავი დაედო. ასე, რომ შაჰი დამარცხებული დაბრუნდა. წყაროებიდან ცნობილია, რომ დაღესტნელებს ზავი შეუკრავთ 1733 წლიდან ქართლის გამგებელთან, ხოლო შემდგომში, 1744 წლიდან ქართლის მეფე თეიმურაზ II-თან და „მისთვის მძევლებიც მიუციათ, როგორც „ჭარის ომების ქრონიკა“ გადმოგვცემს, ზავის დადების შემდეგ ქართველებსა და ლეკებს შორის კარგი ურთიერთობა დამყარებულა და ლეკები ხშირად ჩამოდიოდნენ კახეთში ხორბლის, სიმინდისა და მარილის შესაძენად“. (6, ტ.IV, გვ.450). არ გასულა დიდი დრო და ქართლ-კახეთზე ისევ განახლდა დაღესტნელი ხანების თავდასხმები. „1752 წ. შემდეგ ქართლ-კახეთი უმთავრესად დაღესტნის მხრიდან წვრილ-წვრილი და ზოგჯერ საკმაოდ ფართო, ორგანიზებული შემოსევების წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა.

დაღესტანში ამ დროს გაძლიერებული იყო ხუნძახის მფლობელი ნურსალ-ბეგი, რომელმაც ავარიელთა დიდი ნაწილი გააერთიანა და მეზობელი პროვინციების დამორ-ჩილებას შეუდგა. საგარეო ომი ავარიელთა ასეთი ფართო გაერთიანებისათვისაც ჯერ კიდევ რჩებოდა შემოსავლის ერთ წყაროდ. ამიტომ იყო, რომ 1754 წ. ნურსალ-ბეგი მრავალ რიცხოვანი ლაშქრით კახეთს მიადგა. მისი მძარცველური ჯარი დღე-დღეზე იზრდებოდა დაღესტნიდან მოდენილი ახალ-ახალი რაზმებით. კახეთი და ქართლი დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ქართლ-კახეთის მოსახლეობა დაიხიზნა“. (6, ტ.IV, გვ.627). თეიმურაზ II-ემ და ერეკლე II-ემ შეძლეს დაღესტნელთა ჯარის განადგურება. 1755 წელს ნურსალ-ბეგმა ხელახლა შეკრიბა ჯარი, რომელსაც მიემხრნენ ჭარ-ბელაქნის, თარღუს შამხალი, ყაზიყუმუხის ხანი, კაკის სულთანი, განჯის ხანი, ჭარელები და 20 000 ლაშქარით კახეთს შემოესია. მაგრამ, ქართველებმა ისევ სასტიკად დაამარცხეს. ამის შემდეგ 1756 წელს ნურსალ-ბეგი იძულებული გახდა ზავი დაედო და სხვა დაღესტანის, ჭარ-ბელაქნის (საინ-გილო) და ელისუს სასულთნოს ბეგებმა ქართლ-კახეთის მეფეებს მორჩილება გამოუცხადეს. მაგრამ ესეც დროებითი იყო. დაღესტნელებმა დაარღვის ზავი და არაერთხელ შემოესივნენ

ქართკახეთს. 1759 წელს ისევ დამარცხდნენ დაღესტნელები.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში ისევ გახშირდა დაღესტნელების თავდასხმა ქართლ-კახეთზე.

„XVIII საუკუნის ბოლოს დაღესტნის ტერიტორიაზე 10 შედარებით მსხვილი პოლიტიკური ერთეული და 60-მდე ე. წ. „თავისუფალი საზოგადოება“ იყო“. (8, ტ.3, გვ.404).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის შემოსვლას ჩრდილოეთ კავკასიაში, დასაწყისში, სანამ გამომჟღავნდებოდა მისი ნამდვილი მიზნები, ოსმალეთისა და ყიზილბაშებისაგან თავის დაღწევის გამო, კავკასიელები უკავშირდებოდნენ რუსეთს. მაგრამ, როდესაც 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შედეგად, რუსეთმა თავის მიზანს მიაღწია და ჩრდილოეთ კავკასიაში ფეხი მოიკიდა, რუსეთმა დაიწყო კოლონიური პოლიტიკის გატარება. იმიერკავკასიაში და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დაიწყო ანტირუსული მოძრაობა და აჯანყებები. რუსეთის განწყობაც საქართველოს მიმართ შეიცვალა, მას ერთიანი და ძლიერი საქართველო აღარ სჭირდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ II გამოირჩეოდა როგორც დიპლომატი, ხოლო ერეკლე II – როგორც მეომარი მეფე. იგი ვერ მიხვდა რუსეთის მიზნებს.

„ჩაწვდა თუ არა ერეკლე რუსეთის პოლიტიკის ცვლილებას საქართველოს მიმართ, თვით ერეკლეს ომის შემდგომი პერიოდის მოქმედებაში არა ჩანს. პირიქით, მიუხედავად იმ საყვედურებისა რუსეთის სამეფო კარისადმი, რომ ამ ომის გამო მან „თურქეთი მტრად მოიკიდა“ და „საქმეც საფიქრელად გაიხადა“, ის მაინც რუსეთის იმედეულია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი ამხანადვე ევროპასაც არ ივიწყებდა“. (32, გვ.187).

ერეკლე II-ის მიერ 1783 წლის 24 ივლისს რუსეთთან დადებულმა ხელშეკრულებამ (გიორგიევსკის ტრაქტატი) ვერ გადაწყვიტა „ლეკური მდგომარეობა“, პირიქით, ქართლ-კახეთის მდგომარეობა უფრო გაამ-წვავა, რადგან ირანი, თურქეთი და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მმართველები ამ ტრაქტატს მტრულად შეხვდნენ და მათი წაქეზებით, დაღესტანისა და ჭარ-ბელაქანის გამოხდომები უფრო გახშირდა. მეფის რუსეთის მთავრობას კი ქართლ-კახეთის გაუქმება და მთელი საქრთველოს დაპყრობა სურდა. ასე, რომ ეს ხელშეკრულებაც, როგორც რუსეთის მიერ დადებული ყველა ხელშეკრულება, „ფარატინა ქაღალდი“ აღმოჩნდა.

„1785 წ. ქართლ-კახეთის სახელმწიფო იძულებული გახდა, რომ დიდი ხარჯების გაღებით „ეყიდა“ მშვიდობა და დაღესტნიდან გამანადგურებელი შემოსევები შეეკავებინა. ავარიელ ომარხანს ერეკლეს ხაზინა ყოველწლიურად 5 ათას მანეთს უხდიდა.... სახელმწიფოს ფინანსები კლებულობდა, ხარჯები კი იზრდებოდა. წყალი შეუდგა ერეკლეს ხელისუფლებას განჯის სახანოზე, საიდანაც ქართლ-კახეთს საკმაოდ დიდი შემოსავალი ჰქონდა“. (6, ტ.IV, გვ.733).

1785 წლის მარტიდან ჩრდილოეთ კავკასიაში და დაღესტანში, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ „საღვთო ომი“ ფართოვდებოდა.

კავკსიის დაპყრობისათვის გაჩაღებულ (1804–1813) წლებში რუსეთ-ირანის ომის დროს, ირანი დამარცხდა და იძულებული გახდა 1813 წლის ოქტომბერში ხელი მოეწერა გულისტანის საზავო ხელშეკრულებისათვის, რომლის თანახმად დაღესტანი და ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ნაწილი რუსეთს შეუერთდა.

1818 წლიდან რუსეთმა დაიწყო აჯანყებული დაღესტნისა და ჩრდილოეთ კავკასიელთა

დასამორჩილებლად მოქმედება, აშენებდა სტანიცებს, ციხე-სიმაგრეებს, აძლიერებდა საჯარისო ნაწილებს. დიდი ბრძოლების შედეგად, 1859 წელს აჯანყება დამარცხდა და 1860 წელს დაღესტანი საბოლოოდ რუსეთს შეუ-ერთდა და ამიერკავკასიის მხარის შემადგენლობაში შექმნეს დაღესტნის ოლქი, რომელსაც მართავდა ე. წ. სამხედრო-სახალხო მმართველობა.

რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებისთანავე, 1877 წელს, ჩაჩნებმა და დაღესტნელებმა ერთხელ კიდევ მოაწყვეს აჯანყება, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ უმოწყალოდ ჩაახშო. აჯანყების მეთაურები ჩამოახრჩვეს, ხოლო დანარჩენები რუსეთში სხვადასხვა ადგილებში გადაასახლეს.

1904 წელს დაღესტანში ჩამოყალიბდა სოციალ-დემოკრატიული კავშირები. 1905-1907 წლებში დაღესტანში რევოლუციონერების მიერ ეწყობოდა მუშებისა და გლეხთა გამოსვლები. ხოლო, 1910 წელს დაღესტანში დაიწყო ფართო რევოლუციური მოძრაობა რსდმპ-ის დაღესტნის კავშირის ხელმძღვანელობით.

1913 წელს დაღესტანში გამოიცა კანონი, რომლითაც გლეხობა თავისუფლდებოდა ბატონყმობისაგან.

რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაღესტანში 1917 წელს ჩამოყალიბდა სამხედრო რევკომი ულუბი ბუინაქსკის (1890–1919) ხელმძღვანელობით, რომელმაც 1917 წლის 1 (14) დაკემბერს ქ. პეტროვსკ-პორტში გამოაცხადა დაღესტანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. 1918 წლის ზაფხულში დაღესტანი დაიკავეს თურქეთის, გერმანიის და ინგლისის საჯარისო ნაწილებმა. საბჭოთა ხელისუფლება დაეცა. ბოლშევიკების ნაწილი დაიჭირეს და დახვრიტეს. 1919 წლის თებერვალში ჩამოყალიბდა დაღესტნის რკპ (ბ) იატაკქვეშეთის საოლქო კომიტეტი. რომელიც დაღესტანში ქმნიდა წითელი არმიის მებრძოლ რაზ-მებს. ამავე წლის მაისში, დაღესტნის „მთიელთა მთავრობამ“ საოლქო კომიტეტის ყველა წევრი შეიპყრო და შარიათის სასამართლოს გადაწყვეტილებით დახვრიტა.

1919 წლის მაისს-ივნისში ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, დაღესტანში შევიდა დენიკინი. ამავე წლის ოქტომბრიდან დენიკინის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლები საბჭოთა არმიამ და 1920 წლის მარტში დაღესტანში შევიდა მე-11 წითელი არმია გ. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის მეთაურობით. დაღესტანში საბჭოთა ხელისუფლება აღსდგა.

1920 წლის 13 ნოემბერს გამოცხადდა დაღესტნის საბჭოთა ავტონომიის შექმნა. ხოლო, 1921 წლის 20 იანვარს სრულიად რუსეთის ცაკმა მიიღო დადგენილება, რფრ-ის შემადგენლობაში დაღესტნის ავტონო-მიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

1921 წლის აგვისტოში, მთიან დაღესტანსა და ჩაჩნეთში, დაიწყო აჯანყება საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, რომელიც გრძელდებოდა 1 წელს. წითელმა საჯარისო ნაწილებმა აჯანყება ჩაახშვეს და აჯანყებულებს სასტიკად გაუსწორდნენ.

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1944 წელს როდესაც ჩაჩნეთ-ინგუშები შუა აზიაში გადაასახლეს, დაღე-სტნიდან ლეკები, ხოლო კახეთიდან ავარიელები ჩაასახლეს ჩაჩნეთში. შუა აზიიდან ჩაჩნების დაბრუნების შემდეგ, ავარიელები ისევ კახეთში დაბრუნდნენ. 1991 წლის აღრიცხვით ყვარელის რაიონში 4 200 დაღესტანელი ცხოვრობდა.

„საბჭოთა ხელისუფლების დროს 1994 წლამდე ათწლეულების მანძილზე ახალგორის,

დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მეცხვარეები იყენებდნენ ყიზლარის საზამთრო საძოვრებს დაღესტანში.

1990 წელს გარკვეული ძალების წაქეზებით ქართული არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებები შეიჭრნენ დაღესტნელთა სოფლებში და მოითხოვეს დაეტოვებინათ საქართველო.

26 ივნისს მაჰაჩყალაში და ხასავიურთში გაიმართა დაღესტნელების მხარდამჭერების მიტინგები, რომელსაც ავარელთა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი წევრი ჰაჯი მახაჩევი ხელმძღვანელობდა.

1991 წლის აპრილში დაიწყო ავარელების გასახლება საქართველოდან. ქართულ-დაღესტნური მოლაპარაკების შემდეგ ავარელების უმრავლესობა დარჩა საცხოვრებლად კახეთში.

1991 წლის 2 ნოემბერს რუსეთის სპეცსამსახურების ზეგავლენით შამილის სახელობის ავარელთა სახალხო ფრონტმა საზოგადოება „ჯამაათმა“ და მოძრაობა „დემოკრატიულმა დაღესტანმა“ მონაწილეობა მიიღეს სოხუმში გამართულ კავკასიის მთიელ ხალხთა მესამე ყრილობაში.

ბოლო წლებში დაღესტნის ხელისუფლებამ ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა საქართველოს. გარე ძალების წაქეზებით სადაო გახდა სასაზღვრო ზოლთან მდებარე **დიკლოს მთა,** რომელსაც ოდითგან თუშები იყენებდნენ“. (56).

1991 წელს სახალხო დეპუტატების II ყრილობამ დაღესტნის რესპუბლიკა ისევ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დატოვა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1994 წელს მიიღეს დაღესტნის კონსტიტუცია, რომლის თანახმად, დაღესტნის საკანონმდებლო ორგანოში ირჩევდნენ პირებს პირდაპირ სახალხო კრებაზე. აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელსაც უწოდებდნენ „კოლეგიალურ პრეზიდენტს“, წარმოადგენდა 14 წევრისაგან შემ-დგარ სხვადასხვა ეროვნებების წარმომადგენლებს. შემდეგში, ვინაიდან ამ „კოლეგიალურმა პრეზიდენტმა“ არ გაამართლა, კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანეს, ამიერიდან, პოლიტიკური პარტიების წარმომადგნელები, რუსეთის პრეზიდენტს, უგზავნიან დაღესტნის პრეზიდენტის დასამტკიცებლად, რამდენიმე კანდიდატს. აქედან, ერთ-ერთ შერჩეულ პიროვნებას ამტკიცებს დაღესტნის სახალხო კრება. რომლის შემდეგ დამტკიცებული პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობის ხელმძღვანელს.

2010 წლის თებერვალში დაღესტანში დაინიშნა, პარტია „ედინაია როსიას“ მიერ წარდგენილი კანდიდატი მაგომედ სალამ მაგომედოვი.

ზევით აღვნიშნეთ, რომ დაღესტანი წარმოადგენს ერთ-ერთ ისლამისტურ სახელმწიფოს, სადაც „დამკვიდრდა პირველად ისლამური სუფიზმის თვითმყოფადი განშტოება მიურიდიზმი, რომლის დროშითაც იმამი შამილი და ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხები ათწლეულობით ებრძოდნენ რუსეთის იმპერიას.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ეს ბრძოლა შენელდა, მაგრამ ახალი ძალით იფეთქა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა ახლო აღმოსავლეთიდან რეგიონში შემოჭრა დაიწყო სალაფიტების მოძღვრებამ. შემდეგში ის ვახაბიზმის სახელწოდებით გახდა ცნობილი და დღეისათვის უკვე ისლამის პირვანდელი სახის აღდგენის საბაბით და უსამართლობასთან ბრძოლის მოწოდებით თავის გარშემო მთელი რეგიონის რადიკალურად მოაზროვნე ათასობით

ადამიანი შემოიკრიბა.

საქვეყნოდ ცნობილმა ე. წ. „კავკაზ იმარატის“ ლიდერმა დოკუ უმაროვმა დაღესტანი სხვა ისლამურ ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან ერთად მომავალი ისლამური სახელმწიფო გაერთიანების ნაწილად აღიარა, რომლის იდეოლოგიად ვახაბიზმი და ჯიხადია გამოცხადებული“. (56).

1999 წელს, დაღესტანში ისლამური სახელმწიფოს დასაარსებლად, მოხდა ავჯანყება, რომელიც რუსე-თის შეიარაღებულმა ძალებმა ჩაახშვეს. თუმცა რუსეთის ფედერალურ ძალებსა, პოლიციელებსა და ადგი-ლობრივ პარტიზანებს შორის შეტაკებები და ტერაქტები დღემდე გრძელდება. რუსეთის მიერ ჩატარებულ სადამსჯელო ღონისძიებებს, უფრო მეტი გააფთრებული საპასუხო შეტაკებები მოჰყვა. დაღესტანი, ჩაჩნეთი და ინგუშეთი, დღევანდელ დღესაც ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთისათვის ერთ-ერთ დაუმორჩილებელ მხარედ რჩება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაღესტანი წარმოადგენს მრავალ ეროვან სახელმწიფოს და რა თქმა უნდა, ამას თავისი ჯერ კიდევ გადაუჭრელი სიძნელეები (საკითხები) ახლავს.

დაღესტანში სხვადასხვა დროს ჩასახლებული ერები (ებრაელები, თათრები, ლეზგები, ნოღაელები, რუსები, ყალმუხელები, ყუმუხები, ჩაჩნები და სხვ) ტერიტორიული საკითხებისა და ეთნიკური ჯგუფებისათვის უფლებების დაცვას მოითხოვენ.

დაღესტანში დასახლებული ერთ-ერთი ერი **ყუმუხები,** განეკუთვნებიან თურქულ ენოვან ყივჩაყურ ჯგუფს. თვით სახელწოდებაა – „ყუმუკ“. საუბრობენ საკუთარ ყუმუხურ ენაზე. იგი წარმოადგენს ძველ დამწერლობის ლიტერატურულ ენას. სარწმუნეობის მხრივ მუსულმანები არიან. მათი რაოდენობა 1979 წლის აღწერის მონაცემებით რფ-ში 228 000 კაცია, ხოლო, აქედან დაღესტანში 202 000 კაცია. ცხოვრობენ დაღესტნის მთის წინეთში და ყუმუხეთის დაბლობში.

ჯ. კვიციანი წერს: „დაღესტანში პრობლემად რჩება ყუმუხების პრობლემა. აქ მიწების საკითხი, ძირითადად, ყუმუხების ბარის მიწების ხარჯზე წყდებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ მათ 1990 წლის ნოე-მბერში, ყუმუხი ხალხის მეორე ყრილობაზე, ყუმუხეთის რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს თავიანთ „ისტორიულ ტერიტორიაზე“ – დაღესტნის თემირ-ხან-შურის, ხასავიურტისა და მახაჩკალას რაიონები, კასპიის სანაპირო და სხვა ადგილები, სადაც 1921 წელს, დაღესტნის ასსრ წარმოქმნამდე, ყუმუხები მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდნენ. 1989 წელს ჩამოყალიბებული ყუმუხთა ეროვნული მოძრა-ობა „თენგ-ლიკი“ დაღესტანში ყველაზე ორგანიზებული ეროვნული ორგანიზაციაა, რომელიც ტერიტო-რიული განსახლების პრობლემას კვლავ აქტუალურად მიიჩნევს, მაგრამ ამ საკითხში უკვე კატეგორიული აღარ არის“. (12, გვ.81).

2010 წლის 16 თებერვალს, მაჰაჩყალაში ჩატარდა ყუმუხი ხალხის მიტინგი, რომლის წარმომადგენლებმა „მიიღეს მიმართვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დ. მედვედევის სახელზე, რომელშიც გაპროტესტებული იყო დაღესტნის სახელისუფლო სტრუქტურებში ყუმუხი ხალხის უფლებების შეზღუდვა და მოითხოვეს ისეთი საკანონმდებლო სისტემის მიღება, რომელიც ყველა ხალხს მისცემდა საშუალებას თანაბრად წარმოედგინათ თავისი ინტერესები.

გარდა პოლიკური მოთხოვნებისა, მიტინგზე წამოყენებული იყო სოციალური საკითხებიც, კერძოდ მიწით სარგებლობის კანონმდებლობის ხარვეზების შესახებ“. (77).

„მსგავსი პრობლემა აქვთ ნოღაელებსაც, რომლებიც 1990 წლის ყურულთაის (ყრილობის) დადგენი-ლების თანახმად, დაღესტნის, სტავროპოლის მხარისა და ჩეჩნეთის ტერიტორიების ნაწილებზე ნოღაის რესპუბლიკის შექმნას მოითხოვენ (რუსეთის შემადგენლობაში).

დაღესტნის კიდევ ერთ ეთნოტერიტორიულ პრობლემას წარმოადგენს აუხოვის რაიონის აღდგენა, რომელიც ჩეჩენ-აკინთა გადასახლებამდე (1944 წლამდე) არსებობდა. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დროს ჩეჩენ-აკინთა მიმართ განხორციელებული რეპრესიების (იძულებითი მიგრაციის) შემდეგ აქ მთიანი რაიონებიდან ლეკები დაასახლეს და ნოვოლაკის რაიონი შექმნეს. მიუხედავად იმისა, რომ დაღესტნის ხელისუფლება რეპრესირებულ ხალხთა რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელებას ცდილობს, რადიკალურად განწყობილ ჩეჩნებს მისი ტემპები არ აკმაყოფილებთ“. (12, გვ.81).

8. ხუნძები (ავარიელები).

დაღესტნის ხალხებს შორის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანნი არიან „**ავარიელები**“. ქართულ ისტორიულ წყაროებში „ხუნძების“, ხუნძეთი“ სახელწოდებით არიან მოხსენებულნი. ხუნძების საკუთარი სახელწოდებაა – „მაარულალ“. მათ ენაზე ნიშნავს „მთიელს“.

ხუნძები ცხოვრობენ დღევანდელი დაღესტანის დასავლეთ ნაწილში, მდ. სულაკის აუზში. მდინარეების: ავარიის ყოისუს, ანდის ყოისუს და ყარაყოისუს აუზში. აგრეთვე ჩასახლებულნი არიან ჩაჩნეთში, ყალმუხეთში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში ჭარ-ბელაქანში (საინგი-ლოში), ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში – დაახლოებით 45 000 და საქართველოში ყვარლის რაიონში – დაახლოებით 4 200. „2002 წლის მონაცემებით, რუსეთის ფედერაციაში 757 ათასი ხუნძი ცხოვრობდა. დაღესტანში 612, 6 ათასი ხუნძი იყო აღრიცხული, თუმცა ამ რაოდენობაში მათი მონათესავე რამდენიმე პატარა ხალხიცაა შეყვანილი. 1926 წ. აღწერით, 177, 2 ათასი ხუნძი მკვიდრობდა, 1989 წელს მათმა რაოდენობამ 491 ათასს გადააჭარბა“. (14, გვ.152).

ხუნძები ანდიელებთან და დიდოელებთან ერთად ქმნიან ერთ ჯგუფს.

ხუნძური ენა განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენების დაღესტნურ ჯგუფს. ხუნძურ-ანდიურ-ცეზურ (დიდოურ) ქვეჯგუფში შედის და წარმოადგენს სამწერლო ენას. დაღესტნელებისათვის ხუნძური ენა საერთაშორისოა.

ცნობილია, რომ ხუნძური დამწერლობა შეიქმნა XV–XVI საუკუნეებში არაბული გრაფიკის გამოყე-ნებით. თუმცა, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ხუნძებს ადრე ჰქონიათ ალბანური (ალვანური) და ქართული დამწერლობა. 1928 წელს შემოღებულ იქნა ლათინური ანბანი. ხოლო, გასაბჭოების შემდეგ, 1938 წელს გადავიდნენ კირილიცას გრაფიკზე.

მეცნიერთა ნაწილი „მათ ეთნონიმს პტოლომეს (II ს.) „საკარებს“ უკავშირებს“. (8, ტ.11, გვ.516). რ. თოფჩიშვილი გადმოგვცემს, რომ:

„რუსები ხუნძებს ავარიელებს უწოდებენ. ეს ეთნონიმი რუსებისაგან სხვა ხალხებშიც გავრცელდა. არც თუ ისე დიდი ხნის წინ ხუნძებით დასახლებულ ტერიტორიას ავარიას და ამ ტერიტორიაზე მოსახლეთ ავარიელებს არავინ არ უწოდებდა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ სიტყვა „ავარია“ დაკავშირებულია სერირის მეფე ავართან, რომელიც V ს-ში მეფობდა (ამის შესახებ ცნობა მოეპოვება X ს-ის არაბ ისტორიკოსს იბნ-რუს-ტას). დადგენილია,

რომ ტერმინი „ავარი“ არაა დაკავშირებული VI–IX სს-ის მომთაბარე თურქულენოვან ხალხთან ავარებთან. ხუნძახის სახანოს და მისი მოსახლეობის მიმართ „ავარიისა“ და „ავა-რების“ გამოყენება ძალიან გვიან დაიწყეს. ხუნძახის (ავარიის) ყოველ საზოგადოებას საკუთარი სახელ-წოდება ჰქონდა. როგორც აღვნიშნეთ, მთიელი ხალხის აღმნიშვნელი ენდოეთნონიმი მაარულალი იყო. XX ს-ის დასაწყისამდე ამ ხალხის არც ერთი ადამიანი არ იტყოდა, რომ ის ავარიელია. 1950-იან წლებში ბევრმა მოხუცმა არც კი იცოდა რა არის „ავარიელი“. ხუნძთა აღმნიშვნელი ქართული ეთნონიმი „ხუნძები ერთ-ერთი დიდი სოფლისა და საზოგადოების სახელწოდებიდან – ხუნძახიდან მომდინარეობს. მეზობელი ხალხები დაღესტნელ ხუნძებს სხვადასხვა სახელებით მოიხსენიებდნენ. დარგუელებისათვის ისინი „კარა-ხან“-ები იყვნენ, ლაკებისათვის – „იარუსა“, ყუმუხებისათვის – „თავლულარ“, აზერბაიჯანელებისათვის – „ლეზგილერ“, ჩაჩნებისათვის – „ჯაი“, რაც შეეხება ქართველებს, ისინი ხუნძებთან ერთად ეთნონიმ ლეკსაც იყენებდნენ, თუმცა ის ქართულ ენაში არა მხოლოდ ხუნძებს, არამედ დაღესტნის ყველა ხალხს აღნიშნავდა“. (14, გვ.153).

წყაროებიდან ცნობილია, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევარში ხუნძეთის მიწა-წყალზე მყოფი ტომები ემორჩილებოდნენ ალვანეთს („კავკასიის ალბანეთი“).

VI საუკუნეში დაღესტნის მთიანეთში, მდ. ყოისუს შუა წელში, წარმოიქმნა ერთ-ერთი ადრეფე-ოდალური მსხვილი სახელმწიფო, რომელიც არაბულ და სპარსულ წყაროებში **სერირის** სახელწოდებით მოიხსენიება. სერირის სამეფო ძირითადათ ხუნძებით იყო დასახლებული. XI საუკუნემდე სერირის სამეფო ავარიასაც მოიცავდა.

XII-ის II ნახევრიდან სერირის სამეფოს ძლიერება თანდათან დაეცა და დაქუცმაცდა. „მეცნიერთა ვარაუდით, სწორედ ამ დროიდან (XII–XIII სს-დან) ფეოდალურ სახელმწიფო ხუნძეთთან (ავარიასთან) ერთად ჩამოყალიბდა საზოგადოებები (სასოფლო თემთა კავშირები), რომლებიც დამოუკიდებელნი იყვნენ სხვა ფეოდალებისაგან და რომელთათვის დამა-ხასიათებელი იყო დემოკრატიული მმართველობა“. (14, გვ.154). სერირის სამეფო XIII საუკუნეში ჩამოყალიბდა როგორც ავარიის სანუცალო, რომლის მთავარი ადგილი გახდა **ხუნძახი**. (ხუნძახი – „ხან-ზა-ბახ“ – ხანების ადგილსამყოფელი). „XVI ს. დამდეგს სანუცალოს მმართველებმა დაიმკვიდრეს ამ წოდების მემკვიდროებითობა და იგი ავარიის სახანოდ გადააქციეს“. (8, ტ.9, გვ.299).

როგორც ცნობილია, ხუნძებს, დაღესტნის სხავადასხვა გაერთიანებებსა და ახლო მოსაზღვრე ტომებს შორის, ყველაზე უფრო ახლო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული, საქართველოსთან როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკურიც. VIII–XIV საუკუნეებში დაღესტანში გავრცელებული იყო ქართული კულტურა. აქ ქადაგებდნენ: პიმენ სალოსი, ანტონ ნაოხრეველის ძე, ღუნძელი კათალიკოსი ოქროპირი და სხვ.

„ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ XII საუკუნეში, თამარ მეფის დროს, სხვა მეზობელ სახე-ლმწიფოებთან ერთად, ხუნძეთიც საქართველოს ემორჩილებოდა და თავისუფლად ცხოვრობდა და „მტერთაგან უზრუნველნი“ იყვნენ. (3, გვ 519).

XII საუკუნის დასაწყისამდე **სერირი** ითვლებოდა როგორც ქრისტიანული სახელმწიფო.

ქრისტიანული სარწმუნეობა „უპირატესად საქართველოდან ვრცელდებოდა. რასაც მოწმობს იქაური ეკლესიები, რომლებსაც ქართული ხუროთმოძღვრული გავლენით არის აღბეჭდილი (X ს.). არქეოლოგიური გათხრების შედეგად ხუნძახში აღმოჩნდა ამავე

საუკუნის ქვის ჯვარი, რაზედაც ქართული ასოებით ქართულ-ავარიული სიტყვებია ამოკვეთილი, რაც შესაძლებელია მიუთითებდეს ქართულ ანბანის საფუძველზე ხუნძური დამწერლობის შექმნის ცდაზე“. (8, ტ.9, გვ.299).

ა. თოფჩიშვილი აღნიშნავს, რომ „VII ს-დან აქ თავიანთ რელიგიებს ავრცელებდნენ არაბები, სომხები და ქართველები. ქართველთა სამისიონერო მოღვაწეობა სწორედ ხუნძებით დასახლებული ტერიტორიით შემოისაზღვრებოდა. არაბთა ბატონობამ თავისი გაიტანა და თითქმის მთელი მოსახლეობა ისლამის მიმდევარი გახდა. მას შემდეგ არა მარტო ხუნძეთის, არამედ დაღესტნის მთელ ტერიტორიაზე ფართო გასაქანი მიეცა არაბული კულტურის გავრცელებას.

შუა საუკუნეების ხუნძეთში შემორჩენილი იყო წარმართობის გადმონაშთები. არაერთი აულის მოსახლეობას ქრისტიანობა ჰქონდა მიღებული. მეცნიერთა ვარაუდით, ამას ბევრი ტოპონიმიკური სახელწოდება ადასტურებს და აგრეთვე ზოგიერთი სოფლის, თუხუმისა თუ სახელის შესახებ გადმოცემა ქართული და სომხური წარმომავლობის შესახებ. ხუნძახში, ზემო ჩირიურტში, ანწუხში ეკლესიების ნანგრევები, ჯვრები და მათი ქვაზე გამოსახულებანია შემორჩენილი. დღემდე მდ. ავარიის ყოისუს ხეობაში კარგადაა შემონახული X–XI სს-ის ქრისტიანული „დათუნას“ სახელით ცნობილი ეკლესია“. (14, გვ.155).

როგორც ცნობილია, X–XIII საუკუნეებში საქართველოს საზღვრები მოიცავდა „დასავ-ლეთიდან აღმოსავლეთით ე. წ. „ნიკოფსით ვიდრე დარუბანდამდის“, ხოლო ჩრდილოეთით კი ხუნძახამდე.

XIII საუკუნეში „ჟამთააღმწერელის“ გადმოცემით როდესაც საქართველოში მონღოლები გამოჩნდნენ და ქართველები დაამარცხეს, ამის შემდეგ „წარვიდეს გზასა ბნელაქნისასა, შევიდეს ღუნძეთს, რამეთუ წინა-განეწყო მეფე ღუნძთა. და სძლეს თათართანვე, და განმარჯუებულნი მივიდეს ბერქა ყაენს წინაშე“. (3, გვ.595).

XIV–XVI საუკუნეებში დაღესტნის სხვადასხვა გაერთიანებებს შორის, საქართველოსთან ყველაზე უფრო დაკავშირებულნი იყვნენ ყაზი-ყუმუხის საშამხლო და ავარიის სახანო.

„დაღესტნის ფეოდალურ გაერთიანებათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა ყაზი-ყუმუხის საშამხლოსაც, რომელიც ადრეულ საუკუნეებშიც ცნობილი იყო ასევე ძლიერ ლაკზის სამეფოდ. XI–XII სს. ლაკზის გაერთიანება შესუსტდა, XIV ს. 20-იანი წლებისათვის ოდნავ მოღონიერებული ყაზი-ყუმუხის საშამხლო კვლავ ერთ-ერთ უძლიერეს გაერთიანებად რჩება. თემურ-ლენგის ძლიერი მხარდაჭერით ყაზი-ყუმუხი გადაიქცა არა მარტო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად, არამედ მუსლიმანური იდეების ფორპოსტადაც. იგი უაღრესი თავდადებით ავრცელებდა ისლამს, როგორც თვით დაღესტანში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. XV საუკუნესა და XVI ს. მეორე ნახევარში ყაზი-ყუმუხის საშამხლომ საკმაოდ დიდი გავლენა მოიპოვა მეზობელ სამხრეთ დაღესტნის ფეოდალურ გაერთიანებებზე“. (32. გვ.21).

XVII საუკუნიდან ყაზი-ყუმუხის საშამხლოს ძლიერება თანდათან დაეცა.

XVII–XVIII საუკუნეებში მთელი დაღესტანი და მათ შორის ავარიის სახანო, თავს იცავდა თურქეთისა და ირანის შემოტევებისაგან. 1741 წელს დაღესტანში შეიჭრა ნადირ-შაჰი დიდი ლაშქრით, მაგრამ დამ-არცხდა და უკან დაიხია. ნადირ-შაჰის წინააღმდეგ, სხვადასხვა დაღესტნელ ტომებს შორის იბრძოდნენ ხუნძებიც.

XVI–XVII საუკუნეებში დაღესტანში **ავარიის სახანო** ერთ-ერთ მძლავრ სახელმწიფოდ იქცა. რომელმაც ძლიერების მწვერვალს მიაღწია XVIII საუკუნეში. ამ დროს ავარიის სახანოში შედიოდა მთელი დაღესტნის, როგორც ჩრდილოეთის, ასევე დასავლეთის მხარეები. ავარიის სახანო იმდენად მომძლავრდა, რომ თავისი გამუდმებული თავდასხმებით შიშის ზარს სცემდა მთელ ამიერკავკასიასაც.

XVII საუკუნის 20–30-იან წლებში, სახანოს ერთ-ერთი ძლიერი მართველის უმა-ხანის დროს (გ. 1634 წ.) შეიქმნა დაღესტანში პირველი სამართლის კოდექსი, სადაც თავმოყრილი იყო ყველა ძველი ადათ-წესები. მის დროს, ავარის სახანოს გავლენაში მოექცა ისტორიულ კახეთის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაწილი – ჭარ-ბელაქანი.

XVI–XVII საუკუნეებიდან დაწყებული, მუსულმანური სამყაროს (სპარსეთისა და თურქეთის) ზეგავლენით, თანდათან ურთიერთობა დაღესტანსა და საქართველოს შორის გართულდა და გამწვავდა. ავარიის ხანები გამუდმებით თავს ესხმოდნენ ქართლ-კახეთს.

„ხუნძთა თარეშებს აღმოსავლეთ საქართველოში ლეკიანობას უწოდებდნენ. ლეკიანობა დაღესტნელ ფეოდალთა და „თავისუფალ“ საზოგადოებათა წვრილ-წვრილი ლაშქრობები იყო ქართლისა და კახეთის მოსახლეობაზე. ქართველებს სტაცებდნენ ქონებას, საქონელს, ჭირნახულს, იტაცებდნენ ადამიანებს. მოგვი-ანებით მოთარეშეებმა დაიწყეს დასახლებული ტერიტორიების დაპყრობა და დამორჩილებული მოსახლეობის დახარკვა.... ჭარის, ბელაქანისა და თალის რაიონებში ხუნძებმა და წახურებმა შექმნეს ე. წ. „უბატონო თემები“, რომლებიც თავისებურ პლაცდარმად იქცნენ შემდგომი თავდასხმებისათვის. ლეკიანობა განსაკუთრებით XVIII ს-ში გაძლიერდა. ოსმალეთი თავის ტერიტორიაზე ხშირად აძლევდა ლეკებს თავშესაფარს. ამიტომ ისინი საქართველოს ახალციხის მხრიდანაც ესხმოდნენ თავს. ოსმალეთის ტყვეთა ბაზარი გზას უხსნიდა ტყვეებით ვაჭრობას“. (14, გვ.160).

XVIII საუკუნის II ნახევარში, ერეკლე II, ახალციხის ფაშა, შირვანის, შაქის, ბაქოსა და დარუბანდის ხანებიც, თავიანთი ქვეყნისთვის მშვიდობა, რომ მოეპოვებინათ, იძულებულნი იყვნენ საჩუქრები, გამოსასყიდი და ჯამაგირიც კი ეძლიათ, ავარიის სახანოს მმართველისათვის მაგრამ, იგი ხშირად არღვევდა შეთანხმებას.

ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის გამოჩენამ უფრო გაამწვავა მდგომარეობა ავარიის სახანოსა და საქართველოს შორის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVII საუკუნეში კახეთში ჩამოსახლდნენ ავარიელები, წახურები და სხვა დაღესტნელი ტომები. ოსმალეთის მხარდაჭერით ისინი თანდათან მომძლავრდნენ, დაიწყეს თავდასხმები ქართლ-კახეთზე და დაიკავეს მდ. ალაზნის პირიქითა სოფლები. XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთს გამუდმებით უხდებოდა დაღეს-ტნელების მოგერიება.

XVIII საუკუნეში მომძლავრებულ დაღესტანში ავარიის სახანოს, ერეკლე II-ის გარდა, საჩუქრებს უგზავნიდნენ ქართველი მეფეები, რომ დაეცვათ თავისი სამფლობელოები, მათი დავდასხმებისაგან.

ავარიის სახანოს მმართველმა ომარ-ხან ავარიელმა (გ. 1801) 1785 წელს 20 000-იანი ჯარით ყარაღაჯთან მდ. ალაზანი გადმოლახა და ქართლისაკენ გამოემართა. ქართველები ამ ბრძოლაში დამა-რცხდნენ. 1787 წელს ომარ-ხანმა, დაღესტანელთა სხვადასხვა ფეოდალთა ჯარით მდ. ალაზანი ხელახლა გადმოლახა, მაგრამ ამჯერად ქართველებმა

დაამარცხეს.

ავარიის სახანოსა და რუსეთს შორის კავშირი XVII საუკუნეში დაიწყო. ზოგიერთი ხუნძთა ტომები, მუსულმანური რუსეთის გამოჩენას მიესალმა კიდევაც.

1801 წელს, ომარ-ხანის სიკვდილის შემდეგ, ავარიის სახანოს მმართველი გახდა სულთან აჰმედ-ხანი მეხთული (1801–1833), რომელმაც რუსეთის ქვეშერდომობა მიიღო. მიუხედავად ამისა იგი მაინც რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებდა. ამიტომაც მისი სიკვდილის შემდეგ რუსეთის მთავრობა ცდილობდა, რომ ავარიის სახენოს მართველად არ დაეშვათ მათთვის არა სასურველი ხანები.

1813 წლის გულისტანის საზავო ხელშეკრულების თანახმად ავარიის სახანო რუსეთს გადაეცა.

ცნობილია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ახლად ჩამოყალიბებულმა რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენელმა პირველმა იმამატმა ყაზი-მუჰამედმა მოინდომა ჩრდილოეთ კავკასიელების გაერთიანება, მაგრამ მას არ დაემორჩილნენ ავარიის სახანო და ტარკის შამხალი. (იხ. ზემოთ „ჩრდილოეთ კავკასიელები“). ამიტომ მან გაილაშქრა ორივეს წინააღმედ. ტარკის საშამხლო დამარცხდა, ხოლო ავარის დამარცხება მან ვერ შეძლო.

ავარიის სახანოში არეულობის გამო, 1828 წელს კავკასიის სამხედრო ხელმძღვანელობამ ავარიის სახანო ორ ნაწილად გაყო. 1832 წლის 17 ოქტომბერს, რუსეთის ჯარის მიერ, იმამის მთავარი გამაგრებული ადგილის გიმრის აღებისას ყაზი-მუჰამედი დაიღუპა. მეორე იმამი გახდა ჰამზათ-ბეგი, რომელმაც შეძლო ავარიის სახანოს დამორჩილება, თუმცა მალე, 1834 წელს იგი შეთქმულებმა მოკლეს. მესამე იმამი გახდა შამილი. მან 1837 წელს ავარიის სახანო დაიკავა. ამის შემდგომ, რუსეთმა ავარის სახანოში საჯარისო ნაწილები შეყვანა. 1843 წელს რუსეთმა გააუქმა ავარიის სახანო და შექმნა გამგეობა, რომლის ზედა-მხედველად დანიშნა ხუნძახის ციტადელის სამხედრო მმართველი გრიგოლ ორბელიანი. მაგრამ, ამავე წელსვე ავარიის სახანო ისევ შამილმა დაიკავა. მან საერთოდ გააუქმა ხანებისა და ბეგების მმართველობა.

1859 წელს ავარიის სახანო ისევ დაიკავეს რუსებმა და 4 აგვისტოს აღადგინეს ავარიის სახანო. რომლის მმართველად ბარიატინსკის ბრძანებით დანიშნეს, ადრინდელი ხანის ნათესავი იბრაჰიმ-ხანი. რომელიც სახანოს მართავდა 1863 წლამდე. იგი ჭკუიდან აშლილობის გამო გაანთავისუფლეს.

1864 წელს მეფის ხელისუფლებამ საბოლოოდ გააუქმა ავარიის სახანო და 1865 წელს შექმნა ავარიის ოლქი.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში შამილის შეპყრობის შემდეგ, კავკასიაში დაიწყო მუჰაჯირობა. დღევანდელ დღეს საზღვარგარეთ ავარების (ხუნძების) ზუსტი მცხოვრებთა რაოდენობა არ არის ცნობილი. ვინაიდან დროთა განმავლობაში, მუჰაჯირელმა ავარი-ელებმა განიცადეს კულტურისა და ენის მხრივ ზეგავლენა, როგორც ადგილობრივი არაბეთის მოსახლეობისა, ასევე სხვა ჩრდილო-კავკსაიელების, უფრო მეტად ადიღეელებისა და ჩაჩნებისა.

2011 წლის მოსახლეობის აღრიცხვის თანახმად, თურქეთში იმყოფებოდნენ 200 000 კაცი, აქედან საკუთარ ენაზე საუბრობდა 20 000 კაცი. ავარიელები იმყოფებიან სირიაში და იორდანიში.

წყაროებიდან ცნობილია, რომ მიუხედავად ავარიის სახანოს 1813 წელს რუსეთთან შეერთებისა, დაღესტანელთა ტომები მაინც განაგრძობდნენ საქართველოზე თავდასხმებს.

საქართველოზე ავარიელებისა და დაღესტანელი ტომების თავდასხმები შეწყდა, როდესაც რუსეთმა დაიპყრო ჭარ-ბელაქანი.

წყაროებიდან ცნობილია, რომ ლეკების წინააღმდეგ რუსეთის ხელისუფლებასაც მოუწია არა ერთხელ გალაშქრება. „ლეკური საკითხი" საქართველოში მოიხსნა მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთმა შეძლო მთლიანად იმიერ და ამიერკავკასიის ხელში ჩაგდება.

1895 წელს რუსეთის ხელისუფლების მიერ შევიწროებული დაღესტნელი ავარიელები, ილია ჭავჭავაძის ხელშეწყობით, კახეთში ჩამოსახლდნენ და შექმნეს სამი სოფელი.

ჯ. კვიციანი ავარიელების შესახებ აღნიშნავს, რომ:

„ავარიელები დაღესტანში ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნოსს წარმოადგენენ, რაც, ფაქტობრივად, ადრე და დღესაც ამ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებს ბევრად განსაზღვრავს. მ. ბახტაძეს და გ. მამულიას... ნაშრომში მოხმობილი აქვთ 1920 წლის 2 ივნისით დათარიღებული საარქივო დოკუმენტი, რომელშიც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე გამოგზავნილ წერილში კ. ალიხანოვი – ავარიის ხელმძღვანელი აღნიშნავს: „ავარეთი (ხუნძახი), თემურ-ლენგის შემოსევამდე, საქართველოს ნაწილი იყო და ამიტომ სულიერად და სისხლით ახლოსაა მასთანო". (12, გვ.142).

9. მთის ებრაელები.

მთის ებრაელები უძველესი ერია, რომლებიც თავდაპირველად ბინადრობდნენ აღმოსავლეთ კავკასიაში, დაღესტანსა და აზერბაიჯანის მთიანეთში. მათი სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. დროთა განმავლობაში ისინი ბარში ჩამოსახლდნენ. თვით სახელწოდებაა ჯუგურ (ჯურგო), რაც ებრაელურად ნიშნავს „იუდეველს" (იეგუდიმ). მთის ებრაელების სალაპარაკო ენა მიახლოებულია ირანულ ენოვან თათებთან.

„მეცნიერთა უმეტესობა თვლის, რომ მთის ებრაელები ძველი ებრაელების შთამომავალნი არიან, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთ ირანში დასახლდნენ, სადაც მათ შეითვისეს გარშემო-მყოფი მოსახლეობის ენა (თათური ენა). შემდგომში კი, სხვადასხვა მიზეზების გამო, მთის ებრაელთა წინაპრები ჩრდილოეთ აზერბაიჯანსა და დაღესტანში განსახლდნენ და დამოუკი-დებელ ეთნოსად ჩამოყალიბდნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში მთის ებრაელთა მიდია-ატროპატენადან კასპიისპირეთში მიგრაცია ახ. წ. V–VI სს-თაა დათარიღებული. ზოგიერთი მეცნიერი კი ამტკიცებდა, რომ მთის ებრაელები წარმოშობით ირანელები, თათები არიან, რომ-ლებმაც იუდაიზმი მიიღეს ხაზართა კაღანატის (VIII–X სს.) მმართველთა მიერ ამ რელიგიის მიღების პერიოდში". (14. გვ.65).

გამოკვლევების შედეგად დამტკიცდა, რომ მთის ებრაელები და ის თათები, რომლებიც ცხოვრობენ დაღესტანში და თავის თავს უწოდებენ თათებს, სინამდვილეში არიან მთიელი-ებრაელების ეთნოსის შთამო-მავალნი. ხოლო, დღევანდელ დღეს, ირანულენოვანი თათები, წარმოშობით ირანელებია, რომლებიც ისლამის სარწმუნეობას აღიარებდნენ და რომლებიც ირანის მმართველებმა ადრეულ შუა საუკუნეში გადმოასახლეს, XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, ისინი აზერბაიჯანელები გახდნენ, აზერბაიჯანული ენა აითვისეს

და თავის თავს აზერბაიჯანელებად თვლიან. (143).

მეცნიერები, ლეგენდების, ისტორიული და ლინგვისტური მონაცემების განხილვის შემდეგ ფიქრობენ, რომ მთის ებრაელთა წინაპრები, ბაბილონის დაპყრობის შემდეგ, იყვნენ გადასახლებულნი იერუსალიმიდან სპარსეთში, სადაც სპარსელებსა და თათებს შორის ყოფნის დროს, მათი დედაენა სპარსული ენის თათური კილოკავად გარდაიქმნა. თუმცა, თავისი ენაც შეინარჩუნეს. შემდეგ, დაახლოებით V–VI საუკუნეებში ირანში სასანიდი მმართველების (226–651): კავად I-სა (488–531) და განსაკუთრებით ხოსრო I ანუშირვანის (531–579) დროს, მთის ებრაელები და თათები, როგორც სპარსეთის კოლონისტები, დაასახლეს აღმოსავლეთ კავკასიაში, საზღვრების დასაცავად და სამხრეთ დაღესტანსა და ჩრდილოეთ აზერბაიჯანში.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, კავად I-ის დროს ირანში დაიწყო ანტიფეოდალური მოძრაობა (მაზდაკიზმი), რომელსაც ხელმძღვანელობდა მაზდაკი.

V საუკუნის II ნახევრში, ირანის მდგომარეობა გაუარესდა. დიდგვაროვანი მოხელეებისა და ზორო-ასტრიელი ქურუმების გაძლიერებამ, სამეფო ხელისუფლების დასუსტებამ, საგარეო პოლიტიკის წარუმა-ტებლობამ, გლეხთა ექსპლუატაციამ და ამავე დროს ირანში ზედიზედ მომხდარი სტიქიურმა უბედურებამ, (გვალვა, კალიების შემოსევა, მოუსავლიანობა, დაიწო შიმშილობა), ყოველივე ამის გამო, ირანსა და ზოგიერთ მის მეზობლად მდებარე ქვეყნებში, გამოიწვია რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების – მაზდაკიზმის გავრცელება. რომლის იდეის მიხედვით მსოფლიო განვითარებას საფუძვლად უდევს ნათელ, კეთილ და ბოროტ, ბნელ ძალებთან ბრძოლა. პირველ შემთხვევაში – ეს არის გონიერებისა და კანონზომიერების სათავე; ხოლო, მეორე – ქაოსისა და შემთხვევითობის სათავე. საბოლოოდ იმარჯვებს სიკეთე. მაზდაკი მოუწოდებდა მის მომხრეებს ებრძოლად სოციალური უთანასწორობის (ბოროტების) წინააღმდეგ და ძალის გამოყენებით მიეღწიათ „ღვთის ბოძებულ“ საყოველთაო თანასწორობისათვის. აქედან გამომდინარე, მაზდაკი იძლეოდა შემდეგ განმარტებას, რომ აღსრულდეს და დამყარდეს ქვეყანაში „მშვიდობა“ საჭიროა უბრალო რამ: პირველი – ჩამოერთვას მდიდრებს სიმდიდრე და მეორე – ჩამორთმეული დაგროვილი სიმდიდრე გაუნაწილდეს ღარიბებს.

მაზდაკს შეუერთდა ახალგაზრდა ებრაელი – ეგზილარხი (ბაბილონელი ებრაელების მაღალი საზოგადოების ბელადების წოდება) მარ-ზუთრა (496–529) და სათავეში ჩაუდგა, ირანელი სატრაპების მიერ შევიწროებულ ებრაელთა აჯანყებას. აჯანყებულებმა შეძლეს მდ. ტიგრზე მდებარე, უძველესი ქალაქის **მახოზას** აღება (ბაღდადის მახლობლად), რომელიც ცნობილი იყო როგორც განვითარებული მდიდარი და სავაჭრო ქალაქი. მან განდევნა ქალაქიდან სპარსელები, თავი მახოზის მეფედ გამოაცხადა და ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი ებრაელური სახელმწიფო. 7 წლის განმავლობაში ებრძოდა სპარსელებს და ანთავისუფლებდა ბაბილონის ებრაელების მიწებს. გადმოცემის თანახმად, VI საუკუნის შუაწლებში, ხოსრო I-ის 100 000-ანი სპარსეთის ლაშქარი შეიჭრა მახოზში, გაანადგურეს ქალაქი, მარ-ზუთრა შეიპყრეს და მახოზის მთავარ ხიდზე სიკვდილით დასაჯეს. ამის შემდეგ სპარსეთში უფრო მეტი სიმკაცრით დაიწყეს ებრაელების შევიწროება და დარბევა. ამიტომ VII საუკუნის დასაწყისში ებრაელები გარბოდნენ ხაზართა სახაკანოში, რომელიც გამოირჩეოდა რელიგიური შემწყნარებლობით. VIII საუკუნის დასაწყისიდან კიდევ უფრო მეტი

ებრაელი მიაწყდა ხაზარეთს. ხოლო როდესაც ხაზარეთში სახელმწიფო რელიგიად იუდაიზმი გამოცხადდა, მთიელ ებრაელებს ხანმოკლე სიმშვიდე დაუდგათ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIV საუკუნის ბოლოს, ჩრდილოეთ კავკასიას შეესია თემურლენგი და მისი მსხვერპლნი მთიელი ებრაელებიც გახდნენ. 1742 წელს კი, ნადირ-შაჰმა მთიელი ებრაელები და მისი დასახლებები გაანადგურა. „XVIII საუკუნის დასასრულს კი მათ თავს ყაზი-ყუმუხის ხანი დაესხა. შამილის დროს მუსლიმი ფუნდამენტალისტები ებრაელთა სოფლებსა და უბნებს ძარცვავდნენ. მისი მცხოვრებნი თავს აფარებდნენ რუსულ სიმაგრეებს. ზოგირთმა კი ისლამი იძულებით მიიღო, რის შემდეგაც ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მთის ებრაელების ასიმილაციის ეს ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა, რისი დამა--დასტურებელიცაა დაღესტანის ბარის, მთისწინეთისა და მთის რაიონებში არსებული ტოპონიმი. ამ პროცე-სების უფრო მეტად დამამტკიცებელია ზოგიერთ დაღესტნურ სოფელში თუხუმები, რომლებიც თავიანთ წარმომავლობას მთის ებრაელებს უკავშირებენ. ასეთი ასიმილაციური პროცესების მნიშვნელოვანი წინაპი-რობა იყო დაღესტნის ხალხებისა და მთის ებრაელებს შორის ტრადიციულად არსებული მეგობრობა და ყონაღობა. მთის ებრაელთა ეთნოსის ფორმირება ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაღესტნის ხალხებთან სამეურნეო-კულტურული ურთიერთობის ფონზე მიმდინარეობდა“. (14. გვ67).

XVIII საუკუნის II ნახევარში, მთიელი ებრაელების მხარე გადაიქცა თურქეთის, რუსეთისა და სპარსეთის სათარეშო მოედნად. რომლის გამო, მთიელებმა დაიწყეს ჩასახლება ქალაქებში. ხოლო როდესაც რუსეთმა შეიერთა დაღესტანი და აზერბაიჯანი, მთიელი ებრაელები რუსეთის ქვეშერდომნი გახდნენ.

სამოქალაქო ომის დროს, მთიელ ებრაელთა აულების და მათი საცხოვრებელი ადგილების განადგურების გამო, დაიწყო ებრაელების ჩამოსახლება დაღესტნის ქალაქებში და გაგრძელდა მეორე მსოფლიო ომამდე. (1941–1945) წლებში, ებრაელები რომლებიც მოხვდნენ გერმანელების მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში და ყირიმში დაკავებულ ადგილებში, ფაშისტებმა გაანადგურეს.

1989 წლის მონაცემებით მთიელი ებრაელები 3,6 ათასი იყო. „2 000 წელს სხვა ებრაელებთან ერთად დაღესტანში აღირიცხა 14,7 ათასი კაცი. მათი უმრავლესობა (98%) ცხოვრობს ქალაქებში: დერბენდში, მაჰაჩყალაში, ბუინასკში, ხასაიურტში, კასპიისკში და ყიზლარში...

XX საუკუნის დასაწყისიდან ებრაელებმა დაიწყეს გადასახლება ისრაელში. ხოლო ბოლო წლებში, ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარებული ომების გამო, მთის ებრაელებიც დაღესტნიდან საცხოვრებლად გადავიდნენ ისრაელში. (1989–1999) წლებში დაღესტნიდან გადასახლდა 12 000 კაცი. ასე რომ წარმოიქმნა იმის საშიშროება, რომ თუ ასე გაგრძელდა გადასახლება, დაღესტანში მალე მოისპობა მთიელთა ებრაელობა“. (105).

* * * * * *

წყაროებიდან ჩანს, რომ მიუხედავად დაღესტანსა და საქართველოს პოლიტიკურად დაძაბული მდგო-მარეობისა, რომელიც მიმდინარეობდა ბოლო საუკუნეებში, ამ ორ ქვეყნებს შორის, მაინც არ შეწყვეტილა ეკონომიკური და კულტურული კავშირები და დროდადრო მაინც ხერხდებოდა ურთიერთობის დამყარება.

დაღესტანიდან სავაჭროდ ჩამოდიოდნენ ქართლ-კახეთში. ჩამოჰქონდათ თვიანთი ნაწარმი: ჩოხა-ნაბადი, მაუდი, ქეჩა, ცივი იარაღები (ქართველები „ლეკურს“ უწოდებდნენ) და სხვ.

ვინაიდან დაღესტანში მეურნეობის წამყვანი დარგი მესაქონლეობა წარმოადგენდა და მთიანი დაღესტანისთვის საძოვრები არ ყოფნიდათ, ხოლო კახეთში კი საზამთრო საძოვრები იყო, ამიტომ მეზობელი მხარეებიდან, ანწუხელებს, დიდოელებს და სხვ. ჩამოჰყავდათ ცხვრის ფარები. ასევე ქართველი მთიელები ზაფხულში გადადიოდნენ დაღესტანში.

„ხელოვნების იშვიათ ნიმუშებს წარმოადგენდა დაღესტნელი ხელოსნების მიერ დამზადებული ქალის ოქრო-ვერცხლეულის სამკაულები: ბეჭდები, სამაჯურები, ყელსაბამები, საკინძები, კულონები, საყურეები და სხვ. ყველა ეს ნაწარმი მართალია ფუფუნების საგნებს შეადგენდა, მაგრამ იგი მიუხედავად სიძვირისა, მაინც საკმაოდ დიდი რაოდენობით შემოდიოდა საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ლეკებს საქართველოში სავაჭროდ ჩამოსვლისას ბაჟს არ ახდევინებდნენ“. (32, გვ.196). საქართველოდან გაჰქონდათ სოფლის მეურნეობის პროდუქტები და სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილი საქონელი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ურთიერთობის შედეგად, საქართველოს მეზობლად მდებარე მხარეებიდან, დაღესტნის მოსახლეობა თავის საკუთარ ენასთან ერთად თავისუფლად ფლობდა ქართულსაც.

„დაღესტანში მოსახლეობის დიდი ნაწილი საერთოდ წინააღმდეგი იყო საქართველოზე თავდასხმებისა, რამდენადაც, ერთი მხრივ, ასეთი თავდასხმები საქართველოს მხრიდან დროდადრო არანაკლებ გამანა-დგურებელ საპასუხო თავდასხმებს იწვევდა, ხოლო, მეორე მხრივ კი, არც თუ ყოველთვის შედეგიანი იყო ისინი. საქმე ისაა, რომ ლეკ აბრაგთა ნაწილი ამ თავდასხმების დროს ქართველებთან ბრძოლაში ფიზიკურად ნადგურდებოდა, ხოლო დიდი ნაწილი კი ხელცარიელი ბრუნდებოდა. ყველაფერ ამას, რასაკვირველია კარგად გრძნობდა ხალხი და ამიტომ თავის გულისთქმას საუკუნოდ დამკვიდრებული გამოთქმითაც გამოხატავდა: „ვინ იცის დაბრუნდება კი ვინც საქართველოში სააბრაგოდ წავიდაო“, ან კიდევ „თავდასხმით მოტანილი ნადავლი ისევ თავდასხმასვე მიაქვსო“ და სხვ.“. (32, გვ.198).

„ასე, რომ, XVI–XVIII საუკუნეებში მიუხედავად მთელი რიგი დაძაბული პოლიტიკური მომენტებისა, საქრთველო-დაღესტნის კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ორგანულ ურთიერთობათა რიტმი მაინც არ შეწყვეტილა, რასაც თავის მხრივ ის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ პრინციპში მთლიანად იქნა შენარჩუნებული ქართველი და დაღესტანის ხალხების კეთილმეზობლობა და საუკუნოვანი მეგობრობა“. (32, გვ.205).

ბოლო თქმა.

ცნობილი რუსი ლიტერატორი, კრიტიკოსი, ფილოსოფოსი და პუბლიცისტი ბესარიონ ბელინსკი (1811–1848) წერდა:

„ყოველი ხალხი არის რაღაც მთლიანი, განსაკუთრებული და ინდივიდუალური, ყველა ხალს აქვს თავისი ცხოვრება, თავისი სულისკვეთება, თავისი ხასიათი, თავისი შეხედულება მოვლენებზე, თავისი ქცევის თავისებურების გაგება და მოქმედება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯობს დავუტოვოთ ყველას თავისი და რომ შევიცნოთ საკუთარი ღირსება, უნდა პატივი ვცეთ სხვის ღირსებას“. (96, გვ.3).

მაგრამ, რუსეთის სახელმწიფოს მესვეურები სულ სხვანაირად ფიქრობდნენ. როგორც ზევით აღვნიშნეთ, მოსკოვის სამეფოს დაარსებიდან დღემდე, მათ არასდროს ქონიათ საკუთარი „ღირსება“ და არც არასოდეს პატივს სცემდნენ „სხვის ღირსებას“.

მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო – რუსეთი, რომელიც საბჭოთა კავშირის დროსაც-კი, ეგრეთ წოდებული „მეფის რუსეთი“, თვით საბჭოთა ისტორიკოსების მიერ აღიარებული იყო როგორც „ევროპის ჟანდარმი“, მისი რღვევის შემდეგაც, ჩვენ ვხედავთ, რომ დროთა განმავლობაში რუსეთში არაფერი შეცვლილა და ისევ ცდილობს დაიმონოს და დაიპყროს მცირე სახელმწიფოები და მათ შორის კავკასიაც.

რომაელი პოლიტიკური მოღვაწე, ორატორი და მწერალი მარკუს ციცერონი (ძვ. წ. 106–ძვ. წ. 43) წერდა:

„ისტორიის პირველი კანონია – უნდა გეშინოდეს ყოველგვარი სიცრუის, ხოლო შემდეგ – არ უნდა გეშინოდეს ყოველგვარი სიმართლის“.

რუსეთის იმპერიის დროს და განსაკუთრებით მის შემდეგ, საბჭოთა წყობილების დროს, რა თქმა უნდა ვერავინ გაბედავდა „მოძმე რუსეთის“ წინააღმდეგ რაიმე სიმართლის თქმას. ამიტომაც საჭიროა, რომ დღევანდელ დღეს, რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხთა ისტორია თავიდან დაიწეროს.

ზევით ჩვენ ზოგადად განვიხილეთ ზოგიერთი ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები როგორც ადგილობრივი, ასევე ჩამოსახლებულნი სხვადასხვა ერები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში შეერწყმნენ ერთმანეთს მიუხედავად მათი სარწმუნეობრივი განსხვავებისა და ჩამოაყალიბეს სახელმწიფოები. კავკასია წარმოადგენს მრავალეროვან სახელმწიფოს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ კავკასია წარმოადგენს შედარებით მცირე მიწიან ქვეყანას, რომლის ფართობი შეადგენს დაახლოებით 250 000 კვ. კმ-ეს და ამავე დროს მისი მნიშვნელოვანი მიწის ნაწილი უკავია მთებს, აქ იმყოფება 100 ერის წარმომადგენელი. აქედან, დაღესტანის რესპუბლიკაში ცხოვრობს დაახლოებით 30 ეროვნების ხალხი. ჩრდილოეთ კავკასიელთა ხალხთა უმრავლესობა მცირერიცხოვანი ერებია (ხშირად მხოლოდ ერთ აულში მცხოვრებლები).

„დაღესტანში ძირძველი მცირერიცხოვანი ერია 19, რომლის უმრავლესობა აღრიცხვას არ ექვემდებარება. ანდიელები – 17-20 ათასი კაცი; კაიტაგები (კაიტაკები) – დაახლ. 14 ათასი კაცი; ცეზები – 8 ათასი კაცი; ბუეტინელები – დაახლ. 7 ათასი კაცი; ბაგუელები, კარატაელები, ტინდიელები და ჭამალალები – დაახლ. 5-6 ათასი კაცია. ღოდობერიელები და ბოთლიხელები – 4 ათასი კაცია; ახვახელები – მიახლოებით 3,2–3,7 ათასი კაცია; ყუბაჩელები – 2,5 ათასზე მეტი კაცია; ჰუნზიბელები – 1,4 ათასი კაცი; ხვარშიელები – დაახლოებით 1 ათასი; ჰინუხილები – დაახლ. 200 კაცია. ზოგიერთები 1989 წ. აღწერილობაში მოხვდნენ (აღულები და რუთულები – 15, 4 ათასი კაცი; წახურები – 5,2 ათასი კაცი)...

ანდი-ცეზურის მცირე რიცხოვანი ჯგუფის ხალხი (ისინია 14) გამოაცხადეს როგორც შერწყმულნი ავარიელებთან; ყუბაჩელები და კაიტაგები – დარგუელებთან. ამ ხალხის სახელწოდებები საერთოდ გაქრა საკავშირო აღწერის სიებიდან.

ის ხალხი, რომლებიც არ მოხვდნენ აღწერათა სიებში, საერთოდ არ ექცეოდათ სათანადო

ყურადღება მათი კულტურის განვითარების მხრივ, მათი ენა დარჩა როგორც საყოფაცხოვრებო-სალაპარაკო ენად“. (109).

ამათ გარდა დაღესტანში არიან ისეთი მეტად მცირე ეროვნებები, რომლებიც რფრ-ს ათანადო უყურადღებობის გამო (მაგ. ჰინუხები დარჩა დაახლ. 200 კაცი) შეიძლება საერთოდ გაქრნენ. ასეთივე მდგომარეობაა ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკებშიც.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 2000 წლის 13 მაის რფრ-ის პრეზიდენტის ვ. პუტინის ბრძანებით შეიქმნა სამხრეთის ფედერალური ოლქი. რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: **ადიღეს რესპუბლიკა, ყალმუხეთის რესპუბლიკა, ვოლგოგრადის ოლქი, როსტოვის ოლქი და კრასნოდარის მხარე.**

2010 წლის 19 იანვარს, დ. მედვედევის ბრძანების თანახმად, სამხრეთ ფედერალურ ოლქს გამოეყო და ჩამოყალიბდა ჩრდილოეთ-კავკასიის ფედერალური ოლქი. რომლის მთავარი ქალაქი გახდა **პიატიგორსკი**. 2013 წლის 2 იანვრის რფრ-ში ჩატარებული მოსახლეობის აღრიცხვის თანახმად, მისი მოსახლება იყო 9 540 753 კაცი. მასში შევიდნენ:

დაღესტნის რესპუბლიკა (მაჰაჩყალა) ---------- 2 946 035 კაცი;
ჩაჩნეთის რესპუბლიკა (გროზნო) ---------- 1 324 767 კაცი;
ინგუშეთის რესპუბლიკა (მაგასი) ---------- 442 255 კაცი;
ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა (ნალჩიკი) ---------- 858 946 კაცი;
ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა (ჩერკესკი) ---------- 471 847 კაცი;
ჩრდილოეთ ოსეთის-ალანიას რესპუბლიკა (ვლადიკავკაზი) --- 706 123 კაცი;
სტავროპოლის მხარე (სტავროპოლი) ---------- 2 790 785 კაცი.

ჩრდილოეთ კავკასიაში, თვით ჩრდილოეთ კავკასიელთა გარდა ცხოვრობენ როგორც სამხრეთ კავკა-სიელები (ქართველები, აზერბაიჯანელები და სომხები), ასევე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები (თურქები, თათრები, რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ბერძნები, გერმანელები და სხვ). უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ კავკსიის მრავალეროვნება, რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული უმართებულო გეგმებისა და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მოთხოვნების გაუთვალისწინებულება იწვევს როგორც პოლიტიკურ, ასევე რელეგიურ დაძაბულებას.

2002 წლის რუსეთის საყოველთაო „აღწერის მონაცემებით, ჩრდილოეთ კავკასიაში სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებიდან მიგრირებული 826 ათასი კაცი ცხოვრობდა (სომხები, აზერბაიჯანელები და ქართვე-ლები). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღემდე არ გამქრალა ჩრდილოკავკასიელი ხალხების სურვილი საკუთარი სახელმწიფოებრიობის შექმნისა, თუმცა ამგვარი მიზნები ხშირად ერთმანეთისადმი ეთნოპო-ლიტიკური და ეთნოტერიტორიული პრეტენზიების საფუძვლები ხდება. ამასთან ერთად, აქ მცხოვრებ თითქმის მილიონამდე სომეხს, აზერბაიჯანელსა და ქართველს არასოდეს გამოუთქვამთ რაიმე პოლიტიკური პრეტენზია და მათ ინტერესებს ეთნოპოლიტიკური ხასიათი არ მიუღია. ისინი საკმაოდ წარმატებულად თანაარსებობენ ჩრდილოეთ კავაკსიაში მცხოვრებ ყველა ხალხის წარმომადგენლებთან“. (12, გვ.91).

2010 წლის რფრ-ს მოსახლეობის აღწერის თანახმად, ჩრდილოეთ კავკასიაში შემავალი რესპუბლიკებში, ოლქებში და მხარეებში, რუსების, ქართველების, აზერბაიჯანელების და სომხების შემდგენლობა იყო შემდეგი:

დაღესტანში: რუსები – 104 000; ქართველები – არ არის მოცემული; აზერბაიჯანელები – 130 900; სომხები – 5 000.

ინგუშეთში: რუსები – 3 215 000, ქართველები, აზერბაიჯანელები და სომხები – არ არის მოცემული.

ყაბარდო-ბალყარეთში: რუსები – 193 155, ქართველები – 1 545, აზერბაიჯანელები – 2 063, სომხები – 5 002.

ყარაჩაი-ჩერქეზეთში: რუსები – 150 025, ქართველები და აზერბაიჯანელები არ არის მოცემული, სომხები – 2 737.

ჩრდილოეთ ოსეთში: რუსები – 147 090, ქართველები – 9 095, აზერბაიჯანელები – 2 857, სომხები – 16 235.

ჩაჩნეთში: რუსები – 24 382, ქართველები, აზერბაიჯანელები და სომხები – არ არის მოცემული.

ადიღეში: რუსები – 270 714, ქართველები – არ არის მოცემული, აზერბაიჯანელები – 1 7 589, სომხები – 15 561.

სტავროპოლის მხარეში: რუსები – 2 232 153, ქართველები – 7 526, აზერბაიჯანელები – 17 800, სომხები – 161 324.

კრასნოდარის მხარეში: რუსები – 4 522 900, ქართველები – 17 800, აზერბაიჯანელები – 10 200, სომხები – არ არის მოცემული.

როსტოვის ოლქში: რუსები – 3 795 600 (მათ შორის კაზაკები – 29 700), ქართველები – 8 300, აზერბაიჯანელები – 17 900, სომხები – 110 700.

ყველა ცხრილში 1 000 კაცზე ნაკლები ერები არ არის მოცემული.

ცხრილებიდან ჩანს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში 2010 წელს დაახლოებით იმყოფებოდნენ: რუსები – 14 555 919, ქართველები – 44 266, აზერბაიჯანელები – 181 509, სომხები – 205 859.

1. ქართველები ჩრდილოეთ კავკასიაში.

ჩრდილოეთკავკასიელთა და ქართველების ურთიერთობების შესახებ ჩვენ ნაწილობრივ ზევით ვისაუბრეთ. რაც შეეხება **ქართველების** ჩასახლებას ჩრდილოეთ კავკასიაში, როგორც ჯ. კვიციანი აღნიშნავს, ის „ორ ძირითად პერიოდად შეიძლება დავყოთ: პირველი – XVI საუკუნის შუა ხანებიდან XIX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით და მეორე – XIX საუკუნის პირველი ნახევარი – XX დასაწყისი. ქართველების ნაწილი, რომელიც 1725 წელს მეფე ვახტანგ მეექვსის რუსეთში გამგზავრების დროს ახლდა, კასპის სანაპირო რაიონებში დარჩა. XVIII საუკუნეში ქართველები უპირატესად სახლდებოდნენ ყიზლარში (დაღესტანში, 1735 წელს) და მოზდოკში (ჩრდ. ოსეთში, 1762–63 წლებში)....

ჩრდილო კავკასიაში ქართველების მიგრაციის მეორე ეტაპი იმ დროს ხდება, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიამ მიიერთა და კავკასიის ომი დასრულდა. 1863–64 წლებში, ადიღების მასობრივი გადა-სახლების (მუხაჯირობის) შედეგად, მდ. ბზიფიდან (აფხაზეთში) ნოვოროსიისკამდე დიდი ტერიტორიები თავისუფლდებოდა. ამ ტერიტორიებზე ცარიზმის პოლიტიკა მიზანმიმართულ მიგრაციას ახორციელებდა და იმ იმედით, რომ ამ მხარის

იმპერიასთან მიერთება ეთნოგრაფიულადაც მომხდარიყო, ხელს უპირატესად რუსების დასახლებას უწყობდა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ცარიზმი არ კრძალავდა ქართველებისათვის და სომხებისათვის მიწების გადაცემას და იქ მათ დაფუძნებას.... ქართული დასახლებები ჩნდება შავი ზღვის გუბერნიაში – სოჭის მიდამოებში (პლასტუნკა, მამაიკა, ნოვაია ზარია) და თერგის ოლქში (ალაგირი, დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთი). აღსანიშნავია, რომ 1879-82 წლებში ალაგირში 120 ქართული ოჯახი ცხოვრობდა, ხოლო 1897 წელს სოჭთან ახლოს მდებარე სოფელ პლასტუნკაში – 97 ქართული ოჯახი, რომლებიც ძირითადად დასავლეთ საქართველოდან – იმერეთიდან, სამეგრელოდან და რაჭიდან იყვნენ მიგრირებულნი. XIX საუკუნის ბოლოს ქართველთა დასახლების პროცესი იწყება ყაბარდო-ბალყარეთში (ნალჩიკში)“. (12, გვ,92–93).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეორე მსოფლიო ომის დროს, ვითომდაც ღალატის გამო ჩრდილოეთ კავკასიელები გადაასახლეს შუა აზიაში და ყაზახეთში. 1943 წლის 12 ოქტომბერს „გამოიცა სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საიდუმლო ბრძანება: «ყარაჩაის ავტონომიური ოლქის გაუქმება და მისი ტერიტორიის ადმინისტრაციულად მოწყობა». პირველ მუხლში ეწერა, რომ «ყველა ყარაჩაელი, რომლებიც ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ» უნდა იყვნენ გადასახლებულნი სსსრ-ის სხვადასხვა რაიონებში, «ხოლო ყარაჩაელთა ავტონომიური ოლქი უნდა გაუქმდეს». მეორე მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული იყო «გადაეცეს ყოფილი ყარაჩაელის ავტონომიური ოლქის, უშკულანის და მიქოიანის რაიონის ნაწილი საქა-რთველოს სსრ-ს, ჩამოყალიბდეს აღნიშნულ ტერიტორიაზე ახალი ქლუხორის რაიონი ცენტრით ქალაქ მიქოიან-შახარი. ქ. მიქოიან-შახარს გადაერქვას ქ. ქლუხორად. დადგინდეს ქლუხორის რაიონის საზღვრები რსფსრ-სა და საქართველოს სსრ-ს შორის: დასავლეთით – ყოფ. მიქოიანის არსებული საზღვარი, შემდეგ აღმოსავლეთით – ქ. ქლუხორის ჩრდილოეთით, და შემდეგ მდ. მარი, სოფ. ქვედა მარის გამორიცხვით, ყოფ. უჩკულანის რაიონის საზღვრებისკენ გასვლით, ზემო მარის სამხრეთით და შემდეგ სამხრეთით ყოფ. უჩკულანის რაიონის აღმოსავლეთის საზღვრები...». (110).

1944 წლის 23 თებერვლიდან ინგუშები, ჩაჩნები, ყარაჩაელები და ბალყარელები შუა აზიაში გადა-სახლების შემდეგ, 1944 წლის 7 მარტის (შეიცვალა ყაბარდო-ოსეთის საზღვრები) და 8 აპრილის (ყაბა-რდო-ბალყარეთის ასსრ გახდა ყაბარდოს ასსრ) სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს (უს) პრეზიდიუმის ბრძანების თანახმად გადასახლებულთა ავტონომიური რესპუბლიკები გააუქმეს და მათი მიწა-წყალი დაანაწევრეს და მეზობელ რესპუბლიკებს შეუერთეს. ჩეჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკის ნაწილზე ჩამოყალიბდა გროზნოს ოლქი. ითუმყალის, შაროის დას. ნაწილი, გალანჩეჟის, გალაშკის და პრიგოროდნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის მიდამოები და აგრეთვე ჩრდილოეთ ოსეთის გიზელდონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილიც საქარ-თველოს გადმოეცა. ამის გარდა ყაბრდოს ნაწილი ელბრუსკისა და ნაგორნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი საქართველოს ზემო სვანეთს შეუერთეს, აქ ჩასახლდნენ ძირითადათ სვანები და რაჭველები. შემდეგში, 1955 წლის მარტის სსსრ-ის უს-ს პრეზიდიუმის ბრძანებით ქლუხორი რუსეთს გადაეცა. ხოლო, 1957 წლის 9 იანვრის სსსრ-ის უს-ს პრეზიდიუმის ბრძანების თანახმად, როგორც ზევით აღვნიშნეთ, საქართველომ შემოიერთებული მიწა-წყლები, ყოველგვარი შეხლა-შემოხლის გარეშე ძველ მფლობელებს დაუბრუნეს და ცდილობდნენ მათ დახმარებას.

ზევით ვთქვით, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩრდილოეთ კავკსიელებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა შესუსტდა და რუსეთის ხელისუფალთა ხელის შეწყობით და წაქეზებით, ზოგჯერ მტრულიც გახდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩრდილოეთ კავკასიელებსა და ქართველებს შორის ურთი-ერთობა არასდროს არ შეწყვეტილა.

„1990-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთის კონფლიქტის შედეგებმა და საქართველოში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა ვითარებამ ჩრდილოეთ კავკასიაში ქართველების ახალი მიგრაცია განაპირობა...

პოსტსაბჭოურ ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესებს უკავშირდება რეგიონში ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების შექმნაც: „ვარძია“ – როსტოვის ოლქში, „ერთობა“ – ჩრდილო ოსეთში, „ივერია“ – სოჭში, „რიონი“ – ნალჩიკში“. (12, გვ.94).

არ შეიძლება არ აღინიშნოს, საქართველოში, 1944 წლის 15 ნოემბრის ღამეს, რა თქმა უნდა სტალინის მითითებით, ჩატარებული მესხეთში ე. წ. **„თურქი მესხების“** გადასახლების შესახებ, რომლებიც სსრკ-ს უს-ს პრეზიდიუმის 1956 წლის 28 აპრილის №135/42 დადგენილების თანახმად გათავისუფლდნენ სპეც-გადასახლების ადგილებიდან საცხოვრებელ ადგილებზე (საქართველოში) დაბრუნების უფლების გარეშე და ამის გამო გადასახლებულთა ნაწილი დღევანდელ დღესაც ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებიან.

„სულ საქართველოს სსრ-დან, სსრკ-ს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის №6279-ის დადგენილების საფუძველზე სპეცგადასახლებულ იქნა 19 818 ოჯახი. მათ შორის თურქები – 14 493 ოჯახი; ქურთები – 1 830 ოჯახი; აზერბაიჯანელები – 3 058 ოჯახი; იეზიდები – 7 ოჯახი; თათრები – 126 ოჯახი და ხემშილები – 304 ოჯახი....

გარდა ამისა, შინსახკომის 1944 წლის 18 მაისის №546 დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ-ს ყვარლის რაიონიდან დაღესტნის ასსრ-ში გადასახლებულნი იყვნენ ლეზგინური წარმომავლობის პირები, სულ 800 ოჯახი“. (თურქი მესხები).

„1944 წელს საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით საქართველოს სსრ, აჭარის ასსრ, სომხეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ-ს ნახიჭევანის ასსრ-დან უზბეკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის სსრ-ში გადასახლებულ იქნენ მაჰმადიანური აღმსარებლობის პირები – თურქები, ქურთები, თარაქამები და ხემშილები (მაჰმადიანი სომხები). საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისა-რიატის მონაცემებით სულ სამხრეთ კავკასიიდან გასახლდა 94 955 ადამიანი. მათგან საქართველოდან გასახლდა 68 447 ადამიანი, მათი ეთნიკური თვითიდენტიფიცირების მიხედვით 59 780 თურქი, 8 667 ქურთი და 1 408 თარაქამა (თურქთა ოჯახებში ჩასიძებული პირები) და ხემშილები (მაჰმადიანი სომხები)“. (42).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სახელწოდება „თურქი მესხები“ და „მაჰმადიანი მესხები“ რომელიც საბჭოთა კავშირის საინფორმაციო საშუალებების მიერ გასული საუკუნის 80-იან წლების ბოლოს გაჩნდა, სიმართლეს არ შეეფერება და სინამდვილეს არ ასახავს. ვინაიდან ე. წ. „თურქი მესხები“ არ არსებობს. წოდება „თურქი მესხები“ პირველად წარმოთქვა ცნობილმა საბჭოთა ყირგიზი მწერალმა ჩინგიზ აიტმატოვმა (1928–2008) 1989 წლის ივნისში საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე. **„ფაქტია, რომ მათი**

ნახევარი არანაირ კავშირში არაა საქართველოსთან, მათ გადასახლებულ მშობლებს ან სხვა წინაპრებს მესხეთში არც კი უცხოვრიათ“. (42). მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ე. წ. „თურქი მესხები“-ის ნაწილნი არიან თურქეთთან მოსაზღვრე საქართველოს სამხრეთ მხარეში – სამცხე-ჯავახეთში: ახალციხის, ადიგენის, ახალქალაქისა და ასპინძის ძირძველი მცხოვრებლები (მესხები), რომლებმაც დროთა განმავლობაში იძულებით მიიღეს მუსულმანობა. ხოლო, მათ გვერდით იმყოფებოდნენ ჩასახლებულნი თურქები. „თურქი მესხები“-ს წოდება, განსაკუთრებით მიუღებელია ქრისტიანი მესხები-სათვის. გადასახლებისთანავე ე. წ. „თურქ მესხებს“ პირად საბუთებში ქართველის ნაცვლად, მათ, რომელ რესპუბლიკებშიც ისინი იმყოფებოდნენ, ყირგიზელებად, აზერბაიჯანელებად, თურქმენებად და სხვ. აღნიშნავდნენ, გვარებიც კი, მამის ან პაპის სახელის მიხედვით (თურქული წესით) გადაუკეთეს.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საზოგადო მოღ-ვაწე, მუსიკათმცოდნე და პოეტი მ ერ ა ბ კ ო ს ტ ა ვ ა (1939–1989) ე. წ. „თურქი მესხების“ შესახებ წერდა:

„სწორედ მესხებით დაიწყო რუსეთის ვერაგული პოლიტიკა, მიზნად რომ ისახავდა და ამჟამადაც ისახავს საქართველოს ასიმილაციას. რუსეთის მთავრობამ განგებ აღარ გამოარჩია ეროვნება სარწმუნე-ობისაგან და მაჰმადიანი ქართველები თურქებად შერაცხა. 1829 წელს, საქართველოს მთავარმართებლის, პასკევიჩის ხელით მან ჯავახეთ-სამცხის ტერიტორიიდან აჰყარა და თურქეთში გადაასახლა მრავალი გამაჰმადიანებული ქართველი, ხოლო მათ სამკვიდრებელში ყარსიდან 30 ათასი სომეხი შეასახლა. მაგრამ ანტი-ქართული ღონისძიებებით არც დარჩენილი მესხები ჩაუგდია უკეთეს დღეში. რუსეთის მთავრობამ 1900-იან წლებში ახალციხის მხარის ქართველი მაჰმადიანებისათვის თურქული სკოლები გაახსნევინა, რომელნიც 1930 წლამდე არსებობდნენ, ხოლო 1930 წელს უკვე საბჭოთა მთავრობამ ქართულის ნაცვლად აზერბაიჯანული სკოლები გაუხსნა მაჰმადიან ქართველებს, თუმცა მოსახლეობის უმრავლესობა ქართულად მეტყველებდა და ქართული სკოლის მსურველი იყო.

1944 წელს 200 ათასი მუსლიმანი ქართველი რამდენიმე ღამეში აჰყარეს და საკუთარი სამკვიდრებელიდან შუა აზიაში გადაასახლეს ვითარცა თურქნი.

ხრუსჩოვისა და ბრეჟნევის დროში, როდესაც გადასახლებულნი ჩეჩნები, ინგუშები და ა. შ. დაბრუნეს სამშობლოში, მუსლიმანი ქართველების დაბრუნების საკითხიც დადგა. თავდაპირველად მესხებმა აღიმაღლეს ხმა და მათ მოწინავე ქარველი ინტელიგენციაც მიერთო. მათი ქართველობის, მათ მიერ ჩადენილი უსამართლო აქტის საკითხი მეცნიერულად და იურიდიულად დამუშავდა და წარდგენილ იქნა საქართველოს მთავრობის წინაშე. თითქო საქმე აეწყო და მესხები ის იყო უნდა სწეოდნენ სანუკვარ მიზანს, რომ ანაზდეულად მოსკოვმა ხელის ერთი აქნევით შეაჩერა ჩინებულად დაწყებული საქმე და მესხებს მისცა სსრკ-ს ნებისმიერ რესპუბლიკაში დასახლების უფლება, გარდა საქართველოსი. ამით მთავ-რობამ, რომ აღარაფერი ვთქვათ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დეკლარა-ციაზე, უხეშად დაარღვია თვის საბჭოთა კონსტიტუციის მუხლი, სადაც საუბარია სსრკ-ს ტერიტორიაზე ნებისმიერი მოქალაქისათვის საცხოვბრებლად ადგილის თავისუფლად არჩე-ვაზე. ამგვარმა ძალმომრეობამ ვერ ამოურეცხა გულიდან მესხებს სამშობლოში დაბრუნების სურვილი“. (44).

ჯ. კვიციანი აღნიშნავს, რომ:

„1957 წელს, ჩრდილოკავკასიელი რეპრესირებული ხალხების რეაბილიტაციის მიუხედავად, საქართვე-ლოდან დეპორტირებული მესხებისა და თურქების რეაბიტილირება და მათი რეპატრიაცია არ მომხდარა, ეს არ განხორციელებულა არც ხრუშჩოვისეულ „დათბობის“ და არც გორბაჩოვისებულ „პერესტროიკის“ წლებში. 1989 წელს ფერგანაში უზბეკებთან მომხდარი სისხლიანი ეთნიკური დაპირისპირების შედეგად, მესხები და თურქები იძულებულნი გახდნენ კავკასიისაკენ გამოქცეულიყვნენ. მათი ნაწილი დასახლდა აზერბაიჯანში (80 ათასამდე), ნაწილი კი – ჩრდილოეთ კავკასიაში, უმეტესად კრასნოდარის მხარეში. ამასთან, „თურქი მესხების“ კომპაქტურად დასახლება ეთნოსთაშორისი დაპირისპირების მაპროვოცირებული მუდმივი ფაქტორი გახდა, რომელიც განსაკუთრებით კრასნოდარის მხარეში გამძაფრდა“. (12, გვ.158). მისივე თქმით: „აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში (უმეტესად ყუბანში) ცხოვრობენ ე. წ. „თურქი მესხები“ რომელთა რაოდენობა 75 ათასს აღწევს)“. (12, გვ.94).

ცნობილია, რომ მათმა წარმომადგენლებმა არა ერთხელ მოითხოვეს და საპროტესტო წერილები გააგზავნეს სსსრკ-სა, შემდეგ რფრ-ის და საქართველოს მთავრობებში, მაგრამ მდგომარეობა უცვლელი დარჩა.

ჩრდილოეთ კავკასიაში ადგილობრივსა და გადასახლებულთა შორის იმდენად დაიძაბა მდგომარეობა, რომ ამ რთული საკითხის გადასაწყვეტად საჭირო გახდა რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა.

„2004 წლიდან, რუსეთსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისა და მიგრაციის საერთა-შორისო ორგანიზაციის ხელშეწყობით დაიწყო კრასნოდარის მხარიდან მაჰმადიანი მესხების ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლების პროცესი. 2005 წლის სექტემბრიდან 21 ათასმა პირმა შეიტანა განცხადება და ამ პროგრამის მეშვეობით, 5 000 ადამიანი გადასახლდა ფილადელფიაში, ატლანტაში, კენტში და ამერიკის 60-ზე მეტ ქალაქში. 2007 წლისათვის აშშ-ში გადასახლებული იქნა დაახლოებით 11 ათასი თურქი-მესხი“. (90).

რუსეთის ხელმძღვანელები დღესაც-კი ეწინააღმდეგებიან ე. წ. „თურქი-მესხები“-ს ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებას. ხოლო საქართველოში მდგომარეობა გართულებულია იმის გამო, რომ გადასახლებულთა დატოვებულ ადგილებში ძირითადათ ჩასახლებულნი არიან, სომხეთიდან გადმოხვეწილნი, რომლებიც მათ ჩამოსვლას ეწინააღმდეგებებიან. მათი დაბრუნება გამოიწვევს ეთნოკოფლიქტს. ასე, რომ გადასახლებული მესხების დაბრუნების საკითხი გაჭინაურდა და მიუხედავად იმისა, რომ წინა საუკუნის 90-იან წლების ბოლოს საქართველოს მესვეურებმა ვალდებულება აიღეს ევროსაბჭოს წინაშე 2011 წლამდე ე. წ. „თურქი მესხების“ დაბრუნების თაობაზე, დღევანდელ დღესაც, გადაუჭრელ საკითხად დარჩა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ე. წ. „თურქი მესხების“ დაბრუნების შესახებ, საქართველოში სხვადასხვა აზრი არსებობს. 2007 წელს დავით არაბიძე წერდა:

„თუ კი ევროპის საბჭომ თავის რიგებში გაწევრიანებისას დანიას, პოლონეთს, ჩეხეთს, სლოვაკეთს, სლოვენიას, რუსეთს არ დააკისრა ვალდებულებად 1944–1945 წლებში გასახლებული გერმანელებისა და უნგრელების რეპატრიაცია და მით უფრო სომხეთს არ

დააკისრა 2001 წელს ევროპის საბჭოში მიღებისას, 1944 წელს გასახლებული მაჰმადიანი პირების რეპატრიაციას, მიგვაჩნია, რომ ამგვარი ვალდებულება, არც საქართველოს უნდა ეკისრებოდეს.

ჩვენი აზრით, როგორც ხელისუფლების, ასევე საზოგადოებრიობის ამოცანაა 1944 წელს სამხრეთ კავკასიიდან გასახლებულთა ამ რამდენიმე ასეულ ათასიანი მასივიდან მოიძებნოს ჩვენი თვისტომნი და მოხდეს მათი ეტაპობრივი დაბრუნება მათ მშობლიურ მიწაზე. ხოლო მათ ვინც თავს თურქად მიიჩნევს და მათი სამკვიდრო იყო დღეს აგრე რიგად წარმატებული თურქეთის რესპუბლიკა. თუ ვინმემ უნდა აგოს ამ ადამიანთა მიერ 1944 წელს განცდილ დრამატულ მოვლენებზე მატერიალურ-მორალური პასუხი, სსრკ-ს სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედრაციამ.

ჩვენი ამოცანაა – გავუფრთხილდეთ საქართველოს, დავიცვათ იგი". (42).

2. აზერბაიჯანელები ჩრდილოეთ კავკასიაში.

მეცნიერთა მიერ აღიარებულია, რომ დღევანდელ **აზერბაიჯანის** მიწა-წყალზე პირველი მცხოვრებნი უძველეს დროიდან იყვნენ ქართველთა მონათესავე ტომები **ალვანელები** (კავკასიის ალბანეთი). ძვ. წ. I საუკუნეში ჩამოყალიბდა ალვანეთის სახელმწიფო, რომელიც მოიცავდა ახლანდელ აზერბაიჯანის მიწა-წყალს და დაღესტნის სამხრეთ ნაწილს „(მცირე-კავკასიის მთიანეთიდან და მდ. არაქსისა და მტკვრის ქვემოწელიდან მოკიდებული კავკასიონის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთამდე და კასპიის ზღვიდან ვიდრე იორ-ალაზნის ქვემოწელამდე ანუ იბერიის სამეფოს საზღვრამდე). „ალბანეთი" (Albania) პირველად IV ს. ბერძნულ წყაროებში იხსენიება. ზოგი მკვლევარის აზრით, კავკასიის და ბალკანეთის ნახევარ-კუნძულის ალბანეთის სახელწოდებათა დამთხვევა იმით აიხსნება, რომ კავკასია – მცირე აზია – ხმელ-თაშუა ზღვის სამყაროს უძველესი მოსახლეობის ენაზე სიტყვა „ალბ" – „ალპ" მთიანეთს აღნიშნავდა. ძველ ქართულ წყაროებში „ალბანეთი" გვხვდება ფორმით „ალვანეთი", სომხურში – „აღვანქ-ი". ალბანეთის მოსახლეობა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო (ალბანელები, გარგარელები, გელები, ლეგები, ჰერები, სუჯები და სხვ., სულ ანტიკურ ავტორთა ცნობებით, 26 ენაზე მოლაპარაკე ტომი). ალბანური ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს განეკუთვნებოდა.... ალბანელთა წარმართული პანთეონის პირველი ღვთაება იყო მთვარე, რომლის მთავარი ტაძარი იბერიის საზღვართან მდებარეობდა. გავრცელებული იყო მზის თაყვანისმცემლობაც". (8, ტ.I, გვ.276). ალვანეთის დედაქალაქი იყო ჯერ **კაბალა**, შემდეგ გახდა **ბარდ**ა.

ახ. წ. III საუკუნეში ალვანეთი სასანიათა ირანის გავლენის ქვეშ მოექცა, ხოლო IV საუკუნეში მეფის ხელისუფლება გაუქმდა და იგი ირანის ერთ-ერთი კუთხე გახდა. IV საუკუნეში ალვანეთში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა და VIII საუკუ-ნემდე დარჩა. VII საუკუნის შუა ხანებში ალვანეთი არაბებმა დაიპყრეს და დაიწყო მოსახლეობის გამაჰმადიანება. VIII საუკუნის ბოლოს არაბთა სახალიფოს შესუსტების შედეგად, აზერბაიჯანის მიწა-წყალზე ჩამოყალიბდა რამდენიმე დამოუკიდებელი სამთავროები: ურანშაჰები – მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, შირვანი – მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ჰერეთი – მოიცავდა საინგილოს, შიგნიკახეთს, კამბეჩანს, შაქს და გაღმამხარეს (ისტორიული

კახეთის მხარე – მოიცავდა მდ. ალაზანსა და კავკასიონის ქედს შორის მიდამოებს) და ჩრდილოეთით – დარუბანდის სამთავრო. ცნობილია, რომ XI საუკუნეში ამიერკავკასია დაიპყრო თურქ-სელჩუკებმა და დაიწყო აზერ-ბაიჯანში თურქ-სელჩუკთა ტომების ჩასახლება და თანდათან მათი ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმა. XI–XIII საუკუნეებში დასრულდა აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბება. მეცნიერები თვლიან, რომ აზერ-ბაიჯანის ეთნოგენეზში მონაწილეობას ღებულობდნენ **ალვანელები**, **მანას** (სახელმწიფო ურმის ტბის მიდამოებში) ხალხები, **ატროპატენელები** (ატროპატენა მოიცავდა მდ. არაქსისა და ურმის ტბის მიდამოებს), **მიდიელები** (სახელმწიფო ირანის ჩრდილო-დასავლეთში), ირანულ და თურქულენოვანი ტომები (კიმე-რიელები, სკვითები, ჰუნები, ბულგარელები, ხაზარები, ოღუზები, პაჭანიკები და სხვ.), **თურქ-სელჩუკები** და **თათარ-მონღოლები**.

აზერბაიჯანელები იმყოფებოდნენ დღევანდელ დერბენდსა და თაბასარანის მიდამოებში. XVI და XVIII საუკუნეებში დაიწყო დაღესტანში, კერძოდ დერბენდში ირანის შაჰების მიერ თავისი ძალაუფლების გასაძლიერებლად, აზერბაიჯანიდან სხვადასხვა ტომების ჩასახლება. 1500–1501 წლებში სეფიანთა სახელმწიფოს დამაარსებელმა შაჰინშაჰმა ისმაილ I-მა (1487–1524) აზერბაიჯანი გააერთიანა. 1510 წელს დაიპყრო დერბენდი და თავრიზიდან სხვადასხვა ტომებიდან 500 ოჯახი ჩაასახლა. 1540 წელს ირანის შაჰმა თახმასპე I (თახნასიბ) (1514–1576) აზერბაიჯანიდან გადმოასახლა კიდევ 400 ოჯახი. აბას I-მა დიდმა, 1579 წელს დერბენდიდან სუნიტები გაასახლა, დერბენდის გასამაგრებლად ყიზილბაშების სამხედრო ნაწილები ჩააყენა და აზერბაიჯანიდან მომთაბარე ტომების 400 ოჯახი დაასახლა.

1741 წელს ნადირ-შაჰმა, აზერბაიჯანში მყოფი ტომებიდან, დერბენდში კიდევ რამდენიმე ასეული ოჯახი ჩაასახლა.

XVIII საუკუნეში დაღესტანში მყოფი აზერბაიჯანელების მხარეში წარმოიქმნა დერბენდის სახანო, რომელიც 1806 წელს შეიერთა რუსეთის იმპერიამ. დაღესტანში რუსეთის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციულ-ერთეულების შემოღების შემდეგ აზერბაიჯანელები მოხვდნენ დერბენდის მაზრაში.

(1860–1870) წლებში დერბენდში მყოფ აზერბაიჯანელებს დაემატნენ მთიელი ებრაელები და რუსები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანელები დერბენდში უფრო მეტნი იყვნენ. 1886 წლის მონაცემებით დერბენდში 8 697 აზერბაიჯანელები იმყოფებოდნენ. ხოლო ებრაელები – 1 830 კაცი. ამავე წლის მონაცემებით დაღესტანში აზერბაიჯანელები ირიცხებოდნენ 13 697 კაცი. 1899 წელს თერგის ოლქში აზერბაიჯანელთა დაახლოებით 100 ოჯახი იმყოფებოდა, ხოლო 1903 წელს – 800 ოჯახი. ჩრდილოეთ კავკასიის ქალა-ქებში ძირითადათ აზერბაიჯანელები ვაჭრობას ეწეოდნენ. შემდგომ წლებში, ჩრდილოეთ კავაკსიაში აზერბაიჯანელები თანდათან მატულობდნენ.

საბჭოთა კავშირის დროს, ჩატარებული განკულაკების მიმდინარეობისას, აზერბაიჯანელები აზერბაიჯანიდან და საქართველოდან (ბორჩალოდან) გასახლებულნი იყვნენ შუა აზიაში. ხოლო, 1944 წელს, აზერბაიჯანიდან, საქართველოდან (თურქებთან და ქურთებთან ერთად) და დღევანდელ სომხეთიდან, აზერბაიჯანელები გაასახლეს თავიანთ მკვიდრ საცხოვრებელი ადგილებიდან (ერევნის სახანოდანაც).

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, აზერბაიჯანელთა მეომართა ნაწილი სამუ-

დამოდ დარჩა ჩრდილოეთ კავკასიაში. ამათ გარდა, ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩნენ იქ მცხოვრებნი აზერბაიჯანელები. 1991 წლის 26 აპრილს, რფ-ის მიერ რეპრესირებული ხალხის რეაბილიტაციის კანონის მიღების შემდეგ, ზოგიერთ ეროვნებებს ნება ეძლეოდათ დაბრუ-ნებულიყვნენ ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებზე.

1988 წლის თებერვალში, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაწყებული ეთნიკური განხეთქილების შედეგად, რომელიც გამოწვეული იყო სომხების მოთხოვნილების გამო, შეეერთებინა აზერბაიჯანის სსრ-ს მთიანი-ყარაბაღის აო ოლქი სომხეთის სსრ-სთვის, დამთავრდა იმით, რომ ამავე წლის მარტში, სომხებმა ასობით ათასი აზერბაიჯანელი გამოაძევეს ყარაბაღიდან და სომხეთიდან. გამოქცეულთა უმრავლესობა დასახლდა ჩრდილოეთ კავკასიაში. უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანელთა გადასახლება საცხოვრებელი ადგი-ლებიდან და აზრბაიჯანის მიწა-წყლის გადაცემა სომხებისათვის ხდებოდა (1918–1920, 1948–1953 და 1988–1991) წლებში.

ჩრდილოეთ კავკასიელებსა და აზერბაიჯანლებს შორის, კერძოდ დაღესტანელებთან, ხანგრძლივი მეზობლობის გამო, მოხდა მათი დაახლოება როგორც კულტურულად ასევე ყოფა-ცხოვრების მხრივ. აზერბაიჯანელები მონაწილეობას ღებულობენ როგორც სოფლის მეურნეობაში ასევე ვაჭრობაში და წარმოებებში, განსაკუთრებით ნავთობ მრეწველობაში.

2000 წლის 18 ოქტომბერს, დაღესტნის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს №191 დადგენილებით, აზერბაიჯანელები გამოცხადდნენ როგორც დაღესტნის რესპუბლიკის მკვიდრ მცირერიცხოვან ხალხად.

„ამჯამად შეინიშნება ჩრდილოკავკასიელი აზერბაიჯანელების ეროვნული თვითშეგნების ზრდა. რეგი-ონის მთელ რიგ ქალაქებში შეიქმნა და მოქმედებს აზერბაიჯანული კულტურული საზოგადოებები“. (12, გვ.97).

3. სომხები ჩრდილოეთ კავკასიაში.

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩასახლებულ სხვადასხვა ტომებს შორის, ერთ-ერთნი არიან **სომხები,** რომლე-ბიც, წყაროებიდან ჩანს, რომ სომხების ნაწილი, X საუკუნეში შუა აზიიდან, ტრაპეზუნტიდან, სინოპიდან და კონსტანტინოპოლიდან, წამოსულან და დასახლებულან ყირიმში. XIII საუკუნეში მონღოლების მიერ სომხეთის დაპყრობის შემდეგ, მონღოლებმა სომეხი ხელოსნები და ვაჭრები გადაასახლეს ქ. სარაიში, ხოლო იქედან, 100 წლის შემდეგ გადასულან ყირიმის ნახევარ კუნძულზე – ფეოდოსიაში, ძველ ყირიმსა და კაფაში. ფიქრობენ, რომ მონღოლების მიერ ყირიმში ლაშქრობის შემდეგ, სომხების ნაწილნი გადავიდნენ ადიღეელებთან და დამკვიდრდნენ სხვადასხვა ადგილებში. ცნობილია, რომ XIV–XVII საუკუნეებში სომხები იმყოფებოდნენ დერბენდსა და შემახაში (ქ. აზერბაიჯანში. კავკასიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ მთისწინეთში. IX–XVI საუკუნეებში შირვანის დედაქალაქი). აქაური სომხები ასტრახანის გავლით ვაჭრობას აწარმოებდნენ რუსეთში.

XVIII საუკუნის წყაროებში აღნიშნულია, რომ სომხები იმყოფებოდნენ მდ. თერგის მიდამოებში. 1724 წლის 10 ნოემბრის პეტრე I-ის ბრძანებით ირანელ 27 სომეხს ნება ეძლეოდათ, რომ დასახლებულიყვნენ იმ ადგილას სადაც შემდეგში აღმოცენდა ქ. ყიზლარი. 1733 წელს დერბენდიდან მდ. სულაკზე მდებარე ციხე-სიმაგრე წმ. ჯვარში გადასულან 700

სომხები და ქართველები. ხოლო, 1736 წელს ციხე-სიმაგრის განადგურების შემდეგ აქ მყოფი მცხოვრებთა ნაწილი ჩასახლებულა ყიზლარში.

წყაროებში მოცემულია, რომ 1796 წელს დერბენდში იყო სომხების 100 სახლი. 1799 წელს პავლე I-მა ნება დართო, რომ ყიზლარში და მოზდოკში დასახლებულიყვნენ ირანელი და ყარაბაღელი სომხები. ცნობილია, რომ XVIII საუკუნეში ყაბარდოში იმყოფებოდნენ სომხები, რომლებიც ძირითადათ ვაჭრობდნენ. XIX საუკუნეში სომხების დასახლებები აღნიშნულია ყირიმში, ყუბანში და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა-დასხვა ადგილებში, ძირითადათ სტანიცების მიდამოებში.

„წყაროები გვიჩვენებენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ხდებოდა სომხების ჩასახლება ძირითადათ 4 ნაკადით:

1. XII–XIII სს-ში – მცირე აზიიდან ჩრდილოეთ დასავლეთ კავკასიაში ძირითადათ ყირიმიდან.

2. XVIII საუკინის პირველი მეოთხედიდან ბოლომდე – ირანიდან ძირითადათ თერგის მიდამოებში.

3. 1894–1895 წწ-ში – თურქეთიდან ჩრდილოეთ-დასავლეთ კავკასიაში.

4. 1914–1916 წწ-ში – ისევ თურქეთიდან ჩრდილოეთ-დასავლეთ კავკასიაში და შავი ზღვის სანაპიროზე.

გარდა ამისა, ადგილი ქონდა სომხების ორ მსხვილ გადმოსახლებას: 1778 წელს, როდესაც სომხები ყირიმის ნახევარკუნძულიდან გადავიდნენ დონზე და 1828 წელს, გურკმანჩაის სამშვიდობო ხელშეკრულების მე-15-ე სტატიის თანახმად, ერთი წლის განმავლობაში, ნება ეძლეოდათ სომხებს, რომლებიც მოისურ-ვებდნენ, ირანიდან გადასახლებულიყვნენ რუსეთში.

ასე, რომ თუ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში სომხების მოსახლეობის მთავარი ცენტრი იყო დასავლეთ-ჩრდილოეთ კავკასია, XVIII საუკუნის დასაწყისიდან ირანიდან გადმოსახლების შემდეგ, მათი ცენტრი წარმოიქმნა თერგის აუზში. XIX საუკუნის ბოლოს – XX საუკუნის დასაწყისში, თურქეთიდან გადმოსახლებულთა გამო, ხელახლა იცვლება თანაფარდობა და იქმნება უფრო მსხვილი რიცხობრივი მასიური სომხების დასახლებები ჩრდილოეთ კავკასიაში“. (111).

ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა კავშირის დროს სომეხთა ნაკადმა იმატა. 2002 წლის მონაცემებით სომხები ჩრდილოეთ კავკასიაში შეადგენდა 581 000 კაცს. რუსებთან, ჩაჩნებთან და ავარიებთან ერთად, სომხები წარმოადგენდნენ ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიაში სომეხთა ნაკადმა განსაკუთრებით იმატა სომხეთში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ და აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ყარაბაღის დაპირისპირების დროიდან. რფრ-ში 2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით ჩრდილოეთ კავკასიაში სომეხთა რაოდენობა იყო 581 000 კაცი. ყველაზე მეტნი იყვნენ: კრასნოდარის ოლქში – 274 600; სტავროპოლის მხარეში – 149 300; როსტოვის ოლქში – 110 000.

„საბჭოთა პერიოდის ჩრდილოეთ კავკასიაში (დასავლეთ ნაწილში) არსებობდნენ ისეთი ადმინი-სტრაციული რაიონები, რომელთა მოსახლეობის უმეტესობას სომხები შეადგენდნენ. მაგალითად, 1926– 1953 წლებში მაიკოპის ოლქის შემადგენლობაში შედიოდა სტანიცა

ელისავეტპოლი (დაბა შაუმიანი – 1938 წელს); ქალაქ დონის როსტოვის ახლოს დღესაც არსებობს მიასნიკოვის რაიონი (ცენტრით სოფელ ჩალტირში)....

დღეს სომეხთა მიგრაციის ვექტორი რუსული მოგრაციის ვექტორს იმეორებს – სამხრეთ-აღმო-სავლეთიდან ჩრდილოეთ-დასავლეთის მიმართულებით. გარკვეული კორექტირება ამაში შეაქვს აქტიურ იმიგრაციას სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან (სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის შედეგად). სომხური მოსახლეობის ყოველწლიური ზრდა ამ რეგიონში ეთნოსთაშორისი დაძაბულობის გარკვეულ საფუძველს წარმოადგენს, რადგან ეკონომიკის სფეროში ინტერესთა კონფლიქტი წარმოიქმნება (პირველ რიგში, ეს ეხება ვაჭრობისა და მომსახურების სფეროებს). (12. გვ.96).

4. რუსები ჩრდილოეთ კავკასიაში.

ისტორიკოსი შახრუდინ გაპუროვი რუსეთის ხელისუფლების შესახებ წერს:

„მათ არ დაივიწყეს და ვერაფერი ისწავლეს“ – ეს გამონათქვამი XIX საუკუნის დასაწყისში ბურბონებზე, ძალაუნებურად მოდის მეხსიერებაში, როდესაც ადარებ ჩაჩნეთში XIX საუკუნის პირველ ნახევარში მეფის რუსეთის კოლონიზატორებისა (განსაკუთრებით „ერმოლოვის“ დროს) და რუსეთის ხელისუფლების 1990 წლის ნახევარში განხორციელებულ მოქმედებებს“. (107).

ზევით აღვნიშნეთ, რომ რუსეთი, მოსკოვის სამთავროს თანდათან გაძლეიერების შემდეგ, XV საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა ჩრდილოეთ კავკასიაში და დაიწყო რუსების ჩასახლება. XVI საუკუნიდან დაწყებული 200 წლის მანძილზე რუსებმა დაიკავეს მდ. ვოლგის ქვედა მიდამოები, ურალის მხარე, ჩრდილოეთ კავკასიის ბარი და გადავიდნენ ციმბირში. რუსების ჩასახლება ჩრდილოეთ კავკასიაში ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის დიდი წინააღმდეგობის დაძლევით და ხშირად მთავრდებოდა მათი განადგურებით. როდესაც რუსეთი იმპერია გახდა, ჩრდილოეთ კავკასიაში რუსების ჩასახლება უფრო გაადვილდა. ხოლო XIX საუკუნეში, რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებამ გამოიწვია ჩრდილოეთ კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრის ათვისება და წარმოებების განვითარება. ამან კი გამოიწვია რუსების კიდევ დიდი რაოდენობით ჩასახლება ჩრდილოეთ კავკასიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის იმპერიის დროს, როგორც რუსეთის განაპირა მხარე, ჩრდილოეთ კავკასია წარმოადგენდა გადასახლების ადგილსაც.

XIX საუკუნეში ჩრდილოეთ-წინაკავკასიის ბარში დიდი რაოდენობით რუსები იყვნენ დასახლებულნი, განსაკუთრებით მდ. დონის მიდამოებსა და სტავროპოლის მხარეში. მხოლოდ შავი ზღვის ყუბანისპირეთში უკრაინელები უფრო მეტნი იყვნენ.

სამოქალაქო ომმა და საბჭოთა წყობილების მიერ კავკასიელი კაზაკების წინააღმდეგ ჩატარებულმა ღონისძიებებმა, მთიელთა ჩამოსახლებამ დაბლობებში, კოლექტივიზაციამ, „განკულაკებამ“ და (1932-1933) წლებში მომხდარმა შიმშილობამ, გამოიწვია არა თუ რუსების, არამედ მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლეობის ცვლილებები. ხოლო შემდეგ, მეორე მსოფლიო ომმა, (1943–1944) წლებში განხორცი-ელებულმა გადასახლებებმა და (1946–1947) წლებში შიმშილობამ, უფრო მეტად შეცვალა მოსახლეობის რაოდენობა.

XX საუკუნის 80–90-ან წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში გაიზარდა კავკასიის ხალხთა

ჩასახლება და ზოგიერთ ჩრდილოეთ კავკასიის მხარეებში ხდებოდა ადგილობრივი რუსების მოსახლეობის შემცირება (სტავროპოლის ზოგიერთ რაიონებში, დაღესტანსა და ყარაჩაი-ჩერქეზეთში).

რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს, რომ: „XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული რუსების პროცე-ნტული და რიცხობრივი რაოდენობა კავკასიაში თვალსაჩინოდ იკლებს. ეს კლება უფრო აშკარაა უკანა-სკნელი ოცი წლის განმავლობაში. ამის გამოა, რომ 1970-იანი წლების შემდგომი პერიოდის დემოგრაფიულ პროცესებს კავკასიაში დღეს რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში დერუსიფიკაციის პროცესს უწოდებენ. თუ როგორ განვითარდება შემდგომში მოვლენები ეთნოპოლიტიკური, ეთნოდემოგრაფიული თვალსაზრისით, კავკასიაში ამის განჭვრეტა ერთობ ძნელია. ყოველივე ამისათვის კი გარკვეული მნიშვნელობა აქვს კავკასიის ხალხების წარსულის, ეთნიკური ისტორიის, ეთნიკური კულტურის შესწავლას, ერთი სიტყვით, საერთოდ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნაშრომებს... ქართველთათვისაც ფრიად აქტუალური და საინტერესოა, რადგან წიგნში მიმოხილული ყველა ეთნოსი ჩვენი მეზობელია და საუკუნეების განმავლობაში საქართველოს და ქართველ ხალხს კავკასიის ხალხებთან მეტნაკლებად ყოველმხრივი და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა და მომავალშიც ქართველი ერი მათ მეზობლობაში, მათთან ურთიერთობაში გააგრძელებს აქ თავის ცხოვრებას“. (14, გვ.217).

მიუხედავად ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლეობის ცვლილებებისა, რუსეთის მოსახ-ლეობათა რიცხვი ჩრდილოეთ კავკასიაში, მაინც უცვლელი რჩებოდა, ვინაიდან ხდებოდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან რუსების ჩამოსახლება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე ჩრდილოეთ კავკსიაში, რუსების რიცხობრივი რაოდენობა რფრ-ს 2010 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, შეადგენს დაახლოებით 14 555 919 კაცს. ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ რუსები ჩრდილოეთ კავკასიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია. რუსები არიან კრასნოდარის მხარეში – 4 552 900. როსტოვის ოლქში – 3 795 660; სტავროპოლის მხარეში – 2 232 153; ინგუშეთში – 321 500; ადიღეში – 270 714; ყაბარდო-ბალყარეთში – 193 155; ყარაჩაი-ჩერქეზეთში – 150 025; ჩრდილოეთ ოსეთში – 147 096; დაღესტანში – 104 000; ჩაჩნეთში – 24 382.

დღევანდელ დღეს, შეინიშნება ჩრდილოეთ კავკასიაში რუსი მოსახლეობის შემცირება, რაც ძირითადათ გამოწვეულია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კავკასიელ ხალხთა დამოუკიდებლობის მოპოვებისას, რუსეთის ხელისუფლებასთან შეიარაღებული შეტაკებების გამო.

* * * * * *

როგორც ჯ. კვიციანი აღნიშნავს: „სამხრეთ რუსეთის ტერიტორიაზე მიგრაციულ პროცესებს, ძირითადად, ერთი ვექტორი აქვს – სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით. მიგრაციული ნაკადის ძირითადი მიმართულებაა კრასნოდარისა და როსტოვის ოლქების სამხრეთი და დასავლეთი რაიონები, მოსახლეობის სიმჭიდროვე ობიექტურ წინაპირობებს ქმნის ეთნოსთაშორის დაძაბულობის და ლოკალური კონფლიქტების კერების გაჩენისათვის“. (12, გვ.101).

„დღეს კავკასიელის ტრადიციული მორალურ – ეთიკური, ზნეობრივი ფასეულობების

ახლებური შესწავლა, მეთოდოლოგიური პლურალიზმის საფუძველზე, ახალ შესაძლებლობებს შექმნის საზოგადოების რემო-რალიზაციის თვალსაზრისით. კავკასიელები დიდხანს იყვნენ მოწყვეტილნი ცხოვრების საკუთარ ნიადაგს. წარსულში განხორციელებული და დღესაც მიმდინარე კავკასიური საზოგადოების მოდერნიზაციის ისეთი პროცესი, როცა ის საკუთარ ფესვებსა და ნიადაგსაა მოწყვეტილი, რეგიონის განვითარებისათვის ზიანის მომტანიც შეიძლება იყოს. ამგვარი სიტუაცია ხელს უშლის კავკასიელის ბუნებრივ მდგომარეობას, რომელიც თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ სწრაფვაში გამოიხატება". (12, გვ.133).

გ ა მ ო ყ ე ნ ებ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ოთხ ტომად, (1960–1967).
2. ი. ჯავახიშვილი, პ. ს. სურგულაძე, პროფ. ლისტი, ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989.
3. ქართლის ცხოვრება, თბ., 2008.
4. ქართლის ცხოვრება, ოთხ ტომად, თბ., (1955–1978).
5. საქართველოს ისტორია, ოთხ ტომად, თბ., 2012.
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, რვა ტომად, თბ., (1970–1980).
7. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ.I, თბ., 1958.
8. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 12 ტომად, თბ., (1975–1987).
9. ქ. ს. ე., საგანგებო ტომი, თბ., 1981.
10. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
11. ჯ. კვიციანი, ეროვნული უმცირესობანი საქართველოში XX–XXI ს.ს., თბ., 2011.
12. ჯ. კვიციანი, კავკასია და კავკასიელები, თბ., 2010.
13. რ. თოფჩიშვილი, ეთნოისტორიული ეტიუდები, ხალხთა (ეთნოსთა) სახელწოდებანი – ეთნონიმები, თბ., 2005.
14. რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური კულტურა, ეთნიკური ისტორია, თბ., 2007.
15. რ. თოფჩიშვილი, ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსაზღვრის არეალი, თბ., 2008.
16. რ. თოფჩიშვილი, ტოტალიტარული შეტევა ქართველებსა და ჩვენს ისტორიაზე, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №14, 3, 2009.
17. გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959.
18. როგორ მოატყუა პეტრე დიდმა ვახტანგ მეექვსე, თბ., 1990.
19. ზ. ჭიჭინაძე, ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და ღვაწლი მათზე, თბ., 1916.
20. ა. სონღულაშვილი, აფხაზი თუ აფსუა?, თბ., 2004.
21. ა. სონღულაშვილი, კაზაკები საქართველოში, თბ., 2006.
22. ა. სონღულაშვილი, „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?, თბ., 2007.
23. გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, სახელგამი, 1927.
24. ა. თოთაძე, აფხაზეთის მოსახლეობა, ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 1995.
25. ა. თოთაძე, ოსები საქართველოში: მითი და რეალობა, თბ., 2008.
26. ხ. ახვლედიანი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1978.
27. ვ. ელანიძე, თუშეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1988.
28. ა. შავხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1977.
29. ა. შავხელიშვილი, თუშეთი, თბ., 1987.
30. ა. აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX–XI საუკუნე--ებში, თბ., 1988.

31. მ. ცინცაძე, საქართველო – ადიღეს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1982.
32. თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 191968.
33. მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990.
34. ბ. ხორავა, აფხაზთა 1867 წ. მუჰჯირობა, თბ., 2004.
35. ა. ბაქრაძე, აფხაზეთისათვის, თბ., 2002.
36. მ მჭედლიშვილი, საქართველო ბოროტების იმპერიის 500-წლოვან მარწუხებში, თბ., 2004.
37. ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1964.
38. გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV–XVIII ს.ს., თბ., 1969.
39. ა. დიუმა, კავკასია, თბ., 1964.
40. გ. გასვიანი, აფსუები საქართველოში, გაზეთი (ალმანახი) „ციცინათელა“, №98, 2008.
41. ბ. თავაძე, VIVAT HISTORIA: ანუ რას გვიამბობენ მცენარეთა სახელწოდებანი აფსუა-აფხაზთა აბორიგენობაზე, გაზეთი „საქართველო“, №10–11, 2003.
42. დ. არაბიძე, კონფლიქტის საფრთხე მესხეთში. გაზეთი „განმათავისუფლებელი“, აპრილი, №13, 2007.
43. გ. მამულაშვილი, ინგუშის ცემა არ შეიძლება – 20 წლის შემდეგ სამაგიეროს გადაგიხდის.
http://www.open.qe/index.php?m=4&y=2009&art=546
44. ს. ტურჩინავა, ი. ლაღიძე, „თურქი მესხები“ თუ „ქართველი-მესხები“?!
http://www.nplq.qov.qe/qsdl/cqi-bin/hibrary.exe?e=d-01000-00---0ff-Operiod--00-1--0-10-0---0---Oprompt-:
45. მ. ჩუხუა, ჩერქეზების გენოციდი – პრობლემის ისტორია. მოვლენათა ქრონიკა, სამეცნიერო დასკვნა.
http://www.perliament.qe/files1544-32742-628306-qencidi-qe.pdf
46. ზ. დათუაშვილი, კაზაკები და საქართველო. http://www.for.qe/view.php?for-id=14165&cot=12
47. ბ. ხორავა, ეთნიკური და დემოგრაფიული პროცესები აფხაზეთში XIX–XX საუკუნეებში. http://7daus.qe/index2php?newsid=9618
48. მ. ცოტნიაშვილი, აგრესია საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ოსთა საკით-ხი 1918–21 წლებში. http:// myxp.ucz.com/news/2009=06-17-6510.
49. გ. თამარაშვილი, სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა.
http://www.open.qe/index.php?m=12&y=2009&art=6040
50. პ. ცინცაძე, საერთაშორისო სამართალი და აგრესიის ცნება.
http://expertclub.qe/portal/cnid-4159/alias-Expertclub/lang-ka-GE/tabid-2546/default. aspx
51. ს. ასათიანი, დიმიტრი მედვედევი. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას ცნობს. http://www.radiotavisupleba.qe/content/artikle/1559246.html
52. ი. მერკვილაძე, ინტერვიუ კონსტანტინე პრეობრაჟენსკისთან.
http://lib.qe/body-fext.php?7027
53. ა. სურიკოვი, კავკასიის ომის უცნობი ზღვრები.
http://iberiana.wordpress.com/caucasus/curikow-kavkasus/

54. რ. კლიმიაშვილი, საქართველო და მსოფლიო კავკასიის ემირატი. http://geworid.net/polities/431.txt
55. ნ. კახიშვილი, კონფერენცია თბილისში, ჩერქეზები და ჩრდილოეთ კავკსიის ხალხები წარსულსა და მომავალს შორის. http://netgazeti.qe/GE/2/News/1163/htm
56. გ. გუნიავა, ჩვენი მეზობლები: დაღესტანი. http://expertclub.qe/portal/cnid-3948/alias-Expertclub/lang-ka-GE/tabid-2546/default. aspx
57. გ. თოფურია, გ. ბერჭულაძე, დაღესტნური ენები, საერთო და განსხვავებული. http://nplg.gov.qe/caucasia/messenger/caucasianMessenger.Geor/N2/SUMMARY/36/ HTM
58. თ. მარხვაიძე, ცხინვალის რეჟიმი ჩრდილოეთ ოსეთის მიტაცებას აპირებს? ინგუშები მედვედევისაგან სამხრეთ ოსეთისათვის დახმარების შეწყვეტას ითხოვენ. http://www.open.qe/index.php?m=48y=2010&art=19359
59. დ. იკურიძე, პანკისი – ჩვენი სატკივარი და საზრუნავი. http://www.opentext.qe/index.php?m=57&y=2002&art=10049
60. ო. ტურაბელიძე, საქართველოს რესპუბლიკას ადევნებული ფატიმატ ტახნაევა. http://www.open.qe/index.php?m/12&y=2009&art=112327
61. გ. კავკასიძე, რატომ ებრძვის რუსეთი საქართველოს? http://www.facebok.com/node-id=260432793183
62. ილია II, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის განცხადება. http://www.geotimes.qe/index.php/?m=home&nevsid=14976&lang=geo
63. კონფლიქტის მსვლელობის მოკლე მიმოხილვა. http://www.diaspora.gov.qe/files/faili/GoGWar.Rep-Ch1.Att.15.doc
64. ინგუში მწერლის ისა კოზოევის წერილი. http://fundofcaucasus.org/portal/alias-Caucasus.org/newsid-130/callerMODid-S77
65. რუსეთის ათწლიანი მზადება 2008 წლის აგვისტოს დაპყრობითი ომისათვის საქართველოში. http://www.facebook.com/note.php?npte-id=243647528183
66. რუსეთ საქართველოს ომი ერთი წლის შემდეგ. http://expert.qe/cheigzleboda-tu-aar-omis-tavidan22222.htm
67. საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმაშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით, აგვისტო, 2009 წელი. http://diaspora.gev.qe/files/introduction.html
68. დიმიტრი მედვედევი აფხაზეთში ჩავიდა. http://www.kvirispalitra.qe/kviridankviramde/4553-dmitri-medvedevi-afkhazetshi- chavida. html
69. მედვედევმა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა. http://www.civil.qe/geo/artikle.php?id=19296
70. მედვედევმა განაცხადა, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის აღიარების გადაწყვეტილება არ გადაიხედება. http://www.afiaratv.qe/ge/index.php?page=ghownewssid=20710
71. პუტინს საქართველოს შეიარაღება აშფოთებს.

http://ambebi.qe/msoplio/25111-putins-saqavtvelos-sheiaragheba-ashfotebs.html
72. რუსეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთს შორის საზღვარი შესაძლოა გაუქმდეს. http://news.info.qe/Categorry.aspx?id=103168&Tema=S
73. რესპუბლიკა ყაბარდო-ბალყარეთი. http://weww.caucasus.org.qe/Deatoc.Defaul.aspx?alias=Caucasus.org&lang=ica-GE&tabid=2277
74. ინგუშები ხსნას საქართველოში გადმოსახლებაში ხედავენ. http://politforumi.com/index.php?Shwtopic=9197
75. ინგუშები გადასახლებას ვერ გაექცევიან? http://expertclub.qe/portal/chid-4220/alias-expertclub/lang-ka-GE/tabid-2546/default.aspx
76. დაღესტნის რესპუბლიკა. http://www.caucasus.jrg.qe/Dextop.Default.aspx?alias=Caucasusjrg&lang=ka-GE&tabid= 2275
77. ყუმუხები თავის უფლების დასაცავად გამოდიან. http://Expert.Club.qe/portal/cnid-3547/alias-Expert.Club/1lang-ka-GE/tabid-546/default.aspx
78. მასალები ვლადიკავკაზის დაარსებისა და კუთვნილების შესახებ. http://iberiana.wordpress.com/caucasus/vladikavkaz/
79. თათრეთის რესპუბლიკაში არსებული ტენდეციები. http://kavkasia.qe/index.php?action=morte&id=129&lang=geo
80. მუჰაჯირობა, ვიკიპედია.
81. ჩრდილოეთ ოსეთი, ვიკიპედია.
82. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ვიკიპედია.
83. როკის გვირაბი, ვიკიპედია.
84. ინგუშეთი, ვიკიპედია.
85. თუშეთი, ვიკიპედია.
86. ქისტები, ვიკიპედია.
87. დაღესტანი, ვიკიპედია.
88. დაღესტნური ენები, ვიკიპედია.
89. იოანე მანგლელი, ვიკიპედია.
90. თურქი მესხები, ვიკიპედია.
91. ზელიმხან იანდარბიევი, ვიკიპედია.
92. А. Уралов (А. Авторханов), Убиство Чечено-Ингушского народов. Народоубиство в СССР, Москва, 1991.
93. В.Г. Джабагиев, Свободный Кавказ. Стати и виступления (1951–1956), Назран-Москва, Мемориаль, 2007 г.
94. В. Имамов, Запрятанная история татар, Набережное Челны, 1991.
95. А. И. Козлов, Возрождение казачества, Ростов-на-Дону, 1995.
96. З. Нухажиев, Х. Умхаев, Депортация народов. Ностальгия по тоталитаризму, Г. Грозный, 2009.
97. Я.З. Ахмадов, Э. Х. Хасмагомадов, История Чечни в XIX–XX веках, Москва, 2005.
98. С. М. Димитриевский, Б. И. Гварели, О. А. Челнишева, Международный трибунал для Чечни, Нижный Новгород, 2009.

99. Е. И. Крупнов, Средневековая Ингушетия, Москва, 1971.
100. А. Мальсагов, Ингуши. Краткая история их участие в войсках России. Пятигорск, 2005 г.
101. А. А. Уйсенбаев, Конец Ногайцев во 2-ой пол. XVIII века, Газета „Восход“, 15. XI. 1996.
102. И. Бизов, Мухаджирство или переселение в турцию в 1865 году, Журнал „Чеченская общество сегодня“, 11. 09. 2011.
103. Д. Хожаев, Ханкальское сражение, Газета „Чеченец“, 10. 1998 г.
104. С. Бушуев, Государственное система имамата, Журнал „История-Марксизма“, №5, 1937 г.
105. М. Р. Ибрагимов, Горские евреи в Дагестане, Журнал „Народы Дагестана“, №1, 2002.
106. И. Э. Тунман, Крымское ханство, симферополь, Таврия, 1991. http://www/fostlit/info/Texst/rus/5/Tunman/frametext/htm
107. Ш. Гапуров, Методы колониальной политики царизма в Чечне, в первой половине XIX века. http://Old.sakhrovcenter.ru/chr/churus06-1/htm
108. А. В. Димитриев, Тореты, город Торик, мыс Теретский. http://nasledie.org/v3/ru/>anrfion=view&id=548419/
109. Н. Хмара, О. Щащаев, Национальное меншиство в республиках Северного Кавказа. (Цифры и факты). http://www.rau.su/observer/NO1-96/1-12.NTM
110. Е. В. Архипова, 2006, Изминения российско-грузинской границы в 1944-1957 годах: Объективные и субъективные факторы в процессе принятия решений. http://cyberleninka.ru/article/n/izmeneniya-rossiysko-gruzinskoy-granitsy-v-1944-1957-godah-obektivnye-i-subektivnye-faktory-v-protseaae-prtinyatie-reaheniy#ixzz2dj41FNSQ
111. Н. Г. Волкова, О расселение Армян на Северном Кавказе до начала XX века. http://hpj.asj-oa.am/972/1/1966-3(257).pdf
112. В. Похлёбкин, Татары и Русь. III. Астраханское Ханство. http://www.litmir.net/br/?b=118833&p=36
113. Большая советская энциклопедия, в 65 томах, (1929–1931).
114. Царь Петр I Великий, Кавказ и Чечня. Политика императора. Бытва под Эндера. http://fcanarod.ru/forum-Kavkaza-fsar-petr-Lhfmi
115. Военно-политическая история Северного Кавказа. (Краткое изложение). http://webcache.geogleuusconteht.com/search?g=cache816xtCIcp6gj:circdssiaonlint.org/culture/histc
116. Кабардино-крымская война (1707_1708) г.г. http://www.djeguaka.ru/content/view/178/36/1/0
117. Донские казаки в борьбе с большевиками. Геноцид казачества. Документы красного террора. http://elon-kazak.ru/?g=genofsid-kazachestva-dokumenty-krasnogo-terrora-o
118. В. Путин: Между косово и абхазии или южной осетии разницы нет. http://www.civili.qe/rus/drticle.php?id=11854
119. „Помни 21 мая“: Черкесы проводят минуту молчания. http://veskavkaz/ru/news/pomni-21-maua-cherkesy-provodyat-minutu-molchaniya.1
120. Система Ермолова 1816–1826. http://grandwar.kulichki.net/KavKaz/war-1.htmk
121. Географическое, этнотериторальное и демографическое положение чечни в 19 веке. http://www.kavkazchat.com/showthread.php?p=3276743
122. Операция „Чечевица“ подготовка и проведение. http://www.Kadirow.ru/node/21
123. Саид Шамиль – внук имама Шамиля. Википедия.
124. Узун-Хаджи. Википедия.
125. Шеих Мансур. Википедия.
126. Северо-Кавказский федеральный округ. Википедия.
127. Красный терор в Крыму. Википедия.
128. Население Крыма. Википедия.

129. Черкесы. Википедия.
130. Чеченцы. Википедия.
131. Массовое убиство в Хайбахе. Википедия.
132. Депортация Чеченцев и Ингушей. Википедия.
133. Карачаево-Черкесия. Википедия.
134. Ингушетия. Википедия.
135. Казаки. Википедия.
136. История донского казачества. Википедия.
137. Терские казаки. Википедия.
138. Кубанские казаки. Википедия.
139. Возрождение казачества. Википедия.
140. Аланы. Википедия.
141. Аорсы. Википедия.
142. Балкарцы. Википедия.
143. Горские евреи. Википедия.
144. Дандары. Википедия.
145. Едигеи. Википедия.
146. Карачевцы. Википедия.
147. Касоги. Википедия.
148. Киммериицы. Википедия.
149. Меоти. Википедия.
150. Роксоланы. Википедия.
151. Сарматы. Википедия.
152. Синды. Википедия.
153. Скифи. Википедия.
154. Хазари. Википедия.
155. Языги. Википедия.
156. Золотая орда. Википедия.
157. Ногайская орда. Википедия.
158. Тюркский каганат. Википедия.
159. Западно-Тюркский каганат. Википедия.
160. Кавказская туземная конная дивизия. Википедия.
161. Кадыров Рамзан Ахматович. Википедия.
162. Сираки. википедия.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი – – –

20. აფსილები – – –